ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1998

63.3(0)3
931
ბ 571

წიგნში განხილულია ბერძნულ-რომაული სამყაროს გამოჩენილ ისტორიკოსთა ბიოგრაფიები და ძირითადი ნაშრომები; ნაჩვენებია მათი როლი საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში; დახასიათებულია ის გარემო, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა თითოეულ ისტორიკოსს, როგორც თავისი ეპოქის შვილს. წიგნი მკითხველს აცნობს ისტორიის მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესს.

გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ნაშრომი მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს აგრეთვე ანტიკური სამყაროთი დაინტერესებულ მკითხველსაც.

რედაქტორი გ. ქავთარია

რეცენზენტები: ჯ. შარაშენიძე
გ. კუტალია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

0503000000
ბ ———————
608(06)—98

ISBN 99928—56—50—5

წინასიტყვაობა

წიგნში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილულია ყველა თვალსაჩინო ბერძენი და რომაელი ისტორიკოსი. მოთხრობილია იმ როლზე, რომელიც მათ შეასრულეს ანტიკური სამყაროს უკვდავსაყოფად.

ბერძნულ ისტორიოგრაფიას წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა იმისა, თუ როგორი ფორმის თხრობა წარმოადგენდა საისტორიო მწერლობის წინამორბედს.

ადრინდელი ბერძნული ტრადიცია ისტორიას მეცნიერებად არ თვლიდა, მას ხელოვნების დარგად მიიჩნევდა. ამიტომაც იყო, რომ აპოლონის მხლებელ ცხრა მუზას შორის ისტორიის მუზა—კლიო იმყოფებოდა. ამგვარი შეხედულების მიუხედავად, კლასიკური პერიოდის ელადაში ისტორია მეცნიერებად იქცა და თავისი კვლევის საგანიც გამოკვეთა.

ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა შეხედულებანი, გარდასულ მოვლენათა გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბა რომაელმა ორატორმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ მარკუს ტულიუს ციცერონმა. მისი სიტყვებით, ისტორია ცხოვრების მასწავლებელია (Historia est magistra vitae). ასე ესმოდათ ისტორიის როლი და დანიშნულება ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებს.

ისტორია მეცნიერებად დაიბადა მაშინ, როცა ბერძნული „საოცრება" თავისი აღზევების ზენიტში იმყოფებოდა და გარემომცველი სამყაროს შეცნობა განათლებულ ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებად იქცა. ძველი ცივილიზაციის სხვა ხალხებისაგან ბერძნები ამ ნიშნის გამოკვეთითაც განსხვავდებოდნენ.

წიგნში წარმოდგენილი ისტორიკოსები გამოირჩევიან ინტერესების მრავალმხრივობით. განუზომლად დიდია მათი დამსახურება არაბერძენი და არარომაელი ხალხების ისტორიის წინაშეც. ანტიკურ ავტო-

რებთან გვხვდება პირველი სანდო ცნობები ბერძნულ-რომაული სამყაროს მეზობელი ქვეყნების შესახებ.

საგულისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ ინტენსიური პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, აღნიშნულ ხალხთა დიდი ნაწილი საფუძვლიანად ეზიარა ბერძნულ-რომაულ კულტურას.

წიგნში განხილულია ორი დიდი რომაელის, არაისტორიკოსების — მარკუს ტულიუს ციცერონისა და გაიუს იულიუს ცეზარის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ციცერონმა და ცეზარმა იმდენად სრულყოფილად აღწერეს იმდროინდელი ეპოქა, რომ მსგავსი შინაარსის წიგნში მათი შეტანა ბუნებრივია. ციცერონისა და ცეზარის სიტყვები, ჩანაწერები თუ კერძო ხასიათის წერილები რომში მიმდინარე სამოქალაქო ომების პირველწყაროს წარმოადგენს.

„ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები" ქართულად პირველად გამოდის. იგი წლების განმავლობაში მზადდებოდა. რედაქტორს ნაშრომის აგებულებაში ცვლილებები არ შეუტანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახლო წარსულში გაბატონებული კონიუნქტურული მასალების შეკვეცას.

წიგნის ძირითადი ავტორები, მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკული ჩვენი მასწავლებლები, გარდაცვლილნი არიან. პროფ. ალ. წერეთელი (1889—1967 წწ.), პროფ. გ. გოზალიშვილი (1900—1988 წწ.) პროფ. მ. ალექსიშვილი (1910—1970 წწ.) წლების განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდნენ ქართულ საუნივერსიტეტო განათლებას და ეწეოდნენ სერიოზულ სამეცნიერო მოღვაწეობას. მათ თავიანთი ინტერესების სფეროში ჩართეს მომდევნო თაობის ისტორიკოსებიც, რასაც ამ წიგნის თანაავტორთა შემადგენლობაც ადასტურებს.

თუ წიგნი დააკმაყოფილებს იმ ინტერესს, რომელსაც ქართველი მკითხველი ანტიკური სამყაროსადმი მიმართებაში იჩენს, ავტორები თავიანთ მიზანს მიღწეულად ჩათვლიან.

წიგნის ავტორები არიან:

1. პროფ. მათე ალექსიშვილი — არისტოტელე, გაიუს იულიუს ცეზარი, ნიკოლოზ დამასკელი, პომპეუს ტროგუსი, მარკუს ფაბიუს კვინტილიანე, მარკუს ავრელიუსი, ვალერიუს მაქსიმუსი.
2. პროფ. გიორგი გოზალიშვილი — ჰეროდოტე, ქსენოფონტი, მარკუს ტულიუს ციცერონი, კორნელიუს ტაციტუსი, აპიანე ალექსანდრიელი, ავრელიუს ავგუსტინე, ამიანე მარცელინე.

3. **პროფ. ალექსანდრე წერეთელი** — თუკიდიდე, ეფორე, თეოპომპე, პლუტარქე, ფლავიუს არიანე.
4. დოც. გივი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — სალუსტიუს კრისპუსი, კურციუს რუფუსი.
5. დოც. რუსუდან გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი — ტიტუს ლივიუსი, დიონისე ჰალიკარნასელი, ანეუს სენეკა, სვეტონიუს ტრანქვილუსი, პლინიუს უმცროსი, ანეუს ფლორუსი, ავგუსტუსის ისტორიის მწერლები, ოროზიუსი.
6. დოც. ლამარა ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — ველეიუს პატერკულუსი.
7. პროფ. ნოდარ ლ ო მ ო უ რ ი — ბერძენი ლოგოგრაფოსები, დიოდორე სიცილიელი, დიონ კასიოსი.
8. პროფ. გრანი ქ ა ვ თ ა რ ი ა — წინასიტყვაობა, პოლიბიოსი, კორნელიუს ნეპოტი, ევტროპიუსი.

საგერძნეთი

ბერძენი ლოგოგრაფოსები

VIII—VI სს. ბერძენმა მეზღვაურებმა და ვაჭრებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. იონიელმა ბერძნებმა აითვისეს და განავითარეს ძველი აღმოსავლეთის კულტურული მონაპოვარი, შეუთავსეს მას ბერძენთა მეცნიერული აზროვნების მიღწევები და შეავსეს იმ მრავალმხრივი და ფართო ცოდნით, რომელიც ბერძნული კოლონიზაციის შედეგად მიიღეს. ამან ხელი შეუწყო იქაურ პოლისებში უფრო რეალისტური მსოფლმხედველობის ჩასახვას, მეცნიერების რიგი დარგების განვითარებას და პარალელურად, ბერძნული პროზის წარმოშობას ძვ. წ. VI საუკუნისათვის.

პროზის გაჩენა ახალ ეტაპს მოასწავებდა ბერძნული ლიტერატურის განვითარებაში; იგი შეესაბამებოდა ცხოვრების იმდროინდელ მოთხოვნებს.

ბერძნული პროზა თავდაპირველად ორი ძირითადი დარგით იყო წარმოდგენილი: საისტორიო და ფილოსოფიური.

საისტორიო პროზა, თავის მხრივ, ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდებოდა: ეს იყო ადგილობრივი ქრონიკები, გადმოცემები ქალაქთა დაარსების შესახებ, გენეალოგიები, რომლებიც ახლოს იდგნენ ჰესიოდეს პოემებთან, და ნაწარმოებები, რომელთაც ნახევრად გეოგრაფიული ხასიათი ჰქონდა და უცხო ქვეყნებისა და ხალხების აღწერას შეიცავდნენ.

უძველეს ბერძენ ისტორიკოსთა წინამორბედებს, რომლებიც, განსხვავებით ძველი პოეტებისაგან (ჰომეროსი, ჰესიოდე), პროზით წერდნენ, ისტორიოგრაფიაში, ჩვეულებრივ, ლოგოგრაფოსებს უწოდებდნენ. ეს ტერმინი პირველად თუკიდიდემ იხმარა ისტორიულ თემებზე მომუშავე იმ პროზაიკოსების მიმართ, რომლებიც მას წინ უსწრებდნენ, მაგრამ ნდობას კი ძალიან ნაკლებად იმსახურებდნენ. იგი წერს: „ლოგოგრაფოსები მოგვითხრობენ უფრო კეთილსმენისათვის, ვიდრე ჭეშ-

მარიტებისათვის, ისეთ ამბებს, რომლებიც არ არის დამოწმებული და დროთა განმავლობაში დაუჯერებელი და ზღაპრული გახდა".

ისტორიოგრაფიაში ეს ტერმინი ჰეროდოტეს წინადროინდელი და ნაწილობრივ მისი თანამედროვე, ისტორიულ თემებზე მომუშავე პროზაიკოსების აღსანიშნავად XIX ს. დასაწყისში ფ. კროიცერმა შემოიღო.

ლოგოგრაფოსთა თხზულებები ჩვენამდე მოღწეულია მერმინდელ მწერალთა ნაშრომებში დაცულ ცალკეულ ფრაგმენტთა სახით. ეს ფრაგმენტები ყოველთვის ზუსტ ციტატებს, რასაკვირველია, არ წარმოადგენს და უმეტესწილად მხოლოდ საერთო აზრის მიახლოებით გადმოცემას შეიცავს. ლოგოგრაფოსთა ნაშრომების ასეთი ფრაგმენტული მდგომარეობა ერთგვარად აძნელებს მათ შესახებ ზუსტი წარმოდგენის შექმნას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ფრაგმენტები, იმ მწერალთა დახასიათებებთან ერთად, რომელთაც ხელთ ჰქონიათ ეს უძველესი ისტორიული შრომები, მაინც გვაძლევენ საშუალებას, შევაფასოთ ლოგოგრაფოსთა მოღვაწეობა.

ლოგოგრაფოსთა თხზულებები ისტორიულ-მითოლოგიური და გეოგრაფიული შინაარსისაა და შეიცავენ ადგილობრივ ქრონიკებს, თქმულებებს ქალაქთა დაარსების შესახებ, გმირთა და ბერძნულ არისტოკრატიულ გვართა გენეალოგიებს და დედამიწის აღწერილობას. ეს ნაწარმოებები თავისი თემატიკით ჯერ კიდევ საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველ პოეტურ, ეპიკურ თხზულებებთან.

ეპოსი, ე. ი. ზეპირი ხალხური გადმოცემები, ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს ლოგოგრაფოსებისათვის, საიდანაც იღებენ ისინი თემატიკას. ამიტომ არის, რომ მითებსა და ლეგენდებს დიდი ადგილი უჭირავთ ლოგოგრაფოსთა ნაწარმოებებში. ლოგოგრაფოსები ვერ ახერხებდნენ მითისა და სინამდვილის გარჩევას, ისინი ზღაპრულ გადმოცემებს აღიქვამდნენ როგორც ჭეშმარიტ ისტორიულ ფაქტებს, მხოლოდ ცდილობდნენ მათ გაწმენდას მითიური სამოსლისაგან.

როგორც ლიტერატურის სხვა ჟანრები, უძველესი საისტორიო პროზაც არისტოკრატიის ინტერესებს ემსახურებოდა, ამ მიზნით იწერებოდა გენეალოგიური შინაარსის ნაწარმოებები, რომლებშიც ლოგოგრაფოსები ამ გვარების ძველ ლეგენდარულ გმირებთან დაკავშირებას ცდილობდნენ. ცხადია, არც ამ ხასიათის ნაწარმოებები შეიძლება ისტორიულად სანდოდ იყოს მიჩნეული.

მაგრამ, ამის პარალელურად, ლოგოგრაფოსთა ნაშრომებში უკვე ვხვდებით ისეთ ელემენტებს, რომლებიც მათ სწორედ ისტორიკოსებთან აახლოებს. ესაა, პრიმიტიული კრიტიკის ჩანასახები მათ კვლევაში, საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა როგორც ბერძნული მიწა-წყლისა, ისე სხვა ქვეყნებისა, სხვადასხვა ტომებისა და მათი ზნე-ჩვეულებებისა, აღწერილობის დროს მითოლოგიური მასალისა და ლეგენდაგადმოცემების გვერდით, მოგზაურთა ცნობების და პირადი დაკვირვებების, ზოგჯერ კი — დოკუმენტური მასალების გამოყენება. ზოგიერთი ლოგოგრაფოსი, მაგალითად, იყენებს ქურუმთა სიებს, მოხელეთა ნუსხებს, წარწერებს და სხვ.

ლოგოგრაფოსთა თხზულებების ასეთი ორმაგი ხასიათი აძნელებს მათ მეცნიერულ გამოყენებას, მაგრამ მითოლოგიურ-ლეგენდარული სამოსლის ჩამოშორების შემდეგ, ცნობებისადმი მკაცრი კრიტიკული მიდგომით, ლოგოგრაფოსთა მონაცემებში უდავოდ ხერხდება ფრიად მნიშვნელოვანი რაციონალური მარცვლის მოძებნა.

ჩვენამდე მოღწეულია დაახლოებით 30 ლოგოგრაფოსის სახელი, მაგრამ უმეტესობის ნაწარმოებები მთლიანად დაკარგულია და მათ შესახებაც არაფერია ცნობილი.

1. კადმოსი. ანტიკური ტრადიციის თანახმად, პირველ ლოგოგრაფოსად ითვლება კადმოსი ქ. მილეტიდან, რომელიც ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარში ცხოვრობდა. ძველი ავტორები (ჰეროდოტე, არისტოტელე) მას მიაწერენ თხზულებას „მილეტის დაარსება", მაგრამ ამაში მაშინვე შეიტანეს ეჭვი.

2. სკილაქს კარიანდელი. უძველეს ლოგოგრაფოსთა რიცხვს ეკუთვნის ქ. კარიანდის მკვიდრი სკილაქსი. სკილაქს კარიანდელი ისტორიულად დამოწმებული პირია. იგი ძვ. წ. VI ს. დასასრულისა და V ს. დასაწყისის მოღვაწეა. სპარსეთის მეფის დარიოს I (522—486 წწ.) დავალებით სკილაქსი გაგზავნილი ყოფილა მდ. ჰინდის დინების შესასწავლად სათავეებიდან ზღვის შესართავამდე. ჰეროდოტე გვამცნობს ამის შესახებ: აზიის დიდი ნაწილი აღმოჩენილია დარიოსის მიერ; მას სურდა სცოდნოდა, სად ერთვოდა მდინარე ჰინდი ზღვას და ხომალდებით გაგზავნა კაცები, რომელთაც ენდობოდა; მათ შორის იყო სკილაქს კარიანდელიც.

30 თვე მონდომებია სკილაქსი მოგზაურობას. მდ. ჰინდის გავლის შემდეგ ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ სანაპიროთა გასწვრივ მეწამული ზღვის ჩრდილოეთ კიდემდე მიუღწევია. მოგზაურობის რეალუ-

რობას ამტკიცებს დარიოს I წარწერები, რომლებიც სუეცის ყელზეა აღმოჩენილი.

თავისი მოგზაურობის შედეგები სკილაქსს აღუწერია ნაშრომში, რომელსაც, ჰეროდოტეს ცნობით, რქმევია „პერიპლუსი", ე. ი. „ზღვით მოვლა ქვეყნებისა". ნაშრომში მას დაწვრილებით აღუნუსხავს ყველაფერი, რისი თვითმხილველიც ყოფილა „ჰერაკლეს სვეტებიდან" (გიბრალტარის სრუტე) დაწყებული ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვის მდ. ჰინდის ველის, ინდოეთის ოკეანის და მეწამული ზღვის ნაპირებით დამთავრებული. როგორც ჩანს, ინდოეთში მოგზაურობამდე სკილაქსს მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზშიც უმოგზაურია. უნდა ვიფიქროთ, რომ შორეულ მოგზაურობაში დარიოსის მიერ მისი გაგზავნა შემთხვევითი არ იყო და იგი იმ დროისათვის უკვე გამოცდილი მოგზაური და მკვლევარი უნდა ყოფილიყო. არისტოტელე, რომელსაც წაუკითხავს ეს ნაშრომი, გადმოგვცემს, რომ ავტორის მოთხრობა, გეოგრაფიულ აღწერილობათა გარდა, შეიცავდა იმ ოლქების მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების დახასიათებასაც, რომელიც მას მოუნახულებია. ზოგიერთ ადგილას არისტოტელე ასეთი სიტყვებით იმოწმებს სკილაქსს: „როგორც ამბობს სკილაქსი ინდების შესახებ დაწერილ წიგნში". ეს მითითება ეჭვს ბადებს, რომ, „პერიპლუსის" გარდა, სკილაქს კარიანდელს შეიძლებოდა ჰქონოდა ცალკე ნაშრომი ინდოეთის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეულია სამი ხელნაწერი, რომელიც დასათაურების მიხედვით თითქოს სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსს" შეიცავს. ეს „პერიპლუსი" სანაპიროთა აღწერას იწყებს გიბრალტარის სრუტიდან, მოჰყვება ევროპის სამხრეთ სანაპიროებს შავ ზღვამდე, შემდეგ შავი ზღვის ნაპირებს, აზიის დასავლეთ სანაპიროს, აფრიკის ჩრდილოეთ კიდეს და თავდება ისევ გიბრალტართან. ამრიგად, ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროები თანამიმდევრულად არის აღწერილი. მაგრამ, როგორც დღეს დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში, ეს „პერიპლუსი" ძვ. წ. IV საუკუნეში არის შედგენილი და ლოგოგრაფოს სკილაქსს არ შეიძლება ეკუთვნოდეს, ამიტომ მას ჩვეულებრივ „ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსს" უწოდებენ. მიუხედავად ამისა, ამ „პერიპლუსს" მაინც აქვს მნიშვნელობა სკილაქს კარიანდელის ნაშრომის რაობის გაგებისათვის. როგორც გამოკვლეულია მეცნიერთა მიერ (მანერტი, ედ. მაიერი, გიზინგერი, კისლინგი), ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის" ძირითად წყაროს, სა-

ხელმძღვანელო ნიმუშს ნამდვილი სკილაქსის ნაშრომი წარმოადგენდა და მას ამ უკანასკნელიდან მთელი პასაჟები გადმოუწერია. ფსევდო-სკილაქსის თხზულების და, კერძოდ, საკუთრივ სკილაქსისეული ნაწყვეტების შესწავლიდან ირკვევა, რომ სკილაქს კარიანდელი, გარდა წმინდა გეოგრაფიული ცნობებისა, გვაწვდის აგრეთვე ცნობებს საბანაპიროებთან მცხოვრებ ხალხთა და ტომთა, მათ ზოგიერთ ზნე-ჩვეულებათა და პოლიტიკური წყობის შესახებ, ქალაქების მნიშვნელობის დახასიათებას, მითითებას მათ წარმოშობაზე და სხვ. ამრიგად, სკილაქს კარიანდელის ცნობებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო მაშინდელი გეოგრაფიული ცოდნის გარკვევისათვის, არამედ მის მიერ აღწერილ მიდამოთა მოსახლეობის, კერძოდ, ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზთა მოსახლეობის ძველი ისტორიისთვისაც. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული.

3. ჰეკატე მილეტელი. ჰეროდოტეს წინამორბედთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ლოგოგრაფოსად ითვლება ჰეკატე. როგორც ჰეროდოტე, ერატოსთენე (სტრაბონთან) და ლექსიკოგრაფი სვიდა გადმოგვცემენ, ჰეკატე წარმოშობით ქ. მილეტიდან ყოფილა. მშობლიური ქალაქის ცხოვრებაში იგი აქტიურად მონაწილეობდა; კერძოდ, სპარსეთის წინააღმდეგ იონიის ქალაქების აჯანყების დროს, ჰეკატე აჯანყებულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა და საკმაო წინდახედულობა და პოლიტიკური ალღოც გამოუჩენია. ჰეროდოტეს ცნობით, ჰეკატე თავიდანვე ხედავდა იონიელთა სახმელეთო ძალების სისუსტეს და მოითხოვდა სპარსელებთან ბრძოლა ზღვაზე გადაეტანათ, ხოლო როდესაც ეს გეგმა არ განხორციელდა, იგი წინადადებას იძლეოდა გამოეყენებინათ ბრანქიდის აპოლონიოსის ტაძრის საჯურჯლენი. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს ჰეკატეს ფხიზელი გონება და პატრიოტული მისწრაფება.

ჰეკატე მილეტელის ცხოვრების თარიღის შესახებ ცნობები ძალზე მცირეა. მისი მონაწილეობა იონიელთა აჯანყებაში (ძვ. წ. 500 წ.) თავისთავად იძლევა მისი ცხოვრების ქრონოლოგიურ განსაზღვრას ძვ. წ. VI ს. დასასრულითა და V ს. დასაწყისით. აჯანყებაში ჰეკატეს ხელმძღვანელი როლი აშკარას ხდის, რომ იგი იმ დროისათვის უკვე საკმაოდ მოწიფული უნდა ყოფილიყო და ამდენად, მისი დაბადების თარიღი დაახლოებით ძვ. წ. VI ს. 30-იან წლებზე მოდის.

ჰეკატე მილეტელის სახელით ორი ნაწარმოებია ჩვენამდე მოღწეული: გეოგრაფიული ხასიათის „დედამიწის აღწერილობა“ და ისტორიული — „გენეალოგიები“.

„დედამიწის აღწერილობის“ ფრაგმენტების ანალიზი მისი დაწერის დათარიღების საშუალებას იძლევა; იგი დაახლოებით 512—476 წწ. შორის უნდა იყოს შედგენილი. რაც შეეხება „გენეალოგიებს“, ის უფრო გვიან, V ს. 70-იან წლებში ჩანს დაწერილი.

გეოგრაფოსის, აგათემერეს ცნობით, ჰეკატე „მრავალნამგზავრი კაცი“ ყოფილა. მისი ნაშრომის ფრაგმენტებიც მოწმობს ამას. დაბეჯითებით ვიცით, მაგალითად, ეგვიპტეში მისი მოგზაურობის შესახებ, მაგრამ „დედამიწის აღწერილობის“ ანალიზი საფუძველს გვაძლევს არანაკლები სარწმუნოობით ვამტკიცოთ მისი ყოფნა აზიაში და აზიის მომიჯნავე ევროპის ოლქებშიც.

ჰეკატეს „გენეალოგიები“ შეიცავდა საგმირო პერიოდის ლეგენდარულ ისტორიას, რომელიც შედგენილი იყო როგორც დევკალიონისა და სხვა მითიურ ეთნარქ-ეპონიმთა ჩამომავლობის გენეალოგია; ამასთან ერთად, მოთხრობილი იყო აგრეთვე მითები მოგზაურობებისა და საგმირო საქმეების შესახებ. „გენეალოგიები“ თავის შინაარსით ჯერ კიდევ მჭიდროდ არის დაკავშირებული მითოლოგიასთან, მაგრამ მასში უკვე ჩანს მოარული მითებისადმი ერთგვარი რაციონალისტური დამოკიდებულება და მათდამი კრიტიკული მიდგომის ელემენტები.

თავის „გენეალოგიების“ დასაწყისში ჰეკატე წერს: „მე ვწერ ისე, როგორც ჭეშმარიტად მიმაჩნია, რადგან ელინებს ბევრი მოთხრობა აქვთ, და როგორც ვფიქრობ, სასაცილო“.

ამრიგად, თვით ჰეკატე აცხადებს, რომ ბერძნებში გავრცელებული მოთხრობები (მითები) სასაცილოა და საჭიროა მათი სწორად ახსნა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მითებისადმი მას ხელს არ უშლიდა, თავისი წინაპრები ღვთაებისაგან წარმომავლად გამოეცხადებინა. მითებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებაც მეტად თავისებურია და პრიმიტიული: ჰეკატე აშორებს მითს იმ ელემენტებს, რომლებიც მისი აზრით დაუჯერებელია, მაგრამ ძირითად ამბავს ჭეშმარიტებად მიიჩნევს. ასე მაგალითად, არჩევს რა მითს მეფე ევრისთესთან საიქიოდან ჰერაკლეს მიერ კერბერის მოყვანის შესახებ, ჰეკატე დაუჯერებლად მიიჩნევს ჰერაკლეს მიერ ძაღლის მოყვანას, მაგრამ ჰერაკლესაც და ევრისთესაც ისტორიულ პირებად თვლის და აცხადებს, რომ ჰერაკლემ ევრისთეს შხამიანი გველი მიუყვანა, რო-

მელსაც „ჯოჯოხეთის ძაღლი“ უწოდეს, რადგან მისი ნაკბენი მაშინვე კლავდა.

ჰეკატეს კრიტიკა წმინდა სუბიექტური კრიტიკაა; კრიტერიუმად მისთვის არის დამაჯერებლობა, შესაძლებლობა, ბუნებრიობა; მაგრამ ეს პრინციპიც არათანამიმდევრულად ტარდება. მიუხედავად ამისა, ღმერთების, გმირებისა და ყოველგვარი ზებუნებრივისადმი იმ დროს გაბატონებული უსაზღვრო რწმენის პირობებში, ჰეკატეს შეხედულება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ბერძნული კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ჰეკატე მილეტელის მეორე ნაშრომი „დედამიწის აღწერილობა“.

ამ ნაშრომში ჰეკატე იძლევა მისთვის ცნობილი დედამიწის აღწერილობას, ტომების, დასახლებული პუნქტების, მდინარეებისა და ზღვების, მთებისა და ტბების ჩამოთვლას. გარდა წმინდა გეოგრაფიული აღწერისა, ჰეკატე გვაწვდის ცნობებს აგრეთვე ტომების ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების, ეთნიკური კუთვნილების შესახებ; აგვიწერს ჰავას, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს და სხვ. „დედამიწის აღწერილობაში“ ერთგვარად შერწყმულია გეოგრაფიული და ისტორიული მონაცემები და მას მნიშვნელობა აქვს როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული აზროვნების განვითარებისათვის.

ჰეკატეს ამ შრომიდან 301 ფრაგმენტია შემორჩენილი. მათი უმეტესობა დაცულია VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონში („ეთნიკა“), დანარჩენები სხვა მწერლებთან— ისტორიკოსებთან, სქოლიასტებსა და ლექსიკოგრაფებთან. ფრაგმენტების უმეტესობა მეტად მოკლეა. ამიტომ ძნელდება ჰეკატეს ზოგადი მსოფლმხედველობის გარკვევა, მაგრამ ამ ფრაგმენტებშივე დაცული მითითებისა და სხვა მწერალთა გამონათქვამთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ჰეკატეს შეხედულებათა მიასლოებითი დახასიათება.

ჰეკატე მილეტელი ე. წ. „იონური“ ან „მილეტური“ სკოლის მოაზროვნეებს ეკუთვნის. იონიაში შემუშავებული მატერიალისტურ-ათეისტური შეხედულებანი განაპირობებდა იონელთა შეხედულებას სამყაროს შესახებაც. იქ შეიქმნა პირველად თეორია სამყაროს გეოცენტრული სისტემისა და მსოფლიოს მარადიულობის შესახებ (ანაქსიმანდრე), მოძღვრება სამყაროს განვითარების ისტორიული პროცესის შესახებ (ჰერაკლიტე ეფესელი) და პირველი ფიზიკურ-გეოგრაფიული კონცეფციები.

ამავე შეხედულებას იზიარებს ჰეკატე მილეტელიც. ჰეკატე მილეტელს ნიმუშად აუღია ანაქსიმანდრეს მიერ შედგენილი რუკა და, როგორც გადმოგვცემენ, შეუვსია იგი დაწვრილებითი ცნობებით.

ჰეკატე მილეტელის მიერ შედგენილი რუკის ცენტრში მოთავსებული იყო ე. წ. „შიდა ზღვა" (ხმელთაშუა ზღვა), რომელიც ვიწრო სრუტით იყო დაკავშირებული „გარე ზღვასთან" (ოკეანესთან). რუკის ჩარჩო მრგვალი იყო, ჩარჩოს მოყვებოდა ოკეანე, რომელიც ყოველმხრივ ერტყმოდა სამი კონტინენტისაგან (ევროპა, აზია, ლიბია ანუ აფრიკა) შემდგარ დედამიწას. რუკის ჰორიზონტალური ღერძი გადიოდა საკმაოდ ზუსტად გამოთვლილ გიბრალტარ-როდოსის პარალელზე. ჰეროდოტე ასე ახასიათებს ჰეკატეს რუკას: „ოკეანე გარს უვლის დედამიწას, ამასთან მიწა ისეა წარმოდგენილი, თითქოს ფარგლით იყოს შემოხაზული; აზია გამოსახულია ევროპის ტოლად".

რუკა ჰეკატეს გეოგრაფიული შრომის პირველ ნაწილს წარმოადგენდა. ხოლო ის ნაშრომი, რომლის ფრაგმენტებმა ჩვენამდე მოაღწია, იყო ამ რუკისადმი დართული აღწერილობა.

ჰეკატე თანმიმდევრობით იწყებს გიბრალტარის სრუტიდან ხმელთაშუა და შავი ზღვების ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების აღწერას, შემდეგ გადადის შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე, მერე მცირე აზიის სანაპიროსთან მდებარე ქვეყნებსა და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს აღწერს და კვლავ გიბრალტარს უბრუნდება. როგორც ვარაუდობენ, ჰეკატე გვაწვდიდა მანძილსაც მის მიერ აღწერილ ტომებსა და გეოგრაფიულ პუნქტებს შორის, მაგრამ მისი ნაშრომის ამ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია.

საყურადღებოა ჰეკატეს მითითებანი ტომების ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ჰეკატე ტომთა ჩამოთვლისას პირველ რიგში მსხვილი ერთეულების — ხალხების ან ტომთა კავშირების დასახელებას იძლევა (თრაკიელები, ეგვიპტელები, სკვითები და სხვ.), ხოლო შემდეგ ასახელებს ამ მსხვილ ერთეულებისადმი კუთვნილ უფრო მცირე ეთნიკურ ჯგუფებს („მირგეტები, სკვითური ხალხი" და სხვ.).

ტომთა განსახლების გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს იმ ფრაგმენტებსაც, რომლებშიც მოხსენებულია გეოგრაფიული ობიექტები — ქალაქები, მდინარეები, მთები და სხვა, — ამა თუ იმ ტომის ტერიტორიაზე რომ მდებარეობენ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მითითებები საკმაოდ ზუსტია და გვეხმარებიან ტომების ლოკალიზაციაში. ზოგჯერ მითითება მეტად ზოგადია და ზუსტი დასკვნის საშუალებას არ იძ-

ლევა. ასე მაგალითად, „კატანები, ხალხი კასპიის ზღვასთან“ (ფრგ. 161), ან კიდევ: „დანდარიები, ხალხი კავკასიონთან“ (ფრგ. 169). ცხადია, ასეთი მონაცემები მხოლოდ მიახლოებითი განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ჰეკატეს ცნობების განსაზღვრისას, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ წყაროთა დადგენა, რომლებსაც ჰეკატე იყენებს თავის შრომის შედგენისას.

პირველ რიგში, ჰეკატეს საკუთარი დაკვირვება უნდა დაედო თავისი შრომის საფუძვლად. როგორც აღვნიშნეთ, ჰეკატეს ბევრი უმოგზაურია. კერძოდ, ფიქრობენ, რომ აზიის უმეტესი ნაწილი, უფრო ზუსტად, მცირე აზია, მას თვითონ უნდა დაეთვალიერებინა, ისევე როგორც ეგვიპტე, ირანის ზეგანი და ზოგიერთი სხვა ადგილი. ასევე საკმაოდ ზუსტია მისი ცნობები ბალკანეთის ნახევარკუნძულის შესახებ, უფრო დასავლეთით კი მას, როგორც ჩანს, არ უნდა ემოგზაურა, რადგან აქ მისი აღწერილობა მეტად სქემატურია და ზერელე.

საკუთარი დაკვირვებების გარდა, ჰეკატე იყენებს მოგზაურთა მოთხრობებს, ზღვის სანაპიროთა აღწერილობებს (პერიპლუსებს) და ქვეყნების აღწერას (პერიეგესებს). ერთ-ერთი ძირითადი წყარო მისთვის იყო ანაქსიმანდრე (610—545), მსოფლიო რუკის პირველი შემდგენელი.

ჰეკატე მილეტელი თავისი დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო. სტრაბონი ჰეკატეს ახსენებს თალესის, ანაქსიმანდრეს და ანაქსიმენეს გვერდით.

ჰეკატეს დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ე. წ. „აღწერილობით გეოგრაფიას“, თავის შრომაში შეიტანა ისტორიული კვლევის ელემენტები და ამდენად, გეოგრაფია და ისტორია შეუთანხმა ერთმანეთს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ჰეკატეს ნაშრომში პირველად ვსვდებით გადასვლას ადგილობრივი, ვიწრო-ლოკალური ამბების თხრობიდან მსოფლიო ისტორიაზე.

4. აკუსილაე არგოსელი. ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო აგრეთვე აკუსილაე. გადმოცემით, იგი იყო ქალაქ არგოსიდან, მაგრამ რომელიდან, ზუსტად დადგენილი არ არის. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იგი პელოპონესის ცნობილ ქალაქ არგოსიდან იყო, ხოლო სვიდას ლექსიკონით — ბეოტიის არგოსიდან.

აკუსილაეს ბიოგრაფია ჩვენთვის ზუსტად არ არის ცნობილი.

მეცნიერთა ნაწილი აკუსილაეს ცხოვრების ხანად ძვ. წ. VI ს. მეორე და მესამე მეოთხედს მიიჩნევს (575—525 წწ.), სხვები მას თვლიან ძვ. წ. V ს. მწერლად.

აკუსილაეს ნაშრომებიდან მოღწეულია სულ 31 მცირე ფრაგმენტი; ამიტომ სრული წარმოდგენის შექმნა მის ნაწარმოებთა რაობაზე მეტად ძნელია. აკუსილაე მჭიდროდ არის დაკავშირებული ეპოსთან. აქედან იღებს მთლიანად თავის თემატიკას, ოღონდ მას აძლევს პროზაულ-ისტორიულ სახეს. განსაკუთრებით ეტყობა ჰესიოდეს ეპიკური პოემების გავლენა. ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ აკუსილაეს ნაშრომი გენეალოგიურ-მითოლოგიურ ნაწარმოებს წარმოადგენდა, რომელშიაც მითური გადმოცემები აღიარებული იყო, როგორც ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტები. აკუსილაე თავის თხრობას ქვეყნის შექმნიდან იწყებდა; მისი წარმოდგენით, ჯერ ქაოსი იშვა, შემდეგ მიწა და მერე ეროსი. რა დრომდე მოაქვს აკუსილაეს ამბების გადმოცემა, ძნელი დასადგენია; სავარაუდოა, რომ მისი ნაწარმოები ტროას ომის ამბებით და ომის მონაწილეთა სამშობლოში დაბრუნებით წყდებოდა.

როგორც ერთადერთი შემორჩენილი ფრაგმენტიდან ირკვევა, სხვა მითებთან ერთად, აკუსილაეს დამუშავებული ჰქონია თქმულება „არგონავტების" შესახებ.

5. ქარონ ლამფსაკელი. ლოგოგრაფოსთა იმავე უფროს თაობას ეკუთვნის ქარონი. მისი მშობლიური ქალაქი ლამფსაკი ჰელესპონტის სანაპიროზე მდებარეობდა მცირე აზიაში. ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და V საუკუნის პირველ ნახევარში.

ძველი ტრადიცია ქარონს მრავალ სხვადასხვა ნაწარმოებს მიაწერს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მას ეკუთვნოდა მხოლოდ ორი ნაწარმოები. პირველია „სპარსეთის ისტორია". მასში ქარონი სპარსეთის ისტორიის თხრობას იწყებს მითური მეფის ნინოსის დროიდან და ამთავრებს მეფე არტაქსერქსეს ტახტზე ასვლის ახლო ხანებით (დაახლოებით 465 წლით). ქარონი აღწერს იმავე ამბებს, რაც გადმოცემული აქვს ჰეროდოტეს, ე. ი. ბერძენ-სპარსელთა ომებს. ქარონი უპირატესობას ანიჭებს ნამდვილ ისტორიას, მითურ ამბებთან შედარებით. ამით იგი ჰეროდოტეს უშუალო წინამორბედია.

ქარონს ეკუთვნის აგრეთვე „ლამფსაკის ქრონიკა", რომელშიც გადმოცემულია მისი მშობლიური ქალაქის დაარსების ამბავი და შემდგომი ისტორია, ვიდრე მის დრომდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქარონი პირველია ბერძნულ ისტორიოგრაფიაში, ვინც სწორად გაიგო მაგისტრატთა სიების მნიშვნელობა ქალაქების ისტორიის დადგენისათვის და მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის განსაზღვრისათვის. ამ ნაწარმოების რამდენიმე საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტია შემორჩენილი.

როგორც აღვნიშნეთ, ქარონი ყველაზე უფრო ახლო დგას ჰეროდოტესთან ლოგოგრაფოსთა შორის. იგი უმეტესად გადმოგვცემს ბერძენ-სპარსელთა ომის მოვლენებსა და აგრეთვე სხვა ისტორიულ ფაქტებს, რომელთა მომსწრე და თვითმხილველიც ყოფილა. მაგრამ ქარონი მთლიანად მაინც არ განთავისუფლებულა ძველი მითოლოგიურ-ეპიკური ამბების გავლენისაგან. მის შრომებში დიდი ადგილი უჭირავს გენეალოგიურ ლეგენდებსა და მითოლოგიურ თქმულებებს, რომელთაც ის ჭეშმარიტ ისტორიულ ფაქტებთან ერთ სიბრტყეში განიხილავს. ქარონი იჩენს დიდ მიდრეკილებას წინასწარმეტყველებებისადმი, სხვადასხვა ანეკდოტებისა და ნახევრადისტორიული გადმოცემებისადმი. ასეთი მიდრეკილება ჰეროდოტესაც ახასიათებდა. მაგრამ უკანასკნელი განუზომლად მაღლა დგას ქარონზე ისტორიული ფაქტების გაგების, მათ მიზეზობრივ ურთიერთკავშირებსა და მასალისადმი კრიტიკულ მიდგომაში. ქარონი კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების მშრალი ჩამოთვლით, მათი ყოველგვარი გააზრებისა და ერთმანეთთან დაკავშირების გარეშე. ამდენად, ქარონი ისტორიას კი არ წერს, არამედ ქრონიკას. მისი თხრობის მანერაც ძალზე უსისტემოა, წინადადებები ხშირად ერთმანეთთან აზრობრივად არც არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, „ლამფსაკის ქრონიკის" ნაწყვეტები ბალიან საინტერესოდ იკითხება.

6. ფერეკიდე ლეროსელი (ათენელი). ლოგოგრაფოსთა შორის ასახელებენ აგრეთვე ფერეკიდესაც. ძველად რამდენიმე ფერეკიდე იყო ცნობილი (სიროსელი, ლეროსელი და ათენელი). როგორც სპეციალურმა გამოკვლევებმა ცხადყო, ორი უკანასკნელი ერთი და იგივე პიროვნებაა; ხოლო ორგვარი სახელდება გამოწვეულია იმით, რომ ფერეკიდე წარმოშობით ქ. ლეროსიდან ყოფილა, თავისი უმთავრესი ნაშრომები კი ათენში დაუწერია.

სვიდას მიხედვით, ფერეკიდეს რამდენიმე ნაშრომი დაუწერია: „ლეროსის შესახებ“, „იფიგენიას შესახებ“, „დიონისეს დღესასწაულთა შესახებ“ და სხვ. ფრაგმენტების ციტირებისას ასახელებენ სამ მთავარ ნაწარმოებს: „ისტორიებს“, „გენეალოგიებს“ და „მკვიდრი მოსახლენი (ტომები)“. რადგან, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იგივე ფრაგმენტი სხვადასხვა ავტორთან ხან ერთი სათაურით გვხვდება, ხან მეორეთი, მეცნიერები ფიქრობენ, რომ სამივე სათაური ერთი და იმავე ნაშრომის სახელწოდების ვარიანტია.

ევსევის ცნობით, ფერეკიდეს ცხოვრების „აყვავების“ თარიღს ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანები წარმოადგენს. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ფერეკიდე დაახლოებით 500—490 წწ. უნდა დაბადებულიყო. ამდენად, იგი ჰეროდოტეს თანამედროვედ გვევლინება. ფერეკიდეს გარდაცვალების თარიღი უცნობია.

ცნობები ფერეკიდეს ცხოვრების შესახებ არ შემონახულა, ხოლო ის მცირე ფრაგმენტები, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, აძნელებენ მისი ნაწარმოების სრულყოფილად დახასიათებასაც. ფრაგმენტების მიხედვით და სვიდას ცნობით, ირკვევა, რომ მისი „ისტორიები“ 10 წიგნად იყოფოდა, აქედან პირველ წიგნში ლაპარაკი იყო თეოგონიისა და გიგანტომაქიის შესახებ, მეორე წიგნში — პრომეთეს შესახებ; მესამე წიგნი ჰერაკლეს თავგადასავალთა აღწერას ეხებოდა, მეოთხე და მეხუთე წიგნში შესული იყო არგოსისა და კრეტის თქმულებები; მეექვსე, მეშვიდე და მერვე წიგნებში — ეოლიური თქმულებები და მოთხრობა არგონავტთა ლაშქრობის შესახებ; უკანასკნელი ორი წიგნი არკადულ, ლაკონურ და ატიკურ ლეგენდებს შეიცავდა.

ამრიგად, ფერეკიდეს შრომის ძირითად თემატიკას, აკუსილაეს მსგავსად, მითოლოგიური მასალა შეადგენდა. ამ მითებსა და ლეგენდებს ფერეკიდე გადმოგვცემს როგორც ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს.

შემორჩენილი ფრაგმენტები არ სცილდება პელოპონესში დორიელების შემოჭრისა და ელინების მცირე აზიაში დამკვიდრება-განსახლების ხანას. ამ ამბების შესახებ მოგვითხრობენ რიგი ფრაგმენტებისა, მაგალითად, ფრაგმენტი 110, 111, 112 და სხვა. ფერეკიდეს ჰქონია ცნობები იონიის თავდაპირველი მოსახლეობის — კარიელებისა და ლელეგების შესახებ, რომლებიც იქ მისულ ბერძნებს გაუდევნიათ (ფრგ. 111), აგრეთვე ქალაქ ტეოსის დაფუძნების შესახებ (ფრგ. 112) და სხვ.

ძიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები მითურ-ლეგენდარულ მასალაზე დაყრდნობითაა აღწერილი, მათ მაინც აქვთ გარკვეული მნიშვნელობა ბერძენთა უძველესი საკოლონიზაციო მოძრაობის შესწავლისათვის, იმ ტრადიციის გარკვევისათვის, რომელიც მითებსა და ლეგენდებში აისახა.

ფერეკიდეს დამსახურება ის არის, რომ იგი არ მისდევს ლეგენდების ალეგორიულ განმარტებას, ჰეკატეს ან ჰეროდოტეს მსგავსად, არამედ კმაყოფილდება მათი უბრალო გადმოცემით. მისი თხრობის სტილი მეტად სადაა, ბუნებრივი, ლაკონიური; დიალექტი, რომელზედაც წერს — იონიურია, მაგრამ ატიკური ფორმების უხვი შენარევით. მომდევნო ხანის მწერლები ხშირად ახდენენ მის ციტირებას.

7. ჰეროდორე ჰერაკლეელი ძვ. წ. 400 წლის ახლოს უნდა დაბადებულიყო, ან ცოტა უფრო ადრე. არისტოტელე მას „მითოლოგოსს" უწოდებს, რაც მისი ნაწარმოებების შინაარსსა და დამახასიათებელ მხარეზე მიუთითებს. ჰეროდორეს ბიოგრაფია უცნობია, ხოლო მისი მოღვაწეობის დახასიათება მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით.

ანტიკური ტრადიცია (არისტოტელე, პოლიბიოსი, პლუტარქე და სხვ.) მიაწერს მას ორ პროზაულ თხზულებას: „ჰერაკლეს შესახებ" და „არგონავტების შესახებ".

ამ ორი ნაწარმოებიდან პირველი უკეთ არის შემორჩენილი. რაც შეეხება მეორეს, მეცნიერთა ნაწილს ეჭვიც კი შეაქვს ასეთი ნაწარმოების არსებობაში. ფიქრობენ, რომ არგონავტების ლაშქრობის აღწერილობა „ჰერაკლეს შესახებ" ნაშრომის ნაწილს წარმოადგენდა.

თქმულება ჰერაკლეზე ჰეროდორეს დროისათვის უკვე კარგად იყო ლიტერატურულად დამუშავებული არა მარტო პოეტურ ნაწარმოებებში, არამედ პროზაშიც. სახელდობრ, თქმულება ჰერაკლეზე ჰეკატე მილეტელის „დედამიწის აღწერაში" და „გენეალოგიაში" შეიდა. ამ უკანასკნელის გამოყენება ჰეროდორეს მიერ ეჭვს გარეშეა.

ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტები ცხადყოფენ, რომ ჰეროდორე ჰერაკლეელი თავისებურად უდგება მითოლოგიურ ტრადიციას. მიიჩნევს რა ჰერაკლესა და სხვა გმირებს ნამდვილ ისტორიულ პიროვნებებად, მითოგრაფი ცდილობს რეალური საფუძველი მოუძებნოს მათ ცხოვრებასა და საქმიანობას. ეს იწვევს მითების გარკვეულ რაციონალიზაციას, გმირებისათვის მეტი ადამიანური თვისებების მინიჭებას, მათ მოქცევას რეალურ გეოგრაფიულ და საზოგადოებრივ გარე-

მოცვაში და სხვ. ჰეროდორე მიზნად ისახავს თავისი გმირების, კერძოდ, ჰერაკლეს ცხოვრების ზუსტ დათარიღებას და ეკამათება სხვა მწერლებს იმაში, რომ ჰერაკლე ნამდვილად იყო თეზევსის თანამედროვე და არგონავტების ლაშქრობაშიც მიიღო მონაწილეობაო.

პრომეთეს მითმაც გარკვეული რაციონალიზაცია განიცადა ჰეროდორეს ნაწარმოებებში: იგი სკვითების მეფედ იქნა გამოცხადებული, ქვეშევრდომებმა იგი ცუდი მმართველობის გამო შებორკეს; ჰეროდორეს აზრით, სკვითებში არსებობდა მდინარე, რომელიც პრომეთეს ქვეშევრდომთა სარჩოს ანადგურებდა; ჰერაკლეს ამ მდინარისათვის კალაპოტი შეუცვლია და ამით გაუთავისუფლებია პრომეთე. ეს დაედო საფუძვლად თქმულებას არწივის შესახებ, რომელიც პრომეთეს ღვიძლს კორტნიდა.

მითური გმირებისათვის რეალური გეოგრაფიული გარემოს შესაქმნელად, ჰეროდორე დაწვრილებით აღწერს იმ მხარეებს, რომელშიც მისი აზრით, ეს გმირები მოქმედებენ. ეს ხოროგრაფიული ცნობები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ეს აღწერილობა ხშირად ლეგენდარულ ცნობებს ემყარება, მასში მაინც არეკლილია ბერძენთა იმდროინდელი შეხედულება დედამიწაზე, მათი ცოდნა მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების შესახებ.

8. ჰელანიკე მიტილენელი დროის მიხედვით უკანასკნელ ლოგოგრაფოსად ითვლება. მისი ცხოვრების თარიღის შესახებ არსებობს რამდენიმე ძველი ცნობა, მაგრამ ისინი იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ დღემდე ვერ ხერხდება მათი ერთმანეთთან შეთანხმება.

იმპერატორ ნერონის თანამედროვე სწავლული ქალის პამფილას ცნობით, პელოპონესის ომის დასაწყისისათვის, ე. ი. ძვ. წ. 431 წლისათვის ჰელანიკე 65 წლისა ყოფილა. ევრიპიდეს ბიოგრაფიის მიხედვით კი ჰელანიკე ევრიპიდესთან ერთად სალამანის ბრძოლის დღეს დაიბადა, ე. ი. ძვ. წ. 480 წელს. ცნობილი ბერძენი კომედიოგრაფის არისტოფანეს კომედიის „ბაყაყების“ სქოლიოდან ჩანს, რომ ჰელანიკე მიტილენელს ძვ. წ. 407—406 წლების ამბები აუწერია, ხოლო პამფილას და ფსევდო-ლუკიანეს მონაცემთა ურთიერთშეჯერების შედეგად გამოდის, რომ ის 411—410 წლებში უნდა გარდაცვლილიყო.

ჰელანიკეს ცხოვრების შესახებ ჩვენ ფაქტობრივად არაფერი ვიცით. რაც შეეხება მის მოღვაწეობას, იგი მეტად ნაყოფიერი და საკმაოდ საინტერესო ყოფილა. ცნობილი ბერძენი გეოგრაფი ერატოსთენე

მას „მრავალისმეტყველ კაცს“ უწოდებს, რაც უნდა გულისხმობდეს მის მიერ დაწერილ შრომათა მრავალრიცხოვნებას. მართლაც, მისი სახელით ცნობილია გენეალოგიური, ხოროგრაფიული და ქრონოლოგიური ნაშრომების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ჰელანიკე, ისევე როგორც მისი წინამორბედები, უფრო მეტად ლეგენდარული ისტორიით იყო დაინტერესებული, ვიდრე მისი თანამედროვე ამბებით. ცალკეული ქვეყნების ისტორიას ჰელანიკე გადმოგვცემს ჩვეულებრივ, ამა თუ იმ გმირის შთამომავლობის გენეალოგიურ ჩარჩოში. ასე მაგალითად, „ფორონევსის ისტორია“ არის არგოსის ისტორია, რამდენადაც ფორონევსმა (არგოსის მითურმა მეფემ), გადმოცემის თანახმად, ასწავლა არგოსელებს მიწათმოქმედება და ცეცხლის გამოყენება, დააწესა არგოსში ქალღმერთ ჰერას კულტი. „დევკალიონის ისტორია“ არის თესალიის ისტორია, აღწერილი დევკალიონის შთამომავლობის მიხედვით[1]. „ტროას ამბებში“ მოთხრობილია ტროას ომის ისტორია და ა. შ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ნაწარმოებიდან მოაქვს დიონისე ჰალიკარნასელს (ძვ. წ. I ს. მწერალი) მოთხრობა ლეგენდარული ენეასის ტროადან იტალიაში გაქცევის შესახებ და შემდეგ უკავშირებს მას ლეგენდას რომის დაარსების შესახებ.

მეცნიერული ინტერესი ამ მითოგრაფიული თხზულებებისადმი გამოწვეულია იმით, რომ, მიუხედავად ლეგენდარულ-მითოლოგიური გარემოსი, მათში მიიკვლევა რაციონალური მარცვალი საბერძნეთში მოსახლე უძველესი ტომების შესახებ.

ქრონოლოგიური ხასიათის ნაწარმოებებს ეკუთვნის ე. წ. „კარნეიონის გამარჯვებები“ და „ჰერას ქურუმი ქალები“.

პირველში მოთხრობილია კარნეიონის დღესასწაულზე (საერთოდორიული დღესასწაული აპოლონიოსის პატივსაცემად, რომელიც თავისებური სამხედრო ვარჯიშების ხასიათს ატარებდა) გამარჯვებულთა შესახებ და მოცემულია მათი ნუსხა. მეორე ნაწარმოებში მატიანეს ფორმით გადმოცემული იყო ელადის ისტორია. ქრონოლოგი-

---

[1] დევკალიონი იყო, ლეგენდების მიხედვით, თესალიის ქალაქ ფთიის მეფე, პრომეთეს ვაჟი. როდესაც ზეუსმა გადაწყვიტა ადამიანთა მოდგმის დაღუპვა, დევკალიონი და მისი მეუღლე პირა პრომეთეს დახმარებით გადაურჩნენ წარღვნას და შემდეგ მათგან წამოვიდა ადამიანთა ახალი მოდგმა, ფიქრობენ, რომ მითი დევკალიონის შესახებ აღმოსავლური წარმოშობისა უნდა იყოს.

ის საფუძველად აღებული იყო არგოსში ჰერას ტაძრის ქურუმ ქალთა სახელები, რომელთა მიხედვით აღინიშნებოდა თითოეული წელი.

ჰელანიკე მიტილენელმა შეაგროვა და სისტემაში მოიყვანა საბერძნეთის მითური ისტორიის უზარმაზარი მასალა. იგი იყო ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი ბერძენთა შორის, ვინც მითური ამბები დაამუშავა მათდამი სრული, შეულახავი რწმენისა და მათი ნამდვილად ისტორიულობის აღიარების საფუძველზე. ამასთან ერთად, მან პირველმა სცადა სისტემატური ისტორია მიეცა მთელი საბერძნეთისათვის, შეეერთებინა ერთ მთლიან მოთხრობად, ერთმანეთთან შეეთანხმებინა სხვადასხვა რიგისა და მიმართულების ლეგენდები და ტრადიციები.

ისტორიკოსისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ჰელანიკე მიტინელის ნაშრომთა უკანასკნელი ჯგუფი — ხოროგრაფიული ნაწარმოებები. ასეთია „ეოლიის ისტორია", „სპარსეთის ისტორია", „ატიკის ისტორია" და სხვ.

ამ ნაწარმოებებში მოცემული იყო ცალკეული ბერძნული ქალაქების დაარსების ისტორია და მათი თავგადასავალი უძველესი დროიდან ავტორის ხანამდე, აგრეთვე ცალკეული ბერძნული ოლქების ისტორია („ეოლიის ისტორია") და ზოგიერთი სხვა ქვეყნის (მაგალითად, სპარსეთის) ისტორია.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჰელანიკეს ნაშრომი „ატიკის ისტორია". ეს პირველი ნაწარმოებია ბერძნულ ისტორიოგრაფიაში საბერძნეთის ამ უმთავრესი ოლქის შესახებ.

ფრაგმენტებში ჩვენ გვხვდება ჰელანიკეს შრომის კიდევ რამდენიმე დასახელება, მაგალითად, „ტომების შესახებ" და სხვ.

ამჟამად ძნელია იმის დადგენა, ყველა ეს სახელწოდება ცალკე ნაწარმოების სათაური იყო, თუ ერთი შრომის ცალკეული თავებისა. შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ჰელანიკე მითოგრაფად რჩება, მის ერთ-ერთ ძირითად წყაროს კვლავ მითები და ლეგენდები წარმოადგენენ, მაგრამ ამავე დროს ამ ნაშრომში მოიძებნება გარკვეული ცნობები ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისა, რომელნიც სათანადოდ გაწმენდილი და შეჯერებულ-შემოწმებულნი გვაძლევენ, ცალკეულ შემთხვევაში, საკმაოდ საინტერესო ფაქტებს.

საკუთარი დაკვირვებები ამ შრომაში ნაკლებია იმ ფრაგმენტებში, რომლებშიაც აზიისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ქვეყნების შესახებაა ცნობები. ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგან, როგორც ირკვევა, ჰე-

ლანიკეს ამ ქვეყნების შესწავლის მიზნით სპეციალურად არ უმოგზაურია. დასავლეთი ჰელანიკესთვის უკეთ უნდა ყოფილიყო ცნობილი. მისი ფრაგმენტები იტალიის, სიცილიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს ისეთი დაწვრილებითი აღწერაა, რაც გვავარაუდებინებს, რომ ამ ადგილთა აღმწერი მათი თვითმხილველია.

როგორც დავინახეთ, ლოგოგრაფოსებისათვის დამახასიათებელია საკმაოდ მჯიდრო კავშირი მითოლოგიურ მასალასთან. ისინი ცდილობენ მითები წარმოიდგინონ როგორც ჭეშმარიტი ისტორია, მოაშორონ მათ ყოველივე სასწაულმოქმედი, არაბუნებრივი, აშკარად დაუჯერებელი და მოახდინონ ლეგენდების რაციონალიზაცია. ამავე დროს ზოგიერთ მათგანთან შეინიშნება ისტორიული კრიტიკის ჩანასახებიც.

მაგრამ აქ ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ლოგოგრაფოსების მიერ ნახმარმა სიტყვამ „ჭეშმარიტება", რადგან ისინი ამ ცნებაში ისეთ რამეს გულისხმობენ, რაც ახლა ჩვენთვის მიუღებელია. მაგალითად, იმავე ჰეკატეს ჭეშმარიტება ჰგონია, რომ თექვსმეტი თაობის წინ მისი გვარის წინაპარი ღმერთი იყო. საინტერესოა ის, რომ ელინთა ბევრი ოქმულება მას სასაცილოდ მიაჩნია, რაც შეიძლება ჩვენ ისტორიული კრიტიკის ჩანასახად მივიჩნიოთ, რადგან ისინი მას სასაცილოდ მიაჩნია ისტორიულ სინამდვილესთან მათი შეუსაბამობის გამო.

ერთი სიტყვით, ლოგოგრაფოსების პირველი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მათ მითები ნამდვილი ჰგონიათ.

მეორე ნაკლი ისაა, რომ მათი ნაწარმოებები უმთავრესად ასახავენ მათი ქალაქების თუ კუთხის ისტორიას (აქ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენენ იგივე ჰეკატე მილეტელი, ჰელანიკე მიტილენელი და ზოგიერთი სხვა), რის გამოც მათ მიერ გადმოცემული ამბები მეტად ლოკალურ ხასიათს ატარებს.

მესამე—ლოგოგრაფოსებს ნათლად არა აქვთ მოცემული თავიანთი ნაშრომის გენერალური ხაზი, რის ირგვლივაც მათ ნაწარმოებში გადმოცემული მასალა უნდა ტრიალებდეს. ამის გამო, მათი ნაშრომის ძირითადი იდეა ვერ იღებს გამოკვეთილ სახეს და მოტანილ ფაქტებს შორის ვერ იდება ლოგიკური ხიდი.

ამ ნაკლის მიუხედავად, ლოგოგრაფოსების ფრაგმენტული ცნობები ზოგ შემთხვევაში უნიკალურია და ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჰეროდოტე

ჰეროდოტეს ცხოვრების შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები მეტად მწირია. თვითონ ჰეროდოტე თავის თავზე ძალიან ცოტას გვაუწყებს, ხოლო ძველი დროიდან მომდინარე რამდენიმე ცნობა მის შესახებ, შემონახული დიონისე ჰალიკარნასელთან (ძვ. წ. I ს.), რომაელ ისტორიკოს ავლუს გელიუსთან (ახ. წ. II ს.) და ბიზანტიური ხანის ლექსიკოგრაფ სვიდასთან, დაუზუსტებელია. იგი აგრეთვე მოხსენებულია ზოგ სხვა მწერალთანაც.

დიონისე ჰალიკარნასელის თქმით: „ჰეროდოტე ჰალიკარნასელი დაიბადა სპარსელებთან ომის წინ და იცოცხლა პელოპონესის ომამდე".

ავლუს გელიუსი თავის „ატიკურ ღამეებში" აღნიშნავს, რომ პელოპონესის ომის დაწყების წინ ჰეროდოტე ორმოცდაათი წლისა იყო.

უცნობია აგრეთვე ჰეროდოტეს გარდაცვალების წელიც. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჰეროდოტეს შრომაში ამბავთა თხრობა თავდება ძვ. წ. 430 წლით[1]. საფიქრებელია, რომ ჰეროდოტე ძვ. წ. 430 წლის შემდეგ მალე უნდა გარდაცვლილიყო.

დღეს, ყველა ცნობისა და გარემოების გათვალისწინების საფუძველზე, მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ ჰეროდოტე დაბადებულია დაახლოებით ძვ. წ. 485 წ. და გარდაცვლილია ძვ. წ. 425 წლის მახლობელ ხანებში.

არც ჰეროდოტეს დაბადების ადგილია გარკვეული. მართალია, ჰეროდოტეს შრომა იწყება სიტყვებით, რომლებშიც იგი თავს ჰალიკარნასელს უწოდებს, მაგრამ როგორც მკვლევართა მიერაა დადგენილი, ანტიკურ ხანაში ჰეროდოტეს შრომაში „ჰალიკარნასელის" მაგივრ ეწერა „თურიელი" და შესწორება მხოლოდ შემდეგაა შეტანილი. „თურიელს" კი ჰეროდოტე თავის თავს იმის გამო უწოდებდა, რომ ის კარგა ხანს ცხოვრობდა ამ ქალაქში[2]. აქ უნდა დაესრულებინა მას თავისი შრომა.

ჰეროდოტე დაბადებული უნდა იყოს ჰალიკარნასში, ამაზე მეტყვე-

---

[1] უკანასკნელი ცნობა ეხება ათენელთა მიერ სპარტის ელჩების დახოცვას (VII, 137).

[2] ქალაქი სამხრეთ იტალიაში.

ლებს სტეფანე ბიზანტიელის მიერ შემონახული, ჰეროდოტეს საფლავის ქვაზე წარწერილი შემდეგი შინაარსის ეპიტაფია:

> აქა მდებარებს ლიკსის ძის ჰეროდოტეს ნეშტი.
> იყო საუკეთესო ისტორიკოსი იონიურ ენაზე მწერალთა შორის,
> აღიზარდა დორიულ სამშობლოში და შეურაცხყოფისათვის რომ
> თავი დაეღწია,
> მან თავის სამშობლოდ თურია გაიხადა.

„თავის დაღწევაში", ჰეროდოტეს ბიოგრაფიის ბევრი მკვლევრის აზრით, იგულისხმება ჰეროდოტეს მიერ ჰალიკარნასის დატოვება, რათა თავიდან აეცილებინა ის სასჯელი, რომელიც მას მოელოდა ჰალიკარნასში ტირან ლიგდამიდის დამხობის უშედეგო ცდაში მონაწილეობისათვის.

ძველი საბერძნეთის ისტორიის ცნობილმა ინგლისელმა მკვლევარმა ჯ. ტომსონმა 1949 წელს წამოაყენა მოსაზრება, რომ ჰეროდოტე შეიძლება კარიელი იყოსო. იგი წერს: „კარიაში ძირითადი ბერძნული ახალშენი ჰალიკარნასი იყო, ქალაქი, სადაც დაიბადა ჰეროდოტე. თვითონ ისტორიკოსი წარმოშობით ალბათ კარიელი იყო, რადგანაც მისი მამის და ბიძის სახელი, ლიკსი და პანიასისი არაბერძნულია". ჰალიკარნასი მდებარეობდა ეგეოსის ზღვის სანაპიროს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. გადმოცემის მიხედვით, იგი ძვ. წ. VII საუკუნეშია აღმოცენებული, როგორც დორიელთა კოლონია. დორიელებს აქ დახვედრიათ ადგილობრივი მოსახლეობა კარიელების სახით, რომლებიც შემდეგშიც ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ.

ჰალიკარნასიდან ლტოლვილი ჰეროდოტე დასახლებულა კ. სამოსზე. ამას ადასტურებს თვით მისი შრომის შინაარსი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი სამოსის ღირსშესანიშნავი ადგილები.

შემდეგში ჰეროდოტე დაბრუნებულა მშობლიურ ქალაქში, მაგრამ სვიდას ცნობით, იძულებული გამხდარა კვლავ მიეტოვებინა იგი, რადგანაც ქალაქელები ალმაცერად უყურებდნენ. სრულუფლებიან მოქალაქედ გახდომა ლტოლვილს შეეძლო მხოლოდ ელინთა კოლონიაში და ამიტომაც მან ქ. თურიას მიაშურა. ამიერიდან ეს ქალაქი შეიქნა ჰეროდოტეს მეორე სამშობლო. ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ რამდენ ხანს ცხოვრობდა ჰეროდოტე თურიაში. ერთხანს უცხოვრია აგრეთვე ათენში, სადაც მას საჯაროდ წაუკითხავს თავისი შრომის

ნაწილი. ათენში ყოფნის დროს ჰეროდოტე გასცნობია და დაახლოებია მრავალ წარჩინებულ ბერძენს.

ჰეროდოტეს სწავლის შესახებ არავითარი ძველი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ უდავოა, რომ იგი თავისი დროის დიდად განათლებული ადამიანი იყო. კერძოდ, იგი კარგად იცნობდა მაშინდელ ბერძნულ ეპოსსა და ლიტერატურას.

ჰეროდოტეს ბევრი უმოგზაურია. მას მოუვლია: ბაბილონი, ეგვიპტე, სკვითეთი, კოლხეთი, თრაკია, კირენა, ელადა (როგორც ხმელეთი, ისე კუნძულები), მცირე აზია, სამხრეთ იტალია[1].

რა თქმა უნდა, აღნიშნული ქვეყნების ყველა პუნქტში არ ყოფილა ჰეროდოტე და ზოგი მათგანის შესახებ მოუთხრობს მხოლოდ სხვისგან გაგონილს.

სავარაუდოა, რომ ამ მოგზაურობას, გარდა მეცნიერული მიზნებისა, პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა.

ჰეროდოტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანა მნიშვნელოვანი ჰერიოდი იყო როგორც ელინთა სამყაროს ცხოვრებაში, ისე მაშინდელი მსოფლიოს განვითარების საერთო პროცესში. ბერძენ-სპარსელთა ომები უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში განვითარებული — გეოგრაფიულად, ეთნიკურად და მატერიალურ-კულტურულად შემოსაზღვრული — ქვეყნები ესწრაფვიან თავიანთი ტერიტორიების გაფართოებას.

სპარსეთის დამარცხების შემდეგ გაიზარდა საქმიანი ურთიერთობა ელადისა გარე სამყაროსთან, უფრო ინტენსიური გახდა ბერძენთა მიმოსვლა და აღებ-მიცემობა, რასაც გზა გაუხსნა ათენის ფლოტის ზღვებზე გაბატონებამ.

ბერძენთა სისტემატურმა საქმიანმა კონტაქტმა გარე სამყაროსთან გაზარდა ბერძენთა მატერიალური დოვლათი და გაამდიდრა ელინური კულტურის საგანძური. ელინთა წინაშე წამოიჭრა სამყაროს სრულყოფილად აღქმის ამოცანა, გაიზარდა მსოფლიხედველობის ჰორიზონტი. საჭირო გახდა გარემოში გარკვევა, რაც ფართო ცოდნის მიღებით შეიძლებოდა. ამ ნიადაგზე გაიზარდა სხვადასხვა ქვეყნის

---

[1] ჩვენთვის საინტერესოა, რომ ჰეროდოტეს შემოუვლია კოლხეთი (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 5—7) და პონტოს სანაპირო, სადაც აგრეთვე ძველი ქართველი ტომები მოსახლეობდნენ.

შესწავლისა და მის შესახებ ცნობების თანამემამულეთათვის გაზიარების სურვილი.

მსგავსი ამოცანის შესრულება კი ლოგოგრაფოსების მიერ შექმნილ ლიტერატურულ ჟანრს არ შეეძლო. საჭირო იყო უფრო ფართო ხასიათისა და შინაარსის შრომა, რომელიც ადგილობრივი მასალით კი არ იქნებოდა შემოფარგლული, არამედ მოიცავდა ცნობებს როგორც ელინური, ისე ბარბაროსული სამყაროს შესახებ, რადგან ცხოვრების შემდგომი განვითარება უნდა წარმართულიყო ამ ორი სამყაროს გაცხოველებული საქმიანი ურთიერთობის საფუძველზე.

ამასთანავე, ელინებისათვის საჭირო იყო ცოდნა იმისა, თუ რა ბედი ეწიათ მათ მოძმეებს, რომლებიც მშობლიურ კერას მოწყდნენ და უცხო ქვეყნებს შეეხიზნენ კოლონისტების სახით.

ლოგოგრაფოსების შემდეგ, ისტორიოგრაფია უნდა დაინტერესებულიყო იმ თანამედროვე მოვლენებითა და ადამიანებით, რომელთა ირგვლივაც შეიძლებოდა უფრო უხვი და სანდო მასალის შეგროვება.

სამშობლოდან გადასახლებულმა ბერძნებმა (კოლონისტებმა) სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი რამე ნახეს, რამაც ისინი აიძულა, ერთი მხრივ, ელინური სამყაროსათვის დამახასიათებელი სინამდვილე გადაეფასებინათ და, მეორე მხრივ, გარე სამყაროში არსებული ვითარება კრიტიკულად შეესწავლათ. იონიაში, რომლის ცენტრსაც ქ. მილეტი წარმოადგენდა, შეიქმნა მეცნიერული მიმართულება, რომელიც ცდილობდა კრიტიკულად აეთვისებინა როგორც წარსული, ისე აწმყო.

რაციონალიზმის ნიადაგზე გაფერმკრთალდა მითოლოგიური მასალა და მას დაუპირისპირდა ცხოვრებიდან აღებული ამბების თხრობა. ეს იყო პირველი ნაბიჯი მითოლოგიური ტყვეობიდან განთავისუფლებისაკენ.

„ოლიმპიური მითოლოგიის კრიტიკის პარალელურად, იონიაში ვითარდება... თხრობითი ლიტერატურის ახალი სახეობანი, საღაც მითოლოგიურ თემატიკას ცვლის ისტორიული, ყოფა-ცხოვრებითი თემატიკა. იქმნება ლიტერატურული პროზა... ისტორიული მოთხრობა, ისტორიოგრაფია"[1]. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმასაც, რომ „...მეურნეობა, სახელმწიფო, ზნეობა, აღზრდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე გახდა საგანი პრაქტიკული განსჯისა და

---

[1] Проф. И. М. Тронский. История античной литературы. изд. 2-е, Л. 1951, стр. 74.

თეორიული აზროვნებისა"[1]. ყოველივე ამან ლოგოგრაფია ისტორიული მეცნიერების საწყისებამდე მიიყვანა. ამ მისიის შესრულება წილად ხვდა იონიელ ბერძენს ჰეროდოტე ჰალიკარნასელს, რომელსაც, არც თუ უსაფუძვლოდ, ციცერონმა „ისტორიის მამა" უწოდა.

ჰეროდოტეს შრომის საგანი გახდა ბერძენ-სპარსელთა ომები. ჰეროდოტე თავის შრომას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ დროთა ვითარებაში დავიწყებას არ უნდა მიეცეს ბერძნებსა და სპარსელებს შორის ომის მიზეზები (I—1).

ჰეროდოტეს თხზულებას ჩვენი დროის გამოცემებში სხვადასხვანაირად ასათაურებენ. ხან მას ეწოდება „ჰეროდოტეს ისტორია", ხან კი „ჰეროდოტეს მუზები". ეს სახელწოდებები თვით გამომცემლების მიერ არის მიკუთვნებული. რაც იმით აიხსნება, რომ ხელნაწერების უმრავლესობაში არ არის მოცემული თხზულების საერთო სათაური; მოიპოვება მხოლოდ ცალკეული ნაწილების სათაურები.

ჩვენამდე მოღწეულია ჰეროდოტეს ისტორიის რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგანაც უძველესი მეათე საუკუნისაა. მასში შრომის შინაარსი მთლიანად არის გადმოცემული. იგი დაცულია ლორენცოს მონასტრის ბიბლიოთეკაში, დაწერილია ეტრატზე და შეიცავს 376 ფურცელს[2].

არსებობს ჰეროდოტეს შრომის რამდენიმე კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემა; მათ შორის აღსანიშნავია შტაინის გამოცემა[3], რომელსაც ახლავს ვრცელი შესავალი, ტექსტის კომენტარები, შინაარსის ინტერპრეტაცია, აგრეთვე შრომაში მოხსენებული გეოგრაფიულ პუნქტთა და პირთა განმარტებები.

შემდგომ გამოცემებში მოცემულია ჰეროდოტეს შრომის სხვადასხვა ადგილის დაზუსტებისა და განმარტების ცდები. კამათი მკვლევართა შორის ამ მიმართულებით ჯერაც გრძელდება, რაც კარვად ჩანს ფ. ლეგრანის მიერ განხორციელებულ ჰეროდოტეს შრომის გამოცემაში.

გამომცემელმა ცვლილება შეიტანა ჰეროდოტეს შრომის ტრადიციულ ნაწილებად დაყოფაში და ცხრის მაგიერ, ათ ნაწილად დაყო.

---

[1] Проф. И. М. Троицкий, История античной литературы, изд. 2-е, Л., 1951, стр. 108.

[2] ჰეროდოტეს სახელს უკავშირებენ აგრეთვე მეორე შრომას „ცხოვრება ჰომეროსისა", მაგრამ თანამედროვე მეცნიერება ამას არ იზიარებს.

[3] პირველი გამოცემა განხორციელდა 1869—1871 წწ. მეექვსე,—1901 წ.

ალსანიშნავია, რომ ლეგრანს თავის გამოცემაში მოტანილი აქვს თხზულების ტექსტის სხვადასხვა დროის ბერძნული ვარიანტები და მოცემულია ზოგიერთის ახლებურად წაკითხვა.

მრავალ ენაზე და მრავალჯერ არის თარგმნილი ჰეროდოტეს თხზულება, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

ჰეროდოტეს შრომისადმი მეცნიერული ინტერესი ყოველთვის დიდი იყო და იგი დღესაც არ ამოწურულა; მისი შესწავლის პროცესში სულ ახალ-ახალი პრობლემები იჩენს თავს. ამან წარმოშვა ჰეროდოტეს თხზულების შესწავლა-განმარტებისადმი მიძღვნილი უხვი ლიტერატურა. როგორც ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში, ისე გამოცემებში, ჰეროდოტეს შრომა დაყოფილია ცხრა წიგნად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თავისი სახელწოდება.

როგორც დღეს მიღებულად ითვლება, ჰეროდოტეს შრომის ამგვარი დანაწილება და ცალკეული ნაწილებისათვის სახელის მიკუთვნება ალექსანდრიელ მეცნიერთა საქმეა. პირველი ცნობა ჰეროდოტეს შრომის ცხრა წიგნად დაყოფის შესახებ ეკუთვნის დიოდორე სიცილიელს. ხოლო მისი წიგნების სახელდება „მუზებად" პირველად ლუკიანესთან (ახ. წ. II ს.) გვხვდება.

ჰეროდოტეს შრომის ცხრა წიგნის მუზების სახელდება ასეთია: I. კლიო (ისტორიის მუზა); II. ევტერპე (ლირიკული პოეზიის მუზა, რომელსაც სალამურით ხელში გამოხატავდნენ); III. ტალია (კომედიის მფარველი მუზა); IV. მელპომენე (ტრაგედიის მფარველი მუზა, სცენური ხელოვნების სიმბოლო); V. ტერპსიქორე (ცეკვისა და გუნდური სიმღერის მფარველი მუზა); VI. ერატო (პოეზიის მფარველი მუზა); VII. პოლიმნია (ღვთაებრივი პოეზიის, ჰიმნების მფარველი მუზა); VIII. ურანია (ასტრონომიის მფარველი მუზა); IX. კალიოპე (მჭევრმეტყველების მფარველი მუზა).

შრომის თითოეული წიგნი, როგორც მაშინ უწოდებდნენ, წარმოადგენს გარკვეული შინაარსის მქონე ცალკეულ კარს, რომელსაც ახასიათებს შინაგანი მთლიანობა.

იმის გამო, რომ შრომაში, რომელსაც ჩვეულებრივ იხსენიებენ ჰეროდოტეს „ისტორიის" სახელწოდებით, თხრობის მთავარ საგანთან ერთად, ხშირად სხვა რამეზედაც არის საუბარი. ე. ი. შრომაში ხშირია ძირითადი თემიდან გადახვევის შემთხვევები, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს შრომა უგეგმოდ არის აგებული, შინაგანი შინაარსობრივი კავშირის გარეშე.

სინამდვილეში ეს ასე არ არის.

ჰეროდოტეს „ისტორიის“ შინაარსის გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ შრომა დაწერილია ავტორის მიერ გააზრებული გეგმის მიხედვით.

ჰეროდოტეს დროინდელი ელინიური სამყაროს მკითხველს აინტერესებდა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის —ბერძენ-სპარსელთა ომიანობასთან დაკავშირებული ვითარება-გარემოებანი. ჰეროდოტეც ხელს ჰკიდებს ამ ამბების თხრობას. იმის შესაბამისად, თუ როგორ მოიცავს ეს ომი ახალ-ახალ ტერიტორიებს, ჰეროდოტეს თანდათან შემოაქვს თავის თხრობაში გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სხვა ცნობები სხვადასხვა ქვეყნის შესახებ.

ამის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს მეცნიერთა დავა: ჰეროდოტე წინასწარ შემუშავებული, შრომის მთლიანი გეგმის მიხედვითა წერდა თუ ცალ-ცალკე დაამუშავა მისი ყოველი ნაწილი, ერთიანი შრომის შექმნის განზრახვის გარეშე და მხოლოდ შემდეგში გააერთიანა ეს ნაწილები ერთ შრომად, მათ შორის დამაკავშირებელი ადგილების ჩართვით.

თუ გავიზიარებთ ჰეროდოტეს შრომის აღმოცენებისა და მიზანდასახულობის ზემომოტანილ მოტივებს, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჰეროდოტეს შრომის ცალკეული ნაწილები, სათანადო მასალების მოპოვების დროისა და შესაძლებლობის შესაბამისად, ცალ-ცალკე მუშავდებოდა კონკრეტულ მასალაზე, მაგრამ შრომის მთლიანი კონცეფციისა და კომპოზიციის შესაფერისად.

სხვადასხვა ქვეყნის შესახებ მასალის განაწილება სათანადო წიგნების მიხედვით, იმას უნდა ადასტურებდეს, რომ ჰეროდოტე წერდა გეგმის მიხედვით. იგი მასალის გადმოცემას უფარდებდა თავისი შრომის მიზანდასახულობასა და კომპოზიციას.

ზოგი ფიქრობს, რომ ჰეროდოტეს შრომაში ეთნოგრაფიული და სხვა მისდაგვარი მასალა ძირითადს წარმოადგენს, ხოლო ბერძენ-სპარსელთა ომიანობის ფაქტები დამატებითს და შემდეგში მიმატებულს. ნამდვილად, ძირითადია თხრობა სწორედ ბერძენ-სპარსელთა ომიანობის შესახებ, ეთნოგრაფიული მასალა და სხვა ცნობები კი ამ თხრობის ნათელყოფას ემსახურება. განა ჰეროდოტე თვითონვე არ ამბობს, რომ თხზულების მიზანია: „ყველაზე მეტად ის, რომ არ იქნეს დავიწყებული მიზეზი, რომელმაც წარმოშვა ომი“ ბერძნებსა და სპარსელებს შორის.

სწორედ ეს მიზანდასახულობა, სწორედ ეს ისტორიული შინაარსის საწყისი ანიჭებს ჰეროდოტეს შრომას ისტორიული თხზულების ხასიათს. სწორედ ეს წარმოადგენს ძველ სამყაროში ისტორიის (ისტორიოგრაფიის) შექმნის პირველ საფეხურს.

ზემოაღნიშნულის დამადასტურებელია ჰეროდოტეს თხზულების მთელი შინაარსი.

პირველ წიგნში ჰეროდოტე მოგვითხრობს წინააღმდეგობასა და მტრობაზე ელინურ და ბარბაროსულ სამყაროს შორის, დაწყებული მითოლოგიური პერიოდიდან. აქ ჰეროდოტეს შემთხვევა ეძლევა, რომ სიტყვა ჩამოაგდოს, ერთი მხრივ, ლიდიის სამეფოზე, მეორე მხრივ, ათენსა და სპარტაზე და მოუთხრობს მკითხველს ამ მხარეების ისტორიას. შემდეგ იგი ჰყვება სპარსეთის მიერ ლიდიის სამეფოს დაპყრობასა და სპარსელთა ლაშქრობაზე მცირე აზიელი ელინების, ბაბილონელებისა და მასაგეტების წინააღმდეგ, სადაც გადმოცემულია ცნობები ამ ხალხებზე, მათ ზნე-ჩვეულებასა და სხვათა შესახებ.

მეორე წიგნი მოიცავს თხრობას კამბიზის მიერ ეგვიპტის დასაპყრობად წარმოებულ ლაშქრობაზე; აქვე მოცემულია ვრცელი ცნობები ეგვიპტეზე.

მესამე წიგნი მოგვითხრობს კამბიზის ლაშქრობის გაგრძელებას, ეგვიპტის დაპყრობას, კამბიზის სიკვდილსა და დარიოსის გამეფებაზე; ამ უკანასკნელის საშინაო და საგარეო მოღვაწეობაზე.

მეოთხე წიგნში დარიოსის სკვითებზე ლაშქრობას წინ უსწრებს შავი ზღვის ჩრდილოეთით მოსახლე ტომების — ყველაზე ვრცლად კი სკვითების — სამოსახლო ადგილების, ხალხისა და მათი ყოფაცხოვრების აღწერილობა. შემდეგ მოთხრობილია დარიოსის დროს სპარსელთა ლაშქრობაზე ელადაში.

მესუთე წიგნის დასაწყისში მოთხრობილია, დარიოსის მიერ თრაკიაში დატოვებული სპარსელი სარდლის მეგაბიზეს მიერ თრაკიის ზღვის სანაპირო ნაწილის დაპყრობაზე. აქვეა აღწერილი თრაკიელთა ზნე-ჩვეულებანი. ამ წიგნის უმეტესი ნაწილი ეძღვნება იონიელი ბერძნების აჯანყებასა და მათ ბრძოლას სპარსელთა წინააღმდეგ.

მეექვსე წიგნში ავტორი განაგრძობს თხრობას მცირეაზიელი ელინების ბრძოლაზე და მათ დამარცხებაზე, რასაც შედეგად ქ. მილეტის დანგრევა მოჰყვა. მერე მოთხრობილია, იონიის დამორჩილების

შემდეგ, დარიოსის მიერ ელინთა დასასჯელად მოწყობილ ორ დიდ ლაშქრობაზე, რომელთაგანაც პირველი, მარდონიოსის მეთაურობით, მიმართული იყო ერეტრეასა და ათენის წინააღმდეგ და სპარსელების მარცხით დამთავრდა; სოლო მეორე, დატისისა და არტაფერნის მეთაურობით, დამთავრდა მარათონის ცნობილი ბრძოლით, სადაც ათენელებმა მილტიადეს მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. შემდეგ მოთხრობილია საბერძნეთის ზოგიერთი შინაური ამბები.

მეშვიდე წიგნში, დარიოსის სიკვდილისა და ქსერქსეს გამეფებაზე ლაპარაკის შემდეგ, მოთხრობილია სპარსელთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოძრაობაზე ევროპასა და აზიაში, ამ ლაშქრობებში მონაწილე ხალხებსა და მათ შეიარაღებაზე. ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში მოსახლე ბერძნების ურთიერთშორის და კართაგენის წინააღმდეგ ბრძოლაზე. დაბოლოს, სპარსელთა ლაშქრობაზე: თრაკიაში, მაკედონიასა და თესალიაში. თხრობა თავდება თერმოპოლის ბრძოლის აღწერით.

მერვე წიგნში გადმოცემულია არტემისიასთან საზღვაო ბრძოლის, თერმოპოლის ბრძოლისა და სალამინთან ბრძოლის მიმდინარეობა და მათთან დაკავშირებული ვითარებანი. აღწერილია ქსერქსეს აზიაში დაბრუნება და მის მიერ თესალიაში დატოვებულ სარდალ მარდონიოსის ცდა გადაებირებინა ათენელები სპარსეთის მხარეზე.

მეცხრე წიგნის შინაარსია ბერძენ-სპარსელთა ომიანობის დასასრული ელადაში. თხრობის უმეტესი ნაწილი განეკუთვნება პლატეასა და მიკალესთან ბრძოლის ამბებს. ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული უკანასკნელი ფაქტია ბერძნების მიერ ქ. სეტის აღება ძვ. წ. 476 წ. ამით თავდება სპარსელთა მეორე ომი ელინებთან.

შემდეგ გადმოცემულია ამბავი იმის შესახებ, თუ კიროსი როგორ დაეთანხმა სპარსელებს, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ესარგებლათ მრავალ ხალხზე თავიანთი ბატონობით და გადასახლებულიყვნენ სხვა უკეთეს მხარეში. მაგრამ კიროსმა ამასთანავე დაურთო, რომ მაშინ სპარსელებს მოუხდებათ ხელი აიღონ ბატონობაზე და შეეგუონ მორჩილებას, რადგან მდიდარ ქვეყანაში ხალხიც განებივრებულია; ერთსა და იმავე ქვეყანას არ ძალუძს წარმოშვას ერთსა და იმავე დროს განსაცვიფრებელი ნაყოფიც და მამაცი მეომრებიც.

ასეთი თავისებური ცნობით, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს თხზულების შინაარსთან, მთავრდება ჰეროდოტეს „ისტორია“.

სწორედ ეს აფიქრებინებს მკვლევართ, რომ ავტორს თხზულება დაუმთავრებელი დარჩენია.

რა წყაროებითა და მასალით სარგებლობდა ჰეროდოტე? ამ კითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია, რადგან იმ დროს ავტორს შეეძლო სურვილისამებრ გამოეყენებინა ესა თუ ის წერილობითი წყარო, ან მასალა და არ მიეთითებინა, თუ საიდან სარგებლობდა. ჰეროდოტეს წყაროები ასეთია: ა) მოგზაურობის დროს შეგროვილი მასალა, ბ) სხვადასხვა პირთა მონათხრობის ჩანაწერები, გ) წერილობითი წყაროები. ჰეროდოტეს მიერ მოწვდილი ცნობების ღირებულებას განსაზღვრავს იმ წყაროს ღირსება, რომლითაც თვითონ ჰეროდოტე სარგებლობდა.

ჰეროდოტეს შრომაში შედარებით უფრო დამაჯერებელია ის მასალა, რომელიც მისთვის მახლობელი (მაგალითად საბერძნეთის შესახებ), ან ნაცნობი იყო და რომელზედაც მას თვითონ მიუწვდებოდა ხელი. ნაკლებ სანდოა ის მასალა, რომელიც ჰეროდოტესთვის უცნობი და შორეული სამყაროდან მომდინარეობდა და რომლის მოსახლეობის არც ენა იცოდა და არც მათ წარსულს, რელიგიას, კულტურას და ყოფა-ცხოვრებას იცნობდა.

გეოგრაფიული ცნობები ჰეროდოტეს თხზულებაში ძირითადად ემყარება თვით ავტორის მიერ უშუალოდ ნახულისა და დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მასალას. ჰეროდოტესთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ დარგის წერილობითი მასალაც. ჰეროდოტე იცნობდა მასზე ადრე შედგენილ გეოგრაფიულ რუკებს, რომლებზედაც თვითონვე მოგვითხრობს.

ზეპირი ისტორიული ცნობები დამყარებულია სხვადასხვა პირთა მონათხრობზე, როგორებიც იყვნენ: ქურუმები, თარჯიმნები, მეგზურები, ამა თუ იმ ამბის მომსწრენი და მნახველნი, ან მათი შთამომავალნი; ჰეროდოტეს მიერ გამოყენებულია აგრეთვე ხალხური თქმულებები, ლეგენდები, ანეკდოტები, წარსულში ჩადენილ გმირობათა შესახებ გადმოცემული ამბები და სხვა.

ჰეროდოტე თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი ყოფილა და თანამედროვე მწერლობას, ცხადია, კარგად იცნობდა.

ჰეროდოტეს შრომაში გამოყენებულია წერილობითი წყაროები:

ა) ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორც პოეტური, ისე პროზაული; ბ) ოფიციალური დოკუმენტები; გ) წარწერები; დ) ორაკულთა თქმები.

ჰეროდოტე თავის თხზულებაში არაერთხელ ახსენებს ჰომეროსსა და სხვა ბერძენ პოეტებს.

იგი უთუოდ იცნობდა ლოგოგრაფოსთა თხზულებებს, თუმცა მის შრომაში გამოყენებული ჩანს მხოლოდ ერთი მათგანი, სახელდობრ, ჰეკატე მილეტელი. ამ უკანასკნელს ჰეროდოტე ორჯერ პირდაპირ ასახელებს და მოაქვს მასალა მისი თხზულებიდან; სხვაგან კი ეკამათება მას ისე, რომ არ ასახელებს (11, 21, 143; IV, 36; VI, 137).

ჰეროდოტეს თანამედროვე ავტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ქარონ ლამპსაკელი, ჰელანიკე მიტილენელი, ქსანთოსი, რომელსაც დაუწერია ლიდიის ისტორია, დიონისე მილეტელი, კიროსის ისტორიის ავტორი.

ჰეროდოტეს უნდა გამოეყენებინა აგრეთვე ბრძენთა გამონათქვამების კრებულები, რომლებიც მაშინ ძალიან გავრცელებული იყო. ზოგიერთი ცნობა, როგორც ჩანს, მას მიღებული აქვს დოკუმენტური ხასიათის წერილობითი ძეგლებიდან. ასეთი უნდა იყოს ცნობები სპარსეთის სამეფოს სატრაპიებისა და მათზე განწესებული გადასახადების შესახებ, სარდედან სუზასაკენ მიმავალ სახელმწიფო გზის შესახებ (V, 52—53), ელადაზე მოლაშქრე ქსერქსეს ჯარის მონაწილე ხალხების სია (VI, 61), ლიდიის მეფის კრეზის მიერ დაპყრობილ მცირე აზიელ ხალხთა სია (1, 28) და სხვ.

ჰეროდოტეს გამოყენებული აქვს წარწერებიც და ზოგჯერ წარწერის ტექსტი სიტყვასიტყვით მოაქვს (V, 59). იგი ხშირად სარგებლობს ორაკულების, განსაკუთრებით კი დელფოსის ორაკულის გამონათქვამებით. იყენებს აგრეთვე ნივთიერ ძეგლებსაც.

ჰეროდოტეს თხზულება დაწერილია იონიურ დიალექტზე, მოფიქრებული გეგმის მიხედვით. ისტორიული ამბები გადმოცემულია მეტნაკლები თანამიმდევრობით.

ჰეროდოტეს სტილისათვის, პირველყოვლისა, დამახასიათებელია ის, რომ მის თხზულებაში შინაარსი შეთავსებულია მხატვრულ ფორმასთან. მან შეძლო გადმოეცა დამაჯერებელი ისტორიული სურათი, გაავლო რა ზღვარი (თუმცა სუსტი) ზღაპრულსა და წმინდა ისტორიულ ამბებს შორის. იგი ზღაპრული შინაარსის ამბებს მოუთხრობს შესაფერისი ფოლკლორული სტილით, ხოლო ისტორიული მასალის გადმოცემისას იყენებს ტრაგიკულსა და რიტორიკულ სტილს.

ჰეროდოტემ შექმნა პირველი ბერძნული დიდი მხატვრულ-პროზა-

ული თხზულება, რომელშიაც სერიოზული მეცნიერული შინაარსი შეთავსებულია მაღალმხატვრულობასთან. იგი განიცდიდა ჰომეროსის გავლენას, რამაც თავი იჩინა მისი სტილის თავისებურებაში.

აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტე, ამბავთა თხრობის დროს, ცდილობს სტილი დაუახლოვოს იმ ხალხის თავისებურებას, რომელზეც საუბრობს.

მან პირველმა შემოიღო ისტორიულ თხრობაში მოქმედ პირთა სიტყვებისა და დიალოგების ჩართვა, რომლებიც თვით მისი შეთხზულია, რადგან შორეულ წარსულში უცხო ადამიანებისაგან წარმოთქმული სიტყვები არ შეიძლებოდა მისთვის ცნობილი ყოფილიყო. მაგრამ ეს მას სჭირდება წარსულის ცოცხლად წარმოსადგენად. სამაგიეროდ, ამ სიტყვებში იგი თავის სახელით ხშირად ჩაურთავს ვრცელ ისტორიულსა და გეოგრაფიულ ცნობებს.

ჰეროდოტეს შრომისათვის დამახასიათებელია მთავარი თემის გვერდით სხვადასხვა ეპიზოდების ჩართვა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ავტორის მისწრაფებით, მიეწოდებინა მკითხველისათვის ყველა ის ცნობა, რომელიც კი მას მოუპოვებია ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის, პიროვნებისა ან ბუნებრივი მოვლენის შესახებ. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ეს პრინციპი მაშინ საერთო მოვლენა იყო ბერძნულ ლიტერატურაში, რაც თავს იჩენს აგრეთვე ისტორიულ თხრობაში. ძვ. წ. VII—VI საუკუნის ყველა პროზაული თხზულება აღსავსეა ასეთი ნოველისტური დამატებებით. ჰეროდოტეს ჩანაწერებში, ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, საინტერესოა არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ამ გზით შემონახულია ნიმუშები ძველი საბერძნეთის ხალხური ლიტერატურისა, რის შესახებაც სხვა წყაროებით ძალიან მცირე რამ არის ცნობილი.

ჰეროდოტეს ნოველა-ჩანაწერებში გადმოცემულია ამა თუ იმ ქვეყნის, პირის, მოვლენის, ძეგლისა, თუ სხვა რამის შესახებ თხრობის დროს ხალხის რწმენა, ადათ-ჩვეულებანი, ცრურწმენანი, საცხოვრებლის, ტანსაცმლის აღწერილობა, თუმცა ბევრი მათგანი ანეკდოტური ხასიათისაა. ჰეროდოტეს თხზულების აღნიშნულმა ლიტერატურულმა თვისებებმა განაპირობა მისი წარმატება.

ანტიკური ხანის კრიტიკოსები ჰეროდოტეს სტილს მიიჩნევდნენ სასიამოვნოდ და ლამაზად; ამ მხრივ მას ზოგიერთები თუკიდიდეს წინაშე უპირატესობასაც კი აძლევდნენ.

თვით პლუტარქე თავის იმ თხზულებას, რომელიც სპეციალურად

დაუწერია ჰეროდოტეს გასაკიცხად და რომელსაც სათაურად აქვს „ჰეროდოტეს მზაკვრობის შესახებ“, იწყებს ამ სიტყვებით: „ჰეროდოტეს მარტივმა, მსუბუქმა და ცოცხალმა სტილმა უკვე ბევრი შეაცდინა“.

დიონისე ჰალიკარნასელი ჰეროდოტეს თხზულებას თვლიდა საუკეთესო იონიურ ნაწარმოებად. მისი დახასიათებით: „ჰეროდოტემ სიტყვების შერჩევით, მათი დალაგებით, რიტორიკულ ფიგურათა მრავალნაირობით, ყველას აჯობა და პროზა იქამდე აამაღლა, რომ იგი მიემსგავსა საუკეთესო პოეზიას დარწმუნების, მშვენიერებისა და უდიდესი კმაყოფილების განცდის თვალსაზრისით“.

ციცერონი ჰეროდოტეს თხრობას ადარებდა მდინარის მშვიდ დინებას, რომელიც სწორი კალაპოტით მიედინება.

ჰეროდოტეს მხატვრული სტილი მაღალ შეფასებას პოვებს ჩვენი დროის მკვლევარებთანაც მისი თხრობა გაჟღენთილია უბრალოებითა და სიმართლით და, ამასთანავე, ისე ცოცხლად გვიხატავს ქვეყნის ბუნებასაც და ადამიანებსაც, მათ ადათ-ზნე-ჩვეულებებითურთ, რომ ყველაფერი ეს სინამდვილეში ისე წარმოგვიდგება, თითქოს ჩვენ ვცხოვრობდეთ იმ დროში და იმ ქვეყანაში და იმ ადამიანთა შორის.

ჰეროდოტეს მიზანი იყო მიეწოდებინა მკითხველისათვის უეჭველი, ჭეშმარიტი მასალა.

სინამდვილის დადგენის მიზნით, მიუხედავად მაშინდელი გაძნელებული მიმოსვლისა, იგი მოგზაურობს მრავალ მხარეში, სადაც გამოჰკითხავს ადგილობრივ მცხოვრებთ, ათვალიერებს და აღწერს ნივთიერი კულტურის ძეგლებს. რაზეც უშუალოდ ხელი არ მიუწვდება, პირდაპირ აღიარებს, რომ ზოგი ცნობა მხოლოდ გაგონილის საფუძველზე აქვს მოტანილი. ამავე დროს, თავის მოვალეობად თვლის გადმოსცეს ყველაფერი, რაც მისთვის უამბიათ და თვით ის ვერსიებიც კი, რომლებიც მას დაუჯერებლად მიაჩნია და კიდეც ეწინააღმდეგებიან მის საკუთარ შეხედულებას (VII, 159).

ჰეროდოტე ამცნობს მკითხველს, რომ მის მიერ მოთხრობილ ყველა ამბავს თანაბრად არ გააჩნია დამაჯერებლობა, რადგანაც ამბები სხვადასხვანაირი წყაროებიდან არის მომდინარე: ზოგი მათგანი მიღებულია პირადი დაკვირვებით, უკუდასკვნით, გამოკვლევის გზით, მცოდნე პირთა გამოკითხვისა და აგრეთვე სხვათა მონათრობის გზით (II, 99).

ჰეროდოტეს უხვად მოჰყავს ზღაპრულ-მითოლოგიური და ანეკდოტური ხასიათის, აშკარად დაუჯერებელი მასალა, რამაც მას ერთგვარად სახელი გაუტეხა და მას ზღაპრების მთხრობელსაც კი უწოდებდნენ.

მართლაცდა, ჰეროდოტეს მოსმენილ-ნანახიდან ბევრი რამ სჯერა, მათ შორის მითებიც, მაგრამ ბევრ რამეს იგი მაინც სკეპტიკურად და კრიტიკულად უყურებს. ამის არაერთი მაგალითი მოიძებნება მის შრომაში. ზოგი რამის ახსნას იგი თვითონ ცდილობს დაკვირვების, ან მის მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე; გამოაქვს დასკვნები, თუმცა ეს დასკვნები ხშირად მცდარია.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ჰეროდოტე არა თუ არ მოითხოვს მკითხველისაგან დაიჯეროს მისი მოთხრობილი, არამედ პირიქით, მკითხველს აუწყებს, რომ იგი გადმოსცემს სხვისგან გაგონილს, მაგრამ არც თვითონ არის ვალდებული და არც მკითხველი, მიიჩნიოს მოთხრობილი ჭეშმარიტებად (II, 155), ხოლო მეორე ადგილას ამბობს: „ელინები მრავალ დაუჯერებელ რამეს გვიამბობენ“ (II, 45).

რასაკვირველია, ჰეროდოტეს შრომა მასალის წინდახედული შეკრება-შეფასების და მოვლენათა მიზეზ-გარემოების ღრმა შეგნების მხრივ ნაკლებ აკმაყოფილებს ჭეშმარიტი ისტორიის მოთხოვნებს, მაგრამ როგორც მიშჩენკო შენიშნავს, სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი.

„საქმე ის არის, — ამბობს მიშჩენკო, — რომ ძველი მწერლის, მისი კეთილსინდისიერების... შეფასების დროს, საჭიროა არ გავუშვათ მხედველობიდან მისი ცხოვრების და ლიტერატურული მოღვაწეობის პირობათა მთელი ჯამი. ჰეროდოტეს არ შეუდგენია ისტორია ჩვენი გაგებით. მაშინდელი საზოგადოებისათვის სრულიად უცხო იყო საერთო სახელმძღვანელო ცნებები პროგრესისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა თანდათანობითი შექმნისა და განვითარების შესახებ; ცხოვრების ეს მხარე ნაკლებ აინტერესებდა მაშინდელ მწერალს“[1].

ამისდა მიუხედავად, ჰეროდოტესათვის მაინც დამახასიათებელია ერთგვარი სიახლე მასალის ათვისების საქმეში.

მაშინ, როდესაც, ობიექტური კრიტიკის მაგიერ, გადამწყვეტი იყო სუბიექტური განწყობილება, ჰეროდოტე იჩენს უფრო მიზანდასახულ

---

[1] Геродот. ტ. II, გვ. XIV.

დამოკიდებულებას როგორც ზეპირსიტყვაობის, ისე ძველ ლიტერატურულ წყაროთა მიმართ; იგი ცდილობს თვითონ შეამოწმოს ბევრი რამ.

ჰეროდოტეს შრომაში შეცდომათა უმრავლესობა მაინც იმით აიხსნება, რომ არ იყო ზუსტი კვლევა-ძიების მეთოდი ჩამოყალიბებული და თვით ჰეროდოტესაც აკლდა უნარი ყოველთვის ჯეროვნად შეემოწმებინა მასალა.

მეტად თვალშისაცემია ჰეროდოტეს რელიგიურობა. ამით იგი სრულიად განსხვავდება თავის თანამედროვეთაგან.

ჰეროდოტეს მტკიცედ სწამს, რომ ღმერთები მუდმივ ერევიან ადამიანთა საქმეებში, რაც ვლინდება სიზმარში მოჩვენებების სახით, სხვადასხვანაირ სასწაულებსა და სასჯელებში; ხოლო ზოგჯერ ღმერთი უშუალოდაც ეცხადება ადამიანს.

ჰეროდოტეს ეშინია და ერიდება ღმერთების განრისხებას მათ შესახებ საიდუმლოების მოთხრობითა და თვით ღვთაების მოხსენებითაც კი. მას სწამს, რომ ღვთაება ადამიანისაგან ყურადღებასა და თაყვანისცემას მოითხოვს, რომ იგი იფარავს მორწმუნესა და სჯის ღვთაების შეურაცხმყოფელს.

ჰეროდოტეს დახატული აქვს ადამიანსა და ღვთაებას შორის დამოკიდებულების მეტად რთული სურათი, სადაც ლაპარაკია ღვთაების შურისძიებაზე, ნემეზიდაზე[1].

ჰეროდოტეს რწმენით, ისტორია არის შედეგი ღვთაების მიერ დადგენილი წესისა, ღვთაებისა, რომელიც განაგებს კაცობრიობის ხვედრს, მის ხელშია ქვეყნიერების ბედ-იღბალი. მას მტკიცედ სჯერა, რომ ღვთაება სჯის ადამიანს დანაშაულისათვის.

ტროას დაღუპვასთან დაკავშირებით, იგი ამბობს: „ეს მოხდა ღმერთის ნება-სურვილით, იმისათვის, რათა ტროელების მთლიანად ამოწყვეტას ნათელი გაეხადა ხალხისათვის ჯეშმარიტება, რომ მძიმე დანაშაულს თან სდევს მძიმე სასჯელი ღმერთებისაგან“ (II, 20).

ამასთანავე, თუ დამნაშავე თვითონ არ დაისაჯა — მისი შთამომავალნი მოიხდიან ამ სასჯელს. ღვთაება სჯის ცუდის მქნელთ და აჯილდოებს კეთილ ადამიანებს. მის მოქმედებაში უფრო ჭარბობს სასჯელი, წყალობას იგი იშვიათად ავლენს.

---

[1] ღვთაების მიერ ყველა ადამიანისათვის დამსახურებისდა მიხედვით მიზღვაზე.

ადამიანთა საქმეებში ღვთაების ჩარევა ჰეროდოტეს მკვეთრად აქვს გადმოცემული. მაგალითად, ელინთა მცირე მხედრობის მიერ სპარსელთა უამრავი ლაშქრის დამარცხებასთან დაკავშირებით, იგი ათქმევინებს თემისტოკლეს: „ეს გავაკეთეთ არა ჩვენ, არამედ ღმერთებმა და გმირებმა: მათთვის საძულველი იყო, რომ აზიასა და ევროპაზე ებატონა ერთ უწმინდურსა და დამნაშავე ადამიანს, იმას, რომელიც თანაბრად ეპყრობა ტაძრებსა და კერძო საცხოვრებლებს, სწვავდა და აშხვრევდა ღმერთების გამოსახულებებს; რომელმაც გაროზგა ზღვა და ჩაუშვა მასში ბორკილი“ (VIII, 109).

ჰეროდოტეს სწამს ორაკული და წინანიშნება. მას სჯერა, რომ, რაც ოდესღაც ნაწინასწარმეტყველია ორაკულის (მისნის) მიერ, ან ღვთაების მიერ არის მინიშნებული, ის აუცილებლად აღსრულდება.

ერთ შემთხვევაში იგი მოგვითხრობს: „იონიელთა[1] დამარცხების შემდეგ სპარსელებმა ზღვიდან და ხმელეთიდან ალყა შემოარტყეს მილეტს[2], კედლებს ძირი გამოუთხარეს, გამოიყენეს ყოველგვარი საშუალება და საბოლოოდ აიღეს ქალაქი არისტაგორეს[3] აჯანყების მეექვსე წელს; მოსახლეობა ტყვეებად აქციეს, რაც შეესაბამებოდა ორაკულის ნაწინასწარმეტყველებს მილეტისათვის“ (VI, 18).

ხოლო მეორე შემთხვევაში, წინანიშნებზე გადმოგვცემს ჰეროდოტე: „მთელი ჯარის ზღვაზე გადასვლის შემდეგ და იმის წინ, ვიდრე შემდგომ გზას გაუდგებოდნენ[4], მოხდა სასწაული; ქსერქსემ მას არ მიაქცია ყურადღება, თუმცა მისი ახსნა ძალიან ადვილი იყო; სახელდობრ, ცხენმა დაბადა კურდღელი. ეს აშკარა სასწაული იმას ნიშნავდა, რომ ქსერქსეს ელადაზე მიჰყავს მდიდრულად და ჩინებურად მოწყობილი არმია, ხოლო უკან დაბრუნებისას, იმავე ადგილას თავის სიცოცხლეს მხოლოდ გაქცევით შეინარჩუნებს“ (VII, 57).

ჰეროდოტეს სწამს, რომ პროვიდენციალიზმი — ღვთაებრივი სიბრძნე წარმართავს ადამიანთა და ხალხთა ხვედრს. მას ამქვეყნიური ბედნიერება როგორც ადამიანებისა, ისე სახელმწიფოებისა და ხალ-

---

[1] მცირე აზიის სანაპიროს მცხოვრები ბერძნები.

[2] იონიელთა დედაქალაქი მცირე აზიაში.

[3] მილეტის თავი იყო.

[4] ლაპარაკია სპარსეთის ჯარზე, რომელიც ელადაზე სალაშქროდ მიემართებოდა.

ხებისა, წარმავლად მიაჩნია. ადამიანს არ შეუძლია იამაყოს თავისი ბედნიერებით, რადგან არ იცის, სიკვდილამდე რა მოელის[1].

ჰეროდოტეს, ერთი მხრივ, სწამს, რომ ღვთაება მიუზღავს ადამიანს დამსახურებისამებრ, ხოლო, მეორე მხრივ, აღიარებს ბედისწერას და მის გარდაუვალობას. „ასე უნდა მოხდეს და არც ადამიანს, არც თვით ღვთაებას არ შეუძლიან თავიდან აცდენა ან შეცვლა იმისა, რაც აუცილებელია“ — აცხადებს იგი (I, 91).

მიუხედავად ღრმა რელიგიურობისა, ჰეროდოტე ზოგჯერ ცდილობს უგულებელყოს ღვთაების მონაწილეობა ამა თუ იმ მოვლენაში და ახსნას იგი ბუნებრივი პირობებით.

ჰეროდოტე ამბობს, რომ ვითომც ტემპეის ველი და ხეობა პოსეიდონის მიერ არის შექმნილი, რაც ყველას სჯეროდა, მაგრამ მართლაც, ვისაც სჯერა, რომ პოსეიდონი ასდენს მიწისძვრას და მის შედეგად წარმოიშვება ხვრელ-ნაპრალები, მას ეს ნაპრალიც პოსეიდონის მიერ შექმნილად უნდა მიაჩნდეს, მაგრამ მე კი მჯერა, რომ იგი ბუნებრივი მიწისძვრის შედეგად არის წარმოშობილი (VII, 129).

ჰეროდოტეს როგორც მითებში გადმოცემული პერსონაჟები, ისე მითური წინაპრები და ღმერთები რეალურ პიროვნებებად და ისტორიულ მოღვაწეებად წარმოუდგენია, მათსა და ჩვეულებრივ ადამიანებს შორის განსხვავებას იგი ხედავს მხოლოდ იმ ძლიერებასა და მნიშვნელობაში, რომელიც სხვადასხვა ზომით ჰქონდათ ღმერთებსა და გმირებს, უბრალო მოკვდავ ადამიანებთან შედარებით.

ჰეროდოტეს შრომიდან ჩანს, რომ მისი ავტორი პოლიტიკით ნაკლებად იყო დაინტერესებული. მაგრამ მის შრომაში მაინც მოიპოვება მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ ჰეროდოტე ტირანიის წინააღმდეგია; იგი მომხრეა იმგვარი დემოკრატიისა, როგორიც მაშინ ათენში იყო.

ჰეროდოტეს ღრმად სწამს დემოკრატიის კეთილმყოფელი გავლენა ათენელთა ცხოვრებაზე. ათენელთა ცხოვრების საერთო ნივთიერი და კულტურული წარმატება ჰეროდოტეს დემოკრატიის შედეგად მიაჩნია. მისი აზრით, რამდენადაც დემოკრატია ხელს უწყობს ხალხის სიკეთეს, იმდენად ტირანია ამას ხელს უშლის. იგი ამბობს: „ათენი ძლიერი იყო უწინაც, მაგრამ ახლა, განთავისუფლდა რა ტირანიისაგან, უფრო გაძლიერდა“ (V, 66). სხვა ადგილას კი გადმოგვცემს: „ცხადია, თუ რამდენად მშვენიერი რამ არის თანასწორობა. ვიდრე ტირანთა ძალაუფ-

---

[1] კრეზისა და სოლონის საუბარი, I, 32.

ლებაში იმყოფებოდნენ, ათენელები ვერაფრით სჯობნიდნენ მეზობელ ხალხებს სამხედრო საქმეში, ხოლო როგორც კი ტირანები თავიდან მოიშორეს, პირველები შეიქნენ ამ საქმეში. ეს გვიჩვენებს, რომ ტირანებისაგან დამონებულნი, ისინი განზრახ მხდალობდნენ, ხოლო როცა განთავისუფლდნენ, თითოეული მათგანი ცდილობდა თავისი საქმე ბეჯითად და გულმოდგინედ შეესრულებინა" (V, 78).

ჰეროდოტეს სძულს ტირანია, მაგრამ არც დემოკრატიის ნაკლოვან მხარეს მალავს, რასაც გადმოგვცემს სპარსელ წარჩინებულთა მიერ წარმოთქმული სიტყვების სახით (II, 80).

ჰეროდოტეს პოლიტიკურ შეხედულებათა სფეროს განეკუთვნება მისი დამოკიდებულება ბარბაროსებისადმი, რის გამოც პლუტარქემ მას „ფილობარბაროსი" (ბარბაროსთა მეგობარი, ბარბაროსთა მოყვარული) უწოდა. ჰეროდოტეს აზრით, ელინსა და ბარბაროსს შორის განსხვავებას ქმნის არა ტომობრივი, არამედ კულტურული დონე. ბარბაროსს შეუძლია გახდეს ელინი, შეითვისებს რა ბერძნულ ენასა და ზნე-ჩვეულებებს. თვით ბარბაროსებსაც გააჩნიათ ზოგი რამ კარგი.

ჰეროდოტე არ თაკილობს აღიაროს, რომ ელინი ხალხი წარმოსდგა იმის შედეგად, რომ მას მრავლად შეერთვნენ ბარბაროსული ტომები, ყველაზე მეტად კი პელასგები. და უფრო მეტიც, თვით ატიკელთა ტომი თავდაპირველად პელასგური იყო (I, 57, 58).

ჰეროდოტე იმასაც თამამად ამბობს, რომ ბევრი რამ კარგი ბერძენთა კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში აღმოსავლეთის ბარბაროსთაგან არის შეთვისებულიო (II, 4, 43, 49, 50; I, 109).

ჯერ ისევ ძველად ზოგი გამოჩენილი მოღვაწე ჰეროდოტეს მდარე ხარისხის ისტორიკოსად და ზღაპრების მთხრობელადაც კი მიიჩნევდა. ამის გამო, პირველ საუკუნეში ცნობილი მწერალი იოსებ ფლავიუსი წერდა, როგორც ყველა აღიარებს, ჰეროდოტე სიყალბეს მოგვითხრობსო.

პირველი ჩრდილი ჰეროდოტეს ნაწარმოებს მიაყენა თუკიდიდემ, რომელმაც, ჰეროდოტეს დაუსახელებლად, მის შრომაში მოთხრობილ ამბებს დაუჯერებელი უწოდა. სხვა ძველ ავტორთა შორის, არც არისტოტელეა ჰეროდოტეს მიმართ კეთილად განწყობილი. იგი მას „მეზღაპრეს" უწოდებს. ხოლო პლუტარქე წერს სპეციალურ თხზულებას სათაურით „ჰეროდოტეს მზაკვრობის შესახებ", რომელშიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჰეროდოტე შევნებულად ამახინჯებს სინამდვილეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ძველი ავტორი დიდად აფასებდა ჰეროდოტეს შრომას და იგი დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა. ერთ-ერთი მათგანი იყო დიონისე ჰალიკარნასელი, რომლის თქმითაც, ჰეროდოტემ ისტორია აიყვანა უმაღლესსა და უფრო ღირსეულ საფეხურზე.

XIX საუკუნის მკვლევართა შორისაც გავრცელებული იყო უნდობლობა ჰეროდოტეს შრომაში მოთხრობილი ამბების მიმართ. მკვლევარნი ჰეროდოტეს მიიჩნევდნენ მატყუარად, რომელიც ვერ ერკვევა ამბებში და ყვება სიყალბეს. ინგლისელი მეცნიერი სეისი იმასაც კი აცხადებს, ჩვენი დროის არქეოლოგიური გათხრებისა და სხვა აღმოჩენათა შედეგად მტკიცდება ჰეროდოტეს მონათხრობის სიყალბეო.

ამჟამად მეცნიერება უკვე აღარ იზიარებს ჰეროდოტეს მიმართ ასეთ შეხედულებებს.

მეცნიერთა განკარგულებაში არსებული მასალის მიხედვით შესაძლებელი ხდება ჰეროდოტეს მიერ მოთხრობილი არაერთი ამბავი სინამდვილედ ჩაითვალოს. თვით ისტორიულ პიროვნებათა მიერ წარმოთქმული სიტყვებიც კი სინამდვილეა, როგორც ეს ცხადყო აკადემიკოსმა სტრუვემ სპარსელ წარჩინებულთა მიერ წარმოთქმული სიტყვების მიმართ.[1]

აღმოსავლეთში წარმოებულმა არქეოლოგიურმა ძიებებმა რადიკალურად შეცვალა აზრი ჰეროდოტეზე. თუ უწინ მას საეჭვოდ თვლიდნენ, ახლა იგი სანდო წყაროდ არის აღიარებული.

მართლაც, ჰეროდოტეს მიერ მოწვდილი არაერთი ცნობა, რომელიც ერთი შეხედვით, დაუჯერებლად მოჩანდა, დღეს სინამდვილედ არის მიჩნეული.

ჰეროდოტე პირველი იყო იმათში, ვინც წერდა მსოფლიო ხასიათის ისტორიას და მას არ შეეძლო ხელი აეღო იმ მასალის მოთხრობაზე, რომელიც მაშინ ხელმისაწვდომი იყო. ეს მასალა კი ძირითადად პირველყოფილი, პრიმიტიული იყო.

ჰეროდოტე ცდილობს ერთგვარი რაციონალიზმი შეიტანოს და გაერკვეს ამ პრიმიტიულ მასალაში. ამ მხრივ მრავალ ბრწყინვალე მაგალითზე შეიძლება მივუთითოთ მის შრომაში. თუ მან მეტის გაკეთება

---

[1] В. В. Струве, Геродот и политические течения в Персии эпохи Дария I, Вестник древней истории, 1958, 3, 12—13.

ვერ შეძლო, — ეს აიხსნება საერთოდ მეცნიერებისა და, კერძოდ, ისტორიული მეცნიერების მაშინდელი მდგომარეობით: გარემოს კრიტიკულად ათვისება მხოლოდ ახალი დაწყებული იყო მაშინდელ სამყაროში. ჰეროდოტე რომ მართლაც ამჟღავნებს ამ უნარს, ეს ჩანს თუნდაც შემდეგიდან, მის დროს ზოგან აღმართული ყოფილა ქალების ქანდაკებები, რომელთაც ხელები არ ჰქონიათ. ამის ირგვლივ მთელი ლეგენდა შექმნილა, თითქოს ქანდაკებაში გამოხატულ ამ ქალებს სასჯელის გამო ჰქონდათ ხელები მოკვეთილი სიცოცხლეშივე.

ჰეროდოტე ამაზე ამბობს: „ეს, მე მგონია, თავიდან ბოლომდე მოჭორილია... ჩვენ ვიხილეთ, რომ ქანდაკებებს დროთა განმავლობაში მოსძრომიათ ხელები და ჩემს იქ ყოფნაში ისინი ჯერ კიდევ მათ ფერხთით ეყარა“ (11, 131).

მოპოვებული მასალის მიმართ ჰეროდოტეს გააჩნია ერთგვარი კრიტიკული დამოკიდებულება. მაგალითად, ეგვიპტეში გავრცელებულ ცნობას, რომ სპარსეთის მეფის კამბიზის დედა ეგვიპტელი ქალი იყო, ჰეროდოტე მიიჩნევს ტენდენციურ-ნაციონალისტურ ვერსიად, რადგან, მისი აზრით, ეს ეწინააღმდეგება სპარსულ კანონებსა და არ შეეფერება ფაქტებს.

ჰეროდოტე შრომის ერთ ადგილას აცხადებს: „მე მოვალე ვარ გადმოვცე ყველაფერი, რასაც ამბობენ, მაგრამ არ ვარ ვალდებული ყველაფერი დავიჯერო; ეს შენიშვნა ძალაში რჩება მთელი ჩემი მონათხრობის მიმართ“ (VIII, 152). მეორე ადგილას კი ამბობს: „სინამდვილეა ეს, თუ არა, მე არ ვიცი, მე ვწერ იმას, რასაც მოგვითხრობენ“ (11, 195). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით დაუჯერებელ ცნობებს ჰეროდოტე ერთბაშად ხელს არ ჰკრავს და სხვადასხვა ვარიანტებით მოსმენილი, იგი თავის შრომაში შეაქვს. ერთი შემთხვევის გამო იგი ამბობს: „ჩვენამდე მოღწეულ ცნობათაგან მე პირველს უფრო დამაჯერებლად ვთვლი, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია (III, 9) გადმოვცე ნაკლებ დამაჯერებელიც, რადგან ასედაც მოგვითხრობენ“. ამგვარი მიდგომით ჰეროდოტემ მრავალი ძვირფასი და ხშირად სავსებით სანდო ცნობა შემოგვინახა.

ჰეროდოტეს ნათლად აქვს წარმოდგენილი თავისი მიზანი როგორც ისტორიკოსისა. ნაშრომის დასაწყისში იგი წერს: „ჰეროდოტე ჰალიკარნასელის ქვემოთ მოყვანილი ძიებანი აქ მოთხრობილია იმ მიზნით, რათა დროთა განმავლობაში არ აღმოიფხვრას ჩვენი მეხსიერებიდან

ადამიანთა მოღვაწეობა-საქმიანობა, აგრეთვე, ქებაშეუსხმელად არ მიეცეს დავიწყებას უდიდესი და განცვიფრების ღირსი გმირობანი, რაც ნაწილობრივ ელინებისა და ნაწილობრივ ბარბაროსების მიერ არის ჩადენილი; უმთავრესად კი იმიტომ, რომ არ იქნეს დავიწყებული ის მიზეზები, რომლის გამოც ატყდა მათ შორის ომი" (I, 1).

რათა სწორად შევაფასოთ ჰეროდოტე როგორც ისტორიკოსი, საჭიროა გვახსოვდეს, რომ: ა) ის იყო პირველი ისტორიკოსი; ბ) მას, მისი შრომის შინაარსის გამო, მოუხდა ესარგებლა სხვადასხვა ხალხის შესახებ ისეთი მასალით, რომელიც დამუშავებას, მოძებნა-შეგროვებასა და სისტემატურობას საჭიროებდა; გ) ჰეროდოტეს არ შეეძლო მთლად დაეღწია თავი მისი დროის საზოგადოებაში გაბატონებულ მორალურ-პოლიტიკური იდეებისათვის და გადაჭრით გაელაშქრა მათ წინააღმდეგ, რადგან ნაწილობრივ ეს ამბები მის შინაგან რწმენასაც ეგუებოდა.

ჰეროდოტემ მაინც ზოგ რამეში რაციონალური გარკვეულობა შეიტანა. შეიძლება ეს, თანამედროვე საზომის მიხედვით, საკმარისი არ იყოს, მაგრამ მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში, მნიშვნელოვანი იყო.

ჰეროდოტეს შრომა თავისი ხასიათით პირველი მსოფლიო ისტორიაა. მასში შემონახულია ძვირფასი ცნობები სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ყოფა-ცხოვრებისა და ბუნებრივი პირობების შესახებ, ურომლისოდაც კაცობრიობას ძალიან მცირე რამ ეცოდინებოდა ძველი სამყაროს შესახებ. ჰეროდოტეს შრომა წარმოადგენს თავისებურ ენციკლოპედიას, რომელშიაც მოცემულია ძვ. წ. V ს. ხალხთა ცხოვრების სურათი.

ჰეროდოტემ პირველმა შექმნა მწყობრი, თანამიმდევრული თხრობა მრავალი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, ამაშია მისი შრომის დიდი ისტორიულ-მეცნიერული მნიშვნელობა.

ამასთანავე, ჰეროდოტეს თხზულება წარმოადგენს ისტორიულ თემაზე მხატვრული შრომის საუკეთესო ნიმუშს, რაც მას საკითხავად სასიამოვნოს ხდის და რის გამოც, ძველადვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა.[1]

---

[1] ჰეროდოტეს „ისტორია" თარგმნილია ქართულად. იხ. ჰეროდოტე, ისტორია, ტ. I, თბ., 1975. ტ II, თბ., 1976. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და ს�ძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა.

თუკიდიდე

ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე იყო სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე, რომელიც მთელი საბერძნეთის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი — „პელოპონესის ომის" (ძვ. წ. 431—404) ავტორია. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკურმა ისტორიოგრაფიამ უდიდეს წარმატებას თუკიდიდეს შემოქმედებაში მიაღწია. მის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომს დიდად აფასებდნენ როგორც თანამედროვე, ისე შემდგომი თაობების არა მარტო ისტორიკოსები, არამედ პოეტებიც კი.

თუკიდიდეს ცხოვრებით დაინტერესებული ყოფილან ჯერ კიდევ ძველი ავტორები, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული ალექსანდრიული განათლების ეპოქაში, მაგრამ მათ შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მათი ერთგვარი გამოძახილი ჩანს ორიოდე შემონახულ ბიოგრაფიაში. ერთი მათგანი ეკუთვნის მარცელინუსს. ზუსტად არ არის დადგენილი, თუ ვინ იყო ეს მარცელინუსი. ფიქრობენ, რომ ის ცხოვრობდა ახ. წ. V საუკუნეში; იყო რიტორი, ლექციებს უკითხავდა მოწაფეებს და უმთავრესად არჩევდა თუკიდიდეს სტილს. შესაძლოა, თავის ლექციებს მან წარუმძღვარა თუკიდიდეს ბიოგრაფიაც.

გვაქვს აგრეთვე თუკიდიდეს ისტორიის ხელნაწერებში მოთავსებული მისი ანონიმური ბიოგრაფია და ბიზანტიელი ლექსიკოგრაფოსის სვიდას მიერ შედგენილი ბიოგრაფია, რომელიც ძირითადად მარცელინუსს ემყარება და ამდენად მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

ეს ბიოგრაფიები, სამწუხაროდ, არც ისე დამაჯერებელ ცნობებს გვაწვდიან, თუმცა მათი სრული უარყოფა მართებული არ იქნება. შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ, თუ როდის დაიბადა და გარდაიცვალა თუკიდიდე. მარცელიუსის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „დაამთავრა მან სიცოცხლე, როგორც ამბობენ, დაბადებიდან 50 წელზე მეტისამ და ვერ დაასრულა თავისი ნაშრომი დაწესებულ ბოლომდე", ე. ი. ძვ. წ. 404 წლამდე. აქედან კი თითქოს შეგვიძლია თუკიდიდეს დაბადების თარიღად დაახლოებით ძვ. წ. 454 წელი მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, ჩვენს ხელთ არის ახ. წ. II საუკუნის რომაელი მწერლის ავლუს გელიუსის ცნობა (XV, 23), რომლის მიხედვითაც პელოპონესის ომის დასაწყისში თუკიდიდე 40 წლისა უნდა ყოფილიყო. დადგენილია, რომ ასეთი ცნობა ავლუს გელიუსს ნერონის დროის სწავლული მწერალი ქალის პამფილასაგან

აქვს ნასესხები. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, თუკიდიდეს დაბადების თარიღად ძვ. წ. 471 წელი უნდა მივიღოთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ, სპეციალისტების აზრით, თვითონ პამფილას ცნობები ძვ. წ. II ს. მწერალ აპოლოდორეს ნაშრომს ემყარება. აპოლოდორეს ლექსად დაწერილ „ქრონიკაში" კი მის მიერ მოხსენიებულ პირთა ცხოვრების პერიოდები განსაზღვრულია ეგრეთ წოდებული აკმეს მიხედვით; აკმე ადამიანის მომწიფების, ტალანტისა და მოღვაწეობის ხანას ნიშნავდა. ასეთ ხანად 40 წელი იყო მიჩნეული, ცხადია, მსგავს ცნობებზე დამყარებით არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ თუკიდიდეს როგორც დაბადების, ისე სიკვდილის თარიღები.

ჯერ კიდევ თუკიდიდეს ნაშრომის საუკეთესო გამომცემელი და კომენტატორი კლასენი აღნიშნავდა: „თუმცა ჩვენ თუკიდიდეს რამდენიმე ძველი ბიოგრაფია მოგვეპოვება, მაგრამ მისი ცხოვრების ვითარების ყოველი სარწმუნო ცნობა თითქმის მხოლოდ თვითონ მის მიერ გზადაგზა გამოთქმულ ზოგიერთ ამბავს ემყარება". დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოთქვამს აკადემიკოსი ს. ჟებელიოვი: „თუკიდიდეს ძველი ბიოგრაფიების მეცნიერული ღირებულება ფრიად მცირეა და ხშირად ისინი, მგონი, იმდენად არ გვეხმარებიან, რამდენადაც გვიძნელებენ თუკიდიდეს ცხოვრების ნამდვილი სურათის დადგენას."

ნათქვამიდან გამომდინარე, იძულებული ვართ განვიხილოთ ბიოგრაფიული ხასიათის ის მცირე ცნობები, რომლებიც თვითონ თუკიდიდეს აქვს თავის ნაშრომში მოტანილი.

თუკიდიდე ცხოვრობდა ძველი საბერძნეთისათვის უაღრესად რთულ პერიოდში. ამ დროს ათენში პოლიტიკურმა დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ახალგაზრდობაში იგი თვითმხილველი იყო პერიკლეს ბრწყინვალე ეპოქისა, ხოლო დავაჟკაცებისას — მონაწილე პელეპონესის ომისა. „მე განვიცადე მთელი ომი, — ამბობს თუკიდიდე, — ხნოვანების წყალობით ვერკვეოდი მასში და ყურადღებით თვალს ვადევნებდი" (V, 26, 4). სხვა ადგილას იგი გვარწმუნებს, რომ თავისი ნაშრომის დაწერას იგი შეუდგა მაშინვე, „ომის წარმოქმნის მომენტიდან, იმაში დარწმუნებული, რომ ეს ომი იქნება ყველა წინანდელთან უფრო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი" (I, 1). მაშასადამე, პელოპონესის ომის დასაწყისში — ძვ. წ. 431 წელს — თუკიდიდე საკმაოდ მოწიფული ყოფილა და შეეძლო შეგნებულად ედევნებინა თვალ-ყური ომისა და მასთან დაკავშირებული მოვლენებისათვის.

დაბადების ადგილი საეჭვოებით გარკვეულია. თვითონ თუკიდიდე თავის თავს ათენელს უწოდებს: „თუკიდიდე ათენელმა დაწერა პელოპონესელებსა და ათენელებს შორის ომის ისტორია“ (I, 1 წ.). მეორე მხრივ, იგი თავს ოლოროსის შვილად წარმოგვიდგენს (IV, 104, 4). ვინ იყო ეს ოლოროსი? ყოველ შემთხვევაში ეს სახელი ბერძნულად არ ჟღერს.

როგორც ჩანს, თუკიდიდე ქონებრივად თავის დროზე შეძლებულთა კატეგორიას ეკუთვნოდა. მარცელინუსი გვარწმუნებს: „თუკიდიდემ ცოლად შეირთო თრაკიელი ქალი სკაპტეგილედან[1], ფრიად მდიდარი ადამიანი, რომელიც თრაკიაში ოქროს საბადოებს ფლობდა“ (19). ამას თვით თუკიდიდეს სიტყვები გვიდასტურებს: „სპარტის სარდალმა ბრასიდამ იცოდა, რომ თუკიდიდეს ეკუთვნის ოქროს საბადოების დამუშავება თრაკიის ამ ნაწილში და ამის წყალობით მატერიკზე ფრიად გავლენიან ადამიანებში ავტორიტეტით სარგებლობს“ (IV, 105, 1). მაშასადამე, თუკიდიდემ მემკვიდრეობით მიიღო თრაკიაში მდიდარი ოქროს საბადოები და ამის წყალობით მას გაძევების ხანაშიც შეეძლო შედარებით უზრუნველი ცხოვრება.

საეჭვოებით ბუნებრივია, რომ თუკიდიდე ახალგაზრდობიდანვე განიცდიდა ათენის ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე ხანის, პერიკლეს ეპოქის მოაზროვნეთა და მოღვაწეთა გავლენას და გასაგებია ისიც, რომ ყოველივე ეს თავისებურ გაბოძებულს პოვებდა მის შემოქმედებაში.

თუკიდიდეს ბიოგრაფიისათვის უდავოდ მნიშვნელოვანია მისი ცნობა იმ საშინელი ჭირის შესახებ, რომელიც ბ. წ. 430—29 წელს ატიკაში მძვინვარებდა და რომელმაც მრავალი ათენელი იმსხვერპლა. „... მე მოვუთხრობ მხოლოდ იმას, თუ როგორი იყო ეს სენი და მივუთითებ იმ სიმპტომებზე, რომელთა ნახვაზე, თუ ის ოდესმე განმეორდა, ყველას საშუალება ექნება... გამოიცნოს ის. ყოველივე ამაზე მიეუთითებ, რადგანაც მე თვითონ ვიყავი ავად და პირადად ვაკვირდებოდი სხვებს, რომლებიც ამავე სენით იტანჯებოდნენ“ (II, 48).

თუკიდიდე მოგვითხრობს ათენელებში ამ სენის გავრცელების ნიადაგზე წარმოქმნილ სასოწარკვეთილებაზე. შერყვნილ ზნეობასა და შერყეულ დისციპლინაზე: „არავის ჰქონდა იმედი, — ამბობს იგი, — რომ იცოცხლებს იმ დრომდე, როცა თავისი დანაშაულისათვის სასამართლოთი სასჯელს მოიხდიდა. გაცილებით უფრო მძიმე განაჩენად

---

[1] სკაპტეგილე — ქალაქი აღმოსავლეთ მაკედონიაში.

ითვლებოდა ის, რაც უკვე თავს დასტრიალებდათ და ამიტომ ბუნებრივად ეჩვენებოდათ ადრე, ვიდრე ის შეემთხვეოდათ, სიცოცხლისაგან თუნდაც ზოგი რამით მაინც დამტკბარიყვნენ" (II, 53,4).

თუკიდიდეს ნაშრომის ეს ადგილი, ერთი მხრივ, იმას გვიამბობს, თუ რაოდენ კეთილსინდისიერი და მიუდგომელი მეთვალყურე იყო ის ძველი ათენის ისტორიის საბედისწერო ეპოქისა და, მეორე მხრივ, რა ახლოს იდგა ათენის ხელმძღვანელ წრეებთან და სახელმწიფო მმართველობასთან. ზემომოხსენიებული მარცელინუსი კი გვარწმუნებს: „მიაღწია რა მოწიფულობის ასაკს, ისტორიკოსი მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფოს მმართველობაში, არ ადიოდა ორატორის ტრიბუნაზე, მაგრამ ის იყო სტრატეგოსი" (23). როგორც თვითონ თუკიდიდეს სიტყვებიდან ჩანს (IV, 105, 4), ძვ. წ. 424 წლის ბოლოს ის თრაკიის სანაპიროს სტრატეგოსად იყო არჩეული. სტრატეგოსად თუკიდიდეს ვერ აირჩევდნენ, თუ იგი სამხედრო საქმეს კარგად არ იქნებოდა გაცნობილი. კლისთენის დროიდან ირჩევდნენ ათ სტრატეგოსს (მთავარ სამხედრო უფროსებს), რომლებიც ერთ კოლეგიას შეადგენდნენ. ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო სახელმწიფოს ყველა სამხედრო ძალის მთავარ უფროსებს, არამედ მათ ხელში იყო საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობაც.

რა ბედი ეწია თუკიდიდეს თრაკიის სანაპიროზე სტრატეგოსად ყოფნის დროს? როგორც ვიცით, პელოპონესის ომის პროცესში სპარტის სარდალმა, ბრასიდამ საომარი მოქმედება გადაიტანა ჩრდილოეთით, კერძოდ, თრაკიის სანაპიროზე, როცა სტრიმონის ყურესთან მთავარი ქალაქის ამფიპოლოსის კედლებთან დაბანაკდა, მცხოვრებლებმა მაცნე წარგზავნეს სტრატეგოს თუკიდიდესთან „ოლოროსის შვილთან, რომელმაც დაწერა ეს ისტორია და რომელიც მაშინ თასოსის მახლობლად იმყოფებოდა... მოთხოვნით, საჩქაროდ წასულიყო მათ დასახმარებლად. თუკიდიდე სწრაფად წავიდა 7 ხომალდით, რომლებიც მის განკარგულებაში იყო" (IV, 4—5). მაგრამ დროზე ვერ მიუსწრო და ქალაქი ბრასიდას დანებდა. ათენელებმა მწვავედ განიცადეს ამფიპოლოსის დაკარგვა, თუკიდიდე სტრატეგოსობიდან გადააყენეს, სამართალში მისცეს და სამუდამოდ გაძევება მიუსაჯეს. თვითონ თუკიდიდე გვარწმუნებს, რომ ის 20 წლის განმავლობაში იყო გაძევებული, მაგრამ ამ დროს ახლოს იდგა ორივე მეომარი მხარის საქმეებთან, განსაკუთრებით კი „პელოპონესელების საქმეებთან" და უფრო მეტი საშუალება ჰქონდა გაერკვია ესა

თუ ის ამბავი (V, 26, 6). როდის იქნა გატარებული ის ამბისტია, რომელმაც თუკიდიდე დააბრუნა, ეს დღემდე საკამათოა. თუ მარცელინუსის ცნობას დავუჯერებთ, გამოდის, რომ „ათენელებმა სიცილიაზე დამარცხების შემდეგ ნება დართეს ყველა გაძევებულს, გარდა პისისტრატიდებისა, ათენში დაბრუნებულიყო (32). მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. უფრო საფიქრებელია, რომ თუკიდიდეს დაბრუნება მოხდა 404 წლის ზაფხის ღადებამდე.

სად და რა პირობებში გარდაიცვალა თუკიდიდე, ჩვენთვის ცნობილი არ არის. უდავოა მხოლოდ ის, რომ კიმონის საგვარეულო აკლდამაში აღმართული ყოფილა თუკიდიდეს საფლავის ძეგლი, რომელიც პლუტარქეს პირადად უნახავს, როგორც ამას კიმონის ბიოგრაფიაში გაღმოგვცემს. ძეგლზე ყოფილა წარწერა: „თუკიდიდე, ოლოროსის ვაჟი, ჰალიმუსელი, აქ განისვენებს“.

ასეთია ზოგადად ის ცნობები, რომლებიც თუკიდიდეს ცხოვრების შესახებ მოგვეპოვება.

ვიდრე თუკიდიდეს შემოქმედების დახასიათებასა და შეფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია პირველ რიგში განვიხილოთ საკითხი მისი პოლიტიკური მრწამსის. ამ მხრივაც ძირითადად ისევ მის ნაშრომს უნდა მივმართოთ. მის მიერ გამოთქმული აზრების მიხედვით, თუკიდიდე ზომიერი ოლიგარქიის მომხრედ და დემოკრატიისადმი უარყოფითად განწყობილ ადამიანად გვევლინება. ის რამდენჯერმე დაცინვით აღნიშნავს დემოსის განწყობილების ცვალებადობასა და მერყეობას. ასე მაგალითად, როცა იგი პერიკლეს მოღვაწეობას ეხება, გვარწმუნებს, რომ სახელით მისი მმართველობა დემოკრატია იყო, საქმით კი ხელისუფლება პირველ მოქალაქეს ეკუთვნოდაო და იქვე ნათლად გვისურათებს მისდამი მოქალაქეების განწყობილების შუდმივ მერყეობას (II, 65). თუკიდიდეს გადმოცემით (VI, 89, 5—6), ანტიდემოკრატიულად განწყობილი ალკიბიადე ხაზს უსვამდა თურმე „დემოკრატიული წყობილებისათვის ჩვეულ თავგასულობას, კიცხავდა დემოსის ბატონობას და დემოკრატიულ წყობას საერთოდ აღიარებულ სიგიჟეს“ უწოდებდა.

განსაკუთრებით უარყოფითია თუკიდიდეს მიერ რადიკალური დემოკრატიის მეთაურების დახასიათება. ასე მაგალითად, ათენის რადიკალური დემოკრატიის ცნობილ მეთაურს კლეონს ის, ერთი მხრივ, „მოქალაქეების მიმართ ძალმომრეობისადმი ყველაზე მეტად მიდრეკილ“ ადამიანად წარმოგვიდგენს, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ ეს

თავხედი და ულმობელი პიროვნება ხალხის უდიდესი ნდობით სარგებლობდა“ (III, 36, 6). უაღრესად საყურადღებოა კლეონის შეხედულება მოკავშირეთადმი დამოკიდებულების საკითხზე, რაც თუკიდიდეს გარკვევით აქვს გადმოცემული (III, 34—40). ათენის სახალხო კრებაზე (ეკლესიაზე) წარმოთქმულ სიტყვაში კლეონი არწმუნებს დამსწრეთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს სხვებზე ბატონობის უნარი არ შესწევს. „თქვენ ანგარიშს არ უწევთ იმას, — ეუბნება იგი კრებას, — რომ თქვენი ბატონობა ტირანიაა, რომ მოკავშირეებს თქვენდამი მტრული განწყრახვები აქვთ და უხალისოდ ითმენენ თქვენს ბატონობას. ისინი ვემორჩილებიან თქვენ არა იმიტომ, რომ სიკეთეს უშვრებით და ამით თქვენს თავს ავნებთ, არამედ უფრო იმიტომ, რომ თქვენ აღემატებით მათ ძლევამოსილებით და აქ არავითარ როლს არ თამაშობს მათი თქვენდამი განწყობილება“.

ათენის რადიკალური დემოკრატიის მეორე წარმომადგენლის — ჰიპერბოლოსის შესახებ ძველი ლიტერატურული წყაროები საერთოდ უარყოფით დახასიათებას შეიცავენ. კერძოდ, თუკიდიდე გადმოგვცემს მისი მოკვლის ამბავს ძვ. წ. 411 წელს კუნძულ სამოსზე და ახასიათებს მას „დაბალი მდგომარეობის ადამიანად, რომელიც ოსტრაკიზმით იქნა გაძევებული არა მისი ძლიერებისა და გავლენის შიშით, არამედ ვერაგობისათვის და იმისათვის, რომ არცხვენდა სახელმწიფოს“ (VIII, 73).

თუკიდიდეს სახელმწიფო წყობილების საუკეთესო ფორმად მიაჩნია ის ზომიერი დემოკრატია, რომელიც ათენში ძვ. წ. 411 წელს დამყარდა ოთხასის ოლიგარქიის დამხობის შემდეგ და ხელისუფლება გადაეცა 5000 შეძლებულ მოქალაქეს. ეს ფორმა, მისი აზრით, ოლიგარქიისა და დემოკრატიის ზომიერ შეერთებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით მოსწონს მას ოლიგარქოსების ზომიერი ფრთის მეთაურის— თერამენეს მოქმედება, ფიქრობს, რომ თერამენეს კონსტიტუციამ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო გამოიყვანა იმ სავალალო მდგომარეობიდან,რომელშიც იგი იმყოფებოდა (VIII, 97). მოკლედ, ხუთიათასის ზომიერი დემოკრატია წარმოადგენდა თუკიდიდეს პოლიტიკურ იდეალს. თუკიდიდეს მიზნად დაუსახავს მთლიანად გადმოეცა პელოპონესის ომის ისტორია, მაგრამ ვერ დაუმთავრებია და ძვ. წ. 411 წელზე შეჩერებულა.

როგორც ჩანს, თუკიდიდეს თავისი შრომისათვის სათაური არ დაურქმევია. ნაშრომის დასაწყისშივე იგი გვეუბნება: „თუკიდიდე ათენელმა დაწერა ომის ისტორია პელოპონესელებსა და ათენელებს

შორის". ნაშრომის მეორე თავიც ასევე იწყება: „ომი ათენელებსა და პელოპონესელებს შორის ... იწყება ქვემომოყვანილი ამბებით" (II, I. 1). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ამ ომს პელოპონესელებსა და ათენელებს შორის ამტყდარი ომის საერთო სახელით მოიხსენიებს. მის ნაშრომში ვხვდებით მხოლოდ ასეთ გამოთქმებს: „ეს ომი", „ამ ომში" და ა. შ. თუკიდიდეს გადმოცემით, ათენელები ამ ომს უწოდებდნენ „დორიულს". „დადგება დორიული ბრძოლა და მასთან შავი ჭირი" (II, 54, 2), ხოლო პელოპონესელები — „ატიკურს" (V, 2, 2).

პირველად მას პელოპონესის ომი უწოდა იულიუს ცეზარმა და ავგუსტუსის თანამედროვე ისტორიკოსმა დიოდორე სიცილიელმა (XII, 36), ხოლო პლუტარქემ ლიკურგოსის ბიოგრაფიაში (28) თუკიდიდეს ისტორიას „პელოპონესიაკა", ე. ი. „პელოპონესის ისტორია" უწოდა. ყოველივე ამის მიხედვით, თუკიდიდეს მიერ აღწერილი ომი დღეს პელოპონესის ომის სახელით არის ცნობილი. აკადემიკოსი ს. ყუბელიოვი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ზოგიერთ საუკეთესო ხელნაწერში, რომელშიც დაცულია თუკიდიდეს ნაშრომი, მას უბრალოდ „ისტორია" ეწოდება და ასკვნის: „ეს სათაური ჩვენც დავტოვეთ, თუმცა დარწმუნებული არა ვართ, რომ სწორედ ასე უწოდებდა თავის ნაშრომს თვითონ ავტორი".

თუკიდიდეს ისტორია 8 წიგნად არის დაყოფილი და ეს დაყოფა დღეს საერთოდ მიღებულია. პირველი წიგნი პელოპონესის ომის ისტორიის თავისებური შესავალია. მასში მოცემულია ბერძენი ხალხის ისტორიული განვითარების მოკლე სურათი (I, 1—22). აქვეა განხილული პელოპონესის ომის მიზეზი და საბაბი (I, 23—88), წარმოდგენილია ე. წ. პენტეკონტაეტიის[1] (ორმოცდაათწლეულის) ამბების მიმოხილვა (I, 89—118). მასშია ავრეთვე ექსკურსი პისისტრატეს ტირანიის, სპარტის მეფის პავსანიანისა და თემისტოკლეს შესახებ (I, 118—146). რასაკვირველია, ყველა ამბის თანამედროვე თუკიდიდე ვერ იქნებოდა, მაგრამ მას ეს მიმოხილვა დიდი კეთილსინდისიერებით და ვულმოდგინებით დაუწერია. „დაე, იცოდნენ, რომ შემთხვევები, — ამბობს იგი, — ჩემ მიერ აღდგენილია უმეტესად უტყუარ ჩვენებათა მოხმობით, იმდენად სრულად, რამდენადაც ამის ნებას მათი სიძველე გვაძლევდა" (I, 21, 1).

---

1. პენტეკონტაეტია — ეპოქა სპარსეთის მეფის ქსერქსეს ბალკანეთის საბერძნეთში დამარცხებიდან (480) პელოპონესის ომის დაწყებამდე (431).

ნაშრომის II—VIII წიგნები უკვე პელოპონესის ომის მსვლელობისადმია მიძღვნილი, წლების მიხედვით. მეხუთე წიგნი შეიცავს ძვ. წ. 421—415 წლების ამბების გადმოცემას და თითქოს მეექვსე და მეშვიდე წიგნების თავისებურ პროლოგს წარმოადგენს, რომელშიც მოთხრობილია სიცილიის ექსპედიციის შესახებ. სპეციალისტების აზრით, მეშვიდე წიგნი ანტიკური ისტორიული თხრობის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

უკანასკნელ, მერვე წიგნში აღწერილია დეკელეის ომის პირველი წლები და ძვ. წ. 411 წლის ოლიგარქიული გადატრიალება ათენში.

როგორ უყურებდა თავის ნაშრომს თვითონ თუკიდიდე? იგი ამას ასეთი სიტყვებით განსაზღვრავს: „შესაძლოა ჩემი მოთხრობა, რომლისთვისაც უცხოა არაკები, სმენისათვის უფრო ნაკლებ სასიამოვნოდ აღმოჩნდეს: სამაგიეროდ მას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის, ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა იქონიოს წარსულზე... ჩემი ნაშრომი გამიზნულია არა იმდენად იმისაკენ, რომ მოცემულ მომენტში სიტყვიერი შეჯიბრების საგანი გახდეს, რამდენადაც იმისაკენ, რომ დარჩეს სამარადისო ძეგლად“ (I, 22, 4).

აღსანიშნავია, რომ ომის საერთო მსვლელობასთან დაკავშირებით, თუკიდიდე გზადაგზა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ზოგიერთი მხარისა და ტომის შესახებ. ასე მაგალითად, როცა თუკიდიდე მოგვითხრობს თრაკიელი ტომის ოდრისების მეფის სიტალკეს გალაშქრებაზე მაკედონიის მეფის პერდიკას (453—413) წინააღმდეგ, იქვე გვიხასიათებს ოდრისების სამეფოს თრაკიაში და მაკედონიას მოხსენიებულ პერდიკას მეფობაში (II, 96—98). სიცილიასთან დაკავშირებულ ამბებთან ერთად თუკიდიდემ დაგვიტოვა სიცილიის ეთნოგრაფია და უძველესი ისტორია.

თვითონ თუკიდიდეს თავისი ნაშრომი არ გამოუცია. აკადემიკოს ს. ყებელიოვს, რომელმაც ამ საკითხს ცალკე ნარკვევი მიუძღვნა, სარწმუნოდ მიაჩნია ახ. წ. III საუკუნის ერთი მწერლის ცნობა, რომ ის ქსენოფონტმა გამოსცა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუკიდიდე წერდა როგორც თვითმხილველი, რასაც უმატებდა ნდობის ღირსი სხვა პირების წაამბობსაც. როცა, მაგალითად, ის ეხება საბერძნეთის შორეულ წარსულს, კერძოდ, პენტეკონტაეტიის ეპოქას, ყველაფერს აღწერს მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით და გულმოდგინებით. იგი უდავოდ კარგად იცნობდა იმ დროის ისტორიულ ლიტერატურას, რომელსაც ჩვენამდე

არ მოულწევია. ამ მიმართულებით საყურადღებოა, რომ თუკიდიდე ისსენიებს ლოგოგრაფოსებს, რომლებსაც, მისი სიტყვით, თავიანთი მოთხრობები შეუქმნიათ არა იმდენად ჭეშმარიტების დასადგენად, რამდენადაც სმენისათვის სასიამოვნო შთაბეჭდილებისათვის (I, 21). თუკიდიდე ლოგოგრაფოსების უმცროსი თაობის წარმომადგენელ ჰელანიკეს იხსენიებს, რომელმაც პირველმა დაწერა ათენის სახელმწიფოს მატიანე უძველესი ეპოქიდან თავის დრომდე. „თითქმის ის ჩემი წინამორბედთაგანიც, რომელიც ეხება ატიკის ისტორიაში ამ ამბებს, ჰელანიკე, გადმოგვცემს მათ მოკლედ და ქრონოლოგიის მხრივ არაზუსტად" (I. 97, 2).

თუკიდიდე კარგად იცნობდა დოკუმენტურ წყაროებსაც, წარწერებს, ხელშეკრულებათა ტექსტებს, ნივთიერ ძეგლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი პირდაპირ არ ასახელებს ჰეროდოტეს, მაგრამ უდავოდ ჩანს, რომ ახლოს იცნობდა მის ნაწარმოებს და ერთგვარი კრიტიკით უდგება ზოგიერთ იმ ცნობას, რომელიც ჰეროდოტეს ეკუთვნოდა, და მათში შესწორებები შეუტანია. რაც შეეხება სიცილიის ეთნოგრაფიასა და უძველეს ისტორიას, თუკიდიდეს წყაროდ ძვ. წ. V საუკუნის ისტორიკოსი ანტიოქოს სირაკუზული უნდა მივიჩნიოთ.

თუკიდიდემდე მატიანეები, ჩვეულებრივ, ყოველწლიური ამბების აღრიცხვით იწყებოდა. წლებს ისეთი ქრონოლოგიური სისტემით აღნიშნავდნენ, როცა თითოეული მათგანი ამა თუ იმ ეპონიმის[1] სახელს უკავშირდებოდა. ასეთი ქრონოლოგიური სისტემა თუკიდიდეს არ მოსწონს. „უფრო სწორია, — ამბობს იგი, — ამბების გამოკვლევა დროის პერიოდების მიხედვით და არ უნდა მიეცეს უპირატესობა იმ პირთა სახელებს, რომლებიც ამა თუ იმ საპატიო თანამდებობით არიან აღჭურვილნი ყოველ სახელმწიფოში და რომელთა მიხედვით აღინიშნება წარსული ამბები. ეს გამოანგარიშება არაზუსტია, ვინაიდან ამა თუ იმ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ასეთი პირის სამსახურის დასაწყისში, შუახანაში ან სხვა რომელიმე ვადაში" (V, 20, 2). თუკიდიდე თავის წელთაღრიცხვას მზის წელიწადს უკავშირებს და მას ორ ნაწილად ყოფს — ზაფხულისა და ზამთრის პერიოდებად. მის ნაშრომში სამხედრო მოქმედებათა განხილვა ზაფხულისა და ზამთრის კამპანიების მიხედვით არის დალაგებული. უნდა ითქვას, რომ „თუკი-

---

[1] თანამდებობის პირი, რომლის სახელით აღინიშნებოდა წელი.

დიდეს მიერ მიღებული ქრონოლოგიური სისტემის საფუძველი, თანამედროვე თვალსაზრისით, ყველა მის ნაკლოვანებასთან ერთად, მაინც იმ დროის ისტორიულ ლიტერატურაში წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა" — აღნიშნავს ჟებელიოვი.

თუკიდიდეს ნაშრომისათვის დამახასიათებელია სიტყვებიც, რომლებსაც ის აოქმევინებს ზოგიერთ მოქმედ პირს. სიტყვებს თუკიდიდე მიმართავდა უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა სურდა განემარტა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის თვალსაზრისი და გეგმები, დაესურათებინა შინაპოლიტიკური სიტუაცია.

განსაკუთრებით საყურადღებოა პერიკლეს სიტყვა ომში დაღუპული მეომრების სამარესთან (II, 35—46). ესაა თავისებური სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც მოსალოდნელ საბედისწერო განსაცდელთა წინაშე ათენის წყობილების აპოთეოზს წარმოადგენს. მეორე სიტყვა პერიკლეს წარმოუთქვამს მისი ავტორიტეტის შერყევის პირობებში, თავისი პოლიტიკისა და სამხედრო გეგმის გასამართლებლად (II, 59—64).

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თუკიდიდემ თვითონ გადაიტანა პელოპონესის ომი, მონაწილეობდა მასში, რამდენიმე წლის განმავლობაში ახლოს იდგა ისტორიულ მოვლენებთან და გაძევების შემდეგაც ხვდებოდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ მიმდინარე ამბებს. თუკიდიდე „ისტორიის მამად" წოდებულ ჰეროდოტეზე, თავის უფროს თანამედროვეზე, მაღლა იდგა. მისთვის უცხო იყო ჰეროდოტესათვის დამახასიათებელი ზოგიერთი გულუბრყვილო მოსაზრება. სასწაულებისა და წინასწარმეტყველებათა რწმენა. მას ახასიათებდა საღი კრიტიკა და თავისუფალი იყო შეგნებული ტენდენციურობისაგან. მისი ნააზრევი ეშყარებოდა ~~ამბების~~ ღრმა შესწავლასა და ანალიზს, დოკუმენტებს, ხელშეკრულებათა ტექსტებს, წარწერებსა და თვითმხილველთა მცოდნე პირებისაგან მიღებულ და შემოწმებულ ცნობებს. მისი ნაშრომის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მოფიქრებული და შინაარსიანია. როგორც ისტორიკოსი, თუკიდიდე გამოირჩევა ობიექტურობით. ის ცდილობს მიუდგომლად აგვიწეროს პელოპონესის ომთან დაკავშირებული ამბები. მისი მიუდგომლობა ნათლად ჩანს იმ ფაქტების გადმოცემაში, რომლებიც ამფიპოლისის ექსპედიციასთან დაკავშირებულ მის პირად მარცხს შეეხება; ასევე მიუდგომელია ორივე მებრძოლი მხარის დახასიათება და მათი მოქმედების შეფასება.

თუკიდიდეს ობიექტიურობა იმ რწმენიდან გამომდინარეობს, რომ ისტორიკოსი, ბუნებისმეტყველის მსგავსად, ისტორიული მოვლენების ყოველმხრივ მიუდგომელ შესწავლას უნდა ემსახურებოდეს. ეს გასაგებიცაა: თუკიდიდეს ცხოვრება და მოღვაწეობა პერიკლეს ბრწყინვალე ეპოქაში მოუხდა და იგი ნამდვილი შვილი იყო იმ განათლებისა, რომელსაც ათენი იმ საუკუნეებში განიცდიდა. თუკიდიდე აღიზარდა ანაქსაგორასა და პროტაგორას დროის რაციონალისტური და ჰუმანისტური იდეების სფეროში, რამაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა.

თუკიდიდე ითვლება ისტორიული კრიტიკის ფუძემდებლად. როდესაც ის მოკლედ მიმოიხილავს საბერძნეთის შორეულ წარსულს, გვეუბნება: „აი როგორი იყო ძველი დრო ჩემი გამოკვლევით, თუმცა ძნელია დაყრდნობა მის შესახებ ჩვენებებზე, განურჩევლად, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი. საქმე იმაშია, რომ ადამიანები ერთიმეორისაგან გადმოიღებენ ხოლმე თქმულებებს წარსულზე, თუნდაც ეს მათ სამშობლოს ეხებოდეს, ერთნაირად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ... ადამიანთა უმრავლესობას ეგოდენ მცირედ აფიქრებს ჭეშმარიტების ძიება და უფრო ხალისით იღებს მზა აზრებს“ (I, 20).

იმ ამბების შესახებ, რომლის თანამედროვეც თუკიდიდე ყოფილა, ის გარკვევით გვეუბნება, რომ არ ენდობოდა პირველი შემხვედრისაგან გადმოცემულ ამბავს, აღწერდა მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომელთა თვითმხილველიც იყო, იზიარებდა სხვებისაგან მოწოდებულ ცნობებს მხოლოდ თითოეული ფაქტის სრული შემოწმების შემდეგ. ძიება ამ მხრივ ძნელი ყოფილა, ვინაიდან ერთსა და იმავე შემთხვევაზე მნახველნი სხვადასხვანაირად მოუთხრობდნენ.

ამგვარად, თუკიდიდე პირველი სვამს ანტიკურ ისტორიოგრაფიაში წყაროების შემოწმებისა და თვითმხილველთა მონათხრობის გარკვევის პრობლემას. თუკიდიდე ძალიან მაღლა აყენებს ისტორიკოსის ამოცანას და ისტორიოგრაფიის ისეთ პირველ წარმომადგენლად გვევლინება, რომელიც ცდილობდა მისთვის ნამდვილად მეცნიერული ხასიათი მიეცა.

თუკიდიდე ერთმანეთისაგან განასხვავებს პელოპონესის ომის უშუალო საბაბს (კერკირასა და პოტიდეას კონფლიქტები, მეგარას ფსეფიზმა) მისი ძირითადი მიზეზისაგან. ომის ნამდვილი მიზეზი, მისი აზრით, იყო ის, რომ „ათენელებმა თავისი გაძლიერებით ლაკედიმონელებს შიში აღუძრეს და ამით აიძულეს ისინი დაეწყოთ ომი“ (I, 23, 5). რომ

ეჩვენებინა, თუ რატომ წარმოიშვა ეს მტრობა, თუკიდიდე მიკლედ მოგვითხრობს ათენის ძლევამოსილი განვითარების ისტორიას.

თუკიდიდეს ახასიათებს ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერების წარმოდგენა და იმის რწმენა, რომ მსგავსი მიზეზები და პირობები მსგავს შედეგებს იწვევს. ისტორიულ მოვლენათა განმარტებაში ის დიდ როლს მიაკუთვნებს ფსიქოლოგიურ მოტივებს. ცნობილია, რომ პელოპონესის ომის დროს მთელ საბერძნეთში მძვინვარებდა პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა. თუკიდიდე ამ ბრძოლის ამბებს, ერთი მხრივ, მხოლოდ საბუნებრო ისტორიასთან დაკავშირებით ეხება, ხოლო მეორე მხრივ, იგი წარმოდგენილი აქვს ბერძნების ცხოვრების გაუსეშებისა და მორალური დონის დაქვეითების მაჩვენებლად. ამ მიმართებით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მსჯელობა კუნძულ კერკირაზე მომხდარი სამოქალაქო ომის შესახებ.

თუკიდიდე ცდილობს მიუდგომლად აგვიწეროს კერკირაზე დაწყებული სამოქალაქო ომის ეპიზოდები (III, 70—85). ის არ მალავს, რომ როცა კერკირაზე მწვავე ბრძოლისას დემოკრატებმა და ოლიგარქოსებმა მახლობელ მინდვრებში მაცნეები წარგზავნეს და მონებს თავისუფლების აღთქმით თავიანთ მხარეზე მოუწოდეს, მათი უმრავლესობა დემოკრატებს მიემხრო (III, 73) და დემოკრატებმა გაიმარჯვეს. იგი არ მალავს ორივე მებრძოლი მხარის სისასტიკეს, ულმობლობასა და დაუნდობლობას და ყოველივე ამას ასე ახასიათებს: „ასეთ გამძვინვარებამდე მივიდა შინაბრძოლის შუღლი და მტრობა. ის მით უფრო საშინელი გამოჩნდა, რომ პირველად გამოვლინდა... ამგვარად, შინაომი სუფევდა სახელმწიფოებში... ადამიანთა უმეტესი ნაწილი უფრო ხალისით ეთანხმება მათ მოხერხებული ბოროტმოქმედი უწოდოს, ვიდრე კეთილმოქმედი მიამიტი: უკანასკნელი სახელწოდების მათ რცხვენიათ, პირველით კი ამაყობენ“. თუკიდიდეს სიტყვით, დემოკრატიული პარტიის მესვეურები უპირატესობას ხალხის პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას აკუთვნებდნენ, მოპირდაპირეები კი — არისტოკრატიის ზომიერ მმართველობას, მაგრამ ერთნიც და მეორენიც: „სინდისს ფრაფრად აგდებდნენ და გარეგნულად საპატიო მოსაზრების მოხმარებით, აიძულებდნენ მათზე უფრო ხმამაღლა ელაპარაკათ იმათ, ვინც ახერხებდა სამარცხვინო გზით რაიმე მიზნის მიღწევას. ორივე მხარე სპობდა უპარტიო მოქალაქეებს ან იმიტომ, რომ ისინი მათ მოთხოვნილ დახმარებას არ უწევდნენ, ანდა იმიტომ, რომ შურს აღუძრავდნენ თავისი არსებობით“.

ამგვარად, შინაბრძოლის გამო, ზნეობა ძლიერ დაეცა ელინებს შორის და ის გულმართლობა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია კეთილშობილებისა, სასაცილოდ იქნა აგდებული და გაქრა (III, 82, 8; III, 83, 1—2). ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ კუნძულ კერკირაზე ამტყდარი სამოქალაქო ომის მიზეზებს (III, 84) თუკიდიდე სათანადო სიღრმით ვერ ჩაწვდა, თავისებურ ფსიქოლოგიურ მოტივებზე დამყარებით, ადამიანის დანაშაულებრივ ბუნებაზე ჩივილით დაკმაყოფილდა და, საერთოდ იმ დროის სოციალური ბრძოლის ამბებიც მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებით წარმოგვიდგინა.

ყურადღების ღირსია ის, რომ საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდის რეკონსტრუქციაში თუკიდიდეს მომარჯვებული აქვს ეგრეთ წოდებული უკუქცევითი დასკვნის მეთოდი: აწმყოდან წარსულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ. ამ მიმართულებით იხილავს და ფარიოდ იყენებს იგი „ეპოსის მოწმობას", ტოპოგრაფიულ ცნობებს, ნივთიერ ძეგლებს, კულტურის მხრივ უფრო მეტად ჩამორჩენილ ბერძენ ტომთა და „ბარბაროსების" ყოფა-ცხოვრებას, შემონახულ სახელწოდებებს, ჩვეულებებს, დღესასწაულებს და სარწმუნოებრივ წესებს, ერთი სიტყვით, იმას, რასაც ჩვენ ახლა კულტურულ გადმონაშთებს ვუწოდებთ.

ისტორიულ ამბებს თუკიდიდე გადმოგვცემს ზებუნებრივი ძალებისა და ღვთაების უშუალო ჩარევის სრული უკუგდებით. მართალია, იგი არ უარყოფს ღმერთებს და ღვთაებრივ საწყისს, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნია ზებუნებრივი ძალებისა და ღვთაების უშუალო ჩარევა ადამიანთა საქმეში და ცდილობს ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები ბუნებრივი მიზეზებით გაგვიშუქოს. თუკიდიდე კრიტიკულად უდგებოდა ორაკულებსა და წინასწარმეტყველების გამონათქვამებს. მართალია, ზოგჯერ იგი მათ ახსენებდა. მაგრამ არა იმიტომ, რომ მათი სჯეროდა, არამედ ხალხის განწყობილებაზე მათ გავლენას ღნიშნავდა. ორაკულის ზოგიერთი გამონათქვამის განმარტებისას თუკიდიდე თავისებურ კრიტიკულ მიდგომას გვიჩვენებს. ომის დასაწყისში პელოპონესელების შემოსევის დროს ატიკელები იძულებულნი იყვნენ თავშესაფარი ათენში მოეძებნათ და, ვინაიდან ზოგიერთს ადგილი არ ყოფნიდა, მათ დაუკავებიათ პელარგიკონი, ათენის აკროპოლისის ძირში მდებარე ფართობი, სადაც თურმე არავინ ბინადრობდა მისნის წყევლა-

კრულვის გამო, რომელიც აცხადებდა: „უმჯობესია პელარგიკონი დაუმუშავებელი იქნეს“. „მე მგონია , — ამბობს თუკიდიდე, — ორაკული შესრულდა იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ვარაუდობდნენ, სახელდობრ: ქალაქს თავს დაატყდა უბედურება არა ამ ადგილის უკანონო დასახლების გამო, არამედ თვით საჭიროება პელარგიკონის დასახლებისა წარმოიქმნა ომის მიზეზით; ორაკულს ომი არ დაუსახელებია, წინასწარ გამოიცნო, რომ ეს ადგილი არასოდეს იქნებოდა დასახლებული ბედნიერ მდგომარეობაში“ (II, 17).

მეორე მაგალითი გულისხმობს იმ მძიმე განწყობილებას, რომელმაც მოიცვა ათენელები ჭირის გავრცელების დროს. „უბედურებაში, რაც ბუნებრივია, — გადმოგვცემს თუკიდიდე, — მოიგონეს ტაეპი, რომელიც, მოხუცების სიტყვით, ძველი დროიდან ასე ეღერდა: „დადგება დორიული ომი და მასთან ერთად ჭირი“. წარმოიქმნა დავა, რომ ამ ტაეპში ძველების მიერ დასახელებულია არა ჭირი (λοιμός), არამედ შიმშილი (λιμός). არსებულ ვითარებაში, ცხადია, გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ ტაეპში მოხსენებულია ჭირი, იმიტომ რომ ადამიანები თავის მოგონებებს უკავშირებდნენ განცდილ უბედურებას. მე კი მგონია, რომ, თუ ოდესმე ატყდება სხვა დორიული ომი და მას შიმშილი დაემთხვევა მაშინ ალბათ სწორედ ასე წაიკითხავენ ამ ტაეპს“ (II, 54).

ასეთია ზოგად ხაზებში თუკიდიდეს როგორც ისტორიკოსის შემოქმედება.

ჩვენი დროის მკვლევრები მაღალ შეფასებას აძლევდნენ თუკიდიდეს შემოქმედებას და მას ანტიკური ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლად მიიჩნევენ. არც ერთ ანტიკურ ისტორიკოსთაგანს ისე არ უახლოვებდნენ თანამედროვე მკვლევრებს მეთოდისა და მასალისადმი კრიტიკული მიდგომის მხრივ, ისე არ აფასებდნენ განსაკუთრებული მიუდგომლობისათვის, მხატვრული თხრობისათვის, პოლიტიკური გაგებისა და ფილოსოფიურ იდეალთა სიღრმისათვის და ისე ხშირად არ უყენებდნენ მაგალითად გვიანდელ თაობებს, როგორც თუკიდიდეს.

ცნობილი მკვლევარი ე დ. მ ა ი ე რ ი გვარწმუნებს, რომ „არის და იქნება ისტორიის მხოლოდ ერთი ტიპი და ისტორიული პრობლემების ერთი მეთოდი, სრულყოფილი და აღუმატებელი, რომლის ნიმუში ათენელმა თუკიდიდემ წარმოგვიდგინა“. „თუ მიუდგომლად და ყოველმხრივ შევაფასებთ მას, — წერს აკად. ვ. ბ უ ზ ე ს კ უ ლ ი, — მისთვის ჩვეული ზომიერების დაცვით, და მხედველობაში მივიღებთ მისი

ცხოვრების დროს და მეცნიერების მაშინდელ მდგომარეობას, საერთოდ ის დარჩება... ერთ უდიდეს ისტორიკოსად და სარწმუნო წყაროდ იმდენად, რამდენადაც შეიძლება სარწმუნო იყოს ადამიანის ნაწარმოები".

აკად. ს. ყ ე ბ ე ლ ი ო ვ ს თუკიდიდე მიაჩნია არა მხოლოდ დიდ ისტორიკოსად, არამედ თავისებურ მწერალ-სტილისტად. „ახლა უყვართ, — წერს იგი,—თუკიდიდე დაუპირისპირონ თანამედროვე ისტორიკოსებს და ეს დაპირისპირება მეტწილად სავსებით საფუძვლიანია".

თუკიდიდეს რადიკალურად უარყოფითი შეფასება წამოაყენა 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში ე. შ ვ ა რ ტ ც მ ა. მისი აზრით, თუკიდიდეს ნაშრომი შეიცავს არა მარტო დაუმთავრებელ, არამედ აუტორის მიერ დაუმუშავებელ მასალას და წარმოადგენს დაუსრულებელი მონახაზების კონგლომერატს.

სამაგიეროდ, თუკიდიდეს მაღალი შეფასებაა მოცემული კოხრეინის 1929 წელს გამოცემულ ნარკვევში: „პელოპონესის ომის ისტორიის" ავტორი მას მიაჩნია განათლების ეპოქის ნამდვილ შვილად, მოაზროვნედ, რომელიც ანაქსაგორას და პროტაგორას ეპოქის რაციონალისტურსა .და ჰუმანისტურ ატმოსფეროში აღიზარდა.

აკადემიკოსი ვლადისლავ ბ უ ზ ე ს კ უ ლ ი საბოლოოდ ასე დაასკვნის: „მე მინდოდა მხოლოდ რამდენიმე მაგალითით მეჩვენებინა, თუ რამდენად ახლოს მოვიდა ძველი დროის უდიდესი ისტორიკოსი იმ ამოცანებთან, ხერხებთან და შეხედულებებთან, რომლებიც XIX საუკუნის მეცნიერებამ წამოაყენა".

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ი

ქსენოფონტი დაიბადა ათენში. ეკუთვნოდა წარჩინებულსა და მდიდარ საგვარეულოს.

ქსენოფონტის დაბადების წელი წყაროებში არ არის და არც მეცნიერთა მიერაა ზუსტად დადგენილი. ზოგი დაბადების თარიღად ძვ. წ. 444 წელს ვარაუდობს, ზოგიც — 420 წელს.

ოცდაათის ტირანიის დროს (404—403) ქსენოფონტი ათენში ყოფილა. ამ დროის ამბები მან ცოცხლად აგვიწერა თავის „ჰელენიკაში", ანუ „საბერძნეთის ისტორიაში".

მართალია, ოცდაათის ტირანიის მმართველობაში ქსენოფონტს რაიმე მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია, რაც იქიდან ჩანს, რომ მას

დემოკრატიის გამარჯვების შემდეგ არავითარი ბრალდება არ წაუყენეს, მაგრამ, როგორც წარჩინებულთა წრის შთამომავალსა და სოკრატეს მიმდევარს (ხოლო სოკრატე დემოკრატიის მოწინააღმდეგე იყო), მაინც აღარ შეეძლო მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო საქმეებში და ამჯობინა გასცლოდა მშობლიურ ქალაქს.

ქსენოფონტი ბერძენთა დაქირავებულ ჯართან ერთად გაემგზავრა სპარსეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო სამეფო ტახტის ირგვლივ ატეხილ ძმათა შორის ბრძოლაში, კიროს უმცროსის მხარეზე.

კიროს უმცროსი მცირე აზიის მხარეთა მმართველი იყო და თავისი უფროსი ძმის, სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს ტახტიდან ჩამოსაგდებად გაილაშქრა.

ქსენოფონტი აღნიშნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევია მის ერთ-ერთ მეგობარს, ვინმე პროქსენს.

აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის იდეა ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთში. კიროსის ლაშქრობაში ბერძენთა მონაწილეობა იყო პრელუდია ელინური სამყაროს ექსპანსიისა, რაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ესოდენ ბრწყინვალედ განხორციელდა ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით.

კიროსის ლაშქარი დამარცხდა კუნაქასთან, ბაბილონის მახლობლად (401). ბერძენთა ლაშქარმა სამშობლოსაკენ იბრუნა პირი, მესოპოტამიის, არმენიისა და მცირე აზიის გავლით. უკან დაბრუნებული ჯარის მეთაური ყოფილა ხეირისოფოსი. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს რომ მიაღწიეს, ხეირისოფოსი გაემგზავრა სანაპირო ქალაქებში ხომალდების საშოვნელად, რათა ჯარი გადაეყვანა სამშობლოში. რადგან ხეირისოფოსი კარგა ხანს აღარ გამოჩნდა და არც არაფერი ისმოდა მის შესახებ, ჯარმა ახალი უფროსები აირჩია, მათ შორის ქსენოფონტიც.

მძიმე მოგზაურობა-ლაშქრობის დროს შემცირებული ბერძენთა ლაშქარი ჯერ თრაკიის მეფის სამსახურში შევიდა, სოლო როდესაც ორი წლის შემდეგ მცირე აზიაში მივიდა სპარტის მეფე აგეზილაოსი და დაიწყო სპარსელებთან შეტაკებები, ეს ლაშქარი აგეზილაოსის სამსახურში გადავიდა.

ამ გარემოებამ ქსენოფონტი სამუდამოდ დააკავშირა სპარტასთან. იგი დიდი თაყვანისმცემელი შეიქნა აგეზილაოსისა. სპარტაში გაწვეულ აგეზილაოსს ქსენოფონტიც თან გაჰყვა. მას მოუხდა მონაწილეობის

მიღება ათენის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელმაც იმ პერიოდში კავშირი შეკრა თებესთან.

ათენელებმა ქსენოფონტს ეს ღალატად ჩაუთვალეს და გადაწყვეტილიათ ათენიდან მისი გაძევება. იგი დასახლებულა ელიდის[1] ქალაქ სკილუნტში, ოლიმპიის მახლობლად. ცხოვრობდა მამულში, რომელიც სპარტელებისაგან ჰქონია ბოძებული. ეს ადგილი მდებარეობდა ლაკედემონიიდან ოლიმპისაკენ მიმავალ გზაზე.

სკილუნტში ქსენოფონტი მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა თავის ოჯახთან ერთად, მისდევდა სოფლის მეურნეობასა და ნადირობას. აქ მდებარეობდა ნაყოფიერების ქალღმერთ არტემიდას ტაძარი, რომლის კუთვნილ მამულებზე იყო ფართო საძოვრები და ხილის ბაღები. მოსავლის ნაწილს ქალღმერთის ტაძარს სწირავდნენ.

ამ განმარტოებული და მყუდრო ცსოვრების დროს ქსენოფონტმა ხელი მიჰყო ლიტერატურულ მოღვაწეობას. მეცნიერთა აზრით, ქსენოფონტის მიერ აქ უნდა იყოს დაწერილი „კიროპედია" და „ანაბაზისი". სკილუნტში ქსენოფონტი ცხოვრობდა ძვ. წ. 370 წლამდე.

ქსენოფონტის მშვიდი ცხოვრება დაარღვია ძვ. წ. 371 წელს სპარტასა და თებეს შორის ატეხილმა ომმა, რომელმაც მთელი პელოპონესი მოიცვა.

ქსენოფონტი იძულებული გახდა დაეტოვებინა სკილუნტი და გადასულიყო ნეიტრალურ კორინთოში, მისი ვაჟები კი ომში მონაწილეობდნენ. ერთი მათგანი, ბრძოლის ველზე დაცემულა როგორც სპარტელთა ბელადი. მისთვის ძეგლიც დაუდგამთ.

ამ ომში ათენი სპარტის მოკავშირე იყო. ალბათ ქსენოფონტის ვაჟის თავგანწირვამ გამოისყიდა მამის დანაშაული. ათენელებმა ქსენოფონტს აპატიეს უწინდელი ღალატი და ნება დართეს დაბრუნებულიყო მშობლიურ ათენში. მაგრამ ქსენოფონტს ეს არ მოუსურვებია და საცხოვრებლად კორინთოში დარჩენილა.

ქსენოფონტის კორინთოში ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ მას იქ დაუწერია თავისი შრომის „საბერძნეთის ისტორიის" („ჰელენიკას") უკანასკნელი წიგნები. ამავე დროს განეკუთვნება მისი თხზულება „შემოსავალზე", რომელიც ეხება ათენის სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაძლებელია, რომ ქსენოფონტი ათენში დაბრუნებას აპირებდა და ამით სურდა

---

[1] ელიდა — პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთ ოლქი.

მოეგო თანამემამულეების გული. თუმცა სხვა მოსაზრებათა გამო, მეცნიერნი თვლიან, რომ ეს შრომა უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი. „საბერძნეთის ისტორიას“ ქსენოფონტი ამთავრებს ძვ. წ. 357 წლით.

როგორც წარჩინებული წრის წარმომადგენელს, ქსენოფონტს, მაშინდელი დროის შესაბამისად, კარგი განათლება მიეღია. ყოფილა სოკრატეს მოწაფე, რომელიც აშკარად ანტიდემოკრატიულად იყო განწყობილი. მაგრამ ასეთი განწყობილება მაშინ მარტო სოკრატესა და მისი წრისთვის როდი იყო დამახასიათებელი.

პელოპონესის ომში ათენის დამარცხებამ მოსახლეობის მოწინავე ნაწილს გული გაუტეხა ათენის დემოკრატიაზე. საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა და თანდათან განმტკიცდა სპარტაში გამეფებული არისტოკრატიული წყობილებისადმი თანაგრძნობა, რაც მალე მის მხურვალე მხარდაჭერაში გადაიზარდა. საზოგადოების ასეთ განწყობილებას შეარქვეს ლაკონომანია.

ლაკონომანია, პირველ ყოვლისა, ათენის წარჩინებულთა წრეებისათვის იყო დამახასიათებელი და ქსენოფონტისთვისაც ეს ბუნებრივი იყო, როგორც ამავე სოციალურ წრიდან გამოსულისათვის. ეს მსოფლმხედველობა ბოლომდე შერჩა ქსენოფონტს, რაც თავს იჩენს მის პოლიტიკურ მრწამსში, აგრეთვე მის რელიგიურ რწმენა-შეხედულებებში. იგი თავდადებული მომხრეა სპარტის არისტოკრატიული სახელმწიფო წყობილებისა. ქსენოფონტს სწამდა წინანიშნები, რითაც თანამედროვეთაგან არ განსხვავდებოდა. იგი თავისი დროის საზოგადოებისა და სოციალური წრის ჩვეულებრივი წარმომადგენელია.

ქსენოფონტი დემოკრატიის წინააღმდეგი იყო, რაც თავს იჩენს მის თხზულებებში. ეს ითქმის განსაკუთრებით „საბერძნეთის ისტორიაზე“, რომელშიც ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ სპარტის ოლიგარქიული წყობა უკეთესია დემოკრატიაზე.

ქსენოფონტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც თავდებოდა კლასიკური საბერძნეთის ეპოქა და უნდა დაწყებულიყო ახალი — ელინიზმის ეპოქა. თავდებოდა ეპოქა პოლის-სახელმწიფოებისა, რომლებიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულადაც მცირე, კარჩაკეტილ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ისინი უნდა შეეცვალა მსხვილი მონარქიების ეპოქას, სადაც დიდი გასაქანი ექნებოდა ფართო ეკონომიკურ ურთიერთობა-კონტაქტებს, პიროვნების ინდივიდუალობას. ამას კი თან სდევდა პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, დიდი ადამიანის კულტის აღმოცენება.

ეპოქის წინაშე მდგარი ამოცანების შეგნებიდან გამომდინარეობდა ქსენოფონტის შეხედულებანი ახალგაზრდის აღზრდასა და ცხოვრებისეულ მისწრაფებებზე. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოქალაქეს მოითხოვდა მომავალი ცხოვრება, ქსენოფონტი კიცხავს ათენელთა აღზრდის ძველ წესებს, რადგან ეს ახალგაზრდას აძლევდა მხოლოდ ცალმხრივსა და ისიც არა პოზიტურ, პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას. მას მისაღებად მიაჩნია სპარტული წესები, რომელიც პრაქტიკულ მიზნებთან ახლოს დგას. ქსენოფონტის აზრით, საჭირო იყო ადამიანში ხასიათის აღზრდა-გამომუშავება და სასარგებლო ცოდნის შეძენა. კაცს უნდა შეეძლოს მეურნეობასაც გაუძღვეს და მეომრადაც გამოდგეს.

ზემოაღნიშნული შეხედულებანი გატარებულია ქსენოფონტის თხზულებებში. იგი მრავალ რამეზე წერდა, მაგრამ მოვლენათა სიღრმეს ვერა სწვდებოდა. რაც შეეხება სანდოობას, ზოგ მკვლევარს უყოყმანოდ სჯეროდა ყველაფერი, რასაც ქსენოფონტი მოგვითხრობს; ზოგი, პირიქით, უნდობლობით ეპყრობოდა მისი შრომის შინაარსს და სრულებით უგულებელყოფდა მას (ნიბური და მისი სკოლა).

მეცნიერნი სხვა წყაროებით დარწმუნდნენ ქსენოფონტის როგორც ისტორიკოსის კეთილსინდისიერებაში. მეცნიერული კრიტიკა აღიარებს, რომ, ზოგიერთი ტენდენციურობის მიუხედავად, ქსენოფონტის შრომები გამოირჩევა ისტორიული სინამდვილის გადმოცემით. იგი უმრავლეს შემთხვევაში მოგვითხრობს ფაქტებსა და მოვლენებს ზუსტად და საქმის ცოდნით, განსაკუთრებით, როდესაც მის მიერ ნახულსა და განცდილზე მოგვითხრობს.

ქსენოფონტი ძველი დროის ერთ-ერთი ნაყოფიერი მწერალია. მას მრავალი შრომა დაუწერია. ამასთანავე, თითქმის ყველა შრომა მთლიანად არის ჩვენამდე მოღწეული და ძალზე კარგად შენახული.

ქსენოფონტის თხზულებანი, შინაარსის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. ისტორიული თხზულებანი. ასეთებია: „ჰელენიკა" ანუ „საბერძნეთის ისტორია", „ანაბაზისი" ანუ „ლაშქრობა ზემო აზიაში".

2. ე. წ. „სოკრატული თხზულებანი". ამათ რიცხვს განეკუთვნება: „მემორაბილია", ე. ი. „მოგონებანი სოკრატეს შესახებ"; „სოკრატეს აპოლოგია"; დიალოგები — „ნადიმი" და ე. წ. „ოიკონომიკოს".

3. ისტორიულ-პოლიტიკური რომანი „კიროპედია" (კიროსის აღზრდა).

4. თხზულებანი ცალკეულ საკითხებზე: „აგეზილაოსი“ (აგეზილაოსის ხოტბა-ბიოგრაფია); „ლაკედემონელთა სახელმწიფო“ (სპარტის სახელმწიფო წყობილების აპოლოგია); „შემოსავალზე“ (ათენის სახელმწიფო ფინანსებს ეხება); „ჰიერონი“ (მსჯელობა ტირანიაზე); ორი თხზულება სამხედრო საქმეზე — „მხედრობის შესახებ“ (ეხება ცხენის გამოყენებას მხედრის მიერ); „ცხენოსანი ჯარის უფროსზე“, დაბოლოს, „ძაღლებით ნადირობის შესახებ“.

ქსენოფონტს მიაწერენ აგრეთვე ტრაქტატს „ათენელთა სახელმწიფოს შესახებ“, მაგრამ იგი მას არ ეკუთვნის და ამიტომ მისი ავტორი ფსევდოქსენოფონტად იწოდება.

ქსენოფონტის თხზულებებიდან აშკარად ჩანს მისი პოლიტიკური შეხედულებანი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქსენოფონტი იყო სპარტის ოლიგარქიის თავგამოდებული მომხრე და საქმით ამტკიცებდა ამ განწყობილებას. თავის თხზულებებში ის რამდენჯერმე უპირისპირებს ერთმანეთს ათენის დემოკრატიულსა და სპარტის არისტოკრატიულ წყობას და გადაჭრით აძლევს უპირატესობას ამ უკანასკნელს. ქსენოფონტი მოუწოდებს ათენელებს, მიბაძონ სპარტელებს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანისათვის, მოქალაქისათვის საჭიროა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი აღზრდა, რათა მან პირნათლად შეასრულოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. მისი სურვილია აღიზარდონ ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნარი ექნებათ გაუძღვნენ როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო საქმეებს.

აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტი აღიარებდა ეკონომიური ფაქტორის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც მაშინ თავისებურ სიახლეს წარმოადგენდა.

მიჩნეულია, რომ ქსენოფონტმა ლიტერატურულ მოღვაწეობას ხელი მიჰყო ძვ. წ. 387 წლის შემდეგ, როდესაც სკილუნტში დასახლდა. მაგრამ საფიქრებელია, რომ „სოკრატეს აპოლოგია“ და „მემორაბილია“, ანუ „მოგონებანი“ სოკრატეზე უფრო ადრეა დაწერილი და უახლოვდება სოკრატეს სიკვდილით დასჯის დროს. ამას უფრო მეტი ეფექტი უნდა გამოეწვია საზოგადოებაში. ამასთანავე, „მემორაბილია“ („მოგონებანი“) ლტოლვილის განწყობილებით კი არ არის დაწერილი, არამედ ავტორის ფიქრი მშობლიურ ათენს დასტრიალებს თავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თხზულება ძვ. წ. 387 წლამდე უნდა იყოს

დაწერილი. თხზულების შინაარსია სოკრატეს საუბრები სხვადასხვა თემაზე. იგი ოთხი წიგნისაგან შედგება.

პირველ წიგნში ქსენოფონტი უკუაგდებს სოკრატესადმი წაყენებულ ბრალდებას, რომ იგი არა ცნობს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ღმერთებს და აქვე განიხილავს ზოგ საკითხს სამყაროს აგებულებისა და ადამიანის შესახებ.

მეორე წიგნში ლაპარაკია ადამიანთა ურთიერთობაზე კერძო ცხოვრებაში, ოჯახზე, მეგობრობაზე და სხვა. მესამე წიგნში აღძრულია სახელმწიფო წყობილების საკითხები, საზოგადოებრივ მოვალეობათა შესახებ და სხვა. მეოთხე წიგნში განხილულია სხვადასხვა დარგში ცოდნის შეძენის აუცილებლობაზე.

„მემორაბილიაში" ქსენოფონტი საკუთარ აზრებს გამოთქვამს სოკრატეს სახელით. სოკრატეს ცხოვრება და მისი შეხედულებანი არ შეიძლება აქ სწორად იყოს გადმოცემული, რადგან სოკრატეს ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ქსენოფონტი ათენიდან წასული იყო და არც სოკრატეს სასამართლო პროცესს დასწრებია. ამასთანავე, ქსენოფონტს სოკრატეს შესახებ ბევრი რამ უკვე დაეწყებული უნდა ჰქონოდა. ხშირად იგი სოკრატეს ნააზრევად ასაღებს საკუთარ აზრსა და ფილოსოფიას. ამიტომ ძნელი დასადგენია, რა ეკუთვნის სოკრატეს და რა — თვით ქსენოფონტს.

„კიროპედია" 8 წიგნისაგან შედგება. პირველ წიგნში, ერთგვარი პოლიტიკური წინასიტყვაობის შემდეგ, მოთხრობილია სპარსეთის სახელმწიფოში ბიჭების აღზრდის მეთოდზე. შემდეგ მოთხრობილია კიროს უფროსის ბავშვობაზე, როდესაც ის ცხოვრობდა თავის პაპა მიდიის მეფე ასტიაგთან. გამოტოვებულია ჭაბუკობის ხანა. პირველი წიგნი თავდება იმ ვრცელი საუბრით, რომელიც კიროსს ჰქონდა თავის მამა კამბიზთან, ასურეთის წინააღმდეგ ლაშქრობის წინ.

მეორე წიგნიდან იწყება თხრობა ლაშქრობაზე, რომელიც მთავრდება მეშვიდე წიგნით. მასში ქსენოფონტი მთავარ ადგილს უთმობს არა სამხედრო ოპერაციებს, არამედ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ სხვადასხვა რთულ მდგომარეობაში როგორ გამოავლენს კიროსი თავის ხასიათს და როგორ ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა.

მერვე წიგნი ეპილოგს წარმოადგენს. აქ გადმოცემულია კიროსის საერთო დახასიათება და ამბავი მთავრდება კიროსის გარდაცვალებით. ბოლოს გადმოცემულია მორალური დასკვნები, გაკრიტიკებულია სპარ-

სეთის ზნე-ჩვეულებები, რომელთა დაცემაც გამოიწვია იმან, რომ სპარსელებმა უღალატეს კიროსის ნაანდერძებს.

„კიროპედიის“ შინაარსი ავტორს ფართოდ ჰქონია მოფიქრებული. მას სურდა ძირითადში გადმოეცა თავისი პოლიტიკური შეხედულებანი და გზადაგზა შეეხებოდა ფილოსოფიისა და მორალის სხვადასხვა საკითხებს; აგრეთვე მოეწოდებინა პრაქტიკული მნიშვნელობის ცნობები სამხედრო ხელოვნებაზე.

მართლაც, „კიროპედია“ უფრო პოლიტიკურ თხზულებას წარმოადგენს. მისი მიზანია მონარქიის აპოლოგია.

თაყვანისცემა პიროვნებისადმი, მის წინაშე ქედის მოხრა— საერთო იყო მაშინდელი საზოგადოებისათვის. ეს მსოფლმხედველობა განმტკიცდა მომდევნო ელინისტურ ეპოქაში. ამდენად, ქსენოფონტი და მისი თანამოაზრენი ელინიზმის წინამორბედებად არიან მიჩნეული. ინელისელი ისტორიკოსი მაჰაფი მას „ელინიზმის პირველ წინამორბედს“ უწოდებს.

მმართველობის საუკეთესო ფორმად ქსენოფონტს მიაჩნია ერთპიროვნული ძალაუფლება „კეთილგონიერი“ მონარქის ხელში.

ქსენოფონტი უგულებელყოფს კანონებს.

„კიროპედიაში“ ფაქტები ხშირად დამახინჯებულია.

ჩვენამდე მოაღწია ქსენოფონტის ისტორიული შინაარსის ორმა მოზრდილმა შრომამ. ესენი არიან: 1. „ანაბაზისი“ ანუ „ლაშქრობა ზემო აზიაში“ და 2. „ჰელენიკა“ ანუ „საბერძნეთის ისტორია“.

ორივე შრომა საინტერესოა როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით.

სპარსეთში სამეფო ტახტის ირგვლივ ატეხილ ომში კიროსის მხარეზე, რომელმაც მცირე აზიიდან თავისი მომხრე ჯარით გაილაშქრა ბაბილონზე, ძმის არტაქსერქსეს ტახტიდან ჩამოგდების მიზნით, იყო ბერძენთა დაქირავებული ლაშქარი 10 000 კაცის რაოდენობით. კუნაქსასთან მომხდარ ბრძოლაში კიროსი დაიღუპა და 10 000 ბერძენი, მცირე აზიის გავლით, სამშობლოში დაბრუნდა.

„ანაბაზისში“ კიროსის ლაშქრობა და 10 000 ბერძენი მებრძოლის უკან დაბრუნებაა აღწერილი.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ბერძენთა ეს ლაშქრობა სპარსეთში უმნიშვნელო მოვლენა არ იყო. თუ, ერთი მხრივ, სპარსეთი ცდილობდა მოეპოვებინა გავლენა ელინურ სამყაროზე, მეორე მხრივ, თვით ბერძ-

ნებიც აღმოსავლეთში ექსპანსიისაკენ ისწრაფოდნენ. კიროსის მოკავშირეების სახით სპარსეთში დაქირავებული ჯარის შეჯრამ ცხადლივ დაანახა ელინებს სპარსეთზე თავდასხმის შესაძლებლობა და გაუქარწყლა შიში მანძილისა და სხვა სიძნელეთა წინაშე. ამ ფაქტმა მის თანამედროვეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, რასაც ის გარემოება ადასტურებს, რომ მთელ რიგ ლიტერატურულ ნაწარმოებებში აუსახიათ. ამ ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოულწევია და მათ შესახებ ზოგი რამ მხოლოდ სხვათა შრომებში შემონახული ცნობების საშუალებით ვიცით.

ასე მაგალითად, ექიმსა და ისტორიკოსს კტესიასს, რომელიც არტაქსერქსე II მკურნალი იყო, დაუწერია აღმოსავლეთის ვრცელი ისტორია, სადაც მოთხრობილი ყოფილა ბერძენთა დაქირავებული რაზმის მოქმედება.

ამავე რაზმის აღმოსავლეთში ლაშქრობა აღუწერია აგრეთვე მის ერთ-ერთ მონაწილეს სტრატეგოს სოფენეტს. მკვლევართა აზრით, დიოდორე სიცილიელთან (XIV, 19—31, 37) შემონახული თხრობა ამ ლაშქრობის შესახებ, სწორედ სოფენეტის შრომიდან მომდინარეობს.

აღნიშნული ნაწყვეტები თავისთავად საინტერესოა, მაგრამ პირველი ადგილი იმ წყაროთა შორის, საიდანაც მეცნიერება იღებს ცნობებს კიროსის დაქირავებული ჯარის ლაშქრობის შესახებ, უდავოდ განეკუთვნება ქსენოფონტის „ანაბაზისს“ არა მარტო იმიტომ, რომ ეს შრომა მთლიანად არის გადარჩენილი, არამედ იმ ღირსებათა გამო, რომელიც მას აქვს როგორც უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის ცნობარსა და როგორც ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლს. „ანაბაზისს“ დიდად აფასებდნენ ბერძნები და რომაელები. იგი დღესაც წარმოადგენს ძველბერძნული ლიტერატურის პოპულარულ ნაწარმოებს.

„ანაბაზისი“ შედგება 7 წიგნისაგან. თხზულების წიგნებად დაყოფა ის მოკლე შეჯამება ყოველი წინა წიგნისა, რომლითაც იწყება თითოეული მომდევნო წიგნი, ქსენოფონტს არ უნდა ეკუთვნოდეს.

„ანაბაზისის“ დაწერის დრო საბოლოოდ დადგენილი არ არის. ვარაუდობენ, რომ ავტორს ლაშქრობისდროინდელი ჩანაწერები უნდა ჰქონოდა ხელთ, რომელშიაც ზოგი რამ, მაგალითად მგზავრობის დრო და მანძილები, ზუსტად იყო აღნიშნული. ეს მასალა მას შემდეგში გადაუმუშავებია და მიუცია ლიტერატურული შრომის ფორმა.

როგორც ითქვა, სპარსეთიდან უკან გამობრუნებულ ბერძენ მოლაშქრეებს, სხვა სტრატეგოსებთან ერთად, სათავეში ედგა ქსენოფონ-

ტიც. ამდენად, თავის თხრობაში მას ლაპარაკი უხდება საკუთარ საქმიანობაზე, ამიტომ შრომა გამოუქვეყნებია თემისტოგენ სირაკუზელის ფსევდონიმით.

გარდა იმისა, რომ ამ ფაქტზე თვითონ ქსენოფონტი მიუთითებს თავის „საბერძნეთის ისტორიაში", სადაც აღნიშნავს, რომ კიროსის დაღუპვის შემდეგ ბერძენთა ლაშქრის უკან დაბრუნება აღწერილია თემისტოგენ სირაკუზელის წიგნშიო, კარგად სცოდნია პლუტარქესაც. იგი ამბობს, რომ ქსენოფონტმა აღწერა წარმატებით დაგვირგვინებული საკუთარი ლაშქრობა, მაგრამ ავტორობა მიაწერა თემისტოგენ სირაკუზელს, რათა მონათხრობი დამაჯერებელი გაეხადაო.

„ანაბაზისის" მხოლოდ პირველსა და მეორე თავშია ლაპარაკი კიროსის ლაშქრობაზე, დანარჩენი კი დათმობილი აქვს დაქირავებულ ბერძენთა ლაშქრის სპარსეთიდან უკან დაბრუნების აღწერას.

როგორც ისტორიული შინაარსის თხზულებას შეეფერის, „ანაბაზისში" სჭარბობს თხრობითი ელემენტი, მასში დიალოგები არ არის. სამაგიეროდ, ხშირად მიმართავს ქსენოფონტი სხვადასხვა პირთა წარმოთქმულ სიტყვებს, რომელთა შორისაც ბევრი მის მიერაა წარმოთქმული. მასში თავის ქება და მართლებაა წარმოდგენილი. აქ ქსენოფონტი გვევლინება როგორც თხრობის ოსტატი.

„ანაბაზისში" ყურადღებას იპყრობს ცნობათა სიუხვე და მრავალფეროვნება. ქსენოფონტს, ბუნებრივია, პირველ რიგში ჯარი და სამხედრო საქმე აინტერესებს. მაგრამ მისი ყურადღების გარეშე არაფერი რჩება, რასაც კი შეუძლია უცხო ქვეყანაში მოგზაურის ინტერესი გამოიწვიოს. იგი აღწერს სპარსეთის სამეფო კარის ზნე-ჩვეულებებს, მის მიერ ნანახი მხარეების გეოგრაფიულსა და კლიმატურ პირობებს, ფლორასა და ფაუნას, მოსახლეობის ეკონომიური ცხოვრების პირობებს, ზნე-ჩვეულებებს, სარწმუნოებრივ შეხედულებებს, სამხედრო ტაქტიკას, შეიარაღებას, ადგილობრივ ლეგენდა-გადმოცემებს და გზად მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებსაც კი.

ქსენოფონტის დაკვირვებაში ნათლად მოჩანს მცირე აზიისა და მისი მიმდებარე რაიონების ცხოვრების ცოცხალი სურათი ძვ. წ. V—IV მიჯნაზე.

ქსენოფონტის დაკვირვებებს უდიდესი ღირებულება აქვთ, რადგან ისინი წარმოადგენენ უშუალო მნახველის ერთადერთ მოწმობას ძველი სამყაროს ხალხებისა და ტომების ცხოვრების ისეთ მხარეებზე, რაც

შთამომავლობას ყურადღებიდან გამოეპარებოდა, „ანაბაზისის“ ავტორს რომ არ შემოენახა თავის მემუარებში.

მკვლევარი შეიძლება დაეჭვდეს — თავისი შრომის წერის დროს, რამდენად სწორად ახსოვდა ქსენოფონტს ის, რაც მან ნახა 20—30 წლის წინათ. ქსენოფონტი ისტორიული თხრობის ავტორის მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და არ სცილდებოდა მის მიერ ადგილზე შეგროვებულ მასალას. იგი იმასაც კი განასხვავებს, თუ რა აქვს საკუთარი თვალით ნანახი და რა — სხვისაგან ნასესხები, ამასთანავე, ყოველთვის მიუთითებს წყაროს.

ამგვარად, უნდა ვაღიაროთ „ანაბაზისში“ მოთხრობილის ისტორიული ჭეშმარიტება, მცირე გამონაკლისის გარდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი სამყაროს ისტორიის შესასწავლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ანაბაზისის“ მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ადრეული ხანისათვის. ბერძენმა მოლაშქრეებმა, სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნების დროს, გაიარეს მცირე აზიის იმ რაიონებზე, რომლებიც ძველი ქართველი ტომებით იყო დასახლებული, როგორც ხმელეთის შიგნით, ისე ზღვის სანაპირო ზოლზე.

„ანაბაზისში“ გადმოცემულია უხვი მასალა ძველი ქართველი ტომების პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებიდან. ქსენოფონტის მიერ შემონახული ცნობები წარმოადგენს პირველ ვრცელ, გაბმულ წერილობით წყაროს ამ ტომთა შესახებ. საქართველოს ისტორიის მკვლევარნი უხვად სარგებლობენ „ანაბაზისის“ ცნობებით ძველი საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევის დროს. თ. მიქელაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია, თემაზე: „ქსენოფონტის ცნობები ძველი ქართველი ტომების შესახებ“.[1] ამ მხრივ ქსენოფონტის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დიდია და მისი უხვი ცნობების შესწავლა ჯერაც ამოწურული არაა.

„ანაბაზისი“ დაწერილია უბრალო და ნათელი ენით, მხატვრული და მოქნილი სტილით. აღწერილობა მეტად ცოცხალია და კონკრეტულ მოკლე მონათხრობში ბევრი რამ არის გადმოცემული. ქსენოფონტის ეს ნაწარმოები პოპულარული იყო, როგორც ძველ დროში, ისე მომდევნო პერიოდში.

„ჰელენიკა“ („საბერძნეთის ისტორია“). ქსენოფონტის მეორე ის-

---

[1] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ., 1967.

ტორიული შინაარსის შრომა, მრავლად რომ შეიცავს ისევ და ისევ მემუარისტული ხასიათის მასალას, რომლის მომსწრე და ნაწილობრივ მონაწილეც თვითონ ავტორი იყო, არის ე. წ. „ჰელენიკა“ ანუ „საბერძნეთის ისტორია“.

ამ თხზულების ტექსტი მომდინარეობს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერიდან, რომელსაც დროთა ვითარებაში დაზიანება-გადაკეთებანი განუცდია.

ჰელენიკა“ 7 წიგნისაგან შედგება და ორ ნაწილად იყოფა. იგი წარმოადგენს თუკიდიდეს თხზულების გაგრძელებას. ქსენოფონტი თხრობას იწყებს ძვ. წ. 411 წლით, სადაც გაჩერდა თუკიდიდე და ამბავი მოჰყავს მანტინეასთან ბრძოლამდე (ამ უკანასკნელის ჩათვლით) ე. ი. ძვ. წ. 362 წლამდე.

პირველი ნაწილი შეიცავს საბერძნეთის ისტორიას პელოპონესის ომის დასასრულამდე, თერამენეს ზავის ჩათვლით. აქ თხრობა მშრალია, ქრონიკის ხასიათს ატარებს.

მეორე ნაწილი იწყება ოცდაათის მმართველობით. აქ თხრობა უფრო ვრცელია, მაგრამ ნამდვილი მემუარების ხასიათს ატარებს.

ავტორი პირველ ნაწილში უფრო ობიექტურია. მეორეში—ეტყობა სპარტელთადმი მიკერძოება. აქ საბერძნეთის ისტორია გაიგივებულია სპარტის ისტორიასთან. ქსენოფონტის მიკერძოებას სპარტისადმი ხსნიან მისი პირადი განწყობილებით. ისტორიკოსი ნიბური მას „ცილისმწამებელსა და სამშობლოს შეურაცხმყოფელს უწოდებს...“, მაგრამ ლაკონოფილობა მაშინ ბერძნული საზოგადოების თვალსაჩინო ნაწილისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ქსენოფონტი ბევრ ისეთ რამეს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, გვერდს უხვევს. მაგრამ მაინც „ჰელენიკას“ უფრო ეტყობა ავტორისეული მისწრაფება ჭეშმარიტების გადმოცემისადმი, ვიდრე სხვა რომელიმე ნაშრომს. ამასთანავე, ეს შრომა, არსებითად, ერთ-ერთი ძირითადი ნაწარმოებია იმ ეპოქისა, რომელიც თანამედროვის მიერ არის დაწერილი. ქსენოფონტი სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, განათლებული კაცი იყო და მაშინდელი საბერძნეთის გამოჩენილ მოღვაწეებთან მჯიდრო ურთიერთობა ჰქონდა. მის თხზულებაში შეუსაბამობას, ან ფაქტების პირდაპირ დამახინჯებას ნაკლებად ვხვდებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქსენოფონტს დაუწერია მცირე ზომის თხზულებანი პოლიტიკურსა და სამხედრო თემებზე.

პოლიტიკური შინაარსისაა მისი შრომები: ა) „აგეზილაოსი“, ბ) „ჰიერონი“ და გ) „ლაკედემონელთა პოლიტია“ (ანუ „ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობილება“). ამ თხზულებებში ქსენოფონტი კვლავ ადასტურებს თავის ანტიდემოკრატიულ შეხედულებებს და იმეორებს იმას, თუ რა არის სასარგებლო და სასურველი სახელმწიფოსათვის.

სპარტის მეფე აგეზილაოსისადმი მიძღვნილი პანეგირიკი (ხოტბა) დაწერილია ქსენოფონტის მიერ მეფის გარდაცვალების შემდეგ, მაშასადამე, არა უადრეს ძვ. წ. 359 წლისა. აქ ქსენოფონტი გვიხატავს იდეალური მმართველის იმავე სურათს, რაც მან გაგვაცნო ადრე თავის „მემორაბილიაში“. იგი აქებს აგეზილაოსს, რადგან ის პატივს სცემდა ღმერთებს, ერთგული იყო მეგობრის, მორჩილი — ხელისუფლებისა და კანონებისა, კარგად ეპყრობოდა ქვეშევრდომებს, უყვარდა სამშობლო და მზად იყო ებრძოლა მისთვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

თავის მეორე ნაწარმოებში „ჰიერონი“ ქსენოფონტი გვაცნობს ერთმმართველის უარყოფით მხარეებს. თუ „აგეზილაოსში“ წარმოგვიდგენს მმართველს იდეალური სახით, „ჰიერონში“ მიუთითებს იმ შეცდომებსა და ნაკლზე, რომელთაგანაც თავის დაღწევა უფრო ადვილია ჯერმო პირისათვის, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურისათვის. აქაც სიმძიმის ცენტრი ქსენოფონტს გადააქვს მმართველის პირად ღირსებათვისებაზე, რომელსაც უნდა ახასიათებდეს ზნეობრივი სრულყოფილება, მეგობართა შეძენის უნარი, მოქალაქეთა დაცვა, გაჭირვებულთა დახმარება, სახელმწიფო ქონების საზოგადოებრივი და არა პირადი მიზნებით გამოყენება.

„ლაკედემონელთა პოლიტიაში“ ქსენოფონტი წინა რიგში აყენებს არა მმართველის პირად თვისებებს, არამედ სახელმწიფო კანონებს, რომლებიც მარადიულია. ქსენოფონტს ყველაზე უფრო სრულყოფილად მიაჩნია სპარტის სახელმწიფო წყობილება, რომელიც, მისი აზრით, ხელს უწყობს მოქალაქის პირადი თვისებების აღზრდას, სახელდობრ, თავშეკავებას, სიმამაცეს, მბრძანებლობისა და მორჩილების ჩვევას.

„ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, რომელსაც ქსენოფონტს მიაწერენ, არ უნდა იყოს მისი დაწერილი. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ეს თხზულება ძვ. წ. VI ს. 50-იანი წლების რომელიღაც ავტორის კალამს ეკუთვნის. თავისი ჟანრითა და ენითაც ეს თხზულება

მკვეთრად განსხვავდება ქსენოფონტის სხვა თხზულებათაგან. „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ მძაფრი სატირაა.

ქსენოფონტის დიდაქტიკური ხასიათის თხზულებაა „ოიკონომიკოს“ ანუ „საოჯახო მეურნეობის შესახებ“. იგი დაწერილი უნდა იყოს ქსენოფონტის სკილუნტში ცხოვრების დროს, როდესაც ავტორს საშუალება მიეცა უშუალოდ დაასლოებოდა და დაჰკვირებოდა სამეურნეო ცხოვრებას.

შრომა ეხება საშინაო და სამეურნეო ცხოვრების მოწყობას. შეიცავს ცნობებს მაშინდელი მეურნეობის შესახებ, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე. აქ მოცემულია რჩევა, თუ როგორ უნდა მოეწყოს მეურნეობა შინ და გარეთ, როგორ უნდა ეპყრობოდნენ მსახურთ, მონებს, ქალებს და სხვა. ეს შრომა ციცერონმა ლათინურ ენაზე გადათარგმნა.

ძველ საბერძნეთში, ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს ქსენოფონტის თხზულებას „შემოსავალზე“, სადაც ის ეხება ათენის სახელმწიფოს ფინანსებს.

თავის შრომაში „ნადიმი“ ქსენოფონტი ისევ უბრუნდება პრაქტიკული მორალის საკითხებს და ა. შ.

ქსენოფონტის თხზულებათა მნიშვნელობა დიდია. იგი წერდა მარტივი, ნათელი და ადვილად გასაგები, ლამაზი სტილითა და ენით. ჯერ კიდევ ძველ დროშივე მისი შრომები მიჩნეული იყო ანტიკური პროზის სანიმუშო მაგალითებად. ქსენოფონტის შრომებს პოპულარობა დღესაც არ დაუკარგავს.

ეფორე

ძვ. წ. IV საუკუნის ათენში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მჭერმეტყველებას. რიტორიკამ თავისი გამოძახილი პოვა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ ისტორიოგრაფიაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერი იყო ორატორისა და პუბლიცისტის ისოკრატეს გავლენა, რომელმაც მთელი სკოლა შექმნა. მისი მოწაფეები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ისტორიკოსები ეფორე და თეოპომპე. მათი თხზულებებიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მათზე, როგორც ისტორიკოსებზე, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ.

ე ფ ო რ ე ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. 405—330 წლებს შორის, იგი ეოლიდის (მცირე აზიის) ქ. კუმედან იყო. მას თემად აუღია „საბერძნეთის საერთო ისტორია“ დორიელთა გადმოსახლებიდან ფილიპე მაკედონელის მიერ პროპონტიდის ქალაქ პერინთის გარემოცვამდე (ძვ. წ. 340). ნაშრომი წარმოადგენს არა მხოლოდ რომელიმე გარკვეული ეპოქის, თუ ცალკეული ბერძენი ტომის ცხოვრების გაშუქებას, არამედ მთელი ბერძნული სამყაროს როგორც მეტროპოლიების, ისე ახალშენების თავგადასავლის გადმოცემას და ამიტომაც თავისებურად უნივერსალური ხასიათი აქვს; იგი დაყოფილი იყო 30 წიგნად და თითოეულს თავისი შესავალი ჰქონდა. მის თხზულებას როგორც თანამედროვე, ისე შემდგომი თაობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ თელიდნენ. ისტორიული ამბების გადმოცემისას ეფორე სარგებლობდა როგორც წინამორბედთა ნაშრომებით, ისე ეპიგრაფიკული მასალით და უკვე განმასხვავებელი ხაზი გაუყავდა ლეგენდარულსა და ისტორიულ პერიოდებს შორის. იგი ავლენს რაციონალისტურ მიდგომას მითების განმარტებისადმი, თუმცა მათ სრულ უკუგდებას ვერ ახერხებს. ეფორე, როგორც ისტორიკოსი, ათენისადმი კეთილგანწყობილია. საყურადღებოა, რომ იგი ისტორიული კრიტიკის დარგში თითქოს სწორ თეორიულ მსჯელობას ავითარებს, მაგრამ ხშირად ამას ვერ იცავს. მეტისმეტად დიდ როლს ანიჭებს წვრილმან პირადულ მიზეზებს, მაგალითად, პელოპონესის ომის წარმოქმნას იმით განმარტავს, თითქოს პერიკლე გაურბოდა გაწეული ხარჯების ანგარიშის ჩაბარებას და თავისი მეგობრების დაცვას ცდილობდა. ეფორე არ იყო პრაქტიკული სახელმწიფო თუ სამხედრო მოღვაწე. იგი იყო თვალსაჩინო სწავლული. ეფორემ ბერძნულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა და გავლენა იქონია შემდგომი დროის ისტორიკოსების შემოქმედებაზე.

თეოპომპე ქიოსელი

· თ ე ო პ ო მ პ ე ქ ი ო ს ე ლ ი ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. 380—320 წლებს შორის. მას დაუწერია საბერძნეთის ისტორია ძვ წ. 411 წლიდან 394 წლამდე და ფილიპე მაკედონელის ისტორია. თეოპომპე, როგორც ისტორიკოსი, ათენისადმი მტრული და სპარტის

წყობილებისადმი კეთილი განწყობით გამოირჩეოდა. ეს „ლაკონიზმი" მას მამისაგან მიუღია მემკვიდრეობით და, როცა კუნძული ქიოსი ათენის მეორე საზღვაო კავშირს მიკედლებია, მამასთან ერთად, ჯერ კიდევ ბავშვს, მძიმე ხვედრი განუცდია. 45 წლისა ალექსანდრე მაკედონელის დახმარებით, სამშობლოში დაბრუნებულა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ იგი კვლავ იძულებული გამხდარა მიეტოვებინა კუნძული. ასე ხშირი მოგზაურობის შედეგად მას უნახავს საბერძნეთის სხვადასხვა ადგილები, ყოფილა ეგვიპტეშიც. ათენში მოუსმენია ისოკრატესოვის და თვითონაც სახელგანთქმული ორატორი გამხდარა. მას განსაკუთრებით უსახელებია თავი ჰალიკარნასის ტირანის მავსოლოს უმცროსის (377—353) ქვრივის მიერ მოწყობილ ორატორების შეჯიბრებაში მისი მიცვალებული ქმრისადმი საუკუთესო პანეგირიკის წარმოთქმით.

თეოპომპე მიუკერძოებელი და ცხარე ტემპერამენტის ისტორიკოსი იყო. ჯერ კიდევ ძველად აღნიშნავდნენ მის ავენიანობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ძველადვე დიდი მონდომებით და ყურადღებით კითხულობდნენ, განსაკუთრებით მოსწონდათ მისი ისტორიის ის ნაწილი, სადაც ათენის დემაგოგებზეა ლაპარაკი. თეოპომპეს უყვარდა არაკებისა და ანეკდოტების გამოყენება. როგორც ისტორიკოსს, ახასიათებდა ძლიერი პიროვნებების განდიდება და რწმენა, რომ ისინი ქმნიან ისტორიას. თეოპომპე ისტორიულ მოღვაწეებს, უმთავრესად, ზნეობრივი თვისებების მიხედვით ახასიათებდა.

არისტოტელე

არისტოტელე სტაგირელი დაიბადა ძვ. წ. 384 წელს, ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე ქ. სტაგიროსში. წარმოშობით ეკუთვნოდა ასკლეპიადების (ანუ მკურნალთა) გვარს. არისტოტელეს მამა ნიკომაქე მაკედონიის მეფე ამინტა II კარის ექიმი იყო. მას თავის შვილისათვის ახალგაზრდობაშივე უსწავლებია ექიმობა, რასაც არისტოტელე თვითონ შემდგომ სხვებსაც ასწავლიდა. ამის შესახებ პლუტარქე აღნიშნავს, „ალექსანდრეს საექიმო ხელოვნება სხვებზე უფრო მეტად არისტოტელემ შეასწავლაო".

არისტოტელე 16 წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. მისი მეურვეობა იკისრა სიძემ (დის ქმარმა), რომელმაც 17 წლის არისტოტელე ძვ. წ.

367 წელს ათენში ჩაიყვანა პლატონის აკადემიაში სასწავლებლად, სადაც იგი 20 წელი (367—347) დარჩა. ძვ. წ. 347 წელს მას რაღაც დავალებით გზავნიან მაკედონიის მეფე ფილიპე მეორესთან.

პლატონს არისტოტელეზე ნიჭიერი მოწაფე არ ჰყავდა, მაგრამ აკადემიის ხელმძღვანელობა მას არ მიანდო, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათ შორის მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა და ამ ნიადაგზე ერთგვარი პირადი უსიამოვნება სუფევდა. შეიძლება ტრადიცია ამის გამო მიაწერს არისტოტელეს ფრაზას: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“.

ძვ. წ. 347 წელს ათენში მეორედ ჩასულმა არისტოტელემ იმავე წელს დატოვა იგი და მცირე აზიის ქ. ატარნეუსის ტირან ჰერმიასთან წავიდა. ჰერმიასი მისი მეგობარი და ანტისპარსული ორიენტაციის მომხრე იყო. ძვ. წ. 344 წელს ჰერმიასი მოულოდნელად ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა და მეფე არტაქსერქსეს ბრძანებით, მაკედონელებთან ურთიერთობის გამო, ჯვარს აცვეს. თვითონ არისტოტელემ ძლივს დააღწია თავი არტაქსერქსეს დევნას. ცოლად შეირთო ჰერმიას დისწული პითიადა და კუნძულ ლესბოსზე მდებარე ქ. მიტილენში დასახლდა.

ძვ. წ. 343 წელს კ. ლესბოსზე არისტოტელემ მიიღო მაკედონიის მეფე ფილიპე მეორის შემდეგი შინაარსის წერილი: „მაკედონიის მეფე მიესალმება არისტოტელეს. გაუწყებ, რომ შემეძინა ვაჟიშვილი, მაგრამ ღმერთებს მადლობას ვუთვლი არა იმდენად იმისათვის, რომ მათ ის მაჩუქეს, რამდენადაც იმის გამო, რომ იგი დაიბადა არისტოტელეს დროს, რადგანაც მე იმედი მაქვს, რომ შენი დარიგებანი მას გახდიან ჩემი მემკვიდრეობისა და მაკედონელებზე მბრძანებლობის ღირსად“. არისტოტელე მოგვიანებით გაემგზავრა მაკედონიის სატახტო ქალაქ პელაში ფილიპეს შვილის, 13 წლის ალექსანდრეს მასწავლებლად.

მიუხედავად იმისა, რომ 4 წელი არც ისე დიდი დრო იყო, არისტოტელემ ბევრი რამ მისცა ალექსანდრეს და მრავალმხრივ იმოქმედა მის გონებრივ განვითარებაზე. ამას არც თვითონ ალექსანდრე მაკედონელი უარყოფდა, რომელიც თურმე ხშირად იმეორებდა შემდეგში: „მე თუ ვარსებობ, ეს მამაჩემ ფილიპეს უნდა ვუმადლოდე, მაგრამ მე თუ ალექსანდრე მაკედონელი ვარ, ამაში არისტოტელეს მადლობელი უნდა ვიყო“. თვითონ ფილიპეც დიდად აფასებდა არისტო-

ტელეს გაწეულ ღვაწლს და მან ხელახლა აღადგინა ომის დროს დანგრეული არისტოტელეს სამშობლო ქალაქი სტაგიროსი.

არისტოტელე ძვ. წ. 335 წელს მესამედ ჩავიდა ათენში. ამჯერად 12 წელი დარჩენილა იქ. ქალაქის განაპირა უბანში აპოლონ ლიკეიოსის ტაძრის გვერდით მას უყიდია გიმნასიუმის (ტანვარჯიშის დარბაზის) შენობა ბაღითურთ და ფილოსოფიური სკოლა გაუხსნია. ამ სკოლას შემდეგ ლიკეიონი შეერქვა, რადგანაც იგი ლიკეიოსის ტაძრის გვერდით მდებარეობდა. დილას და საღამოს ბაღის ხეივნებში დასეირნობდა თავისი მოწაფეებითა და მსმენელებით გარშემორტყმული არისტოტელე და უკითხავდა მათ ლექციებს (ამის გამო, ლიკეიონში მის სკოლას აგრეთვე „პერიპატეტიკულ სკოლას", ანუ „მიმართულებას" უწოდებდნენ[1]. არისტოტელეს ცხოვრების უკანასკნელი წლები ტრაგიკული აღმოჩნდა. ლიკეიონში მოღვაწეობის დროს მას გარდაეცვალა ცოლი პითიადა; ძვ. წ. 323 წელს კი, როცა ბაბილონში ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა, ათენში ქურუმმა ევრიმედონემ, ზოგიერთი ცნობით კი, დემოფილემ, არისტოტელეს წინააღმდეგ არეოპაგში საქმე აღძრა ასებეიას ბრალდებით[2].

ამის გამო, ძველი წყაროების (დიოგენე ლაერტელი და სხვ.) ცნობით, არისტოტელე ატიკიდან ორმოცი კილომეტრის მანძილით დაშორებულ კუნძულ ევბეაზე გაქცეულა ქ. ხალკოსში, სადაც მას დედისეული მამული ჰქონდა და იქვე გარდაიცვალა ძვ. წ. 322 წელს კუჭის ავადმყოფობით. აქედან მისი გვამი გადაუსვენებიათ მშობლიურ ქ. სტაგიროსში და იქ დაუკრძალავთ. სხვა წყაროების მიხედვით, არისტოტელემ თავი დაიხრჩო ზღვაში, თითქოს მას შემდეგ, რაც ვერ ახსნა ზღვის მოქცევის და უკუქცევის მიზეზები. ზოგი ცნობით კი, არისტოტელემ თავი მოიწამლა კ. ევბეაზე, რადგან არ უნდოდა ათენში არეოპაგის სასამართლოს წარსდგომოდა, ეინაიდან სიცოცხლის შენარჩუნების გარანტია არ ჰქონდაო.

ამ ბოლო დროს ყურადღება მიიპყრო ფრანგი მღვდლის ჟან მელიეს (1664—1729) ერთმა ცნობამ, რომელიც იუწყება, რომ პასუხისგებაში მიცემული არისტოტელე ათენიდან გაიქცა არა კუნძულ ევბეა-

---

1 ბერძნ. პერიპატეტიკოს ნიშნავს: მოსეირნე.

2 ასებეია არის დანაშაული რელიგიის საკითხში. იგი უმთავრესად გამოიხატებოდა ძველი ღმერთების უარყოფასა და ახლის აღიარების ქადაგებაში.

ზე ქ. ხალკისში, არამედ კოლხიდაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მელიეს წიგნის რუსულ თარგმანში აღნიშნულია, რომ „ასეპეიაში" ბრალდების გამო, არისტოტელე „იძულებული გამხდარა თავი შეეფარებინა კოლხეთში, სადაც იგი გარდაიცვალა 63 წლის ასაკში". სამწუხაროდ, მელიე არ უთითებს, თუ საიდან მოაქვს ეს ცნობა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არისტოტელე სტაგირელი იყო განსაკუთრებული მოვლენა აზროვნების ისტორიაში. მან არა მარტო წინ წასწია მის დროს არსებული მეცნიერების დარგები, არამედ საფუძველი დაუდო ზოგიერთ ახალ მეცნიერებასაც და ბევრი ახალი დებულება შეიტანა ფილოსოფიაში, ეთიკაში, ესთეტიკაში, ენათმეცნიერებაში, ფიზიკაში, ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, მათემატიკაში, ისტორიაში, ლიტერატურაში, ასტრონომიაში, მეტეოროლოგიაში, იურისპრუდენციაში, ეკონომიკურ მეცნიერებაში და იმდროინდელი ცოდნის თითქმის ყველა სხვა დარგში. აზროვნების ისტორიამ არ იცის ნეორე ადამიანი, რომელიც ისეთი ენციკლოპედიური მრავალმხრივობით იყო დაჯილდოვებული, როგორც არისტოტელე.

არისტოტელეს შესახებ მეტად მაღალი წარმოდგენისა იყვნენ თვით მისი თანამედროვენი. პლატონი მას უწოდებდა თავისი სკოლის გონებას. პლუტარქე გადმოგვცემს, რომ ციცერონის თქმით, იგი იყო „...მდინარე, რომელიც ოქროს ტალღებს მოაჩუხჩუხებდა". პლინიუს უფროსი წერს, რომ იგი იყო უაღრესად განსწავლული ყველა მეცნიერებაში. მშობლიურ ქალაქ სტაგიროსში კი თანამემამულეებს მის პატივსაცემად ყოველწლიური დღესასწაული „არისტოტელეია" დაუწესებიათ.

შუა საუკუნეებში ეკლესიის მამები ალმაცერად უყურებდნენ არისტოტელეს, რადგან მისი ენციკლოპედიური გენია ბზარს აჩენდა ქრისტიანული რელიგიის დოგმებში. ლუთერი მის შესახებ წერდა: „არისტოტელე თითქოს იქამდე მივიდა, რომ თუმცა იგი ღმერთს პირდაპირ სულელს არ უწოდებდა, მაგრამ მაინც ამტკიცებდა, რომ მან არც ჩვენი საქმეები იცის, არც ჩვენი განზრახვები, ვერც ვერაფერს იგებს, ვერც ვერაფერს ხედავს, და მხოლოდ თავის თავის შესახებ ფიქრობს... მაგრამ რა საქმე გვაქვს ჩვენ ასეთ უფალთან ანუ ღმერთთან? რა სარგებლობა გვაქვს ჩვენ მისგან?".

ახალ დროში არისტოტელემ უფრო მაღლა აიწია დიდების კვარცხლბეკზე. გოეთე მის შესახებ წერდა: „არისტოტელე მსოფლიოს წინაშე დგას როგორც ხუროთმოძღვარი, რომელიც ხაზავს უდიდეს

წრეს თავისი მშენებლობის საძირკველისათვის, მასალას იღებს ყველგან, ახარისხებს მას, ალაგებს ფენას ფენაზე და ამ სახით... პირამიდის მსგავსად მიიწევს ზევით".

ადამიანს აოცებს არა მარტო ამ დიდებული მეცნიერის აზროვნების სიღრმე, არამედ მისი პროდუქტიულობაც. ანდრონიკე როდოსელის ცნობით (ახ. წ. I საუკუნე), არისტოტელეს დაწერილი ჰქონია 10000-მდე წიგნი, ხოლო დიოგენე ლაერტელი (ახ. წ. II ს) ასახელებს მის 146 ნაწარმოებს. სამწუხაროდ, მათმა დიდმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

არისტოტელეს მოღწეული წიგნების ისტორია კი ასეთია: არისტოტელემ თავისი წიგნები ათენიდან გაქცევისას (ძვ. წ. 323 წელს) დაუტოვა თავის მოწაფეს თეოფრასტეს, რომელსაც ამავე დროს (ლიკეიონის) ხელმძღვანელობაც გადააბარა. თეოფრასტეს ეს წიგნები თავის მოწაფე ნელეოსისთვის დაუტოვებია, ამ უკანასკნელს კი, იმის შიშით, რომ ისინი პერგამონის მეფეებს არ ჩავარდნოდათ ხელში, რომელნიც იმ დროს ქ. ალექსანდრიის (ეგვიპტე) მეტოქეობით მსოფლიო მნიშვნელობის ბიბლიოთეკას ქმნიდნენ მცირე აზიის ქ. პერგამონში, წიგნები მარანში დაუმალავს. ასე ყოფილა ეს წიგნები ჩამარხული 130 წლის მანძილზე. შემდეგ ისინი იქიდან ვინმე თეოსელ აპელიკონს ამოუღია ძვ. წ. 86 წელს. როცა ათენი სულამ აიღო, წიგნები მას ჩავარდნია ხელში და რომში ჩაუტანია. რომში ამ წიგნებიდან ციცერონის სწავლულ მონას ტირონს ასლები გადაუღია. ამ გზით გასცნობია ციცერონი და რომის განათლებული საზოგადოება არისტოტელეს თხზულებებს, რომელიც შემდეგ ახ. წ. I საუკუნეში ანდრონიკე როდოსელს გამოუცია. ასე შემთხვევით გადარჩენილა არისტოტელეს უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთი ნაწილი.

არისტოტელეს ჩვენამდე მოღწეული თხზულებებიდან მხოლოდ ერთი, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება" („ათენაიონ პოლიტეია") განეკუთვნება წმინდა ისტორიული ხასიათის ნაშრომს. მართალია, ზოგიერთ ისტორიული ხასიათის ცნობებს შეიცავს აგრეთვე მისი ცნობილი წიგნი „პოლიტიკა", მაგრამ იგი სოციოლოგიას განეკუთვნება და არა ისტორიას. ამიტომ, ცხადია, რომ არისტოტელეს როგორც ისტორიკოსის დახასიათება შეიძლება უმთავრესად „ათენელთა სახელმწიფო წყობილების" მიხედვით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, როცა

ამას მასალის შედარება მოითხოვს, ან არისტოტელეს ისტორიული კონცეფციის ზოგადი ხასიათის გარკვევა, საჭირო ხდება ადგილების მოყვანა მისი სხვა ნაშრომებიდანაც და კერძოდ „პოლიტიკიდან“.

ის გარემოება, რომ ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს არისტოტელეს მხოლოდ, ერთი ისტორიული ხასიათის ნაშრომი, იმას არ ნიშნავს, რომ არისტოტელეს ამ ხასიათის თხზულებათაგან მხოლოდ ის ჰქონდა დაწერილი. მართლაც, ძველ წყაროებში გაფანტული ცნობებიდან ირკვევა, რომ არისტოტელეს თავის „პოლიტეიებში“ აღწერილი ჰქონია 158 სახელმწიფოს ისტორია, რომელთა შორის რამდენიმე (მაგ., კართაგენი და ლიბია) არაბერძნული სახელმწიფოც ყოფილა. ზოგიერთი ამ „პოლიტეიას“ კონკრეტული სახელწოდება მოხსენიებულია ძველ წყაროებში. მაგალითად, პლუტარქე, როდესაც ეხება საკითხს, რომ კრეტის მეფე მინოსი თავის მინოტავრის საკვებად ახალგაზრდებს არ ხოცავდაო, წერს: „არისტოტელე ბეოტიის სახელმწიფოებრივ წყობილებაში“ ასევე ცხადად გვამცნობს, რომ არ სჯერა, თითქოს მინოსი ახალგაზრდებს სიცოცხლეს უსპობდაო.

არისტოტელეს ყველა „პოლიტეია“, მათ შორის „ათენელთა სახელმწიფო წყობილებაც“, როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, VI—IX სს. განძილზე დაკარგულა და მხოლოდ ის ციტატები გადარჩენილა, რომელნიც თავიანთ თხზულებებში მოჰყავდათ ისტორიკოსებსა და ლექსიკოგრაფებს: პლუტარქეს, ჰარპოკრატიონს, ჰერაკლიდეს, პოლუქსს და სხვებს. სწორედ ამ ციტატების წყალობით იცოდნენ მეცნიერებმა, რომ არისტოტელეს ასეთი, წმინდა ისტორიული ხასიათის წიგნებიც ჰქონდა დაწერილი.

დაკარგული „პოლიტეიებიდან“ გადარჩენილი ფრაგმენტები 1886 წლისათვის, როცა ისინი შეაგროვა და გამოსცა ვალენტინ როზემ, აღწევდა 223. აქედან 91 „ათენელთა სახელმწიფო წყობილებიდან“ იყო, ოთხი წლის შემდეგ კი ბედნიერი შემთხვევით აღმოჩენილი იქნა „ათენელთა სახელმწიფო წყობილების“ ტექსტი პაპირუსთა იმ გროვაში, რომელიც 1890 წელს ინგლისელებმა შემთხვევით შეიძინეს ეგვიპტეში და ბრიტანეთის მუზეუმში ჩაიტანეს.

1891 წლის 30 იანვარს არისტოტელეს ეს ნაშრომი გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ასისტენტმა კენიონმა. იმავე წელს ივი ითარგმნა გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, სულ მალე კი ბევრი სხვა კულტურული ხალხების ენებზედაც.

ამ ნაშრომის ისტორიული ნაწილი ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და 1935 წელს ქუთაისში დაბეჭდა ს. ყაუხჩიშვილმა, ხოლო შემდეგ გ. გოზალიშვილმა, ძველი ისტორიის ქრესტომათიის პირველ ტომში — 1951 წელს და კომენტარებიც დაურთო.

პაპირუსი, რომელზედაც ეს ნაშრომი იყო დაწერილი, ეკუთვნოდა ვინმე ეპიმაქოსს. პირველ გვერდზე ეპიმაქოსის მოურავ დიდიმოსს სამეურნეო ხასიათის ანგარიში ჩამოუწერია თავისი ბატონისათვის წარსადგენად. არისტოტელეს აღნიშნული ნაშრომი ამ პაპირუსის მხოლოდ მეორე გვერდზეა დაწერილი. სამეურნეო ანგარიში დათარიღებულია ვესპასიანეს იმპერატორობის მე-10 და მე-11 წლით, ე. ი. ახალი წელთაღრიცხვის 78 და 79 წლებით. მკვლევარნი ტექსტის ორთოგრაფიის მიხედვით ვარაუდობენ, რომ აღნიშნული პაპირუსის მეორე მხარეს არისტოტელეს ეს ნაშრომი სამი თუ ოთხი სხვადასხვა ხელით უნდა იყოს გადაწერილი ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბოლოს, ან მეორე საუკუნის დასაწყისში.

სამწუხაროდ, ეპიმაქოსის პაპირუსზე აღნიშნულ ნაშრომს არ აწერია არც სათაური და არც ავტორის ვინაობა. ეს დადგინდა ჩვენამდე მოღწეული 91 ფრაგმენტის საშუალებით, სადაც 84 შემთხვევაში დასახელებული იყო ავტორი (არისტოტელე), ხოლო 54 შემთხვევაში ამ ნაშრომების სახელწოდებაც. ამ ციტატების შეჯერებამ აღმოჩენილი ნაწარმოების ტექსტთან შესაძლებელი გახადა როგორც ნაწარმოების სათაურის, ისე მისი ავტორის დადგენა.

თვით არისტოტელეს ნაშრომი უნდა დაეწერა ძვ. წ. 328—325 წლებში, ე. ი. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში. ამის საბუთად იმ გარემოებას მიიჩნევენ, რომ ნაშრომში: 1. არისტოტელეს მოხსენიებული ჰყავს (თავი 54, 7) არქონტი კეფისონტე, რომელსაც ეს თანამდებობა ათენში ეკავა ძვ. წ. 329—328 წლებში. მაშასადამე, ძვ. წ. 328 წელზე ადრე იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი. 2. როცა არისტოტელე ეხება სამხედრო ხომალდების ძირითად სახეობებს (თავი 46, 1), იგი იხსენიებს მხოლოდ სამ და ოთხიარუსიან სამხედრო ხომალდებს, ე. წ. ტრიერებსა და ტეტრერებს და არ იხსენიებს პენტერებს — ხუთიარუსიან ხომალდებს. პენტერები ათენის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მწყობრში ჩადგა ძვ. წ. 325 წლიდან და, არისტოტელეს თავისი ნაშრომი ამ წელზე გვიან რომ დაეწერა, მაშინ ის მოიხსე-

ნიებდა პენტერებსაც. აქედან გამომდინარე, არისტოტელეს აღნიშნული ნაშრომის დაწერის თარიღი 325 წელზე უფრო გვიან ვერ გადმოიტანება.

არისტოტელეს ამ ნაშრომის მოღწეულ ტექსტს აკლია დასაწყისი, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა დროიდან და რომელი ამბების გადმოცემით იწყებდა არისტოტელე მას. მოღწეული ტექსტი კი იმით იწყება, რომ სამასმა გაასამართლა ალკმეონიდები და შემდეგ აღნიშნულია, რომ ალკმეონიდების გვარიდან ცოცხლები გააძევეს, ხოლო მკვდრები ამოყარეს საფლავებიდან. არ ჩანს, რატომ გაასამართლეს ალკმეონიდები და რატომ მოექცნენ მათ გვარს ასე სასტიკად, მაგრამ, ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკი იქნებოდა იმ ნაწილში, რომელიც დაკარგულია.

არისტოტელეს ეს ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში (თავი I—41) გადმოცემულია ათენის სახელმწიფოს ისტორიის თანამიმდევრული თხრობა კილონის აჯანყების ჩაქრობიდან ვიდრე „ოცდაათის ტირანიის" დამხობამდე (ძვ. წ. 403), მეორე ნაწილში კი (თავი 42—68) დახასიათებულია თვით არისტოტელეს დროინდელი ათენის სახელმწიფო წყობილება და მისი მართვა-გამგეობის ორგანოები.

მრავალი ქვეყნის მეცნიერი შეუდგა არისტოტელეს ამ ნაშრომის შესწავლას. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ, თუ რას იძლეოდა იგი ახალს, ან რა კორექტივი შეჰქონდა სხვა წყაროებით ცნობილ მასალაში ათენის ისტორიასა და სახელმწიფო წყობილებაზე. რუსმა მეცნიერმა ვლადისლავ ბუზესკულმა (1858—1931) იგი სადოქტორო დისერტაციის თემად აირჩია და 1895 წელს გამოაქვეყნა კიდეც. რუსი ისტორიკოსებიდან სპეციალური გამოკვლევები მას სხვებმაც მიუძღვნეს.

არისტოტელეს ამ ნაშრომის შეფასებაში სულ მალე გამოიკვეთა სამი შეხედულება. ერთნი მას უზომო ხოტბას ასხამდნენ, თვლიდნენ მას ახალი ეტაპის დასაწყისად ათენის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლაში და არ სურდათ დაენახათ მასში რაიმე არსებითი ხასიათის ხარვეზები. დილსი არისტოტელეს ამ ნაშრომის აღმოჩენას მზის ამოსვლას ადარებდა, რომლის შუქზედაც ქრება ათასი ისტორიული ჰიპოთეზა, რადგან მათთვის ადგილი აღარ რჩება, როცა მათზე პასუხს იძლევა არისტოტელეო.

მალე ამ სახოტბო მიმდინარეობას დაუპირისპირდა მეორე, ნიჰილისტური მიმდინარეობა, რომლის მომხრენიც იმდენად სუსტად და ღირებულება მოკლებულად მიიჩნევდნენ ამ ნაწარმოებს, რომ ამტკიცებდნენ,

არ შეიძლება ის არისტოტელეს დაწერილი იყოსო. კაუერი ამბობდა, იგი არისტოტელეს რომელიღაც ნაკლებად ნიჭიერ მოწაფეს უნდა ეკუთვნოდესო.

უფრო სწორი აღმოჩნდა მესამე მიმდინარეობა, რომელიც თავის აღტაცებასაც და გაწბილებასაც ტექსტის შესწავლაზე და მის მონაცემებზე ამყარებდა. ისინი თვალს არ ხუჭავდნენ ახლად აღმოჩენილ ნაშრომის არსებით ხარვეზებზე, და არც იმ დიდ წვლილს ჩქმალავდნენ, რაც არისტოტელეს ტრაქტატს შეაქვს ათენის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

ათენის სახელმწიფოს სისტემატური კურსის დაწერა არისტოტელეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დოკუმენტური მასალისა და თავისი წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებათა გამოყენების გარეშე. მაგრამ იგი ხშირად კონკრეტულად არ ასახელებს თავის წყაროებს და კმაყოფილდება მათზე მხოლოდ ზოგადი მითითებით. მაგალითად, როდესაც არისტოტელე ეხება არქონტის თანამდებობის დაწესებას, წერს: „უმრავლესობა ამბობს, რომ იგი წარმოიშვა მედონტის დროს, ზოგიერთთა აზრით კი — აკასტეს დროს". მაგრამ ვინაა ეს „უმრავლესობა", ან ეს „ზოგიერთები" და სად „ამბობენ" ისინი ამას, ამაზე არისტოტელე არაფერს გვამცნობს. ასევე იქცევა იგი მე-6 თავში. აქ ეხება საკითხს სოლონის ბრალდებაზე, რომ თითქოს, მან, თავის განზრახვა ვალების გაუქმებაზე გაანდო ჯერ თავის მეგობრებს — ააღებინა ვალები და გაამდიდრა ისინი და შემდეგ კი გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც, სავალდებულო აღარ იყო ვალების გადახდა. აქ არისტოტელე გადმოგვცემს ამ ბრალდების ორ ვარიანტს და წერს, რომ დემოკრატების მტკიცებით, სოლონი მეგობრებმა მოატყუეს, ხოლო სხვებს კი, რომელთაც უნდათ ჩირქი მოსცხონ სოლონს, ამტკიცებენ, რომ სოლონი თვითონ მონაწილეობდა ამ საქმეში. მაგრამ ვინ არიან ეს „დემოკრატები", ან ისინი, რომელთაც უნდათ „ჩირქი მოსცხონ სოლონს", ან რა წყაროებშია ყველაფერი ეს აღნიშნული, ამაზე არისტოტელე კვლავ დუმს.

არისტოტელეს წერის ასეთი მანერით აიხსნება, რომ ზოგჯერ ჩვენთვის გაუგებარი რჩება თუ ვისით, ან რით სარგებლობდა იგი. მაგრამ რიგ შემთხვევებში იგი ასახელებს თავის წინამორბედ ისტორიკოსებს და დოკუმენტურ მასალასაც.

დოკუმენტური მასალიდან მე-5 და მე-12 თავში არისტოტელეს მოჰყავს სოლონის ლექსები, რომლებშიც ამ რეფორმების ხასიათი

არის გადმოცემული. მე-8 თავში არისტოტელე წერს, რომ სოლონის კანონი მოლარეთუხუცესობაზე, ამჟამადაც ძალაშია. 35-ე თავში არისტოტელე ამბობს, რომ „ოცდაათის ტირანიამ" სოლონის ის კანონები გააუქმა, რომელნიც დავას იწვევდნენ გაგების მხრივ. 26-ე თავში არისტოტელე იხსენიებს პერიკლეს კანონს, რომლის მიხედვითაც, მოქალაქის უფლება არ უნდა ჰქონდეთ იმათ, რომელთაც ორივე მშობელი ათენელი მოქალაქე არ ჰყავდათ. მე-16 თავში არისტოტელეს მოპყავს კანონი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, 22-ე თავში — ოსტრაკიზმზე.

გარდა კანონებისა, არისტოტელეს მოჰყავს სხვა ხასიათის დოკუმენტური მასალაც. მაგალითად, სახალხო კრების დადგენილება; აგრეთვე ასახელებს იმას, ვინც ამ დადგენილების პროექტი შეიტანა. ზოგჯერ იგი იშველიებს მატერიალურ ძეგლებსაც. მაგალითად, იმის ნათელსაყოფად, რომ თეტები ზოგჯერ მხედართა წოდებაში გადადიან, მე-17 თავში წერს, რომ აკროპოლისზე დგას დიფილეს შვილის ანთემიონის ქანდაკება, მიძღვნილი ღმერთებისადმი, იმის აღსანიშნავად, რომ მან თეტური წოდება მხედართა წოდებაზე შეიცვალა.

ჯერ კიდევ არისტოტელემდე ბევრი ავტორი წერდა ე. წ. ატთიდებს ანუ ატიკის (ათენის ჩათვლით) ისტორიას. მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ არისტოტელეს თვით თავისი საგანი („ათენის სახელმწიფოს ისტორია") აიძულებდა ესარგებლა ამ ატთიდებით და ამოეღო მათგან ბევრი მისთვის საჭირო ცნობა. კერძოდ, მიუთითებენ, რომ მას უნდა ესარგებლა სოკრატეს მოწაფის ანდროტიონეს „ატთიდით". ამ უკანასკნელს ათენის ისტორია გადმოცემული ჰქონდა უძველესი დროიდან ძვ. წ. 344 წლის ბოლომდე.

რაც შეეხება არისტოტელეს მიერ წინამორბედი ისტორიკოსების რიტორებისა და ლიტერატურული წყაროების გამოყენებას, აქ მდგომარეობა ასეთია: ქსენოფონტს იგი არ იხსენიებს, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი (ვილამოვიცი, გოლბერტი) ფიქრობდა, რომ არისტოტელეს არ უსარგებლია ქსენოფონტის თხზულებით — „საბერძნეთის ისტორია", მაგრამ ჰელერი ამტკიცებდა, რომ არისტოტელეს ნაშრომის 36-ე თავი აშკარა მსგავსებას იჩენს ქსენოფონტის შრომის II წიგნის, მე-3 თავის XVII, XVIII და XIX პარაგრაფებთან, ამიტომ არისტოტელე იცნობდა მას და სარგებლობდა მისითო. ჰელერი მართალი უნდა იყოს.

არისტოტელეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა თავისი მასწავლებლის, პლატონის თხზულებანი. ამიტომ გამორიცხუ-

ლი არ არის ვივარაუდოთ, რომ მას ზოგიერთი მასალა მისგან მოჰ-ქონდეს.

ზოგიერთ შემთხვევაში არისტოტელე უკრიტიკოდ ეკიდება წყაროს. მაგალითად, მე-14 თავში, როდესაც ის ეხება გაძევებულ პიზისტრატეს პირველ დაბრუნებას, სჯერა ის ლეგენდა, რომელსაც ჰეროდოტე გადმოგვეცემს: პიზისტრატემ ნახა ყვავილებით მოვაჭრე ულამაზესი ქალი ფიე, შემოსა იგი იმგვარად, როგორც ბერძნებს ჰყავდათ წარმოდგენილი ღმერთქალი ათინა, მოისვა ეტლში გვერდით და წავიდა ათენისაკენ. ამ დროისათვის პიზისტრატეს მომხრეებმა ათენში გაავრცელეს ხმები, რომ ღმერთქალი ათინა არ იწონებს პიზისტრატეს გაძევებას და ეტლით თვითონვე მოჰყავს ათენშიო. და თითქოს, როდესაც ეტლი ათენში შევიდა, ქალაქის მცხოვრებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ მათ. ნამდვილად კი, ძნელია იმის თქმა, რომ პიზისტრატეს დროის ათენელებს, ამგვარი რამ დაეჯერებინათ.

უმრავლეს შემთხვევებში არისტოტელე მეტად კრიტიკულად ეკიდება თავის წყაროს და ასწორებს, ან უარყოფს მას. მაგალითად, მე-6 თავში, როცა იგი ეხება სოლონის მიმართ წამოყენებულ ბრალდებას, რომ თითქოს, მას წილი ჰქონდა მეგობრების მიერ აღებულ ვალებში და ამიტომ ანგარებით მოახდინა სეისახთეიაო, მას ამ ბრალდების წინააღმდეგ მოჰყავს თავისი მოსაზრებები და ბოლოს დაასკვნის, რომ ეს ბრალდება ყალბიაო.

წყაროებთან დამოკიდებულების საკითხში არისტოტელე ამხელს შეცდომას ისეთი ფრთხილი ისტორიკოსისა, როგორიც თუკიდიდე იყო. ჰარმოდიოსის და არისტოგიტონის მიერ პიზისტრატეს შვილ ჰიპარქეს მოკვლაზე თუკიდიდე წერდა: „ჰიპარქეს მოსაკლავად ჰარმოდიოსი, არისტოგიტონი და მათი მომხრეები უცდიდნენ რელიგიურ დღესასწაულს, „ დიდ პანათენეუმს“, ერთადერთ დღეს, როდესაც მოქალაქეებს შეეძლოთ ეჯვის აღუძვრელად შეიარაღებულნი ერთად შეკრებილიყვნენ პროცესიაში მონაწილეობისათვის“ და თითქოს, მათ, ისარგებლეს რა ამ საბაბით, შეიარაღებულნი გამოცხადდნენ პანათენეურ დღესასწაულზე და სისრულეში მოიყვანეს თავიანთი განზრახვა.

თუკიდიდეს ვერსიას არისტოტელე არ იზიარებს და წერს: „ის გადმოცემა, თითქოს, ჰიპიას პროცესიის მონაწილეთათვის იარაღი ჩამოერთვას და აღმოეჩინოს დამნაშავენი, რომელთაც ხანჯლები ჰქონდათ, არ არის მართალი: მაშინ შეიარაღებულნი არ მონაწილეობდნენ პროცესიაში, ეს დემოსმა შემდეგ შემოიღო“.

როცა საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, არისტოტელეს ამა თუ იმ ვერსიის სასარგებლოდ ზოგჯერ ტრადიციაში შემონახული ზეპირი ცნობებიც მოჰყავს. მაგალითად, მე-3 თავში, როცა არისტოტელე ეხება საკითხს, თუ როდის, მედონტის (ათენის უკანასკნელი მეფის კოდროსის შვილი) თუ აკასტეს (მედონტის მემკვიდრე) მეფობის დროს წარმოიშვა ათენში არქონტის თანამდებობა. ამ მეორე ვერსიის საბუთად ის გარემოება მიაჩნია, რომ ახლაც არქონტები არჩევის დროს ფიცს სდებენ, რომ შეასრულებთ აკასტეს დროს დადებულ პირობასო.

არისტოტელე ზოგჯერ უკუდასკვნასაც იყენებს, ასე მაგ., სოლონის კანონმდებლობით თეტებს რაიმე თანამდებობაზე არჩევის უფლებაც რომ არ ჰქონდათ, არისტოტელეს აზრით, ისიც ამტკიცებს, რომ ახლაც რაიმე თანამდებობაზე არჩევისას, თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რომელ კლასს ეკუთვნის კანდიდატი — არავინ ამბობს თეტებისასო (თავი მე-7).

როგორც ცნობილია, არისტოტელე ათენის დემოკრატიის მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ ამის გამო იგი არ ამცირებს არც ათენის დემოკრატიის მნიშვნელობას და არც მის ხელმძღვანელებს იხსენიებს აუგად. სოლონს იგი დადებითად აფასებს და II თავში წერს, რომ მან გადააჩინა სამშობლო და საუკუთესო კანონები დააწესაო. პიზისტრატეს იგი დემოკრატად თვლის (თავი მე-13) და დადებითად ახასიათებს, ასევე დადებითად ახასიათებს დემოკრატიის ისეთ ცნობილ ბელადებს, როგორიც იყვნენ: კლისთენე, ეფიალტე, პერიკლე და სხვ. თვით ათენის დემოკრატიული მმართველობის დადებით მნიშვნელობაზე იგი წერს (თავი 23-ე), რომ ქალაქი დემოკრატიის ზრდასთან ერთად იზრდებაო.

მეორე მხრივ, მიუხედავად მისი პოლიტიკური სიმპათიებისა, ზოგჯერ აკრიტიკებს ოლიგარქიასაც. 26-ე თავში იგი წერს, რომ მეხუთე საუკუნის სამოციან წლებში სარდლებად ნიშნავდნენ გამოუცდელ ადამიანებს მამაპაპეული უფლებების წყალობით და ისინი ხშირად განიცდიდნენ სამხედრო მარცხსო. 36-ე თავში იგი აკრიტიკებს „ოცდაათის ტირანიას“, რომელთა მმართველობის დროსაც სახელმწიფო საქმეები ცუდად მიდიოდა. მაგრამ რიგ შემთხვევებში არისტოტელე არ რჩმალავს თავის საკუთარ ანტიდემოკრატიულ მრწამს. ასე მაგალითად, ძვ. წ. 411 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს ათენში შექმნილ

ოლიგარქიულ მმართველობას იგი აქებს (თავი 33), აქებს აგრეთვე ოლიგარქოსების ზოგიერთ ბელადსაც. 28-ე თავში წერს, რომ ათენის მოღვაწეთაგან საუკეთესონი იყვნენ ნიკიასი, თუკიდიდე და თერამენე.

დროის აღნიშვნა, ოლიმპიური სისტემის მიხედვით, არისტოტელეს დროს ჯერ კიდევ არ იყო, იგი უფრო გვიან, ძვ. წ. მე-3 საუკუნეში შემოიღო ისტორიკოსმა ტიმაიოსმა (ძვ. წ. 352—256). ამიტომ არისტოტელე დროის აღსანიშნავად მიჰყვებოდა ათენში ძველად მიღებულ, ე. წ. არქონტ-ეპონიმის წესს და აღნიშნავდა, თუ ვისი არქონტობის დროს ხდა ესა თუ ის მოვლენა.

არისტოტელეს შრომას ბევრი საკითხის გაგებაში შეაქვს თავისი კორექტივი. მან შეცვალა არსებული შეხედულება ათენში მონარქიის რესპუბლიკით შეცვლის შესახებ. ადრე, უპირატესად, ის ვერსია იყო მიღებული, რომლის მიხედვითაც, თითქოს, დორიელების შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლაში ატიკის მეფე კოდროსის დაღუპვის შემდეგ, ევპატრიდებმა ისარგებლეს ტახტის ირგვლივ მეფისწულთა ატეხილი დავით, გააუქმეს მეფობა და ხელისუფლება არჩეულ არქონტებს გადასცესო. არისტოტელეს მიხედვით კი, ასე უეცრად არ მომხდარა მონარქიის შეცვლა რესპუბლიკით. მე-3 თავში იგი წერს, რომ ადრე ათენელებს მეფე ჰყავდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზოგიერთი მეფე სამხედრო საქმეში სუსტი აღმოჩნდა, პოლემარქოსის თანამდებობა შეიქმნა, რომელსაც მეფის სამხედრო ფუნქციები გადაეცა. ბოლოს კი მეფობა სულ მოისპო და სახელმწიფოს მმართველობა არქონტთა კოლეგიას გადაეცა, რომელშიაც 9 არქონტს ირჩევდნენ ერთი წლითო. ამგვარად, არისტოტელეს მიხედვით, ჩვენ საქმე გვაქვს მონარქიის არა ნაუცბათევ გაუქმებასთან, არამედ ევპატრიდების მიერ არქონტთა თანამდებობის შექმნით მეფის უფლების ჯერ თანდათანობით შეკვეცასთან, ხოლო შემდეგ სრულიად გაუქმებასთან.

არისტოტელე აზვიადებს პიროვნების როლს და თითქმის ყველა მძაფრი გარდატეხის მომენტს ათენის სახელმწიფოს ისტორიაში ეპა თუ იმ ვამოჩენილ პიროვნებას მიაწერს. სოფლიდან მოსახლეობის ქალაქში (ათენში) გადასვლას (თავი 24-ე) იგი მიაწერს არისტიდეს. არისტიდეო, წერს იგი, ურჩევდა მოქალაქეებს გადასახლებულიყვნენ ათენში, სადაც ისინი საზრდოს იშოვიდნენ იმით, რომ შევიდოდნენ ჯარში და საგარნიზონო სამსახურში, ან იმით, რომ დაიკავებდნენ რაიმე თანამდებობას. მათაც დაუჯერეს არისტიდეს და გადასახლდნენ

ქალაქში. სინამდვილეში, სოფლებიდან ქალაქში ხალხის გადასვლა აიხსნება არა არისტიდეს რჩევით, არამედ როგორც ატიკის ნიადაგის სიმწირით, და უმთავრესად იმ გარემოებით, რომ სალამინის ომში ვამარჯვების (ძვ. წ. 480 წ.) და ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირის შექმნის (ძვ. წ. 477 წ.) შემდეგ, ათენში მძაფრად დაიწყო განვითარება ხელოსნობამ, ვაჭრობამ, გემთმშენებლობამ და სხვ.

პერიკლეს მიერ მოსამართლეებისათვის ხელფასის დანიშვნას (თავი 27-ე) არისტოტელე ხსნის აგრეთვე პერიკლეს პირადი მოტივებით, თითქოს, მას არ ჰქონდა იმდენი ქონება, რომ, კიმონის მსგავსად, საკუთარი ქონების დარიგებით მოეხვეჭა ხალხში გავლენა და ამიტომ მან სახელმწიფო ქონებიდან დაიწყო მოსამართლეებისათვის ჯამაგირის მიცემაო. სინამდვილეში, როგორც მოსამართლეებისათვის, ასევე ბულეს წევრობისათვის და ა. შ. ჯამაგირის დანიშვნა, ათენში დემოკრატიის განვითარების შედეგი იყო, რათა დაბალი ფენებიდან გამოსული მოქალაქეებისათვის მიეცათ შესაძლებლობა სახელმწიფოს მართვაგამგეობაში ფაქტობრივი მონაწილეობისა.

34-ე თავში, როცა არისტოტელე ეხება 406 წლის ამბებს, წერს, რომ არგინუსის კუნძულებთან მომხდარ საზღვაო ბრძოლაში ათ გამარჯვებულ სტრატეგოსს, რომლებმაც ბრძოლაში დაღუპული თავიანთი მეომრები ხმელეთზე ვერ გადაიტანეს დასამარხად, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ერთი ქეიროტონიით, ე. ი. ერთი საერთო ღია კენჭისყრით. არისტოტელეზე უფრო ადრინდელ წყაროში კი აღნიშნულია, რომ სიკვდილით დასაჯეს არა ყველა სტრატეგოსი, არამედ მხოლოდ ექვსი მათგანი, რომელნიც ათენში იყვნენ.

„ათენელთა სახელმწიფო წყობილების" ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის წინააღმდეგობაც, რომელშიც არისტოტელე ვარდება, როცა ერთსა და იმავე საკითხზე ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს იძლევა. ასე მაგალითად, მე-4 თავში იგი წერს, რომ დრაკონის დროს უკვე არსებობდა საბჭო, რომელიც 401 კაცისაგან შედგებოდა, მაგრამ მე-8 თავში წერს, რომ სოლონმა შექმნა ოთხასთა საბჭო. გაუგებარია, თუ რისთვის დასჭირდა სოლონს ოთხასთა საბჭოს შექმნა, თუ კი ასეთი საბჭო 401 კაცის შემადგენლობით უკვე არსებობდა დრაკონის დროსაც.

მე-7 თავში არისტოტელე წერს, რომ ქონების შეფასების საფუძველზე, სოლონმა შემოიღო მოსახლეობის ოთხ კლასად დაყოფა, როგორც ეს უკვე წინათაც იყო — ხუთასმედიმნიანებად, მხედრებად, ძევგიტებად და თეტებად. მაგრამ თუ წინათ მოსახლეობა იმავე ოთხ კლა-

საღ იყოფოდა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, რაღა აზრი ჰქონდა მის კვლავ იმავე კლასებად დაყოფას.

არისტოტელეს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები, ალბათ იმით აიხსნება, რომ მან ვერ მოასწრო ამ ნაშრომის საბოლოო რედაქტირება. ამასთან, სავარაუდებელია ისიც, რომ ფაქტობრივი შეცდომების ერთი ნაწილი აღნიშნულ თხზულებაში შეტანილია გადამწერთა მიერ. მართლაცდა ჩვენამდე ხომ არ მოულწევია „ათენელთა სახელმწიფო წყობილების" თვით არისტოტელესეულ დედანს. ამ დედნის შექმნიდან (არა უგვიანეს ძვ. წ. 325 წ.), ვიდრე იმ ეგზემპლარამდე, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია (ახ. წ. I ს. ბოლო ან II ს. დასაწყისი) გასულია 4 საუკუნეზე მეტი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ არისტოტელე შეეძლო შეცდომაში შეეყვანა, თავის მხრივ, მცდარსა და არაზუსტ წყაროსაც.

მაგრამ „ათენელთა სახელმწიფო წყობილებას" გააჩნია სხვა ისეთი ნაკლიც, რომელიც უდავოდ თვითონ არისტოტელეს უნდა მიეწეროს. ასე მაგალითად, მთელ რიგ საკითხებს ამ ნაშრომში მათი მნიშვნელობის მიხედვით არ ეთმობა ადგილი. ეფიალტეს რეფორმები, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათენის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის და ქვეყნის შემდგომი გაძლიერების საქმეში, მკრთალად არის წარმოდგენილი (თავი 25). ასევე მკრთალად არის წარმოდგენილი საერთოდ ე. წ. „ორმოცდაათწლიანი პერიოდი" — სალამინის ომიდან პელოპონესის ომის დასაწყისამდე (თავი 23—27). სამაგიეროდ, მარტო ძვ. წ. 411 წლის ოლიგარქიულ გადატრიალებას და ე. წ. „ოთხასთა ბატონობას", რომელიც მხოლოდ 4 თვეს გრძელდებოდა, დათმობილი აქვს 5 თავი (29—33 თავები).

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლისა, ამ ნაშრომის გულდასმით შესწავლამ ნათელყო ნიჰილისტური მიმდინარეობის სრული უსაფუძვლობა. გამოირკვა, რომ ამ ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა აქვს ათენის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლის საქმეში. მან მრავალმხრივ გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა სოლონზე, კლისთენეზე, პელოპონესის ომის დროინდელ ოლიგარქიულ კონსტიტუციებზე, და საერთოდ, მასალა დაუმატა, ან კორექტივი შეიტანა ათენის ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქებაში.

პრინციპულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კი, ამ წიგნის მნიშვნელობა იმაშია, რომ პირველად ამ წიგნის სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ათენის სახელმწიფოს ისტორიის სისტემური გადმოცემა, რაც არის-

ტოტელემდე არავის გაუკეთებია. ჰეროდოტემ დაწერა ბერძენ-სპარსელთა ომების ისტორია, თუკიდიდემ — პელოპონესის ომის ისტორია (ძვ. წ. 411 წლამდე), ქსენოფონტმა გადმოგვცა საბერძნეთის ისტორია ძვ წ. 411—370 წლების პერიოდისა. არისტოტელემ კი დაწერა ათენის სახელმწიფოს ისტორია ძვ. წ. 640-იანი წლებიდან ძვ. წ. 325 წლამდე, ე. ი. თითქმის მთელი სამი საუკუნის მანძილზე.

თუ არისტოტელეს წინამორბედი ისტორიკოსები უმთავრესად ცალკეული ომების ისტორიას გადმოგვცემდნენ და ძირითადი ყურადღება საომარ მოქმედებათა აღწერაზე გადაჰქონდათ, არისტოტელე, პირიქით, მთავარ ყურადღებას ეკონომიკურ მდგომარეობას, კლასობრივ-პოლიტიკურ ბრძოლასა და მათი მიზეზების გარკვევას უთმობს.

პოლიბიოსი

პოლიბიოსი არკადიის ქ. მეგაპოლისში დაიბადა (დაახლ. ძვ. წ. 200 წელს), აქეის კავშირის სტრატეგოსის ლიკორტასის ოჯახში. ლიკორტასი (ცნობილი სარდლის ფილოპემენის მეგობარი), იმდროინდელი საბერძნეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო. ცხადია, ასეთი ოჯახის შვილი შესაფერის განათლებას მიიღებდა. პოლიბიოსი ახალგაზრდობიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოს ცხოვრებაში. პოლიბიოსის ღირსებისა და მისდამი ნდობის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ სავსებით ახალგაზრდა, ძვ. წ. 183 ძვ. წ. 181 წელს მამასთან ერთად დაეკისრა ელჩობა ალექსანდრიაში. წელს გაგზავნეს მესენიაში, ფილოპემენის ფერფლის მშობლიურ ქალაქში გადმოსასვენებლად. სრულ ასაკს არ იყო მიღწეული, როდესაც მესამე მაკედონური ომის დროს (ძვ. წ. 171—167) იგი სტრატეგოსის თანაშემწის, კავალერიის უფროსის, თანამდებობას ასრულებდა. პოლიბიოსის სამხედრო-პოლიტიკური კარიერა ნაადრევად დასრულდა. რომის მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ოკუპირებამ ახალგაზრდა პოლიბიოსის შემდგომი მოღვაწეობა სულ სხვა გზით წარმართა.

პოლიბიოსის კარიერა პოლიტიკურ ასპარეზზე დამთავრდა პიდნას ბრძოლასთან (168 წ.). პერსეუსის დამარცხების შემდეგ რომაელებმა იმ ბერძნულ ოჯახებს, რომლებიც თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ქვეყნის ცხოვრებაში, მოსთხოვეს მძევლები 1000 კაცის რაოდენობით.

მათ რიცხვში აღმოჩნდა პოლიბიოსი, როგორც აქეის კავშირის ერთ-ერთი მესვეური.

პოლიბიოსმა რომში 17 წელი (ბ. წ. 167—150 წწ.) გაატარა. აქ იგი დაუახლოვდა იმდროინდელი რომის მაღალ საზოგადოებას და განსაკუთრებით ემილიუს პავლეს. განათლებული პოლიბიოსი გახდა ახალგაზრდა სციპიონ ემელიანეს მასწავლებელი. სციპიონ ემელიანეს-თან დაახლოებამ ორივე მხარეს დიდი სარგებლობა მოუტანა. პოლიბი-ოსი სციპიონის თანამგზავრი იყო როგორც მოგზაურობაში, ისე ლა-შქრობებში. პოლიბიოსი იყო კართაგენის დანგრევის მომსწრე და თვითმხილველი. იგი სციპიონს ახლდა ესპანეთში, ესწრებოდა ნუმან-ციის ალყას. პოლიბიოსი ბევრს მოგზაურობდა, ცდილობდა პირადად გასცნობოდა იმ ადგილებს, სადაც მის მიერ აღწერილი ამბები ხდებო-და. მას შემოუვლია: გალია, ესპანეთი, აფრიკა, ეგვიპტე. ხშირად მის მოგზაურობას სამეცნიერო ექსპედიციის ხასიათი ჰქონია. მაგალი-თად, კართაგენის ალყის დროს სციპიონმა პოლიბიოსს ფლოტი გადა-სცა, რათა აფრიკის სანაპირო გამოეკვლია.

ბ. წ. 150 წელს პოლიბიოსს სამშობლოში დაბრუნების ნება და-რთეს, მაგრამ რომაელ დიდკაცობასთან ურთიერთობა და სიახლოვე არ გაუწყვეტია. საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, იგი თავის ურთი-ერთობას რომის გავლენიან წრეებთან მოხერხებულად იყენებდა სამ-შობლოს საქმეების მოსაწესრიგებლად, რითაც საბერძნეთს დიდი სამ-სახური გაუწია. მის დამსახურებას საერთო სიყვარული და პატივისცე-მა მოჰყოლია. მადლიერ ბერძნებს მისი ძეგლი აღუმართავთ მშობლი-ური ქალაქის მოედანზე (პოლიბიოსის ძეგლი სხვა ბერძნულ ქალაქე-ბშიც ყოფილა). პოსტამენტის წარწერა დაცული აქვს პავსანიას. პოლი-ბიოსის ღირსების აღწერის შემდეგ იგი ასეთი სიტყვით მთავრდება: — „მოგვითხრობენ (პოლიბიოსის შესახებ), რომ როდესაც რომაელი მხედართმთავარი (იგულისხმება სციპიონ ემელიანე) ასრულებდა მის რჩევას, ყველაფერი კარგად მიდიოდა, ხოლო როდესაც არ უსმენდა მის მითითებას — სჩადიოდა შეცდომებს. იმ ბერძნულმა ქალაქებმა, რომლებიც აქეის კავშირში შედიოდნენ, რომაელებისაგან მიიღეს ნე-ბართვა, რომ პოლიბიოსს მოეწყო მათი სახელმწიფოებრივი მმართვე-ლობა და დაეწერა მათთვის კანონები"[1]. პოლიბიოსის ღვაწლის ასეთი შეფასება შემთხვევითი არ არის. იყო დრო, როდესაც ახალგაზრდა პო-

---

[1] Павсаний, Описание Эллады, VIII, XXX, 8.

ლიბიოსი, როგორც აქეის კავშირის ერთ-ერთი თავკაცი, მახვილით ხელში იბრძოდა სამშობლოს ინტერესების დასაცავად, ხოლო ხანდაზმულობისას გვეელინება დინჯ პოლიტიკოსად; ბრძენი და გამოცდილი, დიპლომატიური შორსმჭვრეტელობით აღჭურვილი ემსახურებოდა მშობლიურ მხარეს.

პოლიბიოსი სიცოცხლის ბოლო წლამდე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული (80 წელს გადაცილებული), გადმოცემით — ცხენიდან გადმოვარდნის შედეგად (ძვ. წ. 120).

პოლიბიოსი საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალმხრივი ისტორიკოსია. მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს „მსოფლიოს ისტორია" 40 წიგნად. აქედან სრულადაა მოღწეული პირველი ხუთი. VI—XVIII წიგნიდან მოღწეულია ვრცელი და მნიშვნელოვანი ციტატები, ხოლო დანარჩენი წიგნებიდან — ბიზანტიელი კომპილატორების მიერ შესრულებული ამონაწერები და ნაწყვეტები.

პოლიბიოსის თხზულება მოიცავს მსოფლიო ისტორიას ძვ. წ. 264 წლიდან 146 წლამდე (პირველი პუნიკური ომის დასაწყისიდან კართაგენისა და კორინთოს დანგრევამდე). მისი ნაშრომი ნამდვილად მსოფლიო ისტორიაა როგორც შინაარსით, ისე მიზანდასახულობით. ამ მხრივ, იგი მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ისტორიკოსებისაგან, რომლებიც თავიანთ ნაშრომებს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის გადმოცემას უძღვნიდნენ. პოლიბიოსი განსხვავდება მომდევნო პერიოდის ბერძენი ისტორიკოსებისაგანაც. მართალია, ისინიც წერდნენ მსოფლიო ისტორიებს (დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი), მაგრამ მხოლოდ მარჯვედ ახერხებდნენ არსებული მასალის თავმოყრას და დარჩნენ კარგ კომპილატორებად. მათთვის უცხოა პოლიბიოსისეული ორიგინალური დამოკიდებულება განსახილველი საკითხებისადმი.

პოლიბიოსი პირველი ისტორიკოსია, რომელმაც დაწერა ნამდვილი მსოფლიო ისტორია, სადაც აღწერილია არა ერთი რომელიმე ხალხის, არამედ იმდროინდელი განათლებული ადამიანისათვის კარგად ცნობილი სამყაროს ისტორია.

პოლიბიოსის ისტორიის მთავარი თემაა: სამყაროს მთელი ცნობილი ნაწილი როგორ, როდის და რატომ მოექცა რომის ძალაუფლების ქვეშ (III, I, 4). ამ საკითხს ეძღვნება შრომის ძირითადი ნაწილი III—XXX წიგნები (ძვ. წ. 220—168 წწ.) პირველ ორ წიგნში პოლი-

ბიოსი მოკლედ აღწერს ადრინდელ ამბებს და ამზადებს მკითხველს მთავარ საკითხზე გადასასვლელად. ბოლო ათ წიგნში კი, მოთხრობილია ძვ. წ. 168 წლიდან 146 წლამდე მომხდარი ამბები.

პოლიბიოსის როლი ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ვ. ბუზესკულს ასე აქვს წარმოდგენილი:

„ბერძნული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს შორის ჩვენ ვიცნობთ სამს, რომელთა ნაწარმოებები მეტ-ნაკლებად უნივერსალური ხასიათისაა: ჰეროდოტე, ეფორე და პოლიბიოსი. სამივე გადმოგვცემს ისეთ ისტორიულ მომენტებს, როდესაც თვით ამბებმა შეიძინეს მეტ-ნაკლებად უნივერსალური ხასიათი და გამოდიოდნენ ცალკეული ხალხების ისტორიული ჩარჩოებიდან. ჰეროდოტე იმ პერიოდის თანამედროვეა, როდესაც სპარსულ და ბერძნულ სამყაროებს შორის შეტაკება იწყებოდა. იგი აღიზარდა მათი ბრძოლების მოგონებებზე. ეფორე — ფილიპე მაკედონელისა და ალექსანდრე დიდის მოღვაწეობის დასაწყისის თანამედროვე იყო, როდესაც დაქუცმაცებული ბერძნული სამყარო მაკედონიის მეთაურობით ერთიანდებოდა და მზადდებოდა მისი შერწყმა აღმოსავლურ სამყაროსთან. ბოლოს, პოლიბიოსი — რომაული მსოფლიო ბატონობის დასაწყისის თანამედროვე, როდესაც დასავლეთი და ელინისტური აღმოსავლეთი უნდა გაერთიანებულიყო ერთ მთელად და სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული ბედის დინება ერთ კალაპოტს უნდა შერთვოდა. მაგრამ თუ ჰეროდოტესა და ეფორეზე შეიძლება კამათი, იყვნენ თუ არა ისინი მსოფლიო ისტორიის ავტორები, პოლიბიოსის შესახებ ასეთი კამათი არ შეიძლება, მისი შრომა უდავოდ მსოფლიო ისტორიაა"[1].

პოლიბიოსი ახალი ეპოქის, რომაული სამყაროს ისტორიკოსია. იგი თითქმის თანამედროვეა ამ ეპოქის დაბადებისა.

პოლიბიოსი აღწერილ ამბებს კარგად იცნობდა, დიდი სიზუსტით იყენებდა საარქივო მასალას, რაც მისთვის უდავოდ ხელმისაწვდომი იქნებოდა როგორც რომში ყოფნისას, ისე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ავტორს შეეძლო გამოეყენებინა მოგზაურობისას შეგროვებული ცნობები ამა თუ იმ მოვლენის დასაზუსტებლად, არ კმაყოფილდებოდა პირადი დაკვირვებებით და თანამედროვეთა ზეპირი ცნობებით. იგი მიმართავდა მრავალ წყაროს: საარქივო მასალას, ხელშეკრულებებს, ოქმებს, მოხსენებებს, ოფიციალურ დადგენილებებს, წერი-

---

1. В. Бузескул, Введение в историю Греции, Петербург, 1915, გვ. 189.

ლებს. მაგალითად, მას მოჰყავს რომისა და კართაგენის ხელშეკრულება. პოლიბიოსს ლაციუმში უნახავს სპილენძის დაფა, რომელზედაც ჰანიბალის ბრძანებით, ამოკვეთილი ყოფილა მისი არმიის რაოდენობა. ავტორს მის ნამდვილობაში ოდნავადაც არ ეპარებ. ეჭვი (III, 33). ერთ ადგილას გადმოგვცემს სციპიონის ფილიპესადმი გაგზავნილი წერილის შინაარსს. გარდა ზემოდასახელებული მასალებისა, პოლიბიოსი ფართოდ სარგებლობს საისტორიო მწერლობით (თუკიდიდე, ქსენოფონტი, პლატონი, არისტოტელე, თეოპომპე, ეფორი, ტიმეოსი), ზოგან უთითებს გამოყენებულ ლიტერატურას, ზოგან არა. პოლიბიოსი ხშირად კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ამა თუ იმ ავტორს, მკაცრად ექცევა წინამორბედ და თანამედროვე ისტორიკოსებს. პოლიბიოსს, როგორც ობიექტურ ისტორიკოსს, კარგად ახასიათებს ზენონთან დამოკიდებულება. პოლიბიოსი თავის „მსოფლიო ისტორიაში" წერს, რომ ზენონს ლაკონიკის აღწერისას დაშვებული ჰქონდა უხეში შეცდომები. ამის შესახებ თვითონ ზენონისთვის მიუწერია. პოლიბიოსს წესიერი ადამიანისათვის მიუღებლად მიაჩნია სხვისი შეცდომების თავის სასარგებლოდ გამოყენება. ზენონს მართლაც ყურადღება კეთილი რჩევანი და დიდი მადლობა შეუთვლია მისთვის. კეთილსინდისიერების შესახებ პოლიბიოსი წერს: „საერთო საქმის საკეთილდღეოდ მე მზად ვარ გულმოდგინედ გავასწორო არა მარტო ჩემი, არამედ სხვათა თხზულებანიც, რის საშუალებასაც საკუთარი ძალები მომცემენ" (XVI, 20).

განსაკუთრებული სიმკაცრით ახასიათებს პოლიბიოსი იმ ისტორიკოსებს, რომელთაც მცირე ცოდნა ჰქონდათ სამხედრო საქმეში და მაინც წერდნენ მის შესახებ. კერძოდ, მკაცრად აკრიტიკებს ეფორს. იგი წერს: „სამხედრო საქმეში მას, როგორც მე მეჩვენება, რამდენადმე აქვს წარმოდგენა საზღვაო ბრძოლებზე, მაგრამ სრულიად უვიცია სახმელეთო ბრძოლებში" (XII, 25).

პოლიბიოსის ყველაზე დიდი გულისწყრომა მაინც დაიმსახურა ტიმეოსმა. მის კრიტიკას ეძღვნება მთელი XII წიგნი. პოლიბიოსი აღნიშნავს ტიმეოსის შეცდომებს, გადახვევებს მოვლენების აღწერის სწორი ხაზიდან. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიბიოსი ისტორიის სარგებლიანობის, დანიშნულებისა და როლის შესახებ ძირითადად ტიმეოსის კრიტიკასთან დაკავშირებით საუბრობს. უარყოფითად ახასიათებს პოლიბიოსი ფილინსა და ფაბიუსს, რადგან, დაწერეს რა პუნიკური ომე-

ბის ისტორია, ფილინმა — კართაგენული, ხოლო ფაბიუსმა რომაული პოზიცია დაიკავა.

პოლიბიოსს, როგორც შემოქმედ, ორიგინალურ ისტორიკოსს, საკუთარი შეხედულება აქვს ისტორიაზე, მის დანიშნულებაზე და იმ სარგებლობაზე, რისი მოტანაც მას ადამიანისათვის შეუძლია. „წარსულის შეგნებამ ყოველ ახალ ცოდნაზე უფრო მეტად შეუძლია მოუტანოს კაცს სარგებლობა. ისტორიიდან ამოკრეფილ გაკვეთილებს უფრო სწორად მიჰყავს ადამიანი განათლებისაკენ და ამზადებს მას საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, მოთხრობა სხვების მიერ განცდილი ტანჯვისა არის შთამაგონებელი და ერთადერთი დამრიგებელი, რომელიც გვასწავლის მამაცურად ავიტანოთ ბედის უკუღმართობანი" (I, 1). პოლიბიოსის თანახმად, „სწორი ცხოვრების სკოლას წარმოადგენს გამოცდილება, რომელსაც ვიძენთ მოვლენათა ჭეშმარიტი ისტორიიდან" (I, 35).

პოლიბიოსს ისტორიკოსის მოვალეობა მეტად პასუხსაგებად მიაჩნია. მისი სიტყვით: „ისტორიკოსის ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ საოცარ საგნებზე მოთხრობით მკითხველებში შიში აღძრას, ან შეთხზული, სინამდვილის მსგავსი გადმოცემებით აღნიშნოს ყველა გარემოებანი, როგორც ტრაგიკოსები იქცევიან, არამედ იმაში, რომ ზუსტად გადმოსცეს მხოლოდ ის, რაც გაკეთდა ან ითქვა სინამდვილეში" (II, 56). ისეთ ისტორიას, რომლის ამოსავალი წერტილი ჭეშმარიტება არ არის, პოლიბიოსი ბრმა არსებას ადარებს (I, 14).

პოლიბიოსმა, როგორც თავის სამშობლოს ბედ-იღბლის მესაჭემ, ბრწყინვალედ იცოდა სახელმწიფოებრივი და სამხედრო საქმეები. ამიტომ, წარსულის გაკვეთილების პოლიბიოსისეული შეფასება თხრობის საინტერესო გადმოცემისათვის არ არის გამიზნული. როგორც სახელმწიფო მოღვაწე, იგი მასში დიდ სარგებლობას ხედავდა და აქედან გამომდინარეობს ის ყურადღება, რასაც იჩენდა თავის შრომაში ისტორიის სარგებლიანობისადმი.

წარსულის ცოდნა მარტო კარგი კი არ არის, არამედ აუცილებელია ადამიანისათვის, რათა ის უფრო წინდახედულად მოიქცეს როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. ისტორიის მიზანია არა კმაყოფილების, არამედ სარგებლობის მოტანა.

თუ ისტორიიდან ამოვგლეჯთ იმას, რასაც შეუძლია გვასწავლოს, ასეთ შემთხვევაში მასში არაფერი ფასეული აღარ დარჩება. ისტორია

სასარგებლოა არა მარტო ცალკეული რიგითი პიროვნებისათვის, არამედ სახელმწიფო მოღვაწეთათვისაც. ნამდვილ ისტორიაში „მოთხრობა ხალხთა ბედის, ქალაქებისა და მმართველების შესახებ ატყვევებს ადამიანს". პოლიბიოსი ისტორიას წერს არა კითხვის მოყვარულთათვის, არამედ სერიოზული მკითხველისათვის, რომელიც ისტორიაში ეძებს ჭეშმარიტებას, რათა წარსულის მკაცრი გაკვეთილები გამოიყენოს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ მკითხველიც და ისტორიკოსიც ამ განზრახვით არ მიუდგებიან ისტორიას, მაშინ იგი კარგავს თავის დანიშნულებას.

პოლიბიოსის მიხედვით, მოვლენის უბრალო თხრობა და აღწერა კი არ არის მთავარი, არამედ ამ მოვლენის მიზეზების ანალიზი. აუცილებელია მოვლენათა ურთიერთდაკავშირება. თუმცა პოლიბიოსი ყოველთვის არ მიჰყვება მის მიერ დასახულ გადმოცემის მეთოდს, მაგრამ ეს იმის ბრალი უნდა იყოს, რომ მისი შრომის დიდი ნაწილი მოღწეულია ამონაწერების სახით და შეიძლება ამონაწერის ავტორმა ვამოტოვა მოვლენის ის შინაგანი კავშირი, რომელსაც პოლიბიოსი მთავარ ყურადღებას აქცევდა. „შიშველი მოთხრობა, — ამბობს იგი, — მომხდარი ამბების შესახებ ართობს მკითხველს, მაგრამ სამაგიეროდ სარგებლობა მისთვის სრულებით არ მოაქვს. ისტორიის კითხვა ხდება სასარგებლო, თუ თხრობაში ახსნილია მოვლენის მიზეზები" (XII, 258).

პოლიბიოსი დიდი მოვალეობის წინაშე აყენებს ისტორიკოსს, იგი მისგან ბევრს მოითხოვს. ისტორიკოსმა, უპირველესად, უნდა იცოდეს ცოცხალი სახელმწიფოებრივი საქმიანობა მისი მრავალი დარგით, მხოლოდ შემდეგ აქვს ფასი წინამორბედ ისტორიკოსთა შრომების შესახებ მსჯელობას. მხოლოდ წიგნიერი განათლება არ გამოადგება ისტორიკოსს სწორად გადმოსცეს ესა თუ ის მოვლენა. „შეუძლებელია აღწერო სწორად სამხედრო შემთხვევა, თუ არა გაქვს არავითარი წარმოდგენა სამხედრო საქმეზე, ზუსტად ისე, როგორც არ შეუძლია სახელმწიფოებრივ წყობაზე წერა კაცს, რომელსაც თვით არ მიუღია მონაწილეობა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში" (XII, 25).

პოლიბიოსი, უმეტეს შემთხვევაში, ობიექტურად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გადმოგვცემს მთელ რიგ საკითხებს. მაგალითად, მისი შრომა დაწერილია პრორომაული პოზიციებიდან, იგი აქებს და ადიდებს რომს და მის საქმიანობას. მაგრამ, რომის გვერდით, ღირსეულად მოიხსენიებს ჰანიბალსაც (XV, 15). პოლიბიოსთან მიკერძო-

ების მაგალითი, როგორც გამონაკლისი, არის ეტოლიისა და აქეის კავშირის დაპირისპირებისას. იგი, როგორც აქეის კავშირის ერთ-ერთი მეთაური, აშკარად მის მხარეს იჭერს და მკაცრად აკრიტიკებს ფილარქეს (ძვ. წ. III ს. ისტორიკოსს, ელადის ისტორიის ავტორს), რომელიც ეტოლია-აქეის ურთიერთობის შეფასებისას საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა.

პოლიბიოსი რომის მიერ მსოფლიოს დაპყრობას ისტორიულ აუცილებლობად და სასიკეთო ფაქტად მიიჩნევს. ამასთან ერთად, ისტორიკოსი მწუხარებით და თანაგრძნობით ლაპარაკობს ბერძენთა უბედურებაზე, მათ რომაელთა უღელქვეშ მოქცევაზე. რომისადმი პატივისცემის მიუხედავად. პოლიბიოსი სამშობლოსადმი სიყვარულს არ ძალავს და თავისი თხზულების მრავალ ადგილას გადმოგვცემს მეტად თბილ დამოკიდებულებას. იგი სიამაყით აღნიშნავს, რომ „ელინები აღემატებიან ყველა დანარჩენ ხალხებს" (V, 90). მისი ისტორიის მრავალი ადგილი საერთო ელინური გლოვის გამომხატველია. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ საბერძნეთის დაპყრობით რომაელებმა მასზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს. ბოლო მოეღო ბერძენთა შორის გაუთავებელ შინა ომს, დამყარდა საერთო მშვიდობიანობა, მაგრამ დამთავრდა მისი დამოუკიდებელი არსებობაც. ახალ ვითარებაში ყველაზე დიდ უბედურებად პოლიბიოსს მიაჩნია მოსახლეობის შემცირება, ნაკლები შობადობა და ქალაქთა გაუდაბურება. ამის შესახებ იგი წერს: „ელადის უდიდესი უბედურებაა ქალთა უშვილობა და მოსახლეობის შემცირება. ქალაქები გაუკაცრიელდნენ, თუმცა არც ხანგრძლივ ომებსა და არც მოარულ სენს ადგილი არ ჰქონია. ვინმეს რომ ერჩია ღმერთებისათვის მიგვემართა, თუ როგორ აგვეღორძინებინა ქალაქები და გაგვეხადა ხალხმრავალი, ასეთ მრჩეველს სულელად მივიჩნევდით, ვინაიდან უბედურების მიზეზი ჩვენ ვართ და მისი აღმოფხვრაც ჩვენ შეგვიძლია. უბედურება იმაშია, რომ ადამიანები გაირყვნენ, გახდნენ პატივმოყვარენი, მხოლოდ ანგარებაზე ფიქრობენ, განებივრდნენ და არ სურთ დაქორწინება, ხოლო თუ ქორწინდებიან, თავს არიდებენ საკუთარი შვილების გამოკვებას. მხოლოდ ერთს ან ორს იტოვებენ, რომ გაზარდონ ისინი ფუფუნებაში და დაუტოვონ სიმდიდრე. აქედან მოკლე დროში მივიღეთ ბოროტება. ცხადი და გარდაუვალია, რომ ერთი ან ორი შვილიდან თუ ერთს ომი

ან ავადმყოფობა მოიტაცებს, სახლი ცარიელდება... ასეთ შემთხვევაში ღმერთი ვერ დაგვეხმარება. ხსნა ჩვენს ხელთ არის. თვითონვე უნდა გამოვასწოროთ საკუთარი დანაშაული, ყველაზე უკეთესია, კანონით დავავალოთ მშობლებს შვილების გაზრდა" (XXXVII, 9).

პოლიბიოსის პოლიტიკური შეხედულებანი არისტოკრატიულია. იგი უარყოფითად იყო განწყობილი დემოკრატიისადმი. პოლიბიოსს საკუთარი შეხედულება ჰქონდა სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმებზე. იგი, იმოწმებს რა სხვა ავტორებს, წერს, რომ არსებობს სამი ფორმის სახელმწიფო წყობა: მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული. ამათგან ცალ-ცალკე ყველა მიუღებლად მიაჩნია. სახელმწიფოს ისეთი წყობაა ნორმალური და მისაღები, სადაც სამივე ფორმა არის გაერთიანებული. საბერძნეთის მაგალითზე პოლიბიოსი სანიმუშოდ თელის ლიკურგეს მიერ შექმნილ ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობას (VI, 48). ათენისა და თებეს დემოკრატიული მმართველობის ფორმები იმდენად მიუღებლად მიაჩნია, რომ მისი აზრით, მასზე ლაპარაკი არა ღირს. პოლიბიოსი მმართველობის სრულყოფილ ფორმად მიიჩნევდა მონათმფლობელური რესპუბლიკის სახელმწიფო წყობას.

პოლიბიოსი უარყოფითად ახასიათებს პლატონის სახელმწიფოს, თუმცა აღნიშნავს, რომ ფილოსოფოსები დიდად აქებენო. იგი წერს, პლატონის სახელმწიფოს დაშვება არ შეიძლება მანამდე, ვიდრე მისი ვარგისიანობა საქმით არ გამოიცდებაო.

პოლიბიოსმა გარკვეული ხარკი გადაუხადა ელინისტურ ფილოსოფიას, კერძოდ სტოიციზმს. მის პოლიტიკურ შეხედულებაზე დიდია აგრეთვე არისტოტელეს მოძღვრების გავლენა. პოლიბიოსი თავის შრომაში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ისტორიკოსის მოვალეობად მშრალ აღწერას კი არ თვლიდა, არამედ ამბავის ახსნას, მოვლენის მიზეზობრიობასა და ურთიერთკავშირის გამორკვევას. ამ ნამდვილად სწორი დებულების შემდეგ, იგი აშკარად მცდარ პოზიციაზე გადადის. პოლიბიოსი მიიჩნევს, რომ საზოგადოების ისტორიაში მოქმედებს ბედი, რომელიც მოვლენას განსაზღვრული მიზნისაკენ წარმართავს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბედისადმი მისი დამოკიდებულება თანამიმდევრული არ არის.

პოლიბიოსი, სხვა ძველი ისტორიკოსების მსგავსად, დიდ როლს ანიჭებს გამოჩენილ პიროვნებას.

პოლიბიოსის მიხედვით, როგორც ყოველგვარი ცოცხალი სხეული ბუნებაში არსებული კანონების თანახმად, განიცდის დაბადებას, აყვავებასა და ჭკნობას, ასევე ემართება ადამიანთა საზოგადოებასაც საზოგადოებას და მისი მმართველობის ფორმებსაც ეს კანონები ამოძრავებს. ხდება სახელმწიფოებრივი ფორმების ციკლისებური ბრუნვა-განმეორება (VI, 51). მმართველობის ფორმები იცვლება, ერთი გადადის მეორეში და თავიდან ბრუნდება წრიულად. მისი აზრით, ასეთი ბრუნვა ბუნებრივი აუცილებლობაა.

პოლიბიოსი სათანადო ყურადღებით ეკიდება გეოგრაფიას. მისი აზრით, გარემოს კარგ ცოდნაზე დიდადაა დამოკიდებული მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად დაგვირგვინება. პოლიბიოსი თავის ისტორიას პრაგმატულს უწოდებს. მისი თეორიით, ისტორიის განვითარება ადამიანთა საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მისი ისტორია ძირითადად წმინდა პოლიტიკური ისტორიაა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს საკუთარი დაკვირვებანი და სწორი მსჯელობანი მის მიერ აღწერილი საზოგადოების ეკონომიურ მდგომარეობაზეც.

პოლიბიოსს, „მსოფლიო ისტორიის" გარდა, სხვა შრომებიც ჰქონია, რომელთა შესახებაც თვითონვე გვაუწყებს. როდესაც პოლიბიოსი მსჯელობს აქეის კავშირის სტრატეგოსის ფილოპემენის ღირსებათა შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ სარდლის მოღვაწეობისადმი საჯირო ცნობებს დაინტერესებული მკითხველი ჩემს სპეციალურ შრომაში — „ფილოპემენის ბიოგრაფიაში" იპოვის, რომელიც სამი წიგნისაგან შედგებაო (X, 21). მაგრამ პოლიბიოსის ამ შრომიდან სათაურის მეტი არაფერია ცნობილი.

პოლიბიოსს დაუწერია აგრეთვე თხზულება „სამხედრო ტაქტიკის შესახებ". სათაურით შეგვიძლია ვივარაუდოთ რა შინაარსისა და ხასიათისა უნდა ყოფილიყო ეს ნაშრომი. პოლიბიოსი წერს, რომ მხედართმთავრისათვის, რომელსაც წარმატების მიღწევა სურს, აუცილებელია გეომეტრიის ცოდნაო. თუ რატომ, ამის შესახებ გვთავაზობს თავის ნაშრომს: „ამ საკითხზე ჩვენ მეტად დაწვრილებით ვლაპარაკობთ თხზულებაში „ტაქტიკის შესახებ" (IX, 20). პოლიბიოსს დაუწერია „ნუმანციის ომის ისტორია", მაგრამ ეს ნაშრომიც არ არის მოღწეული.

პოლიბიოსმა გააფართოვა ისტორიის ამოცანები. მან ისტორიკოსის წინაშე მრავალი ისეთი პრობლემა დააყენა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ყველა ეპოქის ისტორიკოსისათვის. ამ ღორსებათა გამო, მისი შრომა მიჩნეულია ყველა დროის ერთ-ერთ დიდებულ ისტორიულ ნაწარმოებად. ცნობილი ისტორიკოსი თ. მომზენი პოლიბიოსს იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მზეს უწოდებს.

პოლიბიოსის ენა შორს დგას რიტორიკისაგან. მისი ენა „ესაა საერთო ბერძნული ენა", რომელზედაც მის დროს ლაპარაკობდნენ და წერდნენ — ფრაზის აგებულება, ყოველგვარი სამკაულის გარეშე, სწორი და მკაფიოა. მისი ნაშრომის მიზანდასახულობას ადამიანებისათვის სარგებლობის მოტანა შეადგენს. აღებულ მოვალეობას პოლიბიოსი პირნათლად ასრულებს. როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, პოლიბიოსის „ისტორია" ჩამორჩება ადრინდელ ისტორიკოსთა თხზულებებს.

პოლიბიოსი — ისტორიკოსი დიდი პატივისცემით სარგებლობდა როგორც სიცოცხლეში, ისე მომდევნო ეპოქაშიც. პოლიბიოსის თხზულება განაგრძო სტოიკოსმა ფილოსოფოსმა პოსიდონიოსმა, რომელმაც მომდევნო ეპოქის ისტორია 52 წიგნად დაწერა. დიდად აფასებდა პოლიბიოსს სტრაბონი. „პოლიბიოსთან კამათი საპატიოა" — წერს იგი. ციცერონი და ტიტუს ლივიუსი მას კეთილსინდისიერ მწერალს უწოდებენ. ციცერონს კარგად ჰქონდა შესწავლილი პოლიბიოსი და აღნიშნავდა, რომ წარსულის კვლევაში „ჩვენს პოლიბიოსს" ტოლი არ ჰყავსო. ტიტუს ლივიუსი, რადესაც ეხება პოლიბიოსის აღწერილ ეპოქას, თითქმის უცვლელად იმეორებს მას. დიონ ქრისოსტომი პოლიბიოსს „მეორე თუკიდიდეს" უწოდებდა.

პოლიბიოსის თხზულება დაწვრილებითია, ფაქტიური მასალა — ნაღელი. პირველხარისხოვან ცნობებთან ერთად, საყურადღებოა მისი პირადი დაკვირვებანი და მსჯელობანი, რითაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ძველ ბერძენ ისტორიკოსთა შორის[1].

---

[1] პოლიბიოსის ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნა და გამოაქვეყნა თინათინ ყაუხჩიშვილმა. იხ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. III, 1976.

დიოდორე სიცილიელი

ძველი ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკას", რომელიც 40 წიგნად იყო დაწერილი. აქედან ჩვენამდე მთლიანად მოღწეულია მხოლოდ I—V და XI—XX წიგნები, დანარჩენებიდან კი მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

დიოდორე სიცილიელზე სხვა წყაროები არაფერს გვეუბნებიან. ზოგიერთი ცნობის დადგენა ისევ მისი „ისტორიული ბიბლიოთეკიდან" ხერხდება. დიოდორე გადმოგვცემს, რომ წარმოშობით კუნძულ სიცილიის ქალაქ აგირიუმიდან ყოფილა. მშობლებისა და ჩამომავლობის შესახებ იგი არაფერს ამბობს, მაგრამ მისი სიტყვები, რომ ამ ქალაქთან რომაელთა სავაჭრო ურთიერთობის შედეგად, ლათინური ენა საფუძვლიანად შეუსწავლია (I, 4, 4) — საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დიოდორე სავაჭრო წრიდან იყო გამოსული და შესაძლოა, თვითონაც სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა.

დიოდორეს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებიც არაა ცნობილი. ძვ. წ. 60—50-იან წლებში მას ეგვიპტეში უმოგზაურია (I, 44, I). თუ დავუშვებთ, რომ იგი ამ დროს 20—30 წლისა მაინც იქნებოდა, გამოდის, რომ დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით ძვ. წ. 90—80-იან წლებში. რაც შეეხება დიოდორეს გარდაცვალებას, ყველაზე გვიანდელი მოვლენა, რომელიც „ისტორიული ბიბლიოთეკაშია" მოხსენებული, არის ოქტავიანე ავგუსტუსის მიერ ძვ. წ. 21 წლის სიცილიის ქალაქ ტავრომენიუმის მცხოვრებთა აყრა და იქ რომაული კოლონიის დაარსება (XVI, 7, I). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიოდორე გარდაცვლილა ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელ ოცეულში.

დიოდორეს, გარდა ეგვიპტეში მოგზაურობისა, ხანგრძლივად უცხოვრია რომში. იგი წერს: „სიუხვემა და სიმდიდრემ ამ ქალაქისა, რომლის ძალაუფლება ქვეყნის თვით უკიდურეს მხარეებსაც სწვდება, მას მერე, რაც იქ ხანგრძლივად ვიცხოვრეთ, მოგვცა მრავალი, მეტად სასარგებლო და ჩვენი მიზნისათვის შესაფერი მასალა" (I, 4, 3). ამას გარდა, დიოდორე აღნიშნავს, რომ მან „შემოიარა მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპისა და აზიისა", დაუთვალიერებია ის ადგილები, სადაც დიდი ისტორიული მოვლენები მოხდა (ბრძოლების ადგილები, ძველი ქალაქები და სხვა).

დიოდორე სიცილიელი სამოღვაწეო ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა, როდესაც ეცემოდა რესპუბლიკური წყობილება და რომი ერთმმართველურ მონარქიად, იმპერიად ფორმდებოდა. ეს იყო ეპოქა ფართო დაპყრობითი ლაშქრობებისა, მძაფრი სამოქალაქო ომებისა, პოლიტიკურ დაჯგუფებათა ქიშპობისა, იულიუს კეისრის დიქტატურისა, რესპუბლიკელთა უკანასკნელი გაბრძოლებისა და ოქტავიანე ავგუსტუსის ერთმმართველური რეჟიმის, პრინციპატის დამყარებისა.

ის შინაგანი სოციალური და პოლიტიკური ძვრები, რომლებიც რომის სახელმწიფოში ხდებოდა, იწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებებს იდეოლოგიურ სფეროშიაც. ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისისათვის რომში მთავრდება სინთეზი ძველ იტალიურ კულტურულ ტრადიციებსა და იმ მრავალრიცხოვან მიმდინარეობათა შორის, რომლებიც მოდიოდა განვითარებული ელინისტური ქვეყნებიდან. რომაული და ბერძნულ-ელინისტური კულტურის ეს სინთეზი ვლინდება იმ დროის უდიდესი მოაზროვნის მარკუს ტულიუს ციცერონისა და მისი მიმდევრების ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

რომის მაღალ საზოგადოებაში თანდათან ვრცელდებოდა რაციონალისტური ფილოსოფიური სისტემები. ყველაზე პოპულარული ამ დროს რომში სტოელთა ფილოსოფიური მოძღვრება იყო, რომელიც ქადაგებდა გონების უპირატესობას, ადამიანთა თანასწორობას და სხვა.

პოკავშირეთა ომის შემდეგ იტალიის ქალაქთა მუნიციპალური ზედაფენის ახალგაზრდობა ეწაფება განათლებას და ერევა რომის არისტოკრატიული ახალგაზრდობის წრეებში. ყოველივე ამან განსაკუთრებით გაზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ლიტერატურითა და ხელოვნებით, რიტორიკითა და ფილოსოფიით, რომის სახელმწიფოში შემავალი ქვეყნებისა, თუ მეზობელ სახელმწიფოთა ისტორიით.

აი, სწორედ ასეთ ვითარებაში მოუხდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დიოდორე სიცილიელს და ცხადია, ყველა ეს მოვლენა მის საქმიანობას თავის კვალს დაამჩნევდა, ერთგვარად განაპირობებდა მისი თხზულების თავისებურებას, აისახებოდა მის ნაწარმოებში.

ხარკს უხდის რა მაშინდელი განათლებული წრეების მოთხოვნილებებს, დიოდორე ერთ მთლიანობაში განიხილავს ბერძნულს, რომაულსა და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას. მისი მიზანი მარტო რომის ისტორიის, ან რომელიმე ცალკეული პერიოდის შესწავლა-

აღწერა კი არ არის, არამედ მსოფლიო ისტორიის მთლიანი მიმოხილვაა. ამ მხრივ, დიოდორე გვევლინება პოლიბიოსისა და პოსიდონიოსის მიმდევრად, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს მსოფლიო ისტორიას, თუმცა, როგორც შემოქმედი და მოაზროვნე მათზე გაცილებით უფრო დაბლა დგას.

დიოდორე სიცილიელი სტოელთა ფილოსოფიური სკოლის მიმდევარია და სწორედ მათი კოსმოპოლიტური ტენდენციების გავლენით ლაპარაკობს თავისი შრომის დასაწყისში, რომ ყველა ადამიანი ერთი და იმავე თემის ან სახელმწიფოს წევრია, ერთმანეთის მონათესავეა, თუმცა მათ აშორებს დრო და ტერიტორია. მსოფლიო ისტორიკოსმა უნდა ერთიანობაში განიხილოს ყველა ხალხის წარსული.

დიოდორე ხაზს უსვამს მსოფლიო ისტორიის უპირატესობას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთოდ ისტორიკოსს, მის როლსა და დანიშნულებას.

„სავსებით სამართლიანია,—წერს დიოდორე თავის შრომის შესავალში, — რომ ყველა ადამიანი დიდად მადლიერია იმათი, ვინც შეადგინა მსოფლიოს ისტორია, რადგანაც ეს მწერლები თავისი შრომით ისწრაფვიან დახმარება აღმოუჩინონ ადამიანებს მათი თანაცხოვრების მოწყობაში. მართლაც, ისინი უშიშრად ასწავლიან ადამიანებს იმას, რაც მათთვის სასარგებლოა, გადასცემენ მკითხველებს უძვირფასეს ცოდნასა და ცხოვრების გამოცდილებას. ისტორიული შინაარსის შრომების საფუძველზე დაგროვილი ცოდნა და შეგნება, ადამიანთა როგორც წარმატების, ისე მარცხის მიზეზთა შესახებ, შესაძლებელს ქმნის ცხოვრების გამოცდილებათა შეცნობას უხიფათო გზით... ხომ ძალზე კარგია, რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვათა შეცდომები როგორც ჭკუის სწავლების მაგალითი სხვადასხვა შემთხვევისათვის მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე და ჩვენ თვითონ აღარ მოგვიხდეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოვიქცეთ, არამედ შეიძლება მხოლოდ მივბაძოთ იმას, რაც სწორი და სასარგებლო იყო“ (I, I).

„იმის გამო, — აღნიშნავს დიოდორე, — რომ ისტორია მუდამ მოგვაგონებს სიქველეს, მისი გავლენით ერთნი განიმსჭვალებიან შეგნებით, რომ აშენონ ქალაქები, მეორენი — რომ შექმნან საზოგადოებისათვის სასარგებლო კანონები, მესამენი — დაეწაფონ მეცნიერებასა და ხელოვნებას... და რადგანაც ყველაფერი ეს ზრდის ხალხთა კე-

თილდლეობას, ამიტომ პირველი ქება უნდა უძღვნათ ამის პირველ მიზეზს — ისტორიას" (I, 2).

დიოდორე აქვე აკრიტიკებს იმ წინანდელ ისტორიკოსებს, რომელთა უმეტესობა „აღწერდა, უპირატესად, ცალკე ომებს ერთი რომელიმე ხალხისა, ან რომელიმე სახელმწიფოსი; მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ისახავდა მიზნად აღეწერა ყველა ხალხის ზოგადი ისტორია, დაწყებული უძველესი დროიდან და გათავებული თანადროულობით. ამასთანავე, ზოგი მათგანი არ მიუჩენდა თითოეულ ამბავს შესაფერის დროს; მეორენი — გამოტოვებენ ცნობებს ბარბაროსული სამყაროს შესახებ; ზოგიერთნი, თხრობის სიძნელის გამო, უკუაგდებდნენ უძველეს გადმოცემებს; ზოგი ვერ ათავსებდა სხვადასხვა მოვლენას ერთმანეთთან ან ვერ ამთავრებდა დაწყებულ შრომას, რადგან მისი ცხოვრება აღრევე წყდებოდა ბედის წყალობით ისე, რომ არც ერთ მათგანს თავისი ისტორია მაკედონიური ხანის აქეთ აღარ გაუგრძელებია. ერთმა მოიყვანა იგი ფილიპეს დაპყრობამდე, მეორემ — ალექსანდრეს დაპყრობით ლაშქრობებამდე; ზოგი თავის თხრობას დიადოხებზე, ან ეპიგონებზე წყვეტდა. ასე რომ მრავალი მნიშვნელოვანი ამბავი, მას შემდეგ მომხდარი ჩვენს დრომდე, ჩაუწერელი დარჩა" (I, 3, 1—3).

მკითხველისათვის სარგებლობა კი, დიოდორეს აზრით, იმაშია, რომ ისტორია მოიცავდეს რაც შეიძლება მეტსა და, ამასთანავე, მრავალნაირ ამბებს. ამასთან დაკავშირებით, დიოდორეს მიზანი სავსებით გარკვეულია. „ჩვენ — წერს იგი — გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ ყველა წინანდელი ისტორიკოსის ნაწარმოები და დავწეროთ ისტორია, რომელსაც შეუძლია უდიდესი სარგებლობა მოუტანოს ხალხს და, ამასთანავე, სიძნელე არ შეახვედროს მისი კითხვის დროს. საერთოდ, ასეთი ისტორიული ნაწარმოები უნდა ჩაითვალოს სხვებზე უკეთესად, რამდენადაც მასში მთლიანი უფრო ძვირფასია თავის ცალკეულ ნაწილებზე. გაბმული თხრობა უფრო გასაგებია, ვიდრე ცალკეული ცნობები და რამდენადაც დროის მიხედვით განაწილებული ამბები უფრო მეტად შთანაგონებელია, ვიდრე ისეთები, რომელნიც არავინ იცის როდის მომხდარა" (1, 3, 4).

დიოდორე სიცილიელის ნაშრომის სათაური შენახულია გაიუს პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში", სადაც აღნიშნავს, რომ დიოდორე ავირიუმელს შეუდგენია ნაშრომი, რომელსაც „ბიბლიოთეკა" ეწოდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში კი მას, როგორც წესი, „ისტორიული ბიბლიოთეკის" სახელით მოიხსენიებენ.

დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკა“ წმინდა კომპილაციური ხასიათის ნაშრომია, რომელშიც თითქმის უკრიტიკოდაა შეტანილი სხვადასხვა დროისა და ხასიათის წყაროთა მონაცემები, მცირე შემოკლებებითა და გარკვეულ ქრონოლოგიურ სისტემაში გაერთიანებით. ასეთი ზერელე, შემოკლებული მიმოხილვები და კრებულები, რომლებიც ზოგადი განათლებისათვის საკმარის ცნობებს იძლეოდა რომის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ხალხების წარსულიდან, უფრო ადვილი მისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის.

დიოდორეს შრომის კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ იგი რომის საზოგადოებისათვის არის დაწერილი. ავტორი ქედს იხრის რომის სახელმწიფოებრივი წყობილების ძლიერებისა და სიმდიდრის წინაშე. ამართლებს თითქმის ყველა ღონისძიებასა და პოლიტიკურ აქტს, რომელსაც ახორციელებდნენ რომაელი მოღვაწეები, აღიარებს რომის უპირატესობას. ამასთან ერთად, მისი შრომის ზოგიერთ ადგილას ჩანს სიცილიის მკვიდრის კუთხური მიკერძოება. სიცილიის ისტორია ბერძნულ-რომაულის გვერდითაა დაყენებული და ზოგჯერ დიოდორე იყენებს ისეთ წყაროებსაც, რომლებიც რომის პოლიტიკის მიმართ გულგრილად და ხანდახან აშკარად მტრულადაცაა განწყობილი. ბევრგან მის პრორომაულ განწყობილებას ამკრთალებს და ან სულაც აქარწყლებს სტოიკური ფილოსოფიის კოსმოპოლიტიკური ტენდენციებიც.

დიოდორეს ნაშრომის ავკარგიანობისა და სანდოობის გასარკვევად, აუცილებელია მისი წყაროების დადგენა და იმის გათვალისწინება, თუ როგორ იყენებდა იგი ამ წყაროებს. დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომლის თანახმად „ისტორიული ბიბლიოთეკის“ ესა თუ ის ნაწილი დაფუძნებული იყო მხოლოდ ერთი რომელიმე ავტორის თხზულებებზე, რომლის უბრალო შემოკლებას და ერთგვარ ლიტერატურულ გადამუშავებას ახდენდა დიოდორე. „ისტორიული ბიბლიოთეკა“, ამ შეხედულებით, გამოდიოდა ასეთ შემოკლებულ-გადამუშავებულ წყაროთა ხელოვნურ კრებულად, რომლის შედგენაში დიოდორეს როლი მეტად უმნიშვნელო იყო. ასე მაგალითად, XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ქრ. ა. ვოლქუარდზენმა გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ „ისტორიული ბიბლიოთეკის“ ის ნაწილი, რომელიც საბერძნეთისა და სიცილიის ისტორიას შეეხება, ე. ი. XI—XV წიგნები, პირდაპირ აღებუ-

ლია ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ისტორიკოსის ეფორეს „ისტორიიდან"; დიოდორეს იგი მხოლოდ შეუმოკლებია და ოდნავ გადაუმუშავებია ლიტერატურულად. მაშინ ისტორიოგრაფიაში საერთოდ გაბატონებული იყო გერმანიაში ჩამოყალიბებული ე. წ. „ერთი წყაროს თეორია". ამ თეორიის მიმდევრები აცხადებდნენ, რომ ძველი ისტორიკოსების უმეტესობა, მათ შორის არისტოტელე, პლუტარქე, ტიტე ლივიუსი და სხვ. იყვნენ უბრალო გადამწერები, რომლებიც თავის გადმოცემას საფუძვლად უდებდნენ ერთ რომელიმე წყაროს; ისინი ფიქრობდნენ, რომ ყოველი ტექსტი შეიძლება დაიშალოს მის შემადგენლობაში შემავალ წყაროებად და ამაში ხედავდნენ წყაროთმცოდნეობითი კვლევის ძირითად მიზანს.

პირველად ამ თეორიის წინააღმდეგ გაილაშქრეს ჰ. გუტშმიდმა, ედ. მეიერმა და სხვებმა. მათ საბოლოოდ უარყვეს ეს დაუსაბუთებელი თვალსაზრისი. ედ. მეიერი, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ შეხედულება, თითქოს ყოველი შემდგომი დროის ისტორიკოსი უბრალოდ იწერდა თავის წინამორბედთა ნაშრომებს, სავსებით მცდარია; ძველი ისტორიკოსები, ყოველ შემთხვევაში საუკეთესონი, იყენებდნენ ჩვეულებრივ, მრავალ წყაროს, ახდენდნენ მათ კომბინირებულ გამოყენებას და შეჯერებას.

ისტორიკოსების მეორე ნაწილი გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს დიოდორეს და ცდილობს აჩვენოს დიოდორეს ფართო განათლება და ერუდიცია; ამ ისტორიკოსთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ დიოდორე ერთი რომელიმე ფაქტის თხრობისას ყოველთვის იყენებს სხვადასხვა დროისა და რიგის წყაროებს, იკვლევს კრიტიკულად მათ და იძლევა საკუთარ დაკვირვებებს.

ამჟამად არც ერთი ეს შეხედულება მთლიანად გაზიარებული არ არის, რადგანაც ფაქტებმა ნათელყვეს, რომ დიოდორეს ნაკლებად გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თუმცა იგი ხშირად ამოწმებს თავის ძირითად წყაროს სხვა წყაროებით, რომელთა საფუძველზე ავსებს და ზოგჯერ ასწორებს რომელიმე ისტორიკოსის შეხედულებებს. რიგ შემთხვევაში კი დიოდორე იყენებს სხვა მონაცემებსაც, მაგალითად, ეგვიპტელ ქურუმთა ჩანაწერებს, სამეფო დოკუმენტებს, ან საკუთარ დაკვირვებებსაც.

უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა წყაროთა საფუძველზე აქვს დიოდორეს შედგენილი თავისი ქრონოლოგია. დიოდორეს ქრონოლოგიური სისტემის სათანადო ანალიზი სა-

ფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ დიოდორეს ხელთ უნდა ჰქონოდა რაღაც ქრონიკა, სადაც თითოეული ფაქტი დათარიღებული იყო ათენელ არქონტთა და ოლიმპიონიკთა მიხედვით.

დიოდორეს „ისტორიული ბიბლიოთეკა" წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის აუზის და წინა აზიის ქვეყნების მსოფლიო ისტორიას და მისი დაწერისათვის დიოდორეს გამოუყენებია თავისი წინამორბედი მრავალი ისტორიკოსის ნაშრომი. მაგრამ იმაზე შეჩერება, თუ ამ ისტორიკოსთაგან ვისგან რა ამოუღია და მის რომელ წიგნში რომელი ისტორიკოსის გავლენა ჩანს—ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ როგორც თვითონ დიოდორეს ნაშრომებიდან ჩანს, ივი იყენებდა: ეფორეს, ჰეკატე ტეოსელის, კლიტარქეს, კტეზიას, იამბულის, მანეთონის, პოსიდონიოსის, მეგასთენეს, ტიმაიოსის, პოლიბიოსისა და სხვათა შრომებს.

როგორც ვხედავთ, დიოდორეს საკმაოდ მძიმე და შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებია, მრავალი სხვადასხვა დროისა და ხასიათის წყარო გამოუყენებია, დაუმუშავებია და ერთმანეთთან დაუკავშირებია. ტყუილად კი არ ამბობს ივი, რომ თავისი შრომის შედგენას ოცდაათი წელი მოანდომა (I, 4, 1).

თუ გადავხედავთ იმ წყაროებს, რომლებიც დიოდორე სიცილიელს გამოუყენებია, დავინახავთ, რომ ისინი ცუდად არაა შერჩეული. დიოდორეს ეტყობა სათანადო ალღო ისტორიულ ნაშრომთა შეფასებაში და მათ ავკარგიანობის გარჩევაში; წყაროთა უმეტესობა უდავოდ პირველხარისხოვანია. ჩვენი ავტორის კრიტიკული განცხადება, რომ უწინ „ბევრი იყო დაშვებული შეცდომები, როგორც იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ ისტორიკოსთა რიცხვში, აგრეთვე იმათ მიერაც, ვინც სახელოვანნი გახდნენ ამ დარგში" (I, 4, 2), მოწმობს, რომ დიოდორე განურჩევლად როდი იღებდა ყოველგვარ წყაროს, არამედ მათ ავკარგიანობასა და სანდოობას წინასწარ ამოწმებდა. როცა ივი იძლევა ეთიოპების ქვეყნის აღწერას, დასძენს, რომ მან ეს აღწერა მოგვცა წყაროთა ერთი რიგის მიხედვით, ხოლო წყაროთა გარკვეული ნაწილი მას არ გამოუყენებია, ე. ი. მას სცოდნია სხვა წყაროებიც, მაგრამ მათი გამოყენება საჭიროდ არ ჩაუთვლია, რადგან სანდოდ არ მიუჩნევია (III, 11).

თუ წყაროთა შერჩევაში დიოდორე საკმაო ალღოს ამჟღავნებს, თვით ამ წყაროთა ცნობების გამოყენება-გაგებაში მას სათანადო უნარი, ფართო დიაპაზონი და ცოდნა არ ეტყობა. აქვე უნდა შევნიშნოთ,

რომ ზემოხსენებული ალღო, წყაროთა შერჩევისა, დიოდორეს ზოგჯერ ღალატობს და არის შემთხვევები, როდესაც სანდო და პირველხარისხოვან წყაროთა გვერდით, იგი მოულოდნელად სრულიად უხარისხო მასალასაც იშველიებს, როგორიცაა, მაგალითად, მოკლე მითოლოგიური მიმოხილვები, მსოფლიო ისტორიის განმაზოგადებელი ანოტირებანი და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიოდორე სიცილიელს, ჩვეულებრივ, უბრალო კომპილატორად თვლიან და ეს შეფასება ძირითადში მართებულია. დიოდორე მართლაც ამა თუ იმ ფაქტის თხრობისას იღებს ერთ რომელიმე წყაროს, ახდენს მის ექსცერპტირებას, აშორებს სხვადასხვა ვადახვევებს, წიაღსვლებსა და წვრილმანებს და ასეთი შემოკლებული სახით შემოაქვს თავის „ბიბლიოთეკაში", უმეტესად, გარკვეული რედაქტირებით. ამიტომ მსოფლიო ისტორია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, მას არ შეუქმნია. მისი თხზულება არის საკმაოდ მოზრდილი კომპილაცია, რომელშიც სხვადასხვა წინამორბედ ავტორთა ცნობები ზოგჯერ საკმაოდ ხელოვნურად არის ერთმანეთთან შეკავშირებული. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ნაშრომს არ ახასიათებს არც ერთნაირი იდეური მიმართულება და არც ისტორიული თხრობის საერთო მანერა. არა მარტო ცალკეული წიგნები, არამედ თავები და პარაგრაფებიც კი ხშირად ერთიმეორისაგან საგრძნობლად განსხვავდება. დიოდორე ზოგჯერ ცალკეულ ამბავს შედარებით ვრცლად გადმოსცემს, არ ივიწყებს წვრილმანებს და მეორეხარისხოვან გარემოებას, მაგრამ სხვაგან, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენის თხრობისას, აღწერს ძალზე მოკლედ და გამოტოვებული აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტები. არის შემთხვევები, როცა დიოდორე იმდენად ბრმად მიჰყვება წყაროებს, რომ სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვაგვარად აღწერილი ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა ამბად მიაჩნია და ასევე გადმოგვცემს მათ. ერთი სიტყვით, დიოდორესათვის დამახასიათებელია წყაროს გავლენა და მისი იდეურ-მეთოდოლოგიური მიმართულების უშუალო გადმოღება.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დიოდორეს „ისტორიული ბიბლიოთეკა" სავსებით უკუსაგდები ისტორიული წყარო იყოს. იგი ამჟამად უდავოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა როგორც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების, ისე საბერძნეთის, ელინიზმის ეპოქისა და რომის სახელმწიფოს ისტორიისათვის. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დიოდორეს წყაროთა საკმაოდ დიდი ნა-

წილი ჩვენამდე მოღწეულია არასრული, ზოგჯერ მცირე ნაწყვეტების, ფრაგმენტების სახით. ამიტომ დიოდორეს თხზულება გვეხმარება ამ ძველ მწერალთა შრომების ცალკეული ადგილების აღდგენაში. ბევრ შემთხვევაში დიოდორეს ამონაწერი, თუმცა სხვა წყაროს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენთვის ერთადერთი ცნობაა ამა თუ იმ ფაქტის გარკვევისათვის. ასე მაგალითად, სწორედ დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკის" წყალობით გახდა ჩვენთვის ცნობილი მანეთონის, ეფორეს, ჰეკატე ტეოსელის, აგათარქიდეს და სხვათა შრომების ცალკეული ადგილები. დიოდორემ გადაარჩინა და შემოგვინახა ბევრი ისეთი ცნობა, რომელიც დაკარგული და ჩვენთვის ამჟამად უცნობი იქნებოდა.

დიოდორე სიცილიელის მნიშვნელობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კიდევ ერთი გარემოება: მართალია, დიოდორე ფაქტის თხრობისას მისდევს ერთ რომელიმე, მის მიერ შერჩეულ წყაროს, მაგრამ ხშირად ავსებს მას სხვა წყაროთა ცნობებითაც. ასეთი ინტერპოლაციები საკმაოდ ხშირად გვხვდება. ეს კი ეხმარება მკითხველსა თუ მკლევარს ცალკეული ისტორიული მოვლენების შეფასებისას სხვადასხვა წყაროთა მონაცემების გათვალისწინებაში. ამავე დროს, დიოდორე ძირითად წყაროდან აღებულ მასალას ხშირად ავსებს არა ლიტერატურული წყაროებიდან, არამედ საკუთარი დაკვირვებებითა და დოკუმენტებითაც კი. ასე მაგალითად, ალექსანდრიის და საერთოდ ეგვიპტის აღწერაში საკმაოდ კარგად შეიმჩნევა დიოდორეს საკუთარი დაკვირვებები, რომლებიც მას ამ ქვეყანაში მოგზაურობის დროს მოუხდენია; აქვე კარგად ეტყობა ისეთი დოკუმენტების ეამოყენება, როგორიცაა „სამეფო ჩანაწერები" და „საღვთო წიგნები", რომლებიც ელინისტური ხანის ეგვიპტის შესახებ დოკუმენტური ხასიათის საყურადღებო ცნობებს შეიცავენ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ისტორიულ ბიბლიოთეკას" საბერძნეთის და ელინიზმის ხანის ისტორიის შესასწავლად. განსაკუთრებით ძვირფასია დიოდორეს თხზულება ელადის ისტორიის ძვ. წ. V საუკუნის შემდგომი ხანის კვლევისათვის. მართალია, ამისათვის ჩვენ ქსენოფონტის „საბერძნეთის ისტორია" გვაქვს, მაგრამ დიოდორეს „ისტორიული ბიბლიოთეკა" საგრძნობლად ავსებს და ასწორებს ქსენოფონტის შრომას; ქსენოფონტი, როგორც ცნობილია, საკმაოდ ტენდენციური ისტორიკოსი იყო, რაც მის შრომას გარკვეულ დაღს ასვამს. დიოდორეს ნაწარმოები უფრო დამაჯერებელია და ზუსტი, ვი-

დრე ქსენოფონტისა; როგორც ჩანს, დიოდორეს აქ ხელთ ჰქონდა ქსენოფონტეზე უფრო ობიექტური, მიუდგომელი და გათვითცნობიერებული ავტორის ნაშრომი. ერთგვარად ავსებს დიოდორეს შრომა აგრეთვე ქსენოფონტის „ანაბაზისსაც". მართალია, კიროს უმცროსის ბუნაქსასთან ბრძოლაში დამარცხების, ათი ათასი ბერძენი მოქარავნე-მეომრის უკან დახევის აღწერა დიოდორესთან ძირითადად ემყარება ქსენოფონტის „ანაბაზისს", მაგრამ აქაც არის ზოგიერთი გადახვევები და განსხვავებული ცნობები. ეს მოწმობს, რომ დიოდორეს, „ანაბაზისის" პარალელურად, რაღაც სხვა წყაროც გამოუყენებია.

დიოდორეს „ისტორიული ბიბლიოთეკა" შეიცავს ყველაზე გაბმულ თხრობას ფილიპე მაკედონელისა და ალექსანდრეს ისტორიისა, აგრეთვე დიადოხოსთა და ეპიგონთა ბრძოლების შესახებ; ამ ეპოქისათვის დიოდორე ყველაზე სრული წყაროა.

დიოდორეს შრომის წყალობით ჩვენ გვაქვს სპარტის მეფეთა და ათენის არქონტთა საკმაოდ სრული ნუსხები და მათი ქრონოლოგია, რაც, მიუხედავად მისი ერთგვარი არეულობისა, მაინც საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს მკვლევართა შორის.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დიოდორეს „ისტორიულ ბიბლიოთეკას" ბოსფორის სამეფოს და საერთოდ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიათა ისტორიის შესწავლაში. იგი პირველხარისხოვანი წყაროა ბოსფორის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისა და ქრონოლოგიის დადგენისათვის. დიოდორეს თხზულება ერთადერთი წყაროა, რომელიც ბოსფორის სამეფოს უძველესი დინასტიის — არქეანაქტიდების შესახებ გვაწვდის ცნობებს და მათი გამეფების თარიღსაც იძლევა; იგი მოგვითხრობს არქეანაქტიდების დინასტიის სპარტოკიდებით შეცვლის შესახებ, იძლევა ამ ფაქტის თარიღს და შემდეგ პირველ სპარტოკიდთა ჩამოთვლას ევმელოსის შვილის სპარტოკის მეფობამდე. ამასთანავე, ცალკეული ცნობების ანალიზი და ამ ცნობათა დაწვრილებითი ხასიათი მოწმობს, რომ ბოსფორის სამეფოს ისტორიის შედგენისას, საერთო ხასიათის შრომების გვერდით, დიოდორეს უნდა გამოეყენებინა ადგილობრივი ისტორიული თხზულებებიც, რომელთა არსებობა მტკიცდება იმავე „ისტორიული ბიბლიოთეკის" იმ ადგილებით, რომლებშიც მოტანილია სხვა წყაროებისათვის სრულიად უცნობი დეტალები.

რაც შეეხება მოთხრობას სკვითების შესახებ, დიოდორე ბევრ შემთხვევაში თითქოს ჰეროდოტეს „ისტორიას" მიჰყვება, რაც ზოგი-

ერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს ამ თავების წყაროდ სწორედ ჰეროდოტე მიეჩნია, მაგრამ სინამდვილეში დიოდორეს და ჰეროდოტეს ცნობები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ აქაც საეჭვოდებელია რაღაც დამოუკიდებელი წყაროების გამოყენება, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა საერთო იყო დიოდორესა და ჰეროდოტესათვის. სამწუხაროდ, ეს წყაროები დიოდორეს არსად ნახსენები არა აქვს, ამიტომ მათი გარკვევა და დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ასეთია დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკის" ძირითადი დამახასიათებელი მხარეები. როგორც დავინახეთ, მიუხედავად ამ შრომის კომპილაციური ხასიათისა, იგი მაინც ძვირფასი წყაროა ძველი მსოფლიოს და, კერძოდ, საბერძნეთის ისტორიის შესწავლისათვის. მის გარეშე შეუძლებელია ბერძნული ელინისტური სამყაროს ისტორიის კვლევა-ძიება.

დიონისე ჰალიკარნასელი

დიონისე დაიბადა მცირე აზიის ქ. ჰალიკარნასში. რომში საცხოვრებლად გადავიდა ძვ. წ. I საუკუნის 30-იან წლებში. დარჩენილა იქ 22 წელი და გარდაცვლილა ძვ. წ. 8 წელს. მისი რომში ყოფნა დაემთხვა რომის ისტორიის საინტერესო ხანას. ეს ის პერიოდია, როდესაც საბოლოოდ დაინგრა რომის რესპუბლიკური მართვა-გამგებლობის სისტემა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა პოლიტიკური მმართველობის ახალი ფორმა — პრინციპატი. რომის მმართველობა ფორმალურად კვლავ რესპუბლიკური ჩანდა, მაგრამ შინაარსით ერთპიროვნული ძალაუფლების ხასიათს ატარებდა.

ახალი პოლიტიკური წყობილების ჩამოყალიბება მოასწავებდა ღრმა პოლიტიკური კრიზისის დასასრულს, რომელსაც ათეული წლების მანძილზე განიცდიდა რომის სახელმწიფო. მმართველობის ეს ფორმა, იძლეოდა რა მონების დათრგუნვის, პოლიტიკური ბრძოლების შეწყვეტისა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარების შესაძლებლობას, პასუხობდა მონათმფლობელთა კლასის ინტერესებს.

იმპერიის იდეოლოგიური საფუძვლების შექმნაში ახალი ხელისუფლება, უმეტესად, ლიტერატურას ეყრდნობოდა. შემთხვევითი არ

არის, რომ ავგუსტუსის დროს რომი გადაიქცა უმსხვილეს ლიტერატურულ ცენტრად, სადაც განსაკუთრებით დიდი იყო ბერძნული ლიტერატურის ხვედრითი წილი.

პრინციპატის იდეოლოგიურ შემზადებაში დიდ როლს ასრულებდა მეცენატის ლიტერატურული წრე, რომელშიც შედიოდნენ ავგუსტუსის ეპოქის თვალსაჩინო პოეტები — ვერგილიუსი და ჰორაციუსი.

ამ დროს რომის ისტორიის დამუშავებაში მონაწილეობას იღებენ ბერძენი ისტორიკოსებიც. მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე რომის სახელმწიფოს გამოჩენამ ბერძნული საზოგადოების ერთ ნაწილს იმედი აღუძრა, რომ რომის ჯანსაღი სახელმწიფოს მიერ შექმნილ „მსოფლიოში" ბერძნებს საპატიო ადგილი ექნებოდათ დამკვიდრებული. ამიტომ, ბერძენი ისტორიკოსები მიზნად ისახავდნენ ისეთი ისტორიული ნაწარმოებების შექმნას, რომლებშიც გადმოცემული იქნებოდა რომისა და რომის მთელი იმპერიის ისტორია. მათ შორის იყო დიონისე ჰალიკარნასელიც.

დიონისე ჰალიკარნასელს რამდენიმე ნაშრომი ჰქონია დაწერილი რიტორიკაზე, ესთეტიკაზე, თუკიდიდესა და დემოსთენეს კრიტიკაზე და სსვ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის ნაშრომია „რომაელთა სიძველენი" ანუ „რომის არქეოლოგია".

შრომა შედგებოდა 20 წიგნისაგან, რომელთაგან სრული სახით დღემდე მოაღწია ცხრამ. მე-10 და მე-11 წიგნებიდან შემორჩა ფრაგმენტები, ხოლო დანარჩენი წიგნებიდან — უმნიშვნელო ნაწილები.

ნაშრომში ასახული იყო რომის ისტორიის საკმაოდ დიდი პერიოდი — მითიური დროიდან I პუნიკური ომის დაწყებამდე, ე. ი. 264 წლამდე. ნაშრომის დღემდე შემორჩენილ ნაწილში თხრობა წყდება ძკ. წ. 443 წელს.

თავისი ძირითადი ისტორიოგრაფიული შეხედულებები დიონისემ ჩამოაყალიბა პომპეუსისადმი მიწერილ წერილში. მასში ხაზგასმულია, რომ ისტორიკოსის მიზანია ელინთა განმადიდებელი ისტორიული სიუჟეტის შექმნა, რასაც ხელს უწყობს მსოფლიოზე რომის გაბატონებული მდგომარეობა. დიონისე ჰალიკარნასელისათვის უცხო იყო ეროვნული გულისტკივილი მისი სამშობლოს რომაელთა ბატონობის ქვეშ მოქცევის გამო. პირიქით, ის თავის ისტორიულ თხზულებაში ცდილობს აჩვენოს რომაელთა და ბერძენთა ნათესაობა, ცხადყოს რომაულ კანონთა სიბრძნე და თვით რომაელთა გმირობა, რათა ამით

გაამართლოს და გასაგები გახადოს ბერძნულ სამყაროზე რომაელთა გამარჯვების ფაქტი.

დიონისე ჰალიკარნასელის შრომის მნიშვნელობა იმაშია, რომ ტიტუს ლივიუსის და დიოდორე სიცილიელის ისტორიულ თხზულებებთან ერთად, წარმოადგენს ერთ-ერთ წყაროს რომის უძველესი პერიოდის ისტორიისათვის. კერძოდ, მისი ნაშრომის პირველ წიგნებში მოცემულია ცნობები ქალაქ რომის დაარსების შესახებ (ამ ცნობაში თავმოყრილია და პრაგმატულად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოცემულია სხვადასხვა ვერსია ამ საკითხის ირგვლივ), გაშუქებულია მეფეთა პერიოდი, მისი უძველესი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ხასიათი და სხვ.

თავის ისტორიულ თხზულებაში დიონისე ფართოდ იყენებდა ტიტუს ლივიუსის ისტორიულ ნაშრომს, ანალისტების: ფაბიუს პიქტორის, კალპურნიუს პიზონის, ვალერიუს ანციატის, კვინტუს ფაბიუს ტუბერონის, ვარონისა და კატონ უფროსის ნაშრომებს.

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიონისე ჰალიკარნასელი იტალიის უძველესი მოსახლეობის შესახებ. საინტერესოა, რომ „რომაელთა სიძველენის" ერთ ადგილას (I, 26—30) იგი ეხება ტირენების წარმომავლობის საკითხს, მოჰყავს სხვადასხვა მოსაზრებანი და ამასთან ერთად ჰელანიკე ლესბოსელისა და ჰეროდოტეს სიტყვები. დიონისე ჰალიკარნასელმა შექმნა რომის ქრონოლოგიური სისტემა ბერძნული ოლიმპიადების მიხედვით. რომულუსის (რომის პირველი მეფის) მეფობის საწყის თარიღად მან მიიჩნია ძვ. წ. 751 წელი. მეფეთა ხანა მისი გამოანგარიშებით მოიცავდა 244 წელს; რესპუბლიკის პირველი წელი ამავე დროს იყო ძვ. წ. 245-ე წელი ქალაქ რომის დაარსებიდან და ემთხვეოდა ძვ. წ. 507 წელს. დიონისე ჰალიკარნასელის მიერ რომის ქრონოლოგიური სისტემის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში.

მკვლევართა აზრით დიონისე ჰალიკარნასელი, ტიტუს ლივიუსთან შედარებით, უფრო ძველი და სანდო წყაროებით სარგებლობდა. ამიტომ მისი შრომა რამდენადმე ლივიუსის ისტორიული თხზულების კორექტივია.

ზემომოხსენებულ წყაროთა გარდა, დიონისე ჰალიკარნასელი სარგებლობდა აგრეთვე ჰელანიკე ლესბოსელისა და ჰეროდოტეს ცნობებით. თავის მხრივ, დიონისე ჰალიკარნასელის ცნობებით უსარგებლია

პლუტარქეს კორიოლანოსის, რომულუსის და სხვათა ბიოგრაფიების შესადგენად.

დიონისე ერთობ უკრიტიკოდ ეკიდებოდა წყაროებს. თავის ნაწარმოებში ხშირად ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ძველ და ახალ დაწესებულებებს და წარმოდგენა არ ჰქონდა რომის უძველეს სამართალზე.

უნდა ითქვას, რომ რომის ადრინდელი ისტორიის ტრადიციას ახალ ისტორიოგრაფიაში ადრიდანვე აღმოუჩნდა კრიტიკული შემფასებლები. კერძოდ, იტალიელი სწავლულის ეტორე პაისის შრომაში — „რომის ისტორიის პირველი ხუთი საუკუნის კრიტიკული ისტორია" სავსებით უარყოფილია რომის უძველესი პერიოდის ისტორიულობა.

დიონისე ჰალიკარნასელის მოთხრობებში ასახულია ეპოქის შეხედულებები უძველეს დაწესებულებებზე და წეს-ჩვეულებებზე. მათი ჩამოყალიბების ქრონოლოგიაც ერთობ პირობითი და მიახლოებითია. ცხადია, რომ ამ გადმოცემებში მაინც ჩანს მათი სიძველე და ამაშია აღნიშნულ ისტორიული ტრადიციის მეცნიერული მნიშვნელობაც.

დიონისე ჰალიკარნასელის ზოგიერთი ცნობა წარმოადგენს ძვირფას და ხშირად ერთადერთს რომის ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხების გასაშუქებლად. ასეთია: ცნობები რომაული დამწერლობის პირველი ნიმუშების შესახებ; რომაელ მეფეთა უძველესი სამოკავშირეო ხელშეკრულებების ტექსტები, რომლებიც მას საკუთარი თვალით უნახავს და სხვა; ასეთი ყოფილა მეფე სერვიუს ტელიუსის ხელშეკრულება ლათინურ ქალაქებთან, რომელიც ითვალისწინებდა ლათინური ქალაქების ხარჯზე დიანას ტაძრის აგებას ავენტუმზე. სპილენძის სვეტზე დაწერილი ამ ხელშეკრულების ტექსტი დიონისეს დროს ჯერ კიდევ არსებულა. საყურადღებოა შენიშვნა, რომელსაც ამ ცნობასთან დაკავშირებით იძლევა იგი: ასოები ძალზე წაგავდნენ ბერძნულსო (IV, 26).

მეორე ხელშეკრულება, რომელსაც ასახელებს დიონისე ჰალიკარნასელი და რომელიც ასევე უძველესი რომაული წერილობითი ძეგლია, არის ტარკვინიუსის ხელშეკრულება ლათინურ ქალაქ ჰაბიასთან. ხელშეკრულების ტექსტი დაწერილი ყოფილა ხარის ტყავზე და დიონისეს ცნობით, მის დროს ინახებოდა ტაძარში კვირინალზე (IV, 28).

გარდა ამისა, დიონისე ასახელებს სხვა წერილობით ხელშეკრულებებს, როგორიცაა: რომულისა — ქ. ვეისთან, ტულიუს ჰოსტილიუსისა — საბინელებთან და სხვ.

ყველა ეს ცნობა გვიდასტურებს, რომ დამწერლობა რომში ადრეულ ისტორიულ პერიოდში ყოფილა. მნიშვნელოვანია დიონისეს ცნობა, რომ მის მიერ ნახულ უძველეს წერილობით ტექსტში ლათინური ასოები ბერძნულს ჰგავდა, რაც შუქს ჰფენს ლათინური დამწერლობის გენეზისის პრობლემას. ამ მხრივ აღსანიშნავია დიონისეს სხვა ცნობაც, რომელსაც სხვათა შორის გადმოგვცემს ტაციტუსიც (IX, 14), რომ რომში დამწერლობა შემოულიათ ბერძნებს.

საყურადღებოა დიონისე ჰალიკარნასელის მონაცემები რომის სოციალური ისტორიისათვის. ასეთია მისი ცნობა სერვიუს ტულიუსის ერთი განკარგულების შესახებ, რომლის თანახმად, გათავისუფლებული მონები რომის მოქალაქეებად ცხადდებოდნენ და სხვებთან ერთად 4 საქალაქო ტრიბაში ნაწილდებოდნენ. ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ელნიცკი, საეჭვოდ თვლის დიონისეს ამ ცნობის სიზუსტეს, მაგრამ, ამასთან ერთად, გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს მას, რომელიც უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ მეფეთა პერიოდის რომში გატარებულია რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც არასრულუფლებიანი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ ყოფილა მიმართული.

დიონისე ჰალიკარნასელს ეკუთვნის, აგრეთვე, ცნობა მონათა ერთ-ერთი უძველესი აჯანყების შესახებ (ტარკვინიუსების განდევნის პერიოდში).

დიონისე რიტორიკული მიმართულების მწერალი იყო. იგი თვლიდა, რომ ისტორიული თხრობა გასართობ სტილში უნდა ყოფილიყო შესრულებული. თუმცა ფიქრობდა, რომ რიტორიკულ-ისტორიულ ნაწარმოებში მჯევრმეტყველება არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ხელოვნება — მწერლის ძირითადი ობიექტი უნდა ყოფილიყო ისტორიული სიუჟეტი, რომლის სრულად და თანამიმდევრულად აღწერა უნდა მომხდარიყო მჯევრმეტყველების ანუ რიტორიკული პროზის ხერხებით.

დიონისეს რიტორიკული სტილი ისტორიულ პროზაში, უმეტესად, თავს იჩენდა იმ სიტყვებში, რომლებსაც ის წარმოათქმევინებდა თავის ისტორიულ გმირებს. ეს იყო ე. წ. რიტორიკული დეკლამაცია, რომელმაც იმპერიის ხანაში ფართო გავრცელება პოვა. დიონისე ჰალიკარნასელი რიტორიკული პროზის იმ მიმართულების წარმომადგენელი იყო, რომელიც ატარებდა ე. წ. „ატიციზმის" სახელწოდებას.

სტრაბონი

როცა საბერძნეთის ისტორიის წყაროებს ვიხილავთ, ვერ დავივიწყებთ გეოგრაფოსებსაც. გეოგრაფოსები იმდენად ახლოს იდგნენ ისტორიკოსებთან, რომ ძნელია მათ შორის ზღვარის გავლება. თავდაპირველად ისტორია არ იყო გეოგრაფიიდან გამიჯნული და ბერძენი ლოგოგრაფოსები ხშირად გეოგრაფოსებადაც გვევლინებიან.

სტრაბონი დაიბადა (დაახლ. ძვ. წ. 63 წ.) პონტოს ქალაქ ამასიაში. მისი წინაპრები წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდნენ და მშობლებიც რომაელთა ბატონობის დროს ხელმოკლეობას არ განიცდიდნენ. სტრაბონს კარგი განათლება მიუღია. მისი მასწავლებლები ყოფილან ფილოსოფოსები და გრამატიკოსები. მას თავიდანვე გამოუჩენია ერთგვარი მიდრეკილება ფილოსოფიისადმი. სტრაბონი გეოგრაფიასაც კი ფილოსოფიის განყოფილებად თვლიდა. რომში სტრაბონი ძვ. წ. 29 წელს ჩასულა. საერთოდ, ბევრი უმოგზაურია. შემოუვლია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და ახლო აღმოსავლეთი. არსებობს ვარაუდი, რომ იგი კოლხეთშიც ყოფილა.

სტრაბონის სახელით ცნობილია ორი ნაშრომი: „ისტორიის მატიანე" და „გეოგრაფია". პირველმა ჩვენამდე მხოლოდ 19 ფრაგმენტის სახით მოაღწია. როგორც ჩანს, მასში განხილული ყოფილა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა. მეორე — შედარებით დაუზიანებლად არის შემონახული და 17 წიგნისაგან შედგება: I—II წიგნი ფიზიკურ გეოგრაფიას შეიცავს, III—X წიგნებში ევროპის გეოგრაფიაა მოცემული, XI—XVI — აზიისა და XVII — აფრიკის. ამ ნაშრომში სტრაბონს ბევრი ავტორი ჰყავს მოხსენიებული და, სპეციალისტების აზრით, ციტატები დიდი კეთილსინდისიერებით აქვს მოტანილი. სტრაბონის ეს ნაწარმოები მრავალი წლის შრომის ნაყოფია, ძვირფას ცნობებს შეიცავს და საბერძნეთის ისტორიის შესწავლისას მისი დავიწყება არ შეიძლება.

რა ცნობებს გვაწვდის საერთოდ სტრაბონი საბერძნეთის ისტორიიდან? მის დროს საბერძნეთი სამწუხარო სურათს წარმოადგენდა. სტრაბონი ასე აგვიწერს საბერძნეთის მხარეების მდგომარეობას ძვ. წ. 29 წლისათვის: „მესენიის უმეტესი ნაწილი მცხოვრებლების მიერ მიტოვებულია; ლაკონიკა, ძველ ხალხმრავლობასთან შედარებით, ადამიანებით ღარიბია. მართალია, სპარტის გამოკლებით, მასში დარჩენი-

ლი მცირე ქალაქები რიცხვით ოცდაათამდეა, ძველად კი, ამბობენ, მას „ასქალაქოვანს" უწოდებდნენ" (VII, 4). მეორე ადგილას იგი ეხება არკადიას და ამბობს: „არკადიის სრული აოხრების გამო, მასზე ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება. წინათ სახელგანთქმული ქალაქები, შეუწყვეტელი ომების მეოხებით, აღიგავენ დედამიწის პირიდან; მიწათმოქმედებმა ყანები უკვე იმ დროიდან მიატოვეს, როცა ქალაქების დიდი ნაწილი მეგალოპოლისში იყო გაერთიანებული. ახლა კი მეგალოპოლისს მოუვიდა ის, რასაც მასზე კომიკოსი ამბობს: „მეგალოპოლისი (დიდი ქალაქი) — დიდი უდაბნოა" და იქ ახლა ფართო საბალახოებია... ეტოლიის უდაბნო არანაკლებ გამოსადეგია ცხენების მოშენებისათვის, ვიდრე თესალია... მანტინეას სახელი გაუთქვა ეპამინონდამ.. მაგრამ ისიც და აგრეთვე ორქომენი, ჰერეა ან სავსებით არ არსებობენ ანდა მათგან მხოლოდ კვალიღა დარჩა" (VII, 8, 1). სხვა მსგავს ადგილებზე აღარ შევჩერდებით.

პოლიბიოსი აღნიშნავდა, რომ მის დროს მთელი საბერძნეთი მოიცვა დაბალმა მშობიარობამ და საერთოდ ხალხნაკლებობამ. ამასვე გაუსვა ხაზი პლუტარქემ. საბერძნეთის ასეთი დაქვეითება, პირველ რიგში, ხანგრძლივი სოციალ-ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. მაგრამ შინაგანი მიზეზების გარდა, არცთუ მცირე როლი შეასრულა რომაელთა ბატონობამ საბერძნეთში. გარკვეული პატივისცემისა და ზოგიერთი რომაელი მეცენატის მფარველობის მიუხედავად, დემოკრატიისა და თვითმოქმედების ჩახშობის ზოგადი პოლიტიკა და მკაცრი საგადასახადო სისტემა იწვევდა იმას, რომ საბერძნეთი სულ უფრო ღრმად იძირებოდა სიღარიბესა და ეკონომიკურ უძლურებაში. საბერძნეთის ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია სტრაბონსაც და მან, სხვა საყურადღებო ცნობებთან ერთად, საამისო მასალაც დაგვიტოვა. სტრაბონის მთელი „გეოგრაფია", თუ შეიძლება ასე ითქვას, ისტორიულ ხასიათს ატარებს. მასში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნავი ადგილები და ქალაქები, სარწმუნოება, კანონები, ზნე-ჩვეულებანი და გადმოცემულია ეპიზოდები განთქმული ადამიანების ცხოვრებიდან. მოკლედ, სტრაბონის „გეოგრაფია" მრავლად შეიცავს ისტორიულ მასალას.

გარდა საბერძნეთისა, სტრაბონის მიერ ჩატარებულია კავკასიისა და კასპიისპირეთის მხარეების აღწერა, რომელიც ფასდაუდებელ წყა-

როს წარმოადგენს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლისათვის. ბიზანტიის ეპოქაში შეუდგენიათ „სტრაბონის ქრესტომათა", რომელიც მისი „გეოგრაფიის" შემოკლებას წარმოადგენდა[1].

ნიკოლოზ დამასკელი

ნიკოლოზ დამასკელი დაიბადა ძვ. წ. 64 წელს, სირიის ქალაქ დამასკოში. იუდეის მეფის ირودის გარდაცვალების დროს (ძვ. წ. 4) იგი ცოცხალი ჩანს. გარდაცვლილი უნდა იყოს (დაახლოებით) ახ. წ. I საუკუნის დასაწყისში. ამასთან, მისი ეროვნებაც გაურკვეველია. ზოგი მას მაკედონელად თვლის, ზოგიც არამეელად. მისი მამა ანტიპატრე ქალაქ დამასკოს შეძლებული და წარჩინებული მოქალაქე ყოფილა. მას ნიკოლოზისათვის კარგი განათლება მიუცია. სვიდა წერს, ნიკოლოზმა ისწავლა ყველა მეცნიერება, ამაზე განსაკუთრებით ზრუნავდა მამამისი, რომელიც სიმდიდრესაც და სახელსაც თავის განათლებას უმადლოდაო. ნიკოლოზი წერდა ტრაგედიებსა და კომედიებს, მეცადინეობდა რიტორიკაში, მუსიკასა და მათემატიკაში, შეისწავლა ფილოსოფიური მოძღვრებანიც. დიდად განათლებულ ნიკოლოზს ერთხანს იუდეველთა მეფის — ირودის მრჩეველად და მდივნადაც უმუშავნია. იგი ყოფილა ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას ბავშვების აღმზრდელიც.

ჩვენთვის ცნობილია ნიკოლოზ დამასკელის ოთხი ნაშრომი: 1. „ჩემი ცხოვრებისა და აღზრდის შესახებ", 2. „ისტორია", 3. „ცეზარის ცხოვრება", 4. „შესანიშნავი თავშესაქცევ ჩვეულებათა კრებული". ყველა ეს ნაშრომი ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ფრაგმენტების სახით, რომელნიც შემოუნახავთ სხვადასხვა ავტორებს. კერძოდ, უკანასკნელი თხზულების ფრაგმენტები შემოუნახავს მაკედონიის ქალაქ სტობეის მცხოვრებ იოანეს (ცხოვრობდა დაახლ. 450—500 წლებში), თავის „ყვავილთა კრებულში" ანუ „ანთოლოგიაში".

პირველ ნაწარმოებში—„ჩემი ცხოვრებისსა და აღზრდის შესახებ" ნიკოლოზ დამასკელი გადმოგვცემს ავტობიოგრაფიულ ცნობებს, აგრეთვე მოგვითხრობს იმაზე, თუ იუდეველთა მეფე ირودთან რას აკე-

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

თებდა და რა დავალებებს ასრულებდა. ირودის უფროსი შვილი ანტიპატრე, წერს ნიკოლოზ დამასკელი, რომელიც ირودს უბრალო ქალისაგან ჰყავდა, ეჯვობდა რომ მამა უპირატესობას უმცროს ვაჟიშვილებს მისცემდა, რომელნიც მას წარჩინებულთა წრიდან გამოსული ცოლისაგან შეეძინა. ამის გამო, ანტიპატრემ უმცროსი ძმები ირودთან დაასმინა, თითქოს მათ საკუთარი მამის მოკვლა ჰქონდათ განზრახული. ნიკოლოზ დამასკელის რჩევა, რომ ირودს ეს ეჯვმიტანილი შვილები სადმე ციხეში ჰყოლოდა დაპატიმრებული და საქმის გულდასმით აწონ-დაწონვის შემდეგ მიეღო ზომები მათ წინააღმდეგ, ირودმა არ მიიღო და ისინი სიკვდილით დასაჯა.

ამის შემდეგ ანტიპატრემ გადაწყვიტა მზაკვრულად მოეკლა თვითონ ირودი, დანარჩენი ძმები და ძმისშვილები, რათა ცოცხლებს შორის აღარავინ დარჩენილიყო ტახტის მოცილედ. ამ მიზნით, ეგვიპტეში ფარულად იყიდა საწამლავი. მაგრამ შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ გასცა იგი. ირودმა ანტიპატრეს მონების წამებით ყველაფერი შეიტყო. მან მოიწვია სინედრიონი, წარადგინა იქ საწამლავი, აგრეთვე, მონების ჩვენებანი და რომიდან ანტიპატრეს მიერ მიღებული წერილი. მეფემ მოსამართლეობა ნიკოლოზს დაავალა. იგი ბრალს სდებდა, ანტიპატრე კი თავს იცავდა... ანტიპატრე დამნაშავედ ცნეს და სიკვდილი მიესაჯა. ნიკოლოზ დამასკელი ირودის ცხოვრებიდან და რომის იმპერატორ ავგუსტუსთან მისი ურთიერთობის შესახებ ბევრ სხვა საინტერესო ცნობებსაც გადმოგვცემს.

მეორე და ძირითადი ნაწარმოები ყოფილა 144 წიგნად დაწერილი „ისტორია", რომლიდანაც, როგორც აღნიშნული იყო, მოღწეულია მხოლოდ ფრაგმენტები. ამ ნაწარმოების შესახებ თვითონ ნიკოლოზი წერდა, მისმა შექმნამ იმდენი შრომა და ჯაფა მოითხოვა, რომ მისი შესრულება ევრისთევსს ჰერკულესისთვის რომ დაევალებინა, ალბათ მასაც კი ქანცს გაუწყვეტდაო[1]. მართლაც, სვიდას სიტყვით, ეს ნაწარმოები არსებითად, „მსოფლიო ისტორია" იყო, რომელიც მოიცავდა ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების დიდ ნაწილს და მოდიოდა ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ ათეულ წლებამდე. მისი

---

[1] ბერძნული მითოლოგიით ევრისთევსი იყო ტირინთოს მეფე, რომლის თორმეტი უძნელესი დავალებაც ჰერკულესმა შეასრულა, მაგალითად, ჯოჯოხეთის კარებს მოაცილა მისი მცველი ძაღლი ცერბერი, რომელსაც ტანზე ბალნის მაგიერ გველის თავები ესხა, მოახრჩო ნემეის საშინელი ლომი და სხვა.

ფრაგმენტები შემოგვინახეს კონსტანტინე პორფიროგენეტმა, იოსებ ფლავიუსმა, სტეფანე ბიზანტიელმა, სტრაბონმა და სხვა.

ნიკოლოზ დამასკელის „ისტორიიდან" ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები პირველი და მეორე წიგნიდან ეხება ასირიისა და მიდიის ისტორიას, მესამედან — ტროას ომს, მეოთხე და მეხუთედან — ლიდიის ისტორიას, მეექვსედან — თესალიის და სპარტის ისტორიას, მეშვიდედან — ტირანიას კორინთოსა და სიკიონში, მეთვრამეტედან — თრაკიას, ოთხმოცდამეთექვსმეტედან — ნოეს კიდობანს ბორის (ალბათ არარატის) მთაზე, ასმესამე და ასმეოთხედან — პონტოს მეფე მითრიდატეს, ასმეშვიდედან — სულას მიერ მიწების დარიგებას, ასმერვედან — ტბებსა და სურნელოვან მცენარეებს ალპების მთებზე, ასმეათედან — გლადიატორთა ბრძოლას რომში და ეტრუსკებისაგან მის გადმოღებას, ასმეთოთხმეტედან — კრასუსის ბრძოლებს პართელებთან, ასმეთექვსმეტედან — კელტური მოდგმის ტომის სოტიატების ზნე-ჩვეულებას, ასოცდამესამე წიგნიდან მოღწეული ფრაგმენტები კი ეხება იმას, თუ როგორ დაეხმარა თვითონ ნიკოლოზ დამასკელი იუდეველებს შეენარჩუნებინათ თავიანთი წეს-ჩვეულებანი.

მესამე ნაშრომი, „ცეზარის ცხოვრება" მიძღვნილია მის თანამედროვე რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსისადმი. ნიკოლოზი აღნიშნავს, რომ ოქტავიანეს ავგუსტუსი შეარქვეს „...ნიშნად მისი ღირსებისა. ხმელეთზე და კუნძულებზე, აგრეთვე ქალაქებში სხვადასხვა ხალხები მას ტაძრებს უგებენ და ჯილდოს სახით მსხვერპლს სწირავენ: ნიშნად მისი გამოჩენილი სიმამაცისა და მადლიერებისა მათთვის აღმოჩენილი სიკეთისათვის". ოქტავიანე ავგუსტუსი გაიუს იულიუს ცეზარის დის ატიას შვილი იყო, მამამისი კი გაიუს ოქტავიუსი სენატორთა ფენას ეკუთვნოდა. გაიუს ოქტავიუსი ადრე გარდაიცვალა და ატია მეორედ გათხოვდა ფილიპე ლუციუსზე, რომელიც კარგად ექცეოდა თავის გერს ოქტავიანე ავგუსტუსს, მომავალ იმპერატორს.

ნიკოლოზ დამასკელი მეტად პანეგირიკულ დახასიათებას აძლევს ახალგაზრდა ოქტავიანეს: გონებას ავარჯიშებდა ყველაზე მაღალ მეცნიერებებში, ტანს იკაჟებდა კეთილშობილურ სამხედრო ვარჯიშში, ხოლო თავის მასწავლებლებისაგან მიღებულ ცოდნას მათზე უფრო ადრე და მათზე უკეთესად იყენებდა ცხოვრებაში, რაც დიდ აღფრთოვანებას იწვევდა მის მშობლიურ ქალაქში. მას თვალ-ყურს ადევნებდა დედა ატია და მამინაცვალი ფილიპე, რომელნიც მის მასწავ-

ლებლებს და მეთვალყურე პირებს ყოველდღე ეკითხებოდნენ თუ რას აკეთებდა ის, სად დადიოდა, რით იყო დაკავებული და ან ვის ხვდებოდა.

ოქტავიანე, როგორც ცეზარის დისშვილი, წერს ნიკოლოზ დამასკელი, ყოველთვის ცეზარს დაპყვებოდა თან სანახაობებზე და ღრეობა-ქეიფებშიც, ოქტავიანე თანდათან რწმუნდებოდა, რომ ცეზარი მას ნამდვილი შვილივით ექცეოდა, რაც მას აღაფრთოვანებდა და სიმტკიცეს მატებდა. მიუხედავად ამისა, ცეზარს მაინც არ უნდოდა ოქტავიანესთვის განეცხადებინა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი შვილად აყვანა, რადგან შიშობდა, რომ ასეთ ოფიციალურ განცხადებას შეიძლებოდა ცუდად ემოქმედა ოქტავიანეზე, გაეამაყებინა იგი. „მაგრამ, ანდერძში, — წერს ნიკოლოზ დამასკელი, — ცეზარმა ოქტავიანე მოიხსენია შვილად, რადგან მემკვიდრე არ ჰყავდა, იგი მას მთელი თავის ქონების მემკვიდრედ აცხადებდა, და მხოლოდ თავისი ქონების მეოთხედს, როგორც ეს შემდეგ გახდა ცნობილი, უტოვებდა მეგობრებსა და რომის მოქალაქეებს“.

ნიკოლოზ დამასკელის გადმოცემით, როცა ძვ. წ. 44 წლის 15 მარტს რომში ცეზარი მოკლეს, ოქტავიანე საბერძნეთში იმყოფებოდა და ეს ამბავი დედა ატიამ მას მაშინვე წერილით შეატყობინა, რომელიც ლიბერტინს გაატანა. ატია წერდა, რომ ცეზარის ყველა ნათესავს საფრთხე ემუქრებოდა და პირველ რიგში თვით ოქტავიანეს. ოქტავიანესთან მყოფი მეგობრებიდან ზოგი მას ურჩევდა დასწოლოდა რომის იმ ჯარს, რომელიც მარკუს აცილიუსის სარდლობით პართების წინააღმდეგ იმ დროს მაკედონიის ტერიტორიაზე მიდიოდა საბრძოლველად და შემოებრუნებინა იგი ცეზარის მკვლელების წინააღმდეგ. თვითონ ოქტავიანემ კი გადაწყვიტა, არ მიეღო არავითარი ზომები, ვიდრე არ ჩავიდოდა რომში, არ შეიტყობდა ადგილზე შექმნილ ვითარებას და არ მოეთათბირებოდა იქ მყოფ მეგობრებს, რომელთაც მასზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ.

ოქტავიანეს ხომალდმა გადალახა ადრიატიკის ზღვა და მიადგა კალაბრიას, საიდანაც შემდეგ ლუციაში წავიდა. იქ ის შეხვდა ცეზარის დაკრძალვის მონაწილეებს, რომლებმაც შეატყობინეს, რომ ცეზარის ანდერძში, რომელიც საჯაროდ წაიკითხეს, შენ მის შვილად სწერიხარ და მისი ქონების სამი მეოთხედი გეძლევაო. ქონების ერთი მეოთხედი კი რჩება მის მეგობრებს და რომის მოქალაქეებს, რომელთაგან თითოეულს 75 დრაქმა უნდა მიეცესო. ამასთან, იულიუს ცე-

ზარის დაკრძალვა მის დას ატიას ჰქონდა მინდობილი. მაგრამ მკვლელების მოქმედებით აღშფოთებულმა ხალხმა იძალა, ცეზარის გვამი დაწვა და შუა ფორუმზე დიდი პატივით მიაბარა მიწასო.

ლუციიდან ოქტავიანე ბრუნდიზიუმში გადავიდა, სადაც მან დედისა და მამინაცვლის, ფილიპეს წერილები მიიღო. ატია სთხოვდა საჩქაროდ დაბრუნებულიყო რომში, რადგან სხვაგან უფრო ადვილად მოახერხებდნენ მტრები ფარულად მის მოკვლას. ფილიპე კი ურჩევდა, უშიშროებისათვის სჯობია უარი თქვა როგორც ცეზარის მემკვიდრეობაზე, ისე მისი გვარის ტარებაზე, რადგან ასეთი უპრეტენზიობა ერთგვარი საწინდარი იქნება წყნარი და უხიფათო ცხოვრებისთვისო. მაგრამ თვითონ ოქტავიანე „...თელიდა, რომ ყველაზე უფრო სამართლიანი იქნება, სამაგიერო მიეზღო ასეთი საშინელი სიკვდილით დაღუპული მამისთვის. ასე ფიქრობდა იგი და ასეც გადმოსცა ეს თავის წერილში ფილიპესადმი". ამიტომ გადაწყვიტა, რომში წასულიყო და იქ ხელსაყრელი ვითარებისათვის დაეცადა ვიდრე სენატი მამის ძალაუფლებას მას თავისი დადგენილებით გადასცემდა.

შემდეგ ნიკოლოზ დამასკელი გადადის შეთქმულების მოწყობასა და ცეზარის მკვლელობის ვარემოებათა გარჩევაზე. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა 70-მდე კაცი. მათ შორის იყვნენ როგორც მისი მტრები, ისე მეგობრები, რომელნიც პომპეუსთან ომის დროს პომპეუსის მხარეზე იბრძოდნენ, მაგრამ ეს მათ კეისარმა აპატია. ცეზარი თავისი რაღაც თანდაყოლილი რბილი ხასიათის გამო გულღვარძლიანი არ იყო დამარცხებულებისადმი. ისინი კი ყოველივე ამას ბოროტად იყენებდნენ და თავიანთ მტრულ განზრახვას ფარავდნენ პირმოთნეობითა და თვალთმაქცობით.

ნიკოლოზ დამასკელი აღნიშნავს, რომ ასეთ ადამიანზე ხელის აღმართვას, როგორიც კეისარი იყო, შეთქმულებს უბიძგებდა სხვადასხვანაირი პირადი მიზეზები. ერთნი შეთქმულებაში ჩაებნენ იმ მიზნით, რომ მისი ადგილი თვითონ დაეკავებინათ, სხვები გაბოროტებული იყვნენ იმის გამო, რომ დაზარალდნენ ომში, დაკარგეს ახლობლები, ქონება ან თანამდებობები. მაგრამ თავიანთ ამ გაბოროტებას ფარავდნენ კეთილშობილური განცხადებებით, რომ მათ უმძიმდათ ერთი ადამიანის ძალაუფლების ქვეშ ყოფნა და ისწრაფოდნენ თანასწორუფლებიანობისაკენ სახელმწიფოში.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ დამასკელს კარგად ესმის შეთქმულთა სიჯრელე და მათი მისწრაფებების საფუძვლები.

შეთქმულნი პომპეუსის თეატრიდან, სადაც მკვლელობა მოხდა, კაპიტოლიუმზე ავიდნენ და იქ გამაგრდნენ, რადგან მოსალოდნელი იყო ანტონიუსისა და მიცვალებულის სხვა მეგობრების მიერ მათ წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყება. მაგრამ ღამემ მშვიდობით გაიარა და მეორე დილას ისევ ფორუმზე ჩამოვიდნენ. აქ მარკუს ბრუტუსმა, წერს ნიკოლოზ დამასკელი, „რომელიც დიდად პატივცემული იყო მოკრძალებული ცხოვრების, წინაპართა დიდებისა და აგრეთვე თვით მისი ყველასათვის ცნობილი პატიოსნებისათვის", სიტყვა წარმოთქვა, რის შემდეგაც შეთქმულნი ისევ კაპიტოლიუმზე ავიდნენ. იქიდან მათ ლეპიდუსს და ანტონიუსს შეუთვალეს ზავი ჩამოეგდოთ.

ცეზარის მომხრეებმა კრება მოიწვიეს. ამ კრებაზე ლეპიდუსი და ბალბა მოითხოვდნენ მკვლელებისათვის სამაგიეროს მიზღვას. ანტონიუსი და გრაციუსი მკვლელებთან ზავის დადებისა და შერიგების მომხრენი იყვნენ. შემდგომ რომში მოსული ოქტავიანე ზავის წინააღმდეგი გამოვიდა. ამ ნიადაგზე გაჩნდა განხეთქილება ანტონიუსსა და ოქტავიანეს შორის.

ცეზარის ვეტერანებმა შეძლეს ანტონიუსისა და ოქტავიანეს შერიგება, მაგრამ, — წერს ნიკოლოზ დამასკელი, — როცა ოქტავიანე ანტონიუსთან შერიგების შემდეგ შინ წავიდა, მარტოდ დარჩენილი ანტონიუსი გაახელა აზრმა, რომ ჯარი უფრო მეტად ოქტავიანეს მხარეზე იყო. ...მან უარი თქვა ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებაზე".

ანტონიუსმა მოიგონა, თითქოს ოტქავიანემ მას მოსყიდული პირები მიუგზავნა მოსაკლავად მაკედონიაზე გავლით პართიაში მიმავალი იმ ჯარებიდან, რომელიც ოქტავიანემ რომში დააბრუნაო.

დედა ატია და მამინაცვალი ფილიპე ოქტავინეს ურჩევდნენ რომიდან წასვლას, ვიდრე გამოძიება სიმართლეს დაადასტურებდა. მაგრამ ოქტავიანე, რომელსაც „არაფერში ბრალი არ მიუძღოდა, თავისთვის საშიშად თვლიდა დამალვას, რითაც იგი თითქოს თვითონვე აღიარებდა დანაშაულს".

ოქტავიანეს მიერ ცეზარის ვეტერანების დიდი ნაწილის მიმხრობით თავდება ნიკოლოზ დამასკელის „ცეზარის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები. შეიძლება ამ ნაწარმოებში იყო II ტრიუმვირატისა (ძვ. წ. 43 წ.) და აქციუმის ბრძოლის (ძვ. წ. 31 წ.) ამბებიც, მაგრამ ფრაგმენტებს მათ შესახებ ჩვენამდე არ მოულეწვია.

ნიკოლოზ დამასკელის მეოთხე ნაშრომი — „შესანიშნავ თავშესაქცევ ჩვეულებათა კრებული“ წარმოადგენს ეთნოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს. ამ ნაშრომიდან მოღწეული ფრაგმენტები საინტერესო ცნობებს შეიცავს სხვადასხვა ხალხის ტრადიციისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ. ლუკანელები და ათენელები, აღნიშნულია იქ, სჯიან ადამიანებს უსაქმურობისთვისო. ლიბერნების შესახებ კი აღნიშნულია, რომ მათ საერთო ცოლები ჰყავთ და ბავშვებს ხუთი წლის ზევით იმ მამაკაცებს აკუთვნებენ რომელთაც ისინი ჰგვანანო.

სხვაც მრავალი საინტერესო ცნობა არის დაცული ნიკოლოზ დამასკელის ზემოთ აღნიშნული წიგნის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში. ამ ფრაგმენტებს საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად.

პლუტარქე

ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოს-მორალისტი, ელინიზმის უკანასკნელ უნივერსალურ სწავლულად მიჩნეული პლუტარქე დაიბადა დაახლოებით ახ. წ. 46 წელს ბეოტიის ქალაქ ქერონეაში. იგი აღიზარდა ადგილობრივ წარჩინებულ ოჯახში. მამამისი ავტობულე განათლებული ადამიანი ყოფილა, კარგად იცნობდა ისტორიასა და ფილოსოფიას; პლუტარქეს ორი ძმა, ლამპრია და ტიმონი აგრეთვე იმ დროის მიხედვით განათლებული პირები ყოფილან. საერთოდ, პლუტარქე კულტურულ წრეში აღიზარდა და ფართო განათლება მიიღო.

პლუტარქეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა საბერძნეთისათვის მეტად მძიმე დროს. ძვ. წ. 146 წელს რომაელებთან ომში განადგურებულ იქნა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი კორინთო და მისი მცხოვრებლები მონებად გაყიდეს. ტრადიციულად ეს თარიღი ითვლება საბერძნეთის დამოუკიდებლობის დასასრულად და იქ რომაელების ბატონობის დასაწყისად. ამ დროიდან ევროპელი ბერძნების ისტორია რომის ისტორიას შეუერთდა და ევროპელი ბერძნები დაექვემდებარნენ რომაელთა პრეტორის უმაღლეს ზედამხედველობას. საბერძნეთის მოსახლეობის ღარიბ ნაწილს ჩამოერთვა აქტიური სამოქალაქო უფლებები და დემოკრატია ყველგან განადგურებულ იქნა. სამაგიეროდ ქალაქებში ხელისუფლება მიეკუთვნა მდიდარი

მოქალაქეებისაგან შემდგარ საბჭოებს. ასეთი მდგომარეობა მძიმე იყო ბერძნებისათვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, სხვებთან შედარებით, რომაელები ბერძნებს მაინც უფრო რბილად მოექცნენ: შეუზღუდავად შეუნარჩუნეს მათ მიწის საკუთრება და ისინი უმთავრესად საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლივ წარმოებაში შეავიწროეს.

ქალაქ ათენს რომაელებმა თითქმის უცვლელად დაუტოვეს ძველი უფლებები, მაგრამ ეს უფლებები თუ წინათ მთელ ხალხს ეკუთვნოდა, ახლა იგი რომაელებმა მხოლოდ შეძლებულ ფენებს გადასცეს, რომელნიც მათ თავიანთ დასაყრდენად გაიხადეს. კერძოდ, ადმინისტრაციულისა და სასამართლო საქმეებში გადამწყვეტი როლი კვლავ არეოპაგს გადაეცა, ხოლო იმ თანამდებობის პირთა შორის, რომელთაც ყოველწლიურად ირჩევდნენ, განსაკუთრებულად დიდი ხელისუფლება პირველ სტრატეგოსს მიენიჭა, რომელიც ქალაქის უფროსის როლს ასრულებდა. ამავე დროს არქონტებად და სტრატეგოსებად მხოლოდ მდიდარი მოქალაქეების არჩევა შეიძლებოდა.

მართალია, რომის ბატონობის დამყარების შემდეგ ბერძენთა ქალაქებში მშვიდობიანობის ხანგრძლივი პერიოდი დამყარდა, მაგრამ, ამასთან ერთად, ხალხის ცხოვრებაში თავი იჩინა მრავალმა გასაჭირმა: საბერძნეთის მოსახლეობა საგრძნობლად მცირდებოდა და მისი მატერიალური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ცვლილებები, რომლებიც ავგუსტუსის დროს პროვინციების მმართველობაში მოხდა: ძველი პროვინციები, რომლებშიც ომები აღარ მიმდინარეობდა, სენატს დაუქვემდებარეს, ხოლო ახლად დაპყრობილი, მოსაზღვრე და ჯერ კიდევ დაუწყნარებელი პროვინციები — იმპერატორს; სენატის პროვინციებს ძველებურად განაგებდნენ ყოფილი კონსულები და პრეტორები. ისინი, ჩვეულებრივად, ერთი წლით იგზავნებოდნენ პროვინციებში. იმპერატორის პროვინციებს კი ლეგატები განაგებდნენ, ე. ი. იმპერატორის მოადგილეები. მათ უშუალოდ იმპერატორი ნიშნავდა განუსაზღვრელი ვადით. სენატისა და იმპერატორის პროვინციების მმართველთა მდგომარეობა ერთიმეორისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. სენატის მიერ პროვინციის მმართველად დანიშნული პროკონსული არსებითად არავისზე არ იყო დამოკიდებული. მას არ ევალებოდა თავისი მოქმედების ანგარიში ჩაებარებინა პროვინციელებისათვის ან სენატისათვის.

იმპერიის პერიოდში ეს წესი შეიცვალა. იმპერატორებს უფლება ჰქონდათ უმაღლესი მეთვალყურეობა გაეწიათ სენატის პროვინციების მმართველებისათვის და იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი ადგილობრივ მოსახლეობისადმი დაუშვებელ თვითნებობასა და სისასტიკეს გამოიჩენდნენ და ამის გამო, პროვინციელები საჩივარს აღძრავდნენ, ისინი მკაცრად დაესაჯათ.

საბერძნეთი, რომელსაც აქაიის პროვინცია ეწოდა, სენატის გამგებლობაში დარჩა, მაგრამ ტიბერიუსის დროს (14—37) ის საიმპერატორო პროვინციებში გადაურიცხავთ.

ასეთი იყო საბერძნეთის მდგომარეობა პლუტარქეს დროს.

ახალგაზრდობაში პლუტარქე ათენში გადასულა განათლების გასაგრძელებლად და, სხვათა შორის, აქ შეუსწავლია ფილოსოფია პერიპატეტიკური სკოლის ფილოსოფოსის—ამონიოსის ხელმძღვანელობით. შემდეგ, ათენიდან ქერონეაში დაბრუნებულ პლუტარქეს, მოგზაურობა დაუწყია, დაუვლია საბერძნეთის და იტალიის სხვადასხვა კუთხე და ყოფილა იმდროინდელი განათლების მეორე ცენტრში — ალექსანდრიაში. პლუტარქეს გულმოდგინედ შეუსწავლია ბერძენი პოეტებისა და ფილოსოფოსების ნაწერები და კარგად გაწაფულა ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნაში. სცოდნია ბუნებისმეტყველება, მედიცინა, მუსიკის თეორია და, საერთოდ, ხელოვნება. ამ მხრივ, იგი იყო „ფრიად განათლებული და დიდად განსწავლული ადამიანი, მაგრამ კონსერვატორი და მისტიკოსი“.

პლუტარქე მორწმუნე იყო. მისი აზრით, არსებობდა ორი კოსმოსური საწყისი: ყოველგვარი სიკეთის განსახიერება — ღმერთი და ბოროტების სუბსტრატი — მატერია. ფილოსოფია, მისი სიტყვით, ეხმარება ადამიანს მოერიოს თავის ვნებებს და „ამიტომ ფილოსოფია, უმთავრესად, სულის მედიცინაა, ხოლო ფილოსოფოსი — სულის მკურნალი“.

პლუტარქე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყოფილა, როცა თავის ქალაქის დავალებით აქაიის პროვინციის პროკონსულთან მისულა საზოგადოებრივ საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ეს გახდა საწყისი პლუტარქეს რომთან კავშირისა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. დემოსთენეს ბიოგრაფიაში პლუტარქე დაწვრილებით აგვიწერს თავისი ცხოვრების ამ პერიოდს და ამბობს: „რაც მე შემეხება, ვცხოვრობ პატარა ქალაქში და ვცხოვრობ იქ ხალისით, რათა იგი კიდევ უფრო პატარა არ გახ-

დეს. როცა მე ვიყავი რომსა და იტალიაში, დრო არ მქონდა შემესწავლა ლათინური ენა სახელმწიფო საქმეებისა და იმ პირთა გამო, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ ფილოსოფიაში სამეცადინოდ. ამიტომ მხოლოდ გვიან, უკვე ჯარმაგ წლებში დავიწყე ლათინური წიგნების კითხვა".

რომში პლუტარქე არისტოკრატიულ საზოგადოებას დაასლოებია და იმპერატორების—ტრაიანესა და ადრიანეს კეთილი განწყობილებაც კი მოუპოვებია. ბიზანტიის ეპოქის ლექსიკოგრაფოსის სვიდას ცნობით, იმპერატორ ტრაიანეს (98—117) მისთვის კონსულარის ღირსება უბოძებია და აქაიის მმართველისათვის დაუვალებია, რათა მას, საეჭვო შემთხვევებში, რჩევის მისაღებად პლუტარქესათვის მიემართა. დასაშვებია, რომ იმპერატორ ადრიანეს დროს (117—138) სამი წლის განმავლობაში იგი აქაიის პროკურატორი იყო. რომში პლუტარქე კითხულობდა ლექციებს, საუბრობდა ფილოსოფიაზე და ექსკურსიებს აწყობდა იტალიაში. აქ გასცნობია ბევრ გამოჩენილ ადამიანს. თავის ნაცნობობასა და კავშირს რომში იგი საბერძნეთის ინტერესებისათვის იყენებდა.

პლუტარქეს მჯიდრო ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ ქალაქ ქერონეასთან და ყოველთვის ცდილობდა ხანგრძლივი დაშორების შემდეგ კვლავ იქ დაბრუნებულიყო. იგი ერთგულად ემსახურებოდა ქალაქს; იყო მშენებლობის მეთვალყურე, არქონტი, ბეოტარქი. ამასთან ერთად, პლუტარქეს მისტიკური განწყობილება უფრო უღრმავდებოდა და ამ ნიადაგზე მჯიდროდ უკავშირდება დელფოს მისანს და სიცოცხლის ბოლო წლებში დელფოს ტაძრის ქურუმი ყოფილა. მას განუახლებია აპოლონ დელფოსელის კულტი და ორაკულის რწმენა, რამაც საფუძველი მისცა ძველ ქრისტიან მწერლებს, „ნახევრად ქრისტიანად" ჩაეთვალათ, ხოლო მარქსმა პლუტარქე ირონიულად „წმინდა მამებს" მიაკუთვნა. დელფოსის მოქალაქეებმა ქერონეელებთან ერთად პლუტარქეს ძეგლი აუგეს.

შემონახულია ზოგიერთი ფაქტი პლუტარქეს პირადი ცხოვრებიდანაც. მისი მეუღლე გიმოქსენე თავისი დროის ფრიად განათლებული ქალი ყოფილა და თითქოს მისმა სიყვარულმა დააწერინა პლუტარქეს თხზულება — „რჩევა-დარიგება მეუღლეებს"; მისგან პლუტარქეს ოთხი ვაჟი და ორი ქალი გასჩენია.

პლუტარქეს თანამედროვე ბერძენი ავტორების უმრავლესობას რომისადმი ცივი და ინდიფერენტული განწყობილება ახასიათებდა.

პლუტარქეს შესახებ კი უნდა ითქვას, რომ იგი რომის სახელმწიფოს მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, მაგრამ, ამავე დროს, საფუძვლიანად ამაყობდა ძველი საბერძნეთის დიდებული წარსულითა და მისი კულტურული მემკვიდრეობით. მისი სურვილი იყო, ამ მემკვიდრეობის სულიერი ღირებულების საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული პიროვნების, ოჯახებისა და მთელი კოლექტივის ცხოვრება. ქერონეაშიც და დელფოსშიც იგი კულტურულ გარემოცვაში იყო. კერძოდ, ქერონეაში მას მცირე აკადემიაც კი დაუარსებია და ღრმა პატივისცემას ამჟღავნებდა მშობლიური ბეოტიის კულტურის, პოეტ ჰესიოდესა და განსაკუთრებით, დიდი თებელი მგოსნის — პინდარეს მიმართ.

ამასთან, როგორც ბეოტიელი მოღვაწე, პლუტარქე განსაკუთრებით ნაწყენი იყო ჰეროდოტეს მიერ თებელების უარყოფითი დახასიათებით და მთელი ტრაქტატი დაწერა „ჰეროდოტეს მუხანათობის" შესახებ. ტრაქტატის 31-ე თავში იგი აღნიშნავს: ჰეროდოტეს „ნაშრომში ზოგი ბრალდება თებელების წინააღმდეგ სიცრუეს წარმოადგენს (ზოგი ცილისწამებას), ზოგიც სიძულვილითა და მტრული განწყობილებითაა ნაკარნახევი". ხოლო პირველ თავში ასე ახასიათებს ჰეროდოტეს: „ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი უსამართლობაა, როგორც თქვა პლატონმა, გქონდეს სამართლიანის რეპუტაცია და ასეთი კი არ იყო; მაგრამ უდიდესი მუხანათობაა, კაცმა თავისი ნამდვილი განზრახვები ისე დაფაროს მიამიტობისა და გულკეთილობის ნიღბით, რომ შეუძლებელი იქნეს სიცრუის გამოაშკარავება. ჰეროდოტე ამჟღავნებს თავის არაკეთილმოსურნეობას სხვადასხვა ბერძნულ სახელმწიფოებისადმი, მაგრამ ყველაზე მეტად ბეოტიელებისა და კორინთელების მიმართ; ამიტომ ჩემი ვალია, როგორც მე მიმაჩნია, გამოვიდე ჩემი წინაპრებისა და ჯეშმარიტების დამცველად, რასაც მე ამ თხზულებაში გავაკეთებ".

როგორც ჩანს, პლუტარქე მწვავედ განიცდიდა საბერძნეთის ყოველგვარ დამცირებას წარსულშიც. საკმარისია ამ მხრივ მოვიგონოთ ის სამარცხვინო ზავი, რომელიც ძვ. წ. 387—386 წელს საბერძნეთის სახელმწიფოებმა უხმოდ მიიღეს სპარსეთის მეფის კარნახით და რომელიც „ანტალკიდეს" ან „სამეფო ზავის" სახელითაა ცნობილი. მარათონთან და სალამინთან გამარჯვებული ბერძნების ჩამომავლების მესსიერებაში ეს ზავი შემონახული იყო როგორც უდიდესი დამცირების ეპიზოდი. ამის შესახებ პლუტარქე ამბობს: „ასეთი პირობებით

მიიღეს ბერძნებმა ზავი, თუკი შეიძლება ზავი ვუწოდოთ საბერძნეთის გამცემლობასა და შებღალვას: არც ერთ ომს არ დაუკისრებია დამარცხებულთათვის უფრო სამარცხვინო ტვირთი, ვიდრე ამ ზავს".

ამასთან, პლუტარქე მტკივნეულად გრძნობდა რომის ბატონობის დროს დამყარებულ მძიმე პირობებს, მოქალაქეთა გაღარიბებას და, კერძოდ, საბერძნეთის ქალაქებში მოსახლეობის საბედისწერო შემცირებას.

ერთ თავის ტრაქტატში იგი გულისტკივილით ამბობს: „მოსახლეობის საერთო შემცირება, რომელიც თითქოს მთელ სამყაროში შფოთმა და ომებმა გამოიწვია, უაღრესად განიცადა საბერძნეთმა: ახლა ის მთლიანად ძლივს შეძლებდა გამოეყვანა სამი ათასი ჰოპლიტი — რიცხვი, რომელიც ერთმა ქალაქმა მეგარემ გაგზავნა პლატეასთან ბრძოლაში".

მაგრამ პლუტარქეს გაუთვალისწინებია ისტორიულ ძალთა შეფარდება — იმპერიის სიმტკიცე და ძლიერება და რომის სახელმწიფოს სიდიადე. მისტიკოსი პლუტარქე რომის ბატონობაში რაღაც პროვიდენციალურს ხედავდა და ეს ბატონობა მას ეჩვენებოდა განგების მიერ დადგენილად, რათა კაცობრიობა გამოსულიყო ქაოსური მდგომარეობიდან, შეუწყვეტელი ბრძოლიდან და დამდგარიყო მტკიცე მშვიდობიანობა და უშიშროება.

პლუტარქეს ასეთ თავისებურ განწყობილებას ს. ლ უ რ ი ე შემდეგი სიტყვებით გვიხასიათებს: „ბუნებრივია, რომ პლუტარქეს და იმ საზოგადოებას, რომელსაც იგი მიმართავს, სურს დამშვიდდეს ბერძნების დიდი წარსულის მოგონებით". [1]

პლუტარქე ბერძენ მწერალთა შორის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო და მსოფლიო ლიტერატურაში მას პოპულარული და საყვარელი მწერლის სახელი აქვს მოხვეჭილი. ანტიკური ცნობების მიხედვით, პლუტარქეს 200-ზე მეტი თხზულება დაუწერია და მათგან უმეტესმა ნაწილმა ჩვენს დრომდე მოაღწია. მისი თხზულებები ორ ჯგუფად იყოფა: ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ და ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ-ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ა დ. პირველის სათაურია „შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ბ ი ო გ რ ა ფ ი ე ბ ი". ასე იმიტომ ეწოდება, რომ ცალკეული ბერძენი ისტორიული მოღვაწის ბიოგრაფიას მოსდევს იმ რომაელი მოღვაწის ბიოგრაფია, რომელსაც მასთან რაიმე მსგავსება აქვს. ასე, ყოველ წყვილში მო-

---

[1] С. Л у р ь е, Геродот, 1947, გვ. 155.

ცემულია ერთი ბიოგრაფია ბერძენისა, მეორე რომაელისა. ზოგიერთი ამ ბიოგრაფიიდან მთავრდება „შედარებით", იმის შესახებ, თუ რა დადებითი და უარყოფითი მაგალითები შეუძლია მკითხველს გადმოიღოს მისი გმირების ცხოვრებიდან, რას უნდა წაბაძოს და რას უნდა ერიდოს. პლუტარქეს ბიოგრაფიებიდან ჩვენამდე 50-მა მოაღწია, მათ რიცხვში — პარალელურმა ბიოგრაფიამ (23 ბერძენი და 23 რომაელი პოლიტიკური მოღვაწის). ამას უნდა მივუმატოთ 4 არაწყვილი ბიოგრაფია: არტაქსერქსე II, არატის, გალბასი და ოტონისა.

პლუტარქეს მიერ ორი მოღვაწის ერთმანეთთან დაკავშირებას საფუძველად უდევს მათი თავგადასავალისა და ხასიათის მსგავსება ქრონოლოგიისა და ისტორიული პირობებისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, პოლიტიკური ამოცანების თავისებურად გაგებული მსგავსება პლუტარქეს უკარნახებს, რომ დააწყვილოს ძველი სპარტის მეფეები — აგისი და კლეომენი და რომის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები — ტიბერიუსი და გაიუს გრაკხუსები.

პლუტარქეს ბიოგრაფიებს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი საბერძნეთის ისტორიის შესასწავლად. ბევრ იმ მწერლის ნაშრომს, რომელთა ცნობებითაც უსარგებლია პლუტარქეს, ჩვენამდე არ მოულწევია და ამ მხრივ, პლუტარქე ჩვენთვის ერთადერთი წყაროა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პლუტარქეს მიერ გადმოცემულ ცნობებში გვხვდება მრავალი უზუსტობანი. ბევრ ფაქტს, რომლებიც მნიშვნელოვანია ისტორიის მხრივ, ის ან ივიწყებს, ანდა გაკვრით გადმოგვცემს. ბიოგრაფიების შედგენის დროს პლუტარქეს მთავარ მიზანს არა ისტორია, არამედ მორალი წარმოადგენდა და ისტორია მას აღზრდის საშუალებად მიაჩნდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი ზოგჯერ თავის საყვარელ გმირებს იდეალიზებულ ადამიანებად წარმოგვიდგენს. მორალის ქადაგების სურვილი ზოგჯერ პლუტარქეს აიძულებდა დაეთმო ისტორიული ჭეშმარიტება. პლუტარქეს ყველა ნაწარმოებს ღრმა სარწმუნოების ბეჭედი აზის: ღმერთების ნებისყოფა, საბედისწერო ხვედრი მას ხშირად მიაჩნდა მისი გმირების მოქმედებათა და ისტორიული ამბების მიზეზად.

პლუტარქე ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიის შესავალში ამბობს: „მე ბიოგრაფიებს ვწერ და არა ისტორიას. დიად ამბებში ყოველთვის ცხადად როდი ჩანს სიკეთე თუ მანკიერება; ერთი პატარა საქმე, ერთი სიტყვა ან რაიმე მოსწრებული თქმა — ხშირად უფრო ნათლად გვიმეღავნებს ადამიანის ხასიათს, ვიდრე სისხლისმღვრელი

ბრძოლანი, დიდი სამხედრო მოქმედებანი და ქალაქთა გარემოცვანი. ვით მხატვარი ახერხებს ხოლმე ადამიანის მსგავსების განსახიერებას თვალებისა და სახის გამომეტყველების საშუალებით, ხოლო სხეულის დანარჩენ ნაწილს იმდენ ყურადღებას აღარ აქცევს, რადგან გამომეტ-ყველება ყველაზე უფრო მეტად ამჟღავნებს ადამიანის თავისებურე-ბას, ისე მეც ნება მომეცით, ჩემს მიერ აღსაწერ პიროვნებათა სული-ერ სამყაროს ღრმად ჩავწვდე და თითოეული მათგანის ცხოვრება ამისდამიხედვით ავსასო. დაე, სხვებმა აღწერონ მათი დიადი საქმენი და ომები".

ერთ ბიოგრაფიაში პლუტარქე ამბობს: „მე მომისდა ამ ცხოვრების აღწერებზე მუშაობა დამეწყო სხვისი თხოვნით, მაგრამ მისი გაგრ-ძელება, ამასთან, დიდი სიყვარულით — უკვე ჩემი თავისათვის. ის-ტორიაში, როგორც სარკეში ჩახედვისას, მე ვცდილობ უკეთესობისა-კენ წარვმართო საკუთარი სიცოცხლე და მოვაწყო ის იმათი მაგა-ლითით, ვის სათნოებაზეც მოვუთხრობ. ყველაზე მეტად ეს მაგონებს მუდმივსა და ახლობელ ურთიერთობას: ისტორიის მეოხებით ჩვენ ზუსტად ვიღებთ თითოეულ დიდ ადამიანს ჩვენს სახლში, ვიგებთ, „ვინ და რა არის" იგი და ამოვარჩევთ მის გმირობათაგან უმნიშვნე-ლოვანესსა და უმშვენიერესს".

ისტორიისადმი პლუტარქეს მიდგომის თვალსაზრისით, საყურად-ღებოა აგრეთვე პერიკლეს ბიოგრაფიის პირველი თავი: „ამბობენ, რომ ერთხელ კეისარმა (იმპერატორმა ავგუსტუსმა) რომში დაინახა, თუ როგორ ატარებდნენ იღლიებში ვიღაც მდიდარი უცხოელები ლეკ-ვებსა და პატარა მაიმუნებს და ეფერებოდნენ. ის შეეკითხა მათ, განა მათში ქალები არ შობენ ბავშვებს? ამ სიტყვებით, რომლებიც სავ-სებით ღირსია მმართველისა, მან დარიგება მისცა მათ, ვინც ცხოვე-ლებზე ხარჯავს ჩვენთვის ბუნებით ჩვეულ მოთხოვნილებას სიყვა-რულსა და ალერსზე მაშინ, როდესაც ის ადამიანებს უნდა ეკუთვნო-დეს".

რაკი პლუტარქეს ისტორია ზნე-ჩვეულებათა გამოსწორების სა-შუალებად მიაჩნია, ის თავის საყვარელ გმირებს, როგორც ნათქვამი იყო, ზოგჯერ იდეალიზებული სახით წარმოგვიდგენს, რათა ამით თა-ვის მკითხველებზე გავლენა მოახდინოს. ამას თვითონაც აღიარებს.

კიმონის ბიოგრაფიაში ის ამბობს: „როდესაც ფერმწერი გვიხატავს მშვენიერ სახეს, სიტურფით აღსავსეს, ჩვენ მოვითხოვთ მისგან, თუ ამ სახეში არის რაიმე პატარა ნაკლი, მას სავსებით ნუ გამოტოვებს, მაგრამ ნურც მეტისმეტი გულდასმით ასახავს. უკანასკნელ შემთხვევაში იკარგება სილამაზე, პირველში კი — მსგავსება".

პლუტარქე დიდი ისტორიკოსი არ არის, იგი უფრო მწერალ-მორალისტია. მთავარ ყურადღებას აქცევდა არა ისტორიულ ფაქტებს, არამედ თავისი გმირის მორალურ სახეს. ისტორია მისთვის, უწინარეს ყოვლისა, წარსულის სახელოვან საქმეთა ჯვრეტაში ჩაღრმავებაა მორალური სრულყოფისათვის, ზოგჯერ — მათი მზერით დატკბობა. ამასთან, „პლუტარქეს თხზულებათა ისტორიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მათში ისტორიის მრავალი ცნობაა შემონახული ანტიკური შრომებიდან, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია".

ზოგიერთი ძველი ავტორის მიერ გადმოცემულ ცნობას პლუტარქე თავისებურ განმარტებასა და დამატებას ურთავს. მოვიტანთ ორიოდე მაგალთს:

ცნობილია, რომ ძვ. წ. 594 წელს ათენელებმა შეთანხმებით აირჩიეს არქონტად სოლონი, რომელიც წარმოშობით ევპატრიდი იყო, მაგრამ მან შეძლო თავისი წრის ინტერესებზე მაღლა დამდგარიყო და არისტოკრატიის მიერ შევიწროებული ათენელების დამცველად გამოსულიყო. როგორ მოხდა ეს? ამას პლუტარქე სოლონის ბიოგრაფიაში განგვიმარტავს, რომ სიმდიდრეს სოლონი თაყვანს სრულებითაც არ სცემდაო.

აღსანიშნავია ისიც, რომ პლუტარქე სოლონის დროის დახასიათებაში უფრო სწორ ცნობებს გვაწვდის, ვიდრე არისტოტელე.

საყოველთაო გავრცელება მოიპოვა პლუტარქეს მიერ შემონახულმა სახელგანთქმული პირების ისტორიულმა გამონათქვამებმა. აღვნიშნავთ ორიოდე მაგალითს: ალექსანდრეს ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ ფილოსოფოს დიოგენე სინოპელთან შეხვედრისას იგი მას შეეკითხა: „ხომ არაფერი გჭირდებაო?" დიოგენემ უპასუხა: „ცოტა იქით გაიწი, მზეზე ნუ მეფარებიო". ალექსანდრეს მხლებლებისთვის უთქვამს: „ალექსანდრე რომ არ ვიყო, დიოგენად ყოფნას ვინატრებდიო". კლასიკურ მოთხრობად იქცა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ცხენის — ბუკეფალის მოთვინიერება. თურმე ცხენმა არც ერთი მხედარი არ

მიიკარა და მისი მოთვინიერება ისევ ახალგაზრდა ალექსანდრემ შეძლო. მამამის ფილიპეს მისთვის უთქვამს: „შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევსო“.

პლუტარქეს ნაწერების მეორე ჯგუფი „ზნეობრივი თხზულებების“ საერთო სახელითაა ცნობილი. მათში მოცემულია პლუტარქეს ფილოსოფიური და ლიტერატურული შეხედულებები. მის ადრინდელ ნაწერებში განხილულია ადამიანთა ცხოვრებაში ორი — ძალის სათნოებისა და ბედისწერის მნიშვნელობა. ამ საკითხის განხილვას მიუძღვნა მან სამი ნაწარმოები: „ალექსანდრე დიდის ბედისა და მამაცობის შესახებ“, „რომაელების ბედზე“ და „იმაზე, ათენელები ომში უფრო სახელგანთქმულები იყვნენ, თუ სიბრძნეში“.

პლუტარქეს ამ ჯგუფის თხზულებათა განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს მსჯელობა „ძმურ სიყვარულზე“, „ბავშვებისადმი სიყვარულზე“, დიალოგი „სიყვარულზე“ და ა. შ.

პლუტარქეს თხზულებებიდან საყურადღებოა „პოლიტიკური დარიგებები“, „უნდა მონაწილეობდნენ თუ არა მოხუცები სახელმწიფო საქმეებში“ და „მონარქიის, დემოკრატიისა და ოლიგარქიის შესახებ“. მათი განხილვიდან ჩანს, რომ პლუტარქე უპირატესობას, დემოკრატიასა და ოლიგარქიასთან შედარებით, მონარქიულ სახელმწიფო წყობილებას ანიჭებდა, მაგრამ, ამასთან ერთად, პატივისცემას იჩენდა რესპუბლიკური იდეალებისადმი. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ახალ დროში პლუტარქე ევროპელი რესპუბლიკელების ბევრი თაობის აღმზრდელად იქნა მიჩნეული.

პლუტარქეს მიაწერდნენ ზოგიერთ ისეთ ნაწარმოებს, რომელნიც, დღეს უკვე ეჭვი აღარ არის, მას არ ეკუთვნოდა. ასეთებია, მაგალითად, „მეფეებისა და მხედართმთავრების წარმონათქვამები“, „სპარტელი ქალების გამონათქვამები“ და ზოგიერთი სხვა.

პლუტარქეს სხვა ნაშრომებზე აღარ შევჩერდებით. ნათქვამიდან ჩანს, რომ პლუტარქე, როგორც ისტორიკოსი, მიუხედავად მისი თავისებურებისა და ნაკლისა, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის შესასწავლად უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს[1].

---

[1] პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ დიდი ნაწილი ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა აკაკი ურუშაძემ. იხ. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, I. 1975. რჩეული ბიოგრაფიები, II, 1987.

ᲐᲠᲘᲐᲜᲔ

ალექსანდრეს ლაშქრობებმა დასაბამი დაუდეს ახალ ეპოქას — ელინიზმს, რომელიც ბევრად განსხვავდებოდა კლასიკური პერიოდისაგან. თავის დროზე ალექსანდრემ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მალე ლეგენდარულ ფიგურად იქცა და მის გარშემო მრავლად წარმოიქმნა თქმულებები. ჯერ კიდევ წინარომაულ პერიოდში შეიქმნა „რომანი ალექსანდრეზე", რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო რომის იმპერიის პირველ სამ საუკუნეში, ხოლო II საუკუნეში რიტორიკული ვარჯიშობისათვის ფართოდ სარგებლობდნენ დარიოსსა და ალექსანდრეს შორის მოგონილი მიწერ-მოწერით.

ალექსანდრეზე წერდნენ პლუტარქე („ალექსანდრე"), დიოდორე („ისტორიული ბიბლიოთეკის" XVII წიგნი) და სხვები. მაგრამ ყოველი მათგანი თავისებურად ტენდენციურია: ისინი ამა თუ იმ საზომით თვითონვე აყალიბებდნენ თქმულებას მაკედონელ სარდალზე. ამიტომ მუშაობის მეთოდით და გამოყენებული წყაროებით მათთან შედარებით უფრო დიდ ნდობას იმსახურებს არიანეს „ალექსანდრეს ლაშქრობა". არიანესთვის ალექსანდრე ლეგენდარულ გმირს კი არა ისტორიულ პიროვნებას წარმოადგენდა. მასში ხედავდა განსაკუთრებით გამოჩენილ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს. მის ნაშრომს საფუძვლად უდევს ალექსანდრეს იმ თანამედროვეთა ჩანაწერები და მემუარები, რომლებმაც მასთან ერთად განვლეს გზა მაკედონიიდან ინდამდე და მონაწილეობდნენ მისი გეგმების შედგენასა და შესრულებაში. მან კრიტიკულად გამოიყენა მათი ნაშრომები და მაკედონიის მეფის კარზე სპეციალურად შემოღებული ჟურნალ-დღიურები, „მეფის ეფემერიდები".

არიანეს სრული სახელი იყო კვინტუს ფლავიუს არიანე. იგი დაიბადა (დაახლ. 95 წ.) მცირე აზიის პროვინცია ბითვინიის მთავარ ქალაქ ნიკომედიაში. დაბადების წელი ზუსტად არ არის დადგენილი, გარდაცვალების თარიღად დაახლოებით 175 წელია მიჩნეული. მას ბრწყინვალე ბერძნული განათლება მიუღია, ფლობდა ბერძნულსა და ლათინურ ენებს. კარგი მომზადება გაუვლია რიტორიკისა და ფილოსოფიის დარგში. როგორც მწერალი, არიანე ქსენოფონტს ბაძავდა, ხოლო ფილოსოფიაში მისი მასწავლებელი ეთიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი ეპიკტეტე ყოფილა. ნიკომედიაში არიანე რამდენიმე წელს უსმენდა ეპიკტეტეს და, როცა ფილოსოფიის შესწავლა და-

უმთავრებია, რომის სახელმწიფოს სამსახურში შესულა. ერთი წარწერის მიხედვით, 116 წელს არიანე იმ კომისიაში მონაწილეობდა, რომელსაც დელფოს ტაძრის „საღვთო“ მიწის ზუსტი საზღვრები უნდა დაედგინა. 121—124 წლებში იმპერატორ ადრიანეს მისთვის კონსულის წოდება უბოძებია. 131 წლიდან 137 წლამდე იმპერატორის პირადი ლეგატის სახით არიანე კაპადოკიის პროვინციას განაგებდა. მაგრამ, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, იგი ჩამოუშორებიათ სახელმწიფო და სამხედრო საქმეებში მონაწილეობისაგან. მიუხედავად ამისა, 147 წელს რომის იმპერატორის თანხმობით, იგი ათენში არქონტ-ეპონიმად აურჩევიათ, ხოლო მომდევნო პერიოდში ნიკომედიაში მიწისქვეშა სამეფოს ქალღმერთების — დემეტრეს და პერსეფონეს ქურუმი გამხდარა[1].

აპიანე ალექსანდრიელი

აპიანე დაიბადა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ძალიან მწირია.

თავისი შრომის შესავალში აპიანე გვამცნობს: „თუ ვინა ვარ მე, ამის დამწერი, ბევრმა იცის... მე ვარ აპიანე ალექსანდრიელი, რომელმაც მივაღწიე მაღალ მდგომარეობას სამშობლოში და გამოვდიოდი რომში სასამართლო საქმეებზე მეფეთა წინაშე, ვიდრე არ მომაგეს პატივი გავმხდარიყავ მათი პროკურატორი. ხოლო, თუ ვისმე აინტერესებს დანარჩენიც იცოდეს ჩემზე, მე მაქვს თხზულება ამის შესახებ“[2].

აპიანეს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უცნობია. იგი დაბადებული უნდა იყოს პირველი საუკუნის დამლევს და გარდაიცვალა, ალბათ, მეორე საუკუნის 70 წელს. თვით აპიანეს მოწმობით, იგი დაიბადა და ცხოვრობდა იმპერატორ ტრაიანეს დროს, მომსწრეა იუდეველთა აჯანყებისა, აღზევებას მიაღწია ადრიანეს დროს. იერუსალიმზე ამბობს, რომ იგი ადრე რამდენჯერმე იქნა დანგრეული და „დაანგრია, კვლავ ჩემს დროს, ადრიანემ“.

---

[1] არიანეს თხზულება „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, ქართულად თარგმნა და 1961 წელს გამოაქვეყნა ნ. კეჭაყმაძემ.

[2] აპიანეს ამ ავტობიოგრაფიულ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

აპიანე ეკუთვნოდა რომის მონათმფლობელური საზოგადოების იმ ახალ ფენას, რომელიც დაწინაურდა და განმტკიცდა რომის სახელმწიფო სამსახურში. რომში აპიანემ მიიღო მაღალი თანამდებობა — იმპერატორის ხელქვეითი მოხელე გახდა. შემდეგ დაინიშნა ეგვიპტის პროკურატორად. მან მოიპოვა რომაელი მოქალაქის უფლება და შეიდა რომაელ მხედართა წოდებაში. ამ ცნობების მიხედვით, უნდა დავასკვნათ, რომ აპიანემ კარგად იცოდა ლათინური ენა.

აპიანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში უკვე სრულდებოდა რომის რესპუბლიკიდან მონარქიაზე (იმპერიაზე) გადასვლის პროცესი და იმპერატორთა რეჟიმი გარკვეულად დამკვიდრებული და განმტკიცებული იყო. რომაელ მოქალაქეთა სახელმწიფო (რესპუბლიკა) უკვე იქცა ხმელთაშუაზღვეთის იმპერიად. ეს შედეგი იყო ღრმა ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა რომაული საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. რომი უდიდეს სახელმწიფოდ იქცა, მაგრამ იტალიამ და მისმა მოსახლეობამ დაკარგა უწინდელი უპირატესობა. ეკონომიკურმა ცენტრებმა აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა. აღმოცენდა ახალი ქალაქები, რომლებიც გადაიქცნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად, კულტურის კერებად. მთელ იმპერიაში გავრცელდა ელინისტურ-რომაული კულტურა, ხოლო თვით ქალაქმა რომმა დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა.

თვალსაჩინო იყო ცვლილებანი სოციალურ სფეროში. ძველ რომაულ ეკონომიკასა და კულტურასთან ერთად, უკუდგება აგრეთვე რომაული საზოგადოების წამყვანი ელემენტი. ძველრომაული პატრიციათა და წარჩინებულთა წრე, რომელიც რესპუბლიკის ეპოქაში სახელმწიფოს დასაყრდენს წარმოადგენდა და გაბატონებული იყო, ადგილს უთმობდა წარჩინებულთა ახალ ფენას, რომელიც იტალიისა და პროვინციების მონათმფლობელური არისტოკრატიიდან, აგრეთვე სამხედრობიუროკრატიული მსახურეული წრიდან იყო გამოსული. ეს წრე, ძველ რომაელ წარჩინებულთა საწინააღმდეგოდ, დაკავშირებული იყო იმპერიის რეჟიმთან. სწორედ ეს ფენა წარმოადგენდა იმპერატორების რეჟიმის დასაყრდენს. მეორე საუკუნის მწერლები, აგრეთვე ზოგი ისტორიკოსი, მეტწილად პროვინციის მცხოვრებნი იყვნენ. ამ გარემოებამ თავისებურება შეიტანა ისტორიოგრაფიაშიც. ამ დროის კულტურის მოღვაწენი, წინააღმდეგ პირველი საუკუნის ისტორიკოსებისა, რომლებიც რესპუბლიკურ ტრადიციებს იცავდნენ, ხშირად უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი საიმპერატორო კართან და სარგებლობდნენ

იმპერატორთა მფარველობით. პროვინციიდან გამოსულმა არა ერთმა პირმა მიაღწია უმაღლეს თანამდებობას და დიდი როლიც შეასრულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

იმდროინდელი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი იყო რომის განდიდების იდეა, რომის სახელმწიფოს ძლიერებისა და Rax Romana-ს (რომაული მშვიდობა) ქებათა ქება. სწორედ ასეთი ხასიათის შრომის ავტორია აპიანეც. პრინციპატის რეჟიმის საშუალებით განმტკიცდა საშინაო და საგარეო მშვიდობა, ამან კი ხელი შეუწყო კეთილდღეობასა და სახელმწიფოს გაძლიერებას. ამავე დროს, მეორე საუკუნის II ნახევრიდან როგორც შინაგანი წინააღმდეგობანი (კლასობრივი ბრძოლა), ისე საგარეო გართულებანი, პროვინციებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ხალხთა მოძრაობა-აჯანყებები (იუდეაში, ეგვიპტეში), ემუქრებოდა მშვიდობიანობის დარღვევას და სახელმწიფოს ძლიერებას საფრთხეს უქმნიდა. საჭირო გახდა Rax Romana-ს ლოზუნგის აღორძინება და პროპაგანდა. ამ მიზანდასახულობასთან არის შეფარდებული აპიანეს შრომა.

ძველი დროის ისტორიკოსთა მიმართ ყოველთვის წამოიჭრება საკითხი, ესა თუ ის ავტორი რა წყაროებით სარგებლობდა თავისი თხზულების წერის დროს. წყაროთა ღირსება ხომ თვით ნაწარმოების ხარისხსაც არსებითად განსაზღვრავს. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აპიანეს მიმართ, რადგან, როგორც ცნობილია, მას არ უწარმოებია დამოუკიდებელი კვლევა და მის დროს არსებულ ისტორიულ თხზულებათა და სხვა წყაროთა საფუძველზე შეუდგენია რომის ისტორიის ახალი თხრობა. თუ რა წყაროებით სარგებლობდა აპიანე, დღესაც საბოლოოდ დაუდგენელია. საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ აპიანე ყოველთვის არ ასახელებს მის მიერ გამოყენებულ ავტორებს.

თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილი აპიანეს საშუალო ხარისხის კომპილატორად თვლის. საერთოდ, ფიქრობენ, რომ აპიანე ბრმად მისდევს თავის წყაროებს, მეტისმეტად არის დამოკიდებული მათზე, ხოლო ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მას ხელთ ჰქონია ერთი მთლიანი ბერძნული წყარო და ეს წყარო იყო სტრაბონი. როგორც მკვლევართა მიერ სპეციალურ ნაშრომებში არის გარკვეული, აპიანეს უსარგებლია სხვადასხვა ხასიათისა და ღირსების წყაროებით; კარგად იცნობდა ბერძენ და რომაელ ავტორებს, ზოგ მათგანს თვითონვე ასახელებს: ჰიერონიმე კარდიელს, პოლიბიოსს, ცეზარს, ვარონს და სხვა;

აპიანეს გამოუყენებია ანალისტთა შრომები, მემუარები, პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიოგრაფიები და ა. შ., ზოგჯერ უშუალოდ, ზოგჯერ მესამე პირის საშუალებით. თავისი შრომის სხვადასხვა ნაწილებისათვის აპიანეს გამოუყენებია: დიონისიოსი, პოლიბიოსი, კვინტუს ფაბიუს პიქტორი, ლივიუსი, იულიუს ცეზარი, პლუტარქე, სალუსტიუსი, დიოდორე და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებს იპყრობს „მითრიდატეს ომების ისტორიის" წყაროები. ო. სევასტიანოვას აზრით, აპიანე „მითრიდატეს ომების" შედგენის დროს არ მიმართავდა პირველწყაროებს, არამედ შემდგომი ხანის ავტორთა შრომებით სარგებლობდა. მაგრამ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ: „მითრიდატეს ომების ისტორიას" საფუძველად ერთი რომელიმე შრომა კი არ უდევს, არამედ აპიანეს აუღია ერთი რომელიღაც ავტორი და სხვა წყაროთა ცნობებით შეუვსია იგი. ამასთანავე, იქვე აღნიშნულია, რომ „მითრიდატეს ომების ისტორიის" მომთხრობ ძველ წყაროებსა და თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ასეთ ვითარებაში, საბოლოო დასკვნის გამოტანა ძნელდება და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს თ. ყაუხჩიშვილი, რომ საგანგებო კვლევა „მითრიდატიკის" წყაროებისა... არავის უწარმოებია და ასეთი რამ რომ გაკეთდეს, ეგებ არც ის დარჩეს საეჭვო, რომ აპიანეს თუ მთლად წარწერებითა და საარქივო დოკუმენტებით არა, შემოწმებული და პირველხარისხოვანი მასალით მაინც უსარგებლია.

მართალია, აპიანე ძირითადად სხვათა შრომებით სარგებლობდა, მაგრამ იგი არ იყო მხოლოდ კომპილატორი. ეტყობა, აპიანე არჩევდა მის ხელთ არსებული წყაროებიდან საჭირო მასალას, საკუთარი გააზრებისა და ინტერპრეტირების გზით. ამის წყალობით მისი შრომა გადაიქცა ძვირფას ისტორიულ წყაროდ, რომელსაც მრავალი ღირსება აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოვლენათა თხრობის დროს ფაქტებზე დაყრდნობა, რეალიზმი და ფხიზელი შეფასება მოვლენებისა.

აპიანეს შრომაში შეიმჩნევა ზოგი უზუსტობა და უხეში შეცდომაც, მაგრამ ძნელი დასადგენია, ეს მისი უცოდინარობის ან დაუდეერობის შედეგია, თუ ეს შეცდომები იმ წყაროებში მოიპოვებოდა, რომლებითაც ის სარგებლობდა.

„რომის ისტორია" აპიანეს დაახლოებით 160 წელს დაუწერია ბერძნულ ენაზე. იგი 24 წიგნისაგან შედგებოდა და მოიცავდა რომის

ისტორიას ქალაქ რომის დაარსებიდან ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე. შრომის შინაარსი წიგნების ანუ თავების მიხედვით ასე ყოფილა განაწილებული: პირველ წიგნში, რომელსაც ეწოდებოდა „მეფეთა", მოთხრობილი იყო რომაელთა ისტორიის უძველესი პერიოდი — მეფეთა ხანა, დაწყებული ენეასის იტალიაში მოსვლიდან. მეორე, მესამე და მეოთხე წიგნები მოუთხრობდა რომაელების მიერ იტალიის დაპყრობაზე, გალებთან ბრძოლაზე და იტალიის გაერთიანებაზე რომის მეთაურობით. ამ წიგნებს, შესაბამისად, ეწოდებოდა „იტალიისა", „სამნიტური" და „გალური". მეხუთე — „სიცილიისა", გადმოსცემდა სიცილიის ისტორიას, მეექვსე — „იბერიისა" — ესპანეთის ისტორიას. მეშვიდეში — „ჰანიბალისა" და მერვეში — „ლიბიისა" მოთხრობილი იყო რომის ომები კართაგენთან. მეცხრე წიგნი — „მაკედონიისა" და „ილირიისა", მეათე — „საბერძნეთისა და იონიისა", მეთერთმეტე — „სირიისა" და მეთორმეტე — „მითრიდატესი" გადმოსცემდა რომის მიერ მაკედონიისა და საბერძნეთის დაპყრობას, აგრეთვე აღმოსავლეთში ანტიოქიასთან და მითრიდატესთან წარმოებული ომების ისტორიას. მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე წიგნებში მოთხრობილი იყო რომის საშინაო ისტორია ძვ. წ. 37 წლამდე. შრომის ამ ნაწილს საერთო სახელი ჰქონდა — „სამოქალაქო ომები". რომის შემდგომი ისტორია ძვ. წ. 37 წლიდან, ალბათ, ძვ. წ. 31 წლამდე, აგრეთვე რომის მიერ ეგვიპტის დაპყრობის ისტორია შეადგენდა მომდევნო ოთხი წიგნის — მეთვრამეტედან ოცდამეერთემდე — შინაარსს. ამ ნაწილსაც საერთო სახელი ჰქონია — „ეგვიპტისა". ოცდამეორე წიგნს ეწოდებოდა „ასი წელი" და შეიცავდა რომის იმპერიის ისტორიას I საუკუნეში. ოცდამესამე და ოცდამეოთხე წიგნები ეხებოდა ტრაიანეს ომებს დაკიასა და არაბეთში. ამ წიგნებს შესაბამისად ეწოდებოდა „დაკიისა" და „არაბეთისა". აპიანეს უნდა ჰქონოდა აგრეთვე შრომა პართიის შესახებაც.

აპიანეს შრომამ მთლიანად ვერ მოაღწია ჩვენამდე. სრულად არის გადარჩენილი VI—VIII და XI—XVII წიგნები. მთლიანადაა დაკარგული XVIII—XXIV წიგნები. დანარჩენ წიგნთაგან მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული.

აპიანეს შრომის ნაწილი, რომელიც შეიცავს წიგნებს იბერიის, ჰანიბალისა და ლიბიის შესახებ, მოღწეულია ჩვენამდე XI საუკუნის ვატიკანის ხელნაწერით. „მითრიდატეს ომების ისტორია" მოიპოვება

XV საუკუნის ხელნაწერში[1]. დანარჩენი წიგნები და ფრაგმენტები სხვადასხვა დროის ხელნაწერებშია შემონახული.

აპიანეს თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ნაწილთაგან ყველაზე ერცელია XII წიგნი, რომელშიც მოთხრობილია რომაელების მიერ პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ წარმოებული ომიანობის ამბები. მასში გადმოცემულია ორმოცი წლის მანძილზე მომხდარი მოვლენები. ეს ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდია რომის ისტორიაში და თუმცა აპიანეს მონათხრობი ერთადერთი წყარო არ არის, მაგრამ მთავარი წყარო კია; მხოლოდ ის წარმოადგენს ამ პერიოდის ამბების ყველაზე სრულ, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით კამართულ თხრობას. აქ აპიანე არ კმაყოფილდება მხოლოდ სამხედრო მოქმედებათა აღწერით, იგი გადმოგვცემს მცირე აზიის რაიონების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს, რომელთაგან ზოგი სხვათა შრომებში არ მოიპოვება.

აპიანეს შრომის ეს ნაწილი განსაკუთრებით ძვირფასია ქართველოლოგიის თვალსაზრისით, რადგან მასში ვრცელი ცნობებია გადმოცემული ძველი ქართული სამყაროსა და ქართველ ტომთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიიდან.

აპიანე თავის შრომაში მთავარ ყურადღებას ომების აღწერილობას უთმობს; არ იძლევა ისტორიულ პირთა დახასიათებას; მასალა არათანაბრად არის განაწილებული: ზოგი პერიოდი ზედმიწევნითაა დამუშავებული, ზოგი კი, სხვებზე არანაკლები მნიშნელობისა, მოკლედ, აბნეულად და დაუდევრად არის გადმოცემული. ამისდა მიუხედავად, აპიანეს შრომას დიდი ისტორიული ღირებულება აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ აპიანესთან მოიპოვება რომის ისტორიის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდზე თანამიმდევრული თხრობა, მნიშვნელოვანი ცნობები ელინისტური სახელმწიფოების ისტორიიდან, აგრეთვე ცნობები იმ ტომებსა და ხალხებზე, რომელნიც რომის ბატონობის ქვეშ მოექცნენ. აპიანეს შრომა მრავალ ცნობას შეიცავს იმ თხზულებებიდან, რომელთაც ჩვენამდე არ მოულწევია.

აპიანეს შრომის ძირითადი შინაარსია რომის საგარეო და საშინაო ომების თხრობა. ამ ომების გადმოცემისას, იგი აგვიწერს რომის სახელმწიფოს თანდათან განმტკიცება-გაფართოებას, მისი ძლიერების

---

[1] „მითრიდატეს ომების ისტორია", ქართულად თარგმნა და ვრცელი კომენტარებით 1959 წელს გამოაქვეყნა თინათინ ყაუხჩიშვილმა.

ზრდას და შინაგან განვითარებას. საკუთრივ რომის ისტორიის თხრობას აპიანე იწყებს უძველესი დროიდან, მაგრამ ამას გადმოგვცემს მხოლოდ დიდმნიშვნელოვანი ომების აღწერით. მან აღწერა რომის მიერ დაპყრობილი ცალკეული ქვეყნების ისტორია იმ თანამიმდევრობით, როგორც რომმა ისინი დაიპყრო. აქ თხრობა რომის ისტორიის ქრონოლოგიის მიხედვით კი არ არის დაწყობილი, არამედ ემყარება ეთნოგრაფიულ პრინციპს, რაც შრომის აღნაგობასთან იყო შეფარდებული. ამის წყალობით, აპიანემ დაგვიტოვა ძვირფასი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები იმ ხალხთა შესახებ, რომლებიც, რომის მიერ დაპყრობილნი, მოექცნენ მის ორბიტაში. ნარკვევებმა ამ ცალკეულ ტომთა და მხარეთა შესახებ, რომლებშიაც დაცულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, აპიანესთან მიიღო ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ ცალკე მონოგრაფის სახე, რაც ამ შრომას დიდ ისტორიულ ღირებულებას ანიჭებს.

მეცნიერებაში მიღებული შეხედულების თანახმად, აპიანეს მიზანი არ იყო რომის ისტორიის ხელახლა გამოკვლევა. „მას სურდა შეექმნა პოპულარული ისტორიული თხზულება, რომლითაც უნდა გამოჩენილიყო რომის სახელმწიფოს სიდიადე, მისი პოლიტიკური სისტემის უპირატესობა, მთელ მაშინდელ სამყაროში რომის ბატონობის კანონზომიერება და მიზანშეწონილობა"[1].

აპიანე მოგვითხრობს, თუ თანდათან როგორ დაიპყრო რომმა სხვადასხვა ქვეყნები და ხალხები. მისი მტკიცებით, რომაელთა ბატონობას ხელი შეუწყო მათმა სიქველემ და სიბეჯითემ. აღნიშნავს რა, რომ „არც ერთ დიდ სახელმწიფოს დღემდე არ მიულწევია იმ სიდიადისათვის და არც უარსებია ესოდენ დიდხანს", როგორც რომის იმპერიას, იგი დასძენს: „რომაელთა სახელმწიფო სიდიდითა და ბედნიერებით გამოირჩევა ყველასაგან იმის წყალობით, რომ რომაელებს გააჩნდათ უნარი, სწორად შეეფასებინათ იმდროინდელი ვითარება; ამ ძლიერების შეძენაში მათ გადააჭარბეს სხვებს თავიანთი სიმამაცით, ამტანობით და სიბეჯითით".

აპიანეს დადებით მოვლენად მიაჩნდა პრინციპატის რეჟიმი, რომელმაც შესაძლებელი გახადა საშინაო და საგარეო მშვიდობიანობის დამყარება. ამან უზრუნველყო სახელმწიფოს კეთილდღეობა და სიძ-

---

[1] О. И. Севастьянова, Аппиан и его «Римская история». Вестник древней истории, 1950, № 2, зз. 258.

ლიერე. აპიანეს თქმით, იმპერატორთა მმართველობის დროს „სახელმწიფოს შემოსავალიც მეტისმეტად გაიზარდა და ყველაფერმა ხანგრძლივი და მყარი მშვიდობიანობის პირობებში, მოიპოვა აყვავება და უშიშროება“.

აპიანე კეთილგანწყობილია რომის იმპერიის რეჟიმისადმი, რადგან თვითონ მონარქიის მომხრე იყო. დემოკრატიასა და სახალხო მოძრაობებს იგი უარყოფითად ეკიდებოდა. აპიანე დემოკრატიას თვლის „ლამაზ, მაგრამ მუდამ უსარგებლო სიტყვად“; დემოკრატიის ბელადები მიაჩნია პატივმოყვარე ადამიანებად, რომლებიც ცდილობენ ხალხის გული მოიგონ. ამ რწმენიდან გამომდინარე, აპიანე თავის შრომას წერდა პრორომაული და დემოკრატიისადმი მტრული პოზიციებიდან.

აპინეს ნაკლად ჩაეთვლება ის, რომ მთლიანად ვერ განთავისუფლდა მაშინდელი, საყოველთაოდ გავრცელებული, შეხედულებისაგან, რომელიც ისტორიულ მოვლენას ხსნიდა ღმერთების ნება-სურვილითა და ბედისწერით. თუმცა, უნდა ითქვას, მისტიკური ელემენტი აპიანეს შრომაში უმნიშვნელოა, იგი ძალიან იშვიათად მიმართავდა ისტორიული მოვლენის ღვთის განგებით ახსნას.

აპიანე ისტორიულ მოვლენებს ხშირად საკუთარი შეხედულებით აშუქებს და ძალიან ხშირად სწორადაც აქვს მიგნებული მოვლენათა ნამდვილი არსი.

აპიანეს კარგად ესმის, რომ სირიის მეფის ანტიოქოსის მისწრაფებამ, გაეფართოებინა თავისი სახელმწიფო საზღვრები, გამოიწვია სირიისა და რომის დაპირისპირება და მათ შორის საომარი კონფლიქტი. იგი, მოუთხრობს რა ანტიოქოსის მიერ მთელი რიგი პუნქტების დაპყრობაზე, ამბობს: „ეს შეიქმნა მისთვის რომაელებთან აშკარა განხეთქილების დასაბამად“. ცოტა ქვემოთ კი უფრო ვრცლად გადმოგვცემს: „რომაელებიცა და ანტიოქოსიც დიდი ეჯვით უყურებდნენ ერთმანეთს. რომაელები ვარაუდობდნენ, რომ წარმატებისა და განდიდების მქონე ანტიოქოსი არ მოისვენებდა; ანტიოქოსი კი ფიქრობდა, რომ მხოლოდ რომაელები გაუწევენ განსაკუთრებულ წინააღმდეგობას მის ძლიერებას და ხელს შეუშლიან ევროპაში გადასვლას“.

ასევე კარგად ესმის აპიანეს რომსა და პონტოს სამეფოს შორის წარმოებული ხანგრძლივი ომის არსი: საქმე ეხებოდა აღმოსავლეთში ბატონობას და ორივე მებრძოლი მხარე ცდილობდა, ერთიმეორის

შევიწროებით, თავისი პოზიციების გამაგრებას და საკუთარი ძალაუფლების გავრცელებას ამ რაიონზე.

მითრიდატეს ელჩის, პელოპიდას პირით აპიანე გადმოგვცემს იმ კვანძს, რომლის ირგვლივაც გაინასკვა რომსა და პონტოს შორის ომის აუცილებლობა: რომიცა და პონტოს სამეფოც ცდილობენ ხელთ იგდონ სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშნელობის პუნქტები. პელოპიდა რომაელებს უსაყვედურებს, რომ მას შემდეგ, რაც რომაელებმა ხელთ იგდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი რაიონი, მათი ჩაგონებით, ბითინიის მეფემ — ნიკომედემ „ჩაკეტა პონტოში შესავალი; რომ იგი თავს ესხმის ჩვენს მიწა-წყალს თვით ამასტრიდამდე". იგივე პელოპოდა კვლავ ამხელს რომაელებს, რომ მათივე წაქეზებით, ნიკომედემ: „მითრიდატეს მიწა-წყალი გაძარცვა, საზღვაო გზები გადაჭრა."

რომაელების მოქმედება მითრიდატეს წინააღმდეგ, აპიანეს გაგებით, საესებით ბუნებრივი მოვლენა იყო. მისი თქმით: „რომაელები ეჭვის თვალით უყურებდნენ მითრიდატეს ქვეშევდრომ მხარეს, რომელიც ძალიან იზრდებოდა და სურდათ იგი ამგვარად დაენაწილებინათ".

მიუხედავად იმისა, რომ აპიანე პრორომაული წყაროებით სარგებლობდა და თვითონაც ამგვარადვე იყო განწყობილი, მაინც ობიექტურობას იჩენს და არ მალავს, რომ რომსა და პონტოს შორის ომის ამტეხნი რომაელები იყვნენ. იგი ობიექტურობას იჩენს აგრეთვე მითრიდატეს დახასიათებაშიც.

აპიანე, როგორც ისტორიკოსი, გამოირჩევა ძველი სამყაროს მწერალთაგან იმითაც, რომ მას სწორად აქვს შეგნებული რომში წარმოებული სამოქალაქო ომის მატერიალური საფუძველი, სახელდობრ, მიწათმფლობელობისათვის ბრძოლა.

ამგვარად, აპიანეს შრომა წარმოადგენს მეცნიერული ღირებულების სერიოზულ თხზულებას, რომელიც მნიშვნელოვნად ავსებს ანტიკურ ისტორიოგრაფიას.

დიონ კასიოს კოკეიანოსი

დიონ კასიოსი დაიბადა ბითვინიის ქალაქ ნიკეიაში შთამომავლობით ბერძენ, რომის სენატორ კასიოს აპრონიანოსის ოჯახში, რომელიც იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დროს (161—180) კილიკიის, ხოლო შემდეგ დალმაციის მმართველი იყო. ამგვარად, დიონ კასიოსი

წარმომავალი იყო პროვინციული არისტოკრატიის იმ წრიდან, რომელიც ამ დროს რომის სახელმწიფო ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებდა. დიონ კასიოსის ბიოგრაფიის მეტად ძუნწ ცნობებს აესებს თვით მის შრომაში ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით ჩართული ცნობები. არა გვაქვს ზუსტი თარიღი მისი დაბადების შესახებ და მხოლოდ სხვადასხვა ცნობათა ურთიერთშეპირისპირება-შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ დიონ კასიოსი დაბადებული უნდა იყოს 153 წელს.

დიონ კასიოსის არც გარდაცვალების უტყუარი თარიღია ცნობილი. ასეთად, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ იმპერატორ ალექსანდრე სევერუსის გარდაცვალების წელს — 235. ამას იმით ასაბუთებენ, რომ კასიოსის შრომაში ამის შემდეგ აღარაფერია მოთხრობილი, რადგანაც მას თავის შრომაში ნათქვამი აქვს, რომ იგი თხრობას მიიყვანს ალექსანდრე სევერუსის სიკვდილამდე, მაგრამ მას ეს ვერ მოუსწრია და ნაშრომს 229 წლის ამბებით ამთავრებს. ეს იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ იგი ალექსანდრე სევერუსის შემდეგ მალე უნდა გარდაცვლილიყო.

დიონ კასიოსს კარგი განათლება მიუღია. იგი ადრე უნდა ჩაბმულიყო პოლიტიკურ ცხოვრებაში მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობის მიღებით, რასაც, უთუოდ ხელს უწყობდა შთამომავლობა და მამის წარჩინებული მდგომარეობა. დიონ კასიოსი კომოდის მმართველობის დროიდან სენატორია, ხოლო 193 წელს იმპერატორმა პერტინაქსმა იგი წამოაყენა პრეტორის თანამდებობაზე შემდგომი წლისათვის. იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის დროს (193—211) იგი არჩეული ყოფილა იმ წელს გარდაცვლილი კონსულის შემცვლელად.

დიონ კასიოსი იმპერატორთა კარზე დაახლოებული პირია და იმპერატორ ანტონინე კარაკალას (211—217) გამეფების დროს მასთან იყო. თვით დიონ კასიოსის გადმოცემით, იგი ახლდა კარაკალას აღმოსავლეთის ლაშქრობაში 216 წელს, მაგრამ პართიასთან ბრძოლაში არ მიუღია მონაწილეობა. იმპერატორ მაკრინუსის (217—218) დროს დიონ კასიოსი დაინიშნა ქალაქების — პერგამოსისა და სმირნის მოქალაქეთა უფლებების ზედამხედველად და კურატორად (მზრუნველად), სადაც 222 წლამდე იმყოფებოდა. ამ წელს გამეფდა ალექსანდრე სევერუსი და დიონ კასიოსი სამსახურებრივ წარმატებას სწორედ ამ იმპერატორის დროს (222—235) აღწევს: ჯერ მიიღო აფრიკის პროკონსულის თანამდებობა, მერე — საიმპერატორო პროვინციების დალ-

მაციისა და ზემო პანონიის პროკონსულობა, ხოლო 229 წელს კონსულად და იმპერატორის კოლეგად იქნა არჩეული.

რომში ფრიად დაწინაურებულ დიონ კასიოსს პოპულარობა ვერ მოუპოვებია, პირიქით, მას სიკვდილითაც კი დამუქრებიან, რის გამოც იძულებული გამხდარა კონსულობის დროსაც კი ქალაქ რომის გარეთ ეცხოვრა, მერე კი საბოლოოდ ჩამოშორებოდა პოლიტიკური ცხოვრების სარბიელს და საცხოვრებლად მშობლიურ ქალაქ ნიკეიაში დამკვიდრებულიყო.

თვით დიონ კასიოსი მის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ხსნის სათანადო წრეების უკმაყოფილებით იმ სიმკაცრისა და დისციპლინისადმი, რასაც იგი იჩენდა თავის მოღვაწეობაში სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნის დროს. საფიქრებელია, რომ დიონ კასიოსმა, როგორც გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების მქონემ, ვერ დაამყარა ჰარმონიული ურთიერთობა მაშინდელი რომაელი საზოგადოების იმ წრეებთან, რომელნიც წარმართავდნენ რომის სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გეზს, როდესაც თანდათან იკვეთებოდა, მტკიცდებოდა ახალი, იმპერატორთა რეჟიმი, რომლის ყველა ასპექტიც დიონ კასიოსისთვის მისაღები არ იყო.

დიონ კასიოსის „რომის ისტორიის" წყაროების დადგენა მეტად რთული და დღემდე ჯერ კიდევ სუსტად შესწავლილი საკითხია.

ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ყოფილა დასმული და მრავალი სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაცაა გამოთქმული. მაგრამ ყველა წამოჭრილ საკითხზე ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი პასუხი გაცემული არ არის. საქმეს რამდენიმე გარემოება ართულებს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დიონ კასიოსი სრულებით არ ასახელებს წყაროებს, მაშინ როდესაც მას თავისი შრომა, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილი, წინამორბედ ავტორთა თხზულებების მიხედვით აქვს დაწერილი. ამის გამო, მკვლევარს უხდება ტექსტის ანალიზისა და ძველ ავტორთა შრომების შინაარსთან შედარებისა და დაპირისპირების გზით სავარაუდო დასკვნები გამოიტანოს. ამგვარი მუშაობა გართულებულია იმით, რომ დიონ კასიოსის შრომა მთლიანად არ გადარჩენილა, ჩვენამდე მოაღწია ან ფრაგმენტების, ანდა მისი შრომიდან შემდგომი დროის სხვადასხვა ავტორთა შრომებში შემონახული ექსცერპტებისა და გადამუშავებული ამონაწერების სახით. ამდენად, დიონ კასიოსის შრომის წყაროების საკითხ-

თა გარკვევა ვარაუდების ფარგლებში ტრიალებს და მხოლოდ ზოგიერთი წყაროს დადგენა ხდება შესაძლებელი.

დიონ კასიოსის შრომა ძირითადად დამყარებულია ლიტერატურულ წყაროებზე. როგორც თვითონვე აცხადებს, მას წაკითხული ჰქონია ყველაფერი, ვისაც კი რამე დაუწერია რომაელებზე, მაგრამ იგი, ჩვეულებრივ, თავის თხრობას ძირითადად ერთ რომელიმე წყაროზე ამყარებდა.

როგორც გერმანელმა მეცნიერმა შვარცმა გამოარკვია, დიონ კასიოსის შრომის პირველი 17 წიგნის შინაარსი დაფუძნებულია რომაელ ანალისტთა ნაწარმოებებზე და მასში არ არის გამოყენებული არც ტიტუს ლივიუსისა და არც პოლიბიოსის შრომები (ამას ზოგიერთი სხვა მეცნიერიც ვარაუდობდა). თუ დიონ კასიოსისა და პოლიბიოსის თხრობათა შორის სიახლოვე შეიმჩნევა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ დიონ კასიოსს უსარგებლია ანალისტთა იმ შრომებით, რომლებიც პოლიბიოსის გავლენით ყოფილა დაწერილი.

დიონ კასიოსის შრომის 18—21 წიგნებში აშკარად შეიმჩნევა პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიის" გავლენა და ეს იქამდე საგრძნობია, რომ თვით პოლიბიოსის შრომის ზოგიერთი ნაკლული ადგილის აღდგენაში ეხმარება მეცნიერთ. აქვე ნათლად ჩანს, რომ პოლიბიოსთან შედარებით, დიონ კასიოსს ზოგი რამ გაცილებით უფრო ვრცლად და გადასხვაფერებულად აქვს მოთხრობილი. ამან საბაბი მისცა ე. შვარცს გამოეთქვა ეჭვი იმის შესახებ, უშუალოდ პოლიბიოსით სარგებლობდა თუ არა დიონ კასიოსი. უფრო სავარაუდოა, რომ ის, პოლიბიოსთან ერთად, სხვა წყაროებსაც იყენებდა და თავის თხრობას ასე ავსებდა.

36-ე წიგნიდან იულიუს ცეზარის სიკვდილამდე თხრობაში დიონ კასიოსს ძირითადად ტიტუს ლივიუსის შრომა აქვს გამოყენებული, მაგრამ, როგორც ჩანს, აქაც არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ერთი წყაროთი და მას ხელთ უნდა ჰქონოდა სხვა პარალელური წყაროები, რომლებიც ჩვენთვის უცნობი რჩება.

XXXVI—XXXVIII წიგნებში მოთხრობილი რესპუბლიკის ხანის დასასრულისათვის, ზოგი მეცნიერის აზრით, დიონ კასიოსს უნდა ესარგებლა სალუსტიუს კრისპუსის შრომით, თუმცა ამას უარყოფს დიონ კასიოსის წყაროების ყველაზე ვრცლად შემსწავლელი ე. შვარცი.

დიდი სიახლოვე შეიმჩნევა დიონ კასიოსის „ისტორიაში“ და პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებში“ მოთხრობილ ამბავთა, კერძოდ, მითრიდატეს ომების ეპიზოდების გადმოცემის დროს, რაც იმის მაჩვენებლად არის მიჩნეული, რომ დიონ კასიოსს გამოყენებული უნდა ჰქონდეს პლუტარქეს შრომა. მაგრამ, ამავე დროს, აშკარად ჩანს, რომ უსარგებლია აგრეთვე სხვა წყაროებისაც, რის გამოც შეიმჩნევა საკმაო განსხვავება მისსა და პლუტარქეს მიერ მოთხრობილს შორის; ისიც შესაძლებელია, რომ დიონ კასიოსი სარგებლობდა პლუტარქეთი, მაგრამ არა უშუალოდ. განსხვავება მათ შორის შეიძლება იყოს, დიონ კასიოსის საიმპერატორო კართან სიახლოვის შედეგი.

დიონ კასიოსის მიერ იულიუს ცეზარის „კომენტარების“ გამოყენების შესახებაც სხვადასხვა აზრია მეცნიერებაში: ზოგი ფიქრობს, რომ მას ისინი გამოყენებული აქვს, ზოგის აზრით კი, მას უშუალოდ არ უნდა ესარგებლა იულიუს ცეზარის შრომით.

უფრო მეტ დავას იწვევს დიონ კასიოსის მიერ ტაციტუსის „ანალებით“ სარგებლობის საკითხი. აქ საქმე ეხება კორბულონის აღმოსავლეთში ლაშქრობის ამბავს. გერმანელი მეცნიერის ე. ეგლის აზრით, დიონ კასიოსი პირდაპირ იმეორებს იმას, რაც ტაციტუსს აქვს გადმოცემული. მეორე მეცნიერი ა. გერკე ვარაუდობს, რომ დიონ კასიოსის და ტაციტუსის მონათხრობთა შორის, დიდი მსგავსების მიუხედავად, აშკარად შეიმჩნევა, რომ კასიოსს უსარგებლნია რომელიღაც სხვა წყაროთი, რომელშიც მოჩანს ნერონისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. ეს წყარო შეიძლება ყოფილიყო პლინიუსის თხზულება, რომელიც ჩვენამდე არ არის მოღწეული.

დიონ კასიოსის მიერ ტაციტუსით სარგებლობის საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

საერთოდ, დიონ კასიოსზე შეიძლება ითქვას, რომ მის განკარგულებაში კარგი და სანდო წყაროები უნდა ყოფილიყო, რადგანაც, მას როგორც მაღალ სამოხელეო თანამდებობის პირს, უნდა ჰქონოდა „ოფიციალური დოკუმენტების — მოხელეთა და მხედართმთავართა ანგარიშების, პატაკების, ელჩობათა ანგარიშების, მიწერ-მოწერისა და სხვათა გამოყენების საშუალება“. დიონ კასიოსი იყენებდა აგრეთვე იმპერატორთა პირად წერილებს, მემუარებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს.

დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ ჩვენამდე მთლიანად არ მოსულა. მოღწეულია: 36—54 წიგნები, რომლებშიც მოთხრობილი ამბები განეკუთვნება ძვ. წ. 68—10 წ., შემოკლებულად — 55—60 წიგნები, მოთხრობილია ძვ. წ. 9 — ახ. წ. 46 წ., ნაწილობრივ — 17, 79—80 წიგნები.

შემონახულია აგრეთვე დიონ კასიოსის შრომის გადამუშავებანი და შემოკლებანი — ექსცერპტებისა და ამონაწერების სახით, გაკეთებული XI—XII საუკუნეში ბიზანტიელ მოღვაწეთა მიერ.

XI საუკუნეში იოანე ქსიფილინოსს თავის „ეკოლოგებში“ შეუტანია დიონ კასიოსის XXXVI—LXXX წიგნებიდან შემოკლებული თხრობანი.

XII საუკუნეში იოანე ზონარას თავისი „ისტორიის სახელმძღვანელო“ შეუდგენია დიონ კასიოსის შრომის I—XXI და XLIV—LXXX წიგნების მასალაზე.

გადარჩენილი ცნობების მიხედვით, XII საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა დიონის შრომის I—XXI წიგნები.

დიონ კასიოსის შრომის რამდენიმე ხელნაწერია შემონახული, რომელთაგანაც ყველაზე უძველესია ვატიკანის ბიბლიოთეკის ფრიად დაზიანებული და მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტების შემცველი V—VI საუკუნის ხელნაწერი.

არსებული ხელნაწერების მიხედვით, განხორციელებულია რამდენიმე გამოცემა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: ჰ. ს. რაიმარის გამოცემა 1750—1752 წწ., ჰამბურგში, ორ ტომად, რომელშიც წარმოდგენილია ბერძნული ტექსტი პარალელური ლათინური თარგმანით; ტექსტს დართული აქვს ვრცელი კომენტარები, აქვეა მოცემული დიონ კასიოსის ბიოგრაფია. გამომცემლის მიერ ტექსტი დაყოფილია თავებად და პარაგრაფებად.

რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია დიონ კასიოსის შრომიდან ვ. ლატიშევის მიერ გამოკრებილი ცნობები სკვითეთისა და კავკასიის შესახებ ჟურნალში — Вестник древней истории, 1948 წ. № 2, გვ. 268—277, რასაც დართული აქვს ჟურნალის კომენტარები.

ჩვენთან გამოცემულია „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“. — ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ. გამოცემაში წარმოდგენილია გამოკვლევა დიონ კასიოსის შრომის „რომის ის-

ტორიის“ წყაროების და საქართველოს შესახებ მისი ცნობების ინტერპრეტაცია[1].

დიონ კასიოსის „რომის ისტორია“, სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი იწყება უძველესი დროიდან და მოდის ავგუსტუსის მიერ მონარქიის დაფუძნებამდე. მეორე ნაწილი მოგვითხრობს მონარქიის განმტკიცებიდან მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებამდე. მესამე, უკანასკნელი ნაწილი, წარმოადგენს დასასრულს, სადაც თხრობა 229 წლამდეა მოტანილი.

თხრობა დალაგებულია კონსულების მიხედვით, მაგრამ ავტორი ზოგჯერ ქრონოლოგიას არღვევს და ამბებს აჯგუფებს გეოგრაფიული ან ურთიერთმიზეზობრივი კავშირის პრინციპზე. თავისი შრომის პირველი ორი ნაწილისათვის დიონ კასიოსს გამოყენებული აქვს წინამორბედთა ისტორიული შრომები, თავისი დროის ამბებს კი დამოუკიდებლად მოგვითხრობს, მიმართავს რა მნიშვნელთა და თანამედროვეთა მონათხრობს. შრომის ეს ნაწილი უფრო ზუსტი და დაწვრილებითია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დიონ კასიოსის შრომა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ღირსების მქონე წყაროებზეა დამყარებული. ამ წყაროთა შორის კი მოიპოვებოდა ნაკლებ სანდო წყაროებიც. ამიტომ მისი თხრობა ზოგჯერ ნაკლებდამაჯერებელი და სიზუსტეს მოკლებულია. ზოგ ადგილას იგი ფაქტებსაც უგულებელყოფს, ხან კი დიდ ყურადღებას უთმობს მეორეხარისხოვან მოვლენებს. ამისდა მიუხედავად, დიონ კასიოსის შრომა ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით რომის საგარეო ურთიერთობათა ისტორიისათვის. აქ, სხვა ისტორიკოსთა შრომებთან შედარებით, ზოგჯერ უფრო ზუსტი და უტყუარი ცნობები მოიპოვება, რომელთა კრიტიკულად განხილვის გზითაც არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

სიმონ ყაუხჩიშვილის დახასიათებით, დიონ კასიოსის შრომის „ძველი“ საუკუნეების შემცველი ნაწილი დაწერილია წინადროინდელ ისტორიკოსთა თხზულებების მიხედვით, რომელთაგან ბევრი ჩვენამდე არ მოღწეულა და, ამრიგად, კასიოსმა გადაგვირჩინა ისინი. ძველ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან კასიოსი კეთილსინდისიერად იღებდა ცალკეულ ადგილებსა და თავებს, და მხატვრულად აყალიბებდა. მხატვრული ენით გამართული და ძველ სანდო წყაროებზე დამყარებული „რომის

---

[1] ნ. ლომოური, დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.

ისტორია“ საუკეთესო სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული საშუალო საუკუნეებში.

დიონ კასიოსის შრომა მეტწილად სამხედრო ისტორიაა. აქ მეტი ადგილი აქვს დათმობილი ომებსა და საგარეო ურთიერთობებს, ვიდრე რომაული საზოგადოების საშინაო ცხოვრებას, ხოლო ფაქტების გადმოცემისას, იგი არ ცდილობს მოვლენათა შინაგანი არსისა და მიზეზების ახსნას. ისტორიული პროცესის გაგება მისთვის მიუწვდომელია. მისი აზრით, მოვლენები დამოკიდებულია ზებუნებრივ ძალებზე. სასწაულმოქმედებას დიდი ადგილი უკავია დიონ კასიოსის შრომაში, მისივე თქმით, ისტორიის წერა ბედისწერის კარნახით დაიწყო.

დიონ კასიოსი აქებს რესპუბლიკის ხანას, მაგრამ მონარქიაზე გადასვლა აუცილებლად მიაჩნია. მისი ოცნება იყო სენატის მიერ არჩეული იმპერატორი, ისე რომ სენატმა შეინარჩუნოს იმპერიაში მდგომარეობა უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოსი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს უძველესი ისტორიისათვის იმ ცნობებს, რომლებიც დიონ კასიოსმა თავის შრომაში შემოგვინახა და რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებენ ძველ მწერალთა ასეთსავე ცნობებს. „დიონ კასიოსის ცნობები უმთავრესად პოლიტიკურ ისტორიას და კერძოდ, საქართველოსა და რომის ურთიერთობის ისტორიას შეეხება, მაგრამ მათში მოიპოვება აგრეთვე ისეთი მონაცემები, რომლებსაც გარკვეული ფასი ენიჭება ძველი საქართველოს პოლიტიკური წყობის, სოციალური ვითარებისა და სხვა მხარეთა შესწავლისათვის“.[1]

დიონ კასიოსი მოგვითხრობს რომაელების ექსპანსიაზე ამიერკავკასიის ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ეს ცნობები ძირითადად თავმოყრილია მითრიდატეს ომების ირგვლივ ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი პომპეუსის ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში.

დიონ კასიოსის შრომა — „რომის ისტორია“ უმნიშვნელოვანესი წყაროა ანტიკური საქართველოს ისტორიისათვის.

რომი

ციცერონი

მარკუს ტულიუს ციცერონი დაიბადა ძვ. წ. 106 წლის 3 იანვარს ლაციუმის ქალაქ არპინუმში. მისი ოჯახი, რომლის წინაპრებიც, პლუტარქეს ცნობით, რომაელების წინააღმდეგ მებრძოლი ვოლსკების მეფის თანამებრძოლ ატიუსის შთამომავალნი იყვნენ, ეკუთვნოდა საკმაოდ შეძლებულ მხედართა წოდებას. რომაელისათვის ჩვეული სამმაგი სახელიდან უკანასკნელი — ზედმეტი, შერქმეული სახელი გახდა ამ გამოჩენილი ადამიანის ვინაობის აღმნიშვნელი[1].

ციცერონის ბიოგრაფია კარგად არის ცნობილი. ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უხვადაა გაფანტული ცნობები მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მთავარ წყაროდ მიჩნეულია პლუტარქეს მიერ დაწერილი ციცერონის ბიოგრაფია[2]. ზოგიერთი ცნობა მოიპოვება სხვა ისტორიკოსებთანაც.

ციცერონის მამას სურდა შვილებისათვის კარგი განათლება მიეცა, რათა ისინი სახელმწიფო მოღვაწეებად გამოზრდილიყვნენ. ამ მიზნით, როდესაც ციცერონი 14 წლისა იყო, მთელი ოჯახი გადასახლებულა რომში. სწავლის დროს ციცერონს დიდი ნიჭი და გულისხმიერება გამოუჩენია. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის იმ დროის გამოჩენილი ბერძენი და რომაელი მოღვაწეები. ციცერონის განათლებას, ძირითადად, წარმართავდა ცნობილი ორატორი ლიციინიუს კრასუსი. რომაულ სამართალს ასწავლიდა გამოჩენილი იურისტი კვინტუს მუციუს სცევოლა, ხოლო ფილოსოფიას — ლტოლვილი ათენელი ფილოსოფოსი ფილონი, სტოიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი დიოდოტე და ეპიკურელი ფედრონი. ციცერონი 16 წლისა იყო, როდესაც მოკავშირეთა ომის დაწ-

---

[1] ეს ზედმეტი სახელი ციცერონის წინაპრებისათვის შეურქმევიათ იმის გამო, რომ მათ თურმე მოპყავდათ ცერცვი, რასაც ლათინურად ეწოდება — cicer.

[2] ციცერონის ეს ბიოგრაფია თარგმნილია ქართულად, იხ. აკ. ურუშაძე, პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, თბ., 1975.

ყების წინ შეევიდა რომის არმიაში, სადაც პომპეუსის მამის პომპეუს სტრაბონის ხელქვეითი გახდა.

ციცერონმა დიდ წარმატებას მიაღწია ორატორულ ხელოვნებაში, რასაც მჯევრმეტყველების თანდაყოლილი ნიჭი უწყობდა ხელს. ამან მას გზა გაუკაფა ბრწყინვალე მომავლისაკენ. იმისდა მიუხედავად, რომ რომაული პატრიციულ-არისტოკრატიული საზოგადოებისათვის ციცერონი, როგორც მხედართა წოდებიდან გამოსული, იყო homo novus („ახალი ადამიანი"), რომლისთვისაც ადვილი არ იყო გზა გაეკვლია საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სახელმწიფო საქმიანობისაკენ, თავისი შეუდარებელი მჯევრმეტყველებისა და ფართო განათლების წყალობით, ადვილად მოიპოვა წარმატება. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სავექილო მოღვაწეობით, როდესაც გამოვლინდა მისი პოლიტიკური მიდრეკილებანი და ზნეობრივი თვისებები (იგი ვისიმე დასაცავად პროცესში გამოსვლისათვის გასამრჯელოს არ იღებდა).

ძვ. წ. 76 წელს ციცერონი დაინიშნა სიცილიის ქვესტორად. ძვ. წ. 69 წელს ედილად იქნა არჩეული, ხოლო ძვ. წ. 66 წელს — პრეტორად. ძვ. წ. 63 წლისთვის ციცერონი, გაიუს ანტონიუსთან ერთად, აირჩიეს კონსულად. პლუტარქეს თქმით: „კონსულის წოდებაში იგი აღზევებულ იქნა რესპუბლიკის საკეთილდღეოდ როგორც მდაბიო ხალხის, ისე არისტოკრატიის დახმარებით"[1].

მისი კონსულობის დროს კატილინას შეთქმულების ჩახშობაში გამოჩენილი ენერგიისა და თავდადებისათვის ციცერონს უწოდეს Pater patrias („სამშობლოს მამა").

ძვ. წ. 58 წელს ციცერონს მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგებმა ბრალი დასდეს კატილინას შეთქმულების მონაწილეთა გაუსამართლებლად დასჯაში, რის გამოც იძულებული გამხდარა დაეტოვებინა რომი. ციცერონს აღუკვეთეს ცეცხლი და წყალი, ცოტა ხნის წინათ შეძენილი სახლი პალატინუმზე საძირკვლიანად დაუნგრიეს, მამულები დაურბიეს. მაგრამ რომაულ საზოგადოებაში ფართოდ იყო ცნობილი ციცერონის საქმიანობა, მისი მოუსყიდველობა და სულ მალე სენატის დადგენილებით, რომში დააბრუნეს, სადაც ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა.

ძვ. წ. 51 წელს ციცერონი, როგორც პროკონსული გაემგზავრა კილიკიაში, სადაც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. პომპეუსზე ცეზარის (ფარსალთან, ძვ. წ. 48 წ.) გამარჯვების შემდეგ, ციცერონს

---

[1] პლუტარქე, ციცერონი, 10.

მიეცა რომში ცხოვრების უფლება, მაგრამ უჭირდა ახალ რეჟიმთან შეგუება. იგი ჩამოშორდა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელს, რამაც საშუალება მისცა მთელი დრო მოეხმარებინა სამეცნიერო-ფილოსოფიურ თხზულებებზე მუშაობისათვის.

ცეზარის მოკვლის შემდეგ (ძვ. წ. 44 წ.) ციცერონი კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ მცირე ხნით. ანტონიუსის წინააღმდეგ რესპუბლიკის დასაცავად გაჩაღებული ბრძოლის შედეგად, რაც ციცერონის მიერ შეთხზულ 14 „ფილიპიკა-შია" გადმოცემული, ძვ. წ. 43 წელს შექმნილმა მეორე ტრიუმვირატმა (ოქტავიანე, ანტონიუსი, ლეპიდუსი), ანტონიუსის დაჟინებული მოთ-ხოვნით, ციცერონი პროსკრიბირებულთა სიაში შეიტანა სიკვდილით დასასჯელ 200 კაცთან ერთად.

ციცერონმა სცადა სასჯელს გაქცეოდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

პლუტარქე ციცერონის ცხოვრების უკანასკნელ წუთებს ასე გად-მოგვცემს: „მაშინ სამხედრო ტრიბუნმა თან რამდენიმე კაცი გაიყოლია, ხეივანს გარს შემოუარა და გასასვლელთან მივიდა. ციცერონმა შეამ-ჩნია თუ არა, რომ ჰერანიუსმა ხეივნის გარედან გზა გადაუჭრა, მსა-ხურთ უბრძანა, გაჩერებულიყვნენ და ტახტრევანი დაედგათ. თვითონ კი, ჩვეულებისამებრ, მარცხენა ხელი ნიკაპზე მიიდო და მკვლელებს დაჟინებით დაუწყო ცქერა. მისი ფერმკრთალი, წვერმოშვებული და ფიქრებით დატანჯული სახე იმდენად შესაბრალისი იყო, რომ, როცა ჰერანიუსი კლავდა, სხვებმა თვალებზე ხელები მიიფარეს. ციცერონმა ტახტრევანიდან თავი გადმოჰყო და იგი მოკლულ იქნა. ციცერონი მაშინ სამოცდაოთხი წლის იყო. ჰერანიუსმა, ანტონიუსის ბრძანების თანახმად, მას მოჰკვეთა თავი და ხელები, რომლითაც „ფილიპიკები" დაწერა[1].

ციცერონის მოკვეთილი თავი და ხელები, ანტონიუსის ბრძანებით, რომის ფორუმზე გამოაფინეს.

ციცერონის ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა რომის ისტორი-ის იმ რთულ პერიოდს, როდესაც ხდებოდა მნიშვნელოვანი ძვრები რომაული საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სფეროში. სოციალური კრიზისი მოითხოვდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალ ფორმაზე გადასვლას. ეს პრო-ცესი აღსავსე იყო პერტურბაციებით, რომლებსაც თან სდევდა მძიმე,

---

[1] პლუტარქე, ციცერონი, 48.

ხშირად სისხლისმღვრელი ბრძოლები. ამ პერიოდმა წარმოშვა არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი მარკუს ტულიუს ციცერონს მიეკუთვნება.

საზოგადოების ყურადღება ციცერონმა მიიპყრო, როგორც ორატორმა. ამის შემთხვევა მას მაშინ მიეცა, როდესაც გამოვიდა საჯარო სასამართლო პროცესზე, როცა ირჩეოდა უბრალო საქმე ვინმე პუბლიუს კვინკციუსის დასაცავად ძვ. წ. 81 წელს. ეს განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი, რომ ახალგაზრდა ციცერონმა ამ პროცესში გამარჯვება მოიპოვა რომის სახელგანთქმულ იურისტ ორატორ ჰორტენზიუსზე.

ციცერონის შემდგომ წარმატებაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მონაწილეობას იმ პროცესში, რომელიც მომდევნო წელს გაიმართა და რომელსაც აშკარა პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა. ციცერონი ამჯერად იცავდა როსციუს ამერიელს, რომელსაც ყალბად დასდეს ბრალი მამის მკვლელობაში. სინამდვილეში როსციუსის შეძლებული მამა ძვ. წ. 81 წელს მოკლეს რომში, ხოლო მისი ქონება საჯაროდ ჩალის ფასად შეისყიდა დიქტატორ სულას ლიბერტინმა ქრიზოგონემ. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარად მამის მკვლელობა ახალგაზრდა როსციუსს დააბრალეს. ციცერონის გამოსვლა როსციუსის დასაცავად მხოლოდ ეთიკურ-ზნეობრივი თვალსაზრისით როდი იყო მნიშვნელოვანი; მთავარი ის იყო, რომ ციცერონი ამით თავს დიდ საფრთხეში იგდებდა, რადგანაც ქრიზოგენეს წინააღმდეგ გამოსვლა არსებითად მისი მფარველის, დიქტატორ სულას წინააღმდეგ გალაშქრებას უდრიდა. ეს იყო დიდი გაბედულება, რასაც თვალსაჩინო პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამით ციცერონმა საზოგადოებაში სახელი და გავლენა მოიხვეჭა.

მართალია, ციცერონი ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდა, სულა სრულიადაც არ დაუდანაშაულებია და აუგად არ უხსენებია, მაგრამ თვით ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველი იყო. ამას აუცილებლად მოჰყვებოდა დიქტატორის მხრივ შურისძიება. ციცერონი იძულებული გახდა თავის ძმასთან ერთად, რომს დროებით გასცლოდა. იგი დაბრუნდა მხოლოდ სულას გადადგომის შემდეგ.

საყურადღებო იყო ციცერონის გამოსვლა ბრალმდებლად ვერესის პროცესში. გაიუს კორნელიუს ვერესი ძვ. წ. 73—71 წლებში, როგორც პროპრეტორი, განაგებდა სიცილიის პროვინციას, რომლის

მცხოვრებნიც უწყალოდ გაძარცვა და დიდძალი ქონება (40 მილიონი სესტერციუმი) შეიძინა. სიცილიელებმა ვერესის წინააღმდეგ აღძრეს საქმე და თავიანთ დამცველად ციცერონი მიიწვიეს, რომელმაც ეს მისია ხალისით იკისრა. ვერესისა და მის დამქაშთა ათასნაირი ხრიკის მიუხედავად, ციცერონის მიერ სასტიკად მხილებული ვერესი იძულებული შეიქნა პროცესის დამთავრებამდე გაქცეულიყო. სასამართლომ მას მიუსაჯა 40 მლნ. სესტერციუმის გადახდა სიცილიის მოსახლეობის სასარგებლოდ.

ამ პროცესზე ციცერონის მიერ წარმოთქმული სიტყვები მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. ეს სიტყვები გვაწვდის მდიდარ ფაქტობრივ მასალას იმ ათწლეულის პოლიტიკური ისტორიისათვის, რომლის განმავლობაშიც ნაბიჯ-ნაბიჯ ირღვევა სულას კონსტიტუცია. პროცესის საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმაში იყო, რომ ციცერონმა დაუნდობლად ამხილა და დაგმო ყველა ის უკუღმართობა, რაც ახასიათებდა რომის პროვინციების მმართველობას.

ამ გამარჯვების შემდეგ ციცერონის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა რომის საზოგადოებაში.

ძვ. წ. 66 წელს, როდესაც ციცერონი კვესტორის თანამდებობაზე იყო, წარმოუთქვამს პირველი წმინდა პოლიტიკური სიტყვა სენატში ტრიბუნ მანლიუსის პროექტის დასაცავად, რომლითაც პომპეუსს უნდა დაჰკისრებოდა სარდლობა მითრიდატესთან ომში. პომპეუსისთვის მხარის დაჭერას ციცერონი, ერთი მხრივ, ასაბუთებდა პომპეუსის პირადი ღირსებების ჩამოთვლით და, მეორე მხრივ, იმ მნიშვნელობაზე მითითებით, თუ რა სავალალო შედეგები ექნებოდა რომისათვის აზიის რაიონებთან კონტაქტის მოშლას ან მათ სრულიად დაკარგვას. ციცერონმა აქაც თავისი გაიტანა.

ციცერონის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მისი კონსულობის პირველსავე წელს თვალსაჩინო მოვლენით აღინიშნა. ძვ. წ. 63 წელს, ციცერონის წყალობით, გამომჟღავნდა დიდი შეთქმულება, რომელსაც „კატილინას შეთქმულება“ ეწოდება. კატილინას განზრახული ჰქონდა რომში უმაღლესი ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საკუთარი პოლიტიკური პროგრამის განხორციელება, რაც სენატისა და გაბატონებული წრეებისათვის მიუღებელი იყო. თავისი ჯაშუშების შემწეობით ციცერონმა დროზე აღმოაჩინა შეთქმულება და, როგორც სახელმწიფოს მესვეურმა, ენერგიული ზომები მიიღო მის ჩასახშობად. აღსანიშნავია კატილინას სამხილებლად წარმოთქმული 4 სიტყვა, რომლებიც

მჯევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშია და გადმოგვცემს რომაელთა პოლიტიკური ცხოვრების მრავალმხრივ საგულისხმო სურათს.

კონსულობის დროს ციცერონმა გაილაშქრა ე. წ. სერვილიუს რულუსის კანონის წინააღმდეგ, რომელიც მცირე მიწის მფლობელ რომაელ მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთების დარიგებას ითვალისწინებდა ციცერონი ამას იმით ასაბუთებდა, რომ ეს გამოიწვევს სახელმწიფოს ფინანსურ ზარალს და გახდება სამოქალაქო ომების საბაბიო. კანონის პროექტი დამარცხდა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ციცერონის 14 სიტყვა, „ფილიპიკების" სახელით რომ არის ცნობილი. გარდა უდიდესი ორატორობისა, ციცერონი აქ გვევლინება როგორც თვალსაჩინო საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც უშუალოდ და მძაფრად განიცდის იმ ტკივილს, რაც მაშინდელ რომაულ საზოგადოებას აწუხებდა სამოქალაქო ბრძოლების შედეგად. ამ სიტყვებში ციცერონი სასტიკად ამხელს ანტონიუსის ავანტიურისტულ დიქტატორულ ზრახვებს და სამოქალაქო ომის გაჩაღებაში ბრალს მთლიანად მას აკისრებს, იცავს თავს და აცხადებს, რომ მზად არის რესპუბლიკისათვის სიცოცხლე გაწიროს. განსაკუთრებული სიძლიერით არის დაწერილი მეორე სიტყვა, რომელიც ცალკე ბროშურად ვრცელდებოდა საზოგადოებაში და დიდი ზიანიც მიაყენა ანტონიუსს — სახელი გაუტეხა მას. მეხუთე სიტყვაში ციცერონი მოუწოდებს საზოგადოებას, ანტონიუსი სამშობლოს მტრად გამოაცხადოს. მეექვსე სიტყვაში შთააგონებს ხალხს, რომ სამოქალაქო ომში წყდება თავისუფლების შენარჩუნების საკითხი. მეთოთხმეტე ფილიპიკაში, რომელიც ძვ. წ. 43 წლის 21 აპრილს წარმოუთქვამს და რომელიც მის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს, ციცერონი მოუწოდებს ხალხს, რათა, ანტონიუსის დამარცხების აღსანიშნავად, გამოცხადდეს ორმოცდაათდღიანი სამადლობელი ლოცვა-ვედრება ღმერთებისადმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭარბობს შეხედულება, თითქოს ციცერონს არ გააჩნდა მყარი პოლიტიკური მრწამსი, მის საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწეობას ახასიათებდა მერყეობა. სუსტი ნებისყოფისა იყო და ყველაფერმა ამან განაპირობა მისი მარცხი. შესაძლებელია, ყველა აღნიშნული მომენტი მეტ-ნაკლებად ახასიათებდა ციცერონის ცხოვრება-მოღვაწეობას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური მერყეობა მხოლოდ ციცერონის თვისება არ

ყოფილა. იმდროინდელი ხანა საზოგადო მოღვაწეს არ აძლევდა საშუალებას ერთ მყარ ნიადაგზე მდგარიყო; ცხოვრების პირობები, მოვლენათა ტალღა მას ხშირად, შესაძლებელია, სრულიად არასასურველი მიმართულებით მიაქანებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ქვეყნის საკეთილდღეო გზა სხვადასხვანაირად ესახებოდა. უთუოდ მისაღებია მ. პოკროვსკის აზრი: „მის ღირსებათა და ნაკლთაგან ბევრი გამოწვეული იყო მღელვარე ეპოქით, რომელშიც ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა".[1]

ციცერონი იშვიათი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა ლიტერატურულ დარგშიც. მან მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელშიც მკაფიოდ არის არეკლილი მაშინდელი რომაული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენები. ამ მონაცემების საშუალებით ხდება რომის ისტორიის ზოგიერთი ფაქტის დადგენა, ბევრი მათგანის დაზუსტება, არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის უფრო სრული და სწორი გააზრება-გაანალიზება. ციცერონის ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს თითქმის ყველა ჟანრს, დაწყებული ფილოსოფიური, რიტორიკული, რელიგიური თხზულება-ტრაქტატებით და დამთავრებული მდიდარი ეპისტოლარული მასალით.

ციცერონის ისტორიული შინაარსის სპეციალურ შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შემორჩენილი ცნობების თანახმად, მას ასეთის დაწერა განზრახული ჰქონია. პლუტარქე მოგვითხრობს: „როგორც გადმოგვცემენ, ციცერონს განზრახული ჰქონდა დაეწერა სამშობლოს ისტორია, ჩაერთო შიგ მრავალი ამბავი საბერძნეთის ისტორიიდან და აქვე შეეტანა მის მიერ შეკრებილი ყველა თქმულება და მითი. ამაში მას ხელი შეუშალა აურაცხელმა იძულებითმა და თავმომაბეზრებელმა საზოგადო და პირადმა საქმემ".

მართლაც, საინტერესო იქნებოდა ციცერონის ისტორიული ნაშრომი, თუ ვიმსჯელებთ იმისდა მიხედვით, რა მნიშვნელობასაც იგი ანიჭებდა ისტორიას. მისი აზრით: „ისტორია არის დროთა მოწმე, ჭეშმარიტების სხივი, ხსოვნის სიცოცხლე, ცხოვრების მოძღვარი, გარდასულ ხანათა მაუწყებელი"[2].

---

1. М. Покровский, История римской литературы. Л, 1957, გვ. 148.

2 ა .ურუშაძე, მარკუს ტულიუს ციცერონი. თსუ შრომები, 114, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, თბ., 1965, გვ. 96.

თუმცა ციცერონს ისტორიული შინაარსის შრომა არ დაუწერია, მაგრამ მის ყველა ნაწარმოებში, თვით პირად წერილებშიაც, ამოიკითხება ფრიად სერიოზული მასალა რომის ისტორიისათვის, რადგან ყველა მათგანში ლაპარაკია იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც აღელვებდა მაშინდელ რომაულ საზოგადოებას, მათ ირგვლივ გაცხარებული დავა და ბრძოლა მიმდინარეობდა, რასაც საგრძნობი მსხვერპლი სდევდა თან.

ციცერონის ისტორიულ სიტყვებთან ერთად, რომელთაგან ჩვენამდე 57-მა სრულად მოაღწია, 20-მა კი — ფრაგმენტებად, დიდ მასალას შეიცავს მისი ტრაქტატები ორატორული ხელოვნების შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ მჭევრმეტყველებას მაშინ დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი აზრით, მჭევრმეტყველებას მჭიდრო კავშირი აქვს პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და ამიტომ ორატორს მოეთხოვება იყოს ყოველმხრივ განათლებული; ორატორი, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო მოღვაწეა და არა სასამართლოს ჩხირკედელა. სრულყოფილი სიტყვა (oratio) ის არის, რომელშიც ერძო საკითხი აყვანილია ზოგადი პრინციპის დონეზე. სრულყოფილი ორატორი უნდა იყოს მაღალი კულტურის ადამიანი და დიდი ცოდნის პატრონი. ციცერონის ეს შეხედულებანი გადმოცემულია მის ტრაქტატებში: „რიტორიკა", „ორატორის შესახებ", „ბრუტუსი".

ცხოვრების უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, როდესაც ის ცეზარის დიქტატურის დროს გაძევებული იყო პოლიტიკური სარბიელიდან, ციცერონს გადაუწყვეტია კალმით მაინც გაეწია სამსახური თავისი ხალხისათვის. ამის შედეგია მისი ფილოსოფიური შინაარსის თხზულებანი, რომელთაგანაც ბევრი დაკარგულია. ამ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ზნეობრივ-ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებები, „კეთილისა და ბოროტის საზღვართათვის", „ტუსკულანური საუბრები", „მოვალეობისათვის" და სხვა.

ამ თხზულებების შექმნა გამოწვეული იყო ციცერონის სურვილით — გაემხნევებინა, ნუგეში ეცა რომის საზოგადოებისათვის საერთო ზნედაცემულობის პერიოდში.

ამ თხზულებებში ძირითადად განმეორებულია ბერძნული ფილოსოფიური სკოლების მოძღვრებანი. თვითონ ციცერონი არ არის მომხრე რომელიმე გარკვეული ფილოსოფიური სისტემისა, ის ეკლექტიკოსია, ამჟღავნებს მატერიალისტური ფილოსოფიისადმი სიძულვილს.

ციცერონის შრომებში აღძრულია საკითხი, თუ რა არის სასარ-

გებლო, პატიოსნური და გატარებულია აზრი, რომ „პატიოსნურია ის, რაც სასარგებლოა". ციცერონი იცავს კერძო საკუთრებას, მის ხელშეუხებლობას, რაც სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედად მიაჩნია. რადგან ელინისტური ხანის მოაზროვნეთა ნაწარმოებნი თითქმის ყველა დაკარგულია, ამიტომაც ციცერონის შრომები, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს ძირითადსა და ერთადერთ წყაროს იმის გასაცნობად, თუ ცალკეულ ფილოსოფიურ სკოლებში ამა თუ იმ ფილოსოფიურ პრობლემას როგორ განიხილავდნენ.

ზნეობრივი ფილოსოფიის გვერდით ციცერონმა შექმნა ისეთი ხასიათის თხზულებანი, რომლებშიც განხილულია რელიგიისა და ღვთაების ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულების საკითხები.

როგორც ცნობილია, რომში სახელმწიფო და რელიგია მჭიდროდ იყო შერწყმული; მათ შორის კონფლიქტი გამორიცხული იყო. რელიგია სახელმწიფოს ხელში, მის სამსახურში ჩაყენებული, მძლავრ იარაღს წარმოადგენდა საზოგადოებაზე გავლენის მოსახდენად. ციცერონი ამბობდა, რომაელებმა მსოფლიო ჩვენი რელიგიით დავიპყარითო: „ჩვენი წინაპარნი არასოდეს ისე კეთილგონიერი და ღმერთთაგან დაბრძენებულნი არ ყოფილან, როგორც მაშინ, როდესაც გადაწყვიტეს, რომ ერთი და იგივე პირები რელიგიასაც უნდა განაგებდნენ და რესპუბლიკასაც მართავდნენ. ამგვარად, თანამდებობების პირნი და ქურუმნი, სათანადოდ ასრულებდნენ რა თავიანთ მოვალეობას, საერთო ძალებით იცავენ სახელმწიფოს".[1]

აი, ამ მოსაზრებათა გამო, როდესაც, ერთი მხრივ, რომაულ განათლებულ საზოგადოებაში გამეფებული იყო სკეპტიციზმი რომაული რელიგიისადმი და, მეორე მხრივ, მდაბიო ხალხში — ურყევი რწმენა, საზოგადოების ორივე ნაწილისათვის, რელიგიისა და ღვთაების საკითხების სათანადოდ გარკვევის მიზნით, ციცერონმა შექმნა რამდენიმე სპეციალური ნაშრომი. ასეთი შრომების დაწერა ამართლებდა იმ-დროინდელ მოთხოვნილებებს.

თავის ორ თვალსაჩინო შრომაში, „ღმერთთა ბუნებისათვის"—სამ წიგნად და „წინასწარმეტყველებათათვის"—ორ წიგნად, გადმოცემულია როგორც სტოიკური, ისე ეპიკურეული სკოლების შეხედულებანი, რომელთაც ციცერონი უპირისპირებს თავის საკუთარ შეხედულებებს. ციცერონი დიდი ხელოვნებით ცდილობს დაამტკიცოს ავგურებისა და

---

[1] Е. А. Беркова, Цицерон как критик суеверий. Сборник статей, М., 1958, стр. 61.

ჰარუსპიკების ხელობათა უსაფუძვლობა, რომელნიც სხვადასხვა ნიშნების მიხედვით ცდილობდნენ ამოეკითხათ ღმერთების ნება-სურვილი. ციცერონს, პოლიტიკური მოსაზრებით, საჭიროდ მიაჩნდა რელიგია და, უარყოფითად ეკიდებოდა რა ავგურთა ცრუმორწმუნეობრივ რელიგიას, თავგამოდებით იცავდა სახელმწიფო რელიგიას, რომლის უგულებელყოფას დაუშვებლად მიიჩნევდა.

ციცერონის შრომებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შრომებს, რომლებშიც ასახულია მისი დროის რომის საზოგადოების წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემები და გადმოცემულია თვით ციცერონის რწმენა-შეხედულებანი, საზოგადოებრივ წრეებში ცხოველ გამოხმაურებას რომ პოვებდა.

შრომაში — „სახელმწიფოს შესახებ" (რომელიც ძვ. წ. 54 წელს დაუწერია) ციცერონი შთააგონებს თავის თანამემამულეებს, რომ სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმაა ის, რომელშიაც შერწყმულია მმართველობის სამივე ელემენტი: მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული (1,29), როდესაც ეს სამივე ელემენტი ერთიმეორეს აწონასწორებს. ამის მაგალითს იგი ხედავს რომის სახელმწიფოს რეჟიმში.

ამ შრომის დამატებად თუ გაგრძელებად ციცერონს დაუწერია შრომა „კანონთათვის" 3 წიგნად, რომელთაგან უკანასკნელი წიგნი მოგვითხრობს მოხელეობაზე.

ნაწარმოებში გადმოცემულია რესპუბლიკის დასასრული ხანის კონსერვატორ-ოპტიმატების მისწრაფება-შეხედულებანი. ციცერონის მიერ ამ შრომაში განვითარებული დებულებები დაედვა საფუძვლად ახალი რეჟიმის დამამყარებლის ავგუსტუსის პროგრამას. ს. უტჩენკოს თქმით, ციცერონის ლოზუნგებში „არეკვლილია მონათმფლობელთა კლასის მაღალი ფენის ინტერესები".

ციცერონის აზრით, შერეული ფორმის მმართველობის დროს უნდა არსებობდეს „გრადაცია ღირსების მიხედვით", რაც გამორიცხავს პოლიტიკურ გადატრიალებებს და უზრუნველყოფს სიმტკიცეს".

ციცერონი ქადაგებს „წოდებათა თანხმობას" რაც ხელს უწყობს ინტერესთა ერთიანობასა და სახელმწიფო მმართველობის სრულყოფას.

ციცერონი თავგადმოდებით იცავდა რესპუბლიკას. მეორე ფილიპიკაში ციცერონი აცხადებს, რომ ის მზად არის სიცოცხლე გაწიროს, თუკი მისი სიკვდილი უზრუნველყოფს რესპუბლიკის თავისუფლებას.

ს. უტჩენკოს თქმით: „ციცერონი სუბიექტურად თავის ტრაგიკულ დასასრულამდე დარჩა რესპუბლიკის თავგამოდებულ მომხრედ... მაგრამ ობიექტურად და, უეჭველია, მისი „ნების გარეშე", იგი იყო პრინციპატის იდეოლოგიური ფუძემდებელი".

ამგვარად, ციცერონის კონცეფცია, შერეული მმართველობის შესახებ, იყო დამახასიათებელი მონათმფლობელური საზოგადოების გაბატონებული წრეებისათვის.

საყურადღებოა აგრეთვე ციცერონის ერთი პატარა ტრაქტატი, რომელიც ძველი დროის სკოლებში იკითხებოდა და ისწავლებოდა. იგი დაწერილია ცეზარის მოკვლის შემდეგ. მასში გატარებულია აზრი, რომ მეგობრობა არის რესპუბლიკური კავშირი თანასწორთა შორის; ამის გამო, ტირანს არ შეიძლება ჰყავდეს მეგობრები, მის ირგვლივ მხოლოდ მლიქვნელები არიან.

არანაკლებ მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს ციცერონის მიმოწერა, რაც უხვადაა გადარჩენილი. ჩვენამდე მოღწეულია სხვადასხვა პირთათვის მიწერილი — 864 და სხვებისაგან მიღებული 200 წერილი. ი. ტრონსკის თქმით: „რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლებისათვის ძვირფასი მასალის შემცველი ციცერონის წერილები, იმავე დროს, გვაცნობს მისი ავტორის პიროვნებას იშვიათი სრულყოფილებით".

ციცერონის წერილები შეიცავს უდიდეს მასალას სამოქალაქო ომების ისტორიისათვის როგორც თვით ციცერონის, ისე მის თანამედროვეთა დახასიათებისათვის. წერილების შინაარსი არ ჩაითვლება ობიექტურ წყაროდ, მასში ბევრია პირადული, მიკერძოებითი, მაგრამ ამასთანავე, მოცემულია ისტორიკოსისათვის სასარგებლო მასალა იმ დროის ეკონომიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, კულტურულ-რელიგიური ცხოვრების შესახებ.

ციცერონის წერილების საშუალებით ჩვენთვის უშუალოდ ხელშესახები ხდება ის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, რითაც აღინიშნა მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული რესპუბლიკის დაცემა, ისინი გვაცნობენ რომაული საზოგადოების წარჩინებული წრეების ყოველდღიურ მოღვაწეობას, საზოგადოებაში გაბატონებულ ყოფას, საოჯახო ურთიერთობას, მაშინდელ ლიტერატურულ ურთიერთობას. ერთი სიტყვით, მათი საშუალებით შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ კულტურულ ცხოვრებაზე, რასაც მიაღწია განათლებულმა სამყარომ ქრისტიანულ ეპოქამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე... და ამავე

დროს, კვალდაკვალ მივსდიოთ იმ მოვლენებს, რომლებიც თან ახლდა რესპუბლიკის იმპერიაში გადასვლას.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ციცერონი გაიდეალებულია, როგორც სიმართლისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი. ამასთანავე, ციცერონს წარმოიდგენენ უკიდურესი დემოკრატიისა და რევოლუციური მოქმედების წინააღმდეგ მებრძოლად. სინამდვილეში ციცერონი თავისი კლასის ერთგული წარმომადგენელია.

გაიუს იულიუს ცეზარი

იულიუსების გვარი, რომელსაც ცეზარი ეკუთვნოდა, რომის ერთ-ერთი უძველესი არისტოკრატიული გვარი იყო. ისტორიკოს ველეიუს პატერკულუსისა და პოეტ ვერგილიუსის გადმოცემით, ამ გვარის მამამთავარი იყო ქალღმერთ ვენერას და მოკვდავ ანქიზეს შვილი ენეასი, რომელიც ტროას დანგრევის შემდეგ იტალიაში გადაიხვეწა. ენეასის შვილის, იულიუსის (რომლიდანაც თითქოს საკუთრივ ეს გვარი იწყება) ძემ ცოლად შეირთო რომის მეორე მეფის ნუმა პომპილიუსის ქალიშვილი. მათი შვილი ანკუს მარციუსი კი, რომის მეოთხე მეფე ვახდა.

ცეზარს თუმცა ესმოდა ამ გადმოცემის ლეგენდარული ხასიათი, მაგრამ მაინც მას თავის ავტორიტეტის ასამაღლებლად იყენებდა. ცეზარის ბიოგრაფი სვეტონიუსი გადმოგვცემს, რომ ერთ-ერთ სიტყვაში ცეზარი თვითონვე ამბობდა, ჩემი წინაპრები ქალღმერთ ვენერას და რომის მეფე ანკუს მარციუსისაგან მომდინარეობენო.

იულიუსების გვარი, როგორც უკვე ვთქვით, უძველესი არისტოკრატიული გვარი იყო, რომელიც ადრევე გამოდის პოლიტიკურ სარბიელზე. ამ გვარის წარმომადგენლები რომში კონსულად ყოფილან ძვ. წ. 485, 482, 473, 447 და 430 წლებში, ხოლო ვინმე გაიუს იულიუსი ძვ. წ. 352 წელს დიქტატორადაც ყოფილა.

თუ როდის და საიდან გაჩნდა იულიუსების გვარში სახელწოდება ცეზარი, სადავო საკითხს წარმოადგენს მეცნიერთათვის. ისტორიკოსი ელიუს სპარტიანუსი, დიოკლეტიანეს თანამედროვე, როცა ეხება სახელწოდება „ცეზარის" წარმოშობას, წერს, სწავლულები და განათლებული ადამიანები თვლიანო, რომ მან, ვისაც პირველად ცეზარი შეერქვა, ეს სახელი მიიღო სპილოსაგან (მავრების ენაზე—„ცეზარი"), რომელიც მან ბრძოლაში მოკლა და იქვე იძლევა ამ სახელწოდების

წარმოშობის სხვა ვარიანტებსაც. იგი, ზოგის აზრით, შეიძლება წარმომდგარი იყოს სიტყვისაგან Caesaries — ხშირი, გრუზა თმა, ან სიტყვისაგან Caesius — მონაცისფრო, ცისფერი თვალები და სხვა. ძველად უფრო ის შეხედულება ყოფილა გავრცელებული, რომელსაც სახელწოდება „ცეზარი" სპილოსგან გამოყავდა. მკვლევართა უმრავლესობა ახალ დროშიც ამ თვალსაზრისზე დგას.

ძველი წყაროების ცნობებით (პლუტარქე, ცეზარი, 69; სვეტონიუსი, ცეზარი, 88; აპიანე, სამოქალაქო ომები, 2, 149), როცა ცეზარი მოკლეს 44 წლის 15 მარტს, იგი 56 წლის იყო. აქედან ასკვნიან, რომ ცეზარი უნდა დაბადებულიყო ძვ. წ. 100 წელს 12 კვინტილიუსს, შემდეგ ამ თვეს მის პატივსაცემად იულისი ეწოდა და დღესაც ასე იხმარება. მაგრამ მომზენმა წამოაყენა აზრი, რომ ცეზარი დაბადებული უნდა იყოს არა ძვ. წ. 100, არამედ ძვ. წ. 102 წელს. მომზენი იმ გარემოებას ეყრდნობა, რომ იმ დროს, სულას მიერ დადგენილი წესის მიხედვით, ედილი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 37 წლის, პრეტორი — 40 წლისა, კონსული კი 43 წლისა. ამიტომ, ცეზარი რომ ძვ. წ. 100 წელს იყო დაბადებული, მაშინ გამოდის, ყველა ეს თანამდებობები მას, არსებული წესის წინააღმდეგ, ორ-ორი წლით ადრე ეჭირა. მომზენი ფიქრობს, რომ ასე ზედიზედ ცეზარს წესს არავინ დაარღვევინებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მომზენის მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული, ცეზარის დაბადების დროდ ტრადიციული თარიღია (ძვ. წ. 100 წელი) მიჩნეული.

სვეტონიუსის ცნობით, ცეზარი 16 წლისა ყოფილა, როცა მამამისი, აგრეთვე გაიუს იულიუს ცეზარი, გარდაიცვალა. ცეზარის დედა ავრელია განათლებული, დარბაისელი და თავისი შვილებისა და ოჯახის ერთგული ქალი ყოფილა. მას ტაციტუსი გრაკხუსების დედას — კორნელიას და ავგუსტუსის დედას — ატიას ადარებს. ცეზარს დაწყებითი განათლება ოჯასში დედისგან მიუღია, შემდეგ კი უსმენდა ცნობილ მარკუს ანტონიუს გნიკონის ლექციებს ფილოსოფიასა და ორატორულ ხელოვნებაში. ხოლო უფრო გვიან, ორატორული ხელოვნების შესასწავლად, კუნძულ როდოსზე წასულა ცნობილ აპოლონიოს მოლონთან, რომელთანაც ერთ დროს ციცერონიც სწავლობდა.

ცეზარი ახალგაზრდობაში სუსტი და გამხდარი ყოფილა. როგორც პლუტარქე წერდა, ეს სისუსტე მას არასოდეს არ გადაუქცევია ნებიერი ცხოვრების საბაბად. პირიქით, იგი თავის ფიზიკურ სისუსტეს „ხან-

გრძლივი მოგზაურობით, ზომიერი ცხოვრებით, ნიადაგ ღია ცისქვეშ ყოფნით და გაჭირვების გადატანით ებრძოდა და ამით სხეულის გაკაჟებას ცდილობდა". 17 წლის ცეზარმა ცოლად შეირთო სულას ყოფილი მტრის ცინას ქალიშვილი. როდესაც სულა 82 წელს რომში შევიდა და მარიუსელები დაამარცხა, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა ცეზარსაც, რადგან იგი სულას ორივე მთავარი მტრის, მარიუსის და ცინას ნათესავი იყო (მარიუსი ცეზარის მამიდის, იულიას ქმარი იყო). მეგობრების დახმარებით ცეზარმა ძლივს მიიღო სულასაგან შეწყალება და აღმოსავლეთში გაარიდა თავი. იგი რომში მხოლოდ სულას გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა, ძვ. წ. 77 წელს.

მსოფლიო ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი დიდი ადამიანი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ასეთი დაჟინებით, ასეთი შეუპოვრობით და მეთოდური თანამიმდევრობით მიიწევდა წინ. პლუტარქეს გადმოცემით, როცა თითქმის 49 წელს მიღწეული ცეზარი, ესპანეთში მიმავალი, ალპებზე გადასვლისას ადგილობრივი მცხოვრებლების ჩხუბს წაწყდომია, მეგობრების შეკითხვაზე: „ნუთუ აქაც არის ბრძოლა პირველობისათვის და შური ძლიერთა შორის", დინჯად უთქვამს: „მე ვამჯობინებდი, პირველი ვიყო ამათში, ვიდრე მეორე რომაელებში". სვეტონიუსის გადმოცემით, ცეზარი ახალგაზრდობიდანვე მიისწრაფოდა დიდკაცობისაკენ. იგი ხშირად იმეორებდა ევრიპიდეს ლექსს: „თუ წესი უნდა დაირღვეს, — ეს მხოლოდ ბატონობის გულისთვის, სხვა ყველაფერში კი სამართლიანობა უნდა იქნეს დაცული".

ესპანეთის მმართველად ყოფნის დროს ცეზარი წიგნს კითხულობდა ალექსანდრე მაკედონელზე და თვალზე ცრემლი მოადგა. როდესაც მეგობრებმა ამის მიზეზი ჰკითხეს, მან თურმე უპასუხა: „როგორ გგონიათ, განა არ არის სევდის ღირსი ის, რომ ალექსანდრე ჩემს ასაკში უამრავ ხალხზე მეფობდა და მე კი აქამდე, არაფერი სასახელო არ გამიკეთებია".

14 წლის ასაკში (ძვ. 86 წ.), მარიუსის მხარდაჭერით, ცეზარი იუპიტერის ქურუმად დანიშნეს, 27 წლისა სამხედრო ტრიბუნად აირჩიეს, 32 წლის — ქვესტორად, 35 წლისა—ედილად, 37 წლის—უმაღლეს ქურუმად, 38 წლისა—პრეტორად, ხოლო 39 წლის ცეზარი, როგორც პროპრეტორი, ესპანეთის მმართველად გაიგზავნა. ძვ. წ. 60 წელს იგი დაბრუნდა რომში და შექმნა პირველი ტრიუმვირატი. იმავე ძვ. წ. 60 წელს 40 წლის ცეზარი ძვ. წ. 59 წლისათვის კონსულად აირ-

ჩიეს. ძვ. წ. 58 წელს იგი გალიაში წავიდა პროკონსულის თანამდებობით. ძვ. წ. 49 წელს, როცა ესპანეთიდან დაბრუნდა, სენატს თავი დიქტატორად გამოაცხადებინა, მაგრამ მალე, როცა კონსულად აირჩიეს, დიქტატორობა მოიხსნა და ბალკანეთში ომს პომპეუსის წინააღმდეგ წარმართავდა როგორც კონსული. ძვ. წ. 44 წლის 15 თებერვალს თავი სენატს მუდმივ დიქტატორად გამოაცხადებინა. იმავე წლის მარტის დასაწყისში რომაულ მონეტებზე (დენარებზე) უკვე გაჩნდა ცეზარის სურათი, რომლის თავსაც დაფნის გვირგვინი ამკობდა წარწერით: „ცეზარი მუდმივი დიქტატორი". ეს მუდმივი დიქტატორობა, არსებითად, მეფობა იყო, რადგან როგორც აპიანე წერს, „მეფესა და დიქტატორს შორის განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაშია, არსებითად კი დიქტატორად ყოფნისას ცეზარი მეფე იყო".

ცეზარის ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივია. ამათგან აღსანიშნავია:

1. **სიტყვები**, რომლებიც სხვადასხვა დროს ცეზარს წარმოუთქვამს სასამართლოში და სენატში. მაგალითად, ძვ. წ. 77 წელს მას სასამართლოში წარმოუთქვამს სიტყვა კორნელიუს დოლაბელას წინააღმდეგ, რომელიც მაკედონიის პროვინციას მართავდა როგორც პროკონსული და ბრალი ედებოდა მექრთამეობაში. დოლაბელას მოუხერხებია, არისტოკრატ მოსამართლეთა დახმარებით, გამართლება, მაგრამ ცეზარს ნიჭიერად აგებული და არგუმენტირებული სიტყვებით საზოგადოების ყურადღება და მოწონება დაუმსახურებია. სვეტონიუსი წერს, რომ დოლაბელას წინააღმდეგ ბრალმდებლად გამოსვლის შემდეგ, იგი უდავოდ აღიარებულ იქნა რომში სასამართლო მჭევრმეტყველების ბრწყინვალე წარმომადგენლად. იქვე სვეტონიუსს მოჰყავს ციცერონის აზრი, რომ იგი ცეზარს იმდროინდელი ორატორებიდან ყველაზე მაღლა აყენებდა. სამწუხაროდ, როგორ ეს, ისე სასამართლოში წარმოთქმული სხვა სიტყვები დაკარგულია და მათ ჩვენამდე არ მოუღწევია.

ცეზარი, როგორც სენატორი, სიტყვებს ამბობდა სენატის სხდომებზეც. ერთ-ერთი ასეთი სიტყვა, რომელიც კატილინას შეთქმულების დაპატიმრებულ ბელადთა დასჯას ეხება, მოჰყავს სალუსტიუსს „კატილინას შეთქმულებაში". ცეზარი შემდეგ აზრს ავითარებს: ძნელია ასეთ მძიმე საქმეში ზომიერებისა და სამართლიანობის დაცვა. აქ საკითხი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არჩევანს ეხება და ბრალდებულთა მიმართ ერთმანეთს ეჯახება სიძულვილისა და მეგობრობის, რისხვისა და შეწყნარების გრძნობა. შეიძლება ამაოდ ერთ-ერთმა

გადასძლიოს და ჯეშმარიტება დაზარალდეს სასჯელის გაზრდით, ან სასჯელის შემსუბუქებით. ამიტომ არ უნდა მივეცეთ არც პირად სიძულვილს, არც პირად სიმპათიასო.

ცეზარი მოითხოვს, რომ კატილინას აჯანყების შეპყრობილ ბელადებს მიუსაჯონ მუდმივი პატიმრობა სასტიკ პირობებში. ეს იმით აიხსნება, რომ მაშინ გავრცელებული ხმების თანახმად, თვითონ ცეზარიც შეთქმულებაში იყო გაბმული და ახლა იგი ვერ იმეტებს თავის თანაშზრახველებს მოსასპობად. ამასთან, ცეზარს კატილინა თავისი ოციათასიანი არმიით ეტრურიაში ეგულებოდა, შეთქმულებას ჯერ კიდევ არ თვლიდა დაღუპულად და ცდილობდა კადრების გადარჩენას რომში. ცეზარი შეთქმულთა გადარჩენას სხვა მოტივებითაც ცდილობდა. იგი „ივიწყებს" რომაელთა მიერ კართაგენის გადაწვას, კორინთოს დანგრევას და სხვა სისასტიკეს და ამტკიცებს, რომ თითქოს რომაელები ყოველთვის ლმობიერად ექცეოდნენ თავიანთ მტრებს: მაკედონიას, როდოსს და სხვა, და ამიტომ მით უფრო სწორი არ იქნება ახლა სასტიკად, მოექცნენ თავიანთ მოქალაქეებს. ამასთან, ცეზარი სვამს საკითხს, ზოგმა შეიძლება ასეც კი იფიქროს, რომ „...ვინ გაკიცხავს თქვენს განაჩენს რესპუბლიკის მომსპობთა წინააღმდეგო? — დრო, გარემოება, ბედი, რომელნიც მართავენ ქვეყანას".

ცეზარის ამ სიტყვას დიდი გავლენა მოუხდენია სენატორებზე. ცეზარმა დაასაბუთა ის გარემოებაც, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა სასამართლოს კომპენტენციას შეადგენდა და სრულიადაც არ შედიოდა უშუალოდ სენატის ფუნქციებში. მაგრამ სენატმა დაპატიმრებული კატილინელები მაინც სიკვდილით დასაჯა.

2. წერილები. ცნობილია, რომ ცეზარს მიმოწერა ჰქონდა რომის ბევრ პოლიტიკურ მოღვაწესთან (ციცერონთან, გაიუს ოპიუსთან, ლუციუს კორნელიუს ბალბუსთან, ისტორიკოს სალუსტიუსთან და სხვა), აგრეთვე სენატთან. თავის „სამოქალაქო ომების" პირველი წიგნის დასაწყისში ცეზარი თვითონვე წერს, რომ მან გალიიდან წერილი გაუგზავნა რომში კონსულებს, რომელიც მათ სენატის სხდომებზე წაიკითხეს. სამწუხაროდ, ამ წერილებს ჩვენამდე არ მოულწევია. ისტორიას შემორჩა მხოლოდ ცეზარსა და ციცერონს შორის მიმოწერის რამდენიმე წერილი. 50 წლის 8 დეკემბერს ატიკუსისადმი გაგზავნილ წერილში ციცერონი წერდა, რომ ცეზარი „მიგზავნის ალერსიან წერილებსო".

ძვ. წ. 54 წლის აპრილში ციცერონის მიერ ცეზარისადმი გალიაში მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ამის წინ ციცერონს მიუღია წერილი ცეზარისაგან, რომელშიც იგი იწერებოდა, რომ გაიუს ტრებაციუსი, რომელზედაც შენ მთხოვდი, რომ მომეწყო სამსახურში, გამომიგზავნე ... და მე მას თუნდაც გალიის მეფედ დავსვამო. ძვ. წ. 49 წლის მარტის წერილში ცეზარი წერს ციცერონს, რომ მალე ვიქნები რომში და დიდი სურვილი მაქვს შეგხვდეო. იმავე წლის აპრილის ბოლოს ცეზარს ციცერონისათვის კვლავ გაუგზავნია წერილი. ეს წერილი ციცერონს მთლიანად მოჰყავს თავის წერილში ატიკუსისადმი. იმავე წლის 2 მაისს ცეზარი სთხოვდა ციცერონს, რათა მას პომპეუსთან ომის დროს დაეცვა ნეიტრალიტეტი. „შენ, — წერს ცეზარი, — ჩემი ცხოვრების უტყუარი საფუძვლის დამოწმებით და ჩვენს მეგობრობაში დარწმუნებული, ვერაფერს, უფრო უხიფათოს, ან უფრო საპატიოს ვერ ნახავ, ვიდრე იმას, რომ შორს იყო ყოველგვარი ბრძოლიდან“.

პლუტარქეს ცნობით, ციცერონი მაინც წასულა პომპეუსთან ბალკანეთში. მიუხედავად ამისა, ეგვიპტისა და აზიის ომებიდან დაბრუნების შემდეგ, ცეზარი მაინც შეურიგდება ციცერონს.

ციცერონისა და ცეზარის ერთმანეთისათვის მიწერილი ეს პირადი წერილები, ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხთან ერთად, ნათელს ჰფენს ამ ორი დიდი ადამიანის გულითად ურთიერთობას.

3. „ანტიკატონი“. ეს არის ცეზარის პოლემიკური ხასიათის ნაწარმოები, რომელიც მას დაუწერია ძვ. წ. 45 წელს მუნდთან ბრძოლის პერიოდში. პლუტარქე წერს: „ციცერონმა დაწერა კატონის ხოტბა და ამ ნაწარმოებს სახელად „კატონი“ უწოდა“. როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესი ორატორის ამ შესანიშნავ თემაზე დაწერილ წიგნს ხალხი ხარბად დაეწაფა. ამან ცეზარი ფრიად შეაწუხა: იგი ფიქრობდა, რომ იმ კაცის ქება-დიდება, რომლის სიკვდილის მიზეზიც თვითონვე იყო[1], მის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებას წარმოადგენდა. მან კატონის წინააღმდეგ მრავალი ბრალდება შეკრიბა და წიგნად გამოსცა; ამ წიგნს სახელად „ანტიკატონი“ უწოდა. ეს წიგნი დაწერიდან ერთი

---

[1] კატონ უმცროსი ძვ. წ. 46 წელს აფრიკაში იცავდა ქალაქ უტიკას. როცა მან შეიტყო, რომ თავსუსთან ცეზარმა რესპუბლიკელები დაამარცხა და თავისი ჯარები ახლა უტიკისაკენ დაძრა, კატონმა, რომელსაც არ უნდოდა ცეზარს ცოცხლად ჩაეარდნოდა ხელში, თავი მოიკლა, რის გამოც შემდეგში მას კატონ უტიკელი შეერქვა.

საუკუნის შემდეგ, პლუტარქეს დროს, კიდევ არსებობდა, მაგრამ შემდეგ დაკარგულა.

ცეზარის „ანტიკატონი" უაღრესად ტენდენციური და სუბიექტური ყოფილა, რადგან მასში იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენები თურმე ისეთ ასპექტში იყო განხილული, რომ ცეზარის მოქმედება და მისი ყველა ღონისძიება გამართლებულიყო.

4. **„ანალოგიების შესახებ"**. ეს თხზულება მიმართული ყოფილა ციცერონის წინააღმდეგ და მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

5. **„ვამონათქვამთა კრებული"**, რომელშიაც შეკრებილი ყოფილა გამოჩენილ ადამიანთა ნაკვესები.

6. **„ვარსკვლავთმრიცხველობის შესახებ"**. ამ ნაშრომზე პლუტარქე წერს: „კალენდრის წესრიგში მოყვანის ამოცანა ცეზარმა გადასაწყვეტად მისცა საუკეთესო ფილოსოფოსებსა და მათემატიკოსებს. შემდეგ მან მიღებული დასკვნები შეაერთა და გამოაქვეყნა კალენდრის შესწორების განსაკუთრებული და შედარებით ზუსტი ხერხი. მისი კალენდრით დღემდე სარგებლობენ რომაელები და, როგორც ჩანს, წელთაღრიცხვაში ისინი ყველა ხალხებზე უფრო ნაკლებ შეცდომებს უშვებენ".

ცეზარის მიერ ძვ. წ. 46 წელს შემოღებული ეს კალენდარი („იულიუსთა კალენდარი") არსებობდა 1582 წლამდე, ვიდრე რომის პაპმა გრიგოლ XIII არ შეიტანა მასში ცვლილებები და არ დაამკვიდრა ე. წ. ახალი სტილი.

7. სვეტონიუსის გადმოცემით, ცეზარს დაუწერია პოემა „მოგზაურობა" და „ჰერკულესის ხოტბა", აგრეთვე ტრაგედია „ოიდიპოსი".

8. **ლექსები**. ტაციტუსის გადმოცემით, ცეზარი ახალგაზრდობაში წერდა ლექსებს და ათავსებდა საზოგადოებრივ წიგნთსაცავებში. იგი ისეთივე სუსტი პოეტი ყოფილა, როგორც ციცერონი.

ცეზარს ისტორიული ხასიათის ორი ნაშრომი დაუწერია: „კომენტარები გალებთან ომის შესახებ" და „კომენტარები სამოქალაქო ომის შესახებ". ამასთან, „კომენტარები" ჩვენ უნდა გავიგოთ არა როგორც შენიშვნები ან ახსნა-განმარტება, როგორც იგი ახლა ესმით, არამედ როგორც მემუარები (მოგონებები) ან ჩანაწერები.

ძველად ცეზარს მიაწერდნენ ისტორიული ხასიათის სხვა ნაშრომებსაც, მათ შესახებ სვეტონიუსი წერს, რომ „ვინ არის ავტორი ჩანაწერებისა ალექსანდრიის, აფრიკისა და ესპანეთის ომების შესახებ, უცნობი რჩება. ერთნი ასეთად მიიჩნევდნენ ოპიუსს, მეორენი — ჰირციუსს,

რომელმაც დაამთავრა გალებთან ომის უკანასკნელი წიგნი, ცეზარს რომ დაუმთავრებელი დარჩა".

როგორც ცნობილია, ცეზარი გალიის დასამორჩილებლად ომებს აწარმოებდა შვიდი წლის მანძილზე ძვ. წ. 58 წლიდან ძვ. წ. 52 წლამდე, ამ წელს, ალესიას აღებით, ძირითადად დამთავრდა ეს ომები. ჰირციუსი, მისი ლეგატი, რომელიც თან ახლდა ამ დროს გალიაში, წერს: „მე ვიცი, რომ ცეზარმა თითოეულ წელიწადს თავისი მემუარების ცალკე წიგნი მიუძღვნა". ამგვარად, ცეზარმა გალიის ომები აღწერა ძვ. წ. 52 წლის ჩათვლით. სამოქალაქო ომები ცეზარსა და პომპეუსს შორის რომში იწყება ძვ. წ. 49 წლის 7 იანვრიდან, როცა რომის სენატმა პომპეუსს დაავალა იტალიასა და რესპუბლიკის დასაცავად ომის წარმოება ცეზარის წინააღმდეგ. ამ სამოქალაქო ომების ისტორია კვლავ ცეზარს აქვს აღწერილი.

ძვ. წ. 52 წლის ბოლოდან ძვ. წ. 49 წლის დასაწყისამდე ჩნდებოდა ხარვეზი, რომლის გასწორება ცეზარის სიკვდილის შემდეგ უკისრია ჰირციუსს და დაუწერია მე-8 წიგნი გალებთან ომის შესახებ, რითაც მას ცეზარის გალიაში ყოფნის ამბები ქრონოლოგიურადაც გადაუბამს სამოქალაქო ომის დასაწყისთან და, ამგვარად, ცეზარის ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთთან დაუკავშირებია.

ამ წიგნის დაწერა ჰირციუსს მეტად გასძნელებია. ერთ-ერთ წერილში იგი ამის შესახებ ცეზარის მეგობარ ლუციუს კორნელიუს ბალბას წერდა: „შენმა მუდმივმა თხოვნამ, ბალბა, მაიძულა, ხელი მოვეკიდა მეტად მძიმე საქმისათვის, რაზედაც დღემდე უარს ვაცბობდი; უარი შეიძლება აეხსნათ არა საგნის სიძნელით, არამედ ჩემი სიზარმაცით". საგნის სიძნელეს ჰირციუსი იმაში ხედავდა, რომ მას უჭირდა მიებაძა ცეზარის ესოდენ საუცხოო სტილისათვის, რომლითაც დაწერილი იყო დანარჩენი შვიდი წიგნი. „ყველა სხვამ იცის, — წერდა ჰირციუსი ბალბას, — სილამაზე და სინატიფე მისი თხზულებებისა. ჩვენ კი ისიც ვიცით, თუ რა ადვილად და სწრაფად წერდა იგი მათ. მაგრამ ცეზარი იყო არა მარტო ფრიად გაწაფული და ნატიფი სტილისტი, იგი ფლობდა აგრეთვე ჯეშმარიტ უნარს გამოეთქვა თავისი ჩანაფიქრი".

9. **„კომენტარები გალებთან ომის შესახებ".** ცეზარი თავის ამ თხზულებაში მოკლედ გადმოგვცემს გალიაში მცხოვრები ხალხების ისტორიას და გზადაგზა ეხება გერმანელების და ბრიტების ისტორია-

საც, აღწერს მათ ჩვეულებებს, დაწესებულებებს, ყოფა-ცხოვრებას, სოციალურ ურთიერთობას, რელიგიას, ეკონომიკას და სხვა.

ცეზარის ამ ცნობებიდან ჩანს, რომ როგორც გალები და გერმანელები, ისე ბრიტები გვაროვნული წყობილების რღვევის სტადიაში იყვნენ და სახელმწიფო, როგორც ასეთი, მათში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ეს გარემოება ამცირებს დამპყრობი რომაელებისადმი წინააღმდეგობას. ცეზარის დროს ედუების გალთა ტომის უმაღლესი მეთაური იყო ვინმე ლისკუსი. ცეზარი წერს: „ეს მეთაური აირჩევა ერთი წლით და მას თავის თანამოქალაქეებზე აქვს სიკვდილისა და სიცოცხლის უფლება".

გალიის ომების ისტორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერცინგეტორიქსის მეთაურობით გალიის დიდი აჯანყება, რომელიც ძვ. წ. 52 წლის შემოდგომაზე დამთავრდა, როცა ცეზარი ალესიასთან დაღუპვისაგან იხსნა რომის პროფესიული არმიის სიმამაცემ.

ვერცინგეტორიქსმა ფეხზე დააყენა მთელი გალია და ალესიასთან, ორ მდინარეს შორის მდებარე ციხესიმაგრესთან დაბანაკდა 70 ათასი კაცით, სადაც მას გალთა ახალი ძალები უნდა შეერთებოდა. ცეზარი თავისი 60 ათასი ჯარისკაცით იქვე ახლოს დაბანაკდა და დაიწყო სიმაგრეების აგება ვერცინგეტორიქსის ალყაში მოსაქცევად. ცეზარმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, არ გაეშვა იგი ალესიიდან. ამ მიზნით, მან გამოიყენა რომის არმიის მთელი ტექნიკა და გამოცდილება. ალესიას ირგვლივ შემოავლო ე. წ. კონტრვალაციური ხაზი, რომელიც ალესიისაკენ იყო მიქცეული და რამდენიმე ღრმა და განიერი თხრილისაგან შედგებოდა. მათ ხუთ რიგად გაჰყვებოდა ჭადრაკული წესით განლაგებული და შენიღბული ორმოები. იქვე იყო წვეტით მაღლა, მიწაში ღრმად ჩარჭობილი პალოები, სხვადასხვა ღობურები და დაბრკოლებანი.

ასეთი ღონისძიებები დაღუპავდა ვერცინგეტორიქსის არმიას, თუკი მარტო იქნებოდა, მაგრამ რადგან მთელი გალია (ზოგიერთ მცირერიცხოვან ტომთა გამოკლებით) აჯანყების ალში იყო გახვეული, უეჭველია, ეცდებოდნენ გარედან დახმარების გზით ვერცინგეტორიქსის გამოხსნას. ამ დროს კი, თვითონ ცეზარის არმია შეიძლებოდა მოქცეულიყო ორხმრივ ალყაში, რადგან ამ მტრულ და შორეულ ქვეყანაში ცეზარს არავითარი იმედი არ ჰქონდა არც სურსათის, არც ცოცხალი ძალით დახმარების მიღებისა და თვითონ შეიძლებოდა დაღუპულიყო მთელი თავისი არმიით.

ამგვარი შესაძლებლობა ცეზარმა თავიდანვე გაითვალისწინა და როგორც კი მოათავა ალესიისაკენ მიქცეული სიმაგრეების აღება, დაიწყო გარედან მოსალოდნელი მტრის წინააღმდეგ მიქცეული სიმაგრეების აგება მთელ წრეზე ალესიის ირგვლივ.

ალყაში მოქცეული ვერცინგეტორიქსი, არ ჰქონდა რა იმელი საკუთარი ძალებით და თავისი დაბალი საალყო ტექნიკით ცეზარის სიმაგრეების გარღვევისა, უცდიდა გარედან დამხმარე ძალების მისვლას და მათთან კომბინაციასა და ერთდროულად ორმხრივი დარტყმით ფიქრობდა მტრის განადგურებას. მაგრამ დრო გადიოდა და ეს დამხმარე ძალები არ ჩანდნენ. ამასობაში მის ბანაკში სურსათის მწვავე ნაკლებობა შეიქმნა. ვერცინგეტორიქსის ბანაკში მოწვეულ ჯარისკაცთა კრებაზე ცეზარი წერს: „...გამოითქვა სხვადასხვა აზრი: ზოგიერთი რჩევას იძლეოდა დანებებოდნენ, სხვები წინადადებას იძლეოდნენ გაეწიათ წინააღმდეგობა, ვიდრე კიდევ შერჩენოდათ ძალა". თავისი განსაკუთრებულობით და არაადამიანური სიმკაცრით ყურადღებას იმსახურებს კრიტოგნატის სიტყვა.

კრიტოგნატი ამ სიტყვაში აქებდა წინაპართა მამაცობას და არ დაეთანხმა არც კაპიტულაციას და არც წინააღმდეგობის ცდას. მისი აზრით, პირველი გზა სამარცხვინოა, მეორე — საშიში, რადგან ამ ცდის დროს შეიძლება ჩვენ, 80 ათასი კაცი, ყველანი გავწვდეთ. ვერც ლაჩრობით და ვერც უაზრო თავის შეკვლით ვერ მოვუტანთ სარგებლობას დანარჩენ გალებს, რომელნიც ჩვენ წავაქეზეთ რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებისათვისო. მისი წინადადებით, საჭირო იყო ალყაში მოქცეულთ როგორმე გაეძლოთ დამხმარე ძალების მოსვლამდე. მაგრამ, როგორ? ამ კითხვას თვითონ კრიტოგნატიც აყენებს. „როგორია ჩემი რჩევა? გავაკეთოთ ის, — ამბობს იგი, — რასაც აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები არცთუ იმდენად მნიშვნელოვან ომში კიმბრებთან და ტევტონებთან: თავიანთ ქალაქებში შერეკილნი, ისინი ამგვარსავე გაჭირვებას განიცდიდნენ საკვებ პროდუქტებზე, მაგრამ სიცოცხლეს ინარჩუნებდნენ იმ ადამიანთა გვამებით, რომელნიც ასაკით ომისათვის უვარგისად იყვნენ მიჩნეულნი, მტერს კი მაინც არ დანებდნენ. ჩვენ რომ ამგვარი მაგალითი არ გვქონდეს, მაშინ თავისუფლების გულისათვის ღირსების საქმედ მივიჩნევდი მის შექმნას და ანდერძით შთამომავლობას გადავცემდი". „თავისუფლების მოპოვებისთვის, — გა-

ნაგრძნობს კრიტოგნატი, — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რადგან თავისუფლების დაკარგვაზე უფრო საშინელი და მონობაზე უფრო საძრახისი ამქვეყნად არაფერია".

ალესიაში გამომწყვდეულ ვერცინგეტორიქსის არმიას გარედან დამხმარე ძალად მასზე მეტი ქვეითი და ცხენოსანი არმია მოუვიდა, მაგრამ რომაელების მიერ წინასწარ აგებულმა სიმაგრეებმა, რომაელთა საომარი ტექნიკის მაღალმა დონემ და თვით ცეზარის მხედართმთავრულმა ნიჭმა სძლია მტერს. ცეზარმა გაანადგურა მოწინააღმდეგე და დატყვევებული ვერცინგეტორიქსი ძვ. წ. 46 წელს, რომში ტრიუმფის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

ცეზარი, რომელიც გალებს 9 წლის მანძილზე ცეცხლითა და მახვილით თრგუნავდა, ძვ. წ. 49 წელს 13 ლეგიონით სამშობლოსაკენ გაემგზავრა.

10. **„მემუარები სამოქალაქო ომის შესახებ"**. ცეზარის ეს თხზულება მის მიერ სამ წიგნად არის დაწერილი და მოიცავს ძვ. წ. 49 წლის დამდეგიდან, როცა რომში სამოქალაქო ომები დაიწყო, ძვ. წ. 48 წლის ზაფხულის შუახანებამდე, როცა ალექსანდრიის ომი დაიწყო. ეს პერიოდი, მართალია, დროის მიხედვით მცირეა (ორ წელიწადზე ნაკლები), მაგრამ თავისი ხასიათით უაღრესად მშფოთვარეა. „მემუარები სამოქალაქო ომის შესახებ" არ მოიცავს მთლიანად სამოქალაქო ომების ისტორიას, რომელიც 48 წლის შუახანების შემდეგაც გრძელდებოდა და აისახა მისი მიბაძვით სხვების მიერ დაწერილ შრომებში.

ცეზარის მიერ დაწერილი სამოქალაქო ომის ისტორია უაღრესად ტენდენციური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც ავტორი ცდილობს თავის ყველა ღონისძიების გამართლებას. ამიტომ მისი გამოყენება იმდროიდელი ვითარების შესასწავლად, როგორც ისტორიული წყაროსი, შეიძლება მხოლოდ კრიტიკული მიდგომით. ცეზარი ისეთ მოთხოვნას უყენებს სენატს, რომლის მიღებაც კაპიტულაციის თანაბარია, ხოლო როცა სენატი უარს ამბობს ამ წინადადების მიღებაზე, ცეზარი ცდილობს სამოქალაქო ომის დაწყების მთელი პასუხისმგებლობა სენატს გადააბრალოს. ერთი სიტყვით, იგი ცდილობს თავი მოგვაჩვენოს რესპუბლიკისა და კანონების დამცველად.

„ჩემი მიზანია — წერს იგი, — რომ ჩემი თავიცა და ხალხიც გავანთავისუფლო ოლიგარქთა ბრბოს ჩაგვრისაგან".

ამგვარი ტენდენციაა გატარებული სამივე წიგნში. მათში მოთხრობილია ცეზარის მიერ იტალიის ოკუპირება, პომპეუსის გადასვლა თავისი არმიით ბალკანეთში, ცეზარის მიერ სარდინიისა და სიცილიის დაკავება, ესპანეთში პომპეუსის ჯარების განადგურება, შემდეგ ბალკანეთში გადასვლა, პომპეუსის დამარცხება (ფარსალის ბრძოლა, ძვ. წ. 48 წლის ივნისი), პომპეუსის დევნა და ეგვიპტეში ჩასვლა.

კორნელიუს ნეპოტი

კორნელიუს ნეპოტი ძვ. წ. I საუკუნის მოღვაწეა (დაახლ. ძვ. წ. 100—29 წ.წ.). პლინიუს უფროსის გადმოცემით, იგი ავგუსტუსის მმართველობის დროს გარდაიცვალა. მომდევნო პერიოდის ავტორთა ცნობებით, ნეპოტი ციზალპელი გალი იყო.

კორნელიუს ნეპოტი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ცნობილ რომაელ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან: კატულუსთან, ატიკუსთან, ციცერონთან. თვით ციცერონი საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებისა ყოფილა ნეპოტის შემოქმედებაზე. ერთ წერილში მას უკვდავს უწოდებს. კორნელიუს ნეპოტს მრავალგზის მოიხსენიებს პლუტარქე. გეოგრაფ პომპონიუს მელას ნეპოტის მოსაზრებანი ანგარიშგასაწევად მიაჩნია. ისტორიკოსს აფასებს პლინიუს უმცროსიც. აულუს გელიუსი პირდაპირ მიუთითებს, რომ ნეპოტი იყო სიძველეთა დიდი მოყვარული.

კორნელიუს ნეპოტი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. ანტიკურ ავტორთა ცნობებით, იგი წერდა ლექსებს, ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის შრომებს, გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიებს. ნეპოტის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მოღწეულია მხოლოდ ბიოგრაფიების ნაწილი.

პოეტ კატულუსის თანახმად, კორნელიუს ნეპოტს დაუწერია ისტორიული ხასიათის თხზულება „ქრონიკა". ნაშრომში გადმოცემული ყოფილა რომის ისტორია უძველესი დროიდან ძვ. წ. I საუკუნემდე. ნეპოტის ამ ნაშრომს განუცდია ბერძენი ისტორიკოსების გავლენა, განსაკუთრებით აპოლოდორის, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს კატულუსი. „ქრონიკის" პოპულარობაზე მეტყველებს გვიანდელი ეპოქის მწერლების მიერ ამ თხზულების ხშირი ხსენება.

კორნელიუს ნეპოტს დაუწერია აგრეთვე „მაგალითები". კრებულში თავმოყრილია საინტერესო ამბები რომის ისტორიიდან. აქვე ჰქონია გამოთქმული თავისი შეხედულებანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და გეოგრაფიაზე. კრებული ხუთი წიგნისაგან შედგებოდა.

კორნელიუს ნეპოტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები. როგორც მიუთითებენ ავტორს თავიდანვე დაუწერია ცალკეული ბიოგრაფია, ხოლო შემდეგ გაუერთიანებია ვრცელ კრებულში — „გამოჩენილ კაცთა შესახებ", რომელიც 16 წიგნისაგან შედგებოდა. ამ ნაშრომიდან ჩვენამდე მოაღწია ნაწყვეტმა — „გამოჩენილი უცხოელი მხედართმთავრები". მასვე ეკუთვნის რომაელი მოღვაწეების კატონ უფროსისა და ატიკუსის ბიოგრაფიები.

კორნელიუს ნეპოტის ბიოგრაფიები განსაზღვრული პრინციპით იყო შედგენილი. იყოფოდა რამდენიმე ჯგუფად. ისტორიკოსი თანამიმდევრულად აღწერდა მხედართმთავრების, სახელმწიფო მოღვაწეების, ისტორიკოსების, ორატორების, მეფეების, პოეტებისა და გრამატიკოსების ბიოგრაფიებს. პარალელურად, თითოეულ ჯგუფში არარომაელ მოღვაწეებთან (ძირითადად ბერძენ) ერთად, გადმოცემული იყო რომაელის ბიოგრაფია.

„გამოჩენილ კაცთა შესახებ" კორნელიუს ნეპოტს ძვ. წ. 35 წელს დაუმთავრებია, მაგრამ ატიკუსის გარდაცვალების შემდეგ დაუმატებია ატიკუსის და რამდენიმე არაბერძენი (ჰამიკლარ ბარკა, ჰანიბალი და სხვა) მხედართმთავრის ბიოგრაფიაც.

კრებულიდან — „გამოჩენილი უცხოელი მხედართმთავრები" მოღწეულია 23 ბიოგრაფია, მათ შორის რომაელი კატონ უფროსისა და ატიკუსის. განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კორნელიუს ნეპოტს დაწერილი აქვს კართაგანელი სარდლების ჰამილკარისა და ჰანიბალის ბიოგრაფია. მისი ნაშრომით მთელ რიგ საინტერესო ფაქტებს ამ გამოჩენილ სარდალთა ცხოვრებიდან მეტი სინათლე ეფინება.

კორნეულიუს ნეპოტის ბიოგრაფიებს XVI საუკუნის შუახანებამდე IV—V სს. მცხოვრებ პოეტს ემილიუს პრობს მიაწერდნენ. მაგრამ შემდეგში ენის ანალიზისა და ისტორიულ მითითებათა საფუძველზე დაადგინეს, რომ ბიოგრაფიები არ შეიძლებოდა დაწერილიყო IV—V სს. ზიჯნაზე, ვინაიდან აქ არეკლილია რესპუბლიკიდან მონარქიაში გადასვლის მთელი რიგი მომენტები.

კორნელიუს ნეპოტის ბიოგრაფიები ტენდენციური ხასიათისაა. იგი ხშირად მეორეხარისხოვან სარდალს მიაწერს გაცილებით მეტს, ვიდრე იმსახურებს. ნეპოტი ნაკლებად ეხება მხედართმთავართა სამხედრო ხელოვნების დამახასიათებელ მხარეთა ჩვენებას, სამაგიეროდ ვრცლად გადმოგვცემს მათი ხასიათების მეორეხარისხოვან მხარეებს. იგი თავისი პირადი სიმპათიების მიხედვით გვიხატავს ცალკეულ სარდალთა ბიოგრაფიას, რაც მისი თხზულების ღირსებას საგრძნობლად ამცირებს. სამაგიეროდ ნეპოტი ჯეშმარიტი რომაელი პატრიოტია. მისი აზრით, არ შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ რომაელი ხალხი აღემატება ღირსებებით ყველა დანარჩენ ხალხებს. კორნელიუს ნეპოტის მიზანს არ შეადგენს ისტორიული სინამდვილის მეცნიერული სიზუსტით ჩვენება. მისი შემოქმედებიდან ჩანს, რომ ისტორიკოსი გულნატკენია რომაელთა ზნეობრივი დაცემით, უკმაყოფილოა თანამედროვე ცხოვრების მრავალი უარყოფითი მოვლენით და თავის ამოცანად ისახავს მის გამოსწორებას. ნეპოტი ცდილობს მიუთითოს წარსულის ჯანსაღ და შეურყეველ მორალურ სიმტკიცეზე და ამ მიზნით მიმართავს ისტორიას. მისი სურვილია აჩვენოს, რომ რომაელებს არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მსოფლიო ისტორიაში, ვიდრე ბერძნებს. გამოჩენილ ადამიანთა სახეების ჩვენებით იგი ცდილობს აღზარდოს რომაელები არისტოკრატიულ წარმოდგენათა სულისკვეთებით, ამიტომ აიდეალებს თავის გმირებს.

ნეპოტი წარსულის სურათთა ჩვენებით, გმირული მაგალითების მოშველიებით მიმართავს თანამედროვეობას, რომ დაიბრუნოს ძველი ელვარება და მორალური სიწმინდე. ამდენად, ნეპოტის მიზანი კეთილშობილურია, მაგრამ მის სისრულეში მოყვანას ზოგჯერ სწირავს რეალურ სინამდვილეს. იგი ცდილობს თხრობისას იყოს უბრალო, საინტერესო, რომ უფრო აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე.

კორნეულიუს ნეპოტის შემოქმედებიდან ბიოგრაფიების გარდა მოღწეულია მცირეოდენი ფრაგმენტები სხვა წიგნიდანაც. მაგალითად, ერთ-ერთ ნაწყვეტში ლაპარაკია ციცერონის როლზე რომაული კულტურის განვითარების საქმეში.

კორნელიუს ნეპოტი საშუალო რანგის მწერლადაა მიჩნეული. მის მთავარ დამსახურებად ითვლება რომაულ ლიტერატურაში ახალი, ბიოგრაფიული ჟანრის დამკვიდრება.

სალუსტიუს კრისპუსი

ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ისტორიკოსების წინამორბედები ლოგოგრაფოსები იყვნენ, რომში ანალოგიურ როლს ასრულებდნენ ანალისტები. სწორედ მათ მოუმზადეს ნიადაგი ისტორიკოსების გამოჩენას. ციცერონსა და ცეზარს „წმინდა ისტორიკოსებად" ვერ მივიჩნევთ, იმ გაგებით, რომ ერთისათვის მთავარი ორატორული და პოლიტიკური მოღვაწეობაა, მეორისათვის — სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობა. პირველი პროფესიონალი ისტორიკოსი რომში იყო გაიუს სალუსტიუს კრისპუსი.

სალუსტიუსი პირველია რომაულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ამბების მოთხრობიდან მათი შემფასებელი, კომენტატორი გახდა. აქ სალუსტიუსზე უდავო გავლენა იქონია ბერძნულმა ისტორიოგრაფიამ. გარკვეული გაგებით, რომაელი ისტორიკოსი თუკიდიდეს მოწაფეა. ამაზე ბევრს წერდნენ წარსულში. თავის მხრივ, სალუსტიუსმა უდავო გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის ყველა რომაელ ისტორიკოსზე და იმპერიის პერიოდის ისეთ გიგანტებზეც კი, როგორიც ტაციტუსია.

გაიუს სალუსტიუს კრისპუსის ცხოვრების შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. იგი დაიბადა საბინურ ქალაქ ამიტერნში გაიუს მარიუსისა და ლუციუს კორნელიუს ცინას კონსულობის დროს, ძვ. წ. 86 წელს. ამიტერნი საბინების მხარის საკმაოდ თვალსაჩინო ქალაქი იყო.

ისტორიკოსის მშობლები პლებეები იყვნენ. მამასაც გაიუს სალუსტიუსი ერქვა. სალუსტიუსის ბავშვობის წლები ემთხვევა რომის რესპუბლიკისათვის მეტად მრისხანე ხანას — ბრძოლას სულასა და მარიუსის მომხრეებს შორის.

სალუსტიუსი ადრე გადასახლდა რომში. წყაროებში არაა დაცული რაიმე ცნობა მისი განათლების შესახებ, მაგრამ, ეტყობა, მჯევრმეტყველებას სწავლობდა.

ახალგაზრდა ნიჭიერი პროვინციელი რომში შედარებით იოლად დაწინაურდა. ძვ. წ. 58 წელს, როდესაც სალუსტიუსი მხოლოდ 28 წლისა იყო, მან დაიწყო თავისი სამსახურებრივი კარიერა. ეს კარიერა 14 წელს გაგრძელდა.

ძვ. წ. 52 წელს სალუსტიუსი სახალხო ტრიბუნის მეტად მნიშვნელოვან თანამდებობაზეც კი იქნა არჩეული. ამ დროს ფრიად გამწვაევებულია ურთიერთობა უკვე დაშლილ პირველ ტრიუმვირატის (კრასუსი აღარ იყო ცოცხალი) ორ წევრს, ცეზარსა და პომპეუსს შორის. სალუსტიუსი მთელი ენერგიით ილაშქრებს პომპეუსელთა წინააღმდეგ და ცეზარის გავლენიანი მომხრე ხდება.

ძვ. წ. 50 წელს მეტად უსიამოვნო ამბავი მოხდა სალუსტიუსის ცხოვრებაში. ცენზორმა აპიუს კლავდიუსმა სალუსტიუსს ბრალი დასდო უზნეობაში და სენატიდან გარიცხა. ცხადია, ეს პოლიტიკური აქტი იყო. ამით პომპეუსელებმა ანგარიში გაუსწორეს ცეზარის თავგამოდებულ მომხრეს.

სამოქალაქო ომში სალუსტიუსი ასრულებდა ცეზარის სხვადასხვა დავალებებს.

ცეზარის სიკვდილის შემდეგ სალუსტიუსი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოსცილდა. მას ძვ. წ. 38 წელს პართელებზე გამარჯვებულ სარდალ ვენტიდიუსის დავალებით შეუდგენია საზეიმო სიტყვა.

სალუსტიუსი გარდაიცვალა ძვ. წ. 35 წლის 13 მაისს.

ძველად დაწერილი ყოფილა სალუსტიუსის ორი ბიოგრაფია. ერთის ავტორი იყო ახ. წ. პირველი საუკუნის რომაელი მწერალი კვინტუს ასკონიუს პედიანუსი. მან, ისევე როგორც გრამატიკოს ხარიზიუს სოზიმატერის მიერ დაწერილმა ბიოგრაფიამ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა ანტიკური ისტორიკოსებისათვის ეს ფაქტი კარგად იყო ცნობილი.

სალუსტიუსის ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი არაა. მის კალამს ეკუთვნის ორი წერილი ცეზარისადმი, ორი მონოგრაფია — „კატილინას შეთქმულება" და „იუგურთას ომი". ძირითადი ნაშრომიდან — „ისტორია", მხოლოდ ნაწყვეტებიღა დარჩა.

სალუსტიუსის ორი წერილი ცეზარისადმი დიდხანს ყალბად ითვლებოდა. მათ ასეთად მიიჩნევდა მომზენი. იორდანმა დაასკვნა, რომ წერილების ავტორი ფლავიუსებისა და ანტონინების პერიოდის რომელიმე რიტორი უნდა ყოფილიყო, რომელიც საკმაოდ მარჯვედ ბაძავდა სალუსტიუსის სტილს. ეს აზრი უარყოფილი იყო XIX ს. დასასრუ-

ლამდე. XX ს. დასაწყისში ჯერ რ. პოელმანმა, ხოლო შემდეგ ედ. მაიერმა გამოთქვეს აზრი, რომ წერილები ნამდვილად სალუსტიუსის კალამს ეკუთვნის. წერილების ენა და სტილი დაწვრილებით შეისწავლეს ანა მარია ჰოლბორნმა და ბ. ედმარმა. მათ დაამტკიცეს, რომ ორივე წერილი ნამდვილად სალუსტიუსისაა.

წერილებმა ჩვენამდე მოაღწია ვატიკანის X ს. ხელნაწერში. ადრეული წერილი რატომღაც მეორე ადგილზე იყო, შემდგომი დროისა კი — პირველზე. მეცნიერებაში დამკვიდრდა ეს მცდარი ნუმერაცია.

პირველი წერილი დაწერილი უნდა იყოს ძვ. წ. 51—50 წწ., მეორე სამოქალაქო ომის პერიოდში.

წერილები საყურადღებოა იმითაც, რომ მასში ბევრ ცნობას ვნახულობთ ძვ. წ. პირველი საუკუნის რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

ფრიად საინტერესო ნაწარმოებია „კატილინას შეთქმულება", რომელიც სალუსტიუსმა დაწერა ცეზარის სიკვდილის შემდეგ ძვ. წ. 44 ან 43 წელს. მასში ასახულია რესპუბლიკის დასასრულის პერიოდის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა — კატილინას მიერ რომში არსებული ხელისუფლების დამხობის ცდა.

„კატილინას შეთქმულების" შესავალში (1—4 თავები) სალუსტიუსი გადმოგვცემს თავის შეხედულებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა ცხოვრება: თითოეული უნდა ესწრაფოდეს მოიხვეჭოს სახელი, ხელი აიღოს უსაქმურობასა და ფუქსავატურ დროსტარებაზე.

სალუსტიუსი წერს, რომ თავისთვის ყველაზე უფრო შესაფერად მიიჩნია ისტორიკოსის საქმიანობა: „მე მიზნად დავისახე დამეწერა რომაელი ხალხის ისტორია ცალკე ეპოქების მიხედვით, იმ ამბების ამორჩევით, რომლებიც მოხსენების ღირსად მეჩვენებოდა. ეს შრომა მით უფრო შემეფერებოდა, რადგან თავისუფალი ვიყავი იმედისა, შიშისა და პარტიული სულისკვეთებისაგან".

სალუსტიუსმა მიზნად დაისახა მოეცა რომაული ნობილიტეტის გახრწნის სურათი და საღებავები არ დაიშურა მისი წარმომადგენლის კატილინას პორტრეტის დასახატავად. ამით მან მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ ბრძოლაში და აშკარად ვერ გაამართლა თავისი სიტყვები იმის შესახებ, თითქოს თავისუფალი იყო „პარტიული სულისკვეთებისაგან". „ლუციუს კატილინა, — წერს სალუსტიუსი, — წარჩინებული გვარის ჩამომავალი, მტკიცე სულიერი და ფიზიკური ძა-

ლის მქონე, გამოირჩეოდა ბოროტი და წამხდარი ხასიათით. უკვე ჭაბუკობის წლებიდან ხიბლავდა შინაბრძოლები, მკვლელობანი, ძარცვა-გლეჯა, სამოქალაქო არეულობანი, ფიზიკურად მაგარი იყო, ადვილად იტანდა შიმშილს, სიცივესა და უძილობას. იგი იყო გამბედავი, გაიძვერა, ცვალებადი, ცბიერი, არაგულწრფელი, ხარბი სხვისი საკუთრების მიმართ, მფლანგველი, ფიცხი და ქინიანი. საკმაოდ მჭევრმეტყველი და ნაკლებად კეთილგონიერი. მის გაუმაძღარ სულს მუდამ სწყუროდა რაღაც უსაზღვრო, დაუჯერებელი, მიუწვდომელი".

კატილინას მიზანი ერთი იყო — რომში უმაღლესი ხელისუფლების ხელში ჩაგდება. როგორც სალუსტიუსი წერს, მან თავი მოუყარა ზნედაცემულ და გახრწნილ ახალგაზრდებს, რომლებიც იმდროინდელ რომში მრავლად იყვნენ, აღუთქვა მათ სიმდიდრე და თანამდებობები.

გამოუტანა რა სასტიკი განაჩენი კატილინას, სალუსტიუსს თითქოს ქებით უნდა მოეხსენებინა კონსული ციცერონი, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა შეთქმულების გამომჟღავნების საქმეში. სალუსტიუსი არ უარყოფს ციცერონის დამსახურებას, მაგრამ მიუსედავად ამისა, მთელ ნაწარმოებში გამოსჭვივის ისტორიკოსის თავშეკავებული დამოკიდებულება ამ პოლიტიკური მოღვაწისადმი. სამაგიეროდ, სალუსტიუსი არ მალავს თავის აშკარა სიმპათიას ცეზარისადმი. მეცნიერებაში გამოითქვა აზრი, რომ „კატილინას შეთქმულების" დაწერის მიზანი სწორედ ცეზარის გამართლება გახლდათ, რომელსაც ამ შეთქმულებაში მონაწილეობას აბრალებდნენ. ცეზარი კატილინას ზურგს უკან იდგა და მისი გამარჯვების შემთხვევაში შეეცდებოდა დაეკავებინა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა რომში. სალუსტიუსი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ცეზარს არ შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე საერთო კატილინას მსგავს ბოროტმოქმედთან.

სალუსტიუსი უარყოფითად უყურებს თავისი დროის საზოგადოებას როგორც ნობილიტეტს, ისე პლებსსაც, რომელიც ამ ნობილიტეტმა გარყვნა. მისი იდეალი წარსულშია, ქალაქ-სახელმწიფოში. სწორედ აქეთკენ დაბრუნებას სთავაზობს იგი თავის პირველ წერილში ცეზარს მაგრამ, ცხადია, ეს იდეა იმ დროისათვის უტოპიური იყო. რომის რესპუბლიკა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ავტორის გარკვეული ტენდენციურობისა და ზოგიერთი ფაქტობრივი უზუსტობის მიუხედავად, „კატილინას შეთქმულება" შესანიშნავ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. იგი დაწერილია საუცხოო ოსტატის

მიერ. პლუტარქე, აპიანე და დიონ კასიოსი იყენებენ „კატილინას შეთქმულებას", როგორც წყაროს. ამ მონოგრაფიის საუკეთესო ადგილებად უნდა მივიჩნიოთ: 1. ძველი რომის საზოგადოების აღწერა, ზნეობის თანდათანობით დაცემა (5—13 თავები), 2. კატილინას დახასიათება (6 და 14—16 თავები), 3. ცეზარის და კატონის სიტყვები სენატში (51 და 52 თავები).

„კატილინას შეთქმულებას" ერთი თავისებურება ახასიათებს: სალუსტიუსი თითქმის არსად ასახელებს წყაროებს. ფუნაიოლი ფიქრობს, რომ იგი ამას აკეთებს პრინციპული მოსაზრებით. ადრეული რომაული და ბერძნულ-ელინისტური წყაროების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმ ნაშრომებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს სალუსტიუსზე და პირდაპირი წყაროც კი გახდნენ მისთვის.

სალუსტიუსს უდავოდ ხელთ ჰქონდა უმცროსი ანალისტების ნაშრომები. ამის დასამტკიცებლად თუნდაც ისიც გამოგვადგება, რომ ისტორიკოსი თვით ასახელებს კორნელიუს სიზენას. ანალისტების მსგავსად, იგი ცდილობს რაც შეიძლება მიმზიდველად წარმოგვიდგინოს რომის სახელმწიფო წარსულში, რათა იგი მაგალითისათვის გამოადგეს არა მარტო მის თანამედროვე რომაელებს, არამედ ამავე მიზნებს ემსახურებოდეს მომავალშიც.

ამ მონოგრაფიის დასაწერად სალუსტიუსს სხვა მრავალრიცხოვანი წყაროები უნდა ჰქონოდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ციცერონის ანტიკატილინური სიტყვები, აგრეთვე, მისი გამოსვლები უფრო მოგვიანებით იმ პირთა დასაცავად, რომლებსაც ასე თუ ისე ბრალდებოდათ შეთქმულებაში მონაწილეობა (მურენა, სულა). მანვე, ეტყობა, გამოიყენა მარკუს ტულიუს ციცერონის პოემა და მისი ძმის კვინტუსის სახელმძღვანელო —არჩევნებში მონაწილეთათვის. გარდა ამ მასალებისა, სალუსტიუსს გამოადგებოდა პირადი მოგონებებიც (შეთქმულების დროისათვის 23 წლის იყო). ამავე დროს, სალუსტიუსს, როგორც სენატორს, ხელი მიუწვდებოდა ოფიციალურ დოკუმენტებამდეც. გარდა ამისა, ისტორიკოსს საშუალება ჰქონდა ესაუბრა წამყვან სახელმწიფო მოღვაწეებთან, შეთქმულების თანამედროვეებთან.

სალუსტიუსის მეორე მონოგრაფიაა „იუგურთას ომი". ეს ნაწარმოები მიეძღვნა მეორე საუკუნის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენას — რომის ბრძოლას ნუმიდიის მეფე იუგურთას წინააღმდეგ.

ნაწარმოების შესავალში, ისევე, როგორც „კატილინას შეთქმულების“ დასაწყისში, სალუსტიუსი ლაპარაკობს იმ მიზეზებზე, რომლებმაც იგი აიძულეს მიეტოვებინა პოლიტიკური მოღვაწეობა და მთელი თავისი დრო ისტორიისათვის მიეძღვნა. ისტორიკოსი გადაკვრით ლაპარაკობს ცეზარის სამწუხარო ხვედრზე (იუგურთას ომი, 3) და თავის პოლიტიკური კარიერის დასასრულზე. როგორც ყოველთვის, სალუსტიუსი უარყოფით შეფასებას აძლევს ცეზარის მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგის პომპეუსის მოღვაწეობას.

საინტერესოა თავები, მიძღვნილი ნუმიდიის ადრეული ისტორიისადმი (5—10). ამ ქვეყნის მეფე მასინისამ მეორე პუნიკურ ომში ფასდაუდებელი სამსახური გაუწია რომს კართაგენის წინააღმდეგ. იგი, ისევე როგორც მისი შვილი მიციპსა, „რომაელი ხალხის მეგობრის“ ტიტულს ატარებდა. მიციპსას ორი შვილი ჰყავდა: ადჰერბალი და ჰიემპსალი. მათთან ერთად მიციპსამ ნუმიდია თავის ძმისწულ იუგურთასაც დაუტოვა. მიციპსას ჯერ არ უნდოდა ამის გაკეთება და ერთხანს იუგურთა თავიდანაც კი მოიშორა, ნუმანციაში გაგზავნა, სადაც ივი რომაელების ლაშქარში იბრძოდა. ამ ომში იუგურთამ დიდი სახელი მოიხვეჭა და მომაკვდავი მეფე მიციპსაც იძულებული გახდა ნუმიდიის ერთი ნაწილი მისთვის დაეთმო.

მიციპსამ სამივე მემკვიდრეს ანდერძი დაუტოვა ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდათ და ისე ემართათ ნუმიდია. მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. იუგურთამ მოკლა ჰიემპსალი და გაილაშქრა ადჰერბალის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა დახმარებისათვის რომს მიმართა.

რომისა და იუგურთას ურთიერთობის აღწერამ სალუსტიუსს საშუალება მისცა, მოეცა რომაული ნობილიტეტის ზნედაცემულობის შემზარავი სურათი. ნობილიტეტი, რომელიც ამ პერიოდისათვის რომის ბატონ-პატრონი იყო, სრულიად უმოქმედო, გამყიდველ ფენას წარმოადგენდა. მან ვერაფერი დააკლო ისეთ უმნიშვნელო მეფესაც კი, როგორიც იუგურთა იყო. სალუსტიუსი წერს, რომ იუგურთა ჩინებულად იცნობდა რომს. მაშინაც კი როდესაც მასა და რომს შორის საომარი მოქმედება დაიწყო, იგი დარწმუნებული იყო, რომ საჭიროების ჟამს, ყოველთვის შეძლებდა მოწინააღმდეგის სარდლების მოქრთამვას.

ქრთამის მეშვეობით რომაელ სენატორთაგან შემდგარმა კომისიამ, როდესაც იუგურთა და ადჰერბალი შეარიგა, ნუმიდიის უმთავრესი ნაწილი სწორედ იუგურთას მიაკუთვნა. იუგურთა საბოლოოდ დარწმუ-

ნდა, რომ ფულით იგი რომაელებს იმას გააკეთებინებდა, რაც სურდა. მან დაარღვია საზავო პირობები და ალყა შემოარტყა ნუმიდიის დედაქალაქ ცირტას, სადაც ადჰერბალი იყო გამაგრებული. რომაელებს ცირტისთვის ქმედითი დახმარება არ გაუწევიათ. იუგურთამ ქალაქი აიღო, ადჰერბალი ჯვარს გააკრა და, ნუმიდიელებთან ერთად, ცირტაში მყოფი დიდძალი რომაელი ვაჭრები და ხელოსნებიც ამოხოცა. სალუსტიუსი ამ ამბავს განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რათა დაამტკიცოს, რომ გახრწნილი ნობილიტეტის უმოქმედობამ რომაელი მოქალაქეები შეიწირა.

სალუსტიუსი აღწერს ამ შემზარავი ფაქტის გამოძახილს რომში. მხედრები სერიოზულად შეფიქრიანდნენ. სახალხო ტრიბუნმა — გაიუს მემიუსმა მოითხოვა იუგურთას რომში გამოძახება და მისთვის პასუხის მოთხოვა. ამ ტრიბუნის სიტყვა „იუგურთას ომის" ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილია (იუგურთას ომი, 30). იუგურთა იძულებული გახდა თავის გასამართლებლად რომში ჩამოსულიყო, მაგრამ ნუმიდიის მეფეს, როგორც ყოველთვის, ქრთამმა უშველა. იუგურთამ მოისყიდა მეორე სასალხო ტრიბუნი — გაიუს ბებიუსი, რომელმაც მას „აუკრძალა" ეპასუხა ბრალმდებლის კითხვაზე. ამ თავში სალუსტიუსი, გასაგებია, აგრძელებს რომის მმართველი წრეების კრიტიკას, რომელსაც იგი დიდი ხელოვნებით აწარმოებს. იუგურთა მისმა რომაელმა დამქაშებმა თითქმის უკვე ააცდინეს განსაცდელს, როდესაც მან ახალი შემზარავი დანაშაული ჩაიდინა: მიგზავნილი მკვლელის ხელით სიცოცხლეს გამოასალმა ნუმიდიის ტახტის კიდევ ერთი პრეტენდენტი, მასინისას შვილიშვილი მასივა. ახლა უკვე იუგურთას ვეღარაფერი უშველიდა. მიღებული იქნა დადგენილება მისი რომიდან გაძევების შესახებ. იუგურთამ წამოიძახა: „ოჰ, სინდისგარეცსილო ქალაქო, შენს არსებობას ბოლო მოეღება, როდესაც კი შესაფერი მუშტარი გამოგიჩნდება" (იუგურთას ომი, 35). სალუსტიუსი წერს, რომ საომარი მოქმედების განახლებამ კარვი შედეგი ვერ მოუტანა რომაელებს. სარდალმა ავლუს პოსტუმიუსმა ვერაფერი დააკლო იუგურთას და იძულებული გახდა დაედო სამარცხვინო ზავი. საქმეს ვერც ავლუს პოსტუმიუსის ძმამ, სარდალმა სპურიუს ალბინუსმა უშველა.

ნობილიტეტის დანარჩენი წარმომადგენლისაგან განსხვავებით, სალუსტიუსი აშკარად როდი ესხმის თავს მეტელუსს, რომელიც სენატმა დანიშნა აფრიკაში მოქმედი არმიის სარდლად. მაგრამ სალუსტიუ-

სი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეტელუსმა კი არა, არამედ პოპულარების სახელოვანმა წარმომადგენელმა გაიუს მარიუსმა ჩამორეცხა რომს საშინელი ლაქა და გამარჯვებით დაამთავრა ომი იუგურთასთან.

მთელი ნაწარმოების მანძილზე სალუსტიუსი არ მალავს თავის სიმპათიას მარიუსისადმი, რომელსაც შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „მამაჩემისაგან და პატიოსან კაცთაგან მე ის შევითვისე, რომ ფუფუნებით ცხოვრება ქალების საქმეა, მამაკაცებს კი შეშვენის შრომა... მათი სამკაულია იარაღი" (იუგურთას ომი, 85).

შესანიშნავადაა აღწერილი კონსულობის ორი კანდიდატის, მეტელუსისა და მარიუსის მეტოქეობა: „საერთოდ, ამა თუ იმ კანდიდატის შეფასებისას პარტიულ ანგარიშსა და მოსაზრებას უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თითოეული მათგანის ღირსებასა და ნაკლს... პლებსი იმდენად იყო აღგზნებული, რომ ხელოსნებმა და გლეხებმა, რომელთა მთელ ავლადიდებას და კრედიტს მათი საკუთარი მარჯვენის ნაწარმოები შეადგენდა, მიატოვეს სამუშაო და მარიუსის გარშემო შემოიკრიბნენ, თვლიდნენ რა მის დაწინაურებას თავის არსებით საჭიროებებზე უფრო მნიშვნელოვნად. ამ მიზეზის გამო, დიდკაცობა დამარცხდა და პირველად, მრავალი წლის შემდეგ, კონსულობა მიეცა „ახალ კაცს" (იუგურთას ომი, 73).

სალუსტიუსმა მოგვცა მარიუსის საუცხოო პორტრეტი. ამ პოლიტიკური მოღვაწის მრავალ ღირსებაზეა ლაპარაკი იმ სიტყვაში, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსი მარიუსს ათქმევინებს:

„წარმოიდგინეთ, რას მოიგებდით თქვენ, ჩემ მაგიერ რომ სხვა ვინმე აგერჩიათ, იმ პატივცემული წოდებიდან, რომელსაც აქვს მთელი წყება პორტრეტებისა, მათ კედლებს რომ ამკობენ, მაგრამ სრულებით არ გააჩნია გამოცდილება სამხედრო საქმეში... შემადარეთ მე მათთან. რაც მათ იციან წიგნებით ან განაგონით, ყოველივე ამის მოწმე და მომქმედი პირი მე ვიყავი. ის, რაც უნდათ მათ წიგნებში მოძებნონ, მე ყოველივე ეს პრაქტიკულად შევიძინე. ვფიქრობ, რომ ადამიანი ბუნებით ყველა თანასწორია, კეთილშობილია ის, ვინც უფრო მეტად ღირსეულია. მე ის კი არ მაშინებს, რომ უმეცრებაში ბრალს მდებენ, მართალია, არ გამაჩნია ხელოვნება ნადიმების გამართვისა, არ ვინახავ სახლში მსახიობებსა და ძვირადღირებულ მზარეულებს. მე სოფლელი კაცი ვარ და მდაბიო. რაც შეგეხებათ თქვენ, გახსოვდეთ,

რომ არასდროს არ მიგატოვებთ საშიშროების დროს ყოველთვის თქვენთან ერთად ვიქნები და გავიზიარებ თქვენს შრომას" (იუგურთას ომი, 85).

როგორც ითქვა, „იუგურთას ომში" სალუსტიუსი რამდენადმე აგრძელებს „კატილინას შეთქმულებაში" აღებულ ხაზს, კვლავ მკაცრად აკრიტიკებს რომაულ ნობილიტეტს და უპირისპირებს მათ პოპულარების წარმომადგენლებს. ზოგ შემთხვევაში ნობილიტეტის წარმომადგენელთა კრიტიკა ოსტატურადაა შენიღბული (მაგალითად, მეტელუსის მიმართ).

სალუსტიუსი შესანიშნავად იცნობდა ამ მონოგრაფიის დაწერისათვის საჭირო პირველწყაროებს. ჯერ ერთი, მას უნდა გამოეყენებინა სულას, ემილიუს სკავრუსის, რუტილიუს რუფუსის მემუარები, ის ნაშრომები, რომლებიც არსებობდა მარიუსის შესახებ. „იუგურთას ომის" მეჩვიდმეტე თავში ნათქვამია, რომ ისტორიკოსი იცნობდა მეფე ჰიემპსალის წიგნსაც, რომელიც დაწერილი იყო ფინიკიურ ენაზე და ვიღაცას სპეციალურად უთარგმნია სალუსტიუსისათვის. სალუსტიუსი წლების განმავლობაში თვით იყო ნუმიდიის პრეტორი და შესანიშნავად იცნობდა ამ მხარეს.

სალუსტიუსის მესამე და უმთავრესმა ნაწარმოებმა — „ისტორიამ" ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ნაწყვეტების სახით. იგი მიძღვნილი იყო სალუსტიუსის თანადროული ამბებისადმი. თხრობა იწყებოდა ძვ. წ. 78 წლიდან. ეს ნაწარმოები, ეტყობა, სალუსტიუსს ჩაფიქრებული ჰქონდა ჯერ კიდევ „იუგურთას ომზე" მუშაობის დროს. ამაზე მიგვითითებს ერთი ფრაზა „იუგურთას ომის" 95-ე თავიდან, რომ სხვა ადგილას იგი (სალუსტიუსი) აღარ აპირებს შეეხოს სულას მოქმედებას.

„ისტორია" 5 წიგნისაგან შედგებოდა დ მოიცავდა ძვ. წ. 78—66 წწ. ამ ხნის განმავლობაში რომის ისტორიაში არაერთი საინტერესო მოვლენა მოხდა. ერთი მათგანი იყო კონსულ ლეპიდეს გამოსვლა, რომელიც მიზნად ისახავდა სულას ოლიგარქიული კონსტიტუციის დამხობას; ესპანეთში წარმოებდა ომი სერტორიუსთან; იტალიაში დაიწყო მონათა მძლავრი აჯანყება სპარტაკის მეთაურობით; ამავე წლებს მიეკუთვნება მითრიდატესთან მესამე ომი, პომპეუსის ღონისძიებები მეკობრეთა წინააღმდეგ და ა. შ.

„ისტორიამ" ჩვენამდე ვერ მოაღწია. ზოგი ნაწყვეტი შემონახულია ძველი მწერლების ნაწარმოებებში. რამდენიმე მათგანი საკმაოდ ვრცელია და მნიშვნელოვან ცნობებსაც გვაწვდის. ესენია: ლეპიდუსის, ფი-

ლიპეს, კოტას, მაკრუსის სიტყვები, პომპეუსისა და მითრიდატეს წერილები. სულ შემორჩენილია 500 ნაწყვეტი, რომელთა უდიდესი ნაწილი საკმაოდ პატარა ფრაგმენტებია. ჩვენ საშუალება გვაქვს, ასე თუ ისე, ვიმსჯელოთ „ისტორიის" შესახებ.

თუ „კატილინას შეთქმულება" და „იუგურთას ომი" იწყებოდა ვრცელი ფილოსოფიური შესავლით, ასეთ შესავალს „ისტორიაში" უკვე ველარ ვხვდებით. სალუსტიუსი გაკვრით ლაპარაკობს რომაელთა ისტორიულ ნაშრომებზე (ანალისტებზე), ეხება კართაგენის დამხობასაც.

საყურადღებოა ლეპიდუსის სიტყვა. ეს არის პოლიტიკური დემაგოგის გამოსვლის ტიპური ნიმუში. მაკრუსის სიტყვა დემოკრატიის თავისებურ პროგრამას წარმოადგენს.

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ „კატილინას შეთქმულებას" და „იუგურთას ომთან" შედარებით, „ისტორიას" ნაწყვეტები ნაკლებადაა შესწავლილი.

სალუსტიუსმა ბერძნული ისტორიოგრაფიის საგრძნობი გავლენა განიცადა. განსაკუთრებით ბევრი რამ ანათესავებს მას თუკიდიდესთან. თუკიდიდეს მსგავსად ირჩევს ისტორიის რომელიმე გარკვეულ პერიოდს და ისევე, როგორც თუკიდიდე, ამ პერიოდის თანამედროვეა. სალუსტიუსი კარგად იცნობდა არჩეულ ხანას, ესმოდა მისი მნიშვნელობა. თუკიდიდესაგან შეითვისა მან მაღალი შეხედულება ისტორიკოსის დანიშნულებაზე. გავიხსენოთ ისიც, რომ რომაელი ისტორიკოსი, თუკიდიდეს მსგავსად, ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ სიმართლეს წერს.

როგორც ცნობილია, წარსულში თუკიდიდეს ჰქონდა მიუკერძოებელი ისტორიკოსის სახელი. სალუსტიუსი, თავის მხრივ, ცდილობდა ასეთივე შთაბეჭდილება შეექმნა.

სალუსტიუსის ნაწერებში ხშირად ვხვდებით ექსკურსებს, თხრობის ძირითადი ხაზიდან გადახვევას. ესეც თუკიდიდეს გავლენის შედეგია. ეს გადახვევები არ ატარებენ განყენებულ ხასიათს, ისინი განუყრელად არიან დაკავშირებული ძირითად ქარგასთან.

სწორედ თუკიდიდეს გავლენით ამაღლდა სალუსტიუსი ფაქტების მთხრობელიდან მათ შემფასებლამდე. სალუსტიუსი ცდილობდა მკითხველის ყურადღება გაემახვილებინა მოვლენების წარმომშობ მიზეზებზე და მათ შედეგებზე.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ სალუსტიუსი უდავოდ ჩამოუვარდება თუკიდიდეს მოვლენების კრიტიკულად შეფასებაში. პოლიტიკური

ტენდენცია მას აიძულებს ზოგ შემთხვევაში ფაქტები შეალამაზოს, ზოგი მოღვაწის დამსახურება არ აღნიშნოს, ზოგჯერ ფაქტებს თავისუფლად მოექცეს.

სალუსტიუსის სახით რომაულმა ისტორიოგრაფიამ თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ. ანალისტებისაგან განსხვავებით, სალუსტიუსი შემოიფარგლა ერთი გარკვეული ისტორიული პერიოდით და მას მიუძღვნა თავისი ნაშრომი. ეს ნაშრომები მშრალი ქრონიკა როდია. სალუსტიუსის ისტორიულ მონოგრაფიებში ცოცხლადაა ასახული რომის მძაფრი პოლიტიკური ვითარება. ამავე დროს, ისევე როგორც ყველა მანამდელი რომაელი ისტორიკოსი, სალუსტიუსი პრაქტიკული მიზნებისათვის წერდა. იგი მიზნად როდი ისახავდა ისტორიული ჯეშმარიტების დადგენას მხოლოდ ამ ჯეშმარიტების გულისათვის, არამედ თავისი ნაშრომებით აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ ბრძოლაში.

ტიტუს ლივიუსი

ანტიკური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ტიტუს ლივიუსი დაიბადა ძვ. წ. 59 წელს ტრანსპადანური გალიის ქ. პატავიუმში (ამის გამო ლიტერატურაში ზოგჯერ „პატავიელადაც" იწოდება). ლივიუსი ეკუთვნოდა პროვინციულ არისტოკრატიას; მისი ოჯახის ზოგიერთი წევრი თვალსაჩინო როლს თამაშობდა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში. დაახლოებით 15 წლის ასაკში ჩასულა ლივიუსი რომში, სადაც საფუძვლიანი რიტორიკული განათლება მიუღია. იგი შორს იდგა პოლიტიკური ცხოვრებისაგან, მაგრამ ამავე დროს ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმპერატორ ავგუსტუსთან. მოხუცებულობაში ლივიუსი დაბრუნდა სამშობლოში, სადაც გარდაიცვალა ახ. წ. 17 წელს.

ტიტუს ლივიუსის მოღვაწეობა დაემთხვა იმპერატორ ავგუსტუსის ხანას. ამ გარემოებამ მრავალმრხივ განაპირობა მწერლის შემოქმედების საერთო ხასიათი. პოლიტიკური მართვა-გამგებლობის ახალ სისტემას, რომლის ფორმალურ გამოხატულებას „პრინცეპსის" ძალაუფლება წარმოადგენდა, იმპერატორი ავგუსტუსი უდიდესი სიფრთხილითა და წინდახედულობით ამკვიდრებდა. საზოგადოებაში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული რესპუბლიკურ ტრადიციებს. რესპუბლიკური წყობილება რომის ხალხმა დათმო მხოლოდ იმის გამო,

რომ ერთმმართველობამ შეძლო სამოქალაქო ომების შეწყვეტა. საზოგადოებამ ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნა აღიქვა არა როგორც საუკეთესო გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან, არამედ როგორც შედარებით ნაკლები ბოროტება. ეს გარემოება მრავალი, ძნელად გადასაჭრელი ამოცანის წინაშე აყენებდა პრინცეპსს. ავგუსტუსს კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო ძალაუფლების საფუძვლების განმტკიცება. საამისოდ გამიზნულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი ქმედითი იარაღი ერთმმართველობის იდეოლოგიური პროპაგანდა იყო, სადაც გადამწყვეტი როლი ლიტერატურული დარგის მოღვაწეებს უნდა შეესრულებინათ. ამიტომ, რომში, რომელიც ლიტერატურული ცენტრი იყო, ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის მუშაკებს შემოქმედებითი მუშაობის ფართო შესაძლებლობა შეექმნათ. ვერგილიუსი, ჰორაციუსი და ავგუსტუსის ეპოქის სხვა პოეტები, რომელთა ნაწარმოებები რომის ლიტერატურის ე. წ. „ოქროს საუკუნის" საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, თავისი მაღალმხატვრული პოეტური შემოქმედებით ემსახურებოდნენ ერთმმართველობის შექმნის მიზანშეწონილობის პროპაგანდას. ავგუსტუსის პოეტებს ვიწრო მეგობრულ წრედ აერთიანებდა არა მარტო ერთნაირი მსოფლმხედველობა ხელოვნებაზე, არამედ ღრმა, გულწრფელი რწმენა იმ პოლიტიკური რეჟიმის აუცილებლობისა, რომელმაც რომი საბოლოო მშვიდობამდე... მიიყვანა.

ანალოგიურ ასპექტში ქმნიან თავის ნაწარმოებებს ამავე ეპოქის მხატვრული პროზისა და, კერძოდ, ისტორიული ჟანრის მწერლები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტუს ლივიუსი იყო.

ლივიუსის ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ჩვენს დრომდე მოაღწია ისტორიულმა ნაშრომმა, რომელიც შედგებოდა 142 წიგნისაგან[1] ამ დიდი შრომიდან შემორჩა მხოლოდ მცირე ნაწილი — 35 წიგნი; კერძოდ, I—X და XX—XLV წიგნები (ამათ გარდა XVI და XVIII წიგნები ნაკლულია). ლივიუსის ნაშრომში მოთხრობილი იყო რომის ისტორია უძველესი დროიდან (იტალიაში ენეასის მოსვლიდან) ძვ. წ. 9 წლამდე. შრომის შემორჩენილ მონაკვეთში თხრობა მთავრდება ძვ. წ. 167 წლით.

---

[1] ლივიუსს დაწერილი აქვნია, აგრეთვე, ფილოსოფიური შინაარსის დიალოგები და ეპისტოლარული ფორმის ნაწარმოებები — წერილები შეილისადმი; ამ ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

წარმოდგენას ლივიუსის ისტორიული ნაშრომის დაკარგულ ნაწილებზე რამდენადმე ავსებს ზოგიერთი გვიან აღმოჩენილი ფრაგმენტი და სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებებში ჩართული ნაწილები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზნით ლივიუსის თხზულებიდან შედგენილ რამდენიმე ამონაკრეფს. ასეთებია:

1. „პერიოქები" — შეიცავდა თითოეული წიგნის მოკლე შინაარსს (გარდა 136 და 137 წიგნებისა).

2. ამონაკრეფი, რომელიც შეიცავდა თხრობას საოცარ მოვლენებზე ძვ. წ. 190—12 წლებში საფუძვლად დაუდო ისტორიკოსმა იულიუს ობსექვენსმა (ახ. წ. II ს.) თავის ნაშრომს, რომელსაც ეწოდებოდა „საოცარ მოვლენათა შესახებ".

3. კასიდიორუსის ქრონიკა (ახ. წ. V—VI სს) შეიცავს რომის კონსულთა ლივიუსისეულ სიას ძვ. წ. 31 წლამდე.

4. ზოგიერთ ამონაკრეფს შეიცავს ე. წ. ოქსირინქის პაპირუსი, აღმოჩენილი 1903 წელს.

დადასტურებულად ითვლება, რომ ლივიუსის ისტორიული თხზულებით სარგებლობდნენ მოგვიანო ხანის ანტიკური მწერლები: ფლორუსი, ლიცინიანუსი, ევტროპიუსი, ოროზიუსი და სხვები. ის გარემოება, რომ ლივიუსის ტექსტთან დამთხვევების გვერდით, მათ ნაშრომებში შეიმჩნევა გადახრები და საერთო შეცდომები, მკვლევრებს ავარაუდებინებს, რომ მათ ხელთ ჰქონდათ არა ლივიუსის თხზულების პირვანდელი ვარიანტი, არამედ ამონაკრეფი, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში „ეპიტომა" ეწოდება.

ლივიუსის ისტორიული ნაწარმოების ზუსტი სათაური ცნობილი არ არის; თვით ლივიუსი მას ზოგჯერ „ანალებს" (XIII, 13, 2), უწოდებს, პლინიუს უფროსი — „ისტორიებს", ხოლო პერიოქებში, ანტიკურ ავტორთა შრომებსა და უძველეს ხელნაწერებში ნაწარმოებს ეწოდება „წიგნები ქალაქის დაარსებიდან".

ლივიუსს მიზნად დაუსახავს დაეწერა რომის ისტორია უძველესი დროიდან. ნაშრომის შესავალში წერს: მისი მიზანია უკვდავყოს ყველაზე „საუკეთესო ხალხის საქმენი" (I, I), რომის ისტორიას იგი გადმოსცემს, როგორც რომაელი ხალხის გმირულ წარსულს. თავის თხრობაში ლივიუსი აცოცხლებს ამ წარსულის ყველაზე შთამბეჭდავ ეპიზოდებსა და გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა მოღვაწეობას.

პოლიტიკური მსოფლმხედველობით ლივიუსი რესპუბლიკური მმართველობის მომხრე იყო, რასაც აშკარად ამეღავნებდა როგორც ისტორიულ პიროვნებათა დახასიათებაში, ისე რესპუბლიკური დაწესებულებების შეფასებაში. ტაციტუსის ცნობით, დაუფარავი რესპუბლიკური განწყობილებისათვის, იმპერატორმა ავგუსტუსმა მას მეტსახელად „პომპეუსელი" უწოდა. მიუხედავად ამისა, ლივიუსი არათუ არ იყო ოპოზიციურად განწყობილი ერთმმართველობის მიმართ, არამედ თავისი კალმით ხელს უწყობდა მის განმტკიცებას. საქმე იმაშია, რომ ავგუსტუსის საშინაო პოლიტიკაში დიდი ადგილი ეჭირა ღონისძიებებს, რომელთა მიზანი ძველი რესპუბლიკური ტრადიციების აღდგენა იყო. პრინცეპსის ეს რესტავრატორული საქმიანობა მიზნად ისახავდა საზოგადოების მაღალი ფენების პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებას და პრინციპატის იდეურ-პოლიტიკური საფუძვლების განმტკიცებას. ამდენად, რესპუბლიკის წარსულის აღდგენა მაღალმხატვრულ ისტორიულ ნაწარმოებში, სადაც რომაელების გმირული წარსული ნაჩვენები იყო საუკეთესო მაგალითების სახით, საგსებით უპასუხებდა ავგუსტუსის პოლიტიკურ ინტერესებს. წარსულის საუკეთესო მაგალითების წარმოჩენით ლავიუსი ასაბუთებდა იმპერიის, ანუ ერთმმართველობის შექმნის კანონზომიერებას. ტენი წერს, ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს, თუ როგორ გადაიქცა სამყარო რომის საკუთრებად, ხოლო თვითონ რომი — იმპერატორის საკუთრებად.

ლიტერატურაში დიდი ხანია დგას საკითხი ლივიუსის ნაშრომის ისტორიოგრაფიული ღირებულების შესახებ. ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ლივიუსის ისტორიული თხზულება არის არა გამოკვლევა, არამედ ხალხის ისტორის მხატვრულად გააზრების ცდა. მართლაც, წარსულის მხატვრულად ასახვა საგსებით პასუხობდა ისტორიკოსის იდეურ პოზიციებს. თავისი ნაშრომის შესავალში, ლაპარაკობს რა ისტორიაზე, როგორც საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღების საშუალებაზე, ლივიუსი წერს, რომ წარსულის მოვლენები თითქოს და ბრწყინვალე ძეგლზეა აღბეჭდილი, საიდანაც თანამედროვე ადამიანმა უნდა მიიღოს საუკეთესო და უკუაგდოს ცუდი და დასაგმობი (I, 1). ისტორიული ნაშრომის დაწერა ლივიუსს უკარნახა თავისი ხალხის ღრმა სიყვარულმა; იგი წუხდა თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივ დაკნინებაზე და წარსულის მაგალითებით ფიქრობდა ძველი მორალურ-ეთიკური ტრადიციების გაცოცხლებას. ამან განაპირობა მწერლის ტენდენციური მიდგომა ისტორიული მოვლენებისადმი

და წყაროების გამოყენების თავისებური პრინციპი. ლივიუსი ეკლექტიკურად იყენებდა მასალას ანალისტების — ფაბიუს პიქტორის, კალპურნიუს პიზონის, კლავდიუს კვადრიგარიუსის, ვალერიუს ანციატის, ლიციინიუს მაკრუსის, ელიუს ტუბერონის და ცინციუს ალიმენტის შრომებიდან. გარდა ამისა, იყენებდა პოლიბიოსის ნაშრომს, რომელიც საფუძვლად დაედო III, IV და V დეკადებს.

გერმანელმა სწავლულმა ნისენმა სპეციალური შრომა მიუძღვნა ტიტუს ლივიუსის წყაროების საკითხს. ნისენის აზრით, ლივიუსი, ისევე როგორც თითქმის ყველა ძველი ავტორი, ამა თუ იმ შორეული ფაქტის გადმოცემისას, ემყარებოდა ერთ რომელიმე წყაროს, რომელიც მისაღები იყო თავისი საერთო მიმართულებით და გამოყენების თვალსაზრისით. სხვა წყაროებიდან მასალის შევსება ხდებოდა აუცილებლობის მიხედვით. ამრიგად, მწერლის შემოქმედებითი მუშაობა მდგომარეობდა მზა მასალის შესწორებასა და მხატვრულ დამუშავებაში, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებისა და მკითხველის მოთხოვნილებების შესაბამისად.

ლივიუსი არ ფარავს, რომ იყენებს ხელმისაწვდომი წყაროების მხოლოდ ნაწილს (XXXII, 6, 8), ხოლო უძველესი ისტორიული ფაქტებიდან ჯეშმარიტად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რაც ასეთად ეჩვენება (I, 21, 8). ლივიუსისათვის დამახასიათებელია ისტორიული მასალის ხელაღებით გამოყენება. ამ მხრივ, შედარებით ნაკლებ დამაჯერებელია ნაშრომის ის მონაკვეთი, სადაც რომის უძველეს ისტორიულ პერიოდს აღადგენს (განსხვავებით III, IV და V დეკადებისა, სადაც ის ემყარებოდა ისეთ საფუძვლიან წყაროს, როგორიცაა პოლიბიოსი). მკვლევარ კოლინზის აზრით, ტარკვინიუსებთან დაკავშირებული მრავალი ფაქტი ლივიუსს გადმოცემული აქვს ბერძნული სამყაროდან (ჰეროდოტედან) პირდაპირი სესხების გზით. თუ რამდენად უყურადღებო იყო ლივიუსი ისტორიული მასალისადმი, ჩანს შემდეგი დამახასიათებელი ფაქტებიდან: ავგუსტუსმა, რომელთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა, შემოუთვალა, რომ ხელთ აქვს ძველი საბრძოლო იარაღი, რომლის წარწერის წაკითხვასაც სთავაზობდა. ლივიუსმა იმპერატორის წინადადებას დუმილით უპასუხა.

ლივიუსს არ ჰქონდა მკვლევარი-ისტორიკოსის სათანადო მომზადება. იყო კაბინეტური სწავლული, რომელიც თავისი ქვეყნის ისტორიულ ადგილებსაც კი არ იცნობდა. ამიტომ შეიცავს უზუსტობებს სამხედრო ლაშქრობათა აღწერა და ქრონოლოგია. ბუნდო-

ვანი წარმოდგენისაა ლივიუსი რომის უძველეს პოლიტიკურ დაწესებულებებზე, როცა მათ თანამედროვე პოლიტიკური წყობილების პოზიციებიდან განიხილავს. ისტორიული ფაქტებისადმი ტენდენციური მიდგომა, შეპირობებული სამშობლოს განდიდების სურვილით, უკარნახებდა მწერალს დადებითად შეეფასებინა რომაელთა უსამართლო მოქმედება სხვა ხალხების მიმართ. ასე მაგალითად, მისი გაგებით, რომაელების მიერ წარმოებული ომები ყოველთვის სამართლიანი იყო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ტიტუს ლივიუსის ისტორიულ თხზულებას დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი წარმოადგენს ძირითად წყაროს რომის უძველესი პერიოდის ისტორიისათვის.

ცნობილია, რომ დასავლეთის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა რომის ადრინდელი ისტორიული ტრადიციის კრიტიკული შეფასება (ლუი დე ბიფორი, გეორგ ნიბური და სხვ.). ამასთან ერთად, იგივე ისტორიკოსები შესაძლებლად თვლიან აღიარონ ამ ტრადიციის ლივიუსისეული ინტერპრეტაციის რეალურობა და ბევრი ფაქტი ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნიონ. უკეთებს რა კომენტარს ნიბურის ნაშრომს, რომელშიც ეს უკანასკნელი ლივიუსზე დამყარებით აღადგენს რომის ძველი ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ტენი წერს: „დახედეთ განმარტებათა გრძელ რიგს მოვალეთა, ფინანსების, მოსახლეობის, მიწების, მუნიციპიების, ახალშენების, ლეგიონების ცვლილებათა და სხვა საკითხებზე, იქნება ეს პოლიტიკური ეკონომიის. სახელმწიფო თუ სამოქალაქო სამართლის, ფინანსური და სამხედრო დაწესებულებათა დარგში — არ არის საკითხი, რომელიც მას (ნიბურს, ლივიუსის მონაცემების მიხედვით, რ. გ.) არ გაეშუქებინოს".

ლივიუსმა თავის ისტორიულ თხზულებაში აღადგინა რომის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალ-ეკონომიკური ისტორია. შრომაში მოთხრობილია ერთ-ერთი უძველესი სოციალური რეფორმის შესახებ, რომელიც მეფე სერვიუს ტულიუსმა გაატარა. რეფორმა ითვალისწინებდა რომის საზოგადოების დაყოფას ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ნაშრომში მკაფიოდ არის ასახული რომის საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის სურათი, რაც აპირობებდა მის შიგნით ღრმა სოციალური კონფლიქტის მომწიფებას. მიუხედავად პატრიციებისადმი სიმპათიისა, ლივიუსი საგანგებოდ უსვამს ხაზს პლებეების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. განსაკუთრებით ღიდ ადგილს უთმობს სავალო კაბალას და აღნიშნავს პლებეების

სრულ დამოკიდებულებას მდიდარი პატრიციების მიმართ (VI, 34, VII, 27). აღნიშნავს სავალო კაბალის გაუქმების ფაქტს.

ლივიუსი ცდილობდა ისტორიული ფაქტების გადმოცემაში ობიექტური ყოფილიყო. ამას ადასტურებს თუნდაც მისი დამოკიდებულება პანიბალის მიმართ, რომლის შთამბეჭდავ დახასიათებაში მწერალმა ჩააქსოვა არა მარტო ბრწყინვალე ლიტერატურული ნიჭი, არამედ კეთილშობილი რომაელის თვისება ყოფილიყო რომაელთა მოსისხლე მტრისა და კართაგენელთა გამოჩენილი სარდლის მიუდგომელი შემფასებელი (XXV, 4). ლივიუსის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მან სათანადოდ მიუზღო თავის თანამემამულეებს იმ უღირსი და მზაკვრული ხერსისათვის, რომლითაც მათ სიცოცხლე მოუსპეს რომაელთა ამ საშიშ მტერს (XXXIX, 52). ამასთან დაკავშირებით, კოლინზი სამართლიანად შენიშნავს: „ისტორიკოსს, რომელიც შეგნებულად წერდა რომაული დიდების ქრონიკას, არ შეეძლო მეტი მიუდგომლობით ელაპარაკა რომაელთა მოქმედების შესახებ მათი ძლევამოსილი მტრის წინააღმდეგ. ლივიუსს, რომელმაც მიუხედავად მხურვალე პატრიოტიზმისა, იცოდა სათანადოდ გამოხატვა განცვიფრებისა ყოველი კეთილშობილისა და მნიშვნელოვანისადმი და გმობა სიმდაბლისა"....

ლივიუსი ცდილობდა გულწრფელი ყოფილიყო პოლიტიკური მრწამსის გამოხატვაში: რესპუბლიკური წარსულის განდიდება და ერთდროულად ზედმიწევნით თავშეკავებული დამოკიდებულება პრინცეპსის პიროვნების მიმართ, იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში, მწერლის მაღალ პრინციპულობაზე და თავისებურ სამოქალაქო გმირობაზე მეტყველებს.

ლივიუსის თხზულებაში დიდი ადგილი უჭირავს რელიგიას. მწერალი აშკარად ამჟღავნებს ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების რელიგიური ინტერპრეტაციის ტენდენციას. ლივიუსის სიტყვებით, ღმერთების უპატივცემლობა ხშირად ყოფილა რომაელი ხალხის უბედურების მიზეზი (V, 5); ადამიანთა ცხოვრება ბევრად არის განპირობებული ღმერთების მათდამი კეთილგანწყობილებით და მარცხიანობა ომებში ღმერთების უპატივცემლობის შედეგია (IX, 1); ზოგჯერ, ღმერთების ჩარევა იმდენად აშკარაა, რომ ისინი თავად იწყებენ და ამთავრებენ ომს ადამიანის ჩაურევლად (XXI, 40). ლივიუსის რელიგიური რწმენა ფატალიზმამდე მიდის. განსაკუთრებით შეიგრძნობა ბედიღბლისა და განგების ყოვლისშემძლეობის რწმენა რომის ისტორიის უძველესი პერიოდის გადმოცემისას, სადაც ყველაზე მეტად იგრძ-

ნობა, დამაჯერებელი წყაროების სიმცირე. ლივიუსი დიდ ადგილს უთმობს თავის ნაშრომში ზებუნებრივი მოვლენებისა და წინანიშნეულობათა აღწერას. აღსანიშნავია, რომ ლივიუსის შრომის ეს ნაწილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა II საუკუნის პროზაულ ლიტერატურაში, როდესაც, ლიტერატურული შემოქმედების საერთო დაქვეითების პირობებში, ერთობ გაძლიერდა ინტერესი მისტიკისა და მაგიისადმი. ასე მაგალითად, ამ პერიოდის მწერალმა იულიუს ობსექვენსმა შეადგინა წინანიშნებათა ნუსხა, რომელშიც ლივიუსის ნაშრომში მოცემული შესატყვისი მასალა იყო გამოყენებული, ხოლო ფირმიკუს მატერნუსმა იმავე მასალაზე დაყრდნობით შეთხზა ასტროლოგიური ტრაქტატი. ასევე პოპულარული იყო ლივიუსის რელიგიურ-მისტიკური სიუჟეტები; მოგვიანებით ისტორიკოსმა ლიცინიანუსმა (ახ. წ. III ან IV ს.) დაწერა ისტორიული ნაშრომი, რომელიც ლივიუსის თხზულებაში მოცემულ ზებუნებრივ მოვლენათა აღწერას ემყარებოდა.

ლივიუსი ნაშრომის ერთ ადგილს აღნიშნავს, რომ „შიში ღმერთების მიმართ ქმედითი საშუალებაა უხეში და ველური ბრბოს შესაკავებლად" (I, 19); სხვაგან (XVIII, 13) ატარებს აზრს, რომ „მას თვითონაც არ სჯერა ზებუნებრივი მოვლენების, მაგრამ ძველი ამბების აღწერის დროს მისდაუნებურად იწყებს აზროვნებას ძველებურად". ყოველივე ეს საფუძვლიანს ხდის შეხედულებას, რომ რელიგიური სიუჟეტების წინ წამოწევა ლივიუსისათვის იყო ძველი სარწმუნოების აღდგენის საშუალება, რაც სავსებით უპასუხებდა ახალი წყობილების რესტავრატორულ პოლიტიკას. სავსებით კანონზომიერია, რომ წინაპართა განდიდებით გატაცებული ისტორიკოსი თანამედროვეთა ერთობ თვალში საცემ რელიგიურ გულგრილობას უპირისპირებდა წინაპართა მტკიცე რელიგიურ რწმენას, — რწმენას, რომელიც მისი გაგებით, განაპირობებდა მათ სიდიადეს.

ტიტუს ლივიუსი მხატვრული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავის ნაშრომს იგი თვლიდა არა მატიანედ, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებად. ისტორიული წარსულის გაცოცხლება მხატვრულ თხრობაში სავსებით პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ისტორიულ თხზულებას უყენებდნენ ცნობილი რომაელი მოაზროვნეები. მათი გაგებით ისტორია მჯევრმეტყველური ხელოვნების დარგი იყო. ციცერონი ისტორიულ ნაშრომს თვლიდა ორატორული ხასიათის ლიტერატურულ ნაწარმოებად, ხოლო კვინტილიანე — პრო-

ზად და, ამდენად, ახლოს აყენებდა პოეზიასთან. ლივიუსის მიერ თავისი სალხის ისტორიის მხატვრულად გააზრება იმითაც იყო შეპირობებული, რომ მას რიტორიკულ ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული.

ავგუსტუსის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა სისტემამ რომის საზოგადოების დიდი ნაწილის პოლიტიკური უუფლებობა დაამკვიდრა. ამ ვითარებაში ფაქტობრივად მოისპო მჭევრმეტყველების, ე. ი. ლიტერატურული შემოქმედების იმ დარგის პრაქტიკული გამოყენების სფერო, რომელმაც უმაღლეს მწვერვალს რესპუბლიკის დასასრულს მიაღწია. სწორედ ამიტომ, სავსებით კანონზომიერია, რომ ლივიუსმა რომის ისტორიის დამუშავება დაიწყო ორატორული ხელოვნების პოზიციებიდან, რათა ლიტერატურული შემოქმედების ამ ჟანრში დიდი ოსტატობით გამოეხატა თავისი პოლიტიკური იდეალები. ტენი წერს: „ის იყო დანგრეული რესპუბლიკის თანამედროვე და დაიწყო ორატორობა უძველეს ისტორიაში, როცა მჭევრმეტყველება დ ა ი თ რ გ უ ნ ა, ე. ი. აიკრძალა, ლივიუსი იქცა ისტორიკოსად, რათა დარჩენილიყო ორატორად".

ლივიუსის გაგებით, ისტორიულ მოვლენათა განვითარების პროცესში დიდ როლს ასრულებდნენ მტკიცე ნებისყოფის მქონე პიროვნებანი. ამიტომ თხრობის ცენტრში მწერალი აყენებს ისტორიულ პირებს, რომელთა სახეებსაც უდიდესი ოსტატობით ძერწავს. მთავარი ლიტერატურული ხერხი, რომელსაც ისტორიკოსი იყენებს რომაელ მოღვაწეთა მხატვრულ-ისტორიული სახეების გამოსაკვეთად, არის სიტყვები, რომლებსაც ისინი წარმოთქვამენ. თხზულება შეიცავს 400-მდე ამგვარ სიტყვას, რომელთა დიდი ნაწილი ავტორის მიერ არის შეთხზული, ან წარმოადგენს წყაროებიდან ამოღებულ მასალის თავისუფალ იმპროვიზაციას. ისინი ხშირად ავტორის პოლიტიკურ, თუ სხვა შეხედულებებს ასახავენ. ასე მაგალითად, კამილუსის სიტყვაში (V, 54), რომელშიც ის გალებთან ომის შემდეგ მგზნებარედ მოუწოდებს რომაელებს, არ დატოვონ მშობლიური ქალაქი, ჩაქსოვილია მწერლის პატრიოტული გრძნობა და სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული. მჭევრმეტყველური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია სციპიონ აფრიკელის (ზამასთან ბრძოლის გმირის) გამოსვლა სასამართლოში, რომლის წინაშე იგი წარსდგა მძიმე ბრალდების გამო (XXXVIII, 52). ასევე სასალხო ტრიბუნის ტიბერიუს გრაკხუსის სიტყვა, რომელშიც

იგი დამაჯერებლად წარმოაჩენს სციპიონ აფრიკელის დიდ დამსახურებას რომაელი ხალხის წინაშე (XXXVIII, 53).

ტიტუს ლივიუსი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი იყო. ეს კარგად მეღავნდება, როგორც უაღრესად შინაარსიან თხრობაში, ასევე ისტორიულ პიროვნებათა დახასიათებაში. ჰანიბალის (XXI, 41), კატონ უფროსის (XXXIX, 40—41) და სხვათა დახასიათება, დაწერილი მაღალმხატვრული და დახვეწილი ლიტერატურული ენით, ლივიუსის ნაშრომის ბრწყინვალე ფურცლებია.

ლივიუსის ლიტერატურული ენა უკვე ანტიკურ ხანაში გახდა შესწავლის საგანი. ანტიკური ავტორები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ლივიუსის მაღალმხატვრულ სტილს. კვინტილიანე წერდა: „ნუ განრისხდება ჰეროდოტე, თუ მისი თანატოლია ლივიუსი, რომელიც თავისი თხრობით საოცარი სიამის მომგვრელია და გამოირჩევა სიფაქიზითა და სინატიფით"...

ლივიუსის დიდ პოპულარობას ანტიკურ ხანაში ადასტურებს ფაქტი, რომელიც მოჰყავს პლინიუს უმცროსს; ამ ცნობის თანახმად, ლივიუსის სახელი იმდენად შორს იყო ცნობილი, რომ მის სანახავად რომში ჩამოსულა შორეული ესპანეთის მოქალაქე ქალაქ ჰადესიდან. პლინიუსი დასძენს, რომ დიდი ხელოვანის პირადად ნახვა და გაცნობა ყოველი სწავლულის მოთხოვნილება უნდა იყოს და გმობს სხვისი ლირსებისა და პატივის შეუფასებლობას (II, 3).

ველეიუს პატერკულუსი

ველეიუს პატერკულუსმა თავისი ცხოვრება საგანგებოდ დაწერილ თხზულებაში აგვიწერა, მაგრამ მიუხედავად ამისა ზუსტად არ არის ცნობილი მისი დაბადებისა და სიკვდილის წელი. იგი დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით ძვ. წ. 20 წელს. მისი პაპა და მამა სამხედრო პირები იყვნენ და, როგორც ჩანს, საშუალო რიგის თანამდებობები ეკავათ. იგი თვითონაც სამხედრო პირი იყო. ერთხანს ასრულებდა სამხედრო ტრიბუნის მოვალეობას. ახ. წ. I წელს თან ახლდა ავგუსტუსის შვილიშვილ გაიუსს იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. ამ მოგზაურობის დროს ველეიუს პატერკულუსი გაეცნო ამ ქვეყნების კულტურასა და ხალხის ცხოვრებას. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მსახურობდა არმიაში და მეთაურობდა ცხენოსანთა ლაშქარს. ტიბერიუსის

დროს მონაწილეობდა ლაშქრობაში გერმანიასა და პანონიაში, სადაც, მისი სიტყვით, იგი იყო „მოწმე ღვთაებრივი საქმიანობისა და დამხმარე, რამდენადაც მას ეს შეეძლო საკუთარი არარაობის გამო“.

ახ. წ. 6 წელს პატერკულუსი დაბრუნდა რომში და არჩეულ იქნა ქვესტორად. ამ თანამდებობის დაკავებამდე მან ჩაუყვანა ტიბერიუსს ჯარი პანონიაში, სადაც იმ დროისათვის იფეთქა აჯანყებამ. ახ. წ. 7 წელს ველეიუსი, რომელიც უკვე ქვესტორის თანამდებობაზე იყო, არ წავიდა პროვინციაში და გაგზავნილ იქნა ლეგატად ტიბერიუსთან. მისი ძმაც ტიბერიუსის ლეგატი იყო, რომელმაც თავი გამოიჩინა დალმაციის ომში ახ. წ. 9 წელს. ორივე ძმა მონაწილეობდა ტიბერიუსის ტრიუმფში 13 წელს, ხოლო 15 წელს ორივემ მიიღო პრეტორის თანამდებობა.

მეტად იგი აღარ იხსენიებს თავის თავს საკუთარ თხზულებაში.

თითქმის 50 წლის ასაკში ველეიუს პატერკულუსი იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას და 2 წიგნად წერს ისტორიული ხასიათის თხზულებას, რომელშიც რომის ისტორია გადმოცემულია ზოგადად ტროას ომიდან ახ. წ. I საუკუნის 30-იან წლებამდე. ჩვენამდე მოღწეულ ამ ნაშრომს ეწოდება: „რომის ისტორია“. ველეიუს პატერკულუსს ეს თხზულება დაუწერია ახ. წ. 29 წელს საგანგებო შემთხვევის გამო. ამ წელს მარკუს ვინიციუსი იქნა არჩეული კონსულად 30 წლისათვის და ავტორმა სწორედ მას მიუძღვნა თავისი თხზულება. საფიქრებელია, რომ ველეიუსმა ეს თხზულება დაწერა 29 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში. იგი თავად წერს, რომ ძალიან ჩქარობდა (I—16; 11—41 1;). თხზულების დასაწყისი და, ამასთან ერთად, მიძღვნა ვინიციუსისადმი დაკარგულია. თხზულება იწყებოდა ტროას დანგრევითა და ბერძნების დაბრუნებით ლაშქრობიდან. შემონახულ პირველ ფრაგმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ ნესტორის თანამგზავრი (ეპეუსი) ქარიშხალმა ჩამოაცილა თავის ბელადს, რომელმაც შემდეგ დააარსა ქალაქი მეტაპონტოსი. თხზულების პირველი წიგნი მთავრდება თხრობით კართაგენისა და კორინთოს დანგრევის შესახებ. ეს წიგნი ხარვეზიანია, აკლია რამდენიმე გვერდი. მეორე წიგნში თხრობა მიყვანილია ვინიციუსის კონსულობის დრომდე (ახ. წ. 30 წლამდე). მასში არის მცირე ხარვეზები და მთავრდება ვედრებით იუპიტერისა და მარსის მიმართ, რათა მათ შეუნარჩუნონ რომაელებს სახელმწიფო და მმართველობის წესები. ფაქტების გადმოცემა არ არის თანამიმდევრული. დასაწყისში თხზულება უფრო მოკლე კონსპექტს წაგავს. სა-

მოქალაქო ომების აღწერიდან დაწყებული (11—49) თხრობა უფრო დაწვრილებითი ხდება და დასასრულს (49—94) იგი გადაიქცევა ტიბერიუსის სადიდებელ ჰიმნად. საფიქრებელია, რომ ტიბერიუსის განდიდება ავტორის მთავარი ამოცანა იყო.

ველეიუსის თხზულება შეიცავს გარკვეულ თავისებურებებს. მასში დიდი ყურადღება ექცევა ბერძნული და რომაული ლიტერატურის ისტორიას. აქ ლაპარაკია ჰომეროსზე, ჰესიოდეზე, ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებზე სხვადასხვა დროში და სხვადასხვა სახელმწიფოში. ძველ რომაულ და რესპუბლიკის ხანის ლიტერატურაზე იგი შედარებით ნაკლებს ლაპარაკობს და ეს მიმოხილვა მეტად ზოგად ხასიათს ატარებს.

ველეიუსის მთავარი თავისებურება მის ისტორიულ მეთოდშია. იგი არ მისდევს რომაული ისტორიოგრაფიისათვის ჩვეულებრივ ანალისტურ ან პროგრამისტულ მიმდინარეობას, არ იცავს ქრონოლოგიას. ამის გარდა, ველეიუსი თავის თხზულებაში, მცირედი გამონაკლისის გარდა, არ უკავშირებს მომდევნო ამბებს წინამორბედს. ამიტომ მისი მეთოდი არც ანალისტურია და არც პრაგმატისტული. ავტორის ყურადღება კონცენტრირებულია პიროვნებაზე. იგი იძლევა ცალკეულ პირთა დახასიათებას. ხანდახან იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი აღწერს ფაქტებს მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნების დასახასიათებლად. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს იულიუს ცეზარის, ავგუსტუსისა და ტიბერიუსის სახის გამოკვეთას.

განსაკუთრებული მიკერძოებით მოიხსენიებს ველეიუსი ტიბერიუსს და უხვად ამკობს მის სახელს სხვადასხვა ეპითეტებით (ზეციური, ღვთაებრივი) და ყველაფერს, რაც დაკავშირებულია მის სახელთან, წარმოგვიდგენს როგორც საოცარსა და გრანდიოზულს. ასე, მაგალითად, როდესაც მოგვითხრობს როდოსზე ტიბერიუსის გამგზავრების ამბავს, იგი წერს, რომ მთელმა მსოფლიომ შეიტყო მისი წასვლის ამბავი და მაშინვე აღსდგნენ რომის წინააღმდეგ პართელები, გერმანელები და სხვა, ხოლო ტიბერიუსის რომში დაბრუნება ყველასათვის უდიდესი ბედნიერება იყო. ველეიუსი ტიბერიუსის ყველა ნაბიჯს განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას. ლაპარაკობს რა ტიბერიუსზე, იგი უდიდესი აღფრთოვანებით წერს: „კეთილო ღმერთებო, რამდენი წიგნი იქნება საჭირო ტიბერიუსის საგმირო საქმეთა აღსაწერად" (II, 106,1).

განსაკუთრებით საყურადღებოა ავგუსტუსის მიერ ტიბერიუსის შვილად აყვანის ამბის აღწერა. ამის გამო ველეიუს პატერკულუსი წერს: „ამ დღის ბედნიერებამ, უამრავ მოქალაქეთა შეკრება, მათი ვედრება და თითქმის ცამდე აპყრობილი ხელები, იმედი — რომის სახელმწიფოს მარადიულობისა და მუდმივი უშიშროებისა.... ჩვენ ალბათ ვერც კი აღვწერთ დაწვრილებით დიდ თხზულებაში... საკმარისია თუ-ნდაც იმის თქმა, თუ რამდენად სასიხარულო იყო ყოველივე ეს ყველასათვის. იმ დღეს კვლავ გამოუბრწყინდა მშობლებს შვილების ბედნიერების, მამაკაცებს ქორწინების და საკუთრების ფლობის და ყველას კეთილდღეობის, მშვიდობისა და წყნარი ცხოვრების იმედი. უფრო ბედნიერი და საიმედო დღის წარმოდგენა შეუძლებელი იყო“ (II, 103.3). ასევე მაღალფარდოვნად აღწერს ველეიუსი იმ ბედნიერებას, რომელიც თითქოს მიანიჭა რომაელებს ტიბერიუსმა თავის მეფობის ხანაში.

ველეიუს პატერკულუსი ქებით მოიხსენიებს არა მარტო ტიბერიუსს, არამედ მის მახლობელ ადამიანებსაც. ველეიუსის მიხედვით, ტიბერიუსის დედა ლივია იყო ცნობილი, ყველაზე კეთილი, ყველაზე ლამაზი, რომაელ ქალთა შორის.

ავგუსტუსი, რომელმაც იშვილა ტიბერიუსი, ველეიუსის აზრით, „იმისათვის დაიბადა, რომ თავის დიდებით ჩრდილი მიეყენებინა ყველა ქვეყნის და ხალხთა მამაცთათვის“ (1136, I). როდესაც იგი რომში ბრუნდება ანტონიუსზე გამარჯვების შემდეგ, ველეიუსის სიტყვით: „რომაელებისა და მთელი სამყაროს ბედნიერება აღემატება ყოველგვარი აღწერის შესაძლებლობას. ეს ბედნიერება აუწერელია. ადამიანები ვერაფერს ვერ მოითხოვდნენ ღმერთებისაგან ამაზე მეტს“ (II, 89,2).

ცნობილია რომ ტიბერიუსის ხანაში სეიანი სამეფო კარზე ყველაზე საძულველი პიროვნება იყო. მიუხედავად ამისა, თვით ტიბერიუსს ძალიან უყვარდა იგი. ველეიუს პატერკულუსი ამიტომ ამკობს სეიანს ყოველგვარი ეპითეტებით და ქება-დიდებით მოიხსენიებს მას. ყველაფერი ეს არ იყო გულწრფელი აზრების გამოხატულება, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ შექებათა დიდი ნაწილი ავტორის რიტორიკული გატაცების შედეგი იყო.

თავისი პოლიტიკური შეხედულების მიხედვით, ველეიუს პატერკულუსი მონარქისტი იყო. იგი ვერ ხედავს რომის რესპუბლიკის სიდიადეს. ხალხი მისთვის არის უნებისყოფო ბრბო. ხანდახან წინა პლანზე აყენებს სენატს, მაგრამ რომის ისტორიის ყველა პერიოდში და

განსაკუთრებით რესპუბლიკის ხანაში, ველეიუსის აზრით, მთელ პოლიტიკას წარმართავდნენ ცალკეული ძლიერი პიროვნებები, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა სენატიც და ხალხიც. ასე მაგალითად, ტიბერიუს გრაკხუსი, მისი აზრით, მოკლეს სციპიონ ნაზიკას წყალობით, რომელმაც მიმართა ხალხს მოწოდებით, რათა ყველას, ვისაც სურს რესპუბლიკის გადარჩენა, მას გაჰყვეს და მაშინ ოპტიმატები, სენატი, მხედართა უმრავლესობა და ხალხის ნაწილი დაესხა თავს ტიბერიუსს. გაიუს გრაკხუსიც ასევე მოკლეს კონსულ ოპიმიუსის სურვილით. ამრიგად, ველეიუსი საკუთრივ ოპიმიუსს მიაწერს გაიუსის მკვლელობას და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სენატმა საგანგებო ძალაუფლება მისცა ოპიმიუსს გაიუს გრაკხუსის საქმესთან დაკავშირებით. ველეიუსის მიხედვით, მარიუსმა თავად, ე. ი. ერთპიროვნულად, დაამარცხა სერვილიუს გლავციუსის და აპულეუს სატურნინის აჯანყება. სინამდვილეში კი, აჯანყების ჩაქრობა მარიუსს დაავალა სენატმა. ამრიგად, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ველეიუსისათვის პოლიტიკურ იდეალს შეადგენდა ძველი რომაული არისტოკრატია. ველეიუსი ილაშქრებს სულასეული პროსკრიპციების წინააღმდეგ და ხშირად აკრიტიკებს რომის წარჩინებულ ადამიანებს ზედმეტი სიმკაცრისათვის და იმის გამო, რომ ისინი არ ანიჭებდნენ იტალიკებს რომის მოქალაქეობის უფლებას. რომის ისტორიაზე ველეიუსის ასეთი შეხედულების გამო, გასაგები ხდება, თუ რატომ შედგებოდა მისი ისტორიული თხზულება მოქმედი პირების ბიოგრაფიებისა და დახასიათებისაგან. მიუხედავად ამ ნაკლოვანი მხარეებისა, ველეიუსის თხზულებას, და განსაკუთრებით მის ბოლო ნაწილს, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

პომპეუს ტროგუსი

პომპეუს ტროგუსის შესახებ დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები არ გაგვაჩნია, გარდა იმისა, რასაც ის წერს თავისი თხზულების 43-ე წიგნის ბოლოს, სადაც აღნიშნულია, რომ „მისი წინაპრები იყვნენ ვოკონტიების გვარიდან, მისმა პაპამ, პომპეუს ტროგუსმა სერტორიუსთან ომის დროს გნეუს პომპეუსისაგან მიიღო რომის მოქალაქეობა. ბიძა, მამის მხრიდან, ცხენოსანთა რაზმის მეთაური იყო მითრიდატესთან ომის დროს, რომელსაც პომპეუსი სარდლობდა, ხოლო მა-

მამისი ცეზარის წინამძღოლობით იბრძოდა, განაგებდა მის მიწერ-მოწერას და საელჩო საქმეებს, აგრეთვე იყო მისი ბეჭდის მცველი".

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას უცხოვრია ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარსა და ახ. წ. I საუკუნის I ნახევარში, ყოფილა თანამედროვე იმპერატორ ავგუსტუსისა და ისტორიკოს ტიტუს ლივიუსისა.

პომპეუს ტროგუსს თხზულება, რომელისთვისაც დაურქმევია „ფილიპიკების ისტორია", 44 წიგნად დაუწერია ახ. წ. 7 წლის ახლო ხანებში. ეს ნაწარმოები მსოფლიო ისტორიის ხასიათს ატარებს, მსგავსად დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკისა" და ნიკოლოზ დამასკელის „მსოფლიო ისტორიისა". მაგალითად, პირველ წიგნში გადმოცემულია ლეგენდარული ამბები ასურეთისა და სპარსეთის უძველესი ისტორიის შესახებ; II წიგნში მოთხრობილია პართიისა და ბაქტრიის სამეფოს დაარსებაზე სკვითების მიერ; III წიგნში ლაპარაკია ძველ სპარსეთსა და ძვ. სპარტაზე; IV წიგნი ეხება სიცილიასა და პელოპონესის ომის ამბებს და ა. შ. ერთი სიტყვით, პომპეუს ტროგუსის თხზულება ეხება მახლობელი აღმოსავლეთის, წინა აზიის და ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა ქვეყნის ისტორიას. მაგრამ თუ თავის თხზულებას ავტორმა „ფილიპიკების ისტორია" უწოდა, ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მასში მაინც ყველაზე მეტი ადგილი მაკედონიის მეფე ფილიპეს (აქედან არის თვით წიგნების სახელწოდება — „ფილიპიკა") და მისი შვილის ალექსანდრეს დაპყრობებს, აგრეთვე დიადოხოსების და ეპიგონების ომებს ეხება.

პომპეუს ტროგუსი შორსაა მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობის გაიდეალებისაგან, რაშიაც ესქინეს პრომაკედონური პარტია თავად ბერძნების ინტერესების დაცვას ხედავდა. ტროგუსის მიხედვით, ეს ნამდვილი დაპყრობა იყო და როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც დამპყრობი თავისი საკუთარი ინტერესებიდან გამოდიოდა. „ფილიპე, — წერს ტროგუსი, — მოქმედებდა როგორც ბოროტმოქმედი ყაჩაღი და წამბილწველი". მართლაც, როგორც ვიცით, ამ დაპყრობების დროს ფილიპე ყველა მზაკვრულ მეთოდსა და ხერხს იყენებდა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ფიცის გატეხვასა და ხელმოწერილი შეთანხმებების დარღვევას. უფრო მეტიც, როგორც თვითონ ტროგუსი წერს, იგი ვერაგულად ექცეოდა თავის გუშინდელ მოკავშირეებსაც, რომელთაც დღეს იპყრობდა. ყველა ამ „მოქალაქეთა ცოლებს და შვილებს ფილიპე მონებად ჰყიდდა, არ ინდობდა მათი უკვდავი ღმერთების

ტაძრებს და სხვა წმინდა შენობებს, მათ ღმერთებს — პენატებს[1], საერთოს და კერძოს, რომელთა სახურავის ქვეშ იგი არც ისე დიდი ხნის წინ დადიოდა როგორც სტუმარი. ჯეშმარიტად ისე ჩანდა, რომ იგი მოწოდებული იყო არა იმდენად მკრეხელთა დამსჯელად, რამდენადაც იმისათვის, რომ თავისთვის მიეღო მკრეხელობის უფლება".

პომპეუს ტროგუსი ალექსანდრე მაკედონელს, ძირითადად, უარყოფითად ახასიათებს, თუმცა უფრო ნაკლებ ვიდრე ფილიპე II-ს. მისი აზრით იგი უფრო მეტად დასნეულდა უარყოფითი თვისებებით მას შემდეგ, რაც ისოს ბრძოლაში (333 წელს) სპარსეთის მეფე დარიოს II კოდომანი დაამარცხა და აღმოსავლეთის მეფეთა ფუფუნებასა და განცხრომას გაუგო გემო. „ამ დროიდან, — წერს პომპეუს ტროგუსი, — გადიდდა მისი ქედმაღლობა, გაიზარდა მისი გულზვიადობა და გაქრა ის თავაზიანობა, რომელიც მას წინათ შეძენილი ჰქონდა ბერძნული სიბრძნის შესწავლასა და მაკედონური აღზრდის შედეგად".

მოსალოდნელი იყო, რომ პომპეუს ტროგუსი, როცა რომის სახელმწიფოსა და მისი მმართველების დახასიათებაზე გადავიდოდა, მათ ქებას დაიწყებდა, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ძველი რომაელი არისტოკრატების უმრავლესობისათვის (მაგ., ტიტუს ლივიუსისათვის და სხვ.) და ან პროროომაულად განწყობილი ბერძენი ისტორიკოსებისათვის, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ გზას არ გაჰყოლია. მართალია, რომის უზარმაზარი სახელმწიფოს წარმოქმნას იგი შედარებით ნაკლებ ადგილს უთმობს, მაგრამ როდესაც კი ამ საკითხს ეხება, თითქმის არასოდეს არ ცდილობს რომის ეს ძლიერება რომაელთა გენიით ან მათი რაღაც განსაკუთრებული სიმამაცით ახსნას, როგორც ამას ამტკიცებდა სხვებთან ერთად თვით ციცერონიც.

როგორც ცნობილია, რომის სახელმწიფოს გაძლიერება ხდება უმთავრესად ძვ. წ. III—I საუკუნეებში, რომელიც ელინისტურ ეპოქას ემთხვევა. ეს ის პერიოდია, როცა წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნახევრის ბერძნულ ქვეყნებში ერთმანეთს პერმანენტულად ებრძვიან დიადოხოსები და ეპიგონები, კართაგენი კი ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ აუზში შინაგან კრიზისს განიცდის. ამგვარად, აღნიშნულ გეოგრაფიულ არეში სცენაზე არ არის არც ერთი მზარდი ძლიერი სახელმწიფო, ხოლო ელინისტური ქვეყნები ურთიერთშორის

---

[1] პენატებს რომაელები უწოდებდნენ როგორც საერთო რომაულ ღმერთებს (ვესტა, იუპიტერი, ვულკანი, ვენერა და სხვ.), ისე ოჯახისა და კერის ღმერთებს.

უთანხმოებით და განხეთქილებით ერთმანეთს ასუსტებენ. სწორედ ეს გარემოება უწყობდა ხელს რომის ახალგაზრდა სახელმწიფოს ზრდასა და გაძლიერებას. პომპეუს ტროგუსი წერს, რომ „ბედი უწყობდა ხელს რომის ხალხის აღორძინებას“ (XI III, 2,5), ანდა, რომ თითქოს მაკედონელებზე გაიმარჯვა რომაელების ბედმა.

საერთოდ, პომპეუს ტროგუსის აზრით, ყველა ქვეყნისა და მათი მმართველების საქმე წინ მიდის იქამდე, ვიდრე მათში გაჩნდება ფუფუნების და სიმდიდრის დაგროვებისადმი მიდრეკილება. მაგალითად მოჰყავს სკვითები. სკვითებიო, — წერს იგი, — ცხოვრობენ ღარიბად, არ იციან მიწათმოქმედება, არა აქვთ სახლები და საერთოდ რაიმე ნაგებობა, რადგან ეწევიან მომთაბარე მესაქონლეობას. ისინი იკვებებიან მესაქონლეობის პროდუქტებით, იმოსებიან საქონლისა და ნადირის ტყავით, არ არის მათში შენ-ჩემობა და ყველა თანაბრად ცხოვრობს. „ოქრო და ვერცხლი მათ იმდენად სძაგთ, რამდენადაც სხვა მოკვდავნი მათ ეძიებენ“.

ამიტომ მათში არ არის მიდრეკილება სიმდიდრის დაგროვებისა, „რადგანაც ქონების დაგროვებისადმი სწრაფვა იქ იბადება, სადაც იციან ამ ქონების მოხმარება. დანარჩენ მოკვდავთაც რომ ჰქონდეთ ასეთი ზომიერება, მაშინ ჯეშმარიტად საუკუნეების მანძილზე არ იქნებოდა მთელ დედამიწაზე ამდენი ომი და არ დაიღუპებოდა უფრო მეტი ადამიანი იარაღისა და მახვილისაგან, ვიდრე იღუპება ბუნებრივი სიკვდილისაგან. პირდაპირ საოცრად გვეჩვენება, რომ ბუნება სკვითებს აძლევს იმას, რაც ბერძნებს ხანგრძლივ პერიოდში ვერ მისცა ვერც ბრძენთა მოძღვრების შესწავლამ და ვერც ფილოსოფოსთა დარიგებამ, და რომ შედარების დროს განუვითარებელი, ბარბაროსი ხალხის ზნე უფრო მაღალია, ვიდრე უფრო დიდად განვითარებული ხალხისა. მანკიერების უცოდინარობას უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს პირველისათვის, ვიდრე სათნოების ცოდნას მეორეთათვის“.

ამგვარად, პომპეუს ტროგუსის აზრით, დეგრადაცია და ადამიანთა საზოგადოების დაქვეითება მაშინ იწყება, როცა იწყება ფუფუნება და სიმდიდრის დაგროვება. სხვადასხვა ქვეყნებში ეს სხვადასხვა დროს ხდება. მისი აზრით, მაკედონიაში ეს ისოს ბრძოლის დროიდან დაიწყო, ასირიაში კი — მეფე სარდარაპალიდან და ა. შ.

ფუფუნებითი ცხოვრებისა და სიმდიდრის დაგროვების დასაწყისში საზოგადოების დეგრადაციის დასაწყისის დანახვა, იმას ნიშნავს, რომ პომპეუს ტროგუსი ისტორიული განვითარების იმდროინდელი ორი

კონცეფციიდან — თუ საიდან იწყება საზოგადოების განვითარება და საით მიდის — ემხრობა პირველს. ამ კონცეფციის თანახმად, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ჰესიოდედან იღებს, ოქროს ეპოქა იყო წარსულში, ისტორიის დასაწყისში, როცა არ იყო შენ-ჩემობა, სიმდიდრე-სიღარიბე, ყველა ადამიანი თანაბრად და ბედნიერად ცხოვრობდა. შემდეგ წარმოქმნილმა ფუფუნებამ და სიმდიდრემ ადამიანთა ბედნიერების ეს ეპოქა მოუბრუნებლად მოსპო და საქმე თანდათან უფრო უარესისაკენ მიდის. მეორე კონცეფციის თანახმად, რომელსაც ვერგილიუსიც იზიარებდა (IV ეკლოგა), ოქროს ეპოქა მომავალშია, რომლისკენაც საზოგადოება მძიმე განსაცდელის, ტანჯვისა და ბრძოლის გზით მიდის.

პომპეუს ტროგუსი თავის მსოფლიო ისტორიაში იძლევა მრავალი საისტორიო ხასიათის მასალას. II წიგნში ტროგუსს აღნიშნული აქვს, რომ ამორძალები იყვნენ სკვითი ქალები, რომელთაც თავიანთი სამეფო (ამორძალების სამეფო) დააარსეს. ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ სკვითებში რომელი სქესი (კაცები თუ ქალები) უფრო სახელოვანნი არიანო. X წიგნში ტროგუსი წერს, რომ სპარსეთის მეფე არტაქსერქსეს, რომელიც მეფედ იყო ძვ. წ. 404 — 358 წლებში, ხასებისაგან ჰყავდა 115 უკანონო ვაჟიშვილი. XIX წიგნი ეხება მონათა აჯანყებას ტვიროსში. XX წიგნში პომპეუს ტროგუსი (ალბათ ჰეროდოტეს გავლენით) წერს, რომ ეტრუსკები (იგი მათ ტუსკებს უწოდებს) იტალიაში გადავიდნენ ლიდიიდან. XXIV წიგნი ეხება გალების გადმოსახლებას გალიიდან (თანამედროვე საფრანგეთი) ჩრდ. იტალიასა და მცირე აზიაში. XXXI წიგნში ლაპარაკია ჰანიბალის გაქცევაზე ანტიოქესთან სირიაში და მის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების მონაწილეობით ანტირომაული კოალიციის მოწყობის უშედეგო ცდაზე. მომდევნო წიგნში მოთხრობილია ჰანიბალის საქმიანობაზე კრეტაზე, ბითვინიის მეფე პრუსიასთან გაქცევაზე და იქ თავის მოკვლაზე. ჰანიბალი, როგორც მთავარსარდალი, რომ სამართლიანი იყო, წერს ტროგესი, ეს თუნდაც იქიდან მტკიცდება, რომ არ ყოფილა ცდა მის უაღრესად ჯრელ არმიაში (კართაგენელები, ნუმიდიელები, მავრიტანები, ესპანელები, გალები, იტალიელები და ა. შ.) ვინმე თავს დასხმოდა, ან შეთქმულება მოეწყოთ მის წინააღმდეგ.

XXXIV წიგნი ეხება რომაელების მიერ კორინთოს დანგრევას 146 წელს. XXXVI წიგნში ლაპარაკია არისტონიკეს აჯანყებაზე, XXXVIII

წიგნში აღნიშნულია მითრიდატე VI მიერ ცოლის, შვილების, დისშვილების, სიძის და სხვ. ამოხოცვაზე.

მსოფლიო ისტორია, როგორსაც ფაქტობრივად წარმოადგენს პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორია", რა თქმა უნდა, ერთ კაცს არ შეეძლო დაეწერა თუკი ის არ გამოიყენებდა სხვა ისტორიკოსების შრომებს. ამიტომ, ბუნებრივად დგება საკითხი, თუ სახელდობრ, ვის იყენებს, ან ვისი შრომების გამოყენების კვალი შეიმჩნევა პომპეუს ტროგუსის თხზულებაში. პომპეუს ტროგუსის შესახებ ახალ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია აზრი, რომ თითქოს იგი პირდაპირ იწერდა წყაროებიდან და დაუსახელებლად გადმოჰქონდა წინამორბედი ავტორების კონცეფციები. მაგალითად, მკვლევარი გუტშმიდი მე-19 საუკუნის ბოლოს ამტკიცებდა, რომ პომპეუს ტროგუსისათვის ასეთი წყარო იყო ალექსანდრიელი ბერძენი ისტორიკოსი ტიმაგენე, რომელსაც სათაურად ჰქონდა „მეფეების შესასებ", მაგრამ თვით ტიმაგენეს ეს წიგნი ჩვენამდე არ არის მოღწეული და ამიტომ შეუძლებელი ხდება ამ დებულების შემოწმება.

საერთოდ კი ირკვევა, რომ პომპეუს ტროგუსს უსარგებლია მრავალი ავტორის თხზულებებით, კერძოდ, როგორც კ. ზელინი აღნიშნავს, მას გამოუყენებია: ლოგოგრაფოსები, ჰეროდოტე, თუკიდიდე, კტეზია, თეოპომპე, ეფორი, ტიმეოსი, პოლიბიოსი, ფილარქე, მეგასთენე, დიოკლე, პოსეიდონიოსი რომაელი ანალისტები და ა. შ.

პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორია" პირვანდელი სახით ჩვენამდე არ არის მოღწეული. ძველად რომელიმე დიდი მოცულობის თხზულებიდან სხვა ავტორი, ჩვეულებრივ, გააკეთებდა მოკლე შინაარსს, რომელშიაც ნაწარმოების ჩონჩხი და ძირითადი მასალა უნდა დარჩენილიყო. დიდი თხზულებიდან ამგვარი გზით მოცემულ მცირე ანუ შეკუმშულ თხზულებას ბერძნები ეპიტომას უწოდებდნენ.

პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორიის" ამგვარი ეპიტომა გაუკეთებია ახ. წ. II თუ III საუკუნეში მცხოვრებ ვინმე მარკუს იუნიანუს იუსტინეს. ამ ეპიტომით უფრო მეტი მკითხველები სარგებლობდნენ, ვიდრე პომპეუსს ტროგუსის დიდი თხზულებით; პომპეუსის „ფილიპიკების ისტორია" თანდათან დავიწყებას ეძლეოდა და მის ადგილს იუსტინეს ეპიტომა იჭერდა. უკვე IV—V საუკუნეში ავგუსტინე და ოროზიუსი იცნობენ მხოლოდ იუსტინეს ამ ეპიტომას. საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის, ან მახლობელ ხანაში, უკვე საბოლოოდ დაიკარგა პომპეუს ტროგუსის ნაშრომი.

მეცნიერებაში დიდი ხანია დგას საკითხი, თუ იუსტინეს ეპიტომა რამდენად სრულად, ან რამდენად სწორად ასახავს პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორიას". სამწუხაროდ, ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ერთი რამ ცხადია, იუსტინეს პომპეუს ტროგუსის რომელიმე წიგნი არ გამოუტოვებია: ტროგუსის „ფილიპიკების ისტორია" 44 წიგნისაგან შედგებოდა და იუსტინეც ორმოცდაოთხივე წიგნის ეპიტომას იძლევა.

სხვა საკითხია, თუ რა გამოტოვა, ან რა დაუმატა იუსტინემ პომპეუს ტროგუსის თხზულების ამა თუ იმ ცალკეულ წიგნს. თვითონ იუსტინე შესავალში წერს, რომ ტროგუსის თხზულებიდან ყველაფერი ის ამოვიღე, რაც ყველაზე უფრო მეტად იქცევდა ყურადღებას და გამოვტოვე ის, რასაც არ შეეძლო არც კმაყოფილების მოტანა მასთან გაცნობით და სასარგებლო მაგალითიც ვერ გახდებოდა. მე თითქოს ყვავილთა თაიგული შევკონეო.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ეს ასე არ არის. ფ. სოკოლოვის აზრით, იუსტინემ დაამახინჯა და აურ-დაურია პომპეუს ტროგუსის ნაწარმოები, რამდენადაც იქიდან ბევრი ისეთი რამ არ ამოიღო, რაც უდავოდ საინტერესო იყო, და ბევრი ისეთი რამ დაუმატა, რაც ინტერესს არ იწვევს. ამიტომ სოკოლოვი უნდობლობას უცხადებს იუსტინეს და მას „მღვრიე წყაროდ" მიიჩნევს. ამ საკითხში უფრო სწორი პოზიცია უკავია კ. ზელინს, რომელიც არც სრულ უნდობლობას უცხადებს იუსტინეს და არც სრულ ნდობას. იგი წერს: „რა თქმა უნდა, ფ. სოკოლოვი სწორია, როცა უთითებს, რომ იუსტინე რიგ არსებით მომენტს გამოტოვებს ტროგუსის თხზულებიდან, აუბრალოებს და ამახინჯებს იმასაც კი, რასაც ტოვებს თავის გადმოცემაში. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ აუცილებელია განსაკუთრებით კრიტიკული მიდგომა იუსტინეს გადმოცემისადმი, მაგრამ ეს სრულიადაც არ უკარგავს მას მნიშვნელობას და ღირებულებას იმ შემთხვევებში, როცა ხერხდება იმის დადგენა, რომ მას საფუძვლად უდევს სარწმუნო და შინაარსიანი მასალა". მართლაც, ზოგჯერ შესაძლებელი ხდება იუსტინეს გადმოცემული ფაქტებით ჭეშმარიტების დადგენა. მაგრამ, ცხადი ხდება ისიც, რომ მცირე გამოცდილებისა და შედარებით ნაკლები უნარის მქონე ეპიტომატორი ყოველთვის ვერ მოახერხებდა ვერც ამოსაღები მასალის შერჩევას და ვერც ამოკრეფილი ფაქტების რიგიანად გადაბმას.

ერთი რამ თავიდანვე ცხადია, იუსტინეს შინაარსით და ფორმით

რომ არ მოსწონებოდა პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორია“, ხელსაც არ მოჰკიდებდა მისგან ეპიტომას შედგენას. ამიტომ მას შეცდომა მასალის შერჩევასა და შერჩეული ფაქტების გადაბმაში შეიძლებოდა მოსვლოდა უნებლიედ და არა წინასწარი განზრახვით. იუსტინე აფასებდა პომპეუს ტროგუსის თხზულებას და თვით მის ავტორსაც, რაც იუსტინეს შესავლიდანაც ჩანს.

შესავალში იუსტინე აქებს პომპეუს ტროგუსის პატრიოტიზმს, რადგან მან, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ბერძნულის მაგიერ, ისტორიის დაწერა გაბედა ლათინურ ენაზე და თანაც მსოფლიო ისტორია დაწერა. ამის გამო, იგი აღნიშნავდა: „ჯეშმარიტად მან ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც მოითხოვდა უდიდეს ძალას და გაბედულებას. მწერალთა უმრავლესობა, რომელნიც ცალკეული მეფეების და ხალხების ქმედობას აღწერენ, თავიანთ საქმეს მიიჩნევენ ძალიან ძნელად, ამიტომ ნუთუ ჩვენ არ უნდა ვცნოთ, რომ პომპეუს ტროგუსი, რომლის თხზულებაც ყველა საუკუნის, ყველა მეფის, ყველა ტომის და ხალხის ისტორიას მოიცავს, ნამდვილად ფლობდა ჰერკულესის გამბედაობას“.

პომპეუს ტროგუსის ღვაწლი ისტორიული მეცნიერების წინაშე დიდია, რადგან მისი „ფილიპიკების ისტორია“ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვების აუზის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. დიდია იუსტინეს ღვაწლიც, რომელმაც ეპიტომის სახით ტროგუსის ეს ნაწარმოები სრულ გაქრობასა და დავიწყებას გადაარჩინა.

ვალერიუს მაქსიმუსი

ვალერიუსი ისტორიკოსის ნამდვილი გვარია, მაქსიმუსი — შერქმეული მეტსახელი. მას უცხოვრია ახ. წ. I საუკუნის I ნახევარში და დაახლოებით 30-იან წლებში 9 წიგნად დაუწერია თხზულება: „მნიშვნელოვან გამონათქვამთა და ქმედობათა შესახებ“. ვალერიუს მაქსიმუსის ამ თხზულებამ, აგრეთვე იულიუს პარიდუსის (IV ს.) და იანუარიუს ნეპოტიანუსის (VI ს.) მიერ მისგან გადმოღებულმა ეპიტომებმა ჩვენამდე მოაღწიეს.

როგორც თვით ვალერიუს მაქსიმუსის თხზულებიდან ჩანს, ავტორს გამოუყენებია: ციცერონის, ლივიუსის, სალუსტიუსის, პომპეუს ტროგუსის და სხვათა ნაშრომები, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი მაინც შედგება ცალკეულ ორატორთა სიტყვებისა და გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებისაგან, რომელთაგან ზოგი ანეგდოტური ხასიათისაა.

ამის გამო, თხზულების დიდი ნაწილი ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცნობების კრებულის ხასიათს ატარებს. ყველაფერი ეს აძნელებს ავტორის მიზანდასახულობისა და მსოფლმხედველობის ნათლად წარმოდგენას. თხზულება ვერც ენობრივი თვალსაზრისით დგას შესაფერის სიმაღლეზე.

მიუხედავად ამისა, ბევრი მასალა თხზულებაში საინტერესოა. მასში მოიპოვება ისეთი ცნობებიც, რომელიც ჩვენ სხვა ავტორებთან არ გვხვდება, მაგალითად, საინტერესოა ცნობა, რომლის მიხედვითაც, ერთ მონას ბრალი დასდეს მკვლელობაში. წამების დროს მონამ ეს ბრალდება დაადასტურა და იგი სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ მონის სიკვდილით დასჯიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნდა ამ მონის მიერ „მოკლული" კაცი.

ეს მაგალითი იმის მაჩვენებელია, თუ რა უდიერ წამებას განიცდიდნენ მონები და ისიც სასამართლოში. როცა მათ აღარ შეეძლოთ ამ წამების ატანა, ისინი არჩევდნენ ეკისრათ ყალბად წაყენებული ბრალდება, რათა ამით ბოლო მოეღოთ წამებისათვის.

საინტერესოა ცნობა იმაზე, რომ პირველად გლადიატორთა ბრძოლა დაკავშირებული იყო საკრალურ ამბებთან, კერძოდ, მიცვალებულთა კულტთან. ძვ. წ. 264 წელს აპ. კლავდიუსის და მ. ფულვიუსის კონსულობის დროს, წერს ვალერიუს მაქსიმუსი, ბრუტუსის შვილებმა გარდაცვლილი მამის პატივსაცემად დაკრძალვის დროს მის საფლავზე გლადიატორთა ბრძოლა მოაწყვესო. შემდეგ ხანებში, როგორც ვიცით, გლადიატორთა ბრძოლამ საკრალური ხასიათი დაკარგა და ანტიკური სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთ დარგად იქცა.

ვალერიუს მაქსიმუსის თხზულება, მიუხედავად მისი კონგლომერატული ხასიათისა, ინტერესით იკითხება, რასაც ისიც ამტკიცებს, რომ მისგან რამდენიმე ეპიტომა შეუდგენიათ.

კურციუს რუფუსი

კვინტუს კურციუს რუფუსის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ადრე გამოთქვამდნენ აზრს, რომ იგი ცხოვრობდა იმპერიის დროს (ავგუსტუსის დროიდან დაწყებული თეოდოსი დიდამდე). მიახლოებით უფრო იმის მტკიცება შეიძლება, რომ ისტორიკოსი მოღვაწეობდა იმპერატორ კლავდიუსის მმართველობის ხანაში (ახ. წ. 41—54 წწ.). ეტყობა, ეს ის კურციუს რუფუსია, რომელსაც სვეტონიუსი იხსენიებს

რიტორთა სიაში, თვით რუფუსის თხზულება „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია", ძალზე საინტერესოდ იკითხება და იმდროინდელ რიტორთა ნაწარმოებების მსგავსად არის დაწერილი.

კვინტუს კურციუს რუფუსის „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია" 10 წიგნისაგან შედგებოდა. პირველი ორი წიგნი დაიკარგა, ისე რომ შემონახულ ტექსტში თხრობა იწყება მესამე წიგნიდან, ძვ. წ. 333 წლის გაზაფხულის ამბებიდან. დაკარგულია აგრეთვე მეხუთე წიგნის დასასრული, მეექვსის დასაწყისი და რამდენიმე საყურადღებო ადგილი მეათედან.

კურციუს რუფუსის ნაშრომი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, რომელიც გარკვეულ ეპოქას მიეკუთვნება და ასევე გარკვეულ ტენდენციითაა დაწერილი. იგი შეიცავს პრინციპატის დროის რომაულ საზოგადოებაში ფრიად გავრცელებულ კრიტიკულ ვერსიას ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობაზე. ეს აზრი უპირისპირდება ე. წ. „კლასიკურ ვერსიას", რომლის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ პლუტარქე და არიანე. ეს ბერძენი ისტორიკოსები მისდევდნენ ალექსანდრეს თანამედროვეებისა და მისი გვიანდელი მეხოტბეების ცნობებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალექსანდრეს მეხოტბეებს აშკარად დაუპირისპირდა კურციუსის უფროსი თანამედროვე პომპეუს ტროგუსი.

კურციუს რუფუსის ძირითად წყაროდ მიჩნეულია ალექსანდრიელი მწერალი კლიტარქოსი. შესაძლოა, იგი იყენებდა ალექსანდრეს მიერ დასჯილ ისტორიკოს კალისთენეს ნაშრომსაც.

კურციუს რუფუსი ალექსანდრე მაკედონელის კრიტიკაში ორიგინალური არ არის. ასევე იქცეოდნენ მისი წინამორბედი რომაელები ციცერონი და ტიტუს ლივიუსი, კურციუს რუფუსის შემდეგ კი სენეკა და ლუკანუსი. სტოიკური მორალიდან გამომდინარე, ალექსანდრეს რომაელი კრიტიკოსები მას გმირად კი არ თვლიან, არამედ დამპყრობელად, რომელსაც ბედი სწყალობდა.

მეათე წიგნში კურციუს რუფუსი აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს რომის მტკიცედ ორგანიზებულ სახელმწიფოს და იმ ქაოტურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ალექსანდრეს იმპერიაში მისი გარდაცვალების შემდეგ. ძნელია დავეთანხმოთ ლიუბკერს, რომ კურციუს რუფუსს ხელს უშლის ალექსანდრე მაკედონელით დიდი გატაცება. მართალია, ისტორიკოსი ხაზს უსვამს მაკედონელის დიდ სი-

მამაცეს, კეთილშობილებას და დიდსულოვნებას, მაგრამ მას ყურადღებიდან არ ეპარება მისი მეტისმეტი პატივმოყვარეობა, უაზრო სიასტიკე, შურისმაძიებლობა და სხვა უარყოფითი თვისებები.

კურციუს რუფუსის ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ბევრ რამეს საყურადღებოს გვატყობინებს აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, ინდოეთზე და შუა აზიაზე, ბაქტრიასა და სოგდიანაზე, მდინარეებზე — ოკსსა (ამურ-დარია) და იაქსარტზე (სირ-დარია).

კურციუს რუფუსი ცოცხლად და მიმზიდველად წერს. ამით უნდა აიხსნას მისი დიდი პოპულარობა. მაგალითად, ცნობილია ამბავი: არაგონისა და სიცილიის მეფე ალფონს V (1382—1458) მძიმედ გახდა ავად. მისი მორჩენა შეუძლებლად მიაჩნდათ. მან დაიწყო კურციუს რუფუსის ნაშრომის კითხვა და იმდენად მოიხიბლა, რომ ჯერ შვება იგრძნო, შემდეგ კი სავსებით განიკურნა.

კურციუს რუფუსის წიგნს ზოგჯერ ურთავენ ხოლმე მკვლევარ ფრაინსჰაიმის „დამატებებს". ამ მკვლევარმა, ლათინურის დიდებულმა მცოდნემ, საინტერესოდ შეავსო ყველა ის ადგილი, რომელიც დაიკარგა „ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში". ფრაინსჰაიმმა მარჯვედ გამოიყენა სხვა ისტორიკოსების ცნობები და სტილის მიხედვითაც კარგად მიბაძა კურციუს რუფუსს.

სენეკა

ლუციუს ანეუს სენეკა იყო ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი დაიბადა ესპანეთის ქალაქ კორდუბაში ძვ. წ. 4 წელს. მისი მამა მარკუს ანეუს სენეკა (მეტსახელად— „რიტორი") ეკუთვნოდა მხედართა წოდებას. მას მიღებული ჰქონდა ბრწყინვალე რიტორიკული განათლება, რაც კარგად გამოიყენა, როდესაც პრინციპატის პირველ წლებში რომში დასახლდა ოჯახით: აქ იგი სათავეში ჩაუდგა რიტორიკულ სკოლას, მოიხვეჭა სახელი, საპატიო მდგომარეობა და საკმაოდ დიდი ქონება. სენეკას დედაც განათლებული ქალი ყოფილა. იგი ძველ არისტოკრატიულ ოჯახს ეკუთვნოდა. ბავშვობაში სენეკა დაავადებული იყო ალერგიითა და ასთმით, რის გამოც, ექიმების რჩევით, რამდენიმე ხანი დაჰყო ეგვიპტეში, სადაც მის ბიძას პრეფექტის თანამდებობა ეჭირა.

პირველდაწყებითი განათლება სენეკამ მიიღო მამის ხელმძღვანელობით. 20 წლის ასაკში ფლობდა ბერძნულ ენას, გრამატიკას, მათემატიკას, მუსიკას; კარგად ერკვეოდა ისტორიაში.

ახ. წ. 19 წლიდან სენეკამ დაიწყო ლექციების მოსმენა ფილოსოფიაში სტოიკოს ატალთან, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სენეკას ფილოსოფიური შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

ახ. წ. 30-იან წლებში, მამისა და ახლობლების რჩევით, სენეკამ ხელი მიჰყო სასამართლო საქმიანობას — ეს იყო ასპარეზი, სადაც სრულად გამოელინდა მისი მაღალი განათლება და ბრწყინვალე ორატორული ნიჭი.

იმპერატორ კალიგულას მმართველობის დასაწყისში სენეკამ მიიღო ქვესტორის თანამდებობა. აქედან იწყება მისი დაწინაურება საზოგადოებრივ ასპარეზზე. ის დაუახლოვდა საიმპერატორო კარს. იმპერატორი კალიგულა ხშირად უსმენდა სენეკას, რომლის ორატორული ნიჭი შურდა. ამის გამო, კალიგულას სენეკას მოკვლაც კი ჰქონია განზრახული.

ძოგვიანებით, კლავდიუსის მმართველობის წლებში, სენეკა ოპოზიციაში აღმოჩნდა კლავდიუსის ცოლთან მესალინასთან. მესალინამ სენეკას ბრალად დასდო უზნეობა, რის გამოც 41 წელს ის კუნძულ კორსიკაზე გადაასახლეს. შორეულ კუნძულზე გადასახლება სენეკას პატივმოყვარული ზრახვების სრულ კატასტროფას მოასწავებდა. 8 წლის გადასახლებამ მძიმე ფიზიკური და მორალური ტრავმა მიაყენა მწერალს. ამ დროის მისი პოეტური ნაწარმოებები კარგად ასახავენ მძიმე სულიერ ტკივილს, რომელსაც იგი განიცდიდა („გამამხნევებელი წერილი დედას“).

სენეკას ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, როდესაც მესალინას ადგილი კლავდიუსის გვერდით დაიკავა პატივმოყვარე და ცბიერმა აგრიპინამ. ახ. წ. 49 წელს მან დააბრუნა სენეკა გადასახლებიდან, მიაღებინა პრეტორის თანამდებობა და აღმზრდელად მიუჩინა თავის შვილს დომიციუსს, რომელიც მომდევნო წელს ნერონის სახელით იშვილა და მემკვიდრედ გამოაცხადა იმპერატორმა კლავდიუსმა. აგრიპინას არჩევანი შემთხვევითი არ იყო — მას იმედი ჰქონდა, რომ განათლებული, პოპულარული და ჭკვიანი სენეკა გამოადგებოდა კლავდიუსის წინააღმდეგ ფარულ, თუ აშკარა ბრძოლაში. სენეკამ გაამართლა აგრიპინას იმედები — მან დიდად შეუწყო ხელი ნერონის გამოცხადებას იმპერატორად, რაც აგრიპინას პატივმოყვარული ზრახვების სრული გამარჯვება იყო. აქედან იწყება სენეკას უჩვეულო აღზევება: ნერონის მმართველობის დასაწყისში სენეკა, პრეტორიელთა მეთაურ ბურთან ერთად, იმპერიის ფაქტობრივი გამგებელი იყო. ახ. წ. 56 წელს

მან მიიღო კონსულის საპატიო წოდება. ამ დროისათვის სენეკას დიდი გავლენა ჰქონდა იმპერატორზე, რომელშიც იგი კეთილი მისწრაფებებისა და გრძნობების გაღვიძებას ცდილობდა. სწორედ ამ ხანებში მიუძღვნა მან ნერონს თავისი ცნობილი ფილოსოფიური ტრაქტატი „შეწყალების შესახებ". სენეკა იყო ნერონის არა მარტო მრჩეველი, არამედ მეგობარიც. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სასახლის ინტრიგებში, რომლებიც პრინციპატის ისტორიის ყველაზე სისხლიან ფურცლებს წარმოადგენენ. როდესაც გამოელინდა ნერონის ბოროტი ბუნება, სენეკა იმპერატორის ყველაზე აღვირახსნილი ვნებების წამქეზებელი გახდა. იმპერატორმა ნერონმა საკუთარი დედა აგრიპინა მოაკვლევინა, რადგან მისი პატივმოყვარე ზრახვები აშინებდა. სენეკამ შეადგინა სენატისადმი იმპერატორის მიმართვის ტექსტი, რომელშიც აგრიპინას მრავალ დანაშაულში სდებდა ბრალს. ეს წერილი ფაქტობრივად ნერონის უმძიმესი დანაშაულის გამართლების ცდა იყო, მაგრამ სწორედ ამ დროიდან იწყება ურთიერთობის გამწვავება სენეკასა და ნერონს შორის — იმპერატორი სიძულვილით აღივსო თავისი აღმზრდელის მიმართ, რომელიც მის ყველაზე გაუმართლებელ დანაშაულებათა წამქეზებელი და თანამონაწილე იყო. ნერონი არ ფარავდა, რომ სურდა მისი ჩამოშორება, როგორც საშიში მოწმისა. ერთ-ერთ წერილს ლუცილიუსთან, რომელიც სენეკას ამ ხანებში დაუწერია, სათაურად აქვს „გეშინოდეს ადამიანის". მასში გადმოცემულია სენეკას მძიმე სულიერი განცდები: ის აფრთხილებს თავის მეგობარს, რომ საშიშია არა სტიქიური უბედურება, რომელიც არცთუ ძალიან ხშირად ხდება, არამედ ის ბოროტება, რომელიც ადამიანს ადამიანისგანვე ემუქრება.

62 წელს, როდესაც ბური გარდაიცვალა, სენეკა საბოლოოდ ჩამოშორდა საიმპერატორო კარს და კერძო ცხოვრებას მიეცა. მისი ადგილი იმპერატორის გვერდით ახალმა ფავორიტმა დაიკავა.

65 წელს სენეკას ბრალად დასდეს მონაწილეობა პიზონის შეთქმულებაში, რომელიც ნერონის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამავე წელს, ნერონის შიშით, სენეკამ ვენები გადაიჭრა. ამ თვითმკვლელობის დრამატიზმით აღსავსე სურათი შესანიშნავად აქვს გადმოცემული ტაციტუსს.

ამრიგად, სენეკას მოღვაწეობა ძირითადად მოუხდა კლავდიუსისა და ნერონის მმართველობის წლებში. ეს იყო ხანა პრინციპატის ისტო-

რიაში, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებასა და გაბატონებულ ფენებს შორის ურთიერთობის უდიდესი დაძაბულობით ხასიათდებოდა. პოლიტიკური დესპოტიზმის პირობებში რომის არისტოკრატიული დიდკაცობა სავსებით ჩამოშორდა მართვა-გამგებლობას. იგი თავს იქცევდა ფუფუნებით, უსაქმური დროსტარებით, მაგრამ მასში არ ცხრებოდა სიძულვილი და მტრული განწყობილება იმპერატორის პიროვნების მიმართ. არისტოკრატიული ფენების ოპოზიციურ განწყობილების ზრდა გამოხატულებას პოულობდა როგორც ცალკეულ გამოხდომებში, ისე ფარულ შეთქმულებებში, რასაც იმპერატორები სისხლიანი ანგარიშსწორებით უპასუხებდნენ.

განსაკუთრებით სისხლიანი იყო ნერონის მმართველობის წლები, რომელიც მკვლელობებისა და კონფისკაციების უამრავი მაგალითებით აღინიშნა; სენეკა ერთი ამ მსხვერპლთაგანი იყო.

სენეკა თავის დროის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფიგურაა, უაღრესად განათლებული და განსწავლული მეცნიერების სხვადასხვა დარგში, დაჯილდოებული უბადლო ლიტერატურული ნიჭით. ასკეტური მორალის ქადაგებასთან ერთად, ის უზარმაზარ ქონებას ფლობდა, ხოლო ფილოსოფიური განმარტოების ტრფიალი ხელს არ . უშლიდა ყოფილიყო საიმპერატორო სასახლის ცბიერი კარისკაცი. ყველა ამ ნიშნებით, სენეკამ განასახიერა იმ ეპოქის წინააღმდეგობანი, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება.

სენეკამ დატოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ჟანრობრივად მის თხზულებებს 3 ჯგუფად ყოფენ:

1. ათი ტრაგედია; სატირა იმპერატორ კლავდიუსზე — „ღვთაებრივი კლავდიუსის გოგრად ქცევა".

2. ნახევრადფილოსოფიური შინაარსის „წერილები ლუცილიუსთან" და ე. წ. „დამამშვიდებელი წერილები" ახლობლებისა და ნათესავების მიმართ.

3. ფილოსოფიური და მეცნიერული ტრაქტატები.

სენეკას თხზულებათა უძველეს ნუსხაში არ იყო შესული სენეკას ზოგიერთი ნაწარმოები, მაგალითად, „შეწყალების შესახებ", რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, იმპერატორ ნერონს მიუძღვნა; აგრეთვე, საბუნებისმეტყველო ტრაქტატი, რომელშიც განხილული იყო საკითხები ასტრონომიიდან, გეოგრაფიიდან და მეტეოროლოგიიდან.

გარდა ამ თხზულებებისა, ძველი მწერლების ცნობებით, სენეკას

დაწერილი ჰქონდა პენეგირიკი მესალინაზე, მამის ბიოგრაფია; აგრეთ-ვე მონოგრაფიები ინდოეთსა და ეგვიპტეზე, რომლებსაც, ასევე არ მოულწევია ჩვენს დრომდე.

თუ მხედველობაში მივიღებთ სენეკას შემოქმედების ან ჟანრობრივ და თემატიკურ მრავალმხრივობას, რაც მეტყველებს მისი მეცნიერულ და ლიტერატურულ-ფილოსოფიური ინტერესების ფართო დიაპაზონ-ზე, სავსებით მისაღებია მაღალი შეფასება, რომელიც მან უკვე ანტი-კურ ხანაში დაიმსახურა. კვინტილიანე წერდა: „...სენეკას ჰქონდა... ფართო და მრავალმხრივი გონება, უდიდესი შრომისმოყვარეობა, დი-დი ცოდნა... ის მუშაობდა მეცნირების ყველა დარგში; მან დატოვა სიტყვები, პოემები, წერილები, დიალოგები".

სენეკა წერდა დახვეწილი ენით, მაგრამ ამავე დროს დიდ ადგილს უთმობდა რიტორიკას. გავრცელებული შეხედულებების თანახმად, მი-სი ტრაგედიები გამიზნული იყო არა სცენაზე სათამაშოდ, არამედ დეკ-ლამაციისათვის.

ცნობილია, რომ იმპერატორი კალიგულა სენეკას უწუნებდა ლიტე-რატურულ სტილს. ის წერდა, რომ სენეკას ენა კირგამოცლილი ქვიშა არისო. ცხადია, ეს გამონათქვამი ნაკარნახევი იყო შურით, რომლითაც კალიგულა გამსჭვალული იყო ნიჭით მომადლებული კალმის ოსტატის მიმართ.

სენეკა არ იყო ისტორიკოსი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით (თუმ-ცა სატირაში იმპერატორ კლავდიუსზე, ის თავის თავს ისტორიკოსს უწოდებდა). მიუხედავად ამისა, მის შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადრინდელი პრინციპატის ისტორიისათვის, რამ-დენადაც მასში ასახვა პოვა მონათმფლობელთა კლასის უმაღლესი ფე-ნის იდეოლოგიამ.

ახ. წ. I საუკუნე რომის ისტორიის ის ეპოქაა, როდესაც მონათმ-ფლობელური ექსპლუატაციის საერთო ფონზე გარკვეული სოცი-ალ-ეკონომიკური ძვრები გამოიკვეთა. სტოიკური ფილოსოფია მონას ადამიანად აცხადებდა და მის ზნეობრივ თვისებებზე ქადაგებდა. მონა ადამიანური ღირსებებით დაჯილდოებულ პიროვნებად ცხადდებოდა. სენეკა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც გამოდიოდა მტკიცებით, მონების ადამიანური უფლებების შესახებ.

ამ მონაცემებზე დამყარებით, მკვლევრები იმ შეხედულებამდე მი-ვიდნენ, რომ იმპერიის დასაწყისში მონათმფლობელური ექსპლუატაცია

შერბილდა და მონების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულება დამკვიდრდა.[1]

სენეკას მრავალი გამონათქვამიდან მონებზე განსაკუთრებით საყურადღებოა ლუცილიუსისადმი მიმართულ წერილში მოტანილი მოსაზრებანი. ერთ მათგანში იგი უქებს მეგობარს მონებისადმი ლმობიერ დამოკიდებულებას. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს სენეკა თავის მეორე წერილშიც. აქ აშკარად ჩანს, თუ რაოდენ საშიშ ძალას ხედავს ის თითოეულ მონაში. „ყოველ მონას შენს მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის უფლება აქვს" — აფრთხილებს იგი ლუცილიუსს. ე. შტაერმანი აღნიშნავს, რომ „შიში მრავალმხრივ განსაზღვრავდა სენეკას დამოკიდებულებას მონების მიმართ", და რომ „სენეკა ცდილობდა შეერბილებინა სოციალური წინააღმდეგობანი და მონები ნაკლებ საშიში გაეხადა ბატონებისათვის".

ამრიგად, ნათელია, რომ სენეკას თეორია მონების შესახებ სრულიადაც არ წარმოადგენს იმ დებულების დამაჯერებელ არგუმენტს, რომ იმპერიის დასაწყისში მონათმფლობელური ექსპლუატაცია თვისებრივად იცვლება მონათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პირიქით, მონათმფლობელური ექსპლუატაციის გაძლიერება დღის წესრიგში აყენებს მათი დამორჩილებისა და დათრგუნვის ახალი მეთოდების გამოძებნის აუცილებლობას. შემთხვევითი არ არის, რომ შესაბამისი მეთოდების პრაქტიკულად დანერგვის ცდებს ვხვდებით ამავე ეპოქაში კოლუმელასთან, რომელმაც თავისი შეხედულებები აღნიშნულ საკითხზე შესანიშნავად ჩამოაყალიბა ცნობილ ტრაქტატში — „სოფლის მეურნეობის შესახებ".

ცხადია, რომ სტოიკოსთა და მათ შორის სენეკას შეხედულებები მონობის საკითხში უნდა შეფასდეს როგორც აღნიშნული ცვლილებების ასახვა იდეოლოგიაში. ე. შტაერმანი სამართლიანად შენიშნავს, რომ მონის ექსპლუატაციის ახალმა მეთოდებმა იძულებული გახადეს მონათმფლობელები, რომ მათ მონები თავისუფალი ადამიანების თანასწორად ეღიარებინათ.

---

[1] ამ შეხედულებას ანვითარებდა თანამედროვე ინგლისელი მკვლევარი დაფი. მისი აზრით, სტოიკურმა ფილოსოფიამ ხელი შეუწყო ე. წ. „უნიკერსალური ძმობის" დოქტრინის გავრცელებას რომის საზოგადოების მაღალ წრეებში და განაპირობა მონების გათავისუფლებათა ზრდა იმპერიის დასაწყისში. იხ. რ. გოგოლაშვილი, „მონების გათავისუფლება ძველ რომში, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა", თსუ შრომები, 1960, 87, გვ. 306—307.

ამასთან ერთად, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ, რომ მსჯელობა ამ საკითხის ირგვლივ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მონათმფლობელურმა იდეოლოგიამ დააყენა მონობის შერბილების ან გაუქმების საკითხი. პირიქით, სტოიკოსთა ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომ თავისუფლება ზნეობრივი კატეგორიაა, ხელმისაწვდომი ყველასათვის სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, — ბადებდა არსებულ სოციალურ ურთიერთობათა აუცილებლობისა და გარდაუვალობის რწმენას. ამიტომ ასეთი განცხადება რეალურ შინაარსს მოკლებული სოციალური დეკლარაციები იყო და ემსახურებოდა არა მონების, არამედ მათი მფლობელების, ე. ი. რომის უმაღლესი ფენების ეკონომიკურ ინტერესებს. ამ ახალი მიმართულების მიმდევართა შეხედულებები სულაც არ ასახავდა მათ რეალურ დამოკიდებულებას როგორც მონების მიმართ, ისე იმ მატერიალური სიკეთის მიმართ, რომლის მფლობელებიც ისინი იყვნენ. როგორც ზევით ითქვა, მორალურ-ეთიკური სენტენციები სენეკას არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო თავისი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი პიროვნება.

კვინტილიანე

მარკუს ფაბიუს კვინტილიანე წარმოშობით ესპანელი იყო. იგი დაბადებულა ქალაქ კალგურისში. ერთ დროს რომში გადმოსახლებულა, მაგრამ 59—68 წ. ისევ ესპანეთში დაბრუნებულა, საიდანაც შემდეგ იმპერატორ გალბას კვლავ რომში მიუწვევია. აქ იგი ვექილობას ეწეოდა. სვეტონიუსი გადმოგვცემს, რომ ვესპასიანემ (69—79 წ.) ბერძენ და რომაელ რიტორებს ჯამაგირი დაუნიშნაო. მათ რიცხვში უნდა ყოფილიყო კვინტილიანეც. ვარაუდობენ, რომ მისი მოწაფეები იყვნენ პლინიუს უმცროსი და ტაციტუსი.

სამწერლობო მოღვაწეობისათვის კვინტილიანეს გვიან მოუკიდია ხელი. მას 12 წიგნად დაუწერია რიტორიკის სახელმძღვანელო. ნაწრომის შესავალში კვინტილიანე წერს, რომ 20 წელი პედაგოგიური მუშაობით მოღლილი დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს მეგობრებმა დამიყოლიეს, რიტორიკის სახელმძღვანელო დამეწერაო. კვინტილიანეს დაუწერია აგრეთვე დეკლარაციათა ორი კრებული რიტორიკულ სკოლაში სავარჯიშოდ.

კვინტილიანეს ნაშრომს ეწოდება „რიტორიკაში დარიგების შესახებ". მისი ეს ნაწარმოები სახელმძღვანელოს პრეტენზიას ატარებს,

მაგრამ რიტორიკის გარდა მასში ისეთ ცნობებს შეხვდებით, რომლებიც მთელი ანტიკური კულტურისა და ისტორიის სულ სხვადასხვა დარგებს განეკუთვნება. მაგალითად, იგი წერს, რომ: აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა" ბერძნულიდან თარგმნა ვინმე ატაციონელმა ვარონმა, მითრიდატემ 22 ენა იცოდა, მეხუთე საუკუნის ბერძენ მოქანდაკე ფიდიასს ღმერთების ქანდაკება უკეთესი გამოუდიოდა ვიდრე ადამიანების, ლისიპპე და პრაქსიტელი სრულყოფას აღწევდნენ ბუნების გამოხატვაში და სხვა. მიუხედავად ამგვარი გადახვევებისა, კვინტილიანეს აღნიშნული ნაშრომი ბევრ სიახლეს იძლევა ანტიკური რიტორიკის საგნისა და წესების შესასწავლად.

ნაშრომის შესავალში და პირველ წიგნში კვინტილიანე აყენებს საკითხს, რიტორად გახდომისათვის ნიჭია საჭირო თუ სწავლაო. მე ვფიქრობ, წერს იგი, რომ თუ ვინმე არ არის დაჯილდოებული ნიჭით, ჩემი დარიგება მისთვის იგივე იქნება, რაც უნაყოფო მიწის დამუშავებაო. როგორც ბუნებით აქვთ მოცემული ფრინველებს ფრენა, ცხენებს — ჯირითი და მხეცებს — მძვინვარება, ასევე ჩვენ მოცემული გვაქვს გონება და ცნობიერება. მაგრამ თუ ეს გონება და ცნობიერება, თავისთავად მიდრეკილი არ იქნა რიტორიკის ათვისება-დაძლევისაკენ, მაშინ მარტო სწავლა ისევე არაფერს მისცემს კაცს, როგორც არ მისცემს რაიმეს სრულიად უნაყოფო მიწა ბეჯით მეურნეს. ნაყოფიერმა მიწამ კი ზოგჯერ შეიძლება დაუმუშავებლადაც რაიმე არგოს ადამიანსო.

აქ კვინტილიანე ცალმხრივობაში მაინც არ ვარდება და ფიქრობს რომ მარტო ნიჭი არ არის საკმარისი, თუ მას არ დაერთვის მრავალმხრივი განათლება და ცოდნა თვითონ რიტორის, რომელიც სწავლით შეიძინება. პირველ რიგში, მისთვის საჭიროა ფილოსოფიის ცოდნა. ეს იმიტომო, წერს იგი, რომ რიტორს ხშირად უხდება თავის სიტყვაში ისეთ საკითხზე ლაპარაკი, როგორიც არის სამართლიანობა, დიდსულოვნება, თავშეკავებულობა, ზომიერება, ღვთისმოსაობა და სხვ. (წიგნი XII, თავი II). ხოლო ამგვარ საკითხებზე მსჯელობის მართებულად წარმართვა მას არ ძალუძს, თუ არ ეცოდინება ფილოსოფია, კერძოდ დიალექტიკა, რომელსაც ციცერონი სიცრუისაგან ჭეშმარიტების გამომყოფ მოსამართლეს უწოდებდა.

კვინტილიანე მარტოოდენ ფილოსოფიის შესწავლას საკმარისად არ თვლის რიტორისათვის და საჭიროდ მიიჩნევს მის უნივერსალურ განათლებას, კერძოდ, მის მიერ ისტორიის ცოდნას, სა-

დაც თავს იყრის ფაქტობრივი მასალა ცოდნის მრავალი დარგიდან. სწორედ ამიტომ, წერს იგი, რიტორმა უნდა იცოდეს რაც შეიძლება ამგვარი სახის მეტი მასალა (წიგნი XII, თავი IV). ეს მასალა ეხმარება მას დაიცვას ზომიერება, რომელიც წარმოადგენს სიკეთეს და თავი შეიკავოს ფუფუნებისაგან, რაც ბოროტებას წარმოადგენსო (წიგნი V, თავი X).

როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყოს და როგორი უნივერსალური განათლებაც არ უნდა ჰქონდეს რიტორს, ეს ყველაფერი უქმი იქნება, თუ მას ხალხში არ ექნება პატიოსანი და მართალი კაცის რეპუტაცია და თვითონ არ იქნება დარწმუნებული იმ ხაზის ჯეშმარიტებაში, რომელსაც ის იცავს. ამიტომ, წერს კვინტილიანე, უმართებულოა, ორატორი იყო და არ იყო პატიოსანი ადამიანი (წიგნი I, თავი II). ამ აზრს იგი იმეორებს XII წიგნის I თავის სათაურშიც. ამიტომ იყო რომ მარკუს კატონი (234—149) პატიოსნებას და თავის საქმეში დახელოვნებას ყველაზე მაღალ თვისებად თვლიდა რიტორიკაშიო (წიგნი XII, თავი I). მართლაც, წერს კვინტილიანე, ბუნებას რომ მჯევრმეტყველების უნარი ჩვენთვის იმიტომ მოეცა, რათა მსარი დაგვეჯირა ბოროტმოქმედთათვის, უდანაშაულოთა ჩაგვრისათვის და ჯეშმარიტების გათელვისათვის, მაშინ განა უკეთესი არ იყო გავჩენილიყავით პირუტყვებად და საერთოდ უაზრო არსებებად, ვიდრე ის, რომ მეტყველების სახით ღვთის ეს ძღვენი ერთმანეთის დასაღუპავად გამოგვეყენებინაო (წიგნი XII, თავი I).

კვინტილიანეს, რა თქმა უნდა, არ ესმის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში რიტორი, როგორც წესი, არ შეიძლება ზეკლასობრივი იდეოლოგიის მატარებელი იყოს და საზოგადოებრივ ინტერესებს თავის საკუთარ ინტერესებზე მაღლა აყენებდეს.

კვინტილიანე აღნიშნულ ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს რიტორიკის ისტორიას და მის მიმართებას მეცნიერებისაკენ. მისი აზრით, მართალია პერიკლეს სიტყვა რიტორიკულ ხასიათს ატარებს, მაგრამ თვით რიტორიკის თეორიაზე პერიკლეს არაფერი დაუწერია; მისი სიტყვები კი, წარმოთქმული პელოპონესის ომის დროს, მოღწეულია თუკიდიდეს დამუშავებული რედაქციით. ყოველივე ამის გამო, ათენელი პერიკლე ვერ ჩაითვლება რიტორიკის მამამთავრად.

კვინტილიანე აყენებს საკითხს იმის შესახებ, ბოროტება მოაქვს რიტორიკას თუ სარგებლობა? ერთნი ფიქრობენ, რომ რიტორიკას ზიანი მოაქვს და დასაგმობია, რადგან მისი საშუალებით ბოროტმოქ-

მედნი მართლდებიან და უდანაშაულონი ისჯებიან. თვითონ კვინტილიანე ამ შეხედულებას არ ეთანხმება. მისი აზრით, განა წამლის შემადგენლობაში არ ურევია საწამლაე? რიტორიკას, იმის მიხედვით თუ როგორ იყენებენ მას, შეუძლია როგორც ბოროტების, ისე სიკეთის მოტანა. კვინტილიანეს აზრით, მას სიკეთე უფრო ხშირად და უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე ბოროტება, რის გამოც მისი არსებობა გამართლებულია.

კვინტილიანე ეხება აგრეთვე რიტორიკული სიტყვების ჯგუფად დაყოფას. პირველს, ბერძნებიდან ეკუთვნოდა ლისია, რომაელებიდან — ციცერონი და სხვ. მას ახასიათებს გამოთქმის სიმოკლე და ხატოვნება, ფრაზის გამოკვეთილობა, სისადავე, რომელშიაც არ არის ზედმეტობა. მეორეში კი ბევრია ზედმეტობა, გაბერილი ფრაზები, გაჭიანურებული ადგილები. აზიანიზმზე აღბეჭდილია აზიის გავლენა და ბერძნული კულტურის სიფაქიზისა და გემოვნების ერთგვარი გაუხეშება და ბარბარიზაცია. ამის გარდა, კვინტილიანე აღიარებს რიტორიკაში მესამე მიმდინარეობის არსებობასაც, რომელსაც როდოსულ სკოლას უწოდებს და მის მიმდევრად ესქინეს (ძვ. წ. 389—314 წწ.) აცხადებს. ამ სკოლას, მისი აზრით, საშუალო ადგილი ეჭირა ატიციზმსა და აზიანიზმს შორის და ორივე მათთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი თვისებების შეერთებით ხასიათდებოდა.

კვინტილიანეს მიხედვით, სავალდებულოა, რომ ყოველი რიგიანი რიტორიკული სიტყვა აკმაყოფილებდეს სამ რამეს: I. იყოს რიტორიკული წესების მიხედვით სწორად აგებული, 2. იყოს ნათელი და გასაგები, 3. მსმენელებზე ტოვებდეს კარგ შთაბეჭდილებას.

კვინტილიანე ეხება აგრეთვე ზეპირი მეტყველების და წერის კულტურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. მე მგონიაო, წერს იგი, ვინც კარგად ლაპარაკობს, ის კარგადაც წერს, ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ციცერონი და დემოსთენი სხვაგვარად ლაპარაკობდნენ და სხვაგვარად წერდნენ?

კვინტილიანე დიდ ადგილს უთმობს ბერძნული და რომაული კულტურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბერძნულ კულტურას არ ამცირებს, საკითხს ისე გვაწვდის, რომ მკითხველი თვითონ მიიყვანოს რომაული კულტურის უპირატესობის აღიარებამდე, თუ არა, ბერძნულ კულტურასთან მისი თანასწორუფლებიანობის ცნობამდე მაინც. ლიტერატურაში იგი ვერგილიუსს თითქმის ათანაბრებს ჰომეროსთან.

ამგვარად, კვინტილიანე ზოგჯერ რიტორიკის სახელმძღვანელოს ფარგლებიდან გამოდის და ეხება რომის ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა საკითხს. ეს ალბათ თავის დროისათვის ნაკლი იყო, ჩვენთვის მისი ეს გადახვევები ძირითადი თემიდან არანაკლებ საინტერესონი არიან, ვიდრე თვით ძირითადი თემის საკითხები. ამასთან, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, კვინტილიანეს ეს ნაშრომი თვითონ შეტს იძლევა ვიდრე სხვა სახელმძღვანელოები, დაწერილი ანტიკურ ეპოქაში. სწორედ ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით ხდება გასაგები კვინტილიანეს ნაშრომის, როგორც წყაროს მნიშვნელობა, როგორც საერთოდ ანტიკური ქვეყნების ისტორიის, ისე კერძოდ, რომის კულტურისა და ისტორიის შესწავლის საქმეში.

ტაციტუსი

ცალკეული ცნობები ტაციტუსის ბიოგრაფიისათვის ამოიკითხება მისი თანამედროვისა და მეგობრის პლინიუს უმცროსის წერილებიდან. შემდგომი დროის რომაელ მოღვაწეებთან ტაციტუსის სახელი არცთუ ხშირად ისხენიება. თვით ტაციტუსი თავის თხზულებებში საკუთარ თავზე ძალიან მწირ ცნობებს გვაწვდის.

ტაციტუსის სრული სახელი ცნობილი არ არის, თუმცა მიჩნეულია, რომ მისი სახელი უნდა ყოფილიყო პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი. არც ტაციტუსის დაბადების ზუსტი თარიღია ცნობილი. მიაჩნიათ, რომ იგი დაბადებული უნდა იყოს 55 წლის მახლობლად. ასევე არაპირდაპირი ცნობების მიხედვით, იგი 120 წელს უნდა გარდაცვლილიყო.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მოსამზადებლად, ტაციტუსი მამას ჩაუბარებია სახელოვანი კვინტილიანესათვის, თუმცა ეს უტყუარ ცნობად არ ითვლება.

კვინტილიანეს სკოლა ტაციტუსმა ალბათ 19 წლის ჯაბუკმა დაამთავრა, როგორც მისმა მეგობარმა პლინიუს უმცროსმა, და მაშინდელი ჩვეულების მიხედვით, დაუწყია ორატორული გამოსვლები სასამართლო პროცესებზე სხვადასხვა საქმეთა გამო. მალე მას დაუმსახურებია ნიჭიერი ორატორის სახელი, რასაც ადასტურებს პლინიუს უმცროსის წერილი.

ტაციტუსის ორატორული ნიჭი დიდ გამოხმაურებას იწვევდა რომაულ საზოგადოებაში და თვით პლინიუს უმცროსი ქედს იხრიდა მისი, როგორც უაღრესად მჭევრმეტყველი ორატორის წინაშე.

ტაციტუსის მიერ კარგი და ფართო განათლების მიღება უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ მისი მშობლები მხედართა წოდების შეძლებულ ფენას ეკუთვნოდნენ. მას, როგორც ჭკვიან, განათლებულ, თავაზიანსა და თავდაჭერილ ადამიანს, დიდი ინტერესითა და პატივისცემით ეპყრობოდა საზოგადოება. იგი დაახლოებული იყო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან, რომელთაგანაც ბევრი რამ კარგი შეიძინა, ხოლო სახელმწიფო აპარატში მუშაობით, მან ახლოს გაიცნო ცხოვრება, რაც მომავალი ისტორიკოსისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

წესის თანახმად ტაციტუსს უნდა გაევლო დაბალი თანამდებობები, რათა მაღალი თანამდებობისათვის მიეღწია. დაბალ თანამდებობებზე იგი არაფერს ამბობს და პირდაპირ გვამცნობს, რომ: „ჩემი სამსახური დაიწყო ვესპასიანეს დროს, წინ წავიდა ტიტეს დროს და უფრო მეტად ამაღლდა დომიციანეს დროს". დომიციანეს დროს ტაციტუსი დაინიშნა პრეტორად. იგი შეიქმნა მამამთავარი კორნელიუსების „სენატორთა" ახალი შტოისა.

77 წელს ტაციტუსმა ცოლად შეირთო წარჩინებული რომაელის, სარდალ იულიუს აგრიკოლას ასული, რომლის სახელი უცნობია.

დომიციანეს დროს ტაციტუსი დაინიშნა საიმპერატორო პროვინციის მოადგილედ. ამ თანამდებობის პირს ენიჭებოდა სამოქალაქო, სამხედრო, ადმინისტრაციული და სასამართლო ძალაუფლება. 88 წელს მან მეუღლითურთ დატოვა რომი და გაემგზავრა ახალი სამსახურის ადგილას. როგორც ფიქრობენ, მას უნდა მიეღო სამმართველოდ იმპერიის ერთ-ერთი ჩრდილოეთი ოლქი. აქ მან ოთხი წელი დაჰყო. 97 წელს ტაციტუსი კონსულია, ხოლო 111—112 წლებში — აზიის პროკონსული.

ტაციტუსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც რომში ფეხს იკიდებდა და თანდათან მტკიცდებოდა ახალი პოლიტიკური რეჟიმი — იმპერია, რაც რომაელთა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების წიაღში მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგი იყო. პირველი საუკუნის პრინცეპ-იმპერატორების სახელებთან არის დაკავშირებული რომაელთა მშფოთვარე და სისასტიკით აღსავსე ცხოვ-

რება, რამაც სათანადო დაღი დაასვა თვით ტაციტუსის ხასიათსა და მისი საზოგადოებრივი რწმენის შემუშავებას, მის მოღვაწეობასა და შემოქმედებას.

პრინცეპს-იმპერატორები, ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, მიმართავდნენ ტერორს მათ მიმართ, ვინც თავისთვის სახიფათოდ მიაჩნდათ. ამის წყალობით, რომაულ საზოგადოებაში გამეფდა უუფლებობა, შიში, გაუტანლობა, თვითნებობა, უნდობლობა, მლიქვნელობა, გამცემლობა. „იმპერატორთა სავანეებში ჩქეფდა უგუნური ფუფუნება, უსირცხვილო გარყვნილება, თვითნებობა და სისასტიკე, სიცრუე, მლიქვნელობა, გამყიდველობა და მოსყიდვა, ინტრიგები, ჯაშუშობა — ყველა ბიწიერებანი".

თვით ტაციტუსის სიტყვით, რომაელთაგან: „ყველაზე გულადნი დაეცნენ სამოქალაქო ომებში, ან პროსკრიპციების მსხვერპლნი შეიქმნენ. ის წარჩინებულნი კი, რომლებიც ცოცხალი გადარჩნენ, ერთი მეორეს ასწრებდნენ, — ისწრაფოდნენ რა მონობისაკენ. მათ აჯილდოებდნენ სიმდიდრითა და საპატიო თანამდებობებით. ამის წყალობით ისინი ხდებოდნენ უფრო ძლიერნი ვიდრე უწინ და ერჩიათ უშიშარი აწმყო, ვიდრე შფოთით სავსე წარსული".

უწინდელი მორალი გაქრა „და ყოველი ადამიანი, უარს ამბობდა რა თანასწორობაზე, მხოლოდ იმას ელოდა, რას უბრძანებდა პრინცეპსი".

ადამიანმა დაკარგა პირადი მეობა და ღირსება. როგორც ტაციტუსი ამბობს: „რომში ყველა ისწრაფოდა მონობისაკენ—კონსულები, სენატორები, მხედრები; ყველაზე უწარჩინებულესმა ადამიანებმა გამოიჩინეს თვალთმაქცობის უდიდესი უნარი. ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობებს, რათა არ მოსჩვენებოდა ვინმეს, რომ ისინი მეტისმეტად კმაყოფილნი იყვნენ ძველი იმპერატორის სიკვდილით, ან ძალიან დამწუხრებულნი ახალი იმპერატორის მმართველობით, მათ სახეზე ერთმანეთს ცვლიდა ცრემლები, სიხარული, სინანული, თვალთმაქცობა".

იმპერია ყველას ეჯვის თვალით უყურებდა, არავინ სანდოდ არ მიაჩნდა. იმპერიამ შეზღუდა სიტყვის თავისუფლება არა მხოლოდ სენატში. თავისი აგენტების საშუალებით, თვალ-ყურს ადევნებდა საუბრებს კერძო ბინებში... და სასტიკად სდევნიდა ოდნავ თავისუფალ სიტყვას, რომელიც ნათქვამი იყო, თუნდაც ოჯახში საიდუმლოდ, ან

მეგობრული გულახდილობის დროს... „იმპერია ფიქრობდა, რომ კეთილმოქმედი და შეძლებული ადამიანები, წარჩინებული პირნი, გამოჩენილი მებრძოლები — თუ ჯერ არ იყვნენ მისი საიდუმლო მტრები, ადვილად შეეძლოთ ასეთად ქცეულიყვნენ, ამიტომაც, რათა მათ ამის საშუალება არ მისცემოდათ, ცდილობდა დროზე მოეშორებინა ისინი თავიდან". თუმცა ეს მაინც ვერ უზრუნველყოფდა იმპერატორთა უშიშროებას და ცეზარიდან ვესპასიანემდე ცხრა იმპერატორიდან, რვა მოკლულ იქნა.

რათა ზედმიწევნით განეხორციელებინათ საზოგადოებაზე კონტროლი და დროზე მიეღოთ საჭირო ღონისძიებანი, იმპერატორებს ჰყავდათ უამრავი დამბეზღებელ-ცილისმწამებელი, რაც ტირანიისთვის ესოდენ დამახასიათებელია. დამბეზღებელ-ცილისმწამებელნი ყველა წრიდან იყვნენ და ბლომადაც, დაწყებული მონებიდან, გათავებული სენატორებით. ყველა მოშურნესა და ბოროტებით აღსავსეს, შურისმაძიებელსა და მტრობით გამსჭვალულს, პატივმოყვარესა და ქონების შეძენის მსურველს ადვილად შეეძლო მიზნის მიღწევა იმპერატორთა წინაშე ჯაშუშობით. ტიბერიუსისა და დომიციანეს დროს კონსულობის ან სხვა რომელიმე მაღალი თანამდებობის მიღება შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც ამას დაიმსახურებდა იმპერატორის რომელიმე მტრის დაღუპვით, დაბეზღება-ცილისწამების გზით.

აღნიშნულის წყალობით, რომაულ საზოგადოებაში გამეფდა შიში და ძრწოლა, უიმედობა და გულგატეხილობა, გაუბედაობა და კარჩაკეტილობა; ყველა ცდილობდა ჩრდილში მოქცეულიყო და არაფრით გამხდარიყო თვალსაჩინო, რადგანაც: ნიჭს, ქველმოქმედებასთან ერთად, უყურებდნენ როგორც დანაშაულს. საკუთარი ნიჭის გამართლების ერთადერთი საშუალება იყო მისი ჩაყენება იმპერატორის სამსახურში. სენეკას მოწმობით, იულიუს გრაციანუსი მოკლული იქნა კალიგულას ბრძანებით იმისათვის, რომ იგი იყო მეტისმეტად პატიოსანი, იმაზე უფრო პატიოსანი, ვიდრე ეს ნებადართულია ტირანიის ხელისუფლების დროს.

სენეკასვე მოწმობით, კალიგულამ ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ ერთი რომაელი წარჩინებულის ვაჟი, შურის გამო, რასაც იწვევდა მისი კარგი გარეგნობა და ჩაცმულობა. იმავე საღამოს ტირანმა დასჯილი ახალგაზრდის მამა ვახშამზე მიიწვია და ეს უკანასკნელი იძულებული იყო სხვებთან ერთად ემხიარულა და იმპერატორის სად-

ღეგრძელოც დაელია... იმიტომ, რომ როგორც სენეკა ამბობს: „მას ჰყავდა მეორე ვაჟი".

ადამიანი უშიშრად არ გრძნობს თავს არც შინ და არც გარეთ; არავინ იცოდა, ვის როდის და სად დაატყდებოდა თავს იმპერატორის რისხვა, ამიტომაც ხშირად „როგორც კი ვინმე გაიგებდა, რომ რომელიმე მაბეზღარას იგი სენატში დაუსმენია, ან ვიდრე დევნას დაუწყებდნენ იმპერატორის მიერ მის მიმართ რაიმე უკმაყოფილების გამოთქმის გამო, ჩაიკეტებოდა ბინაში და გადაიჭრიდა ვენებს. ასეთ სიკვდილს რამდენიმე უპირატესობა ახლდა: პირველ ყოვლისა ,ასეთი პირი თავიდან იცდენდა წამების პროცესს, რომლის დასასრულიც ეჭვს არ ტოვებდა; მას მეტი იმედი ჰქონდა, რომ შეუნარჩუნებდა თავის შვილებს საკუთარი ქონების ნაწილს, რადგან დამბეზღებელს ასეთ შემთხვევაში ნაწილს აძლევდნენ, დაბოლოს, მის გვამს არ ჩააგდებდნენ საერთო სამარეში, სხვა დასჯილებთან ერთად, არამედ მის მახლობლებს ნებას მისცემდნენ დაეკრძალათ იგი".

საშინლად დაეცა რომაული საზოგადოების ზნეობა, განსაკუთრებით ქალების, რომელთაგანაც მკვეთრი უარყოფითი დახასიათებით წარმოგვიდგინა ტაციტუსმა იმპერატორ კლავდიუსის პირველი მეუღლე მესალინა და ნერონის დედა აგრიპინა უმცროსი.

თავისი თხზულებების წერის დროს ტაციტუსს გამოუყენებია მრავალი სახეობის წყარო. სახელდობრ, რომელი საისტორიო წყაროებით სარგებლობდა იგი, ზუსტად არ არის ცნობილი. მისი შრომების შინაარსიდან და მისივე შითითებიდან ირკვევა, რომ მას უსარგებლია ისეთი ოფიციალური ხასიათის მასალით, როგორც სენატის სხდომათა ოქმებია, რომაული გაზეთით — „რომაელი ხალხის ყოველდღიური საქმიანობა", ისტორიულ პირთა მემუარებით, უფროს თანამედროვეთა მოგონებებით და როგორც წინამორბედ, ისე მის თანამედროვე ისტორიკოსთა თხზულებებით, რომელთაგანაც ზოგს თვითონვე ასახელებს. იგი ბეჯითად კრებდა მასალას იმაზე, რაზედაც წერას აპირებდა და ამ მხრივ ნოვატორი იყო. წაუკითხავს და შეუსწავლია, რაც კი მოიპოვებოდა რომაულსა და ბერძნულ ისტორიულ ლიტერატურაში. ამასთანავე, ტაციტუსი კრიტიკულად უდგება მოპოვებულ წყაროებს, ერთი წყაროს ცნობას მეორესთან აჯერებს, უდარებს და არჩევს კრიტიკის საფუძველზე უფრო მისაღებ მასალას. იგი უპირატესობას აძლევდა რესპუბლიკის დროინდელ ისტორიკოსებს, როცა მისი აზრით, ისტორიკოსები უფრო სიმართლეს წერდნენ, იმპერიის დროს კი

ამის შესაძლებლობა აღარ არსებობდა. ხშირად იგი ამოკლებდა მის განკარგულებაში მყოფ წყაროებს. მასალის ასეთი გამორჩევა-დახვეწის შემდეგ, იგი იწყებდა წერას. აღსანიშნავია, რომ ტაციტუსი მოთხრობილის მნიშვნელოვანი ნაწილის მომსწრეა.

რომაელ ისტორიკოსთაგან ტაციტუსს გამოუყენებია მარკუს კლავდიუს რუფუსის (ახ. წ. I—70 წლების მახლობლად) და გაიუს პლინიუს სეკუნდუსის შრომები. იგი იხსენიებს აგრეთვე ორატორ მესალას მიერ დაწერილ ისტორიას. გამოუყენებია კორბულონის ჩანაწერები შრომის იმ ნაწილისათვის, რომელშიც მოგვითხრობს ნერონის დროს არმენიაში წარმოებულ ომებზე; კორბულონის ცნობები მას კრიტიკულად გადაუმუშავებია და შეუვსია სხვა წყაროებიდან ამოღებული მასალით. ტაციტუსს გამოუყენებია ჩანაწერ-მემუარები ტიბერიუსისა, ვესპასიანესი, აგრიპინასი, ასევე ზოგიერთ ისტორიულ პირთა სიტყვები.

ტაციტუსი წერდა მეტად თავისებური ინდივიდუალური სტილით, რაშიც გამოსჭვივის ორატორის ჩვევები. მისი თხზულებებისათვის არ არის უცხო დეკლამაცია და რიტორიკა; ზოგჯერ იგი ამუქებს ფერებს, რათა მეტი გამომსახველობა მიეცეს მონათხრობს. ზოგჯერ კი თავის გმირებს თეატრალურ მდგომარეობაში წარმოგვიდგენს და ფაქტებს თავის ნებაზე ალაგებს, მეტი შთაბეჭდილებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაციტუსის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პირობებს, რომელშიც მოღვაწეობა მოუხდა. რომაელი ხალხის ცხოვრების ამ პერიოდს ტაციტუსი მონობის კულმინაციურ პერიოდს უწოდებს.

ტაციტუსი უარყოფითად ეკიდებოდა პრინციპატს. იგი მოგვითხრობს იმპერატორთა მიერ ჩადენილ უსამართლო სისასტიკეთა შესახებ, რომელთა ჩამოთვლაც, მისივე თქმით, შეუძლებელია. იგი თავისი მდგომარეობითა და შეხედულებითაც მთლიანად წარსულის მოტრფიალეა და ახალი რეჟიმის მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. ტაციტუსი მისტირის ძველ თავისუფლებას, მაგრამ იგი ამაში გულისხმობს მხოლოდ სენატის რესპუბლიკას; სხვა წოდებები, განსაკუთრებით პლებსი, ნაკლებად აინტერესებს. მისი ყურადღების ცენტრშია რომი; პროვინციებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ტაციტუსი მხედართა წოდებიდან წარმომავლობდა, მან კარგად გამოხატა პატრიციუსთა განწყობილება.

ტაციტუსის აზრით, XII ტაბულის კანონების შემდეგ, რომში უსამართლობა დამყარდა, სახელმწიფო თანდათან დაეცა, ხდებოდა სამოქალაქო ომები, „რამაც წარმოშვა გრაკხუსები და სატურნინი, რომლებიც აჯანყებდნენ პლებსს“.

ტაციტუსი იმპერატორების მოღვაწეობაში უარყოფითის მეტს ვერაფერსა ხედავდა. იგი თავის შრომებში მიზნად ისახავდა, ემხილებინა „პრინციპატის ანუ დესპოტიზმის საიდუმლოებანი“. ამავე დროს, იგი არ უკუაგდებს ახალ რეჟიმს. მას სჯეროდა, რომ: „ერთპიროვნული ხელისუფლება რომში აუცილებელია — რესპუბლიკა თავს ვერ დაიჭერს“. ი. ტრონსკის თქმით: „არისტოკრატ ტაციტუსს სძულდა დესპოტიზმი, მაგრამ რესპუბლიკის დროინდელ თავისუფლებას სკეპტიკურად უყურებს და ჰკიცხავს უმიზნო ოპოზიციას“.

მართალია, ტაციტუსი აცხადებს, რომ „...საჭიროა არა მხოლოდ აღვადგინოთ მოვლენის მსვლელობა და დასასრული, რომელნიც, ალბათ, ხშირად მიმდინარეობენ შემთხვევითობის წყალობით, არამედ საჭიროა აგრეთვე შევიგნოთ მათი შინაგანი კავშირი და მიზეზები“, მაგრამ მოვლენათა მიმდინარეობაში მთავარ როლს პიროვნების ნებისყოფას და მორალურ თვისებებს აკუთვნებს.

რესპუბლიკის იმპერიაში გადაზრდას ტაციტუსი ასე ხსნის: „ბრუტუსისა და კასიუსის დაღუპვის შემდეგ, რესპუბლიკას აღარ ჰყავდა ჯარი. როცა მარცხი განიცადა სექსტუს პომპეუსმა სიცილიაში, როცა დაეცა ლეპდუსი და სიკვდილი ეწვია ანტონიუსს — ცეზარის პარტიას აღარ დარჩა სხვა მეთაური, გარდა ავგუსტუსისა, და ავგუსტუსმა, მოიხსნა რა ტრიუმვირის წოდება, შეცვალა იგი კონსულის წოდებით და დაკმაყოფილდა ტრიბუნის, როგორც ხალხის უფლების დამცველის, ძალაუფლებით. განაწყო რა თავის სასარგებლოდ ჯარისკაცები საჩუქრებით, ხალხი—პურის დარიგებით, სხვა ყველანი კი — მშვიდობიანობის სიკეთით, იგი განდიდდა, ხელთ იგდო სენატის ავტორიტეტი, მაგისტრატების ძლიერება და საკანონმდებლო უფლება. მას არ შეხვედრია წინააღმდეგობა, რადგან ყველაზე გულადნი დაეცნენ სამოქალაქო ომების ან პროსკრიპციების მსხვერპლად. ხოლო ის წარჩინებულნი, რომელნიც ცოცხალი გადარჩნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, მლიქვნელობასა და მონობას. მათ აჯილდოებდნენ სიმდიდრითა და საპატიო თანამდებობებით, რის წყალობით ისინი უფრო ძლიერნი ხდებოდნენ.

რესპუბლიკის დაცემის მიზეზს ტაციტუსი ხედავდა მხოლოდ იმაში, რომ დაეცა უმწიკვლო ზნეობა და ყოველი ადამიანი, უარს ამბობდა რა თანასწორობაზე, მხოლოდ იმას ელოდა, რას უბრძანებდა ხელმწიფე.

ტაციტუსი ერთ-ერთი შრომის შესავალში აცხადებს, რომ იგი მიზნად ისახავს წეროს გაბოროტებისა და მიკერძოების გარეშე. მაგრამ მან ეს დაპირება ვერ შეასრულა და მის შრომებს ისეთი მიკერძოება ახასიათებს, რომლის მსგავსი მაშინდელ ისტორიოგრაფიაში სხვა არ მოიპოვება.

ტაციტუსს ესმოდა, რომ ისტორიკოსი ჭეშმარიტებას უნდა მოუთხრობდეს. იგი მოპოვებული ცნობების ღირსებას იკვლევდა, ცდილობდა მათ შორის უფრო სანდო გამოერჩია. ტაციტუსს სჯეროდა ისტორიაში შემთხვევითობა და ბედისწერაც. იგი პირდაპირ ამბობდა: ჩემთვის ძნელი გადასაწყვეტია, ადამიანთა საქმეები მიმდინარეობს ბედის კანონებისა და აუცილებლობის შესაბამისად თუ შემთხვევითობას ექვემდებარებიან ისინიო.

ტაციტუსი უფრო აღწერს ისტორიას და არ იკვლევს. იგი გვევლინება როგორც ნარატიული ჟანრის უდიდესი ოსტატი, როგორც დიდი ისტორიკოსი — მორალისტი.

მ. გრევსის აზრით, ტაციტუსის შრომები „უზრუნველყოფს მისი ავტორისათვის კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსის სახელს".

ტაციტუსის პირველი ლიტერატურული შრომაა „გაბაასება ორატორთა შესახებ", რომელშიც ავტორი სხვადასხვა პირთ ალაპარაკებს მაშინდელი რომაული მჭევრმეტყველების დასახასიათებლად და გვაძლევს ეპოქის სულიერი კულტურის მონახაზს. ავტორის აზრით, რესპუბლიკის დროინდელი თავისუფლება ხელს უწყობდა აზროვნებისა და მჭევრმეტყველების განვითარებას. ტაციტუსის ეს შრომა წარმოადგენს რომაული ლიტერატურის ამ ჟანრის ნიჭიერად დაწერილ ნიმუშს, იგი რომაული ლიტერატურის ისტორიის ძვირფასი წყაროა.

მეორე შრომა ტაციტუსმა მიუძღვნა თავისი სიმამრის იულიუს აგრიკოლას (გარდაიცვალა ახ. წ. 90 წ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას. ეს არის ტაციტუსის პირველი ისტორიული შინაარსის თხზულება. მისი სათაურია „იულიუს აგრიკოლას ცხოვრებისა და ხასიათის შესახებ" (ლიტერატურაში ამ შრომას, ჩვეულებრივ, შე-

მოკლებით მიუთითებენ, „აგრიკოლას ბიოგრაფია“, ან „აგრიკოლა“). იგი წარმოადგენს საფლავზე წარმოთქმული სიტყვის დამუშავებას.

შრომა დაწერილი უნდა იყოს დომიციანეს მოკვლის (96 წ.) შემდეგ პირველსავე წლებში და გამოქვეყნებულია 98 წელს, როგორც თვით ტაციტუსი ამბობს თავის სხვა ნაშრომში, დომიციანეს დროს მხოლოდ დუმილი იყო ნებადართული და ახლა დადგა დრო, როცა „შეიძლება, რაც გინდა იფიქრო, და თქვა, რასაც გრძნობ“.

აგრიკოლა რომაულ ჯარს ახლდა ბრიტანეთში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სარდალმა და მამაცმა მებრძოლმა.

იგი პატიოსანი, თავდაჭერილი, უმწიკვლო, წესრიგიანობისა და მარტივი ცხოვრების მოყვარული იყო, რაც იშვიათად ახასიათებდა მაშინდელ რომაულ საზოგადოებას. მაგრამ აგრიკოლას არ ჰქონდა გმირის თვისებები და ვერც ტაციტუსი გამოიყვანდა მას ასეთად. მისი გმირობა გამოიხატებოდა დომიციანეს რეჟიმთან ზომიერ, თავდაჭერილ დამოკიდებულებაში, მაშინ, როდესაც სხვები უყოყმანოდ ემონებოდნენ. თხზულებაში მოთხრობილია, თუ როგორ ცდილობდა პატიოსანი რესპუბლიკელი აგრიკოლა, შეძლებისდაგვარად, ეთანამშრომლა ახალ რეჟიმთან, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა და იგი, სხვებთან ერთად, იმპერატორთა თვითნებობას შეეწირა.

ამ თხზულებაში ტაციტუსი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ბრიტანეთის გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიას, ყურადღებას აქცევს რომაელებისათვის უცხო და უცნობ ბრიტანეთში მოსახლე ტომთა ყოფა-ცხოვრებას. ამით ამ ნაწარმოებს როგორც საისტორიო წყაროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

იმავე ხანებში დაწერილია ტაციტუსის შრომა „გერმანელი ხალხის შთამომავლობის, საცხოვრებელი ადგილისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ“, რომელსაც შემოკლებით იხსენიებენ „გერმანიად“. ეს შედარებით მცირე მოცულობის თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში, რომელიც 27 თავს შეიცავს, მოცემულია გერმანელთა საზოგადოებრივი წყობისა და კულტურული მდგომარეობის აღწერილობა. მეორეში, რომელიც 19 თავისაგან შედგება, ავტორი გვაცნობს ცალკეულ ტომთა ყოფა-ცხოვრების თავისებურებას. ეს შრომა კარგად დამუშავებული ისტორიული შინაარსის ნაწარმოებია. ამას ხელი შეუწყო ავტორის განკარგულებაში მყოფმა წყაროებმაც. წერილობით წყაროთაგან ტაციტუსს გამოყენებული აქვს გერმანიასა

და გერმანელ ტომებზე მის წინამორბედთა და თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები, როგორიც იყვნენ: იულიუს ცეზარი, ტიტუს ლივიუსი, სტრაბონი, პომპონიუს მელა, ველეიუს პატერკულუსი და სხვები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პლინიუს უფროსის 20 წიგნად დაწერილი შრომა გერმანელ ტომებთან წარმოებული ომების შესახებ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. პლინიუსი დიდხანს მსახურობდა რომაელთა რაინის არმიაში და უეჭველია, ძვირფასი ცნობები ექნებოდა თავის შრომაში გადმოცემული, რაც ტაციტუსს გამოუყენებია. წერილობითი მასალა, ტაციტუსმა უთუოდ შეავსო ბელგიის პროვინციის მმართველად ყოფნის დროს პირადად მოპოვებული ცნობებით. სარგებლობდა იგი საარქივო მასალითაც, როგორიც იყო გერმანიიდან გამოგზავნილი რომაული ჯარის სარდალთა მოხსენებები სენატისადმი.

გერმანელთა საკითხი მაშინ აქტუალური იყო რომაელებისათვის: რომის იმპერია დიდ მანძილზე ესაზღვრებოდა გერმანელ ტომებს, ამიტომ საჭირო იყო ცოდნა, თუ როგორი დამოკიდებულება იყო მათთან საჭირო. რომაელებს უნდა სცოდნოდათ გერმანელი ტომების ყოფაცხოვრება, რათა გამოემუშავებინათ თავიანთი პოლიტიკა. ამის შესაბამისად, შრომაში აღწერილია: გერმანიის ბუნება, გერმანელ ტომთა შთამომავლობა, შინაგანი მმართველობის ფორმები, გერმანელ ტომთა კულტურული მდგომარეობა, მათი სამხედრო წყობა, სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებანი.

მეორე ნაწილში ავტორი მოგვითხრობს გერმანელთა კერძო ცხოვრებასა და ყოფაზე. აქ აღწერილია საცხოვრებელი სახლი, ტანისამოსი, საქორწინო წესები; მოთხრობილია აღზრდაზე, მემკვიდრეობის უფლებაზე, სისხლის აღების წესზე, კვების საშუალებებსა და გართობაზე. გადმოცემულია აგრეთვე სოციალური ურთიერთობანი; მოხსენიებულია მონები და აზატები. აღწერილია გერმანელთა ეკონომიკური წყობა, მიწათმოქმედების წესები, ვაჭრობა, დამარხვის ადათები, მიცვალებულთა კულტი.

უპირისპირებს რა რომაული საზოგადოების ზნედაცემულობას, ტაციტუსი გერმანელებს მაღლა აყენებს. ამასთანავე, იგი გამოთქვამს სურვილს, რათა გერმანელი ტომები შემდეგშიაც გათიშულნი დარჩნენ და განაგრძობდნენ ურთიერთშორის შუღლს, რათა რომაელებს გაუადვილდეთ მათთან ბრძოლა.

ტაციტუსის ეს შრომა არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ მასში სწორი სურათია დახატული და იგი ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს; განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას გერმანიის ისტორიისათვის.

ტაციტუსი, როგორც თვალსაჩინო ისტორიკოსი და მწერალი, ჩვენს წინაშე წარმოდგება თავისი ორი ისტორიული შინაარსის ნაწარმოებით, რომელთაგან ერთს ეწოდება „ისტორიები", მეორეს — „ანალები". ორივე ნაწარმოები ერთად შედგება 30 წიგნისაგან და როგორც ახლა აღიარებულია მეცნიერებაში, „ანალები" 16 წიგნს მოიცავდა, „ისტორიები" — 14.

„ისტორიების" წერის დროს ტაციტუსს გამოყენებული აქვს სხვადასხვა სახის წყაროები, პლინიუს უფროსისა და სხვათა ისტორიული შრომები. გამოუყენებია აგრეთვე ოფიციალურ პირთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, მემუარული მასალა, მათ შორის იმპერატორ ვესპასიანეს მიერ დატოვებული მოგონებები. იგი აგროვებდა მასალას იმ პირთაგან, რომელნიც ავტორის მიერ აღწერილი ამბების მომსწრენი იყვნენ. თვითონაც, როგორც თანამედროვემ, ბევრი რამ იცოდა. ტაციტუსმა სრულად მოუყარა თავი როგორც ლიტერატურულ ისე სხვა სახით არსებულ ისტორიულ მასალას, რამაც მის შრომას ღირსება შემატა. ტაციტუსი აქ გვევლინება როგორც უნიჭიერესი ისტორიოგრაფი.

„ისტორიები" დაწერილი უნდა იყოს ახ. წ. II საუკუნის პირველ წლებში და, ალბათ, გამოქვეყნდა 110 წლამდე. 14 წიგნიდან მოღწეულია მხოლოდ პირველი ოთხი წიგნი და მეხუთის ნაწილი. შრომა შეიცავდა რომის ისტორიას ნერონის გარდაცვალებიდან დომიციანეს გარდაცვალებამდე (69—96 წწ.) მასში მოთხრობილია ნერონის მოკვლის შემდეგ გამეფებულ ტირანიაზე. თხრობა მეტად ცოცხალი და მხატვრულია. ტაციტუსი გვევლინება როგორც ნარატიული ჟანრის უდიდესი ოსტატი, დიდი ისტორიკოს-მორალისტი. მის მიერ გადმოცემული სურათიდან ნათლად გამოსჭვივის რომაული საზოგადოების მაშინდელი მდგომარეობის რეალური სახე.

იგი მოგვითხრობს: „ვიწყებ თხრობას იმ დროის შესახებ, რომელიც აღსავსეა მრავალი უბედურებით, მორწყულია საშინელ ბრძოლათა სისხლით, გათიშულია ურთიერთშორის ბრძოლით, რომლის

სიმკაცრე მაშინაც კი არა ცხრებოდა, ვიდრე მშვიდობა-დაზავება ძალაში იყო. ოთხი პრინცეპსი მახვილით მოიკლა[1]. მძვინვარებდა სამი სამოქალაქო ომი, აგრეთვე საგარეო და ხშირად, ერთიც და მეორეც ერთდროულად. აღმოსავლეთში წარმატებას, დასავლეთში კი მარცხს განვიცდით. იტალია აჯანყდა, ამასვე იმუქრებოდა გალია; ბრიტანეთი დაპყრობილ იქნა, მაგრამ უმალვე მიტოვებული. ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულნი იყვნენ სარმატებისა და სვევთა ტომები. დაკიელებმა სახელი გაითქვეს ჩვენზე გამარჯვებით. პართელებიც კი მზად იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი ცრუ-ნერონის წაქეზებით. იტალიას თავს დაატყდა გაუგონარი უბედურებანი, რომელთა მსგავსიც მხოლოდ საუკუნეების შემდეგ მეორდებიან. კამპანიის ფრიად ნაყოფიერ მიწაზე აყვავებული ქალაქების ნაწილი წალეკილია, ნაწილი ქვიშამ და ლავამ დაფარა[2]. რომი ხანძრებმა გაანადგურა: დაიწვა ძველი ტაძრები; თვით კაპიტოლიუმს მოქალაქეებმა საკუთარი ხელით წაუკიდეს ცეცხლი; წაბილწულია რელიგიური ადათ-წესები ხდება ცნობილი მკრეხელობანი. ზღვა დაიფარა გაძევებულთაგან, კლდეები სისხლით განბანილია. ქალაქში გამეფდა სასტიკი ძალმომრეობა: წარჩინებულობა, უმაღლესი პატივი ან პირუკუ—მათზე უარის თქმა, დანაშაულად ითვლება. უკეთილშობილესი თვისებების ადამიანისათვის განმზადებული იყო სიკვდილი. მაბეზღარები, ჯილდოებით წაქეზებულნი, იტაცებენ და ხელთ იგდებენ ქურუმობასა და კონსულობას; სხვა უზურპატორები ეუფლებიან პროვინციათა მმართველობას, ხელთ იგდებენ სახელმწიფო ძალაუფლებას. იტაცებენ ყველაფერს... მონებს მოისყიდდნენ თავიანთი ბატონების წინააღმდეგ, იმათ კი ვისაც მტერი არა ჰყავდა, ღალატობდნენ მეგობრები".

ტაციტუსი, გადმოგვცემს პრინციპატისათვის დამახასიათებელ საშინელებებს. მას სძულს დესპოტიზმი, მაგრამ არც რესპუბლიკას უყურებს დიდი იმედით. ივი პრინციპატს აუცილებლობად მიიჩნევს. სჯეროდა, რომ: „ერთმმართველობა რომში აუცილებელია — რესპუბლიკა თავს ვეღარ დაიჭერს".

ტაციტუსის ისტორიული შინაარსის მეორე შრომა არის „ანალები". ეს ყველაზე უფრო სრულყოფილი შრომაა, სადაც კარგად

---

[1] გ ა ლ ბ ა, ოტონი, ვიტელიუსი და დომიციანე.

[2] ვეზუვის ამოფრქვევა ახ. წ. 79 წ.

მოჩანს ავტორის, როგორც ისტორიკოსისა და ლიტერატორის ნიჭი. მიუხედავად თავისი სახელწოდებისა, შრომა არა ჰგავს რომაელ ანალისტთა თხზულებებს. აქ მოვლენები, მართალია, დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით, როგორც ძველ ანალებში, მაგრამ ავტორი აჯგუფებს მასალას, ახარისხებს მას, ცდილობს, მოგვცეს მოვლენების ახსნა და ზოგადი დასკვნები.

ტაციტუსის არც ეს თხზულებაა ჩვენამდე მთლიანად მოსული. 16 წიგნიდან შენახულია: პირველი ოთხი წიგნი მთლიანად, მეხუთის —დასაწყისი, მეექვსის—ნაწილი, მეთერთმეტედან მეთექვსმეტამდე მთლიანად (მეთექვსმეტეს ზოგიერთი ადგილი აკლია). ამ შრომას ტაციტუსი წერდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში — II საუკუნის მეორე ათეულში. წყაროებად ავტორს იგივე ჰქონია, რაც „ისტორიებისთვის", მიუმატებია მხოლოდ მემუარული მასალა, მაგალითად: ტიბერიუსის — ავტობიოგრაფია, აგრიპინა უმცროსის — ჩანაწერები და სხვ.

ტაციტუსის ეს შრომა უფრო მწყობრ ნაწარმოებს წარმოადგენს, უკეთაა მოფიქრებული და მთლიანი გეგმის მიხედვითაა შესრულებული. შრომა მოიცავს რომის ისტორიის პერიოდს ავგუსტუსის გარდაცვალებიდან ნერონის მოკვლამდე. ავტორი თხრობას იწყებს რომაელი ხალხის შორეული წარსულის მოკლე მიმოხილვით. თავისი შრომის ცენტრში იგი აქცევს იმპერატორებს, მათ მეგობარ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს. აქ ისტორია წარმოდგენილია იმპერატორთა ბიოგრაფიებით, ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად ტაციტუსი მიიჩნევს ადამიანთა და, პირველ ყოვლისა კი, იმპერატორთა ნებასა და საქციელს. იმპერატორთა მოღვაწეობა გაგებულია როგორც ტირანია. ტაციტუსი ხაზს უსვამს იმპერატორთა თვითნებობას, მოქალაქეთა უნებისყოფობას, მლიქვნელობას, ორპირობასა და გაუტანლობას. იგი აქ გვაძლევს ისტორიულ პირთა და მათი მოღვაწეობის მკვეთრად გამოძერწილ სახეებს. ტაციტუსი მოგვითხრობს ტიბერიუსიდან ნერონამდე მთელი წლების განმავლობაში იმპერატორთა მიერ ჩადენილ უსამართლო სისასტიკეთა შესახებ; შეუძლებელია ტერორის მსხვერპლთა ჩამოთვლა. იმპერატორთა სისასტიკეს შეეფერება საზოგადოებაში ზნეობის საშინელი დაცემა, ბიწიერებანი და დანაშაულთა სიმრავლე. განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს ტაციტუსი ქალთა ზნედაცემულობას.

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ყოფის ეპიზოდებთან ერთად, „ანალებში“ ტაციტუსი გვაწვდის ცნობებს, აგრეთვე აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ეგვიპტის შესახებ, ეთნოგრაფიულ მასალას. მნიშვნელოვანია ტაციტუსის შრომები ამიერკავკასიისა, კერძოდ, საქართველოს ისტორიისათვის. მის თხზულებებში გადმოცემულია ძვირფასი მასალა, რომელიც მოგვითხრობს რომის, პართიის, საქართველოს, არმენიისა და სხვათა მხარეთა ურთიერთობაზე, ხოლო ანიკეტის აჯანყებისათვის ტაციტუსის მონათხრობი ერთადერთ წყაროს წარმოადგენს[1].

ტაციტუსის შრომები რომში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, არც შუა საუკუნეებში ეტანებოდნენ და მათ მხოლოდ აღორძინების ხანაში მიაქციეს ყურადღება. განსაკუთრებით აფასებდნენ ტაციტუსს როგორც ტირანიის მამხილებელს. „ტაციტუსის სახელის გაგონებაზე ტირანები ფითრდებიან“, — წერდა ნაპოლეონის დროინდელი ფრანგი მწერალი მარი-ჟოზეფ შენიე.

არაერთი ლიტერატურული ნაწარმოები შეიქმნა ტაციტუსის შრომათა მასალაზე.

პლინიუს უმცროსი

ბიოგრაფიული ცნობები პლინიუს უმცროსის შესახებ მოცემულია მისივე ნაწარმოებებში. მათი სიზუსტე დადასტურებულია ზოგიერთი მოგვიანო ხანის ეპიგრაფიკული მონაცემებით.

პლინიუს უმცროსის პირვანდელი სახელი იყო პუბლიუს ცეცილიუს სეკუნდუს უფენტინელი. იგი დაიბადა ახ. წ. 62 წ., ჩრდ. იტალიის ქალაქ კომუმში. 9 წლისას მამა გარდაეცვალა. დედამისი იყო ცნობილი რომაელი ენციკლოპედისტის, პლინიუს უფროსის და. დაობლებული ბავშვი იშვილა ბიძამისმა, რის შედეგადაც, არსებული წესის თანახმად, მან მიიღო ბიძის საკუთარი და საგვარეულო სახელები — გაიუს პლინიუსი. ამრიგად, მისი სრული სახელი გახდა გაიუს პლინიუს ცეცილიუს სეკუნდუს უფენტინელი. მეგობრებსა და ახლობლებში პლინიუსს ეძახდნენ სეკუნდუსს, ხოლო რომაული ლიტერატურის ისტორიაში იგი ცნობილია პლინიუს უმცროსის სახელით.

---

[1] იხ. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანი. წესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალექსანდრე გაწყრელიძემ, თბ., 1973.

პლინიუსმა შესანიშნავი განათლება მიიღო. 15 წლის ასაკამდე მის სწავლა-აღზრდას ხელმძღვანელობდნენ შინაური მასწავლებლები და რიტორები. შემდეგ სწავლა განაგრძო რიტორიკულ სკოლაში, სადაც უსმენდა გამოჩენილ რიტორებსა და ფილოსოფოსებს — კვინტილიანეს, ნიკეტუს, საცერდოტს და სხვ. მრავალმხრივი კულტურული ინტერესების მქონე — იგი მაღალი წრის ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენელი იყო. აღსანიშნავია, რომ მისი პირადი მეგობრები იყვნენ: გამოჩენილი რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი, ცნობილი რიტორი ფაბიუს კვინტილიანე, რომაელი მწერალი სვეტონიუს ტრანკვილუსი, პოეტი ვალერიუს მარციალი და სხვ.

19 წლის ასაკში პლინიუსი პირველად გამოვიდა მოსამართლედ ცენტუმვირთა სასამართლოში, რითაც მდიდარმა, წარჩინებულმა და პატივმოყვარე ახალგაზრდამ ფეხი შედგა საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე. მან გაიარა სახელმწიფო თანამდებობათა გრძელი კიბე დომიციანეს, ნერვასა და ტრაიანეს მეფობაში. მისი სამსახურებრივი დაწინაურება დომიციანეს მმართველობის წლებში, როდესაც იმპერატორის სისხლიანმა ტერორმა მრავალ წარჩინებულ რომაელსა და მათ შორის პლინიუსის პირად მეგობრებსაც მოუსპო სიცოცხლე, ბევრად იყო შეპირობებული მისი სიდინჯით, ტაქტითა და წინდახედულობით. მიუხედავად ამისა, თავის დაზღვევის მიზნით, პლინიუსი იძულებული გახდა დომიციანეს მმართველობის ბოლო წლებში დაეტოვებინა სახელმწიფო სამსახური. ნერვასა და ტრაიანეს დროს მას ეჭირა მნიშვნელოვანი თანამდებობანი: 98—101 წლებში ის იყო სახელმწიფო ხაზინის პრეფექტი, 100 წელს ჩაირიცხა ავგურთა კოლეგიაში, ხოლო 110 წლიდან მართავდა ბითვინიას საიმპერატორო ლეგატის ფართო რწმუნებით. პლინიუს უმცროსის გარდაცვალების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის (113 წლის შემდეგ ის აღარ მოიხსენიება).

პლინიუს უმცროსის იდეურ-პოლიტიკური პოზიციები შეპირობებული იყო იმით, რომ ის ეკუთვნოდა სენატორულ არისტოკრატიას, რომლის ნაშთები გადაურჩა იულიუს-კლავდიუსების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებსა და დომიციანეს ტერორისტულ რეჟიმს. ტრაიანეს მოსვლა უმაღლესი ხელისუფალის პოსტზე დაემთხვა ახალ ეტაპს პრინციპატის განვითარებაში: თუ იმპერატორი ავგუსტუსი

პოლიტიკური კომპრომისებით ახერხებდა საერთო ენის გამოძებნას სენატორულ არისტოკრატიასთან და რესპუბლიკური ტრადიციების ამ ყველაზე აქტიურად დამცველი ფენის პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებას ცდილობდა, იულიუს-კლავდიუსებისა და დომიციანეს დროს მდგომარეობა მკვეთრად იცვლება — ძალაუფლების დაკარგვის შიში სახელმწიფოს მესვეურთ უკარნახებს დაადგნენ აშკარა რეპრესიების გზას, რასაც გაბატონებულმა ფენებმა შეთქმულებებითა და ტერორით უპასუხეს. თუ რამდენად დიდი მსხვერპლი მოჰყვა ამ ურთიერთბრძოლას, ჩანს ტაციტუსის ნათქვამიდან, რომელმაც იგი ომით გამოწვეულ ავბედობას შეადარა. იმპერატორთა ბრძოლა რომის უმაღლესი არისტოკრატიის წინააღმდეგ დამთავრდა ამ უკანასკნელის დიდი ნაწილის ფიზიკური განადგურებით. იწყება ახალი პროცესი — საზოგადოების უმაღლესი ფენის შევსება იტალიკებითა და მდიდარი პროვინციალებით: პიზონის შეთქმულების გახსნის შემდეგ ნერონმა გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს მართვა-გამგებლობის სისტემაში პროვინციალების გამოყენება.

I საუკუნის 90-იანი წლებისათვის საზოგადოების უმაღლესი ფენის შედგენილობა იმდენად შეიცვალა, რომ ძველი არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები მის მხოლოდ 1/8 შეადგენდნენ. ასეთ ვითარებაში, ცხადია, აღარავინ ხდიდა სადავოდ არჩევანს რესპუბლიკასა და ერთმმართველობას შორის; რეპრესიების აუცილებლობა მოიხსნა და დღის წესრიგში დადგა პრობლემა — „კარგი და კეთილი" იმპერატორისა. სწორედ ამ ასპექტით უდგება პლინიუს უმცროსი — ახალი სენატორული არისტოკრატიის ტიპიური წარმომადგენელი, შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას. ის თავის პოლიტიკურ იდეალს ხედავს არა რესპუბლიკური ტრადიციების აღდგენაში, არამედ ერთმმართველობაში, რომელსაც განასახიერებს კეთილი და ქველმოქმედი პრინცეპსი. ეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა საფუძვლად უდევს პლინიუსის მთელ ლიტერატურულ შემოქმედებას.

პლინიუს უმცროსმა მრავალ ლიტერატურულ ჟანრში მოსინჯა კალამი. ჩვენამდე მოუღწეველ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის სიტყვები, წარმოთქმული სასამართლო პროცესებზე. ზოგი მათგანი მჭევრმეტყველური ხელოვნების იმდენად მაღალ დონეზე იდგა, რომ თანამედროვენი ამ დარგის საუკეთესო ნიმუშებად თვლიდნენ. პლინიუსი წერდა ლექსებს, ტრაგედიებს; სრულყოფილად ფლობდა ბერძნულ ენას და თარგმნიდა თანამედროვე ბერძენი პოეტების ლირიკულ ლექსებს.

პლინიუს უმცროსის ლიტერატურულმა შემოქმედებამ ჩვენს დრომდე მოაღწია შემდეგი ნაწარმოებების სახით: „წერილები“, „მიმოწერა იმპერატორ ტრაიანესთან“ და „პანეგირიკი იმპერატორ ტრაიანესადმი“. მათი კრიტიკული შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში. მკვლევრები ყურადღებას ამახვილებდნენ დასახელებულ ნაწარმოებთა მხატვრულ ღირსებებზე, მათი ავტორის პოლიტიკურ მრწამსზე და მორალურ-ეთიკურ თვისებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ პლინიუსის შრომების მხატვრული ღირსებები იმთავითვე საეჭვოდ იქნა მიჩნეული, ხოლო მათი ლიტერატურული სტილი — უნიჭო მიმბაძველობად. XIX საუკუნის შუახანებისათვის პლინიუსის ნაწარმოებთა უარყოფითი შეფასება ურყევ დებულებად იქცა.

პლინიუს უმცროსის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაში ახალ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა თეოდორ მომზენმა. მან პირველმა გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პლინიუსის შრომები შეიცავდნენ ძვირფას ისტორიულ მასალას, რითაც წინ წამოსწია მათი, როგორც მნიშვნელოვანი პირველწყაროს, შესწავლის აუცილებლობა. ანალოგიურ ასპექტში აფასებს პლინიუსის ნაწარმოებებს ფრანგი მკვლევარი გასტონ ბუასიეც. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი ხელნაწერის აღმოჩენამ და ნაყოფიერმა მუშაობამ პლინიუსის შრომების პირვანდელი ტექსტის დადგენის მიზნით, განაპირობა მათი შესწავლა ახალი მეცნიერული მიღწევების დონეზე. მიუხედავად ამისა, საერთო დასკვნები ამ ნაწარმოებთა მხატვრული და ისტორიოგრაფიული ღირებულების შესახებ ჯერაც არ არის დამკვიდრებული მეცნიერებაში: მრავალი კერძო საკითხი დღესაც მეცნიერული კამათის საგანია.

პლინიუს უმცროსის „წერილების“ 9 წიგნი შეიცავს 247 წერილს, რომლებიც მიმართულია 96 ადრესატისადმი. ამ უკანასკნელთა შორის არიან გამოჩენილი რომაელი მწერლები ტაციტუსი და სვეტონიუსი, პლინიუსის ახლობლები და სხვა უცნობი პირები.

„წერილები“ ეპისტოლარული ჟანრის ნაწარმოებია და მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ ჟანრის მსოფლიო ნიმუშებს შორის.

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საპოლემიკოდ რჩება საკითხი „წერილების“ ქრონოლოგიის შესახებ. მომზენის კონცეფციას, რომლის თანახმად პლინიუსმა თავისი წერილები გამოსცა მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 97—111 წლებში, იმთავითვე მრავალი მიმდევარი და მოწინააღმდეგე გაუჩნდა. რუსი მკვლევრები (სოკოლო-

ვი, გრაბარ-პასეკი) აღნიშნულ საკითხს კომპრომისულად წყვეტენ: მათი აზრით, შეუძლებელია მომზენისეული სიზუსტით ყველა წერილის ქრონოლოგიის დადგენა, თუმცა არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ აღნიშნული ნაწარმოები სავსებით თავისუფალი იყოს ქრონოლოგიური სქემისაგან .სოკოლოვის აზრით, „წერილები" ეპისტოლარული ჟანრის ნაწარმოებია, რომელშიც როგორც წერილის ფორმა, ისე ყოველ კერძო შემთხვევაში ადრესატის მითითება არის მხოლოდ ლიტერატურული ხერხი, რომლის საშუალებითაც ავტორი გარკვეულ იდეებს გამოხატავს. უფრო მართებული უნდა იყოს გრაბარ-პასეკის მოსაზრება, რომლის თანახმად, „წერილები" ავტორის მიერ საგანგებოდ, პუბლიკაციისათვის დამუშავებული ნაწარმოებია, რომელსაც საფუძვლად უდევს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები. სწორია გრაბარ-პასეკის შენიშვნა, რომ ციცერონის წერილებისგან განსხვავებით, პლინიუსის თითოეული წერილი ერთი გარკვეული თემისადმია მიძღვნილი და სწორედ ამაში მეღავნდება ავტორის ხელახალი რედაქციის კვალი — რედაქციისა, რომლის მიზანია თითოეული წერილი ერთ იდეურ-მხატვრულ სქემას დაუქვემდებაროს და მთლიანი მხატვრული ნაწარმოების ორგანულ კომპონენტად აქციოს. აქედან გამომდინარე, მკვლევარი მართებულად დასკვნის, რომ: „...პლინიუსის წერილების კრებული წარმოადგენს რაღაც საშუალოს მეგობრებთან და თანამშრომლებთან ჯეშმარიტ მიმოწერასა და ფაქტობრივ ლიტერატურულ ეპისტოლოგრაფიას შორის".

ეპისტოლარულ ჟანრს პლინიუსი მაღალ შეფასებას აძლევდა. მისი აზრით, იგი მწერალს აძლევს სტილის დახვეწისა და ჯეშმარიტი შემოქმედების ასპარეზს. ერთ-ერთ თავის თანამედროვეზე პლინიუსი აღფრთოვანებით წერდა: ის წერს ისეთ წერილებს, რომ შეიძლება იფიქრო, თვით ბუზები ალაპარაკდნენ ლათინურ ენაზეო (11, 13).

„წერილებში" პლინიუს უმცროსი წარმოგვიდგება, როგორც მხატერული სიტყვის დიდი ოსტატი. მაღალ გამომსახველობით ძალას ანიჭებს იგი თხრობას სხვადასხვა ლიტერატურული ხერხების საშუალებით. ასე მაგალითად: ფართოდ იყენებს დრამატიზაციის ფორმას დიალოგის სახით; იყენებს ნოველას, ეგავს და სხვ. ყველაზე დიდ ოსტატობას პლინიუსი აღწევს პიროვნებათა დახასიათებაში — სხვადასხვა წერილებში ერთი და იმავე პიროვნების მხატვრულ სახეს იგი

სრულყოფს ცალკეული შტრიხების დამატებით და საბოლოო ჯამში ქმნის ისტორიული, თუ კერძო პირის უაღრესად დამაჯერებელ, მეტყველ სახეს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი, რომლის პიროვნებამაც პლინიუსის სახით საუკეთესო ინტერპრეტატორი პოვა.

მაღალმხატვრული და ორიგინალური ლიტერატურული ხერხი, მკვლევართა აზრით, პლინიუსს აყენებს მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს შემოქმედთა რიგში. ხაზგასასმელია, რომ პლინიუსის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთობ კრიტიკულად შემფასებელი ოპაციც კი იძულებულია შენიშნოს: „...ეპისტოლოგრაფიაში ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელსაც შეიძლება სიტყვის ოსტატი ვუწოდოთ“.

რაოდენ მაღალმხატვრულიც არ უნდა იყოს პლინიუს უმცროსის „წერილები“ და მრავალფეროვანი—მისი თემატიკა, ამ ნაწარმოების მთავარი ღირსება მაინც ისტორიოგრაფიულ ღირებულებაში მდგომარეობს. სავსებით მართებულია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „წერილების“ გარეშე თანამედროვეთათვის უკვალოდ იქნებოდა დაკარგული მნიშვნელოვანი მომენტები I საუკუნის მეორე ნახევრის რომის ისტორიიდან. მართლაც, მასში როგორც კალეიდოსკოპში, ასახულია რომის საზოგადოების პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

პლინიუს უმცროსი მონათმფლობელი იყო; მას რამდენიმე მამული ჰქონდა, რომლებსაც ის პირადად განაგებდა. პლინიუსი დიდ ყურადღებას აქცევდა მონათმფლობელობისა და მიწათმფლობელობის საკითხებს. სწორედ ამიტომ მისი „წერილები“, რომლებშიც კარგად არის ასასული მდიდარი მაგნატის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, უხვ ცნობებს შეიცავს საზოგადოების ამ ფენის ეკონომიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ახ. წ. I საუკუნეში სულ უფრო და უფრო აშკარავდება მონური შრომის არარენტაბელურობა, რამაც მონათმფლობელთა კლასი დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე დააყენა. მონათმფლობელები იწყებენ მონური შრომის გამოყენების ასალი ფორმების ძიებას, რომელთა მიზანია შრომის სტიმულირების გაზრდა და ამ გზით უკეთესი ეკონომიკური ეფექტის მიღწევა. იცვლება შეხედულება მონაზე და დამოკიდებულება მის მიმართ. მონა, ამ ასალი გაგებით, მხოლოდ „მოლაპარაკე იარაღი“ კი არ არის, არამედ ინტელექტისა და საწარმოო გამოცდილების მქონე მუშაკია, რომ-

ლის მიმართ ლმობიერება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე მონათმფლობელური ექსპლუატაციის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენება. ეს საკითხები, ცხადია, აღელვებდა პლინიუს უმცროსსაც — მდიდარ მაგნატსა და თავისი კლასის ტიპურ წარმომადგენელს. იგი მიდის უკვე გაკვალული გზით — ლმობიერებითა და დათმობით ცდილობს მონებში მადლიერებისა და ერთგულების გრძნობის გაღვიძებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პლინიუსის წერილი, რომელშიც ის ხაზს უსვამს თავის კეთილ დამოკიდებულებას მონების მიმართ; ის უფლებას აძლევს თავის მონებს ჰქონდეთ საკუთარი ქონება და ანდერძით გაასხვისონ იგი. აქვე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ხშირად ათავისუფლებს მონებს. ამრიგად, მიმართავს საწარმოო ძალის „გაჯანსაღების" ყველაზე ეფექტურ საშუალებას. მეტად საგულისხმოა, რომ მიუხედავად იტალიის მეურნეობის მკვეთრი დაქვეითებისა, თვით პლინიუსის მამულები მაღალ სამეურნეო დონეზე იდგა და დიდ მოგებას აძლევდა პატრონს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მაღალ სამეურნეო ეფექტს პლინიუსი თავისუფალი შრომის ფართო გამოყენებით აღწევდა. ცხადია, რომ პლინიუსის დამოკიდებულება მონების მიმართ, მათი შრომის გამოყენება ახლებურ საწყისებზე, გაპირობებული იყო რეალური ეკონომიკური ინტერესებით და არა სუბიექტური ან სხვა ფაქტორებით. პლინიუს უმცროსის უდავო დამსახურებაა, რომ ის უაღრესად კონკრეტული ფაქტებით ასახავს წარმოების მონათმფლობელური წესის კრიზისს, უშუალო მწარმოებელთა შრომის ახალი ფორმების განვითარებას (კოლონატი), ცვლილებებს, რომლებსაც ისინი განიცდიან (კოლონათა ფულადი გადასახადის შეცვლა ნატურალურით და სხვა). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მონათმფლობელური მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები ისე კარგად და ნათლად არის გაშუქებული პლინიუსის „წერილებში", რომ ლიტერატურაში ისინი სწორედ ამ თვალსაზრისით შეისწავლება, რაც მკვლევრებს მრავალი საინტერესო და დამაჯერებელი მეცნიერული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას აძლევს.

მონობის პრობლემას პლინიუს უმცროსი სხვა ასპექტშიც აშუქებს; კერძოდ, „წერილებში" ასახულია კლასობრივი წინააღმდეგობის ზრდა მონებსა და მონათმფლობელებს შორის. წერილებში — III, 14; VI, 25; VIII, 14 მოიხსენიება მონების მიერ მონათმფლობელთა გაძარცვის მეტყველი ფაქტები.

ეპისტოლარულ ჟანრს პლინიუსი თვლიდა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისა და მეგობრებთან მათი ურთიერთგაზიარების საუკეთესო საშუალებად. პლინიუსი ყველგან და ყოველთვის რესპუბლიკური წარსულის თაყვანისმცემელია (VI, 21). მაგრამ, ამავე დროს, ერთობ ოპტიმისტურად აფასებს თანამედროვე პოლიტიკურ წყობას, რომელსაც, მისი აზრით, ბევრი აქვს საერთო წარსულთან. თანამედროვეობის ჩრდილოვანი მხარეები, პლინიუსის აზრით, საერთო კანონზომიერებით კი არ არის გაპირობებული, არამედ ცალკეულ პიროვნებათა ბოროტ ნების გამოხატულებაა (იმპერატორები — კლავდიუსი, დომიციანე და სხვ.). პლინიუსი მონარქიული რეჟიმის მომხრეა, რომელსაც მისი შეხედულებით, ყველაზე გონიერი პრინცეპსი, ტრაიანე განასახიერებს (III, 20). ამასთან ერთად, ის უძლურია საღად შეაფასოს შექმნილი ვითარება, დაინახოს, რომ რესპუბლიკური ორგანოების არსებობა მხოლოდ პოლიტიკური ფიქციაა. დასახელებულ წერილში პლინიუსი აღნიშნავს, ახლა ყველაფერი წყდება ერთი პიროვნების ნების შესაბამისადო. ეს არის პლინიუსის უნებლიე დასკვნა, იმის აღიარება, რომ ხელისუფლების სათავეშია ერთპიროვნული მმართველი, რომლის ძალაუფლებას არავითარი რესპუბლიკური ტრადიციები არ ზღუდავს.

მიუხედავად იმისა, რომ „წერილების" სახით ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ ეპისტოლოგრაფიასთან, ე. ი. ნაწარმოებთან, რომლის ლიტერატურული სრულყოფა ავტორის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, მისი თემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან. ამიტომ მასში უამრავი ცნობაა რომის მიწათმფლობელური საზოგადოების უმაღლესი ფენის ინტელექტუალურ ინტერესებზე, მათ ყოფაზე, ზნეობაზე, საოჯახო ცხოვრებაზე და სხვა. გარდა ამისა, „წერილები" შეიცავს ზოგიერთ უნიკალურ ცნობას ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის თუ მოვლენის შესახებ. მაგალითად, წერილებში (VI, 16; VI, 20) დიდი დამაჯერებლობით და უშუალო მნახველის თვალით არის აღბეჭდილი სურათი ვეზუვის ვულკანის ტრაგიკული ამოფრქვევისა, რომელმაც ახ. წ. 79 წელს მოსპო იტალიის ორი ქალაქი — პომპეი და ჰერკულანუმი; პლინიუსის სადა, მაგრამ პირადი განცდით აღბეჭდილ თხრობას დიდი შთამბეჭდავი ძალა აქვს.

„პლინიუსის მიმოწერა ტრაიანესთან" შეიცავს 122 წერილს, რომელთაგან 71 დაწერილია პლინიუსის მიერ, ხოლო 51 საპასუხოდ — ტრაიანეს მიერ. ზოგიერთ გამოცემაში დასახელებული ნაწარმოები

შეტანილია პლინიუს უმცროსის ზემოგანხილულ კრებულში წერილთა X წიგნის სახით. უფრო მართებულია „მიმოწერის“ ცალკე ნაწარმოებად გამოყოფა. მით უფრო, რომ ეს ტრადიცია უკვე ანტიკურ ხანაშიც არსებობდა. ამას განსაზღვრავს ნაწარმოების შინაარსობრივი მხარეც — იმ დროს, როდესაც „წერილები“ განეკუთვნებიან მხატვრული ეპისტოლოგრაფიის ჟანრს და ობიექტურ რეალობას გადმოსცემენ უმთავრესად მათი ავტორის თვალთახედვით. „მიმოწერა“ ფაქტობრივი ოფიციალური ეპისტოლოგრაფიაა, რომელშიც უშუალოდ, რეალისტურად არის ასახული ისტორიული სინამდვილე — ამაშია ამ ნაწარმოების განსაკუთრებული ისტორიოგრაფიული ღირებულება. „მიმოწერის“ ცალკე გამოყოფა იმითაც არის გამართლებული, რომ ავტორიტეტული მკვლევრების მტკიცებით, იგი შეიცავდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტების ფიქსირებას და ამიტომ მათი გამოცემა სავარაუდოა მოხდა შედარებით გვიან, პლინიუსის გარდაცვალების შემდეგ.

„მიმოწერაში“ წერილების შეფარდება არ არის თანაბარი — პლინიუსის 71 წერილს ტრაიანე მხოლოდ 51 შემთხვევაში პასუხობს. მკვლევრები ამას შემდეგი გარემოებით ხსნიან: წერილების ნაწილი დაწერილი იყო პლინიუსის მიერ ბითვინიაში გამგზავრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს 105 წლისა. ამ პერიოდში პლინიუსს პირადი კონტაქტიც ჰქონდა ტრაიანესთან, რომელიც რიგ შემთხვევაში ზეპირად პასუხობდა მას. გარდა ამისა, ისიც საფიქრებელია, რომ ზოგიერთი წერილი პლინიუსმა ტრაიანეს დავალებითაც გაანადგურა, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ ისინი მნიშვნელოვან საიდუმლო მონაცემებსაც შეიცავდა.

„მიმოწერა“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა პრინციპატის ისტორიისათვის. სხვა საკითხებთან ერთად, მასში კარგად არის ასახული ახალი მიმართულება რომის სახელმწიფოს მესვეურთა სოციალურ პოლიტიკაში და მისი შედეგები. პლინიუსი ხშირად მიმართავს ტრაიანეს თხოვნით, მისცეს რომის სრული მოქალაქეობა ყოფილ მონებსა თუ პროვინციალებს და როგორც ტრაიანეს საპასუხო წერილებიდან ჩანს, იგი ყოველთვის აკმაყოფილებდა თავის მოხელის თხოვნას (X. 5, 6, 7, 11, 104, 105). ეს ფაქტი ბევრის მთქმელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ მოქმედებდა ანალოგიურ შემთხვევებში იმპერატორი ავგუსტუსი. თავის მეუღლის თხოვნას, რომის მოქალაქეობა მიეცა ერთი გალისთვის, რომელიც რომაელთა მოხარკე იყო,

ავგუსტუსმა კატეგორიული უარით უპასუხა, თუმცა გალი გაათავისუფლა გადასახადისაგან, ამასთან, მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ურჩევნია გააღარიბოს სახელმწიფო ხაზინა, ვიდრე დასცეს რომის მოქალაქის ღირსება. როგორც ჩანს, ტრაიანეს დროს რომის მოქალაქეთა შედგენილობა ერთობ ტრანსფორმირებულია და შორს არის წასული მასში პროვინციალებისა და ყოფილი მონების ჩარიცხვის პროცესი (აღნიშნული პროცესი მკაფიოდ მეღავნდება უკვე კლავდიუსის დროს).

„მიმოწერაში" კარგად არის ასახული პრინციპატის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტი — პრინციპატის განვითარება აბსოლუტური მონარქიის მიმართულებით. ბითვინიის ლეგატის პოსტზე ყოფნისას, პლინიუსი ფართოდ სარგებლობდა ტრაიანესთან მიმოწერის საშუალებით და უთანხმებდა პროვინციის მართვა-გამგებლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს — უმნიშვნელოს, თუ პირველხარისხოვანს. ერთ-ერთ წერილში (X, 961) ის პირდაპირ ეუბნება ტრაიანეს, რომ ვალდებულად თვლის თავს, ყველა საკითხში მას, ე. ი. ტრაიანეს დაეთათბიროს. ამაში ცხადია, თავს იჩენს პლინიუსის დამოკიდებულება ტრაიანეს მიმართ, რომელსაც იგი უმაღლესი, ხელშეუხებელი ძალაუფლების გამომხატველად თვლიდა. მაგრამ, თუ ეს შეხედულება რამდენადმე თეორიული მსჯელობის სახით არის წარმოდგენილი პლინიუსის ნაწარმოებებში, „მიმოწერა" მისი პრაქტიკული დადასტურებაა, რადგანაც კონკრეტული ფაქტებით ასახავს უმაღლესი მოხელის სრულ დამოკიდებულებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.

პრინციპატის აბსოლუტური ტენდენციების ზრდაზე მეტყველებს აგრეთვე უამრავი მონაცემი, რომლებიც ადასტურებენ იმპერატორის კულტის დანერგვას პროვინციებში (X, 17, 35, 36, 52, 53, 88; 100; 101, 102, 103).

„მიმოწერა" პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროა რომის საიმპერატორო ხანის პროვინციული მართვა-გამგებლობის ხასიათის გასათვალისწინებლად. კერძოდ, მასში გაშუქებულია ბითვინიის პროვინციის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და ფინანსური მმართველობის საკითხები. „მიმოწერაში" პლინიუსი ეხება ქალაქების მშენებლობისა და კეთილმოწყობის კონკრეტულ საკითხებს, ამასთან ერთად, პროვინციის მოსახლეობის ყოფისათვის დამახასიათებელ მომენტებს.

„მიმოწერა" შეიცავს ავტობიოგრაფიულ მონაცემებს, მასალებს რომის საზოგადოებისა და მმართველი წრეების დასახასიათებლად და

სხვა ცნობებს; ყოველივე ეს მას ანიჭებს ძვირფასი ისტორიული წყაროს მნიშვნელობას.

„პანეგირიკს იმპერატორ ტრაიანესადმი" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პლინიუს უმცროსის შემოქმედებაში. ეს არის სახოტბო სიტყვა, რომლითაც სენატში იმპერატორ ტრაიანეს მიმართა პლინიუსმა მისი (ე. ი. პლინიუსის) კონსულად დანიშვნის დღეს (100 წ.).

ამ დროს, როგორც კონსულის, ისე სხვა რესპუბლიკური მაგისტრატურების არსებობა ნომინალური იყო. სავსებით მოკლებულნი ძველ რესპუბლიკურ შინაარსს, ისინი პოლიტიკური ბუტაფორიის როლს ასრულებდნენ; მათ უკან გეგმაზომიერად იკაფავდა გზას რომის აბსოლუტური მონარქია. მიუხედავად ამისა, კონსულად დანიშვნა მაინც ითვლებოდა უმაღლეს პატივად და სენატის საგანგებო დადგენილებით, სათანადო პირი ვალდებული იყო საჯაროდ გამოეხატა სიტყვიერი მადლობა იმპერატორის მიმართ.

„პანეგირიკი" ვრცელი ლიტერატურული ნაწარმოებია; იგი შეიცავს 95 თავს. როგორც პლინიუსის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს (III, 18), მან სენატში წარმოთქმული სიტყვის ფართო ვარიანტი გააცნო მეგობრებს და მათი აღფრთოვანებული მოწონება დაიმსახურა. პლინიუსი წერდა, რომ სახოტბო სიტყვის გადამუშავებისას, ის მიზნად ისახავდა ისეთი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნას, რომელიც შთამომავლობას შემოუნახავდა ხსოვნას იდეალურ მმართველზე. ამასთან ერთად, ის ხელმძღვანელობდა შემდეგი პრინციპებით: გადმოეცა არა საკითხის ფაქტობრივი მხარე, არამედ ფაქტების შეფასება საკუთარი პოზიციებიდან (VI, 27). ეს გარემოება თავისთავად განსაზღვრავს, რომ პლინიუსი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ტრაიანეს მოღვაწეობის ობიექტური შემფასებელი. ამიტომ მისი დასკვნები უაღრესად სუბიექტურია და გამოხატავენ არა იმდენად საქმის ნამდვილ ვითარებას, რამდენადაც ატარებენ პოლიტიკური პროგრამის ხასიათს, რომელიც მოხდენილად არის შემოსილი პანეგირიკის ფორმაში.

მიუხედავად თავისი განცხადებისა, რომ ტრაიანეს უდიდესი დამსახურება ზედმეტს ხდის მისი პიროვნების შემკობას პირფერული გამოთქმებით (VII, 27), „პანეგირიკში" პლინიუსი არ იშურებს ლიტერატურულ ხერხებს, რათა მაღალმხატვრული ფრაზებით დახატოს ტრაიანეს მოღვაწეობის კეთილისმყოფელი მნიშვნელობა რომის ხალ-

ხისა და სახელმწიფოსათვის. ის წერს, რომ მისი მუზა უძლურია მთელი სისრულით გადმოსცეს ღმერთებთან გატოლებული პრინცეპსის სახე. ამრიგად, ტრაიანეს აპოთეოზს ცენტრალური ადგილი უჭირავს „პანეგირიკში", მაგრამ ამ თემით გატაცებული პლინიუსი, როგორც ყოველთვის, შეცდომას უშვებს ობიექტური რეალიზმის შეფასებაში და ხშირ შემთხვევაში გასაოცარ პოლიტიკურ სიბეცესაც ამჟღავნებს. მაგალითად, ის რეალურად მიიჩნევს რესპუბლიკური წესების აღდგენას ტრაიანეს მიერ, რითაც უგულებელყოფს რესპუბლიკური ორგანოების პოლიტიკური დაკნინების ფაქტს, მათ სრულ დაქვემდებარებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პლინიუსი კონსულის თანამდებობას. სინამდვილეში, მარტოოდენ იმ ფაქტში, რომ ამ დროს ხდებოდა კონსულის დანიშვნა, რაც ეწინააღმღეგებოდა არჩევითობის რესპუბლიკურ პრინციპს, მას უნდა დაენახა ამ უმაღლესი რესპუბლიკური თანამდებობის დაქვეითება პოლიტიკურ ფიქციამდე, მისი გადაქცევა იმ პოლიტიკური მასკარადის ერთ-ერთ კომპონენტად, რომელსაც რესპუბლიკური მაგისტრატურები შეადგენდნენ ამ დროს. ასევე გულუბრყვილოა პლინიუსის მტკიცება, რომ მის დროს სენატი „ძველრომაულ" ორგანოს წარმოადგენდა. სინამდვილეში სენატის პოლიტიკური როლის შემცირება იმთავითვე იყო პრინციპატის მიზანი. უკვე ავგუსტუსმა გაატარა ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიება. შემდეგში სენატის უფლებრივი ნორმები კიდევ უფრო შემცირდა. თუმცა ტრაიანე ხაზს უსვამდა თავის კეთილ დამოკიდებულებას სენატორული არისტოკრატიის მიმართ, ეს მხოლოდ გარეგნული ეტიკეტის დაცვაში ღებულობდა გამოხატულებას. ფაქტობრივად სენატი ამ დროს იმპერატორის სათათბირო ორგანოს როლს ასრულებდა. პლინიუსის მიერ მართვა-გამგებლობის თანამედროვე სისტემის არასწორი გაგება, რომის სახელმწიფოს განვითარების საერთო კანონზომიერების გაუთვალისწინებლობის შედეგი იყო; პლინიუსი ვერ ხედავდა იმ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც გამორიცხავდნენ რესპუბლიკური მაგისტრატურებისა და ორგანოებისათვის ძველი კონსტიტუციური ნორმების დაბრუნების შესაძლებლობას.

დაბოლოს, ხაზი უნდა გავუსვათ „პანეგირიკის", როგორც ისტორიული წყაროს როლსა და მნიშვნელობას: პლინიუსი გვაწვდის მეტად მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას. მაგალითად, ცნობას ტრაია-

ნეს კანონის შესახებ ბავშვების აღზრდაზე, ალიმენტარულ დაწესებულებათა შექმნაზე, ტრაიანეს მიერ დომიციანეს დროინდელ დამბეზღებელთა დასჯის ორიგინალურ მეთოდზე. ეგვიპტის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვა. ყოველივე ეს „პანეგირიკს" დიდ ისტორიოგრაფიულ ღირებულებას ანიჭებს და რომის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროთა რიგში აყენებს.

სვეტონიუსი

ბიოგრაფიული ცნობები გაიუს სვეტონიუს ტრანქვილუსის შესახებ მცირეა; მათი ნაწილი გაბნეულია თვით მწერლის ნაწარმოებებში, ზოგიერთი შემონახულია პლინიუს უმცროსის წერილებში, ზოგიც III საუკუნის მწერლის სპარტიანუსის ნაწარმოებში. ამ არასრული და ფრაგმენტული მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება სვეტონიუსის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტების დადგენა.

იგი დაიბადა რომში, არა უგვიანეს ახ. წ. 70 წლისა, შეძლებულ ოჯახში, რომელიც ეკუთვნოდა მხედრულ წოდებას, მიიღო მაღალი განათლება. ლათინურთან ერთად საფუძვლიანად ფლობდა ბერძნულ ენას და დიდ ინტერესს იჩენდა ლიტერატურისადმი. დამაჯერებელი ფაქტებით დასტურდება, რომ სვეტონიუსი ახლოს იყო პლინიუს უმცროსთან და ამ მეგობრობას ლიტერატურისადმი საერთო ინტერესი ასაზრდოებდა. პლინიუსთან მეგობრობამ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა სვეტონიუსის ცხოვრებაში — მის ოჯახში ეცნობოდა თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებს, მაგალითად, ისტორიკოს ტაციტუსს, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მის ისტორიოგრაფიული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

პლინიუს უმცროსის წერილებში დაცულია ცნობები სვეტონიუსის სამსახურებრივი კარიერის შესახებ. ერთ-ერთი წერილის (97 წ.) მიხედვით სვეტონიუსი ეწეოდა სასამართლო საქმიანობას. პლინიუსის უფრო მოგვიანო წერილიდან (101 წ.) ირკვევა, რომ სვეტონიუსი ეძიებდა ტრიბუნის თანამდებობას, მაგრამ გადაიფიქრა და თანამდებობა დაუთმო თავის ნათესავს. ამის მიზეზი იყო მწერლის სურვილი დასახლებულიყო თავის ქალაქგარე მამულში და თავისუფალი დრო გამოეყენებინა ლიტერატურული და მეცნიერული საქმიანობისათვის.

ტრაიანეს მმართველობის დროს სვეტონიუსი აღწევს დიდ წარმატებას. შემდეგ ინიშნება იმპერატორ ადრიანეს ერთ-ერთ მდივნად, ე. წ. „წერილების გამგებლად". ეს მაღალი თანამდებობა, რომელიც სვეტონიუსმა მიიღო არა მარტო ლიტერატურული განათლების წყალობით, არამედ გავლენიანი მეგობრების დახმარებით, მას ეჭირა 119—121 წლებში. შემდეგ მწერალი, გაურკვეველი მიზეზების გამო, განთავისუფლებულ იქნა ამ თანამდებობიდან. სვეტონიუსის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. გარდაცვლილი უნდა იყოს დაახლოებით 160 წლის ახლო ხანებში.

ამრიგად, სვეტონიუსის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები დაემთხვა ვესპასიანეს, ტიტესა და დომიციანეს მმართველობას, ხოლო მოღვაწეობა მოუხდა ტრაიანესა და ადრიანეს დროს, ე. ი. იმ ეპოქაში, როდესაც რომის საზოგადოების უმაღლესი ფენები სავსებით შეურიგდნენ ერთპიროვნულ ძალაუფლებას.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე რომის უმაღლესი არისტოკრატია ეგუებოდა იმპერატორის ძალაუფლებას, როგორც უმცირეს ბოროტებას, მაგრამ ერთდროულად ფარულად ებრძოდა მას. თუ იმპერატორი ავგუსტუსი პოლიტიკური კომპრომისების მეოხებით სენატთან ურთიერთობაში ახერხებდა მოქნილი ფორმების გამოძებნას და სენატორული არისტოკრატიის პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებას, იულიუს-კლავდიუსების საგვარეულოს მომდევნო პრინცეპსების დროს მდგომარეობა მკვეთრად იცვლება — გაბატონებული კლასი ველარ ეგუება მმართველობის სადავეების დაკარგვას და ფარული პოზიციიდან აშკარა წინააღმდეგობაზე გადადის. საყურადღებოა, რომ უკვე ავგუსტუსის მომდევნო იმპერატორმა ტიბერიუსმა აღადგინა კანონი „უდიდებულესობის შეურაცხყოფის შესახებ", რაც უმაღლესი ძალაუფლების მიმართ ყოველგვარი წინააღმდეგობის ჩახშობას ისახავდა მიზნად. პრინციპატთან აშკარა ბრძოლა ნერონმა სასტიკი რეპრესიებით ჩაახშო. სისხლიან რეაქციას შედეგად მოჰყვა უმაღლესი არისტოკრატიის მკვეთრად შემცირება.

ფლავიუსების მმართველობის დასასრულისათვის ძველი რომაული არისტოკრატიის წარმომადგენლები სენატის შემადგენლობის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ. ამასთან დაკავშირებით, ე. შტაერმანი აღნიშნავს: „მოიმკეს რა ნაყოფი იულიუს-კლავდიუსებისა და ფლავიუსების პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო რომის კონსერვატორული არისტოკრატიის ამოწყვეტისაკენ, მათ ეხლა შეეძლოთ უარი

ეთქვათ რეპრესიებზე და ტაციტუსის სიტყვებით, „შეერიგებინათ ერთმმართველობა თავისუფლებასთან“, მისცემდნენ რა გაბატონებულ კლასს თუნდაც იმის შესაძლებლობას, რომ, ცხადია, გარკვეულ ფარგლებში „ეფიქრათ, რაც სურდათ და ელაპარაკნათ, რასაც ფიქრობდნენ“.

ამრიგად, სვეტონიუსის მოღვაწეობა დაემთხვა რომის იმპერიის იმ პერიოდს, როდესაც დამკვიდრდა „აზრის თავისუფლება“, ოღონდ იგი არ უნდა ყოფილიყო მიმართული არსებული პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ეს გარკვეულ გასაქანს აძლევდა გონებრივი შრომის ადამიანებს და მეტ-ნაკლებად უქმნიდა მათ სამოღვაწეო ასპარეზს. მათ რიცხვს ეკუთვნოდა გაიუს სვეტონიუს ტრანქვილუსიც, რომლის პოლიტიკურ იდეალსაც შეადგენდა არა რესპუბლიკური წარსული, არამედ ერთმმართველობა, რომელსაც განასახიერებდა კარგი იმპერატორი.

სვეტონიუსი ფართო განათლებისა და მრავალმხრივი მეცნიერულ-ლიტერატურული ინტერესების ისტორიკოსი იყო. როგორც დავინახეთ, თავის დროზე მან ხელი აიღო სამხედრო კარიერაზე და სოფლად ცხოვრება არჩია, რათა მეტი დრო ჰქონოდა შემოქმედებითი მუშაობისათვის. საყურადღებოა პლინიუს უმცროსის ერთ-ერთი წერილი, რომელშიც ის თხოვს თავის მეგობარს აყიდვინოს სვეტონიუსისათვის მამული, სწორედ ისეთი, როგორიც „შეეფერება სწავლულ ადამიანს“; ცხადია, რომ მაღალი საკანცელარიო სამსახურის მიღებაც ისტორიკოსის შეგნებული ნაბიჯი იყო, ნაკარნახევი წმინდა მეცნიერული ინტერესებით — მას სურდა ახლოს გასცნობოდა საიმპერატორო არქივს, სადაც ბევრი ძვირფასი დოკუმენტური მასალა უნდა ყოფილიყო.

სვეტონიუსის შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია. ბიზანტიელი ლექსიკოგრაფის სვიდას მიხედვით, მას დაწერილი ჰქონდა ნაწარმოებები ისტორიულ, ფილოლოგიურ, ლინგვისტურ, რიტორიკულ და სხვა საკითხებზე. მათგან ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ „თორმეტი ცეზარის ცხოვრება“ 8 წიგნად და ტრაქტატი „გრამატიკოსებისა და რიტორების შესახებ“. პირველი მათგანი დიდი ისტორიოგრაფიული ღირებულებისაა. იგი ყველაზე სრული სახითაა შემონახული: აკლია მხოლოდ დასაწყისი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, შეიცავდა მიძღვნას სეპტიციუს კლარუსისადმი და იულიუს ცეზარის ბიოგრაფიის დასაწყისს. თხზულება დაწერილია 121 წელს.

„თორმეტი ცეზარის ცხოვრება“ შემონახულია რამდენიმე ნუსხის სახით, რომელიც სათავეს იღებს ერთადერთი ანტიკური სრული დედნიდან. ეს უკანასკნელი არსებობდა ჯერ კიდევ IX საუკუნეში. ბეჭდური სახით ნაწარმოები პირველად გამოვიდა 1470 წელს რომში;

„თორმეტი ცეზარის ცხოვრება“ ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებია, რომელშიც გაშუქებულია პირველ ცეზართა ცხოვრება იულიუსიდან დომიციანეს ჩათვლით. ამრიგად, იგი ეხება რომის იმპერიის ადრინდელ ეპოქას — პრინციპატის პირველ საუკუნეს. ეს ის ხანაა, რომელიც იპყრობდა რომის ისტორიოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების — ტაციტუსისა და პლუტარქეს ყურადღებას. ეს იყო საუკუნე დაძაბული ბრძოლისა და პოლიტიკური რეფორმებისა, როდესაც ძველისა და ახლის ჭიდილში საბოლოოდ ფორმირდებოდა რომის საიმპერატორო ძალაუფლება.

იმპერიის დასაწყისში რომის ისტორიოგრაფიულმა აზროვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ტიტუს ლივიუსის ისტორიული თხზულება სავსებით აკმაყოფილებდა საზოგადოების გაზრდილ ინტერესს რომის სახელმწიფოს ისტორიული წარსულის მიმართ. რესპუბლიკური წარსულის ხოტბა, მისი განდიდება სულიერი საზრდო იყო რომის საზოგადოების ფართო წრეებისათვის, რომლებიც ძნელად ეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას, ამასთან ერთად, იზრდებოდა ინტერესი საიმპერატორო ტახტის მესვეურთა პიროვნების მიმართ. ამიტომ განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო იმ ნაწარმოებთა ინტერესი, რომელშიც იმპერატორთა ცხოვრება იქნებოდა გადმოცემული, რის გამოც სვეტონიუსმა ბიოგრაფიული ჟანრი აირჩია.

„თორმეტი ცეზარის ცხოვრების“ სახით სვეტონიუსმა შექმნა ბიოგრაფიული ჟანრის საკუთარი სტილი; თუ მისი წინამორბედნი წერდნენ ცალკეულ ისტორიულ პირთა ბიოგრაფიებს შერჩევით, სვეტონიუსი იძლევა ბიოგრაფიების უწყვეტ ჯაჭვს ერთი საუკუნის მანძილზე.

თითოეული იმპერატორის ცხოვრებას სვეტონიუსი აშუქებდა გარკვეული სქემის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ოთხი მონაკვეთისაგან. პირველი გადმოსცემდა პრინცეპსის ცხოვრებას ძალაუფლების ხელში აღებამდე, მეორე — სახელმწიფო საქმიანობას, მესამე — კერძო ცხოვრებას, მეოთხე — გარდაცვალებას და დაკრძალვას.

ფაქტების დალაგებისას სვეტონიუსი იშვიათად იცავდა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. განსაკუთრებით ეს ითქმის ბიოგრაფიის

ცენტრალურ ნაწილზე, რომელშიც გაშუქებული იყო იმპერატორის სახელმწიფო მოღვაწეობა.

ისტორიული მასალის ამგვარი მეთოდით გადმოცემა ავტორს საშუალებას აძლევდა თავი დაეზღვია ფაქტების შეფასებისაგან და შემფასებლად თვით მკითხველი გამოეყენებინა. გასპაროვი წერს: „თავის თხრობაში იგი ისტორიის მაგიერ იძლევა ბიოგრაფიების ჯაჭვს. თითოეულ ბიოგრაფიაში, მოვლენათა თანამიმდევრობის მაგიერ, მკითხველს სთავაზობს ფაქტების სიმრავლეს. მისი იმპერატორები გადიან მკითხველთა სამსჯავროს წინაშე, თითქოსდა გამოცდას აბარებენ კარგ მმართველზე და, როგორც გამოცდაზე, მხედველობაში მიიღება არა მათი მოქმედებათა მოტივები, არამედ მხოლოდ თვით მოქმედებანი და მათი შედეგები“.

გასპაროვი შემდეგნაირად ახასიათებს შეფასებას, რომელიც სვეტონიუსის თხზულებამ მიიღო ახალ დროში: „სვეტონიუსს არ გაუმართლდა არც ფილოლოგების და არც ისტორიკოსების თვალში. როგორც ისტორიკოსს, მას ყოველთვის ჩრდილავდა ტაციტუსი, ხოლო როგორც ბიოგრაფოსს — პლუტარქე“. და აქვე დასძენს: „და მაინც საფიქრებელია, რომ თანამედროვე მკვლევრები უსამართლონი არიან რომაელი ისტორიოგრაფის მიმართ. სვეტონიუსს ზომავენ სხვისი საზომით, იმ დროს, როდესაც საჭიროა მისი საკუთარის ძებნა. სვეტონიუსს ადარებენ ტაციტუსს და პლუტარქეს, იმ დროს, როდესაც ამ სამი ავტორისაგან თითოეულს საკუთარი ამოცანა ჰქონდა და ამოცანის შესაბამის საშუალებებს ირჩევდნენ. იმისათვის, რომ ავხსნათ სვეტონიუსის ბიოგრაფიების თავისებურებანი, საჭიროა განვსაზღვროთ მიზანი, რომელიც მათ ავტორს ჰქონდა“.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სავსებით მართებულია. როგორც ზემოთ ითქვა, ამ დროს დღის წესრიგში იდგა იდეა კარგი მმართველისა. ეს იდეა შესანიშნავად გადმოსცა სვეტონიუსის თანამედროვემ და უახლოესმა მეგობარმა პლინიუს უმცროსმა თავის სახოტბო სიტყვაში ტრაიანეს მიმართ, რომელსაც მოგვიანებით უწოდა „პანეგირიკი იმპერატორ ტრაიანესადმი“. მასში პლინიუსი დომიციანეს მმართველობის შავბნელ წლებს უპირისპირებს ტრაიანეს ხანას, როგორც ხანას „საუკეთესო“ პრინცეპსისა. პლინიუსი ამაყად ამბობს, რომ „რომის ხალხმა იცის კარგი და ცუდი მმართველობის გარჩევაო“. ეს სიტყვები თავისებური მოწოდება იყო იდეოლოგიური დარგის მოღვაწეებისათვის. მათ რიცხვს ეკუთვნოდა სვეტონიუსიც, რომის უმაღ-

ლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, რომელიც მოწოდებული იყო ელაპარაკნა არა ერთმმართველობის შექმნის საკითხზე, არამედ კარგ და ცუდ პრინციპებზე. სწორედ ამიტომაა, რომ სვეტონიუსი არ ჩერდება ისტორიის საჭირბოროტო პრობლემებზე, რომელთაგან უმთავრესი მისი დროისათვის მოგვარებულია. ის, თავისი მდიდარი მასალის მეშვეობით, ფაქტების გამოკვეთით, თითოეული იმპერატორის ცხოვრებიდან დადებითისა და უარყოფითის ურთიერთდაპირისპირებით ცდილობს შექმნას კარგი და ცუდი იმპერატორის სახე.

დადებითი და უარყოფითი ფაქტების თავმოყრა ერთმანეთისაგან მკვეთრი გამიჯვნით, სვეტონიუსის მთავარი ლიტერატურული ხერხია ცუდი იმპერატორის ცხოვრების გაშუქებისას. აქ ერთობ აშკარად იგრძნობა მასალის რუბრიკებად დალაგება, იგრძნობა დიდი შავ.. სამუშაო, რომელსაც მწერალი ასრულებდა მასალის გადმოცემისათვის, იმგვარად, რომ მკითხველს თვითონ გამოეტანა დაუნდობელი განაჩენი. ამ მხრივ, იულიუს-კლავდიუსების დინასტიაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კალიგულა და ნერონი და მწერალიც მათ მიმართ არ იშურებს ფაქტებს და სიტყვიერ შუქ-ჩრდილებს. ამასთან, ეკეთების სიტყვიერ გადასვლებს, რითაც ააშკარავებს საკუთარ დამოკიდებულებასაც. ასე, მაგალითად, კალიგულას ბიოგრაფიაში ის წერს, აქამდე მსჯელობა იყო მმართველზე, ამის შემდეგ კი მომიხდება ლაპარაკი მხეცზეო. ნერონის შესახებ აღნიშნავს: „მისი ეს მოქმედებანი არ იმსახურებენ საყვედურს და შექების ღირსნიც არიან, მე მათ თავი მოვუყარე, რათა გამოვყო მანკიერებისა და ბოროტმოქმედებათაგან, რომლებზედაც ვილაპარაკებ შემდეგ". აქ ნათლად ჩანს, რომ კარგისა და ცუდის გამოყოფა მხოლოდ მხატვრულ-ლიტერატურული ხერხი კი არ არის, არამედ ისტორიული კვლევის თავისებური მეთოდიცაა.

რამდენადმე განსხვავებულია მწერლის მიდგომა კარგი იმპერატორის მიმართ. აქ სვეტონიუსი მხოლოდ ფაქტების დალაგებით კი არ კმაყოფილდება, არამედ იძლევა პიროვნების ხასიათის განვითარებას.. მაგალითად ავგუსტუსი, რომელიც სვეტონიუსს საუკეთესო იმპერატორად მიაჩნდა, თავისი უარყოფითი თვისებებით ანტონიუსთან ბრძოლის პერიოდში მკვეთრად უპირისპირდება მოგვიანო ხანას, როდესაც ის იმპერატორი ხდება. აქ ავგუსტუსი დახასიათებულია, როგორც თავდაჭერილი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული მმართველი. ასევე უდგება სვეტონიუსი ტიტეს, რომლის ჭაბუკურ სითამამეს

უპირისპირებს მის თავდაჭერილობასა და გონიერებას იმპერატორად ყოფნის დროს.

სვეტონიუსი არსად არ ლაპარაკობს პირდაპირ თავის პოლიტიკურ შეხედულებებზე, მაგრამ მისი პოლიტიკური მრწამსი კარგად ჩანს. თვით თხზულების მიხედვით. ამასთან, შეინიშნება შემდეგი გარემოება: ზოგან ის ისე მსჯელობს, თითქოს რესპუბლიკა განაგრძობდეს არსებობას (კალიგულას ბიოგრაფია), ზოგიერთ იმპერატორს უსაყვედურებს სენატისადმი უპატივცემლობას (ნერონი) და სხვ. სხვაგან ის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სვეტონიუსი ოცნებობდა რესპუბლიკის აღდგენაზე, ან იმას, რომ ის საერთოდ პარტიების გარეშე იყო და პოლიტიკური ინდიფერენტიზმის პრინციპებს იზიარებდა.

იულიუს-კლავდიუსების დინასტიიდან სვეტონიუსი საუკეთესო იმპერატორად თვლიდა ავგუსტუსს. მის მოღვაწეობაში ის განსაკუთრებით უსვამს ხაზს კარგ დამოკიდებულებას სენატის მიმართ. თხზულების კონტექსტში აშკარად იგრძნობა, რომ ავგუსტუსის ეს საქმიანობა მწერლის მხრიდან დადებით შეფასებას იმსახურებს და რამდენადმე მისაბაძადაც მიაჩნია მომდევნო პრინცეპსებისათვის. სვეტონიუსს კარგად ესმოდა, რომ რესპუბლიკური ტრადიციების თუნდაც ფორმალური აღიარება და რესპუბლიკური დაწესებულებების თუნდაც ფორმალური თანაარსებობა ერთმმართველობასთან იყო ამ უკანასკნელის განმტკიცების საშუალება. ამიტომ, როგორც ერთმმართველობის მომხრე, მწერალი უსაყვედურებდა იმ პრინცეპსებს, რომლებიც ამ გონივრულ პოლიტიკას ღალატობდნენ.

ლიტერატურაში ცალკე დგას საკითხი სვეტონიუსის წყაროების შესახებ. ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, „თორმეტი ცეზარის ცხოვრება" დაწერილია იმპერატორთა პირადი ცხოვრებიდან აღებული სკანდალური ფაქტების მიხედვით. ნამდვილად კი სვეტონიუსი სარგებლობდა ისეთი პირველხარისხოვანი და საყურადღებო დოკუმენტური მასალით, როგორიც იყო სენატის სხდომების ოქმები, იმპერატორების მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვების ჩანაწერები, იმპერატორთა ავტობიოგრაფიული ჩანაწერები. სვეტონიუსის განკარგულებაში იყო ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა იმპერატორ ავგუსტუსის ანდერძი და სხვა. ამასთან ერთად, სვეტონიუსის ბიოგრაფიებში უხვადაა მიმობნეული წვრილმანი ფაქტები, რომლებიც აშუქებენ იმპერატორთა პირად ცხოვრებას, ურთი-

ერთობას მშობლებთან, ოჯახის წევრებთან, ადამიანებთან, რომლებთანაც მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. პლუტარქეს ბიოგრაფიების მსგავსად, ყოველივე ეს მდიდარი მასალა იყო სვეტონიუსის ხელში იმპერატორთა მორალური სახეების გამოსაკვეთად.

რასაკვირველია, მხატვრული ღირსებით სვეტონიუსის ბიოგრაფიები პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების" ტოლი არ იყო, თუმცა ცხადია, რომ, სვეტონიუსიც იმავე ლიტერატურული პრინციპებით ხელმძღვანელობდა. აქედანაა ფაქტებისა და წვრილმანი დეტალების სიუხვე, მწერლის გატაცება ანეკდოტური მასალით — ყოველივე ეს ნათელყოფდა პრინცეპსთა ზნეობრივ თვისებებს, თხზულებას ანიჭებდა გასართობ ხასიათს და პოპულარულს ხდიდა მკითხველთა ფართო წრისათვის. ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ანტიკურობამ სათუთად შემოგვინახა თხზულების სრული, ავტორისეული დედანი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, არსებობდა ჯერ კიდევ IX საუკუნეში.

ამასთან ერთად, სვეტონიუსი იყო დიდი მასშტაბის მწერალი, რომლის მხატვრულ-ესთეტიკურმა შეხედულებებმა აღიარება პოვა თავისი დროის მაღალ ლიტერატურულ წრეებში. ეს კარგად ჩანს პლინიუს უმცროსის წერილების მიხედვით. ერთ-ერთ წერილში პლინიუსი რჩევას სთხოვს მას, თუ როგორ მოიქცეს თავისი თხზულების საჯაროდ წაკითხვის დროს — მიანდოს სხვას, თუ თვითონ წაიკითხოს. ამ წერილიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი იყო პლინიუსისათვის სვეტონიუსის პროფესიული ავტორიტეტი. სხვა წერილში ის სვეტონიუსს სთხოვს, საჩქაროდ დაამთავროს თხზულება, რომელსაც მოუთმენლად ელოდებიან როგორც ის (ე. ი. პლინიუსი), ასევე მეგობრები, რომელთა ვიწრო წრეშიც უნდა მოხდეს მისი პირველი წაკითხვა. ხაზგასმულია, რომ სვეტონიუსის ამ თხზულების მომზადებას პლინიუსმა საგანგებო ლექსიც კი მიუძღვნა. აღნიშნული წერილის მიხედვით, ცხადად იგრძნობა, რომ სვეტონიუსის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოსვლა დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო, რაც ცხოველ გამოხმაურებას პოვებდა რომის მაღალ წრეებში.

სვეტონიუსი წერდა სადა, გასაგები ენით. გაურბოდა რიტორიკას; მისი თხზულებების ნაწილი დაწერილი იყო ბერძნულ ენაზე.

ზემოთ აღინიშნა, რომ „თორმეტი ცეზარის ცხოვრება" დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის თხზულებაა. ამ თვალსაზრისით, მის

ღირსებებს განსაკუთრებით ზრდის ფაქტობრივი მასალის სიმდიდრე (მიუხედავად ამ მასალის თავისებური ხასიათისა). თხზულება ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს რომის პრინციპატის ისტორი-ისათვის.

ფლორუსი

ფლორუსის პიროვნების შესახებ არაფერია ცნობილი და ამ საკი-თხის ირგვლივ მეცნიერებაში მხოლოდ ვარაუდები არსებობს. უცნო-ბია ფლორუსის საკუთარი და საგვარეულო სახელებიც კი, რადგან ზოგიერთ ძველ ნუსხაში იგი მოიხსენიება ლუციუსად, ხოლო ზოგში — ანეუსად.

ფლორუსის სახელით, ჩვენ დრომდე მოაღწია ისტორიულმა თხზუ-ლებამ, რომელიც რომის სამხედრო ისტორიას წარმოადგენს. იგი ორ-გვარი სათაურით არის ცნობილი: 1) „იულიუს ფლორუსის ამონაკრები ტიტუს ლივიუსიდან, ორი წიგნი ყველა ომისა შვიდასი წლის მანძილ-ზე და 2) „ლუციუს ფლორუსის ამონაკრები ტიტუს ლივიუსიდან".

პირველი სახელწოდებით ფლორუსის თხზულება მოიხსენიება ყველაზე უძველეს ნუსხაში, რომელიც განეკუთვნება IX საუკუნის დასაწყისს. მასში შრომა ორი წიგნისაგან შედგებოდა. მეორე სათაუ-რი აქვს ფლორუსის შრომას ყველა სხვა ნუსხაში, რომელთაგან უძვე-ლესი განეკუთვნება IX საუკუნის დასასრულს, ხოლო მოგვიანო XV საუკუნეს. ამ ჯგუფის ნუსხებში ფლორუსის შრომა 4 წიგნს მოიცავდა.

ფლორუსის შრომაში მოცემული იყო რომაელთა ომების აღწერა მეფეთა ხანიდან ავგუსტუსის დრომდე. წამყვან სიუჟეტად ომების შე-რჩევა არ იყო შემთხვევითი — ავტორის მიზანი იყო რომაელთა საგმი-რო საქმეთა აღნუსხვა და წარსულის საუკეთესო მაგალითებით ხალხის განდიდება.

ფლორუსი წერდა მაღალფარდოვანი, რიტორიკული სტილით, ამი-ტომ, ფართოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, მისი შრომა იყო არა ისტორიული, არამედ რიტორიკული ნაწარმოები.

როგორც თხზულების სათაურიდან ჩანს, ფლორუსის ძირითადი წყარო იყო ტიტუს ლივიუსის ისტორიული შრომა, მაგრამ, ამასთან ერთად, ის იყენებდა სხვა წყაროებსაც, მაგალითად, სალუსტიუსის ნაშრომებს.

ფლორუსის შრომა დაყოფილი იყო 31 თავად, თითოეული მათგანი ერთი რომელიმე ომის აღწერას შეიცავდა. თხრობა ექვემდებარებოდა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. ნაშრომში რომის ისტორია, ასაკობრივი ნიშნის მიხედვით, იყოფოდა შემდეგ პერიოდებად: 1. ბავშვობის ხანა (მეფეთა ხანა); 2. სიჭაბუკის ხანა (მომდევნო პერიოდი 264 წ.); 3. სიმწიფის ხანა (მომდევნო პერიოდი ავგუსტუსის ხანამდე); 4. მოხუცებულობის ხანა (ავგუსტუსის გამარჯვებიდან ფლორუსის ცხოვრების წლებამდე).

ფლორუსის შრომა დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ანტიკურ ხანიდან, ასევე შუა საუკუნეებში — მკითხველებს წარმოდგენა რომის ისტორიის მოკლე გადმოცემა, შესრულებული სასიამოვნო რიტორიკული სტილით. ნაშრომს წყაროდ იყენებდნენ ანტიკური და მოგვიანო ხანის მწერლები — ოროზიუსი, მალალა და სხვა.

ფლორუსის შრომის დიდ პოპულარობაზე ძველ დროში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი შემონახულია მრავალი ნუსხის სახით.

მარკუს ავრელიუსი

მარკუს ავრელიუსს უწოდებენ „ტახტზე მჯდომ ფილოსოფოსს", რადგან იგი რომის იმპერატორიც იყო 161—180 წლებში და ფილოსოფოსიც. თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მან ჩამოაყალიბა ბერძნულ ენაზე 12 წიგნად დაწერილ თხზულებაში „საუბარი საკუთარ თავთან". ეპოქა, რომელშიც მარკუს ავრელიუსი ცხოვრობდა, ემთხვევა კრიზისის დაწყებას რომის ისტორიაში. სახელმწიფოს დასუსტებამ გამოიწვია ომების შემცირება, ამ გარემოებამ კი — მონათა რიცხვის შემცირება. გაიზარდა ფასი მონებზე, რამაც თავის მხრივ გააძვირა და არარენტაბელური გახადა მონურ შრომაზე დამყარებული წარმოება.

მარკუს ავრელიუსმა კარგად ასახა ის მოდუნება, დაცემულობა და პესიმიზმი, რომელმაც მოიცვა რომის მონათმფლობელური საზოგადოების ზედაფენები. ამ პესიმიზმს კვებავდა ნიჰილისტური შეხედულება ცხოვრებაზე და სიცოცხლის უფასურობის და არარაობის მტკიცება, რაც ესოდენ რელიეფურად ჩანს მარკუს ავრელიუსის წიგნში. ეს წიგნი ჩვენ სწორედ რომის იმპერიის დროინდელი საზოგადოების სულიერი

განწყობილების შეცნობაში გვეხმარება, რაც წყაროთმცოდნეობას, ფაქტობრივ მასალასთან ერთად, არანაკლებ აინტერესებს.

მარკუს ავრელიუსი დაიბადა ახ. წ. 121 წელს რომში. იგი ეკუთვნოდა ანნიუსების გვარს, რომელიც თავის წარმოშობას ესპანეთიდან იწყებდა და რომლის შორეული წინაპრებიც შემდეგ გადმოსახლებულან იტალიაში. მისი მამა ანნიუს ვერუსი პრეტორი და იმპერატორ ადრიანესთან (117—138) დაახლოებული პირი ყოფილა. ადრიანეს, რომელსაც მემკვიდრე არ ჰყავდა, უნდოდა ეშვილებინა იგი, მაგრამ მისი მცირეწლოვანობის გამო, ეს გადაუფიქრებია. მას შვილად აუყვანია 50 წლის ანტონინუს პიუსი (რომის იმპერატორი ადრიანეს შემდეგ) და, როგორც ავგუსტუსთა ისტორიკოსი ი. კაპიტოლინი გადმოგვცემს, მისთვის დაუვალებია, რომ მას (პიუსსაც ვაჟი არ ჰყოლია), თავის მხრივ, ეშვილებინა მარკუს ავრელიუსი. ეს ასეც მომხდარა და 161 წელს, როდესაც ანტონიუს პიუსი გარდაიცვალა, მარკუს ავრელიუსი გამოცხადდა რომის იმპერატორად.

ასეთი ყურადღება ადრიანეს მხრივ მარკუს ავრელიუსს ახალგაზრდობაშივე დაუმსახურებია. „უკვე ბავშვობის წლებიდანვე, — წერს მის შესახებ კაპიტოლინი, — იგი გამოირჩეოდა სერიოზულობით. როცა იმ ასაკიდან გამოვიდა, რომელიც საჭიროებს მომვლელის მეთვალყურეობას, მასზე მზრუნველობა დაევალა გამოჩენილ მოძღვართ, რომელთა ხელმძღვანელობითაც ის შეუდგა ფილოსოფიის შესწავლას". შემდეგ კაპიტოლინი ჩამოთვლის მის მასწავლებლებს, რომელთა შორის აღსანიშნავნი არიან სტოიკოსები: იუნიუს რუსტიკუსი, აპოლონიუს ქალკიდონელი, ორატორი ფრონტონი, პლუტარქეს ძმისწული სექტუს ქერონელი და სხვები, სულ 17 კაცი.

მარკუს ავრელიუსის პირადი ცხოვრება დალაგებული და მშვიდი არ ყოფილა. ადრე გარდაიცვალა მისი ძმა ავრელიუს ლიციუს ვერუსი, რომელიც მას თანაიმპერატორად ჰყავდა. ცოლი ფაუსტინა დაუფარავად ღალატობდა. ერთადერთ ვაჟს, კომოდს (შემდეგში რომის იმპერატორს) ადრევე ეტყობოდა მეტისმეტი სიმკაცრე, ანომალიური ქცევა და არასერიოზულობა. ავრელიუსი ატყობდა ამას და თვითონვე ამბობდა, რომ ჩემი შვილი იქნება ნერონის, კალიგულასა და დომიციანეს მსგავსიო.

ავრელიუსის დროს იმპერიის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. ბარბაროსებმა შეტევა დაიწყეს ჩრდილოეთის მთელ ფრონტზე დუნაის გაყოლებით და შემდეგ გალი-

ამდე. ადგილი ჰქონდა აგრეთვე აჯანყებას ბრიტანეთში, პართიაში, ეგვიპტეში. აჯანყდა მთავარსარდალი კასიუსი, რომელმაც თავი იმპერატორად გამოაცხადა. არ ყოფნიდა რა ძალები ქვეყნის შიგნით აჯანყების ჩასახშობად და გარედან ბარბაროსების უკუსაქცევად, იგი იძულებული იყო არმიაში გაეწვია მონები, გლადიატორები, ყაჩაღები და დაექირავებინა გერმანელები გერმანელების წინააღმდეგ. ამასთან, იმპერიაში მძვინვარებდა შავი ჭირი, რომელსაც ზედ ერთვოდა ხშირი მოუსავლიანობა. იმპერიის ფინანსური მდგომარეობა იმდენად კატასტროფული ყოფილა, რომ იმპერატორი იძულებული გამხდარა საკუთარი ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ძვირფასი ქვები და ცოლის აბრეშუმის მოოქრული ტანსაცმელიც კი გაეყიდა აუქციონზე, რათა აქედან აღებული სახსრები მოეხმარა მარკომანების წინააღმდეგ წარმოებული ომისათვის.

ასეთ ვითარებაში ავრელიუსს ისღა რჩებოდა, რომ შერიგებოდა სინამდვილეს. ამ შერიგებას ერთგვარად უადვილებდა ის სტოიკური აღზრდა, რომელიც ბავშვობიდანვე მიიღო. იგი თვითონვე წერს, რომ ყოველთვის მზად ვიყავი ხალისით მეპატიებინა დანაშაული იმათთვის, რომელთაც მე გამაბოროტესო. და იქვე დასძენს, რომ ეს მე შთამაგონა ჩემმა მასწავლებელმა სტოიკოსმა იუნიუს რუსტიკუსმაო. აპოლონიოს ქალკედონელმა კი, — წერს იგი შემდეგ, — მე ბავშვობიდანვე მასწავლა, რომ მომთმენი ვყოფილიყავი „სასტიკი ტკივილის, საშიში ავადმყოფობის და ჩემი ბავშვების დაღუპვის დროსაც კი“.

ამგვარმა აღზრდამ ხელი შეუწყო მარკუს ავრელიუსის ჩამოყალიბებას ნამდვილ პესიმისტად და სტოიკოსად. კაპიტოლინი წერს: „მარკუსი განსხვავდებოდა სულის ისეთი უშფოთველობით, რომ მისი სახის გამომეტყველება არასოდეს არ იცვლებოდა არც მწუხარების და არც სიხარულის დროს. იგი გატაცებული იყო სტოიკური ფილოსოფიით, რომელიც მას შესწავლილი ჰქონდა საუკეთესო მასწავლებელთაგან და თვითონაც ითვისებდა მას სხვადასხვა წყაროებიდან“.

ავრელიუსი ამქვეყნიურ ცხოვრებას არარაობად მიიჩნევს, უმთავრესად მისი ხანმოკლეობისა და თვით ადამიანთა ბოროტი ხასიათის გამო. „ნუ იცხოვრებ ისე, თითქოს შენ ცხოვრების ათი ათასი წელი კიღევ გქონდეს. უკვე ახლო არის ბოლო. ვიდრე ცხოვრობ, ვიდრე გაქვს შესაძლებლობა, ეცადე, რომ უფრო უკეთესი იყო“. ავრელიუსის მიხედვით, არაფრისთვის ამ ქვეყნად თავის გამოდება არ ღირს, რადგან რასაც არ უნდა მიაღწიო, იგი ხანმოკლე იქნება. „სიკვდილმა გაათანაბრა

ალექსანდრე მაკედონელი და მისი ჯორების მწყემსი. ვინაიდან ისინი ჩაყლაპა ან მსოფლიო თესლის მაგვარმა პოტენციებმა, ანდა დაიშალნენ ატომებად".

სიკვდილი მოდის, როგორც ბრმა გარდაუვალობა, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს უკან დახევას. ჰიპოკრატეს როგორც არ უნდა ემკურნალა სხვებისთვის, მაინც საკუთარი დაღუპვა ვერ აიცილა. „ალექსანდრე, პომპეუსი, გაიუს ცეზარი, რომელთაც მთლიანად დაანგრიეს ამდენი ქალაქი და ბრძოლებში გაწყვიტეს ათეული ათასობით მხედარი და ქვეითი, ბოლოს და ბოლოს თვითონაც გამოეთხოვნენ სიცოცხლეს. ჰერაკლიტე, რომელიც ამდენს ლაპარაკობდა მსოფლიო ხანძარზე, წყალმანკით მოკვდა, დემოკრიტე პარაზიტებმა შეჭამეს".

არავისი ბედი ამქვეყნად სანატრელი არაა, ვინაიდან ამქვეყნიური ცხოვრება წუთისოფელია და ამიტომ „ბედნიერებაცა" და „უბედურებაც" ერთი საზომით უნდა გაიზომოს. დაიღუპნენ სახელმოხვეჭილი ადამიანები. მალე მათი ბედი გაიზიარეს „სციპიონებმა და კატონმა, შემდეგ ავგუსტუსმა, უფრო შემდეგ კი ჯერი მიდგა ადრიანესა და ანტონინუსზე. მალე ისინი დაემსგავსებიან მითებს, შემდეგ კი მიეცემიან სრულ დავიწყებას. და მე ამას ვამბობ იმ ადამიანებზე, რომელნიც თავის დროზე შემოსილნი იყვნენ არაჩვეულებრივი შარავანდედით. რაც შეეხება დანარჩენთ, როგორც კი ისინი განუტევებენ სულს, „მათი ხსენებაც კი აღარ არის". მაშ რაღაა მარადიული დიდება? — ჭეშმარიტი ამაოება".

ადამიანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ „ის, რაც გუშინ ჯერ კიდევ ჩანასახში იყო, ხვალ უკვე მუმია, ანდა მტვერი იქნება". არც ისე დიდი ხნის შემდეგ, „ჩვენც იქ მოგვიწევს წასვლა, სადაც ამდენი ოქროპირი ორატორები, ამდენი გამოჩენილი ფილოსოფოსები, როგორც ჰერაკლიტე, პითაგორე, სოკრატე, ამდენი ძველი გმირები, ამდენი მხედართმთავრები და ტირანები და მათთან ერთად ევდოქსი, ჰიპარქე, არქიმედი და სხვა ადამიანები წავიდნენ". ყოველივე ამის გამო, მალე მოვა ისეთი დრო, როდესაც შენ მთელ ქვეყანას დაივიწყებ და ქვეყანასაც არაფერი ემახსოვრება შენზე.

ავრელიუსი ცდილობს ამგვარი „საბუთებით" სიცოცხლეზე მაღლა დააყენოს სიკვდილი, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს ხსნა ამქვეყნიურ ამაოებაზე მტანჯველი წუხილისა და ფიქრისგან. ეს კი იმით ხერხდება, რომ „სიკვდილი საზღვარს

ულებს ჩვენი შეგრძნების უნარს". ამიტომ ურჩევს ადამიანს ავრელიუსი, „ნუ შეიზიზღებ სიკვდილს, არამედ მის მიმართ განწყობილი იყავი როგორც ბუნების ერთ-ერთი სასურველი მოვლენისადმი. დაშლა ხომ ისეთივე სახის მოვლენაა, როგორც ახალგაზრდობა. სიბერე, მოხუცებულობა... და ბუნების სხვა მოვლენა, რომელიც თან ახლავს სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდს. ამიტომ გონიერი კაცი სიკვდილს არ უნდა მოეკიდოს ჯიუტად, ზიზღით ან ყოყოჩურად, არამედ უნდა უცადოს მას, როგორც ბუნების ერთ-ერთ მოქმედებას".

სენეკას მსგავსად, ავრელიუსს გულს უტეხს ის გარემოება, რომ ადამიანი უარესი ცხოველია მხეცებში და ყველა სხვა ცოცხალ არსებათა შორის, რადგან იგი იმ იშვიათ არსებათ ეკუთვნის, რომელიც ანადგურებს თავის მსგავს სხვა არსებას.

ადამიანს, ავრელიუსის მიხედვით, ეკუთვნის მხოლოდ ხანმოკლე აწმყო და არა დაუსრულებელი წარსული და არა ასევე დაუსრულებელი მომავალი. სიკვდილი კი სწორედ ამ აწმყოს მოაქვს, რადგანაც, წერს იგი, „არავის არ ძალუძს წამართვას არც წარსული, არც მომავალი, ვინაიდან ვის შეუძლია წამართვას მე ის, რაც არა მაქვს". მაგრამ არც აწმყოს გახანგრძლივებისათვის ღირს თავის გამოდება. „განა შენ ის გწყინს, რომ ამდენსა და ამდენს იწონი და არა ასჯერ მეტს? ზუსტად ასევე, ნურც ის გეწყინება, რომ შენ განსაზღვრული წლები უნდა იცხოვრო და არა მასზე მეტი".

ამიტომ, ავრელიუსის მიხედვით, სულ ერთია ადამიანი ღრმა მოხუცებულობაში მოკვდება თუ დაბადებისთანავე, რადგანაც ორივე ისინი ბოლოს და ბოლოს კარგავენ ერთსა და იმავეს — სიცოცხლეს. აქ ავრელიუსი სენეკას მსგავსად, არ ქადაგებს — რადგან სიცოცხლე არაფერია, სიკვდილი ადამიანმა ხელოვნურად უნდა დააჩქაროსო. მისი აზრით, ჩვენ მხოლოდ არ უნდა გავუწიოთ მას წინააღმდეგობა და არ უნდა ვღებულობდეთ ზომებს მის დასაგვიანებლად.

რა უნდა ქნას ადამიანმა, თუ ის მძიმე მდგომარეობაშია, და თუ მან არც თავი უნდა მოიკლას და არც ხელოვნურად უნდა დააჩქაროს სიკვდილი? ცხადია, რომ მას რჩება ერთადერთი გამოსავალი: აიტანოს ყველა ეს უბედურება, ვიდრე მისი ატანა ძალუძს. ავრელიუსი უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს არიგებს, რომ თუ შენ შეგემთხვა ამ ქვეყნად ისეთი რამ, რაც ასატანია, აიტანე ის ბუზღუნის გარეშე. გახსოვდეს, რომ შენი ბუნება იმგვარად არის შექმნილი, რომ მას უნარი აქვს რამის ატანისა. ამიტომ შენი მოვალეობა, ან სარგებლობა იმაში

გამოიხატება, რომ მოთმინებით აიტანო ყველაფერი ის, რაც მოხდება. ამასთან ერთად, — აგრძელებს თავის დიდაქტიკას ავრელიუსი, — შენ თავს ნუ მისცემ „გადაჭარბებულ წყენას ან აღშფოთებას. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ დაივიწყე ადამიანის სიცოცხლის წარმავლობა და რომ მალე სიკვდილი უნდა მოვიდეს“.

საერთოდ, ავრელიუსის მთელი ამ წიგნის ძირითადი ლაიტმოტივი უმთავრესად იმის ქადაგებაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა სულის სიმშვიდის გულისათვის ყველაფერი უნდა აიტანოს. მას მოჰყავს ევრიპიდეს სიტყვები, ადამიანი არავითარ ნივთზე არ უნდა განრისხდეს, რადგან სულ ერთია, ისინი ამას მაინც ვერ გრძნობენო. მოჰყავს ავრეთვე ანტისთენეს სიტყვები, „კეთილი აკეთე და დეე, თუნდაც ცუდი სახელი გქონდეს — ამაში რაღაც მეფური არისო“. ტანჯვის შესახებ კი იგი წერს: „თუ ის აუტანელია, მაშინ სიკვდილი არ დააყოვნებს მალე მოუღოს მას ბოლო, მაგრამ თუ ის ხანგრძლივია, მაშინ მისი ატანა შეიძლებაო“.

სხეულის ტანჯვას ავრელიუსი ყურადღებას არ აქცევს, თითქოს იგი რაღაც ავტონომიური იყოს. სულის ტანჯვაზე წერს, რომ „სულს უნარი აქვს შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი სიცხადე და სიწყნარე და ტანჯვაში ბოროტება არ ცნოს. ხომ ყველაფერი — განსჯა და მისწრაფება, მიდრეკილება და ზიზღი ჩვენს შიგნითაა, აქ კი არავითარ ბოროტებას შეჭრა არ შეუძლია“.

ამგვარად, ავრელიუსის აზრით, ადამიანს შეუძლია მიაღწიოს სულიერ უტანჯველობას ხორციელი ტანჯვის, სოციალური უბედურებისა და ჩაგვრის დროსაც.

როგორც ვხედავთ, ამ მოძღვრების მიხედვით, გამოდის, რომ თუ ადამიანი თავისი ტანჯვით არ იქნება კმაყოფილი, ის ვერც გახდება ბედნიერი, რადგანაც ამ ბედნიერების საფუძველი — სულის უშფოთველობა მას დარღვეული აქვს.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამგვარი მოძღვრებით სტოიციზმი მიმართულია პირველ რიგში მონათმფლობელთა ინტერესების დაცვისაკენ. ვინაიდან ყველაზე მეტ ტანჯვას მონები განიცდიან, ეს ფილოსოფია კი მათ უქადაგებს, რომ თქვენთვის მონობის მძიმე პირობებშიც ბედნიერება არ არის დაკარგული; ამის პირობაა თქვენ მიერ მონობის უდრტვინველად ატანა; ამის მიღწევიდან იწყება ბედნიერებაო. ამავე დროს სტოიციზმი არის მონათმფლობელური იდეოლოგიის საერთო კრიზისის მაუწყებელი.

ავგუსტუსთა ისტორიის მწერლები

რომაული ისტორიოგრაფიის ძეგლებს შორის ძნელია სხვა ისეთი ნაწარმოების დასახელება, რომელიც დღემდე უფრო მეტ დავას იწვევდეს, ვიდრე Scriptores Historial Augustae — „ავგუსტუსთა ისტორიის მწერლები"[1].

ეს არის ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს რომის იმპერიის გარკვეული პერიოდის ისტორიის გაშუქების ცდას იმპერატორთა ბიოგრაფიების გადმოცემის გზით. ამ თვალსაზრისით, ის ახლოს დგას სვეტონიუსის ამავე ჟანრის ნაწარმოებთან, თუმცა მისგან რამდენადმე განსხვავდება: სვეტონიუსი გადმოსცემს მხოლოდ იმპერატორთა ბიოგრაფიებს, ამ ნაწარმოებში კი მოცემულია არა მარტო იმპერატორების, არამედ იმ პირთა ბიოგრაფიებიც, რომლებიც არ იყვნენ იმპერატორები და ავგუსტუსები, მაგრამ პრეტენზიას აცხადებდნენ ამ ტიტულზე. ელიუს სპარტიანუსი დიოკლეტიანესადმი მიმართვაში, აღნიშნავს, რომ ამათგან ზოგს ამა თუ იმ გზით ჰქონდა მოპოვებული ცეზარის საგვარეულო სახელი, ხოლო ზოგიერთი „თავის ნებით" ეძიებდა ამ მაღალ, ე. ი. იმპერატორის წოდებას. ამიტომაა, რომ უძველეს ნუსხებში თხზულება მოიხსენიება ასეთი სათაურით: „სხვადასხვა პრინცეპსთა და ტირანთა ცხოვრება ღვთაებრივი ადრიანედან ნუმერიანამდე, შედგენილი სხვადასხვა პირის მიერ".

„ავგუსტუსთა ისტორიის მწერლები" თხზულებას სათაურად დაუმკვიდრეს მისმა ძველმა გამომცემლებმა (XVII ს.), რადგან ერთ ბიოგრაფიაში, რომლის ავტორიც იყო ფლავიუს ვოპისკუსი, ტაციტუსი მოიხსენიება როგორც ავგუსტთა ისტორიის მწერალი. SHA ნუმერაციის მიხედვით შეიცავს 30 ბიოგრაფიას, მაგრამ ზოგიერთი ნომრის ქვეშ მოცემულია რამდენიმე პირის ცხოვრება. ბიოგრაფიები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით — დაწყებული ადრიანეთი, რომელიც ტახტზე ავიდა 117 წელს და დამთავრებული იმპერატორ კარუსითა და მისი შვილებით, რომელთაგან ერთ-ერთი, კარინი 284 წელს დაეცა დიოკლეტიანესთან ბრძოლაში. ამრიგად, თხზულება გადმოსცემს რომის ისტორიას 117—284 წლებში. ამასთან,

---

[1] ქვემოთ თხზულებას მოვიხსენიებთ ლიტერატურაში მიღებული შემოკლებით — SHA.

მასში არის ხარვეზები, ხელნაწერთა უსრულობის გამო — დაკარგულია რამდენიმე იმპერატორის ბიოგრაფია (244—253 წწ.).

ნაწარმოების ავტორებად დასახელებული არიან: ელიუს სპარტიანუსი, ვულკაციუს გალიკანუსი, ელიუს ლამპრიდიუსი, იულიუს კაპიტოლინუსი, ტრებელიუს პოლიონი და ფლავიუს ვოპისკუსი. ეს პირები არსად სხვა წყაროში არ მოიხსენიებიან და თხზულებაში მათ შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი.

მიუხედავად იმისა, რომ SHA შესწავლას 3 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს[1], დღესაც მწვავე პოლემიკის საგანია და გადაუწყვეტელი რჩება საკითხები ნაწარმოების დათარიღების, ავტორის თუ ავტორთა ვინაობის, წყაროების და სხვათა შესახებ.

ბიოგრაფიების ნაწილი მიძღვნილი იმპერატორ დიკლეტიანესადმი, ხოლო ნაწილი იმპერატორ კონსტანტინესადმი, აქედან არსებობს ვარაუდი, რომ ნაწარმოების ავტორებიც ამ იმპერატორების დროს ცხოვრობდნენ. ბევრი მეცნიერი ნაწარმოების შექმნის თარიღის დადგენისას თვით მასში მოცემულ ფაქტებს ემყარება. სინამდვილეში ეს საკითხი გაცილებით უფრო რთულია.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, თხზულება დაწერილია დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს დროს და ზოგიერთი დამთხვევა მოგვიანო ავტორებთან უნდა აიხსნას შემდგომი ინტერპოლაციებით. მეორენი, ემხრობიან იმ აზრს, რომ ნაწარმოები შექმნილია იულიანე განდგომილის დროს. ავტორთა მიზანი იყო ამ უკანასკნელის განდიდება კონსტანციუსის საპირისპიროდ, რომელიც დევნიდა წარმართებს. დაბოლოს, ზოგი იმ აზრისაა, რომ ნაწარმოებს ჰყავდა ერთი ავტორი. რომელიც ეკუთვნოდა ე. წ. „უკანასკნელ წარმართთა" წრეს, ე. ი. იმ დაჯგუფებას, რომელიც IV—V სს. მიჯნაზე შეიქმნა სენატორული არისტოკრატიის წარმომადგენელთან. ამ ავტორის განკარგულებაში ყოფილა ზოგიერთ წინამორბედ ავტორთა ნაწარმოებები. თავის ნაშრომი მან განზრახ მისცა საუკუნით ადრე დაწერილი შრომის სახე, რა-

---

[1] თხზულების შესწავლა დაიწყო XVII საუკუნეში. პირველ გამოკვლევებს (ვრუტერი, სომეზი) საფუძვლად დაედო ძეგლის ერთ-ერთი უძველესი და საუკეთესო პირი, ე. წ. პალატინის ნუსხა, რომელიც IX საუკუნეს განეკუთვნება (არსებობს სხვა პირიც, რომელსაც ბამბერგის ნუსხა ეწოდება; მას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რადგან იგი პირველის ასლს წარმოადგენს). ახალი ეტაპი ძეგლის შესწავლაში დაიწყო XIX საუკუნეში, როდესაც მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ცალკეულ საკითხებზე (დესაუ, მომზენი, კლებსი, ენმანი და სხვ.).

თა უფრო სარწმუნო გაეხადა თანამედროვეთათვის. ამ მოსაზრების თანახმად, SHA IV ს. ასახავს და გამოხატავს უმაღლესი არისტოკრატიის იდეოლოგიას რომის იმპერიის დაცემის ხანაში.

ამრიგად, ძეგლის დათარიღება რთული პრობლემაა, რომლის ირგვლივ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. აზრთა სხვადასხვაობა იმითაა გაპირობებული, რომ მკვლევრები საკითხს სწავლობენ სხვადასხვა კუთხიდან: ერთნი ემყარებიან ტექსტში მოცემულ ფაქტების ნებისმიერ ინტერპრეტაციას, მეორენი ამოსავალ წერტილად იღებენ ამ ფაქტების ქრონოლოგიას. მეთოდოლოგიურად უფრო სწორი უნდა იყოს კვლევის ის გზა, რომელიც ემყარება ნაშრომის საერთო იდეოლოგიური ტენდენციის გარკვევას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მკვლევარი ბეინზი, რომლის მიხედვით, ეს შრომა არის ანტიქრისტიანული პამფლეტი და ამიტომ შეიძლება იმის დაშვება, რომ იგი იულიანე განდგომილის მომხრეებმა დაწერეს. ე. შტაერმანის აზრით, ნაწარმოები ასახავს სენატორული არისტოკრატიის იდეოლოგიას და ამიტომ აღნიშნულ ხანას განეკუთვნება. ე. შტაერმანი, შრომაში Scriptores Historiae Augustae как исторический источник[1] საგანგებოდ იხილავს თხზულების შექმნის ქრონოლოგიური ფარგლების პრობლემას. დასახელებული ნაშრომი არის წყაროს იდეოლოგიური კონცეფციის პოზიციებიდან შესწავლის სერიოზული ცდა. თხზულების საერთო იდეოლოგიური მიმართულების გარკვევის მიზნით, ავტორს კვლევა ზედნაშენური ფაქტორების სფეროდან გადააქვს ბაზისურში და ნაწარმოების შექმნას ვარაუდობს იმ დროს, როდესაც რომის მონათმფლობელურ საზოგადოებაში საერთო კრიზისი მომწიფდა. ამრიგად, იგი ამოსავალ წერტილად იღებს რომის საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ღრმა ანალიზს; იგი აღნიშნავს, რომ II საუკუნის ბოლოდან წარმოების მონათმფლობელური სისტემის კრიზისი მოედო იმპერიის ყველა ნაწილს და განსაკუთრებით საგრძნობი გახდა იქ, სადაც მონობამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია; ამ პროცესს ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა—ერთი მხრივ, მონობაზე დამყარებული მეურნეობის საერთო დაქვეითება და, მეორე მხრივ, პროვინციული სამიწათმფლობელო არისტოკრატიის ზრდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მწარმოებელთა ახალი ტიპის — კოლონების შრომის გამოყენება. ეკონომიკური ცხოვრების

---

1. Вестник древней истории, 1957, № 1.

სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებამ ქალაქიდან სოფელში, პირველს დაუკარგა სოციალური და პოლიტიკური უჯრედის მნიშვნელობა. ქალაქი იყო მონათმფლობელთა კლასის ბუნებრივი ასოციაცია, რომელიც თავის შიგნით უზრუნველყოფდა „სოციალური ზავის" მოჩვენებითობას; თავის მხარეზე წარმოების პროცესიდან გამოდევნილი ღარიბობის გადმობირება და მონების ექსპლოატაციაში მინიმალური თანამონაწილედ ვადაქცევა, რამდენადმე მაინც აზღვევდა მიწათმფლობელთა კლასს ღარიბებისა და მონების ურთიერთშეკავშირების პროცესისაგან. ახალ ვითარებაში, სადაც დამკვიდრდა ახალი მწარმოებელი ძალა კოლონების სახით, ქალაქი ვეღარ ასრულებდა იმავე როლს — აქ, პროვინციებში კოლონთა წინააღმდეგობის დათრგუნვის ყველაზე ქმედითი საშუალება ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო.

უშუალო მწარმოებელთა განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებამ საქალაქო ვილებსა და სოფლის სალტუსებში გამოიწვია გაბატონებული კლასის მკვეთრი გამიჯვნა ორ ჯგუფად — ერთი გამოხატავდა მუნიციპალური ანუ საქალაქო არისტოკრატიის ინტერესებს, ხოლო მეორე — პროვინციულის. სწორედ ეს უკანასკნელი იყო რომის გაბატონებული კლასის ის ფენა, რომელიც III საუკუნეში ელფერს აძლევდა სენატორულ ოპოზიციას. ეს ოპოზიცია, განსხვავებით I საუკუნის სენატორული ოპოზიციისაგან, რომელიც გამოხატავდა რესპუბლიკელთა იდეალებს, იცავდა პროვინციული მაგნატების მატერიალურ და კლასობრივ ინტერესებს, კერძოდ, იგი მოითხოვდა, რათა პროვინციულ არისტოკრატიას მიეღო უდიდესი ნაწილი პროდუქტისა, რომელსაც აწარმოებდა სოფლის ექსპლოატირებული მოსახლეობა (კოლონები) და ამავე დროს გარანტირებული ყოფილიყო ამ მოსახლეობის მიმართ აბსოლუტური ბატონობა. ამითაა გამოწვეული, შტაერმანის აზრით, ის რომ SHA ასახავს პროვინციული არისტოკრატიის ადრეულ დომინატთან შერიგების ტენდენციას. საზოგადოების ამ ფენამ III საუკუნეში აღიარა ძლიერი მონარქიის აუცილებლობა, აუცილებლობა იმ ძალისა, რომელსაც შეეძლო გამკლავებოდა ღარიბთა მასიურ აჯანყებებს. აქედან გამომდინარეობს ნაწარმოების ფორმა-მიმართვა იმპერატორ დიოკლეტიანესა და კონსტანტინესადმი, და „კარგი" და „ცუდი" იმპერატორების მკვეთრი დაპირისპირება. ამრიგად, შტაერმანი მას მიიჩნევს III საუკუნის ნაწარმოებად, რომელიც გამოხატავდა პროვინციული არისტოკრატიის იდეოლოგიას. იგი ასა-

ხავდა რომის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც, წარმოების მონათმფლობელური წესის კრიზისის განვითარებისა და ფეოდალური ექსპლოატაციის საწყისი ფორმების გაჩენასთან ერთად, ხდება გაბატონებული კლასის გათიშვა ორ ჯგუფად — ბრძოლამ მათ შორის მრავალმხრივ განაპირობა რომის იმპერიის შემდგომი ისტორია.

დღემდე სადავოა SHA წყაროების საკითხი. ის გარემოება, რომ ბევრ შემთხვევაში იგი შეიცავს სანდო და საიმედო მონაცემებს, რომლებსაც ფართოდ ემყარებიან ისტორიკოსები, მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ნაწარმოების ავტორების განკარგულებაში იყო სარწმუნო ისტორიული წყარო. ენმანი მას პირობითად უწოდებს „საიმპერატორო ქრონიკას", რომელიც შესაძლებელია, ჰგავდა სვეტონიუსის ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებს და ასახავდა სენატორული არისტოკრატიის ინტერესებს. ზოგიერთის აზრით (კორნემანი, შულცი), უთუოდ არსებობდა რომის „უკანასკნელი დიდი ისტორიკოსი", რომელსაც ალექსანდრე სეველრუსის დროს შეუქმნია ბიოგრაფიების სახით დაწერილი ისტორიული თხზულება.

სადავოა აგრეთვე საკითხი SHA ავტორის, თუ ავტორების არსებობის თაობაზე. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბიოგრაფიები დაიწერა გარკვეულ პერიოდში სხვადასხვა პირის მიერ. სობოლევსკის ვარაუდით, 284—224 წლებში და მოგვიანებით, უცნობმა რედაქტორმა გააკეთა მთლიანი კორპუსი — ალბათ არა უგვიანეს 330 წლისა. გაურკვეველია პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა თხზულების ეს უცნობი რედაქტორი. სობოლევსკის აზრით, მისი სახელი იმიტომ დარჩა უცნობი, რომ ნაწარმოებმა მთლიანი სახით ვერ მოაღწია ჩვენამდე, ის ვარაუდობს, რომ SHA იმდენად ახლოს დგას სვეტონიუსის თხზულებასთან, რომ შესაძლებელია მის გაგრძელებას წარმოადგენდა. და თუ ეს ასეა, მაშინ იგი უნდა დაწყებულიყო არა ადრიანეს, არამედ ნერვას ცხოვრების აღწერით. ამიტომ დასაშვებია ვარაუდი, რომ დაკარგულია ნაწარმოების დასაწყისი, რომელიც უთუოდ იწყებოდა შესავლით, სადაც მოხსენიებული იყო ნაწარმოების რედაქტორის სახელი და ვინაობა.

SHA გათვალისწინებული იყო ფართო მკითხველისათვის, რომელსაც აინტერესებდა არა იმდენად პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები, რამდენადაც საიმპერატორო კარისა და იმპერატორთა პირადი ცხოვრების წვრილმანი მხარეები. მიუხედავად ზოგიერთი ავტორის მტკიცებისა, რომ განზრახული აქვს გადმოსცეს „მხოლოდ ჭეშმა-

რიტება", ისინი ნაწარმოებს წერდნენ გასართობად. მკითხველთა საამებლად სხვადასხვა წყაროდან უკრიტიკოდ იყენებდნენ ანეკდოტურ ამბებს, წერილებს, ლექსებს და სხვა მასალას, რომელიც ჩრდილავდა ისტორიული სინამდვილის ამსახველ ფაქტებს. ავტორები არ ფარავენ, რომ უსწოროდ გადმოსცემენ ისტორიულ სინამდვილეს. უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ თავის მართლებას და ასახელებენ რომაული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, სალუსტიუსს, ტაციტუსს და სხვ. რომლებიც, მათი აზრით, ასევე იქცეოდნენ. ამ მხრივ, საინტერესოა ადგილი თხზულებიდან, სადაც ერთ-ერთ ავტორთაგანს, ფლავიუს ვოპისკუსს რომის პრეფექტი იუნიუს ტიბერიანი ასეთი სიტყვებით მიმართავს: წერე რაც გსურს, რადგან შენი თანამზრახველნი იქნებიან ისინი, ვისაც ჩვენ აღტაცებით ვუყურებთ, როგორც ისტორიული მჯევრმეტყველების უბადლო ოსტატებსო.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება, რომ SHA არის არასაიმედო ისტორიული თხზულება, არ არის ახალი. ჯერ კიდევ ტილემონი (XVII ს.) უწოდებდა მას ცივსა და უსიცოცხლო ცხედარს, ხოლო გიბონი (XVIII ს.) მის ავტორებს — სასახლის ჭორების შემგროვებლებს. ნაშრომის ამ უარყოფით შეფასებას რეალური საფუძველი აქვს. ამავე დროს, მის ისტორიოგრაფიულ ღირებულებაზე მსჯელობის დროს არ შეიძლება იმ მნიშვნელოვანი ფაქტის უგულებელყოფა, რომ ბევრ შემთხვევაში, გარკვეული ეპოქისა თუ ისტორიული ფაქტისათვის იგი ერთადერთია და ამიტომ შეუცვლელი წყაროა, რასაც, სხვათა შორის, აღიარებენ მისი უარყოფითად შემფასებლებიც. სობოლევსკი წერს: „როგორც არ უნდა იყოს, თუ მკაცრი ისტორიის თვალსაზრისით „ექვსი მწერალი" არ იმსახურებს დიდ ნდობას, მათი ნაწარმოებები ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ისინი შეიცავენ ცნობებს, რომლებსაც ჩვენ ვერსად ვერ ვხვდებით ლიტერატურაში". არ არის გამორიცხული, რომ ამ თვალსაზრისით, SHA ავტორებს გარკვეული გეგმა უნდა ჰქონოდათ; ამის სარწმუნო საბუთია ერთი ადგილი თხზულებიდან, სადაც ხაზგასმულია ერთ-ერთი ავტორის, ტრობულიუს პოლიონის ცდა გააშუქოს იმ პირთა ცხოვრება, რომელთა შესახებ სხვა წყაროები არაფერს ამბობენ; შესავალში იგი პირდაპირ ამბობს, რომ სურს შეავსოს ხარვეზი ისტორიულ წყაროებში.

მნიშვნელოვან საკითხთა შორის, რომლებსაც აშუქებენ ნაწარმოების ავტორები, საყურადღებოა მონების მდგომარეობა. განსაკუთრე-

ბით საინტერესოა ადრიანეს მმართველობის პერიოდი. იმის გარდა, რომ ადრიანემ აკრძალა მონის განუკითხავად მოკვლა, მანვე გამოსცა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას ავგუსტუსის მიერ აღდგენილ კანონში მონის ხელით მოკლული ბატონის ყველა მონის დასჯის შესახებ: ადრიანემ დააწესა გამოძიება მხოლოდ იმ მონებზე, რომლებიც მკვლელობის მომენტში სახლში იმყოფებოდნენ და შეეძლოთ მომხდარი ამბის შეტყობა. ცნობა ადრიანეს კანონზე დიდი მნიშვნელობის მონაცემია, რომელიც ამ საკითხის სხვადასხვა ასპექტში შესწავლის პერსპექტივას იძლევა. შესაძლებელია, ეს კანონი განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც იმპერიის დროს მონების მდგომარეობის შერბილებას ითვალისწინებდა.

საკუთრებით კანონზომიერია, რომ ახლადაღმოცენებული საიმპერატორო ხელისუფლება, ფხიზლად დადგა რა გაბატონებული კლასის კლასობრივი ინტერესების სადარაჯოზე, აქტიურად ჩაერია ურთიერთობაში მონებსა და მონათმფლობელებს შორის. ამის რეალური გამოხატულება იყო მონებზე კერძო ანგარიშსწორების შეცვლა სახელმწიფოებრივი და საკანონმდებლო ზომებით, რომლის ერთ-ერთი მაგალითი იყო ავგუსტუსის ზემოთ დასახელებული კანონი (ახ. წ. 10 წ.), მოკლული ბატონის ყველა მონის სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელიც მთელი სისასტიკით მოქმედებდა იმპერიის დროს. ისტორიულ წყაროებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, თუ რამდენად ძნელი იყო ამ ბარბაროსული კანონის პრაქტიკულად განხორციელება: მრავალი უდანაშაულო ადამიანის დასჯა ხალხის აღშფოთებას იწვევდა და არწმუნებდა რომის მესვეურთ ამის საშიშროებაში. ცნობილია, რომ ახ. წ. 61 წელს, აღნიშნული კანონის ძალით, სიკვდილით დასაჯეს რომის პრეფექტის, პედანიუს სეკუნდუსის 400 მონა. ტაციტუსი გადმოგვცემს მონების დასჯის შემაძრწუნებელ სურათს, როდესაც მთელი ხალხი დასჯილთა მხარეზე გამოვიდა. ტაციტუსის ცნობით, მხოლოდ საგანგებო ზომების მიღების შემდეგ შეძლო იმპერატორმა ნერონმა სასჯელის სისრულეში მოყვანა. თანდათანობით მომწიფდა ამ კანონის შერბილების აუცილებლობა. ამიტომ ადრიანეს დასახელებული კანონი, გამოხატავდა რა ცდას, რათა ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა მონათმფლობელურ ურთიერთობაში აგებული ყოფილიყო უფრო სამართლიან პრინციპზე, ემსახურებოდა ძირითად ამოცანას — დაეცვა მონათმფლობელთა კლასობრივი ინტერესები და, ამავე დროს, დაეზღვია იგი ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

SHA ყურადღება ეთმობა სხვა სოციალურ პრობლემებსაც, მაგალითად, მონათა განთავისუფლებას და ყოფილი მონის მდგომარეობას. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ამ პერიოდში რომის სახელმწიფოს მესვეურები ცდილობდნენ ყოფილი მონების ფენის შეზღუდვას. იმპერატორი ადრიანე იახლოვებდა მათ წრიდან ზოგიერთს, განსაკუთრებით ნასწავლებს და ზოგჯერ მნიშვნელოვან დავალებებსაც აძლევდა, მაგრამ ცდილობდა, რათა ისინი ჩრდილში ყოფილიყვნენ და არ მოეხდინათ გავლენა მასზე. ადრიანეს ბიოგრაფი ელიუს სპარტიანუსი ხაზს უსვამს, რომ ის უსაყვედურებდა წინა ხანის იმპერატორებს საზოგადოების ამ ფენის განდიდებას და თავისი ლიბერტინებიდან სასტიკად სჯიდა, ვინც იკვეხნიდა გავლენას იმპერატორის პიროვნებაზე. ანალოგიურ პოლიტიკას ახორციელებდა ანტონინუს პიუსიც. საინტერესოა აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ იმპერატორმა ტაციტუსმა (275—276 წწ.) თავისუფლება მისცა ქალაქის მონებს, მაგრამ ამასთან ერთად, მათი რაოდენობა არ უნდა გადამეტებოდა 100-ს; გადმოცემის თანახმად, მას არ სურდა კანინიუსის კანონის დარღვევაო. ეს ცნობა ძალზე საყურადღებოა. ცნობილია, რომ შემდეგ გათავისუფლებულთა რაოდენობამ იმდენად იმატა იმპერიის დასაწყისში, რომ იმპერატორმა ავგუსტუსმა საგანგებო, ე. წ. კანინიუსის კანონით, შეზღუდა იგი ძვ. წ. 26 წელს. კანონი ითვალისწინებდა მონების განთავისუფლების ყველაზე გავრცელებული ფორმის, ე. წ. საანდერძო განთავისუფლების შეზღუდვას. ადგენდა რა განთავისუფლებული მონების რაოდენობის მაქსიმუმს ყოველ კერძო შემთხვევაში (განთავისუფლებული მონების რაოდენობა შეფარდებული იყო მფლობელობაში მყოფი მონების რიცხვთან), კანონი ადგენდა, რომ არ შეიძლებოდა, 100-ზე მეტი მონისათვის თავისუფლების მიცემა. ეს კანონი ერთ-ერთი ღონისძიებათაგანი იყო, რომლითაც იმპერატორი ავგუსტუსი ახორციელებდა მონათა განთავისუფლების შეზღუდვის პოლიტიკას.

ზემომოყვანილი ცნობის საფუძველზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კანინიუსის კანონი სრული ძალით მოქმედებდა III საუკუნის 80-იან წლებშიც, რაც თავისთავად მეტყველებს, როგორც განთავისუფლებათა სიხშირეზე, ისე განთავისუფლების რეგლამენტაციის პოლიტიკის აქტუალობაზე ამ დროს. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თავის სოციალურ პოლიტიკაში გვიანდელი პრინციპატის იმპერატორები იმპერატორ ავგუსტუსის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდნენ.

.. დაბოლოს, SHA როგორც ისტორიული წყაროს შეფასებისას, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თხზულება შეიცავს მრავალ მონაცემს, რომლებიც გვიხატავენ იმ დროის ყოფისა და ჩვეულებების სურათს.

ამიანე მარცელინე

რომაული და საერთოდ ანტიკური ისტორიოგრაფიის დიდი მოღვაწის ამიანე მარცელინეს შესახებ პირდაპირი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება და მისი ცხოვრების აღწერა შესაძლებელი ხდება მისივე თხზულებებიდან. იგი დაბადებულა დაახლოებით 330 წელს ქალაქ ანტიოქიაში წარჩინებული ბერძნის ოჯახში. მაშინდელი ანტიოქია კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების თვალსაჩინო ცენტრს წარმოადგენდა აზიაში. ამ ქალაქიდან არიან სხვათა შორის, IV საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი და რიტორი ლიბანიოსი, აგრეთვე იოანე ოქროპირი. ამიანეს კარგი განათლება მიუღია. იგი ახალგაზრდა შესულა სამხედრო სამსახურში და როგორც წარჩინებულის შვილი, მიუღიათ საიმპერატორო გვარდიაში; რამდენიმე წელი მსახურობდა აღმოსავლეთის ჯარის მთავარსარდალ ურციციუსის არმიაში და მასთან ერთად მოიარა რამდენიმე ქვეყანა, იღებდა მონაწილეობას სპარსელებთან ომში. 353—363 წლებში ამიანე მარცელინე ხან ნიზიბინში, ხან ანტიოქიაში, ხან გალიაში. 363 წელს იგი იმპერატორ იულიანეს ახლდა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში და დაესწრო მის სიკვდილს. 363—378 წლები ამიანეს მშობლიურ ანტიოქიაში უნდა ჰქონდეს გატარებული. ამავე წლებში მას უმოგზაურნია ეგვიპტესა და საბერძნეთში.

378 წლის შემდეგ ამიანე რომს გამგზავრებულა. 383 წლიდან იგი საბოლოოდ რომში დამკვიდრებული ჩანს. აქ მას უმაღლეს წრეებში საკმაო გავლენა მოუპოვებია.

ამიანეს გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით დადგენილია, რომ მას თავისი ნაშრომი 392—393 წლების ზამთარში დაუმთავრებია. მაშასადამე, ამ დროს იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

. ამისდა მიხედვით, მის გარდაცვალებას ვარაუდობენ დაახლოებით 400 წლისთვის.

ამიანე მარცელინე ცხოვრობდა მაშინ, როცა საბოლოოდ წყდებოდა ქალაქ რომის დაქვეითებისა და იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის მიერ დასავლეთის ნაწილზე უპირატესობის მოპოვების საკითხი. მართალია, ეს პრობლემა მწვავედ დადგა 395 წლიდან, როდესაც, თეოდოსის სიკვდილის შემდგომ, იმპერია უკვე ფაქტობრივად ორად გაიყო, მაგრამ ეს მოვლენა — იმპერიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების დაპირისპირება-მეტოქეობა, უკვე კარგა ხნის სინამდვილეს წარმოადგენდა და საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა. კონსტანტინეპოლის აღმოცენებით რომმა დაკარგა პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა. რომაული საზოგადოება მტკივნეულად განიცდიდა იმპერიის ერთიანობის დარღვევის საფრთხეს და ცდილობდა სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას რომის მეთაურობით. ამის შესაბამისად, ამიანეც აქებს რომის წარსულს. რომი არის მარადიული ქალაქი. აქედან დასკვნა, რომ რომმა პირველობა მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს.

ამიანე ხედავს რომის დაცემას და ამას ხსნის ზოგი ადამიანის ზნედაცემულობითა და რომაულ საზოგადოებაში გაბატონებული ფუფუნებით. ი. კულაკოვსკის თქმით: „ეს იყო მძიმე და უხეში დრო ძველი განათლებულობის დაცემისა, ზნე-ჩვეულებათა გამძვინვარებისა — დრო რომის მსოფლიო იმპერიის შენარჩუნებისათვის განუწყვეტელი ბრძოლისა". ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე გამძაფრებული ბრძოლა წარმართულ რელიგიასა და ქრისტიანობას შორის. ამიანე მარცელინე წარმართად დარჩა, მაგრამ რელიგიის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას იჩენდა. იგი კიდეც კიცხავს იმპერატორ იულიანე განდგომილს ქრისტიანების წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებისათვის, იმისდა მიუხედავად, რომ სხვა ყველაფერში მას მხარს უჭერდა და აქებდა.

ამიანე მარცელინე, თუმცა ბერძენი იყო, თავის თხზულება დაწერა, ლათინურ ენაზე. ჩანს ამ გარემობამ განაპირობა მისი შრომის სიმძიმე, ზოგჯერ ბუნდოვანი სტილი. იგი აზროვნებს ბერძნულად და მისი სტილის ბუნდოვანება აიხსნება ტიპური ბერძნული გამოთქმებისა და კონსტრუქციების ლათინურად უხეირო თარგმანით. ამიანეს რიტორიკულ სკოლაში შეთვისებული ჰქონდა მაღალფარდოვანი, თავისთავად ბუნდოვანი სტილი, რაც გართულებულია მის შრომაში სიტყვების ხელოვნური განლაგებით, ფრაზის რიტმული აღნაგობა რომ ჰქონდა მიზნად.

ამიანე თავს უყრის დამოუკიდებელ წინადადებათა შეკუმშულ კონსტრუქციებს მშობლიური ბერძნული ენის გავლენით, რაც ლათინურ ენაში ხშირად ბუნდოვანებას იწვევდა.

ასეთი სტილი დიდი ხნის განმავლობაში ნაკლებად იზიდავდა მკითხველს და მკვლევარსაც. ამის შედეგად, ამიანეს შრომა კარგა ხანს სათანადო ყურადღების გარეშე რჩებოდა.

ამიანე მარცელინეს, როგორც ეს მისი თხზულებიდან ჩანს, გულდასმით უმუშავნია მასალების შეგროვებაზე. მას გამოყენებული აქვს თითქმის ყველა რომაელი მწერალ-ისტორიკოსი. შავიზღვისპირეთის ქვეყნების შესახებ მას გამოუყენებია ისეთი შესანიშნავი წყაროები, როგორიცაა პომპონიუს მელას და პლინიუს უფროსის თხზულებანი, უსარგებლია აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტებითაც. წაკითხულთან ერთად, ამიანე იყენებს თვალით ნახულსაც. მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროს აღწერის დროს, იგი ამბობს; „რაკი ამ მხარეს მივადექით, დროა მკაფიოდ და სარწმუნოდ აღვწეროთ, რაც კი რამ ნახული ან წაკითხული მაქვს თრაკიის შორეული კუთხეებისა და პონტოს მდებარეობის შესახებ“.

ამიანე მარცელინეს უხვი ისტორიული მასალა აქვს გამოყენებულ-დამუშავებული. ამ მასალიდან ზოგი დაკარგულია და ნაწილობრივ ამითაც ემატება მის ცნობებს ღირებულება. იგი ბევრ საინტერესო გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ექსკურსს უძღვნის ამა თუ იმ მხარეს, კერძოდ, შავიზღვისპირეთს, უმთავრესად ძველ მწერალთა თხზულებებზე დაყრდნობით, მაგრამ ზოგჯერ ახალი მასალის შემატებითაც.

ამიანე ცდილობდა პირუთვნელი ყოფილიყო. ამასთანავე, იგი კარგად იცნობდა რომის სახელმწიფო ცხოვრების იმ მხარეებს, რაზედაც მოგვითხრობს.

ამიანე მარცელინემ დაგვიტოვა ისტორიული ნაშრომი, სახელწოდებით „Res gestae“, რასაც ჩვეულებრივ, თარგმნიან როგორც „ისტორიას“. შრომა შეიცავს რომის ისტორიას, მოკიდებული ნერვადან, ვალენტის გარდაცვალებამდე (96—378 წწ.).

თვით ამიანე თავის შრომის დასასრულს გვამცნობს: „აი, მე, ყოფილმა ჯარისკაცმა და შთამომავლობით ბერძენმა, შევძელი ამის მოთხრობა შეძლებისდაგვარად, დავიწყე კეისარ ნერვას მმართველობით და მოვიტანე თხრობა ვალენტის დაღუპვამდე“. მარცელინე იწყებს თხრობას იქიდან, სადაც წყდება ტაციტუსის „ისტორია“. თხრო-

ბის მანერასა და მასალის განაწილებაშიც იგი ტაციტუსს ჰბაძავს, მაგრამ თვითონ დამოუკიდებელი და სერიოზული ისტორიკოსია.

ამიანე ცხოვრობდა იმ დროს, როცა რომი სულს ღაფავდა ბარბაროსებთან ბრძოლაში და, როგორც ამ ბრძოლების უშუალო მონაწილემ, თავის თხზულებაში გადმოსცა დაწვრილებითი და ზუსტი სურათი რომის სახელმწიფოს ცხოვრებისა, დაუთმო რა მთავარი ყურადღება საგარეო მოვლენებს, აგრეთვე იმპერატორებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა საქმიანობას.

ამიანე მარცელინეს შრომა დაწერილი ყოფილა 31 წიგნად, ამათგან დაკარგულია პირველი 13 წიგნი. ჩვენამდე მოაღწია XIV—XXXI წიგნებმა, რომლებშიც მოთხრობილია 353—378 წლების ამბები. შრომაში ხშირად არის ლაპარაკი ავტორის დროინდელ ამბებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი თავის თხზულებას დიდი ხნის განმავლობაში წერდა და იგი IV საუკუნის დამლევს უნდა იყოს დამთავრებული. იგი ძირითადად თანამედროვე ამბებს გადმოგვცემს და ის გარემოება, რომ ამიანე მოთხრობილი ამბების უმეტესობის მომსწრე და თვითმხილველია, მის მონათხრობს ნაკლებად ობიექტურს ხდის, რადგან პირადი განწყობილება ვერ იქნებოდა მთლიანად დაძლეული ფაქტების შერჩევა-გადმოცემაში. აკი თვითონვე აღიარებს, რომ უმთავრესად იმ ამბებს აღწერს, რომელთაც, მისი აზრით, განსაკუთრებული ნიშვნელობა აქვთ. მაგრამ სხვა მხრივ იგივე მოვლენა ანიჭებს ამიანეს შრომას ღირებულებას, რის შედეგადაც მისი თხზულება გვიანდელი იმპერიის ისტორიკოსისათვის ფრიად ძვირფას წყაროს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ გარემოებას, უნდა ითქვას, არ დაუმჩნევია დიდი კვალი ამიანე მარცელინეს შრომისათვის. იგი ისეთი სისრულითა და მკაფიობით ასახავს მაშინდელ ამბებს, რომ არა თუ რომაულ ისტორიოგრაფიაში, არამედ საერთოდ ანტიკურ ისტორიოგრაფიაშიც ბევრს არ მოეპოვება მისი ბადალი.

ამიანე ჰკიცხავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ისტორიაში მხოლოდ გასართობ ამბავთა გროვას ხედავენ. ისტორიკოსის ძირითადი მიზანია ჭეშმარიტება: „ისტორიკოსი, რომელიც შეგნებულად ჩქმალავს მოვლენებს, იმაზე არანაკლებ სიყალბეს ჩადის ვინც თხზავს იმას, რაც სინამდვილეში არ ყოფილა“, — ამბობს იგი. თავის შრომის ბოლოში კი დასძენს: „მე ჩემს შრომაში პირობა დავდე, რომ გადმომეცა

ჭეშმარიტება და მგონია, რომ ამ პირობისათვის შეგნებულად არსად მიღალატნია წაყრუებითა თუ სიყალბის მოთხრობით".

ამიანე მარცელინეს, საერთოდ, ობიექტურ მწერლად თვლიან და ამ მხრივ, ტაციტუსზე მაღლა აყენებენ. თითქმის ყველა მკვლევრის აღიარებით, „იგი დიდ პირუთვნელობას და მოსაწონ პირდაპირობას იჩენს".

ამიანეს მოეპოვება ისტორიულ პირთა მკვეთრი, ნათელი დახასიათება. იგი დიდ ყურადღებას უთმობს სასახლის გადატრიალებებსა და სხვა ამბებს, რასაც ის, როგორც კართან ახლოს მდგომი, კარგად იცნობდა. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ აქვს მოთხრობილი მოსახლეობის ფართო ფენებზე. აქ, სისტემატური ცნობების გადმოცემის მაგიერ, იგი კმაყოფილდება მხოლოდ ცალკეული შენიშვნებით.

სხვა ისტორიკოსებთან შედარებით, ამიანე გაცილებით ფართო ისტორიული თვალთახედვითა და ყურადღებით ეპყრობა პროვინციების ცხოვრებას... მას მაღალი წარმოდგენა აქვს როგორც პიროვნების საზოგადოებრივი როლის, ისე ისტორიის მიზნების შესახებ და დიდი გულმოდგინებითაც ცდილობს ამ კეთილი ზრახვების განხორციელებას თავის შესანიშნავ თხზულებაში.

მართალია, ამიანე არ იყო თავისუფალი იმ ნაკლთაგან, რაც მისი დროის საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, მას სწამდა ბედისწერა, მკითხაობა და სხვა, მაგრამ, როგორც მაშკინი ამბობს: „ცრუმორწმუნეობა, თვალთახედვის სივიწროვე, რიტორიკა ხელს არ უშლის ამიანეს იყოს დიდი ისტორიკოსი".

ამიანე მარცელინეს თავის თხზულებაში დაცული აქვს საქართველოს შესახებ როგორც ისტორიული, ისე გეოგრაფიული ხასიათის არაერთი ძვირფასი ცნობა. ეს ცნობები ამდიდრებს საქართველოს ისტორიის წყაროებს, ზოგჯერ აზუსტებს ცნობილ ამბებს, ზოგ შემთხვევაში კი გადმოგვცემს ახალ მასალას[1].

ევტროპიუსი

ცნობები IV საუკუნის რომაელი ისტორიკოსის ევტროპიუსის შესახებ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. მისი დაბადებისა და გარდაცვალების წელი და ადგილი უცნობია. სამაგიეროდ, თავის თხზულე-

---

[1] გეორგიკა, ტ. I, 1961.

ბაში მრავალი საგულისხმო ფაქტი აქვს დაცული პირადი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო. ევტროპიუსს მონაწილეობა მიუღია რომის იმპერატორის იულიანე განდგომილის (აპოსტატის) მიერ 363 წელს სპარსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, რომლის შესახებ თვითონვე გვაუწყებს. იმპერატორების ვალენტინიანესა (364—375 წწ.) და ვალენტის (364—378 წწ.) დროს ევტროპიუსს საკმაოდ მაღალი მდგომარეობისათვის მიუღწევია. იგი ასრულებდა იმპერატორ ვალენტის პირადი მდივნის თანამდებობას. ვალენტის ბრძანებით, დაახლოებით 367 წელს, ევტროპიუსმა დაწერა ისტორიული ხასიათის თხზულება „რომის მოკლე ისტორია" 10 წიგნად. შრომა მიძღვნილია იმპერატორისადმი.

ნაშრომში მოკლედაა გადმოცემული (75 გვერდზე) რომის მთელი ისტორია რომულუსის დაბადებიდან იმპერატორ იოვიანეს გარდაცვალებამდე (364 წლის 16 თებერვალი). შრომის დამკვეთი იმპერატორის ვალენტისა და მისი ძმის იმპერატორ ვალენტინიანეს მოღვაწეობაზე ევტროპიუსის „რომის მოკლე ისტორიაში" არაფერია ნათქვამი. თუ რატომ არ აღწერს მათ ეპოქას, თვითონვე განმარტავს. მისი სიტყვებით, ამ დროის მოვლენების გამოტოვებას კი არ ცდილობს, არამედ თავს ვერ გრძნობს სათანადოდ მომზადებულად, ვინაიდან მათ შესახებ წერისას უფრო მაღალი სტილია საჭირო (X, XVIII). სინამდვილეში, ეტყობა, იმპერატორთა სამსახურში მყოფ ავტორს აფიქრებდა ცოცხალ იმპერატორებზე მცირეოდენი შეცდომისათვის რისხვა არ დაემსახურებინა. თავის მფარველებს მაინც ასიამოვნა და ნაშრომის ბოლოს აღნიშნა, რომ არ შეუძლია მათ შესახებ წერა ისე, როგორც სხვებზე წერს. ამით ევტროპიუსმა მოიხადა ვალი იმპერატორთა წინაშე და პასუხისმგებლობა მოხერხებულად აიცდინა.

IV საუკუნის რომაული საისტორიო მწერლობისათვის დამახასიათებელი იყო რომის ისტორიის გადმოცემა შემოკლებული სახით. მათ შორის გამოირჩეოდა და თანამედროვეთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ევტროპიუსის თხზულება.

ევტროპიუსის შრომა კომპილაციას წარმოადგენს. მისთვის, როგორც იმპერატორის პირადი მდივნისათვის, ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველა საიდუმლო დოკუმენტი და არქივი, იყენებს მრავალი ავტორის ნაშრომს. მიუთითებენ, რომ რესპუბლიკის პერიოდის შესახებ მის ძთავარ წყაროს წარმოადგენდა ტიტუს ლივიუსი; ცეზარისა და ავგუსტუსის ეპოქაზე — სვეტონიუსი.

ევტროპიუსის თხრობის სტილი მარტივია. მისთვის უცხოა ყოველგვარი რიტორიკული მრავალსიტყვაობა. ენა ახლოსაა კლასიკური პერიოდის ენასთან, თუმცა უხვადაა წარმოდგენილი ამ ეპოქის ლათინურისათვის დამახასიათებელი ცვლილებებიც. როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, სანიმუშოა და გამოირჩევა მხატვრული ღირსებებით ეპოქის საისტორიო თხზულებებს შორის.

ევტროპიუსის ნაშრომის უპირველეს მიზანს რომის საგარეო მოვლენების გადმოცემა წარმოადგენს. მოკლედ, კონსპექტის სახით აღწერილია ის ომები, რასაც რომი უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნის 60-იან წლებამდე აწარმოებდა. აქედან რესპუბლიკის პერიოდის დახასიათება მოკლე და ლაკონიურია, ხოლო იმპერიისა — უფრო ვრცელი. რამდენადაც IV საუკუნესთან ახლოვდება ამბები, მათი აღწერაც უფრო მრავალმხრივი და ნათელი ხდება.

ისტორიული მოვლენების გარკვეული ნაწილი, ევტროპიუსის ცნობებით, უფრო ზუსტდება, თუმცა ეს ცნობები, სხვა წყაროებისაგან დამოუკიდებლად, ვრცელი თხრობის საშუალებას არ იძლევა.

ევტროპიუსის მწერლობის სტილის ნიმუშად მოვიყვანთ მის ცნობებს საქართველოს შესახებ. ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში პომპეუსის ლაშქრობა მას რამდენიმე წინადადებით აქვს გადმოცემული. მაგრამ ამ მცირე ფრაგმენტითაც მრავალი ფაქტის დაზუსტება ხერხდება და ამაგრებს სხვა ავტორთა ჩვენებას. ძველი საქართველოს იმდროინდელ ამბებთან დაკავშირებით, ევტროპიუსის მიხედვით, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ იბერიის მეფე არტაგი დამარცხების შემდეგ რომაელებს შეურიგდა, ხოლო კოლხეთის მეფობა პომპეუსმა არისტარქეს უბოძა. ამ ფაქტს სხვა ავტორებიც მსგავსადვე გადმოგვცემენ, ოღონდ უფრო ვრცლად. ევტროპიუსის შრომა ამ შემთხვევაში გვეხმარება, როგორც კარგად შედგენილი ცნობარი.

სხვა ადგილას ევტროპიუსს გადმოცემული აქვს პართიისა და რომის ბრძოლის ერთი მონაკვეთი, რომელიც მოხდა 114—115 წლებში იმპერატორ ტრაიანეს დროს. ბრძოლა დამთავრდა რომის გამარჯვებით. ევტროპიუსის თანახმად, პართიასთან დადებული ხელშეკრულებით ამიერკავკასია, ალბანეთის გამოკლებით, რომის ძალაუფლების ქვეშ მოექცა, მათ შორის, რა თქმა უნდა, იბერია და კოლხეთიც (VIII, III). სხვა წყაროც ზუსტად მსგავს ცნობას გვაწვდის (ფესტუსი, XX).

ასე მოკლედ ეხება ევტროპიუსი აზიის, ევროპისა და აფრიკის ხალხების ისტორიასაც.

ევტროპიუსის „რომის ისტორია" წარმოადგენს რომის საგარეო პოლიტიკის შესახებ მოკლე საცნობარო ხასიათის შრომას. სიმოკლის გამო, ნაშრომი იხმარებოდა როგორც სახელმძღვანელო რომის ისტორიაში.

მცირე მოცულობისა და მხატვრული, ცოცხალი ენის წყალობით, ევტროპიუსის ნაშრომი ავტორის სიცოცხლეშივე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მისმა თანამედროვე პეანიოსმა „რომის მოკლე ისტორია" ბერძნულად თარგმნა. თარგმანი სრული სახითაა მოღწეული. VI საუკუნეში ისტორიკოსმა კაპიტონ ლიკიელმა კვლავ თარგმნა ევტროპიუსი ბერძნულად. მოღწეულია თარგმანის ფრაგმენტები.

ევტროპიუსისადმი ინტერესი არც შუა საუკუნეებში შენელებულა. VIII საუკუნეში პავლე დიაკონმა თავის თხზულებას — „რომის ისტორია" საფუძვლად ევტროპიუსის შრომა დაუდო. შეიტანა მასში ჩამატებები და მოიყვანა იუსტინიანეს ეპოქამდე (533 წ.). თავის მხრივ, პავლე დიაკონი გახდა ძირითადი წყარო ლანდოლფ საკსის (დაახლ. 1000 წ.) ნაშრომისა — „შერეული ისტორია".

ახალ ეპოქაში ევტროპიუსის შრომა ორმაგად ფასდება. პირველი, როგორც სახელმძღვანელო, დასაწყის ეტაპზე ლათინური ენის შესწავლის გაადვილების საქმეში, სტილის სიმსუბუქის გამო, და მეორე, როგორც მოკლე სახელმძღვანელო რომის ისტორიაში. ამ ღირსებისათვის მრავალჯერ გამოცემულა ლათინურად (იშვიათად ბერძნულადაც) სასკოლო დანიშნულებისათვის, კომენტარებითა და ლექსიკონით.

ავგუსტინე

ავგუსტინე, რომელიც ისტორიაში ცნობილია ნეტარი ავგუსტინეს სახელით, დაბადებულა 354 წლის 13 ნოემბერს ნუმიდიის პატარა ქალაქ ტაგასტში, ჰიპონის მახლობლად, სადაც იგი 395 წლიდან ეპისკოპოსად იყო; გარდაიცვალა 430 წლის 28 აგვისტოს. ავგუსტინეს ბიოგრაფიას ვეცნობით ავტობიოგრაფიული ნაშრომიდან, რომელსაც

ეწოდება „აღსარება“. მისი მამა წარმართი იყო, ხოლო დედა — ქრისტიანი. თექვსმეტ წლამდე ავგუსტინე ოჯახში იზრდებოდა და, როცა ჩვიდმეტი წლისა გახდა, მშობლებმა წაიყვანეს კართაგენში, რომელსაც „აფრიკის მუზას უწოდებდნენ“. იგი აღიზარდა ანტიკურ ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე. ავგუსტინე ითვლება დასავლეთის საეკლესიო მოღვაწეთა ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად;

ავგუსტინემ ანტიკური კულტურა გამოიყენა ეკლესიის სასარგებლოდ. წარმართობასა და სხვა მწვალებლობათა წინააღმდეგ ბრძოლაში გამომუშავდა ავგუსტინეს შეხედულებანი, რომელთა მიხედვითაც იგი გვევლინება როგორც ქრისტიან თეოლოგთაგან უპირველესი და რელიგიური ობსკურანტიზმის მებრძოლი მქადაგებელი, რომელიც ეკლესიას მოუწოდებდა, ურწმუნოებს სასტიკად გასწორებოდა.

ავგუსტინეთი მთავრდება ქრისტიანობის დევნის პერიოდი და იწყება მისი განვითარების ახალი პერიოდი. ავგუსტინეს მოღვაწეობის გაგება გვეხმარება ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების წინამორბედი ისტორიის გაგებაში და იმ მიზეზთა გარკვევაში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქრისტიანობის წარმატებას დასავლეთში.

ავგუსტინეს უწოდებენ „ფილოსოფიის ისტორიის მამას“. იგი ბევრს წერდა ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულების საკითხებზე. მისი აზრით: „თეოლოგიის გარეშე — ფილოსოფია არაფერია“, „რწმენის წინაშე უფერულდება გონების ყველა მიღწევა“. მისმა შეხედულებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების მსოფლმხედველობაზე, განსაკუთრებით კი ქრისტიანობისა და კათოლიციზმის პრინციპების ჩამოყალიბებაზე.

ავგუსტინე ცხოვრობდა რომის იმპერიის რღვევის პერიოდში. მან წამოაყენა ისტორიული პროცესის ახალი კონცეფცია, რომლის დამახასიათებელიც იყო თეოკრატიის იდეა. ამ იდეის მიხედვით, საერთო ხელისუფლება უნდა ექვემდებარებოდეს საეკლესიო ხელისუფლებას. აქედან გამომდინარეობს ეკლესიის მსოფლიო ბატონობის იდეაც. ავგუსტინეს მოძღვრება შეიქმნა რომის პაპის ხელისუფლებისა და ინკვიზიციის დასაყრდენი.

ავგუსტინე იცავდა სოციალურ უთანასწორობას, მონობასა და კერძო საკუთრებას. იგი ქადაგებდა ასკეტიზმსა და სხეულის უგულე-

ბელყოფას. ავგუსტინეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლუთერის და სხვათა რეფორმაციული შეხედულებების შემუშავებაში.

ავგუსტინეს დაუწერია 93 შრომა 232 წიგნად, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია თხზულება „ღვთის ქალაქის შესახებ“.

ოროზიუსი

პავლე ოროზიუსი იყო V საუკუნის ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი, რომლის შემოქმედებაშიც აისახა აღნიშნული ხანის რელიგიური ბრძოლა.

ოროზიუსი დაიბადა IV საუკუნის ბოლოს ესპანეთის ქალაქ ტარაკონაში. V საუკუნის დასაწყისში მას მიუღია ქრისტიანული სარწმუნოება. ამ ხანის ესპანეთში გაცხოველებული ინტერესი იყო ე. წ. პრისცილინელთა[1] მოძღვრების ირგვლივ და ოროზიუსიც ჩაება რელიგიურ პოლემიკაში. 431—415 წლებში ცოდნის შევსების მიზნით, ოროზიუსი გაემგზავრა ჩრდ. აფრიკის ქ. ჰიპონში, სადაც ამ დროს მოღვაწეობდა ნეტარი ავგუსტინე. ავგუსტინესთან მან რამდენიმე ხანს დაჰყო და მისივე რეკომენდაციით გაემგზავრა ჯერ პალესტინაში, ხოლო შემდეგ ბეთლემში. პალესტინაში ოროზიუსი ჩაება რელიგიურ ბრძოლაში პელაგიანთა[2] წინააღმდეგ. ოროზიუსის ამ საქმიანობის შედეგი იყო ის, რომ იერუსალიმის ეპისკოპოსმა მოიწვია სინოდი, სადაც ოროზიუსმა წაიკითხა ლათინურ ენაზე დაწერილი ავგუსტინეს შრომები, რომლებშიც ის გმობდა პელაგიანთა სწავლებას. პალესტინიდან ოროზიუსი დაბრუნდა აფრიკაში, სადაც გარდაიცვალა.

ოროზიუსმა დაწერა რამდენიმე თხზულება, რომელთაგან ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული სამყაროს ისტორიას ადამის დროიდან ახ. წ. 410 წლამდე. იგი შედგებოდა 7 წიგნისაგან, სათაურად აქვს „ისტორია წარმართების წინააღმდეგ“.

---

[1] ეს იყო რელიგიური მიმართულება, რომლის მომხრენიც მატერიას ბოროტი საწყისის განსახიერებად, ხოლო სულს ღმერთის ნაწილად თელიდნენ, სწამდათ ვარსკვლავების გავლენა ადამიანის ბედ-იღბალზე.

[2] პელაგიანობა იყო ქრისტიანული სწავლება; იცავდა რა ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას, ამტკიცებდა, რომ ყოველ ადამიანს ეკლესიის დაუხმარებლად შეუძლია ცოდვების გამოსყიდვა.

თხზულება წარმოადგენს მოვლენათა პრაგმატულ ქრონიკას. მას საფუძვლად უდევს ავტორის გარკვეული კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, ყველა უბედურების მიზეზია არა ძველი ღმერთებისაგან განდგომა, არამედ ის, რომ დადგა შურისგების ჟამი, წარსულის ბოროტმოქმედებათა გამო. შრომა დაწერილია მაღალფარდოვანი ენით. მასში შეინიშნება ტენდენციური მიდგომა წყაროების მიმართ: ავტორი ნებისმიერად არჩევს ისტორიულ მასალებს და, როგორც წესი, ემყარება მხოლოდ რომაელი ავტორების — ცეზარის, სვეტონიუსის, ლივიუსის, ტაციტუსის, ფლორუსის და სხვათა შრომებს. გამოყენებული ჰქონდა აგრეთვე ძველი და ახალი აღთქმის მასალები. დასახელებული ნაშრომი ოროზიუსმა დაწერა ავგუსტინეს დავალებით 417 წელს.

სარჩევი

წინასიტყვაობა (გრანი ქავთარია) 3

საბერძნეთი

ბერძენი ლოგოგრაფოსები (ნოდარ ლომოური) 9
პეროდოტე (გიორგი გოზალიშვილი) . 26
თუკიდიდე (ალექსანდრე წერეთელი) . 47
ქსენოფონტი (გიორგი გოზალიშვილი) . 61
ეფორე (ალექსანდრე წერეთელი) . 74
თეოპომპე ქიოსელი (ალექსანდრე წერეთელი) . 75
არისტოტელე (მათე ალექსიშვილი) . . 76
პოლიბიოსი (გრანი ქავთარია) . . 91
დიოდორე სიცილიელი (ნოდარ ლომოური) . . 102
დიონისე ჰალიკარნასელი (რუსუდან გოგოლაშვილი) 112
სტრაბონი (გიორგი გოზალიშვილი) . 117
ნიკოლოზ დამასკელი (მათე ალექსიშვილი) . 119
პლუტარქე (ალექსანდრე წერეთელი) . 125
არიანე (ალექსანდრე წერეთელი) . 135
აპიანე ალექსანდრიელი (გიორგი გოზალიშვილი) . 136
დიონ კასიოს კოკეიანოსი (ნოდარ ლომოური) . 144

რომი

ციცერონი (გიორგი გოზალიშვილი) . 155
გაიუს იულიუს ცეზარი (მათე ალექსაშვილი) . 166
კორნელიუს ნეპოტი (გრანი ქავთარია) . 177
სალუსტიუს კრისპუსი (გივი გამრეკელი) . 180
ტიტუს ლივიუსი (რუსუდან გოგოლაშვილი) . 190
ველეიუს პატერკულუსი (ლამარა იოსელიანი) . 199
პომპეუს ტროგუსი (მათე ალექსიშვილი) . 203
ვალერიუს მაქსიმუსი (მათე ალექსიშვილი) . 210
კურციუს რუფუსი (გივი გამრეკელი) . 211
სენეკა (რუსუდან გოგოლაშვილი) . 213
კვინტილიანე (მათე ალექსიშვილი) . 219
ტაციტუსი (გიორგი გოზალიშვილი) . 223

პლინიუს უმცროსი (რუსუდან გოგოლაშვილი) .
სვეტონიუსი (რუსუდან გოგოლაშვილი) . .
ფლორუსი (რუსუდან გოგოლაშვილი) . .
მარკუს ავრელიუსი (მათე ალექსიშვილი) . . .
ავგუსტუსთა ისტორიის მწერლები (რუსუდან გოგოლაშეილი)
ამიანე მარცელინე (გიორგი გოზალიშვილი) . .
ევტროპიუსი (გრანი ქავთარია) . . . .
ავგუსტინე (გიორგი გოზალიშვილი) . .
ოროზიუსი (რუსუდან გოგოლაშვილი) . .